ვლადიმერ (ვალო) ღუნაშვილი



# ქსნის საერისთავოს პოლიტიკური ისტორია

თბილისი 2007

ვლადიმერ (ვალო) ღუნაშვილი

# ქსნის საერისთავოს პოლიტიკური ისტორია

(VI ს-ის 70-იანი წლებიდან 1777 წლის ჩათვლით)

გამოცემა მეორე

თბილისი – 2007

ვუძღვნი მშობლების ნათელ ხსოვნას

УДК (უაკ) 32(479.22) (09)
ღ-97

რედაქტორი - **ვ.ღუნაშვილი**

დიზაინი და კომპიუტერული დამუშავება - **თ.ჩხაიძე**
ტექრედაქტორი და კორექტორი - **ნ.თიგიშვილი**

წიგნის გამოცემა დააფინანსა

გია ოქრუაშვილმა

**ISBN 99940-0-632-0**

ქსნის საერისთავომ სახელწოდება მდინარე ქსნისგან მიიღო. ძველ ქართულ ენაში ჰიდრონიმი "ქსანი" იხმარებოდა ველურის, გარეულის მნიშვნელობით (ვ. აბრამიშვილი, ლიახვი, ქსანი, არაგვი, 2005, გვ. 13). აქედან გამომდინარე, მდ. ქსანი დაუმორჩილებელს, დაუოკებელს ნიშნავს.

მონოგრაფიაში შესწავლილია ქსნის (ცხრაზმის) საერისთავოს პოლიტიკური ისტორია VI-ს. 70-იანი წლებიდან მის გაუქმებამდე - 1777 წლამდე.

აღნიშნულ პერიოდში ქსნის ხეობის ზედა წელზე ცხრაზმაზე, ფართოდ იშლება ქართლისათვის ბრძოლა ბიზანტიასა და ირანს შორის.

როსტომ ბიბილური ბიზანტიური ორიენტაციისაა და ირანული ორიენტაციის მქონე გრუელების წინააღმდეგ ბრძოლაში სწრაფ გამარჯვებას აღწევს. უმეფობის პერიოდში როსტომ ბიბილურს ერისთავად ბიზანტიის იმპერატორი ნიშნავს.

გამოკვლევაში ვრცლად არის განხილული ის პოლიტიკური კატაკლიზმები, რაც ხდებოდა ქსნის (ცხრაზმის) საერისთავოში (და მთლიანად საქართველოში), ხელისუფლების პოლიტიკური ორიენტაციის ცვლის შედეგად.

ნაშრომში გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი სეპარატიზმს და მის წინააღმდეგ ბრძოლას XIV-XVII და XVIII საუკუნეებში; ახლებურადაა დანახული და დათარიღებული ბევრი ისეთი ფაქტი, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაში. ნაშრომი გათვალისწინებულია ქსნის საერისთავოს (და მთლიანად აღმოსავლეთ საქართველოს) პოლიტიკური ისტორიით დაინტერესებული სპეციალისტებისა და ფართო საზოგადოებისათვის.

რეცენზენტები: პროფესორი თამაზ ბერაძე
პროფესორი გიორგი ოთხმეზური



# წ ი ნ ა თ ქ მ ა

დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს მშენებლობაში ძალზე მნიშვნელოვანია სახელმწიფოებრივი მოწყობის პრინციპი. რომელ დიდ სახელმწიფოს პოლიტიკურ წყობას ირჩევს საქართველო ორიენტირად, როგორია ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა; როგორი ურთიერთდამოკიდებულებაა ცენტრსა და რეგიონს შორის; როგორ, რა მეთოდებით ებრძვის სეპარატიზმს ცენტრალური ხელისუფლება და სხვა.

ფარნავაზ მეფემ (ძვ.წ. IV ს. ბოლო - III ს-ის დასაწყისი) ჩაატარა საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის რეფორმა - "მიმსგავსებულად სამეფოსა სპარსთასა". ამ პერიოდში ქსნის ხეობაში იქმნება ორი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული – ცხრაზმის საერისთავო და ქსნის ხევი, რომელნიც შიდა ქართლის სასპასპეტოს შემადგენლობაში შედიოდნენ.

VI ს-ის 70-იან წლებში სპარსელებთან, საქართველოზე გაბატონებისთვის ბრძოლაში იმარჯვებენ ბერძნები. ცხრაზმის (ქსნის) საერისთავოს ერისთავი ხდება ბერძნული ორიენტაციის მქონე როსტომ ბიბილური (ქვენიფნეველი).

საკითხის აქტუალობა განპირობებულია დღევანდელობასთან კავშირში. დღეს როცა ასე მძაფრი დაპირისპირებაა ცენტრსა და რეგიონს შორის, როცა სეპარატისტული მოძრაობა ყოველმხრივ წახალისებული და დაუსჯელია, როგორ წყვეტდა მსგავს პრობლემას წარსულში ცენტრალური ხელისუფლება.

სხვადასხვა ისტორიულ ვითარებაში, რა ურთიერთდამოკიდებულებაში იყო რეგიონი (ქსნის საერისთავო) და ცენტრი; რა როლს ასრულებდა რეგიონი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში; დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ საქართველოს (ქართლის) ხელისუფლებას, როგორ უპირისპირებდნენ რეგიონის, ქსნის საერისთავოს, ხელისუფალთ მპყრობელი იმპერიები; როგორ არბევდნენ ცენტრალური ხელი-

სუფლების წარმომადგენლები ოპოზიციაში მყოფ რეგიონის ხელმძღვანელობას (ქსნის ერისთავებს), ან როგორ წარმოსახავდნენ სეპარატისტებს (ქსნის ერისთავებს) ეროვნულ გმირებად, რათა მიეღოთ მპყრობელი იმპერიისაგან მათი ფიზიკური განადგურების ნებართვა; რა მეთოდებით ებრძვის საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება სეპარატიზმს.

აღნიშნული საკითხის ისტორიული ანალიზი ხელს შეუწყობს, არსებული პრობლემის სხვადასხვა კუთხით გააზრებას და შედარებით უმტკივნეულოდ გადაწყვეტას, რაც ბუნებრივია, ჩვენი საზოგადოების ინტერესის სფეროს წარმოადგენს.

მე კი სიამოვნებით გავეცნობი ყველა განსხვავებულ-დასაბუთებულ მოსაზრებას, დასმულ საკითხებთან დაკავშირებით.



# შესავალი

## ა. ამოსავალი ვითარება

ფეოდალური საქართველოს სამხედრო, პოლიტიკურ-ადმინისტრაციულმა ერთეულმა - ქსნის საერისთავომ - სახელწოდება მდ. ქსნისგან მიიღო, რომელიც სათავეს კავკასიონის სამხრეთ კალთებზე, ზღვის დონიდან 2914 მეტრზე მდებარე ყელის ტბიდან იღებს. მდინარე ჯერ სამხრეთისაკენ მიემართება, უხვევს აღმოსავლეთით (ჟამური) და შემდგომ (ქარჩოხი) კვლავ სამხრეთისაკენ ბრუნდება. გზადაგზა შეიერთებს: ცხრაზმურას, ჭურთულას და ალეურას შედარებით პატარა მდინარეებს, პატარ-პატარა ხევებს და 90-იოდე კმ. გავლის შემდეგ უერთდება მდინარე მტკვარს მარცხენა მხრიდან.

ქსნის ხეობა, შიდა ქართლის ტერიტორიას მიეკუთვნება და ესაზღვრება: ჩრდილოეთით - კავკასიონის მთები, აღმოსავლეთით - არაგვის ხეობა, სამხრეთით - მდინარე მტკვარი, დასავლეთით - მდინარე ლეხურა და მდინარეების მეჯუდისა და პატარა ლიახვის სათავეები.

ქსნის ხეობის, სამეურნეო და პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დარაიონების თვალსაზრისით, ანტიკური და ადრეფეოდალური პერიოდის წყაროები სდუმან. გვაქვს VII ს. სომხური, ანონიმური გეოგრაფია, რომელიც აღნიშნული პერიოდისათვის ქსნის ხეობაზე ორ პოლიტიკურ ერთეულს - ცხრაზმას და ქსანს იცნობს (ამის შესახებ ქვემოთ). საფიქრებელია, რომ ქსნის ხეობა ანტიკური და ფეოდალური პერიოდისათვის ასევე ორ ნაწილად იყო დარაიონებული, როგორც აღწერა და დააფიქსირა ვახუშტი ბატონიშვილმა.

ვახუშტის განმარტებით, ქსნის ხეობა სამეურნეო დარაიონების მიხედვით იყოფა ორ - მთის და ბარის ზონად. სოფელ კორინთასთან ზებაყურის მთის და ალევის მთის ცხვირად წამოწვდილი კლდე დაავიწროებს ქსანს, ამ

კლდის ქვევით, ქსნის ხეობა არის ბარის, ხოლო ზევით - მთის სამეურნეო ზონა [15. 359].

საქართველოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფა დაკავშირებულია ფარნავაზ მეფესთან. ძვ. წ. IV ს-ის ბოლოსა და III ს-ის დასაწყისში, სპარსული ორიენტაციის მქონე ფარნავაზმა შესძლო კარგად გამოეყენებინა იმ დროის მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები, დაამარცხა ბერძნული ორიენტაციის მქონე აზონი - "იძლივნეს ბერძენნი ფარნავაზისაგან" [201. 23]. გამარჯვებულმა ფარნავაზმა ჩაატარა სახელმწიფოებრივი რეფორმები: შეცვალა საქართველოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მოწყობა - ბერძნული სახელმწიფოებრივი მოწყობა შეცვალა სპარსული სახელმწიფო ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობით, "მიმსგავსებულად სამეფოსა სპარსთასა" [201. 25]. როგორც ჩანს, ქართული ელემენტების შეტანით [229. 192] და ქართველი ნომენკლატურით და ჩაატარა ქართული ენის სახელმწიფო რეფორმა - " ამან (ფარნავაზმა ვ. ღ.) განავრცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თჳნიერ ქართულისა" [201. 26].

სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესში, ადმინისტრაციული მოწყობის რეფორმის შედეგად ფარნავაზმა ქვეყანა დაჰყო 9 სამხედრო პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულად - 8 საერისთავოდ და ერთ სასპასპეტოდ. სპასპეტს - მთავარსარდალს, სამართავად ჩააბარა შიდა ქართლი. "და ესე სპასპეტი იყო შემდგომადვე წინაშე მეფისა, მთავრობით განაგებდის ყოველთა ერისთავთა ზედა, ხოლო ამათ ერისთავთა ქუეშე, ადგილთა განაჩინნა სპასალარნი და ათასისთავნი" [201. 24-25]. ამით ფაქტობრივად, ადგილზე მყოფ სოციალურად და ეკონომიკურად დაწინაურებულ პირებს ოფიციალურად გაუფორმა სახელმწიფოებრივი მაღალი სოციალური მდგომარეობა და გაიერთგულა. განსხვავებული აზრის მქონე სოციალურად და ეკონომიკურად დაწინაურებული პირები, როგორც ჩანს, ფარნავაზს არ უდევნია. ამ აზრის სასარგებლოდ მეტყველებს ფარნავაზის მიერ აზოს საგვარეულო საკულტო ძეგლების - გაცის და გაიმის, და თავისი - არმაზის საკულტო ძეგლის ერთ პანთეონში გაერთიანება. ამდენად, ლეონტის მიხედვით, სპასპეტი - მთავარსარდალი, არის მეფის შემდეგ პირველი კაცი, რომელსაც ემორჩილება 8 დიდი ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელი - ერისთავი და მათ დაქვემდებარებაში მყოფი "სპასალარნი და ათასისთავნი".

ლეონტი მროველი არ მიუთითებს თუ რა პრინციპით იყო მოწყობილი შიდა ქართლი, სავარაუდოა, რომ იგივე სისტემით, როგორითაც დანარჩენი ტერიტორია..., ე. ი. იყო მცირე საერისთავოები, სასპასალარონი და საათასისთავონი და ტრადიციულად არსებული ხევები - სახევისთავოები.

საფიქრებელია, რომ სპასპეტ-მთავარსარდალი სამართავად ჩაბარებულ ტერიტორიას მოაწყობდა ტრადიციულად, ბუნებრივად ჩამოყალიბებულ სამეურნეო-ეკონომიკურ დარაიონების და სამხედრო-თავდაცვითი მდგომარეობის გათვალისწინებით.

ჩვენი ვარაუდით, ფარნავაზის სახელმწიფოებრივი მოწყობის რეფორმას უნდა აესახა, დაეფიქსირებინა ქვეყნის სამეურნეო ეკონომიური დარაიონება - ქსნის ხეობა კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძირითადად ორ ეკონომიურ რაიონად უნდა ყოფილიყო დაყოფილი და უნდა ეპასუხა იმ სამხედრო-თავდაცვითი მოთხოვნებისთვის, რასაც ამა თუ იმ ადმინისტრაციულ ერთეულს უყენებდა ხელისუფლება.

იმ პერიოდში, სახელმწიფოს ხელმძღვანელობის წინაშე უნდა მდგარიყო ძირითადი ამოცანა: შეენარჩუნებინათ სახელმწიფო და ხელისუფლება. ამ ამოცანის გადაწყვეტას კი ესაჭიროებოდა საზღვრების დაცვა.

როგორც აღვნიშნეთ, მდ. ქსანი კავკასიონის სამხრეთ კალთებიდან იღებს სათავეს და ჩრდილოეთ კავკასიიდან წამოსულთ ქსნის ხეობაზე, მდინარის ჩამოყოლებით არსებული გზა-ბილიკებით შეეძლოთ შეეღწიათ სამეფოსა და მის შუაგულში - მცხეთაში.

"ახალგორული ტიპის ბრინჯაოს ქანდაკებების აღმოჩენა ყაზბეგის განძთან ერთად და სხვა არქეოლოგიური მასალები მიუთითებენ, რომ ადრეანტიკურ ხანაში, არაგვის ხეობასთან ერთად, ქსნის ხეობით ხორციელდებოდა ურთიერთობა კავკასიონის ქედსიქითა მხარესთან,... "ჯვრის გადასასვლელიდან მომავალი გზა გაივლიდა რა მლეთა ლომისას, მიჰყვებოდა ქსნის ხეობის მარცხენა სანაპიროს, დაივაკებდა და ქსოვრისთან უერთდებოდა შიდა ქართლის გამჭოლ მაგისტრალს" [47. 18].

სამწუხაროდ, ლეონტი მროველი არ მიუთითებს, თუ რომელი გზით გადმოიყვანა ფარნავაზმა ოვსნი და ლეკნი, და გარკვეული პერიოდის შემდეგ კვლავ ოვსნი ჩრდილოეთ კავკასიიდან, როცა ბერძნული ორიენტაციის მქონე აზოს წინააღმდეგ იბრძოდა [201. 23], მაგრამ გადმოსასვლელი გზა-ბილიკების დაცვა რომ ფარნავაზის განსაკუთრებული ზრუნვის საგანი იქნებოდა ეს უეჭველია, რამეთუ "გზაზე კონტროლი მაკონტროლებელ სახელმწიფოს საშუალებას აძლევდა ჩრდილო კავკასიის მეომარ ტომთა მიერ გზის თვითნებური გადმოლახვისათვის ხელი შეეშალა, გაჭირვების ჟამს კი ისინი მოეწვიათ თავისი პოლიტიკური ინტერესებისათვის გამოსაყენებლად" [91. 27].

რა თქმა უნდა, ფარნავაზის მიერ ჩატარებული სახელმწიფო-ადმინისტრაციული მოწყობის რეფორმა არ იყო უცვლელი. ამა თუ იმ ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრები იცვლებოდა დროის მოთხოვნილების შესაფერისად, ისევე, როგორც ეს ხდებოდა ფეოდალურ ეპოქაში, (ამის შესახებ ქვემოთ, სათანადო ადგილას).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ პროფესორ დავით გვრიტიშვილის მოსაზრებას – "ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ ქსნის საერისთავო (უფრო ზუსტი იქნებოდა ცხრაზმის საერისთავო, გ. ღ.), როგორც მმართველობის გარკვეული ინსტიტუტი ადრე უნდა გაჩენილიყო, ე.ი. იმაზე უფრო ადრე, ვინემ მის შესახებ ცნობები გაგვაჩნია" [55. 65-66]. ცნობები კი ცხრაზმის საერისთავოს არსე-



ბობისა და ამ საერისთავოში მიმდინარე პოლიტიკური კატაკლიზმების შესახებ VI ს. 70-იანი წლებიდან გაგვაჩნია (ამის შესახებ ქვემოთ), ე. ი. ჩვენი ვარაუდით, ცხრაზმის მცირე საერისთავო შეიქმნა ძვ. წ. III საუკუნის დასაწყისში, მაშინ, როცა საერთოდ შეიქმნა, საერისთავოები საქართველოში და დაკავშირებულია ფარნავაზის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის რეფორმასთან.

## ბ. წყაროები

ადრე და შუაფეოდალური ხანის ცხრაზმის (ქსნის) საერისთავოს ისტორიის შესასწავლად განსაკუთრებით მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს "ძეგლი ერისთავთა".

თავ-ბოლო ნაკლულ "ძეგლის" სახელწოდება "ძეგლი ერისთავთა"-ს სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა დაკავშირებულია "ძეგლის" პირველ გამომცემელთან - თ. ჟორდანიასთან [167. 1], რომელიც ალბათ მომდინარეობს 1828 წლის 5 მარტის "ძეგლის" გადანაწერზე გაკეთებული დასათაურებიდან - "ქსნის ერისთავიანთ ისტორია ანუ ნამდვილი ამბავი" და მინაწერიდან - "ესე ჩვენი ძეგლად წოდებული ეტრატსა ზედა აღწერილი და ისტორია დაფუძნება ჩვენისა გვაროვნებისასა, ვპოვეთ მცირედი რაჲმე აღწერილი ძველად და გადმოვწერეთ რაიცა შეიძლებოდა"... წერდნენ მარიამ ქობალიშვილი-ერისთავისა და გიორგი დავითის ძე ერისთავი [236. 322]. როგორც ჩანს, ამ მინაწერის გავლენას [8. 34] ვერც სხვა გამომცემელნი და მკვლევარნი გაექცნენ გარკვეული პერიოდის განმავლობაში, რის დასტურიცაა სათაურთან ერთად განმარტებები – ("ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე)", [236. 305]. Хроника Ксанских эриставов начала XV века" [160] და სხვა [8. 34-35].

"ძეგლის" გამოცემებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია 1954 წელს ქართულ ენაზე გამოცემული "ძეგლი ერისთავთა" (ქსნის ერისთავთა მატიანე), ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა,

ლექსიკონი და საძიებელი დაურთო შოთა მესხიამ. შემდგ-
ომ გამოცემებში, როგორც ჩანს, განმარტების საჭიროება
მოიხსნა. ტექსტი დაიბეჭდა "ქართული სამართლის ძეგლე-
ბში", ტ. II, 1965, გვ. 102-117. (სათაურს -"ძეგლი ერისთავთა"
- არ გაუკეთდა განმარტება - "ქსნის ერისთავთა საგვარეუ-
ლო მატიანე"). თითქმის იგივე ტექსტი, თუ არ ჩავთვლით
მცირე ცვლილებებს, დაიბეჭდა ქართულ მწერლობაში, ტო-
მი 5, 1988 წ. "ძეგლი ერისთავთა", გვ. 104-122. არც აქ გაუ-
კეთდა განმარტება.

ქსნის საერისთავოს - ქსნის ერისთავების, თუ ცხრაზმის
საერისთავოს - ცხრაზმის ერისთავების შესახებ დ. გვრი-
ტიშვილი აღნიშნავს: "მკვლევარები ყურადღებას აქცევდნენ
იმ გარემოებას, რომ ძველ ისტორიულ ძეგლებში ქსნის
ერისთავები XVII საუკუნის დამდეგამდე თავიანთ თავს
ქსნის ერისთავებს არ უწოდებდნენ [55. 55], არამედ "და
უწოდა ერისთავ ცხრაზმისჴევისა" [236. 346]. ქსნის ერისთა-
ვები XVII ს-მდე თავიანთ თავს უწოდებდნენ ცხრაზმის ერ-
ისთავებს, შემდგომ კი ქსნის ერისთავებს, ამდენად, ჩვენი
აზრით, უფრო მართებული იქნება XVII საუკუნემდე ეწო-
დებოდეს ცხრაზმის საერისთავო და შესაბამისად ცხრაზმ-
ის ერისთავი [8. 35] და XVII საუკუნის დასაწყისიდან
ქსნის საერისთავო და შესაბამისად ქსნის ერისთავები. თუ-
მცა სახელწოდების იმ წესით ხმარებაში, როგორიც დღე-
საა გავრცელებული, არაა რაიმე დიდი შეცდომა.

"ძეგლი ერისთავთას" მონოგრაფიული შესწავლიდან
ჩანს, რომ იგი წარმოადგენდა საკითხავ წიგნს, ცხრაზმის,
შემდეგ კი ქსნის ერისთავთა კარზე, რომელიც გადმოგვც-
ემს ცხრაზმის საერისთავოს ისტორიას VI-ს-ის 70-80-იანი
წლებისა და XIII ს. მიწურულიდან XV ს. დასაწყისის ჩათ-
ვლით. ეს იყო ერთგვარი ისტორიის სახელმძღვანელო,
ცხრაზმის ერისთავთა სახლეულისათვის და არა მარტო
მათთვის. სხვანაირად არ იქნება გაგებული ლარგვისის მო-
ნასტრისადმი შალვა ქვენიფნეველის 1470 წლის შეწირუ-
ლობის წიგნის და "ძეგლი ერისთავთას" დასაწყისი ნაწილ-



ის იგივეობა. კერძოდ, "ძეგლი ერისთავთას" თანახმად ქვე-
ნიფნეველთა გვარის პირველ ერისთავ-დამფუძნებელ როს-
ტომს "მეფემან ისტჳნიანე"-მ, "მიუბოძნა შჳდნი ესე ჴევნი...
მას შინა და უწოდა ერისთავ ცხრაზმისჴევისა" [236. 346].
აღნიშნული მონაკვეთის კარგი ცოდნა ჩანს შალვა ქვენიფ-
ნეველის შემდეგ სიტყვებში: "პირველითგან სულკურთხეუ-
ლისა ისტჳნიანესაგან ბერძენთა მეფისა და თჳთ-მპყრობე-
ლისა აღშენებული და ჩუენთა ჩამომავალთა ერისთავთა
ნათესავთათჳს საძვალედ ბოძებული" [206. 140]. ამდენად
შალვა ქვენიფნეველის შეწირულობაში მოხსენიებული
"ისტჳნიანე" და სხვა მფლობელობის რიგი საკითხები, მომ-
დინარეობს "ძეგლი ერისთავთადან" და ეს ბუნებრივია, რა-
დგან ეს "შეწირულობა" დაწერილია 1470 წელს, ე. ი. "ძეგ-
ლი ერისთავთას დაწერიდან დაახლოებით 60 წლის შემდ-
ეგ.

"ძეგლი ერისთავთა" რომ ნამდვილად საკითხავი წიგნი
იყო, ჩანს იქიდანაც, რომ "ძეგლზე" გაკეთებულია სხვადას-
ხვა ხელით მინაწერები. "მატიანის ერთ-ერთი მხედრული
მინაწერი შეიცავს "ვეფხისტყაოსნის" რამდენიმე სტროფს
(იხ. შ. ონიანი, ინდო-ხატაელთ ამბავი "ვეფხისტყაოსანში",
თბ., 1982წ,. გვ. 49-65) [8. 6-7]. "ძეგლს" კითხულობდნენ, უდ-
არებდნენ სხვადასხვა ქრონიკებს და ტექსტის კიდეზე აკე-
თებდნენ შესაბამის მინაწერებს, რადგან ტექსტის ძირითა-
დი ნაწილი შედგენილია დათარიღების გარეშე. სულ
"ძეგლს" გაკეთებული აქვს 11 ქრონიკული მინაწერი, "აღნი-
შნული მინაწერები შესრულებულია ასომთავრული და
მხედრული დამწერლობით" [8. 7].

"ძეგლი ერისთავთა", რომ ნამდვილად საკითხავი წიგნი
იყო, ჩანს აკად. გიულდენშტედტის ჩანაწერებში. "ბერძენმა
კეისარმა იუსტინიანემ ეს მხარე გადასცა როსტომს, მისცა
მას ბეჭედი და აჩუქა ძვირფასი საპატიო სამოსელი... ახ-
ლანდელი ქსნის ერისთავი დავითი, როსტომიდან მოყოლე-
ბული, ამ ხნის განმავლობაში არის 275-ე" [61. 275]. ჩანს,

"ძეგლი ერისთავთა" XVIII ს-ის 70-იან წლებში უფრო სრული ყოფილა.

"ძეგლი ერისთავთა" რომ საკითხავი წიგნი იყო, ჩანს ალექსანდრე ჯამბაკურ ორბელიანის თხზულებაში. კერძოდ, "ქვენიფნეველთა გვარი პირველად რომ საქართველოში მოვიდა მგონი ან მეექვსე ან მეშვიდე საუკუნე იყო. ოსეთითგან ორნი თუ სამნი ძმანი გადმოვიდნენ..., სადაც შფოთი იყო მთიულეთის და ქსნისხეველების ხალხში, რომელთაც ამ ყმაწვილ კაცთა დააშვიდეს და დებულება დაუდეს, რომ ამათში შფოთი აღარ იყოს,... ამის მადლობისათვის უფროსი ძმა სიდამონ მთიულეთის ხალხმა წაიყვანა, აქ არაგვის ერისთავად დასუეს და მეორე უმცროსი ძმა როსტომ ქსნის ხალხმა ქსნის ერისთავად. ეს ორნი ძმანი მგონია თაგაურები უნდა იყვნენ, დუდაროები ოსეთის მეფის ჩამომავლობისა. გამიგონია, მითომ ჩერქეზითგან დუდარუკოების გუარისანი იყვნენ. დუდარუკოები სადაც დგანან, შორს არის და ამის გამო მე უფრო დუდაროები მგონია" [8. 50]. მოტანილი ამონაწერი იმდენად ახლოსაა "ძეგლი ერისთავთას" დასაწყისთან - როსტომის წარმომავლობა, უმცროსობა, რამდენიმე ძმა, შიდა სახელმწიფოებრივი აშლილობა და სხვა, რომ ეჭვის ადგილიც აღარ რჩება, რომ ა. ჯამბაკურ ორბელიანის თხრობა მომდინარეობს "ძეგლი ერისთავთადან", მაგრამ როგორც ჩანს, "ძეგლი" წაკითხული აქვს ადრე და ამიტომაც წერს კითხვის ნიშნით, "მგონია", "გამიგონია", "მითომ" და სხვა. და ეს არცაა გასაკვირი, XIX ს-ის მოღვაწეს, პოეტსა და ისტორიკოსს წაკითხული რომ ჰქონოდა XV ს. დასაწყისში დაწერილი "ძეგლი ერისთავთა".

იგივე შეიძლება ითქვას სულხან ბარათაშვილის ნაშრომზეც.

"ძეგლი ერისთავთა" დაწერილია ლარგვისის მონასტერში XV ს. დასაწყისისათვის გრიგოლ ბანდაისძის მიერ, მაგრამ წარმოუდგენელია გრიგოლისათვის გარკვეული დახმარება არ გაეწიოთ და მის შემოქმედებაზე კეთილი გავ-



ლენა არ მოეხდინოთ იმ პერიოდის (XIV ს. მეორე ნახევარი - XV ს. დასაწყისი), და ცოტა უფრო ადრინდელ კულტურის მოღვაწეებს, როგორიც იყვნენ: გიორგი თაბაური [236. 317], ვაჩე ყანჩელის ძე ილარიონ სამთავნელი (1030 წ.) [138. 231-232] და უშუალოდ გრიგოლის მამა - ავგაროზ ბანდაისძე [160. 12-13].

"ძეგლი ერისთავთას" ავტორი გრიგოლ ბანდაისძე, თავისი დროისათვის საკმაოდ განათლებული პიროვნება ყოფილა, როგორც სასულიერო მოღვაწეს, კარგად ეცოდინებოდა საეკლესიო მწერლობა, კარგად სცოდნია "ქართლის ცხოვრება" და თუ არ ჩავთვლით ერთ-ორ შემთხვევას მეფეებთან – ადარნასესთან, დავითთან და ვახტანგთან დაკავშირებით, "ძეგლი ერისთავთა" "ქართლის ცხოვრებასთან" წინააღმდეგობაში არ მოდის, პირიქით, ერთმანეთს ავსებენ.

გრიგოლ ბანდაისძეს შესანიშნავად სცოდნია ცხრაზმა და მთლიანად ქართლის მთიანეთი გეოგრაფიულად. მას, როგორც "ძეგლის" ანალიზიდან ჩანს - საგვარეულო მატიანის წერისას გამოუყენებია წერილობითი წყაროები:

1. როსტომ ბიბილურის გაერისთავება-დაფუძნებასთან დაკავშირებით. სხვანაირად წარმოუდგენელია, ისე ზუსტად და ლაკონურად გადმოსცე საქმის არსი, როგორც ეს არის "ძეგლის" პირველ ნაწილში; 2. პაპა ქვენიფნეველის ჩამოტანილი წერილი - "მოუწერა სამთავნელსა და ერისთავსა ვირშელსა და ყოველსა ერსა ცხრაზმისჴევისასა", და შესაძლოა სხვა დოკუმენტებიც.

მიუხედავად იმისა, რომ "ძეგლი" ზოგადად ორი ნაწილისაგან შედგება, ის მაინც ერთი მთლიანი ნაწარმოებია, რამეთუ "ძეგლის" პირველი ნაწილი არ ეწინააღმდეგება მეორეს და პირუკუ. იგი შეძლებისდაგვარად გადმოგვცემს ცხრაზმის საერისთავოს ისტორიას და გვაწვდის დიდმნიშვნელოვან ცნობებს საქართველოში VI ს. 70-იან წლებში შექმნილი რთული მდგომარეობის შესახებ. როგორც "ძეგლის" მონაცემებიდან ირკვევა, ამ პერიოდის საქართველოში ფართოდ ყოფილა გაშლილი შეფარულ-შენიღბული

ბრძოლა სპარსეთსა და ბიზანტიას შორის. შეფარულ-შენიღბულობა კი იმაში გამოიხატებოდა, რომ ოფიციალური ბრძოლები მიმდინარეობდა ბერძნული ორიენტაციის მქონე ქართველებსა და სპარსული ორიენტაციის მქონე ქართველებს შორის. ბერძნები და სპარსელები აშკარად არ ჩანდნენ. იმ პერიოდის საერთაშორისო მოვლენები ბერძენთა სასარგებლოდ ვითარდებოდა და საქართველოშიც იმარჯვებდნენ ბერძნული ორიენტაციის მქონენი. ცხრაზმის მცირე საერისთავოს ერისთავი ხდება ბერძნული ორიენტაციის მქონე როსტომ ბიბილური.

"ძეგლი" საინტერესო ცნობებს გვაწვდის XIII ს. მიწურულსა და XIV ს. დასაწყისში განვითარებული მოვლენების შესახებ, როცა დავით VIII-მ შეცვალა სახელმწიფოებრივი ორიენტაცია და ირანის ილხანების მაგივრად კავშირურთიერთობა დაამყარა ოქროს ურდოს ხანებთან; რა პოლიტიკური შედეგები მოჰყვა ამას საქართველოსთვის, როგორ იქნა დასჯილი საქართველო და მისი სამეფო კარი.

ფასდაუდებელია "ძეგლის" მონაცემები საქართველოს შიდა სახელმწიფოებრივი-პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. XIV ს. - არაგველებსა და ცხრაზმელებს, ცხრაზმელებსა და დვალებს შორის მიმდინარე ბრძოლები, ცხრაზმის ერისთავებსა და "პროვინციის" მეფეებს შორის არსებული ურთიერთობები, სახელმწიფოებრივი ნგრევა, შიმშილი და სიღატაკე, დამოუკიდებლობის მაძიებელ სახელმწიფოში - საქართველოში შექმნილი რთული პირობები და სხვა.

ისტორიოგრაფიაში [260. 8] დიდი ხნის განმავლობაში გავრცელებული იყო მოსაზრება XIII-XIV სს. ოსთა "ახალ-ახალი" ტალღების საქართველოში ჩამოსახლებასთან დაკავშირებით და ერთ-ერთ ძირითად წყაროდ დამოწმებული იყო "ძეგლი ერისთავთას" ონომისტიკური მონაცემები [91. 219].



"ძეგლი ერისთავთას" ონომისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით ოსთა კომპაქტურად საქართველოში ჩამოსახლება XIII-XIV სს. სინამდვილეს არ შეესაბამება.

ფაქტიურად "ძეგლი ერისთავთა" ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა, რომელიც გვაწვდის ცნობებს დვალების, მათი გეოგრაფიული განსახლების, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და სხვა ეპოქალური მოვლენების შესახებ, რომელთაც ასევე თავ-თავის ადგილას შევეხებით.

აქედანაა გამომდინარე სწორედ ის დიდი ინტერესი, რასაც ამ შედარებით მცირე მოცულობის "ძეგლისადმი" იჩენდნენ და იჩენენ ისტორიკოსები.

ვახტანგ VI-ის მიერ შექმნილმა კომისიამ, რომელიც "ქართლის ცხოვრების" გაგრძელებაზე მუშაობდა, იმდენად მნიშვნელოვნად ჩათვალა "ძეგლი ერისთავთას" მონათხრობი, რომ გარკვეული ნაწყვეტები შეიტანა "ქართლის ცხოვრების" გაგრძელებაში [202. 343].

"ძეგლი ერისთავთა"-საგან განსხვავებული მონაცემების შემცველია იოანე ბატონიშვილის მიერ 1799 წელს შედგენილი "შემოკლებითი აღწერა" საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, სადაც ნათქვამია: "თავადი ქსნის ერისთავი ძველთა დროთანი არავინღა არიან, რომელნიც მოსულნი იყვნენ... დროისა საქართველოს მეფისა გვარამ ბაგრატიონისასა. მეფე ესე მარადის ბრძოდა და ავნებდა მათ, რათა დაეტევებინა ადგილი იგი და მაშინ მივიდნენ ბეგნი ამათნი წინაშე კეისრისა იუსტინიანესა და სთხოვეს შუამდგომლობა მეფისა თანა საქართველოსა და აღუთქვეს მსახურება ვითა ქვეშევრდომთა და მაშინ სთხოვეს მეფესა საქართველოსასა კეისარმან ზავყოფა მათთანა და ამან ინება და რომელიმე დაასახლა მთასა შინა კავკასიისა... უჩინებულესი მათგანი მოიყვანა და დაასახლა ქართლსა შინა... ამის შთამომავლობათაგან დაიდგინა მთავრად შიდა ქართლისა კონსტანტინე... და მერმე ამისა შთამომავლობითგან თორნიკე დაიდგინა ერისთავად

ქსნისა... შემდგომ ამისა იყუნენ მონათესავენიცა მათნი ერისთავთა წინაპარნი... პირველსა ეწოდა ბიბილა, მეორესა რატი, რომელნიცა დაეშენენ ქსნის ხეობასა შინა, წელსა ქ. - ეს აქეთ 1235... და უკანასკნელ დროსა მეფობისა კონსტანტინესა მსახურებისათვის მიიღეს თავადობისა ხარისხი წელსა 1412-სა შინა და იწოდენ ბიბილურები ქვენაფხოველებად გუარითა და იყვნენ ნაიბად ერისთავთა და მართვიდნენ ადგილთა მათ... წესა ქ. ეს აქეთ 1569... იწოდებიან გვარნი ამათნი ერისთავად, რომელიც ამათ შთამომავლობათა შინა იქნებოდა პირველი, იგი მიიღებდა მხოლოდ ერისთავობასა" [8. 51-52].

ჩვენთვის უცნობია, თუ რას ეყრდნობოდა იოანე ბატონიშვილი, როცა ზემოთ მონათხრობს წერდა, მაგრამ იოანე, რომ კარგად იცნობდა ქსნის ხეობას ეს უდავოა. უდავოდ შეიძლება მივიჩნიოთ ისიც, რომ იოანეს, "აღწერის" მასალა ერისთავებისაგან არ ჰქონდა აღებული, თუმცა იოანეს ქსნის ხეობაში საკმაოდ დიდი ტერიტორია ჰქონდა. "ქართლ-კახეთის აღწერა"-ში ცალკე თავად არის "ქსნის ხეობა, რომელიც თვის ეყიდა მეფის ძეს იოანეს სააზნაურობითა და ეკლესიის მამულებიც არიან აქა" [16. 36]. "აღწერა" იოანეს შესრულებული აქვს 1794-1799 წლებს შორის [16. 9]. ამავე პერიოდისთვის - 1799 წელს, აქვს შედგენილი "შემოკლებითი აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა". ე. ი. მაშინ როცა ქსნის ხეობის დიდი ნაწილი ჯერაც მას ეკუთვნოდა, და აქ გარკვეულ აღმშენებლობით საქმიანობას ეწეოდა. სოფელ იკოთის წმინდა მარინეს ეკლესიის ფასადზე გაკეთებული წარწერა მოგვითხრობს: "ქალწულო მოწამე. წ-ა ვსე მარინა. მეოხი ჩვენდა. განმახლი ეკლესიის მეფის რძალი. წერეთლის ასული ქეთევან გ ე ლ უ რ -ი მწე მეყავ მეუღლითურთ და აღსაზრდელად ძის ჩვენისა გრიგოლისა ქ. კ. ს. უ. პ. ვ."

წარწერა 1797 წლისაა, ეკუთვნის ქეთევან წერეთელს, რომელიც მეუღლე იყო იოანესი, გიორგი XII ძისა, მათი შვილია გრიგოლი [130. 90]. რა ურთიერთობა ჰქონდა იოანე ბატონიშვილს ქსნის ერისთავებთან?

დასმულ კითხვას გარკვეულწილად პასუხობს თვით იოანე ბატონიშვილი "კალმასობაში".

იოანე ბატონიშვილის გმირი, იოანე ხელაშვილი თავის თავს უწოდებს არქიმანდრიტ დოსითეოს ფიცხელაურის დიაკვანს, იმ ფიცხელაურის, ვის გამოც ქსნის ერისთავებმა წლების განმავლობაში ძალზე ბევრი უსიამოვნება მიიღეს და განიცადეს, და პირუკუ, ფიცხელაურებმა შესაბამისი უსიამოვნებანი მიიღეს ერისთავებისაგან, რომელიც ხშირად ფიზიკურ შეხლა-შემოხლაშიც გადაზრდილა; "ერისთავები ფიცხელაურებს თავიანთ მამულებში არ ატარებდნენ. 1804 წ. ახალგორს მისული ნიკოლოზ ფიცხელაური მიხეილ ერისთავსა და მის მხლებლებს გაულახავთ" [245. 115]. იყო პირუკუ ფაქტებიც - 1809 წელს "ნიკოლოზ და გლახა (დოსითეოზ ფიცხელაურის ძმები, ვ. ღ.) ფიცხელაურის წაქეზებით აჯანყებული ქურთისხეველები და ახალგორელები იკოთში შანშე ერისთავის სახლკარს დასხმიან თავს, დაუწვავთ იგი და აუწიოკებიათ [245. 155]. შანშე ერისთავი ხელში ჩაუგდიათ და სურვილი ჰქონიათ დაეთხარათ თვალები [245. 155]. თვით იოანე ხელაშვილიც კი ქსნის ერისთავთა სახლის შვილმა მეჯვრის ხევში კომბლით გალახა - თავი გაუტეხა. "იმ დროის ერთი ერისთვის შვილი შემოხვდა, ხელს შინა კომბალი ეჭირა და უთხრა იოანეს: ფიცხელაური ბერი ჩვენი მტრობისაგან არ დაცხრა, და ახლაა და ჩვენს მამულში შენ დიაკვანი ჩვენ სალანძღავად გამოუგზავნიხართო. უთხრა და ჰსცა კომბალი კუნკულსა, კუნკული გააგდებინა. შიშნეული განივლტო იოანე ბარბაცით თავსისხლიანი" [17. 87].

იოანე ბატონიშვილს არ მოსწონს ქსნის ერისთავთა მმართველობა საერისთავოში.

"გიორგიმ – (ერისთავის სახლიდან, ვ. ღ) არ მოგწონს ჩუჱნი მართებლობა?

იოანემ: ეგ ასეთი მართებლობა არს, თუ ჰანი გაგრძელ-და სამართებელო მაგდენა არღარა დაშთება რა" [17. 94]. მაშ როგორ მოვიქცეთ, როგორ ვმართოთ, კითხულობს გიორგი, რაზეც იღებს პასუხს:

"იოანემ: ბატონიშვილი იოანე როგორ იმორჩილებდა?

გიორგიმ: ის მეფის შვილია და შეეძლო.

იოანემ: თქვენ მეფის სიძე ჰართ და თქვენც შეიძლეთ".

და შემდგომ:

"იოანემ: თქუწნი ერისთობა დაცემული იყო, მაგრამ იოანე ბატონიშვილის თანჰმობით დავით მეფემ, მემკვიდრემ, მოგცათ ერისთობა, გარნა თჳსსა ძმასა უბძანა ჰსჯულდება. თუ ვითარ უნდა მოქცეოდით თქვენ ჰელქვეშეთთა და საკუთართა ყმებთა" [17. 94-95].

იოანე ბატონიშვილის თანხმობაც, მიცემული დავით ბატონიშვილისათვის ქსნის ერისთავებისათვის დაებრუნებინათ, უკვე თავისად ჩათვლილი ტერიტორია ("ქსნის ხეობა, რომელიც თვის ეყიდა მეფის ძეს იოანეს... "), არ უნდა ყოფილიყო უმტკივნეულო.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, იოანე ბატონიშვილი ნაწყენია ქსნის ერისთავებზე და წერს ერისთავთა დამამცირებელ, ტენდენციურ მასალას, რომელიც შესაძლოა დოსითეოზ ფიცხელაურისაგან მომდინარეობს.

იოანე ბატონიშვილის "აღწერა" ქსნის ერისთავების შესახებ მოითხოვს კრიტიკულ ანალიზს და საფუძვლიან შესწავლას. კერძოდ: "აღწერაში" ფიგურირებს" კეისარი იუსტინიანე", საუბარია რუსუდან მეფის პერიოდში ჩატარებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობაზე, რომელიც მონღოლთა სახელმწიფო მსგავსად უნდა მოეწყოთ და სხვა, ისევე როგორც დაუჯერებელია "თუნდაც ის ფაქტი, რომ თორნიკე ერისთავი ქსნის ერისთავიანთ წარმომადგენელი გონია" [55. 60].

იოანეს ცნობისაგან, "მიიღეს თავადობისა ხარისხი წელსა 1412-სა შინა და იწოდენ ბიბილურები ქვენაფხოველებად გუარითა". განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდის ვახუშტი: "ხოლო იალბუზის კალთათა ქსნის ერისთავი და არა ქვენაფლაველისაგან, არამედ იტყჳს ბიბილურობასა" [15. 34] და შემდგომ "ხოლო ტაშისკარსა და ლიხის მთას ქუეითა არაგუ-ტფილისამდე არიან სამნი ესე სასპასპეტონი... (აქ, თვითოეულის საზღვრებია მითითებული, ვ. ღ.), და ესენი პირველ იყო ერთი სასპასპეტო, და ყოველთა ერისთავთა სპასპეტთა ზედამხედველი. შემდგომად თამარ მეფისა ქართლის ერისთავი სხუა, ჰსნისა და სხუა და შემდგომად განაყოფისა ესრეთ სამ სადროშოდ იქმნა" [15. 382].

ვახუშტის ამ ცნობის მეორე ნაწილის დაზუსტება არ ხერხდება, ამიტომაც არის, ალბათ ჯ. გვასალია, რომ წერს: "აქ ვახუშტის" თამარ მეფე "უნდა განასახიერებდეს მონღოლებამდელ ერთიან საქართველოს სამეფოს" [45. 63].

საქართველოს ისტორიის და ბუნებრივია, ქსნის (ცხრაზმის) საერისთავოს შესასწავლად, უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს "ქართლის ცხოვრების" პირველი, მეორე და მეოთხე ტომები [201; 202; 15].

ივ. ჯავახიშვილი წერს: "ცნობილია, რომ ძველი ქართული საერო-საისტორიო მწერლობის ძეგლთა კრებული, რომელსაც "ქართლის ცხოვრება" ეწოდება, გიორგი ბრწყინვალის მეფობის ამბების შემცველი თხზულებით თავდებოდა და ამის აქეთ ხანის საქართველოს პოლიტიკური თავგადასავლის აღწერილობა ამ კრებულში არ მოიპოვებოდა. ეს გარემოება მერმინდელ ქართველ თაობათა წარმომადგენლებს საშუალებას არ აძლევდა თავიანთი სამშობლოს ცვალებადობით აღსავსე, მაგრამ ფრიად საყურადღებო, წარსულის ნამდვილი ვითარება სცოდნოდათ.

ცხადია, თუ რამდენად საზიანო უნდა ყოფილიყო ეს გარემოება ქართველთა ეროვნული თვითშემეცნებისა და პოლიტიკური შეგნების გაღრმავება-გაძლიერებისათვის; თავის სამშობლოს წარსულის ცოდნა ხომ სახელმწიფოებრივად დაქსაქსულისა და კულტურულად დაქვეითების გზაზე

დამდგარი საქართველოს მკვიდრთათვის უკუღმართი ვითარების გამოსწორებისათვის უაღრესად საჭირო იყო" [77].

"ქართლის ცხოვრების" ზემოთ დასახელებული ტომების (I, II, IV) გარდა ჩვენ ფართოდ ვიყენებთ ცალკეულ ავტორთა ნაშრომებს - ჟამთაღმწერელი, ასწლოვანი მატიანე (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რევაზ კიკნაძემ, თბ., 1987), რომელიც ახლებურად წყვეტს ბევრ საკამათო საკითხს.

არჩილ ბაგრატიონი (1647-1713 წწ.) გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა, მოიცავს უაღრესად ზუსტ ცნობებს, პოლიტიკური მოვლენების შესახებ. მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ არჩილი თვით იყო მეფის ძე და შემდგომ მეფე; შესაძლებლობის ფარგლებში თვით ქმნიდა პოლიტიკურ კლიმატს; ჩახედული იყო პოლიტიკოსთა კულუარულ პროცესებში [20].

ფარსადან გორგიჯანიძის ნაშრომი, ისტორია..., გვაწვდის საინტერესო ცნობებს. ფარსადანი ირანში მოღვაწეობდა და ირანული პოლიტიკური ორიენტაციისა იყო. მას საქართველოს მომავალი ირანთან კავშირის გარეშე ვერ წარმოედგინა. განსაკუთრებით ზუსტია ფ.გორგიჯანიძის ის ცნობები, რომელიც ეხება XVII ს. 30-90-იანი წლების პოლიტიკურ პროცესებს - როგორც მონაწილის მიერ დანახული [66].

ვახტანგ VI-ის მიერ ბერი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით შექმნილმა "სწავლულ კაცთა" კომისიამ უმნიშვნელოვანესი საქმე გააკეთა და უაღრესად საინტერესო ცნობები დაგვიტოვა ქსანზე მიმდინარე რეალურ და სამეფო კარისთვის სასურველი პოლიტიკური მოვლენების შესახებ [77].

სეხნია ჩხეიძის ნაწარმოები, ცხოვრება მეფეთა, მოგვითხრობს 1653-1739 წლის ამბებს. უხვადაა მოცემული ისტორიული თარიღები და გამოირჩევა თხრობის ლაკონიურობით [234].



პაპუნა ორბელიანის "ამბავნი ქართლისანი" მოგვითხრობს 1739-1759 წლების ისტორიას. ფაქტობრივად, პაპუნა თხრობას იწყებს შანშე ქსნის ერისთავის მიერ 12 ათასი ლეკის ჯარის გადმოყვანით და ამთავრებს დავით ქსნის ერისთავის 1759 წლის წარმატებული ელჩობით იმერეთში [159].

ჩვენთვის საინტერესო საკითხის კვლევისათვის მეტად ძვირფას ცნობებს გვაწვდიან დოკუმენტები [205. 213]; "ვინაიდან, ისტორიული საბუთი საზოგადოების სოციალურ ცხოვრებას ასახავს, იგი ღირსშესანიშნავია იმით, რომ მის მიერ ასახული სოციალური სინამდვილე კონკრეტულია, კონკრეტულია საბუთის გამცემი და მიმღები, კონკრეტულია საბუთით დამყარებული მხარეთა უფლებრივი მდგომარეობა" [192, 65].

უაღრესად მნიშვნელოვანია ლარგვისში, ყანჩაეთში და საერთოდ ქსნის ხეობის კულტურულ-საგანმანათლებლო კერებში გადაწერილ საეკლესიო წიგნებზე გაკეთებული მინაწერები [167. 19-20, 204-205].

ფასდაუდებელია გიორგი ბრწყინვალის სამართალი [63], დასახელებული საკითხის კვლევისათვის, როგორც შესავალი ნაწილი, სადაც საუბარია გიორგი ბრწყინვალის მოგზაურობაზე ქსნის ხეობაში, ასევე თვით ძეგლის ძირითადი ნაწილი "§ 41/2 თავით ძუელითგან გაჩენილი არის ლომისის სამძღვარსა ზედა, ამიერი ჯადა-ცხაოტის მიმდგომი არის, და აგრევე გაჩენით იყოს" [63. 117]. როგორც ჩანს აქ დაფიქსირებულია ცხრაზმის საერისთავოს საზღვრის ერთი ნაწილი "ძეგლის დადების" დროისათვის.

ძალზე საინტერესო და ტევად მასალას იძლევა ცხრაზმის (ქსნის) საერისთავოს ტერიტორიაზე განფენილი არქიტექტურისა და ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლები [80-85; 232; 143-ა.], რომლებიც ცხოვრების უწყვეტ სურათს ასახავენ ადრეფეოდალური პერიოდიდან და მოგვითხრობენ სისხლსავსე პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ისტორიას.

მეტად მნიშვნელოვანი ცნობების შემცველია ფრესკული და ლაპიდარული წარწერები [116; 37; 47. 31-32. 37-38].

კონკრეტულად: მეჯუდის ხეობის ქვედა წელი - სოფ. ბიეთის ლაპიდარული წარწერა მოგვითხრობს - "ქრისტე, მეუფეო ყოველთაო, ადიდე ერისთავთ-ერისთავი იოვანე, ძე ბაკურ ყანჩაელისაჲ, უფალი და პატრონი ამის წმიდისა ეკლესიისა, დაიცევ წმიდაჲ მრემლი სამებისაჲ ყოველი" [116. 193]. წარწერა ბოლო გამომცემლის თანახმად X ს-ით თარიღდება და მოგვითხრობს მეჯუდის ხეობის ქვედა წელის ქსნელ დიდებულ იოანე ბაკურის ძე ყანჩაელისადმი დაქვემდებარებაზე; მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ მეჯუდის ხეობის ზემო წელი ეკუთვნოდა ცხრაზმის საერისთავოში (ე. ი. ქსნის ზედა წელი) მყოფ, ცხრაზმის მცირე ადმინისტრაციულ ერთეულის - ხევის ხელისუფალთ. აი ესეც: "სახელითა ღმრთისაითა, ესე ჴელი ჩუენ, ბერმან და გიორგი დავწერეთ, ოდეს კოსტანტი ქართლისა გამგებელი იყო, ჩუენ ცხრაზმის ჴევს ჴევისუფლად ვიყვენით. მას ჟამსა ავაგეთ წისქვილნი და ზემოჲ სახლი ერთი, სამსახური ჰკიდია ჱ (8. ვ. ღ.) კაცი" [116. 144].

ჩვენი აზრით, ორივე ეპიგრაფიკულ ძეგლში ყველაფერი ნათლად არის ნათქვამი. მეჯუდის ხეობა ვახუშტის თანახმად ორ სამეურნეო ზონად არის გაყოფილი [15. 367]. ჩვენივე მოსაზრებით, რომელიც გამომდინარეობს ამ ეპიგრაფიკული ძეგლიდან, მეჯუდის ხეობა ორ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულად არის გაყოფილი. მეჯუდის ქვედა წელს ფლობს ქსნელი დიდებული იოანე, ძე ბაკურ ყანჩაელისა, რომელიც შესაძლოა ქართლის ერისთავთ-ერისთავიც იყო, ხოლო მეჯუდის ზედა წელის გარკვეულ ტერიტორიას ფლობს ცხრაზმის საერისთავოში მყოფი, ცხრაზმის ხევისუფალნი. (ასეთი ხევი, მცირე ადმინისტრაციული ერთეული კი, VI ს. 70-80-იანი წლებიდან ცხრაზმაზე იყო შვიდი: ცხრაზმის, ქარჩოხის, ჟამურის, ისროლის, ქოლოთქვითკირის, ჭურთისა და საძეგურის). ცხრაზმის საერისთავოში მყოფი, ცხრაზმის ხევისუფალნი – ბერი და გიორგი



აშენებენ წისქვილს და "ზემოჲ" სახლს, სამსახურს აკისრებენ 8 კაცს, კონსტანტინეს გამგებლობის 923-926 წლებში და რატომღაც საჭიროდ არ თვლიან, (შეიძლება ადგილის სიმცირის გამო, ვინაიდან ეს ქვები წინასწარ იყო დამზადებული [37. 96-106]. (შესაძლოა სხვა მიზეზით) ტექსტში მოიხსენიონ ცხრაზმის ერისთავის სახელი. "ჩვენი გაგებით ცხრაზმის ჴევისუფალნი - ბერი და გიორგი ამ "ჴელს" უმტკიცებენ რომელიღაც ეკლესიას ცხრაზმის ხეობიდან" [30. 167-168]. ჩვენ ვეთანხმებით ნ.ბერძენიშვილის აზრს და დავძენთ - შესაძლოა ცხრაზმის ხევისუფალნი - ბერი და გიორგი თავიანთ მიერ აშენებულ წისქვილს და "ზემოი" სახლს და საკუთრებაში მყოფ 8 კაცს აძლევენ რომელიღაც ეკლესიას, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო საჭიროდ არ თვლიან დოკუმენტში, "ჴელში" დააფიქსირონ ცხრაზმის ერისთავის სახელი.

მინაწერი ქვაზე: "ქრისტე ადიდე ცისკარ. ამენ. ესე ჴელი მე, გიორგი დავწერე. ქრისტე, განმგებელი ორთავე ცხოვრებათაო, დააწესე სული ფარაისი წიაღთა აბრაჰამისთა, მიეც განსუენებაჲ უფალო. ქრისტე ადიდე მე" [116. 144].

ნიკო ბერძენიშვილი შენიშნავს: "გამომცემლის (იგულისხმება გ. ბოჭორიძე, ვ. ღ.) აზრით ეს მეორე საბუთი არის "მინაწერი იქნებ იმავე გვარის კაცის" მიერ. ჩვენ გამორიცხულად არც ის მიგვაჩნია, რომ ამ მეორე ჴელის დამწერი გიორგი, პირველ საბუთში მოხსენიებული ამავე სახელის მატარებელი პირი იყოს" [30. 168]. ე. ი. არ არის გამორიცხული, რომ საბუთში მოხსენიებული ხევისუფალნი გიორგი და მეორე საბუთში მოხსენიებული გიორგი ერთი და იგივე პირია. თუ ამ მსჯელობას განვავითარებთ ამ დოკუმენტის გამცემებში შესაძლოა დავინახოთ ჟურულთა გვარის წარმომადგენლები. მით უმეტეს, სახელი აბრაჰამ და გიორგი ამ აზრისკენ გვეწევა (ჟურულის შესახებ ქვემოთ).

ცხრაზმის ერისთავის სახელი მოხსენიებული არ არის ცხავატის მაცხოვრის ეკლესიის X ს. წარწერაში: "ქ. ხატო ღმრთაებისაო ადიდენ ერი ცხავატი და ინა კალატოზი ამ-

ენ. შეიწყალე ნაფენაჲ [116. 192; 47. 37]. როგორც წარწერიდან ჩანს ცხავატის ეკლესიის მაშენებელნი არიან "ერი ცხავატი", ე. ი. ცხავატელნი ეკონომიურად საკმაოდ დაწინაურებულნი ყოფილან. წარწერაში ერისთავის მოუხსენიებლობა არ უნდა გავიგოთ ამ პერიოდში ერისთავის არ ყოლაზე, "ერი ცხავატი" დამოუკიდებლად ერისთავისა, თავისი ხარჯით, შეწირულობის ხარჯზე, აშენებს ეკლესიას და აკეთებს შესაბამის წარწერას. არქიტექტურული თვალსაზრისით ეკლესია არის ერთგვარი ხალხური შემოქმედების ნიმუში, ეკლესიის მშენებელნი არიან სოფლის უბრალო კალატოზები, რომელთაც არ გააჩნიათ სახელმწიფოებრივი დაფინანსება, სამშენებლო მასალა, სათანადო სამშენებლო ცოდნა და სხვა [143-ა. 92-93]. ეს ყველაფერი აისახა კიდევაც ზემოთ მოყვანილ წარწერაში.

ჩემს მიერ ამავე ეკლესიის გალავნის ქვების გროვაში, დასავლეთით, ნაპოვნია ხუთსტრიქონიანი ასომთავრულწარწერიანი ქვის ფრაგმენტი.

წარწერა თანამედროვე მხედრულით ასე იკითხება:

1... (ღვ)თ(აე)ბ(ა)ო დაიცევ...

2. (ერ)ი ცხავატი და. (?)ებ

3. ე განძორი დიად

4.... (?) კ(?) ამე შ(ეიწყალ)ე

5... ორა

წარწერა არასრულია და ამდენად შინაარსი გაუგებარია, თუმცა ასოები იკითხება (ასომთავრულ წარწერიანი ქვის ფრაგმენტი ინახება ახალგორის მუზეუმ-ნაკრძალში - საინვენტარო №2289). წაკითხვაში გარკვეული დახმარება გაგვიწია აწ განსვენებულმა ბატონმა გ. აბრამიშვილმა). მიუხედავად იმისა, რომ ქსნის (ცხრაზმის) საერისთავოს ყოფილი ტერიტორია არქეოლოგიურად სუსტად არის შესწავლილი, აქ მოპოვებული მასალა არის მეტად მნიშვნელოვანი, მრავალმხრივი ინფორმაციის შემცველი და საინტერესო. "ოქრომჭედელმა, რომელიც გავარსით შემკულ ნივთებს აწარმოებს, შეიძლება იარსებოს მხოლოდ საწარმოო ძალების მაღალი განვითარების პირობებში, სოციალურად მაღალგანვითარებულ საზოგადოებაში, სადაც არსებობს, ერთი მხრივ, მოთხოვნილება ფუფუნების საგნებზე და მათი მომხმარებელი, ხოლო მეორე მხრივ, მატერიალური დოვლათის უშუალო მწარმოებლები, რომლებიც იძულებული არიან გამოკვებონ პირველნი" [38. 82]. ცოტა უფრო წინ - "საზოგადოება, სადაც შეიქმნა ახალგორის განძის შემადგენელი ნივთები, კლასობრივი საზოგადოებაა. ჩვენ აქ ვგულისხმობთ არა იმპორტულ ნივთებს, არამედ უპირველეს ყოვლისა, ახალგორის განძის ოქროს გავარსიან ნივთებს, რომელთა ადგილობრივი, ქართული წარმოშობა სრულიად უეჭველად მიგვაჩნია. კიდევ მეტი, თვით ქსნის ხეობის უშუალო სიახლოვეში საგულისხმებელია საოქრომჭედლო სახელოსნოს არსებობა" [38. 82], და ეს ყველაფერი, საზოგადოების ასეთი დიფერენციაცია, როგორც ქსნის ხეობის ქვედა წელზე - ყანჩაეთში, ასევე ზედა წელზე - საძეგურში, ძვ., წ. IV ს. შუა ხანისთვის" [39. 12]. აი რა საინტერესო და ყოველმხრივ მისაღები დასკვნები შეუძლია მოგვცეს არქეოლოგიურმა მასალამ, როცა ამ მასალას აანალიზებს კარგი სწავლული.

ბატონი ნიკო კეცხოველის ერთი ცნობილი გამონათქვამის პერეფრაზირებას თუ მოვიხმობთ, შეიძლება ვთქვათ: - მივცეთ რომელ უწარსულო ერსაც გნებავთ ახალგორის განძი და ამ ერს ისტორია ექნება.

ახალგორის განძი [189], ყანჩაეთის და ქვემო ალევის [9] არქეოლოგიური მონაპოვარი, ჩვენი ეროვნული სიამაყეა. არქეოლოგიური მონაცემები ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია და შეძლებისდაგვარად ვიყენებთ.

ასევე შეძლებისდაგვარად ვიყენებთ დოკუმენტებს, აქტებს, მოგზაურთა დაკვირვებებს [61; 62], მემუარული ხასიათის ჩანაწერებს და სხვა.

# გ. ისტორიოგრაფია

მიუხედავად მოკრძალებული მოცულობისა, "ძეგლი ერისთავთას" მეცნიერულ კვლევას, პოლიტიკური ისტორიის კურსით, საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველი გამომცემლები XIX ს-ის მეორე ნახევარში მ. ბროსე [37-ა] ფრანგულად, დედნის მიხედვით და თ. ჟორდანია გადანაწერი პირის მიხედვით [167. 1-30] ურთავდნენ "ძეგლს" თავის კომენტარებს, განმარტებებს პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური,... ისტორიის თვალსაზრისით. თ. ჟორდანია, ცხრაზმის საერისთავოში როსტომ ბიბილურის დამკვიდრებას VI საუკუნიდან ვარაუდობს. საყურადღებოა, მის მიერ შედგენილი ქსნის საერისთავოს ერისთავებისა და ერისთავთ-ერისთავების გენეოლოგიური ტაბულა [167. 26-30], სადაც თ. ჟორდანიას გამოყენებული აქვს სხვა უფრო გვიანდელი წყაროები. მიუხედავად ხანდაზმულობისა, (გამოცემულია 1897 წელს), თ. ჟორდანიას ბევრი მოსაზრება დღესაც არ კარგავს თავის სამეცნიერო ღირებულებას.

1943 წელს იროდიონ სურგულაძემ გამოაქვეყნა ნაშრომი - "ძეგლი ერისთავთა" და მისი მნიშვნელობა საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის ზოგიერთი საკითხისათვის" [191]. ნაშრომში ირ. სურგულაძე აღნიშნავს "ძეგლი ერისთავთას" სტრუქტურულ მსგავსებას სხვა მატიანეებთან, აქედან გამომდინარე, ივარაუდება მატიანეთა წერის გარკვეული სკოლის ქსნის ხეობაში არსებობა და სხვა. აღნიშნულ ნაშრომს, მიუხედავად იმისა, რომ იგი დაფუძნებულია თ.ჟორდანიას გამოცემაზე (არა დედანი) დღესაც არ დაუკარგავს მეცნიერული მნიშვნელობა.

"ძეგლი ერისთავთას" კვლევაში უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1954 წელს შ. მესხიას მიერ დედნის მიხედვით გაკეთებული გამოცემა, რომელსაც ფართოდ ვიყენებთ და რომელზედაც არის დაყრდნობილი ჩვენი მონოგრაფია. დიდად გვეხმარება შ. მესხიას კომენტარები და მის მიერ მოტანილი დამატებითი მასალა. შ. მესხია იმეორებს



აკადემიკოს ს. ჯანაშიას აზრს: "ამ შესანიშნავი ძეგლის, როგორც სოციალური ისტორიის დოკუმენტის, მნიშვნელობა სცილდება საქართველოს ფარგლებს" [236]. ე. ი. ეთანხმება მას. ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ "ძეგლი ერისთავთა", არა მარტო სოციალური, არამედ უპირველესად პოლიტიკური ისტორიის თვალსაზრისით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია, რომელიც მოგვითხრობს, სხვადასხვა მპყრობელი დიდი სახელმწიფოს გვერდით არსებულ პატარა სახელმწიფოს წინაშე მდგომ სირთულეებისა და იმ პოლიტიკური კატაკლიზმების შესახებ, რაც შეიძლება მოჰყვეს სახელმწიფოს ხელმძღვანელთა ნაჩქარევ გადაწყვეტილებას.

"ძეგლი ერისთავთა" საკმაოდ ტევადი მოცულობისაა. სწავლულთა გარკვეული რაოდენობა მუშაობდა და დღესაც მუშაობს "ძეგლზე". ამ მხრივ აღსანიშნავია: ივ.ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, დ. გვრიტიშვილი, ს. ნ. კაკაბაძე, ს. ს. კაკაბაძე, ირ. სურგულაძე, ვ. გამრეკელი, გ. მელიქიშვილი, ბ. ლომინაძე, ი. დოლიძე, გრ. ჯამბურია, ს. მაკალათია, ვ. ჯ. ითონიშვილი, ვ. ვ. ითონიშვილი, ჯ. გვასალია, გ. თოგოშვილი, დ. მუსხელიშვილი, რ. თოფჩიშვილი, ე. მეტრეველი, მ. ლორთქიფანიძე, მ. დუმბაძე, ჯ. ოდიშელი, დ. ნინიძე, ქ. ჩხატარაიშვილი, თ. ბერაძე, კ. ტაბატაძე, ე. ხოშტარია (ბროსე), გ. არახამია, გ. ალასანია, გ. ანჩაბაძე, ვ.კიკნაძე და სხვები.

აქ დასახელებულ ავტორთაგან ბევრს სპეციალური კვლევის საგნად არ გაუხდია "ძეგლი ერისთავთა". აღნიშნულიდან გამომდინარე, შევეცდები მოკლედ განვიხილო რამდენიმე სწავლულის მოსაზრება ქსნის (ცხრაზმის) საერისთავოს პოლიტიკური ისტორიის საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა კვლევის ძირითად ობიექტს წარმოადგენს "ძეგლი ერისთავთა".

ქსნის (ცხრაზმის) საერისთავოს პოლიტიკური ისტორიის კვლევას განსაკუთრებით დიდი ამაგი დასდო პროფესორმა დავით გვრიტიშვილმა 1955 წელს გამოცემული მონოგ-

რაფიით. ავტორი ქსნის ხეობაში საერისთავოს არსებობას ვარაუდობს ძვ. წ. III ს. დასაწყისიდან ცხრაზმის საერისთავოს სახელწოდებით, XVII ს-ის დასაწყისიდან ქსნის საერისთავოს სახელით. თავიდან ცხრაზმის საერისთავო შედიოდა ქართლის საერისთავოს შემადგენლობაში [55. 65-68], შემდგომ კი გარკვეულწილად მუხრან-ბატონის დაქვემდებარებაში [55. 358]. ჩვენ ვეთანხმებით დ. გვრიტიშვილის ძირითად მოსაზრებებს. აღსანიშნავია, რომ ქსნის საერისთავოს ისტორიის საკითხებს შემდგომ წლებშიც არაერთგზის დაუბრუნდა მკვლევარი [55. 59].

1957 წელს ვ. გამრეკელმა გამოაქვეყნა ნაშრომი [41], სადაც მეტად საინტერესოდ და დამაჯერებლად წარმოადგინა ქსნის (ცხრაზმის) ერისთავებისა და დვალების ურთიერთობა. ვირშელ III-ის ლაშქრობა დვალეთში, ავტორს მიაჩნია საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელთა მიერ მოწყობილ ლაშქრობად, ზურგის შემოსამტკიცებლად [41. 240], რასაც ჩვენც ვიზიარებთ და რაც სამწუხაროდ, შემდგომში აღარ გაიზიარეს [4. 87]. ასევე საინტერესო და მისაღებ დასკვნებს გვთავაზობს ვ. გამრეკელი სხვა ნაშრომებშიც [40-42].

1958 წელს გ. თოგოშვილმა გამოსცა მონოგრაფია [91], სადაც განიხილა საქართველოში ოსთა ჩამოსახლება. შეეხო ქსნის (ცხრაზმის) საერისთავოს წარმოშობას და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. გ. თოგოშვილი დარწმუნებულია ქსნის (ცხრაზმის) ერისთავების ოსურ ეთნიკურ წარმომავლობაზე და ამ ქვაკუთხედიდან განიხილავს ქსნის (ცხრაზმის) საერისთავოს პოლიტიკურ ისტორიას. განიხილავს ოსთა სამეფოს წარმოშობა-ჩამოყალიბების საკითხს IX-X სს. შემდეგ "ძეგლი ერისთავთას" მონაცემებს, რომ როსტომი იყო ოსთა სამეფო სახლის უმცროსი შტოს წარმომადგენელი, საქართველოს ისტორიაში ეძებს პერიოდს (X ს. შემდგომ), რომელ ისტორიულ ჭრილში უნდა ჩაჯდეს როსტომ ბიბილურის დამკვიდრება ცხრაზმაზე და ასკვნის: "არც ერთი დამადასტურებელი საბუთი იმისი, რომ XIII ს-



მდე ქსნის ერისთავები არსებობდნენ, არ მოიპოვება" [91. 215]. ჩვენ არ ვიზიარებთ გ. თოგოშვილის მოსაზრებას - "ოსები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ქსნის ერისთავებს, XIII ს. პირველ ნახევარში გადმოვიდნენ"-ო [91. 217].

გამომდინარე დღევანდელი ისტორიოგრაფიის მიღწევებიდან მიგვაჩნია, რომ ქსნის (ცხრაზმის) ერისთავების მიკუთვნება ოსთა სამეფო სახლისადმი არის ლეგენდა, ისეთივე, როგორიც ჰქონდათ საქართველოს ფეოდალთა თითქმის ყველა ძლიერ ოჯახს, მაგალითად, ორბელიანები მოსულან ჩინეთიდან, ამილახვრები - იტალიიდან, ციციშვილები - იერუსალიმიდან [75. 169-170]. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ლეგენდები ყოფილა გავრცელებული თვით ოსეთშიც [246. 529], (ამის შესახებ ქვემოთ). ამდენად, ქსნის (ცხრაზმის) ერისთავთა ოსი ეროვნებისადმი მიკუთვნება ორივე შემთხვევაში გამორიცხულია.

მეტად საინტერესოდ აქვს გააზრებული აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიის ბევრი საკითხი ჯუმბერ ოდიშელს [157] - პოლიტიკური ურთიერთობანი "პროვინციის მეფეებსა" და ქსნის (ცხრაზმის) ერისთავებს შორის. საერთოდ, ჯ. ოდიშელის ნაშრომები [149] გარკვეულ დახმარებას გვიწევს ქსნის (ცხრაზმის) საერისთავოს პოლიტიკური ისტორიის შესწავლაში, ქრონოლოგიის საკითხებში და სხვა.

1967 წელს გამოქვეყნდა ჯ. გვასალიას ნაშრომი - ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები [47]. ჯ. გვასალიამ დიდი შრომა გასწია, ბევრი საკითხი ახლებურად დასვა და წყაროთა ჩვენებებზე დაყრდნობით მართებულად გადაწყვიტა. აღსანიშნავია, რომ ბატონმა ჯონდომ ფეხით შემოიარა ქსნის ხეობა (სხვა ხეობათა მსგავსად), რამაც ხელი შეუწყო ადგილზე დაეფიქსირებინა და შემდგომ წყაროთა ჩვენებების ანალიზის და პირადი შთაბეჭდილებებიდან გამომდინარე ურთიერთშეჯერების გზით გაეკეთებინა შესაბამისი დასკვნები. გასაზიარებელია ბატონ ჯ. გვასალიას მოსაზრებანი ტოპონიმიკასთან, ისტორიულ გეოგრაფიის

ამა თუ იმ საკითხებთან მიმართებაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ შედგენილი რუკები, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობს. საერთოდ ბატონ ჯ. გვასალიას შრომები [45-53], გამოირჩევა დიდი ტევადობით, მეცნიერული პატიოსნებით და გულწრფელობით.

საქართველოს ისტორიის კვლევის საქმეში უაღრესად ფასეული, ვიტყოდი ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენა იყო საქართველოს ისტორიის ნარკვევების გამოცემა; ჩვენ განსაკუთრებით ფართოდ ვიყენებთ II, III და IV ტომებს [177; 178; 179].

ცხრაზმის (ქსნის) საერისთავოს ისტორიის კვლევის საქმეში წინგადაგმული ნაბიჯი იყო საურმაგ კაკაბაძის მიერ გამოცემული "ძეგლი ერისთავთა" (რუსულ ენაზე), სადაც ბევრი საკითხი თავისებურად იქნა ახსნილი და განმარტებული ავტორის მიერ. კერძოდ, ცხრაზმის საერისთავოში როსტომის გაერისთავების დროის შესახებ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით ს. ს. კაკაბაძე თვლის [160. 14-15], რომ როსტომ ბიბილურის გაერისთავება ცხრაზმაზე მოხდა IX-X სს. და გვთავაზობს შემდეგ არგუმენტებს: 1. არავითარი მონაცემი არ გვაქვს იმისა, რომ საქართველოს მთიანეთში ნაკლებმნიშვნელოვანი პროვინციის, ცხრაზმის საშინაო საქმეებში ასე აქტიურად ჩარეულიყო ბიზანტიის საიმპერატორო კარი და 2. "ძეგლი ერისთავთას" მიხედვით ცხრაზმის ერისთავობა როსტომს მიუბოძა ისტვინიანემ, ხოლო როსტომის სიკვდილის შემდეგ ცხრაზმის ერისთავად დასვა როსტომის შვილი ლარგუელი საქართველოს მეფემ დავით ბაგრატიონმა; ამიტომ ფიქრობს ს. ს. კაკაბაძე, ისტვინიანე უნდა იყოს საქართველოს რომელიმე მეფე, მით უმეტეს, რომ "ძეგლის" შემდგომი თხრობა მხოლოდ საქართველოს მეფეებს ეხება. (აქ ს. ს. კაკაბაძე უთითებს სარგის კაკაბაძეს, რომლის მოსაზრებითაც ისტვინიანე იყო აშოტ I, ტაო-კლარჯეთის მმართველი IX ს. დასაწყისში და რომელსაც ემორჩილებოდა ქართლი (შენიშვნა №30, გვ. 14-15).



ჩვენი დიდი პატივისცემის მიუხედავად, არ შეგვიძლია მკვლევარის აღნიშნული მოსაზრება გავიზიართო და აი რატომ?

1. იმ რთულ დროს - VI ს. 70-იან წლებში, როცა ბიზანტია საქართველოში დამკვიდრებისათვის გარკვეულ ოპერაციებს აწარმოებდა, საქართველოს მთიანეთი და კერძოდ ცხრაზმა, სულაც არ იყო ბიზანტიისათვის უმნიშვნელო პროვინცია. შედარებისთვის: ანალოგიური სიტუაცია იყო XIX ს. დასაწყისში, როცა რუსეთი გარკვეულ ღონისძიებებს ახორციელებდა საქართველოში დასამკვიდრებლად, ქსნის საერისთავოს "საშინაო" საკითხი რამდენჯერმე განიხილა რუსეთის საიმპერატორო კარმა. კერძოდ, 1802 წელს რუსეთის მთავრობამ განიხილა ქსნის საერისთავოს საშინაო საკითხები და საერისთავო დაუბრუნა ქსნის ერისთავებს [245. 152-154].

"1814 წლის 31 აგვისტოს კი გამოიცა იმპერატორის (რუსეთის, ვ. ღ.) ბრძანებულება ქსნის ერისთავთა მამულების ჩამორთმევის შესახებ" [245. 159]. თუმცა ეს ბრძანება ფაქტობრივად არ განხორციელებულა და სხვა.

ამდენად, რუსეთის საიმპერატორო კარი აქტიურად ერევა საქართველოს მთიანეთის ისეთ "უმნიშვნელო" მხარეში, როგორიც ქსნის საერისთავო იყო, ამიტომ, პატივცემულ ს.ს. კაკაბაძის ზემოაღნიშნულ პირველ არგუმენტაციას ვერ გავიზიარებთ. თუმცა, ბიზანტიის საიმპერატორო კარის იმ პერიოდის რაიმე დოკუმენტს როსტომ ბიბილურთან დაკავშირებით არ მოუღწევია. მაგრამ ვფიქრობთ, ანალოგიური ვითარება ნამდვილად იქნებოდა.

მკვლევარ შ. ხანთაძის აზრის გარკვეულ პერეფრაზირებას თუ გავაკეთებთ, მივიღებთ: VI ს. 70-იან წლებში ბიზანტიის ხელისუფლება საქართველოში თავის ხელისუფლების განმტკიცებაზე ზრუნავდა, მას საქართველოში ესაჭიროებოდა საიმედო დასაყრდენი ძალა, რასაც ბიზანტიური ორიენტაციის მქონე დიდებულებში ხედავდა, რომელთა აქტიურობითაც ახერხებდა თავის გავლენის განმტკიცებას

საქართველოში და უმეფობის პერიოდში (ამის შესახებ ქვემოთ) მათ აძლევდა დიდ სახელისუფლო თანამდებობებს.

და მეორე, ს. კაკაბაძის არგუმენტაციას ისტვინიანესთან დაკავშირებით ასევე ვერ გავიზიარებთ, ვინაიდან ამ საკითხს ქვემოთ ვრცლად ვეხებით (პირველი თავი), აქ აღარ გავიმეორებთ.

1980 წელს ე. ხოშტარია/ბროსემ დაბეჭდა ნაშრომი "ძეგლი ერისთავთას" ზოგიერთი რეალიის გაგებისათვის [247]. ნაშრომში განსაკუთრებით კარგადაა გაანალიზებული ისტორიოგრაფია. "დ. გვრიტიშვილი... საერისთავოს არსებობას ქსნის ხეობაში ადრიდანვე გულისხმობს, რომელიც თავიდანვე,... შედიოდა ქართლის საერისთავოს თუ საერისთავთ-ერისთავოს შემადგენლობაში.

შ. მესხიას თვალსაზრისით: "XIV საუკუნე ქსნის საერისთავოს ჩამოყალიბებისა და გაფორმების საუკუნეა". ამდენად, მკვლევარი "ძეგლში", კერძოდ კი დასაწყის ნაწილში გადმოცემულ ისტორიულ რეალიებს ამ ეპოქას განაკუთვნებს.

საურმაგ კაკაბაძე,... ძეგლის დასაწყისში მოთხრობილ ამბებს მიაკუთვნებს არა VI საუკუნეს (იუსტინიანეს ეპოქას), არამედ IX საუკუნეს, ვინაიდან მოხსენიებულ ადარნასეში და დავით ბაგრატიონში რეალურად ხედავს დავით კურაპალატსა და მის შვილს ადარნასეს.

ჯ. გვასალიას ძეგლის პირველ ნაწილში მოთხრობილი მოვლენები მიაჩნია ადრეფეოდალურ ხანაში "ცხრაზმისხევის აღზევების ანარეკლად" [247. 71-72].

თვითონ ბატონი ედიშერი "ძეგლი ერისთავთას" დასაწყისს მიაკუთვნებს "არაუადრეს XIII ს. მეორე ნახევრისა და XIV ს. დასაწყისის" [247. 84] მასალას.

მკვლევართა ნააზრევის გარკვეული ანალიზი მოგვცა ბატონმა ედიშერმა, რომლებმაც შემდგომ წლებში გამოსცეს ახალი ნაშრომები, რაც ბუნებრივია, არ შესულა დასახელებულ ნაშრომში; როგორც უკვე აღვნიშნეთ ჯ. გვასალიამ 1983 წელს გამოსცა მონოგრაფია, სადაც "ძეგლი ერისთავთას" დასაწყისისა და ქსნის საერისთავოს დაარსების შესახებ აღნიშნავს: "XIII ს. II ნახევრიდან ვადასტურებთ ქსნის (უფრო ზუსტად ცხრაზმისხევის) ერისთავს, რომელიც პოლიტიკურად მემკვიდრე იყო ადრეფეოდალური ხანის ცხრაზმისხევის ხევისუფლისა" [45. 63].

გ. ანჩაბაძე, 1987 წელს გამოცემულ ნაშრომში [4. 79-90] "ძეგლის" პირველ ნაწილთან დაკავშირებით აღნიშნავს: "ქვენიფნეველთა გაერისთავება, როგორც ჩანს, ხდება XIII ს-ის შუა ხანებში" [4-84].

გ. არახამია, 1988 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში ქსნის (ცხრაზმის) საერისთავოს წარმოშობის საკითხს ასე აღნიშნავს: "ცხრაზმის საერისთავოს წარმოშობა XIII ს. პირველი ნახევრით უნდა დათარიღდეს" [8. 21].

გ. არახამიას მონოგრაფია მეტად მნიშვნელოვან გამოკვლევად მიგვაჩნია, ამიტომ ყველაზე ფართოდ ვიყენებთ მას.

ზემოდასახელებულ და სხვა ავტორთა შრომები (ამის შესახებ ქვემოთ თავთავის ადგილას) ქსნის საერისთავოს პოლიტიკური ისტორიის საკითხებთან დაკავშირებით, ჩვენ დიდ დახმარებას გვიწევს, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ, ასევე დიდი მადლიერებით მივიღებთ ყველა დასაბუთებულ შენიშვნას და განსხვავებულ, არგუმენტირებულ მოსაზრებას.

# პირველი თავი

## §1. როსტომ ბიბილურის გაერისთავება VI ს-ის 70-იან წლებში

ქსნის ხეობის ზედა წელის, ცხრაზმის, ადრეული და შუა ფეოდალური ხანის ისტორიის შესასწავლად განსაკუთრებულ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს „ძეგლი ერისთავთა“ [236].

ქართულ ისტორიოგრაფიაში „ძეგლი ერისთავთას“ თავნაკლული დასაწყისის შესახებ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა [247. 69-73]... ჩვენის აზრით, ძეგლის აღნიშნული ნაწილი, ასახავს VI ს. 70-80 იანი წლების ქსნის ხეობის ზედა წელზე, ცხრაზმის საერისთავოში მიმდინარე რეალიებს, იმ პერიოდის სხვა წყაროებთან ერთად, საქართველო-ბიზანტია-ირანს შორის არსებულ პოლიტიკურ ვნებათაღელვის ნათელ სურათებს.

კერძოდ: 523 წელს გურგენ მეფემ, რომელსაც კავშირი ჰქონდა ბიზანტიის კეისართან და მისგან დახმარებას ელოდა, ირანელთა წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო. ბიზანტიელებმა სათანადო დახმარება ვერ გაუწიეს. ქართლის მეფე გურგენი დამარცხდა და თავი დასავლეთ საქართველოს შეაფარა. ირანმა ქართლში თავისი წარმომადგენელი - "მარზპანი" დანიშნა მმართველად. "მარზპანს" დიდი ძალაუფლება მიანიჭეს. ამდენად, ქართლში, ქართველთა მეფობა მოისპო და ირანელთა მმართველობა დამყარდა. „ქართლის მნიშვნელოვან ქალაქებში ირანელებმა ჯარები ჩააყენეს და ეს ქალაქები ირანელ ციხისთავებს დაუმორჩილეს“ [177. 247]. ირანელები აღმოსავლეთ საქართველოში თითქმის შეუზღუდველ ძალაუფლებას იგდებენ ხელთ. საერო ხელისუფლების მოპოვებასთან ერთად სპარსეთი ცდილობს, ქართლში ირანული წესების გავრცელება-დამკვიდრებას. ვინაიდან საქართველოს მთის მოსახლეობამ (მთის მოსახლეობისათვის დამახასიათებელია კონსერვატულობა) დიდხანს



შემოინახა წარმართობის ელემენტები, ამიტომ ქრისტიანულ რელიგიას უპირისპირებენ წარმართობას. ბიზანტიის გავლენის შესუსტებასთან ერთად ქრისტიანული რელიგიის პოზიციები სუსტდება, წინა პლანზე იწევს წარმართობა, რომელიც ნელ-ნელა ერწყმის მაზდიანობას - ცეცხლთაყვანისმცემლობას [9].

ბიზანტიელები განცდილ მარცხს გულგრილად არ შეხვედრიან და გარკვეული სამზადისის შემდეგ, 571 წელს ბიზანტიელთა უშუალო ხელშეწყობით სომხეთში ანტიირანულმა აჯანყებამ იფეთქა. ანტიირანული აჯანყების დროშა მალე ქართველებმაც ააფრიალეს. „აჯანყების თავკაცებმა კონსტანტინეპოლში მოციქულები აფრინეს და კეისარ იუსტინე II-ს (565-578 წწ.) მფარველობაში მიღება სთხოვეს.

კეისარი სომხეთისა და ქართლის მოციქულების თხოვნას კმაყოფილებით შეხვდა და მათ დახმარების ფიცი მისცა“ [177. 269].

მოვლენათა განვითარების ამ ფონზე სრულიად გასაგები ხდება „ძეგლი ერისთავთას“ თავნაკლული ტექსტის დასაწყისი „დასაფლავებისათჳს საფლავი მისცეს, ხოლო ერისთავობაჲ არავისი ინებეს, არამედ ეძიებდეს კაცსა ესევითარსა, რომელმანმცა პატივით იპყრნა და არა მძლავრობით და იგიმცა დაამკჳდრეს შუა ქუეყანასა მათსა. და მოსწრაფე იყუნეს ყოველნი შენებასა ლარგჳსისა დღითი-დღე ყოველნი ჴევნი“ [236. 344].

აჯანყებული ცხრაზმელები, როგორც კი უსწორდებიან სპარსული ორიენტაციის მოხელეებს, იწყებენ ცხრაზმის ერისთავად შესაფერისი (ბიზანტიური ორიენტაციის მქონე) პიროვნების ძიებას. ერთი „იგიმცა“ უფრო ღირსეული დაუმკვიდრებიათ ცხრაზმის საერისთავოს „შუა ქუეყანასა“, რომელსაც დიდი სამშენებლო საქმიანობა გაუჩაღებია ლარგვისში.

ქართლისათვის ბრძოლა ბიზანტიასა და ირანს შორის ფართოდ იშლება ქსნის ხეობაში.

ანტიირანული აჯანყება ქართლში საკმაოდ დიდხანს გაგრძელებულა „მას ჟამსა ცხრაზმისჴეველნი ბრძოლილ იყუნეს ციხესა გრუისისა ხუთ თუე“ [236. 344]. ამდენად, ბიზანტიური ორიენტაციის მქონე ცხრაზმისხევი აწარმოებს ხუთთვიან სამოქალაქო ომს - სპარსული ორიენტაციის მქონე გარეშემო ხევთან - გრუსთან. გრუელებთან ხუთთვიანი ბრძოლის დასასრულს "დიდად მოუძლურებულნი და დაკოდილნი ცხრაზმისჴეველნი“ [236. 344] ბრუნდებიან უკან - ცხრაზმაზე.

ამ პერიოდისათვის ცხრაზმელები იღებენ სამხედრო შევსებას, - ახალ ძალებს, „მაშინ მივიდა როსტომ ძმითა და სამოცდაათითა მონითა და წარუძღუა წინა ვითარცა ლომი,... და მივიდა იგი და ყოველი ლაშქარი ციხესა მას და ბრძოლა უყვეს ბრძოლითა სასტიკითა, რომელ არაოდეს ეხილვა ეგევითარი. და მას დღე აიღეს ციხე ზემოჲ და გამაგრდეს გრუელნი ორსა მას ციხესა ქვემოსა და ყვეს ზავი. და მას ღამესა შევიდა როსტომ და წაუღო ორივე ციხე. და ვითარცა განთენდა, დააქცივნეს ციხენი იგი ყოვლით ზღუდით და ნაშენებითურთ მისით“ [236. 345].

დამხმარე ძალების მიღების შემდეგ ცხრაზმელები ბრწყინვალე გამარჯვებას მოიპოვებენ სპარსული ორიენტაციის მქონე გრუელებზე.

„აჯანყებულებს, ბიზანტიელების დახმარებით, ჩანს წარმატებისათვის მიუღწევიათ. 576 წლისათვის ბიზანტიელი ისტორიკოსი მენანდრე პროტიქტორი მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე ამიერკავკასიას რომაელთა მიწაწყლად თვლიდა“ [177. 269].

ამდენად, ქართლისათვის ხუთთვიანი აქტიური ბრძოლა ქსნის ხეობაში ბიზანტიასა და ირანს შორის ბიზანტიელთა გამარჯვებით მთავრდება.

მოპოვებული გამარჯვების შემდეგ, „თქუეს ყოველთა ცხრაზმისჴეველთა: არა განვიშოროთ ჩუენგან ამიერთაგან კაცი ესე, გოლიათი, არამედ უყოთ ყოველი, რაიცა უნდეს მას. მაშინ ჰრქუა მამასახლისმან ლარგჳსისამან ხუციანდაბისძემან: უკუეთუ გნებავს მკჳდრყოფაჲ ქუეყანასა ამას, ითხოვე საფლავი მონასტერსა ამას, რამეთუ ყოველთა დიდებულთა და აზნაურთა საფლავი აქა არს და სოფელნი ესე, რომელნი ღმრთივ გჳრგჳნოსნისა ისტჳნიანე აღმაშენებლისაგან შემოწირულ არიან, იყო წინამძღვარ მათდა, თუ ღმერთსა უნდეს.

მაშინ ჰრქუა როსტომ. მე მოვითხოვო ყოვლისა ამის ერისაგან, გარნა შენ შემიქმენ მარჯუენით კერძო საკურთხევლისა ადგილსა უმჯობესსა და იყოს ღმერთი შუა ჩემსა და შენსა და შუა ნათესავისა შენისა და ჩემისა, რომელ პატივი და ჴელი შენი, რომელი მეფეთაგან მოცემულ არს, არა შეეცვალოს ნათესავსა შენსა უკუე და რომელი სჯობდეს საქმედ ჩემდა, მეტყოდი მე. მაშინ ჰრქუა გუგაკ: მე თავი ჩემი დავდვა ერთგულებით მსახურებად შენდა და ღმერთმან წარგიმართოს უმჯობესი ყოველი.

მაშინ ჰრქუა ყოველმან ერმან როსტომს: რაჲ გნებავს, რაჲთა ვყოთ შენთჳს. ხოლო მან მოითხოვა საფლავი ლარგჳსს და საჯდომად სახლი შუა საყდრის შვილთა და ცხრაზმას ციხისთავისა ნაქონები მამული, და მისცეს ესე ყოველი ცხრაზმისჴეველთა შუა ცხრაზმას ციხისთავისა ნაქონებნი სოფელნი და ქუეყანანი, საფლავი ლარგჳსს და საჯდომი ქუენიფნევს და უწოდნეს ქუენიფნეველნი, რამეთუ სხუაჲ სახელი არა ინებეს“ [236. 345].

ეს ვრცელი ამონაწერი ჩვენ მოვიტანეთ რამდენიმე დასკვნის გასაკეთებლად:

1. ცხრაზმისხეველთათვის სრულიად უცხო პიროვნებამ - როსტომმა შესძლო, რომ თვით „ყოველთა ცხრაზმისჴეველთა“ (თანამედროვე ტერმინით - ერთგვარი წარმომადგენლობითი ორგანო) სთხოვეს დარჩენა ცხრაზმისხევში.

2. როსტომი მოითხოვს: დაუმკვიდრონ „საფლავი“ ლარგვისში, სახლი „შუა საყდრისშვილთა“ [248. 113-127: 53] და „ცხრაზმას ციხისთავისა ნაქონები მამული“.

3. ცხრაზმისხეველებმა როსტომს მისცეს „ესე ყოველი... შუა ცხრაზმას ციხისთავისა ნაქონებნი სოფელნი და ქუე-

ყანანი (ე. ი. სამოხელეო. ვ. ღ.) საფლავი ლარგუსს და სა-ჯდომი ქუენიფნევს“.

ამასთან საყურადღებოა ერთი გარემოება - ცხრაზმის ციხისთავის მამულები, რომლებიც, როგორც ჩანს, ცხრაზ-მელებმა ციხისთავის მემკვიდრეებს არ (ან ვერ) წაართვეს, თუმცა სამოხელეო ჩამოართვეს. რის შემდგომაც როსტომი იწყებს გაცხოველებულ მშენებლობას „დიდ-დიდი „სახლე-ბისას და ციხეებისას,“ და უკეთუ სადა იყვის ლაშქრობაჲ“ [236. 345], როსტომი და მისი თანამდგომნი ყოფილან წინამ-ძღოლნი ცხრაზმისხეველთა.

სავარაუდოა, რომ ბიზანტიური გავლენის გავრცობისათ-ვის ბრძოლებს ფართო ხასიათი მიუღია და ამ ბრძოლებში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ცხრაზმელები როსტ-ომ ბიბილურის ხელმძღვანელობით. როსტომი არაჩვეულებ-რივი მებრძოლი ყოფილა, რის შესახებაც რამდენჯერმე აღნიშნავს მემატიანე.

როსტომმა შესძლო, თანამედროვე ტერმინი, რომ ვიხმა-როთ, ცხრაზმელთა წარმომადგენლობითი ორგანოსაგან მიეღო გარკვეული რწმუნება, რომ როგორც „წურილ ერს“, ასევე დიდებულებსა და აზნაურებს ის წარედგინათ იუს-ტინე კეისართან დასამტკიცებლად, როგორც ცხრაზმის სა-ერისთავოს ერისთავი და ბიზანტიური პოლიტიკის ერთგუ-ლი გამტარებელი.

ცხრაზმელთა თხოვნას ელიან - „ბიზანტიის იმპერატორ-მა მიუბოძნა შუდნი ესე ჴევნი, განსაგებელნი ეკლესიისანი და ყოველნი აზნაურნი მკუდრნი მას შინა და უწოდა ერის-თავ ცხრაზმისჴევისა. და შემოსა სამოსლითა მით რომელ ემოსა მაშინ მეფესა, და შეაცუა ბეჭედი და საყურე და სა-რტყელი თუსი, საჭურველი და ცხენი თორნოსანი, დროშაჲ და შუბი“ [236. 346].

ცხრაზმის საერისთავოში როსტომ ბიბილურის გაერის-თავების საკითხი, „ძეგლი ერისთავთას“ მიხედვით ბიზან-ტიის კეისრის დონეზეა გადაწყვეტილი, რასაც ბევრი ის-



ტორიკოსი ეჭვით უყურებს, [8. 82]. თუმცა, ჩვენი აზრით, საეჭვო არაფერია.

ჯუანშერი მოგვითხრობს: გუარამმა „ერისთავნი ქართ-ლისანი ვერ სცვალნა საერისთვოთაგან მათთა, რამეთუ სპარსთა მეფისაგან და ბერძენთა მეფისაგან ჰქონდეს სიგე-ლნი მკუდრობისათჳს საერისთვოთა მათთა“ [201-221]. (ხაზი ჩემია - ვ. ღ.).

ამდენად, ქართლის ცხოვრების თანახმად, ქართლის ერისთავთაგან ზოგს ერისთავობა მკვიდრად მიღებული ჰქონდა „სპარსთა მეფისაგან“ და ზოგს კი „ბერძენთა მე-ფისაგან“.

რა ქრონოლოგიურ ჩარჩოში თავსდება მომხდარი ამბე-ბი.

571 წელს დაიწყო დიდი ანტიირანული აჯანყება და 576 წლისთვის მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორია (მდ. ქსნის ხეობის ჩათვლით) ბიზანტიის გავლენის სფერო-შია მოქცეული; ეს ერთი, მეორე - ბიზანტიის იმპერატორი იუსტინე II-ე იმპერიას განაგებდა 565-578 წლებში. ე. ი. ცხრაზმელებს იუსტინესათვის როსტომის ერისთავად დამ-ტკიცება უნდა ეთხოვათ 571-576 წლებს შორის. უფრო ზუ-სტად, იუსტინე II-ეს როსტომი უნდა დაემტკიცებინა ცხრა-ზმის ერისთავად, სანამ ქართლის ერისმთავარი გახდებო-და გუარამი (როსტომი ცხრაზმის ერისთავად დასამტკიცე-ბლად გუარამს არ წარუდგენია) ე. ი. როსტომ ბიბილურს ცხრაზმის ერისთავად ბიზანტიის იმპერატორი იუსტინე II-ე ამტკიცებს 571 წლის ახლო ხანებში.

რა ტერიტორიებს მოიცავდა VI ს. 70-იან წლებში ცხრა-ზმის საერისთავო?

„მაშინ მიუბოძნა (იუსტინე II-მ. ვ. ღ.) შუდნი ესე ჴევნი განსაგებელნი ეკლესიისანი და ყოველნი აზნაურნი მკუდრნი მას შინა და უწოდა ერისთავ ცხრაზმისჴევისა“ [236. 346].

ამდენად, იუსტინე II-მ როსტომ ბიბილური დაამტკიცა ცხრაზმის ერისთავად და გადასცა სახელისუფლოდ და

სამემკვიდროდ ცხრაზმის საერისთავოს შვიდი სახევისთავო - ცხრაზმის, ქარჩოხის, ჟამურის, ისროლის, ქოლოთქვითკირის, ჭურთისა და საძეგურის [222. 44].

ერისთავად დამტკიცების შემდეგ როსტომი დიდ სააღმშენებლო საქმიანობას ეწევა. „აღაშენა ქალაქი ლარგუსს და განასრულა და შეამკო ყოვლითურთ ეკლესიაჲ“ [236. 346].

როსტომის შემდგომ ცხრაზმის ერისთავი ხდება მისი შვილი ლარგუელი, რომლისთვისაც მეფეს მიუცია ერისთავთ-ერისთავობა და შესაბამისად გაუზრდია სახელისუფლო ტერიტორია.

როსტომის შემდგომ ცხრაზმის ერისთავები ცდილობენ ნაწყალობევი გადააქციონ სამკვიდროდ და წარმატებასაც აღწევენ. "ფეოდალი (ერისთავი) სულ იმის ცდაშია, რათა ნაწყალობევი სამკვიდროდ აქციოს. მეფე სულ იმის ცდაშია, რათა სამკვიდრო ნაწყალობევად აქციოს" [33. 141]. VII ს. დამდეგისათვის, ჯუანშერის მიხედვით "ერისთავნი იგი თჳს-თჳსსა საერისთაოსა შინა მკჳდრობდეს შეუცვალებლად" [201. 226].

ლარგუელის შემდეგ ცხრაზმის ერისთავი ხდება მისი შვილი დიმიტრი.

ძეგლი ერისთავთას ავტორი აქ სწყვეტს გაბმულ თხრობას „და გარდაიცვალნეს მეფენი: კ ვ: ნი /26. ნი ვ. ღ. / და ერისთავნი: კ დ:ნ ი. /24 ნი ვ. ღ. /და წელიწადნი არა მცირედნი“ [236. 347].

ამდენად, ძეგლი ერისთავთას თავნაკლულ დასაწყისში გადმოცემული ამბები ასახავს VI ს. 70-80-იანი წლების ქსნის ხეობის ზედა წელზე ცხრაზმის საერისთავოში მიმდინარე მოვლენებს, და წარმოადგენს იმ პერიოდის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებათა ანარეკლს.



## §2. ქსნის ხეობა XIII ს. 90-იან წლებამდე

ძეგლ ერისთავთაში აღწერილი ამბები, ნათლად მეტყველებს, ქსნის ხეობის მთის დაწინაურებაზე ბართან შედარებით VI ს. 70-80 -იან წლებში. შემდგომში, როგორც ჩანს, ტენდენციები იცვლება და უკვე ბარის - ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ქსნის ხევი დომინირებს მთაზე. ადრეფეოდალურ პერიოდში ქსანზე შენდება არქიტექტურული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ნიმუშები. კერძოდ, სოფლებში მოსაბრუნთან (მაშინ უნდა რქმეოდა თავღორიანი, იხ. ვ. ღუნაშვილი, ნარკვევები ქსნის ხეობის წარსულიდან I, პუბლიკაციები, გვ. 152-156) ღვთისმშობლის ეკლესია; წირქოლთან ეპოქალური მნიშვნელობის (გ.ჩუბინაშვილი) ღვთისმშობლის ეკლესია; არმაზის წმინდა გიორგის 864 წ. ეკლესია. ეს ორივე ეკლესია - წირქოლი და არმაზი - ძალიან ახლოს დგას, მხატვრული გაფორმებით, კახეთის კერძოდ, გურჯაანის ყველაწმინდასთან და ვაჩნაძიანის ყველაწმინდასთან და თარიღდება ასევე VIII-IX საუკუნეებით [24.41]; დოლიანთში აღშადის წმინდა გიორგის ეკლესია; იკოთში წმ. გიორგის ეკლესია; ყანჩაეთში კაბენის ღვთისმშობლის ეკლესია; ალევში სამების ეკლესია; კორინთაში ღვთისმშობლის და კვირაცხოვლის ეკლესიები; გრუში წმ. გიორგის; გდუში სამების ეკლესია; გეზევრეთში წმ. გიორგის ეკლესია; საძეგურში წმ. გიორგის ეკლესია; გავაზთან წმ. ბარბარეს ეკლესია, კოშკი და სამეურნეო დანიშნულების სხვა ნაგებობები; დორეთკარის მიდამოებში წინკიბის ანსამბლი (დღეს ადგილობრივი მოსახლეობა ციხისკარს უწოდებს); ცხავატში ღვთისმშობლის ეკლესია; დადიანეთში წმ. გიორგის ეკლესია - ანსამბლი; ჟამურში ალავერდის სამონასტრო კომპლექსი და სხვა.

ცხრაზმის საერისთავოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ, VI საუკუნის 80-იან წლებიდან ვიდრე XIII ს. 90-იან წლებამდე, ძეგლი ერისთავთაში

არაფერია მოთხრობილი. მატიანე ქართლისაც ძალზე მწირ ცნობებს გვაწვდის მდ. ქსნის აუზში მიმდინარე პოლიტიკური კატაკლიზმების შესახებ. კერძოდ, ცნობილია, რომ VIII ს. ბოლოს და IX ს. დასაწყისში ერთიანი საქართველოს ნანგრევებზე ჩამოყალიბდა რამდენიმე სამთავრო, რომლებიც ერთმანეთს ებრძოდნენ და ერთმანეთის ტერიტორიის მიტაცების ხარჯზე ცდილობდნენ გაძლიერებას.

მდინარე ქსნის მიმდებარე ტერიტორიის მიტაცებას ერთმანეთს ეცილებოდნენ აფხაზეთის სამთავრო, რომლის შემადგენლობაშიც იყო ქართლი და კახეთის სამთავრო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ხშირად იცვლებოდა სასაზღვრო ზოლი. კახეთის მთავარ გრიგოლსა (787-827 წწ.) და აშოტ კურაპალატს შორის მოხდა ქსანზე ბრძოლა, "შეიბნეს ქსანსა ზედა აშოტ და გრიგოლ. გააქციეს გრიგოლ მთავარი კახეთისა და დაიპყრეს ქვეყანა რომელი ჰქონდა ქართლისაგან და დაიპყრა აშოტ კლარჯეთითგან ვიდრე ქსნამდე" [201. 252-253].

მემატიანე არ გვიკონკრეტებს "ქსნის" რა ტერიტორიები ჰქონდა გრიგოლ კახეთის მთავარს და ამ ბრძოლის შემდგომ რა ტერიტორიები დაკარგა. "გააქციეს გრიგოლ მთავარი კახეთისა და დაიპყრეს ქვეყანა, რომელი ჰქონდა ქართლისაგან". ირკვევა, რომ ადმინისტრაციული ერთეული ქსნის ხევი ადრეც კახეთს ეკუთვნოდა და ახლაც კახეთის დაქვემდებარებაში დარჩა. "და დაიპყრა აშოტ კლარჯეთითგან ვიდრე ქსნამდე".

X საუკუნის დასაწყისში კახეთის მთავარი ფადლა II (918-929 წწ.) ქსან-არაგვის გამყოფ ალევის ქედზე, ლორწომის კლდეზე აგებს ციხეს. "დაჯდა ქორეპისკოპოსად ფადლა, ძე კვირიკესი: ამან აღაგო ციხე ლოწობანთა" [201. 265]. დღეს ამ ციხის მხოლოდ მცირე ნანგრევია შემორჩენილი, ლორწომის კლდის დასავლეთ ნაწილში. ციხიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით სამების მთის წვერზე არის აღმართული ალევის სამების VIII-IX



საუკუნეების ეკლესია (ნ. ჩუბინაშვილი, პირად საუბარში ეკლესიას VII ს-ით ათარიღებს - ვ. ღ.).

X საუკუნის 30-იან წლებში ლოწობნის ციხე კვლავ კახეთის სამთავროს შემადგენლობაშია. ქართლის ლაშქარი კახეთს არბევს "ეუფლნეს სხუათაც ციხეთა კახეთისათა თჳნიერ სამთა ციხეთა: ნახჭევანისა, ბოჭორმისა და ლოწობანთა" [201. 268]. მიუხედავად იმისა, რომ ლოწობნის ციხე კახეთის ხელისუფლებამ შეინარჩუნა, აქ განვითარებული მოვლენები გვაფიქრებინებს, რომ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, ქსნის ხევი, ქართლის ხელისუფალთა ხელში უნდა გადმოსულიყო. "ლოწობანი ჰქონდეს ივანე არშის ძესა, და გამაგრდა შიგან, გაწირა პატრონი, აუგეს შურის ციხე და დააყენნეს შიგან ლაშქარნი" [201. 268]. ქსნის ხევი რომ კვლავ კახეთის ხელისუფალთა ხელში ყოფილიყო, ქართლის მმართველნი ლოწობნის ციხის ახლოს შურის-ციხეს ვერ ააგებდნენ. ქსნის ხევი ქართლის ხელისუფალთა დაქვემდებარებაში დიდხანს არ ყოფილა. სავარაუდოა, რომ ქართლის ხელისუფლებამ ქსნის ხევის დიდებულნი მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა, რასაც ქსნელი დიდებულების აჯანყება და ქსნის ხევის კახეთის სამთავროს დაქვემდებარებაში გადასვლა მოჰყვა.

"მაშინ შეეზრახნეს აზნაურნი ქართველნი და მათ თანაკახნი: გოდერძი მგდეური (გდუელი - ვ.ღ.), მამა ყანჩაელი, დაჩი კორინთელი, დაჩი და ივანე სხჳლოსელნი, სარა და გრიგოლ ძმანი ფხუენელნი, და მათ თანა ორმოცდაათი აზნაური სხუა, და მიერთნეს კჳრიკეს. დაუწყეს ბრძოლად ციხეთა, და მცირედთა დღეთა წარიხუნეს ციხენი ყოველნი; დაარღჳვნეს შურის-ციხე და ლოწობანთა, და კუალად ეუფლა კჳრიკე მამულსა თჳსსა" [201. 263]. როგორც ჩანს, ქართლის ხელისუფალთა საწინააღმდეგო მოძრაობას საკმაოდ დიდი მასშტაბები მიუღია, რადგან 57 დიდ აზნაურს მიუღია ამ გამოსვლაში

მონაწილეობა. ეს კი კარგი ორგანიზების გარეშე არ მოხდებოდა.

ტერიტორიების მიტაცებისათვის ბრძოლა ქართლის ხელისუფლებასა და კახეთის მთავრებს შორის შემდგომ წლებშიც გრძელდებოდა ცვალებადი წარმატებით. 975 წ. დაიდო ზავი კახეთის მთავარ კვირიკე II და აფხაზეთის მეფე დავით კურაპალატს შორის. ზავის თანახმად კახელებმა უფლისციხესთან ბრძოლაში დატყვევებული მეფე გურგენი, დედოფალი გურანდუხტი და უფლისწული ბაგრატი გაათავისუფლეს და დაუბრუნეს ქართლის დაპყრობილი ტერიტორიები.

"ხოლო წირქუალის ციხე და გრუი თვით დაიჭირეს" [201. 275]. ე.ი. ქსნის ხევი კვლავ კახეთის სამთავროს შემადგენლობაში დარჩა.

ქართლისათვის ბრძოლა კახეთის მთავრებსა და აფხაზეთის მთავრებს შორის, როგორც ამას ბატონი ჯონდო გვასალია აღნიშნავდა, ძირითადად ქსანზედ მიმდინარეობდა. 1008 წელს ბაგრატ III-მ კახეთის მთავარ დავით ქორეპისკოპოსს მოსთხოვა - "ითხოვა ციხენი ქართლისანი" [201. 278]. ბუნებრივია ციხეების გარშემო ტერიტორიებით. მატიანის თანახმად, კახეთის მთავარმა ასეთი პასუხი გაუგზავნა - "უკეთუ ეძიებ ციხეთა, იყოს ჩვენ შორის დამაჯერებელი მკლავი და ომი. ხოლო მე წინ მოგეგებო ქსანსა ზედ" [201. 278]. ბრძოლა ბაგრატ III და დავით ქორეპისკოპოსს შორის მოხდა თიანეთში და ბაგრატ III-ის გამარჯვებით დამთავრდა, თუმცა, ამ ბრძოლის შემდგომ ქსნის ხევი არ გადასულა ბაგრატ III დაქვემდებარებაში.

1010 წელს ბაგრატ III კვლავ აწყობს ლაშქრობას კახეთში "ორ წელ წარიხუნა ყოველნი ციხენი კახეთისანი ... დაიპყრა სრულიად ჰერეთი და კახეთი" [201. 279]. ამდენად, 1011 წლისთვის ქსნის ხევი ქართლის მმართველთა ხელში გადასულა.



კახეთის შემდგომმა მმართველმა კვირიკე III დიდმა (1010-1037 წწ) კვლავ შესძლო კახეთის სამთავროს დამოუკიდებლობის აღდგენა.

ლოწობნის ციხე კვლავ მოქმედ ციხედ მოჩანს გიორგი II ზეობაში. 1073 წ. გიორგი II-ეს დიდებულები განუდგნენ, ივანე ლიპარიტის ძემ "მოირთნა კახნი და დადგა ქსნის პირსა" [201. 316]. გიორგიმ მშვიდობიანად, საჩუქრებით შემოირიგა გაორგულებული დიდებულები. "ხოლო გიორგი მეფემან, ... უბოძა ივანეს სამშჳლდე და ძესა ივანესსა ლიპარიტს მისცა ლოწობანნი ნაცვლად რუსთავისა, რომელი მიეცა კახთა ..." [201. 316]. მალე დიდებულები კვლავ განუდგნენ. მეფე გიორგიმ ახლა უკვე ძალით სცადა ურჩთა დამორჩილება, შემოიერთა მესხთა ლაშქარი და კახთა მეფე აღსართანი. სამხედრო ძალის დემონსტრირებამ შედეგი გამოიღო. შეშინდნენ სეპარატისტები და გაიფანტნენ. "წაიხუნა ლოწობანნი ლიპარიტისაგან აღსართან" [201. 316]. კახთა მეფის აღსართანის მიერ ლოწობანის დაბრუნების შემდგომ, საზღვარი კახეთის სამთავროსა და ქართლს შორის კვლავ ქსნის ხევზე გადიოდა. 1103 წლამდე ანუ დავით აღმაშენებლის მიერ კახეთის შემოერთებამდე [145. 131].

განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის დროს ქსნის ხევის ადმინისტრაციულ ერთეულში და ცხრაზმის საერისთავოს სოფლებში: მოსაბრუნში - შენდება ღვთისმშობლის მეორე ეკლესია, ნაგომევში - თიჯვარი (ალბათ იყო მთის ჯვარი. დღესასწაულს მუდმივი რიცხვი არა აქვს, დაკავშირებულია მთვარის კულტთან). აქვე, ხოფასთან XIII ს. პირველ მეოთხედში შენდება იოანე ნათლისმცემლის სახელობის დიდებული სამონასტრო ანსამბლი; ძეგლევში - ეკლესია წმ.ბარბარეს სახელობის (ვრცლად იხილეთ, ვ. ღუნაშვილი, ნარკვევები ქსნის ხეობის წარსულიდან I. პუბლიკაციები, 1997 წ. გვ. 141-144); ყანჩაეთში ფართომასშტაბიან სამუშაოებს უტარებენ კაბენის ღვთისმშობლის ეკლესიას; გადაკეთებითი

სამუშაოები უტარდება დოლიანის ახშადის წმ. გიორგის ეკლესიას; წირქოლში აგებენ წმ. მარინეს ეკლესიას; ქვემო ალევში ღვთისმშობლის ეკლესიას; შუა ალევში ასევე ღვთისმშობლის ეკლესიას; ნახიდში ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიას; ცხავატში მაცხოვრის სახელობის ეკლესიას; დადიანეთში - სამების; ზოდეხში წმინდა გიორგის; მარტიაანთში წმ. გიორგის; მახიარეთში სამონასტრო კომპლექსს; ჩიტიანთში ყველაწმინდის ეკლესიას; ჟამურში შენდება მნიშვნელოვანი მხატვრული ღირებულების მქონე ეკლესია-მონასტრები.

ეკლესია-მონასტრების შენება-გადაკეთების პარალელურად შენდება ციხე-კოშკები. ზემოთ უკვე არაერთგზის ნახსენები წირქოლის ციხე, როგორც ჩანს, თავიდან ზურგიანი კოშკი იყო. შემდგომ განიცადა მრავალჯერადი გადაკეთება და მიიღო ერთ-ერთი მძლავრი ციხე-სიმაგრის სახე (წირქოლის ციხეს ქვემოთაც მრავალჯერ შევეხებით). თითქმის ასეთივე ტრანსფორმაცია განიცადა ქარჩოხის ციხემაც. თავიდან აშენდა, როგორც ზურგიანი კოშკი, შემდგომში მიუშენეს გალავანი, გალავნის შიგნით საცხოვრისი, სამეურნეო დანიშნულების სხვადასხვა ნაგებობანი და მეტად ორიგინალური ეკლესია - ადგილის სივიწროვიდან გამომდინარე; ჭურთის ხევში - წინკიბეს კომპლექსი - ზურგიანი კოშკი, სასახლე, ეკლესია, მძლავრი გალავნით. ამავე ხეობაში - ხოხაანთ ციხე - ზურგიანი კოშკი, საცხოვრისი, ეკლესია, გალავანი. მდ. ალეურას ხეობაში - ციხის სოფელი, ზურგიანი კოშკი, საცხოვრისი, ეკლესია, გალავანი.

აღსანიშნავია, რომ ქსნის ხეობაში გადმომავალ მნიშვნელოვან გზა-ბილიკებთან მძლავრი ციხე-სიმაგრეებია აღმართული. დანარჩენ სოფლებში კი ზურგიან კოშკებს ტრანსფორმაცია არ განუცდიათ. ზურგიანი კოშკები შემორჩენილია ქარჩოხში: ლომისის ხევში (რამდენიმე) და ს. კვერიეთთან; ჟამურში: ს. ჩიგოიანთში (რამდენიმე), ს.თოგოიათში და ს. კორაში; ცხავატში შხამურის და



ბარბარეს; ჭურთაზე - ს. ველურასთან, ს. გავაზთან; ცხრაზმაზე - ს. მახიარეთთან და ს. უკანუბანში; ალეურას ხებაში - ს. მამულაანთში. იხ. პ. ზაქარაია, ქსნის ხეობის ციხე-სიმაგრეები [84] და [85] და სხვა.

ქსნის ხეობის ქვედა წელზე არსებული ადმინისტრაციული ერთეული - ქსნის ხევი, ადრე ფეოდალური და განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის დროს ძირითადად შედიოდა კახეთის სამთავროს შემადგენლობაში. ამავე პერიოდში კახეთის სამთავროს შემადგენლობაშია საგულვებელი ცხრაზმის საერისთავო. სხვა შემთხვევაში მათ შორის (ქსნის ხეველებსა და ცხრაზმის საერისთავოში მცხოვრებლებს შორის) ბრძოლები აუცილებლად იქნებოდა, რაც ჩვენს ხელთ არსებულ წყაროებში არ ჩანს. ცხრაზმის საერისთავო რომ ქსნის ხევთან ერთად შედიოდა კახეთის სამთავროს შემადგენლობაში, ამაზე მიგვანიშნებს ასევე არქიტექტურული ძეგლების ერთიანობა, წირქოლის ღვთისმშობელი, არმაზის წმ. გიორგი და გურჯაანის და ვაჩნაძიანის ყველაწმინდის ეკლესიები. ერთიანი სამეურნეო ყოფა და სხვა დეტალები. მატიანე ქართლისაში 1069 წლის ამბების აღწერისას, მოთხრობილია - განძის მფლობელმა ფადლამ 33000 კაცით დაიბანაკა მუხრანში "დაარბივნა ქართლისა ნაპირნი" [201. 310]. აქ მინიშნება ასეთია - ქსნის ხეობის შუა და ზემო წელი ქართლს არ ეკუთვნოდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ 1103 წელს დავით აღმაშანებელმა კახეთის სამეფო შემოიერთა, ე.ი. ქსნის ხევი და ცხრაზმის საერისთავო უშუალოდ ცენტრალური ხელისუფლების დაქვემდებარებაში გადავიდა.

1212 წლისთვის ფშავ-ხევსურები და დიდოელნი განდგნენ და დაუმორჩილებლობა გამოუცხადეს მეფე თამარს. აკად. რ. მეტრეველის აზრით, ეს იყო მთიელთა აჯანყება ფეოდალიზაციისა და გაქრისტიანების წინააღმდეგ მიმართული (რ. მეტრეველი, მეფე თამარი, 1991 წ. გვ. 210). ცხრაზმის საერისთავოდან, მეფის

მოწოდებისამებრ აქტიურად მონაწილეობენ აჯანყების ჩაქრობაში - "იწყეს მთიულთა განდგომად, კაცთა ფხოველთა და დიდოთა, ... მოუწოდა მეფემან ათაბაგსა და ყოველთა მთეულთა: დვალთა, ცხრაზმელთა, მოხევეთა, ჴადელთა, ცხავატელთა, ჭართალთა, ერწო-თიანელთა, მისცა ივანე აბაგასა და წარავლინა მათ ზედა" [202. 111]. სამეფო ხელისუფლების გადამწყვეტ ნაბიჯებს შესაბამისი შედეგები მოჰყვა. ცხრაზმელებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ფშავ-ხევსურებისა და დიდოელთა დამორჩილებაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წერილობითი წყაროები და არქიტექტურული ძეგლები თანხვედრაშია - ფეოდალიზაციის პროცესი ქსნის ხეობის ზედა წელზე - ცხრაზმის საერისთავოში, ისევე როგორც ბარის ზოლში - ქსნის ხევში დიდი ხნის დამთავრებულია.



# თავი მეორე

## §1. შალვა ქვენიფნეველი (1290-1318წწ.)

XIII საუკუნის დასასრული და XIV საუკუნის დასაწყისი საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ტრაგიკული პერიოდია. მონღოლთა მფლობელობაში მოქცეული საქართველო მძაფრად განიცდის ყაენთა კარზე მიმდინარე განუწყვეტელი გადატრიალებებისა და ძალაუფლების ხელში ჩაგდების ვნებათაღელვის დამღუპველ შედეგებს.

საყაენო ტახტზე პრეტენდენტთა შორის პოლიტიკური ძალაუფლებისათვის ბრძოლებს შეეწირა სწორედ დიმიტრი II, რომელსაც ხალხმა თავდადებული უწოდა.

დიმიტრი II-ის სიკვდილით დასჯის (1289წ.) შემდგომ, ვახტანგ II-ის მეფობის წლებში (1289-1292) დიმიტრის ცოლშვილმა სხვადასხვა ადგილას მონახა თავშესაფარი: უფროსი შვილი დავითი (შემდგომში დავით VIII) დიმიტრიმ წაიყვანა ილხანთა კარზე და აქ იგი შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს; ვახტანგი (შემდგომში ვახტანგ III) დიმიტრიმ ილხანთა კარზე წასვლამდე გახიზნა მთიულეთს; გიორგი (შემდგომში გიორგი V) დედითურთ სამცხეს იყო თავის პაპასთან - ბექასთან [202. 292],... ვახტანგის მთიულეთში ყოფნასთან დაკავშირებით მკვლევარი ე. ხოშტარია-ბროსე, რომელმაც განიხილა ჟამთააღმწერლისა და "ძეგლი ერისთავთას" მონაცემები, ვარაუდობს, რომ ვახტანგი იზრდებოდა ცხრაზმაზე, ერისთავ შალვა ქვენიფნეველის კარზე [247. 80-82].

ვახტანგ II-ის სიკვდილის შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოს მეფე ხდება (1293 წ.) დავით დიმიტრის ძე.

ირანის ილხანთა ტახტისათვის ბრძოლაში გარკვეულწილად ჩაბმული აღმოჩნდა დავით VIII. მალე (1295 წ.) საყაენო ტახტისათვის ბრძოლაში გამარჯვებული გამოდის ყაზანი (1295-1304 წწ.). ყაზანი უნდობლობას უცხადებს დავით VIII-ს და თავისთან იბარებს [202-301]. ივანე ჯავახიშვი-

ლის მიხედვით ეს უნდა მომხდარიყო 1297წ. ნოემბრის დამდეგს [257. 131]. დავითმა თავიდან დააპირა წასვლა, მაგრამ შემდეგ შეშინდა, მთიულეთში გაიხიზნა და გზები შეკრა, რის შემდეგაც გადაწყვიტა ყაზან ყაენის საწინააღმდეგოდ ოქროს ურდოს დაკავშირებოდა. ამ მიზნით, დავით VIII მთიულეთიდან აგზავნის ელჩებს ოქროს ურდოში. ელჩობას ხელმძღვანელობს დავითის ძმა ვახტანგი [202. 302]. სავარაუდოა, რომ ამ ელჩობის შემადგენლობაშია შალვა ქვენიფნეველი. ყოველ შემთხვევაში "ძეგლი ერისთავთა" ამ აზრისაკენ გვიბიძგებს [236. 347]. ეს ელჩობა ჩვენი ვარაუდით უნდა მომხდარიყო იმავე - 1297 წელს. ამ პერიოდში თვით ოქროს ურდოშიც არ ყოფილა სიწყნარე, უფრო მეტიც - შიდა აშლილობა ისეთ საფეხურზე ასულა, რომ "ნოღაის ოჯახი ილხანებთან გაიქცა და ყაზან ყაენს დახმარება სთხოვა" [43. 148]. ამდენად, დავით VIII-ის გაგზავნილი ელჩობა უშედეგო აღმოჩნდა; თუ გავითვალისწინებთ ზამთრის უგზოობას და მანძილის სიშორეს შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ელჩობა საქართველოში 1298 წლის გაზაფხულზე ადრე ვერ დაბრუნდებოდა.

დავითის განდგომის ამბავი რომ გაიგო ყაზან ყაენმა (1297 წ. მიწურული), საქართველოში გამოგზავნა ხუტლუბუღა დიდი ჯარით. ხუტლუბუღა თბილისში დაბანაკდა [202. 302]. აქედან გამართა მოლაპარაკება მთიულეთში მდგომ დავით VIII-სთან. მალე შეთანხმებაც მომხდარა, რომლის თანახმადაც გაზაფხულზე დავითი წავიდოდა ყაზან ყაენთან, ისე რომ დავითი ყაზან ყაენისაგან უვნებლობის ბეჭედს მიიღებდა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ვახტანგ III-ის გამეფების თარიღის შესახებ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა [193. 92]. ნუმიზმატ ც. ღვაბერიძის აზრით, რომელიც ემყარება ვახტანგ III-ის თარიღიან მონეტას, აღმოსავლეთ საქართველოს მეფობას ყაზან ყაენი აძლევს ვახტანგ დიმიტრის ძეს 1297-1298 წწ. [220. 14]. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ შემდეგი: 1298 წ. ოქროს ურდოდან მობრუნებული



ვახტანგი, რომელმაც დაინახა, რომ ოქროს ურდოს მათთვის არ ეცალა, აძლევს რჩევას დავითს ყაზან ყაენთან გამგზავრებაზე. დავითი იღებს ამ რჩევას და თანხმდება ხუტლუბუღას ყაზან-ყაენთან წასვლაზე. მაგრამ დავითი მალე ვახტანგის ერთგულებაში დაეჭვდა, დააპატიმრა იგი და ჩასვა ჟინვალის ციხეში [202. 307-308]. სავარაუდოა, რომ დავითს ამ პერიოდში გაეგზავნა ახალი ელჩობა ოქროს ურდოში მეორე ძმის - ბაიდუს მეთაურობით.

ჟინვალის ციხიდან ვახტანგი მალე გამოიპარა და ძმასთან მოციქულად ივანე ბურსელი გაგზავნა. ძმებს შორის შეთანხმება მომხდარა, რის შემდეგაც ვახტანგს არაგვის ერისთავის, შაბურის ძმის ასული შეურთავს ცოლად. მალე დავითსა და ვახტანგს შორის კვლავ მოხდა განხეთქილება და ვახტანგი წავიდა ყაზან ყაენთან [202-308]. ეს უნდა მომხდარიყო 1298 წლის ზაფხულში. მასთან ერთად წასულა შალვა ქვენიფნეველიც. "მაშინ დავით ზრახვითა სიტკბოებითა და მრავლისა დიდებისა მინიჭებით ევედრებოდა შალვას, ხოლო მან არა ისმინა, არამედ განამაგრნა ციხენი და შეჰვედრა ერთგულთა მონათა და თჳთ წარჰყვა ძესა მეფისასა (ვახტანგს, ვ. ღ.) ურდოს" [236. 347].

როგორც ჩანს, ყაზან ყაენმა იმავე 1298 წელს უბოძა მეფობა ვახტანგს და გამოგზავნა საქართველოში ხუტლუბუღა ნოინითა და დიდი ჯარით. მონღოლები კვლავ თბილისში დადგნენ. დავითმა გამოგზავნა მოციქულად ივანე ბურსელი. მოხდა შეთანხმება, რომლის თანახმადაც დავითმა გაგზავნა ხუტლუბუღასთან – დედოფალი ოლჯათი, აბრაჰამ კათალიკოსი, ტფილელი ყადი და ივანე ბურსელი. ხუტლუბუღამ მოსულები კარგად მიიღო. დედოფალი ბანაკში დატოვა, ხოლო კათალიკოსი, ყადი და ბურსელი გააგზავნა უკან, მეფის მოსაყვანად. მეფემ კვლავ ჩაშალა პირობა, მიზეზად მოიდო დედოფლის დაუბრუნებლობა; მოითხოვდა დედოფლის დაბრუნებას და იგივენი გააგზავნა ხუტლუბუღასთან ახალი ფიცით.

განრისხებულმა ხუტლუბუღამ ივანე ბურსელი მოაკვლევინა და დედოფალი გაგზავნა ყაზან ყაენის კარზე. დამსჯელი ჯარი კი დასძრა დავითის წინააღმდეგ. "და მომართეს შესვლად მთიულეთს: მოაოჴრეს სომხითი, ქართლი, თრიალეთი, ერწო და დადგეს მუხნარს, ხერკს, ბაზალეთს, ერწოს და თიანეთს, და ვერც ეტეოდნენ სადგომად, და არბევდნენ ქართლსა და ზემოხსენებულ ქვეყანათა" [202. 303].

დავით VIII გუჲლეთის ციხეში იყო გამაგრებული; მონღოლებმა ციხეს ვერაფერი დააკლეს, ვახტანგს დაუმტკიცეს მეფობა და წავიდნენ ყაზან ყაენთან [202. 309].

ვახტანგ III-მ "დაიპყრა ტფილისი და ყოველი სომხითი, დმანისი და სამშვილდე" [202. 310]. როგორც ჩანს, ვახტანგს შედარებით მცირე ტერიტორია ჰქონია სახელისუფლოდ.

1289 წლისთვის ვახტანგ III-ის ძალაუფლება აღმოსავლეთ საქართველოში მინიმუმამდე იყო შემცირებული. დიდებულნი კვლავ დავით VIII-ს უჭერდნენ მხარს. ალბათ ამიტომაც ყაზან ყაენი კვლავ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დავით VIII-სთან შეთანხმებას, მაგრამ დავითი ვერც მოლაპარაკებით და ვერც ძალით ვერ დაიმორჩილა.

1299 წლის ნოემბერსა და 1300 წელს ვახტანგ III ყაზან ყაენთან ერთად იბრძვის ეგვიპტეში [202. 315-316]. ძეგლი ერისთავთას მიხედვით ვახტანგ III-სთან არის შალვა ქვენიფნეველიც, რომლის სახელისუფლო ტერიტორიასაც არბევს დავით VIII; "მაშინ მეფემან დავით შეკრიბა ყოველი ლაშქარი თჳსი და თათარნი შირვანელნი და ყოველნი მყოფნი კახეთს და მუხრანს, და მოადგა ცხრასავე ჴევსა შალვაჲს საერისთავოსა და ჩამოხსნა დვალნი და ჴადელცხავატელნი და ყოველნი მთიულნი ქვემონი და დაწვეს და მოაოჴრეს ყოველი ცხრაზმის ჴევი გარეშე ციხეთა, და ციხეთა ჰბრძოდეს ქუენიფნევს, ქარჩოხს, ქოლოთს და ისროლს, არამედ ვერ აიხუნეს და შვიდ წელ განგრძელდა ჰომი მათი" [236. 347].





1299 წელს (სავარაუდოა, რომ ეს იქნებოდა მეორე ნახევარში), ყაზან ყაენმა ახლა დავითის მომდევნო ძმა, გიორგი გაამეფა. მაგრამ გიორგი ამ დროს მცირეწლოვანი იყო და მას რეალური ძალა არ ჰქონდა - "ხოლო იყო ყრმა მცირე გიორგი მეფედ ტფილისისა" [202. 304].

მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში საქართველოში უკვე სამი მეფე ზის, რეალურად მმართველობის სადავეები მაინც დავითს ეპყრა ხელთ.

მონღოლები ანგარიშს უწევენ შექმნილ ვითარებას და 1300 წელს (ეგვიპტეში ლაშქრობის შემდეგ) კვლავ აგზავნიან ხუტლუბუღას საქართველოში დიდი ლაშქრით [202. 316].

ჟამთააღმწერლის მიხედვით დავით VIII-ს წინააღმდეგ მონღოლთა ლაშქარში მონაწილეობდნენ: შანშე მხარგრძელი, "ოსნი რომელი სხდეს გორს", მესხნი - სამცხიდან, თორელნი, თმოგუელნი, ტაოელნი" [202. 306]. "მუხრანს მდგომი თათარი ბანთა ნაღუთ" [202. 303], "ოვსთა მთავარი ბაყათარ" [202. 305] და ცხრაზმის ერისთავი შალვა ქვენიფნეველი [202. 305].

"ძეგლი ერისთავთას" მიხედვით - "მოვიდა ვახტანგ და შალვა სპარსთა ლაშქრით ურიცხვთა სპითა" [236. 347].

ცხადია მონღოლთა მხარეზე იბრძოდა ყველა, ვინც მხარს უჭერდა ვახტანგ III-ს და გიორგი V-ს.

რა ტერიტორიას და სამხედრო ძალას ფლობდა დავით VIII ამ დროს?

"დადგეს ერთგულებასა მეფისასა სურამელი ჰამადა და ამირეჯიბი აბაზას ძე ჭილა და აზნაურნი ქართველნი და სომხითარნი", [202. 305] "კეთილად ბრძოდეს შინაურნი მეფისანი, ჴადელნი და ზოგნი ჴევით მოსრულნი რჩეულნი" [202. 306].

ვახუშტი ეთანხმება ჟამთააღმწერელს [15. 246].

ამდენად, საქართველო გაყოფილია ორ ბანაკად: ერთ მხარეს არიან დავით VIII-ს მომხრენი, მეორე მხარეს კი

მონღოლები და ვახტანგ-გიორგის მომხრენი; ძალთა თანაფარდობა აშკარად ამ უკანასკნელთა მხარეზეა.

## §2. აბაზასძეთა შევიწროება

დავით მეფის წინააღმდეგ ამხედრებულ ლაშქარს ჟამთააღმწერლის მიხედვით უწინამძღვრა შალვა ქვენიფნეველმა - თავის სახელისუფლო ტერიტორიაზე გაატარა და ლომისის მთაზე გადასვლით ხადას ხეობაში გადაიყვანა. აქ ერთ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება: ამ პერიოდისათვის ქსნის ხეობის ზედა წელს, (ცხრაზმის საერისთავოს) ფლობს ცხრაზმის ერისთავი შალვა ქვენიფნეველი. სასაზღვრო ზოლი გადის დღევანდელ სოფელ კორინთასთან [222. 44-45], იქ სადაც ვახუშტის თანახმად, ქსნის ხეობის მთისა და ბარის სასაზღვრო ზოლია [15. 359]. ქსნის ხეობის ქვედა წელის ინტენსიურ დაკავებას ცხრაზმის ერისთავები XIV ს. პირველ წლებში იწყებენ [236. 348], მანამდე კი ქსნის ხეობის ბარის ზოლის "სანახები აბაზას ძეებს ეკუთვნოდათ" [47. 47]. მეფის მომხრე ჭილა აბაზას ძე 1297/1298 წლის ერთი სიგელის თანახმად დავით VIII-ის მეაბჯრეთუხუცესი ყოფილა, ხოლო ნავროზ აბაზას ძე, 1297 წ. ამირეჯიბი და ამირახორი [216-ა. 184-185].

"ხელმწიფის" კარის გარიგების (XIV ს.) მიხედვით "მეაბჯრეთუხუცესი და მეაბჯრენი,... ამილახორის ხელისანი არიან... ამილახორი ვეზირი არის ამირსპასალარისა,... ლაშქრობა და ლაშქრობის ვეზირობა ამირსპასალარის ჴელით არის" [203. 45].

ამირეჯიბი ითვლებოდა მანდატურთუხუცესის მოადგილედ, "ამირეჯიბს ყველგან გზა აქვს საურავისა, სად გინდა იყოს მეფე,... ყველგან მივა და ყველგან იურვის.. ზემდგომელი ამირეჯიბს მანდატურივე მართებს" [203. 35].



ამდენად, XIII ს. მიწურულისათვის ჭილა და ნავროზ აბაზას ძეებს საკმაოდ მაღალი თანამდებობა ჰქონიათ დავით VIII-ის კარზე. ამავე დროს "ძეგლი ერისთავთას" მონაცემებით ვიცით, რომ ქსნის ხეობის ქვედა წელზედ არსებულ ლოწობნის ციხესა და მის მიდამოებს XIV ს. 10-იან წლებამდე ფლობდა ნავროზ აბაზას ძე [236. 348].

1300 წ., როცა მონღოლები დავით VIII-ს წინააღმდეგ დიდ ლაშქრობას აწყობენ, მემატიანე ქებით იხსენიებს ამირეჯიბ ჭილა აბაზასძეს [202. 305]. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 1300 წლის წინარე, ახლო პერიოდში, ჭილა აბაზასძისთვის უწყალობებია დავით VIII-ს მეორე სახელო - ამირეჯიბობა, რომელიც რაღაც მიზეზის გამო ჩამოურთმევია ნავროზ აბაზასძისათვის. წყაროებში, სამწუხაროდ, არ ჩანს მეფემ ნავროზ აბაზასძეს ჩამოართვა მეორე სახელოც - ამირახორობა თუ არა; ხელმწიფის კარის გარიგების თანახმად, ამირახორობის შენარჩუნებით, ნავროზ აბაზასძეს მეაბჯრეთუხუცესზე ხომ კვლავ ხელი მიუწვდებოდა.

ამდენად, 1300 წელს მონღოლთა ლაშქარი აჰყვა ქსნის ხეობას [163. 239], გაიარეს აბაზას ძეთა სამფლობელო და შევიდნენ ცხრაზმის საერისთავოს ფარგლებში. აქ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მონღოლებს უწინამძღვრა შალვა ქვენიფნეველმა და ლომისაზე გადასვლით ხადას ხეობაში გადაიყვანა. დავით VIII-მ შეძლო მის ხელთ არსებული სამხედრო ძალის სწორი ორგანიზება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დავითი საერთოდ კარგ მხედართმთავრად მოჩანს. მას ზედმიწევნით სცოდნია მონღოლური ბრძოლის წესები, რომელთაც უთუოდ ილხანთა კარზე ყოფნისას დაეუფლებოდა. დავითს თავის დროზე მონაწილეობა მიუღია ქელათუ ილხანის ლაშქრობებში - 1291-1292 წწ. [110. 190-192].

ხადაში გადასულ მომხდურებს, დავით VIII-მ ბრძოლის პარტიზანული ტაქტიკა დაუპირისპირა; თვითონ ციკარეში გამაგრდა თავისი მომხრენი კი ციხე-კოშკებსა და მიუვალ ადგილებში გაამაგრა. "ძეგლი ერისთავთას" მიხედვით, შალვა ქვენიფნეველის წინამძღოლობით, მონღოლებმა "ერთ-

სა დღესა აიღო ცხრაჲ ციხე და დარღუა და მას ერთსა კვირასა დაარღუა ციხე ოცდახუთი, თხუთმეტი იქით არაგჳსა" [236. 348]. მაინც ვერ ჩაიგდეს ხელში დავით მეფე, პირიქით მან გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია [202. 306]. ძირითადი ბრძოლები დავითის მომხრეებს ისეთ ტყიან ადგილებში უწარმოებიათ, სადაც "ცხენოსანი ვერ შეუვიდოდა საომრად და ქუეითად იბრძოდეს თათარნი" [202. 306]. წარუმატებელი ლაშქრობის შემდეგ მონღოლები უკან ბრუნდებიან: "აიყარა ღამით გზასა ლომისის თავისასა, დაესხა ქართლს, დაღათუ ვინმე დარჩომილი იყო, მოსრა და ტყუეყო და მოაოჴრეს ქართლი, და წარვიდეს ყაენს ყაზანს წინაშე" [202. 306].

1301 წლის გაზაფზულზე ხუტლუბუღა კვლავ დიდი ჯარით შემოვიდა, დადგა თბილისში და ფიქრობდა მთიულეთის დალაშქვრას. "ვითარც ცნეს დიდებულთა შეკრბეს მეფესა დავითს წინაშე და მოაჴსენებდეს, რათა წავიდეს ყაზანს წინაშე" [202. 306]. მეფემ დიდებულთა რჩევა მიიღო და ყაზან ყაენთან წასვლაზე თანხმობა განაცხადა. გაიმართა მოლაპარაკება დავით VIII-სა და ხუტლუბუღას შორის, მაგრამ ბოლოს მეფე შეშინდა და გველეთში გამაგრდა. დიდებულებმა რომ ნახეს მეფის პირის შეშლა და თავიანთი ტერიტორიების მოოხრება მონღოლების მიერ, "უმრავლესნი წარვიდეს, კითხვითა მეფისათა, დაცვისათჳს ქუეყანისა. ხოლო ხუტლუბუღა კეთილად შეიწყნარებდა ვინცა მოვიდოდა. კუალად მოაოჴრა ქუეყანა ქართლისა ზემოჴსენებული, თჳნიერ მთიულეთისა და წარვიდა ურდოს" [202. 307].

ქართლის ზემოხსენებული ადგილნი კი შემდეგია: ქართლი, სომხითი, თრიალეთი, ერწო, მუხრანი, ხერკი, ბაზალეთი [202. 303]. ბუნებრივია, მონღოლები არ დაარბევდნენ იმათ მამულსა და სახელისუფლო ტერიტორიას ვინც მათ მხარეზე გადავიდა. ტექსტიდან გამომდინარე, მონღოლების მხარეზე გადასულან "ჰერ-კახნი"; ქართლელები კვლავ დავით VIII-ის მხარეზე დარჩენილან. არც ჟამთააღმწერელი



და არც "ძეგლი ერისთავთას" ავტორი, შალვა ქვენიფნეველის მოქმედების შესახებ ამ დროის მოვლენებთან კავშირში არაფერს ამბობს. სავარაუდოა, რომ შალვამ ერთგვარი ნეიტრალიტეტი დაიცვა. ვახტანგ III ამ დროს საქართველოში არ ყოფილა - 1301-1303 წლებში სულთნის (ეგვიპტის, ვ. ღ.) არმიამ სამჯერ ზედიზედ დაამარცხა ყაზან ყაენისა და ვახტანგ III-ის შეერთებული ლაშქარი" [190. 93; 202. 315]. ამდენად, ხუტლუბუღამ 1301 წელს მოარბია ქართლი, ვერ გაბედა მთიულეთში შესვლა და უკან გაბრუნდა. ჩვენი ვარაუდით დარბევას გადაურჩა შალვა ქვენიფნეველისა და "ჰერ-კახნის" სამფლობელოები.

მონღოლთა ყოველწლიურ რბევა-აოხრებას შესაბამისი შედეგებიც მოჰყვა. ჟამთააღმწერლის მიხედვით "ესოდენ განძჳნდა შიმშილი, რომელ მძორსა არა წმინდასა ურიდად ჭამდეს" [202. 310]. შიმშილობა განსაკუთრებით მძაფრი იქნებოდა იმ ტერიტორიაზე, სადაც მონღოლები რბევა-აოხრებებს აწყობდნენ. ამდენად, სავარაუდოა შემდეგი – ცხრაზმის საერისთავო, მთლიანად და კონკრეტულად შალვა ქვენიფნეველის მამულები, რომლებიც გადაურჩნენ 1301 წელს მონღოლთა თარეშს, ეკონომიურად შედარებით ძლიერი უნდა ყოფილიყო.

## §3. დავით VIII-ის მიერ ცხრაზმის (ქსნის) საერისთავოს დალაშქვრა

ჟამთააღმწერლის მიხედვით, 1301 წლის შემოდგომაზე დავით VIII ორგულობისათვის არბევს შალვა ქვენიფნეველის მამულს: "ხოლო ვითარ მოიწია სთუელი, ჩამოდგა ცხრაზმის ჴევსა მეფე დავით" და აოჴრებდა მამულსა შალვა ქვენიფნეველისასა ორგულობისათჳს" [202. 307].

ჩვენი აზრით, ცხრაზმის შედარებითი ეკონომიური სიძლიერე იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ 1301 წლის შემოდგომაზე (როცა გლეხს წლის მოსავალი ფაქტიურად

უკვე დაბინავებული აქვს და ცხადია შალვა ქვენიფნეველს მათგან კუთვნილი გადასახადი უკვე აკრეფილი აქვს), დავით VIII აწყობს შალვა ქვენიფნეველის მამულების დარბევას. მარტო ორგულობისათვის შალვა ქვენიფნეველის დასჯა, ალბათ უფრო უპრიანი იქნებოდა იმავე 1300 ან 1301 წლის დასაწყისში, სანამ "ჰერ-კახნი" განუდგებოდნენ დავითს.

"მაშინ უღონო იქმნა ქუენიფნეველი და ევედრა სურამელსა და მსახურთუხუცესსა და ქართლის ერისთავს ჰამადას, რათა იურვოს მეფეს წინაშე, მოაჴსენა მეფესა და არა ინება მისთჳს დაჭირვა, არამედ მიუბოძა ჰამადას, გარდაიყარა თავსა ნაცარი შალვა და იტყოდა: "ესემცა არს მისაგებელი ორგულთა მეფეთასა" და შეუნდო მეფემან შალვას" [202. 307].

ვახტანგ III ამ დროს ყაზან ყაენთან არის და ვერ (ან არ) შეძლო შალვა ქვენიფნეველის დაცვა. შალვა ხომ ოფიციალური მოსაზრების (ჟამთააღმწერელი) თანახმად დაისაჯა დავითის ორგულობისათვის. თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ დავით VIII მოერიდა მონღოლებთან ურთიერთობის შემდგომ გამწვავებას და დასჯერდა შალვა ქვენიფნეველისაგან მის სიუზერენობის სიტყვიერ აღიარებას. მეფის ხელისუფლება ხომ ამ პერიოდში ძალზე შეზღუდულია ირანის ილხანების მიერ.

როგორც აღვნიშნეთ, 1301-1303 წლებში ვახტანგ III ყაზან-ყაენთან ერთად იბრძვის ეგვიპტეში, მონღოლები მარცხს მარცხზე განიცდიან, მათი წარუმატებელი ლაშქრობები არის ალბათ ერთ-ერთი მიზეზი, რომ დავით VIII იწყებს აქტიური პოლიტიკის წარმოებას: "მეფემან დავით შეკრიბა ყოველი მთიული, წავიდა და მივიდა ტფილისს და ჰყვა კაცი ცხენოსანი და ქვეითი, ვითარ ათხუთმეტი ათასი" [202. 316]. დავითის ეს ლაშქრობა, რომელიც 1303 წელს მოხდა [42. 180] მარცხით დამთავრდა. ამ ლაშქრობის შემდეგ დავითის სახელისუფლო ტერიტორია კიდევ უნდა შემცირებულიყო. "მაშინ მისცა ვახტანგ დავითს ჯავახეთი და



ალასტანი და გამოიყვანა გუელეთით" [236. 348]. როგორც ჩანს, ვახტანგმა მთლიანად ჩამოაშორა დავითი არაგვის ხეობას ("გამოიყვანა გუელეთით"), ე. ი. ოქროს ურდოსთან დამაკავშირებელ გზას და სახელისუფლოდ გადასცა საუფლისწულო მამული [26. 109] - ჯავახეთი, რომლის ცენტრსაც წარმოადგენდა სოფელი ალასტანი. ამით დავითს ფაქტობრივად მოუსპეს განდგომის რეალური საშუალება. მისი ხელქვეითნი ხომ ძირითადად ვახტანგ III-ის ერთგული დიდებულები აღმოჩნდნენ.

## §4. ქვენიფნეველის ლაშქრობა დვალეთში 1303 წელს

"ძეგლი ერისთავთას" მიხედვით შალვა ქვენიფნეველი აწყობს ლაშქრობას დვალეთზე, ალბათ ვახტანგ III-ის სათანადო მითითებით, წინააღმდეგ შემთხვევაში - თავისი სურვილით რომ მოეწყო, ლაშქრის შემადგენლობაში არ იქნებოდა "ყოველი სპაჲ სპარსთაჲ"... "მოსრეს სიმრავლე არამცირედი დვალთაჲ. მაშინ მოწუნეს და მოაოჴრნეს ყოველნი ჴევნი დვალეთისანი და შემუსრნეს და დარღჳვნეს ყოველნი ციხენი თრუსოით აჩაბეთამდის. მაშინ წავიდა ყოველი სპაჲ სპარსთაჲ" [236. 348]. ჩვენი აზრით, შალვა ქვენიფნეველის ეს ლაშქრობა ითვალისწინებდა დავით VIII-ის ზურგის მოშლას. ალბათ ამიტომაც, დავით VIII-ს ამის შემდეგ, არც ვახტანგ III-ის და არც მონღოლების წინააღმდეგ არანაირი სამხედრო ოპერაცია აღარ უწარმოებია. ფაქტობრივად ამ ლაშქრობამ დავით VIII-ის წინააღმდეგობა წელში გატეხა. ვახტანგმა ესეც არ აკმარა დავითს - "მაშინ მეფემან (ვახტანგ III, ვ. ღ.) მიუბოძა შალვას თრუსუი, ღუდაჲ, გაგასძენი, მლეთე, არაჴუეთი, ჴანდოი, ყანჩაეთი, აბაზასძეთა მამული, ძაგნაკორნანი, დიღუამი, გავაზი (დედანში ამოფხეკილი ყოფილა - ვ. ღ.), აწერისჴევი,

ბეჴუშე" [236. 348]. უდავოა, შალვა ქვენიფნეველისათვის საერისთავო ტერიტორიის გაზრდა ძირითადად მოხდებოდა დავით VIII-ს ერთგულთა მამულისა (ჭილა აბაზასძე) და სახელისუფლო ტერიტორიის ხარჯზე.

ამდენად, ცენტრალური ხელისუფლების სისუსტით, რაც გამოწვეული იყო სამეფო კარის გათიშულობით და მონღოლთა ბატონობით, ცხრაზმის მცირე ადმინისტრაციული ერთეულის ერისთავი, შალვა ქვენიფნეველი ახდენს ახალი ტერიტორიების მიერთებას და თავისი სახელისუფლო ტერიტორიის გაფართოებას.

აღნიშნული პუნქტების გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას კარგად საზღვრავს დ. მუსხელიშვილი:

"თრუსუჲ" - ცხადია თრუსოს ხეობას, თერგის სათავეებს გულისხმობს;

"ღუდაჲ" - არაგვის სათავეშია;

"მლეთე" - იქვეა, ღუდას ქვემოთ;

"არაჴვეთი" - იქვე მლეთას ქვემოთ;

"ხანდოჲ" - ფასანაურის ქვემოთ არაგვზე;

"ყანჩაეთი" - ქსნის ხეობა, მდ. შუა წელზე, მარჯვენა ნაპირზე;

"აბაზასძეთა მამული" - ლოწობანი - იქვეა ყანჩაეთის ზემოთ, ქსნის მარცხენა სანაპიროზე;

"აწერის ჴევი" - პატარა ლიახვის ზემო წელზე;

" ბეჴუშე" - პატარა ლიახვის სათავეებში [146. 82].

"ძაგნაკორნათას", "დიღუმისა" და "გავაზთან" დაკავშირებით მეცნიერი ვარაუდობს, რომ მათი ლოკალიზაცია საძიებელია ქსნის ხეობის შუა წელსა და პატარა ლიახვის სათავეებს შორის [146. 82-83].

აღნიშნულ განსაზღვრებას, ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ, მხოლოდ ერთი - აბაზასძეთა მამულის დაკონკრეტება მარტო ლოწობნის მიდამოებით, სწორი არ უნდა იყოს და აი რატომ?

აბაზასძეთა შესახებ ცნობილია შემდეგი:



1. XI ს. შუა წლებში ქართლის ერისთავი არის ივანე აბაზასძე [201. 296];

2. 1297-1298 წ. სიგელში მოხსენებულია ჭილა აბაზასძე - მეაბჯრეთუხუცესი და ნავროზ აბაზასძე - ამირეჯიბი და ამირახორი [216-ა. 185];

3. ჟამთააღმწერელი, 1300 წლის ამბებთან დაკავშირებით დავით VIII-ის ერთგულთა შორის ასახელებს ამირეჯიბ ჭილა აბაზასძეს [202. 305];

4. "ძეგლი ერისთავთას" ავტორმა იცის აბაზასძეთა მამული მდ. ქსნის ხეობის ქვედა წელზე, და ნავროზ აბაზასძის მფლობელობაში მყოფი ლოწობნის ციხე [236. 348].

არაპირდაპირი ცნობები:

1. VII საუკუნის ანონიმი ავტორის სომხურ გეოგრაფიაში ქსნის ხეობა გაყოფილია ორ ადმინისტრაციულ ერთეულად - ქსნის ხევად და ცხრაზმად [202. 305];

2. ცხრაზმის ადმინისტრაციული ერთეულის ქვედა საზღვარი XIV ს. დასაწყისისათვის ჩამოდის ლოწობან-ყანჩაეთის მიდამოებამდე [236. 348];

3. "შემდგომად თამარ მეფისა ქართლის ერისთავი სხუა, ჴსნისა სხუა"[15. 382];

4. სოფელ ალევიდან მდ. ქსნის მარცხენა სანაპიროს ჩაყოლება, კორინთის ჩათვლით შედიოდა წილკნელის სამწყსოში [208. 563];

5. მდ. ქსნის მარჯვენა სანაპირო ქვემოდან, სოფელ კორინთიდან კი ორივე სანაპირო სათავემდის შედიოდა სამთავნელის სამწყსოში [208. 198-206].

ყოველივე ზემოთქმულიდან, აბაზასძეთა მამულის შესახებ შეიძლება ვივარაუდოთ შემდეგი:

ადრეფეოდალურ პერიოდში ქსნის ხეობა აერთიანებდა ორ ადმინისტრაციულ ერთეულს - ქსნის ხევსა და ცხრაზმას. მათ შორის საზღვარი გადის ლოწობნის ციხისა და ყანჩაეთის მიდამოებს ზევით (სოფ. კორინთასთან). ქსნის ხეობა გაყოფილია ორ საეპისკოპოსოს - სამთავნელსა და წილკნელს შორის.

ქსნის ხევი შედის ქართლის ერისთავის მფლობელობაში. XI ს. შუა წლებში, ქართლის ერისთავი არის ივანე აბაზასძე. აბაზასძენის შემდეგ ქართლის ერისთავები ხდებიან სურამელნი (აბაზასძენი და სურამლენი, ერთი საერთო გვარის - ტბელების, განაყარნი ყოფილან) [116. 59-60].

სურამელნი უტოვებენ აბაზასძეებს ქსნის ხევს სამამულო და სამოხელეო მფლობელობაში. სამამულო მფლობელობა უნდა ყოფილიყო ძირითადად მდ. ქსნის მარცხენა, სამოხელეო კი მდინარის მარჯვენა ნაპირის ჩაყოლებაზე.

ამ აზრისაკენ გვიბიძგებს ის გარემოებაც, რომ გვიანშუასაუკუნეების საამილახვრო სოფლები ძირითადად განფენილი იყო მდ. ქსნის მარჯვენა ნაპირის ჩაყოლებაზე [55. 120], ხოლო ამავე პერიოდში, ქსნის მარცხენა სანაპიროზე სოფ. ოძისში მამულები ეკუთვნოდათ აბაზასძეებს [47. 44]. აღნიშნულიდან გამომდინარე, წყაროში მითითებული "აბაზასძეთა მამული" ლოკალიზდება ქსნის ხეობის მარცხენა სანაპიროზე. სოფელ ალევიდან (აქ მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ლოწობნის ციხის მიდამოებში - სამების მთაზე არის, ალევის სამების VII ს. (ნ. ჩუბინაშვილი) სამონასტრო კომპლექსი) მდინარე ქსნის მარცხენა ნაპირის ჩაყოლებით, სოფელ ოძისის ჩათვლით (20-25 კმ სიგრძივი განაკვეთი), ე. ი. გასაგები ხდება ხოფის სამონასტრო კომპლექსის (XIII ს. პირველი ნახევარი) [143-ა. 117], ახალგორის,... ამ პერიოდის მფლობელთა ვინაობა, ისინი აბაზასძენი ყოფილან. აღნიშნული ტერიტორიის გადაცემა შალვა ქვენიფნეველისათვის უნდა მომხდარიყო 1303 წლის მეორე ნახევარში.

"ხოლო შალვამ მოიყვანა ცოლად ოვსთა მეფისა ასული სახელით შირდი" [236. 348]. წყაროში მითითებული "ოვსთა მეფე" უნდა იყოს ჟამთააღმწერელთან დასახელებული "ოვსთა მთავარი ბაყათარ", რომელიც შალვა ქვენიფნეველთან ერთად მიუძღოდა მონღოლთა ლაშქარს დავით VIII-ის წინააღმდეგ [42. 190]. სავარაუდოა, რომ ამ ქორწილით შეკრა შალვა ქვენიფნეველმა პოლიტიკური კავშირი ქართლში



მოთარეშე ოსებთან და ამით ერთგვარად გადაარჩინა სახელისუფლო ტერიტორია მათი განუკითხავი თარეშისაგან. როგორც ჩანს, ეს პოლიტიკური კავშირი მიმართული იყო დავით VIII-ის წინააღმდეგ.

1306 წელს, ვახტანგ III კვლავ მოჩანს ყაზან ყაენის ჯარში, ეგვიპტის წინააღმდეგ მებრძოლთა შორის [178. 611-612].

"ძეგლი ერისთავთას" მიხედვით "მაშინ მოკუდა დავით მეფე, და მასვე წელს მოკუდა ვახტანგ მეფე" [236. 348]. მოყვანილი ფრაგმენტი სინამდვილეს არ შეეფერება. დღეს უკვე ცნობილია, რომ ვახტანგ III გარდაიცვალა 1308 წელს, რომლის სიკვდილის შემდეგ მომხდარა გარკვეული შეთანხმება დავით VIII-სა (1293-1311 წწ.) და მონღოლებს შორის. არ არის გამორიცხული, რომ ამ შეთანხმებას აწარმოებდა შალვა ქვენიფნეველი. დავით VIII გარდაიცვალა 1311 წელს. მონღოლებმა მეფობა დაუმტკიცეს გიორგი (VI) დავითის ძეს. ირკვევა, რომ გიორგი VI-სა და ნავროზ აბაზასძეს შორის მომხდარა განხეთქილება, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ ნავროზის სამფლობელო - ლოწობნის ციხე, შალვა ქვენიფნეველის ხელში აღმოჩნდა [236. 348]. ეს უნდა მომხდარიყო 1311 წლის ახლო პერიოდში (არ არის გამორიცხული, რომ მათ შორის განხეთქილება შალვა ქვენიფნეველმა მოაწყო. ამ განხეთქილებით ხომ ყველაზე მეტად მან ისარგებლა).

## §5. ცხრაზმის (ქსნის) საერისთავოს საზღვრების გაფართოება

როგორც დავინახეთ, XIII საუკუნის ბოლოს ირანის ილხანთა ტახტისათვის გამართულ ბრძოლებს ერთგვარ გაგრძელებად მოჰყვა საქართველოს სამეფო ხელისუფლებისათვის გაშლილი ბრძოლა ძმებს - დავით VIII-სა და ვახტანგ III-ს შორის. აღმოსავლეთ საქართველო მონღოლთა

წყალობით ორ ნაწილად გაიხლიჩა. ცხრაზმის ერისთავი შალვა ქვენიფნეველი თავიდანვე აღმოჩნდა ამ ბრძოლაში ჩაბმული ხან მეფის, ხან მონღოლთა მხარეზე.

მონღოლთა ხელშეწყობით საქართველოს სამეფო ხელისუფლებისათვის გაშლილ ბრძოლას, დამღუპველი შედეგები მოჰყვა ერთიანი საქართველოსათვის.

ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებამ კი კარგი ნიადაგი შექმნა ადგილობრივ ხელისუფალთა განდიდებისათვის. ასეთ პირობებში ცხრაზმის შედარებით პატარა საერისთავო ახერხებს მეზობელი ტერიტორიების ექსპანსიას.

XIII ს. დასასრულისათვის ცხრაზმის საერისთავო ფლობდა მდ. ქსნის ზემო წელს და სასაზღვრო ზოლი ძირითადად შემოისაზღვრებოდა აღმოსავლეთიდან - ლომისის, ცხრაზმის, საფეშეთის, ბაწარქედის, საძეგურის მთებით და ჩამოდიოდა სოფელ კორინთასთან;

ჩრდილოეთიდან - მდ. ქსნის სათავეები და ქნოღოს მიდამოები;

დასავლეთიდან - პატარა ლიახვის სათავეები, ისროლის ხევი, ქოლოთი, ლეხურის სათავეები, ზებაყურის მთა;

სამხრეთით - სოფელ კორინთის მიდამოები.

არა უგვიანეს 1313 წლისათვის კი ცხრაზმის საერისთავოს ჩრდილო-აღმოსავლეთი და აღმოსავლეთი საზღვარი გასდევდა თეთრი არაგვის ხეობას სათავიდან მთიულეთკარის სანახებამდე.

საერისთავოს დასავლეთის საზღვრად ნაჩვენებია "ზეჯუშე", რომელიც მდებარეობს ჩაბარუხის ხევისა და პატარა ლიახვის შესართავთან და "აწერის ჭევი" - ბეხუშის ქვემოთ პატარა ლიახვის სანაპიროზე. ჩრდილო დასავლეთით "ბეხუშის მთა"-ზე გადიოდა საზღვარი საერისთავოსა და ქვემო დვალეთს შორის.... სამხრეთის მიმართულებით საერისთავოში შემოდიოდა ყანჩაეთის [7. 172], მდ. ქსნის მარჯვენა ნაპირზე და აბაზასძეთა ყოფილი მამული, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოიცავდა მდ. ალეურას



ქვედა წელიდან მდ. ქსნის მარცხენა ნაპირის ჩაყოლებით ოძისამდე.

ამით ერთგვარად მთავრდება ცხრაზმის საერისთავოს საზღვრების გაფართოება საქართველოს სამეფო ხელისუფლებისათვის ბრძოლის პერიოდში, XIV ს. დასაწყისისათვის.

## §6. შალვა ქვენიფნეველის ლაშქრობა დვალეთში (1317 წ.)

ქართულ ისტორიოგრაფიაში გიორგი V-ის ფაქტიური გამეფების თარიღად ითვლება ვახუშტი ბატონიშვილის მიერ მოცემული - 1318 წელი [113. 213-231], თუმცა ნამდვილად მისი მოღვაწეობა ამაზე ადრე დაიწყო [250. 194].

გიორგი V მეფედ პირველად აკურთხეს 1299 წელს, მაგრამ მცირეწლოვნების გამო მაშინ მეფობა არ შეეძლო. დანაწევრებულ საქართველოს სამეფოს განაგებდნენ უფრო ადრე მეფეებად დამტკიცებული უფროსი ძმები - დავით VIII და ვახტანგ III. ვახტანგ III-ის გარდაცვალების შემდგომ 1308 წ. დავით VIII-სა და მონღოლებს შორის მომხდარა გარკვეული შეთანხმება, რომლის ძალითაც საქართველოს მეფობა ეძლეოდა ადრე შერისხულ დავით VIII-ის შვილს გიორგის, რომელიც საქართველოს ისტორიაში გიორგი VI მცირის სახელითაა ცნობილი.

გიორგი VI-ის მეურვეობა თავიდანვე დაუვალებიათ ბიძამისის - გიორგი V-სათვის [163. 218].

ოლჯათ სულთნის (1304-1317 წწ.) ყაენობის ბოლო პერიოდში საბერძნეთში დაწყებულა ანტიმონღოლური (ჰულაგუდები) აჯანყება. აჯანყების ჩასახშობად სულთანს გაუგზავნია ჩობანი და ქართველთა რაზმი გიორგი V-ის ხელმძღვანელობით, "ხოლო გიორგი (მცირე), ზაალ, მელიქ, შანშე და ზაქარია არა წარჰყვეს თანა, წარვიდეს და აიყარნეს და ტფილისს შევიდეს" [163. 219]. საქართველოშიც არ ყო-

ფილა სიმშვიდე, ქართველ დიდებულთა გარკვეული ნაწილი არ სცნობდა გიორგი VI-ის უზენაესობას, ჟამთააღმწერლის თანახმად "მივიდეს (გიორგი VI ვ. ღ.) ჯავახეთს, მიერ კოხტისთავსა და აწუევდეს სარგისს და ყუარყუარეს გამოსვლად, და არა ინებეს " [163. 219].

გიორგი მცირის ხელისუფლების უსუსურობას კიდევ უფრო ხაზს უსვამს "ძეგლი ერისთავთა": "ხოლო მეფე გიორგი განილაშქრა მაღაროს და დიდად ევნო მათგან ვიწროთა მათ ჴევთა სიმრავლითა საგორავისაჲთა და დიდად მწუხარე მოვიდა და კუალად მეორედ წარვიდა დღეთა ყვულიერისათა და იყო სიცივე დიდი, და შიშისაგან საგორავისა წარმოვიდეს გზასა მთისასა, რომელი იყო განყინებული. მაშინ უმეტეს ევნო, რამეთუ ინქრეოდა ცხენები და კაცნი იგი მსგავსად მჴეცთა, შესუარულნი სისხლითა მოსდევდეს მათ" [236. 349].

ცხრაზმის ერისთავ შალვა ქვენიფნეველს დვალეთში მოწყობილ ამ ორ ლაშქრობაში მონაწილეობა არ მიუღია - "ხოლო შალვა ორსა ამას ლაშქრობასა არ იყო მუნ, არამედ ძენი ხოლო მისნი იყუნეს, რამეთუ ესხნეს ძენი ცამეტნი, ქველნი და გონიერნი " [236. 349]. სავარაუდოა, რომ შალვა ქვენიფნეველი ამ დროს იყო გიორგი V-სთან ერთად საბერძნეთში ოლჯათ სულთნის წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყების ჩასაქრობად.

ჩვენი აზრით, მეფე გიორგი VI-ის მიერ მოწყობილი წარუმატებელი ლაშქრობანი ჯავახეთსა, კოხტასთავსა და დვალეთში შერყეული სამეფო ხელისუფლების აღდგენას ითვალისწინებდა და უნდა მომხდარიყო 1317 წლის დასაწყისში. ამ ლაშქრობების შემდგომ გიორგი VI-ს, როგორც ჩანს, დიდხანს არ უცოცხლია.

საბერძნეთში აჯანყების ჩაქრობის შემდეგ გიორგი V და "ყოველნი მას შინა მყოფი ქართველნი" [163. 219] ბრუნდებიან საქართველოში. საქართველოში მობრუნებულმა მეფემ გამოძებნა პოლიტიკური მეთოდები და პირველ რიგში ურჩი ფეოდალები მოდრიკა. შერყეული ცენტრალური ხელისუფლება აღადგინა. "იახლნეს ჯავახნი და თორელნი ოდეს ყვეს, და სადაცა ილაშქრიან და შეიბიან ციხესა, მჴნედ მბრძოლად გამოჩნდის მეფე გიორგი და ყოველნი ქართველნი" [163. 219].

"ძეგლი ერისთავთას" ავტორის თანახმად, დვალეთში ცხრაზმის ერისთავმა შალვამ გაილაშქრია თავისი ლაშქრით. აქ მან გამოიყენა ბრძოლის მონღოლური წესი. მებრძოლთა დიდი ნაწილი ღამით ვიწროში ჩაასაფრა, მცირე ნაწილით განთიადისას თავს დაესხა, მოარბია დვალები და სასწრაფოდ უკან გამოტრიალდა. ერისთავ შალვას ლაშქრის სიმცირით გათამამებული დვალები უკან გამოეკიდნენ. ერისთავმა დვალები ხაფანგში მოამწყვდია. "შეიწყუდივნეს ადგილსა იწროსა და მოკლეს მი-ე [45. ვ. ღ.] კაცი და მრავალი შეიპყრეს" [236. 349], რის შემდგომაც ხელმეორედ მიტრიალდა შალვა ერისთავი, მოარბია დვალეთი, აიღო ალაფა და გამარჯვებული დაბრუნდა [236. 399]. როგორც ჩანს, გიორგი V-მ პოლიტიკური მეთოდებითა და იარაღის ძალით "მოიმორჩილნა ყოველნი განდგომილნი და ურჩნი" [163. 219]. გაორგულებულ ფეოდალთა და დვალთა შემომტკიცება უნდა მომხდარიყო 1317 წლის შემოდგომის ჩათვლით [163. 220]. "ესმა გიორგი მეფესა სიკუდილი ყაენისა და მის წილ დადგინება აბუსაიდისა, და წარვიდა ურდოსა. შეიწყნარეს, და განიხარა ჩოფან და შეიტკბო ვითარცა შვილი, და მოსცა ყოველი საქართველო და ყოველნი მთავარნი საქართველოსანი, და შვილნი დავით მეფისანი, და მესხნი, შვილნი ბექასნი" [163. 220].

ვახუშტი ბატონიშვილი შემომტკიცებულ დიდებულთა სიას უმატებს: "ესე გიორგი მოვიდა და შემოიკრიბნენ კათალიკოზი, ეპისკოპოსნი და დიდებულნი წარჩინებულნი" [15. 255].

თავდაპირველად გიორგი V-მ პოლიტიკური მეთოდებით სცადა დიდებულების შემომტკიცება, ხოლო ურჩი დვალები ცხრაზმის ერისთავს შალვა ქვენიფნეველს შემოამტკიცებინა იარაღით. თუმცა არ ჩანს, რომ დვალების დალაშქვრის

შემდგომ, შალვა ქვენიფნეველისთვის მეფეს გაეზარდოს სამამულო ან სახელისუფლო ტერიტორია.

ვახუშტის დაცული აქვს ერთი ასეთი ცნობა: "არამედ დიდებულნი და ერისთავნი ვერ სცვალნა ჟამამდინ რიდითა ყეენისათა" [15. 256], ე. ი. მიუხედავად იმისა, რომ გიორგის მეგობრული ურთიერთობა აქვს ილხანთა უპირველეს ვეზირ ჩობანთან, ერიდება ყოველგვარი სიტუაციის გამწვავებას (მეფობის დასაწყისში) და პოლიტიკური მეთოდებით იმტკიცებს ხელისუფლებას.

## §7. ერისთავი ლარგუელი (1318-1320 წწ.)

"მოკუდა შალვა და დაჯდა ძე მისი ლარგუელი ერისთავად. ამან აღაშენა უკანაციხე თავსა ისროლის ჭევისასა, და ტფილურითა წესითა დარბაზოვანი ქუენიფნევს" [236. 349].

შალვა ქვენიფნეველს, რომელიც ცხრაზმის ერისთავად მოჩანს XIII ს-ის 90-იან წლებიდან [236. 247] ძეგლი ერისთავთას მიხედვით, დვალეთში ზემოაღნიშული ლაშქრობისა და დვალთა შემომტკიცების შემდეგ, (რომელიც ჩვენი გამოთვლით გიორგი ბრწყინვალის გამეფების წელს - 1318 წელს მოხდა), დიდხანს აღარ უცოცხლია და სავარაუდოდ იმავე წელს უნდა გარდაცვლილიყო.

1318 წელსვე ცხრაზმის ერისთავი ხდება ლარგველ შალვას ძე, რომელსაც დიდი სააღმშენებლო საქმიანობა გაუჩაღებია. ("აღაშენა უკანციხე... და ტფილურითა წესითა დარბაზოვანი ქვენიფნევს"). ჩანს, მსგავსი ლოკალური ხასიათის კულტურულ სააღმშენებლო ყოფითი და თავდაცვითი საქმიანობა ფართოდ იყო გაჩაღებული საქართველოში.

ისროლის ხევში, უკანციხის აშენება, როგორც ჩანს, ემსახურებოდა ჩრდილოეთიდან გადმოსასვლელი გზის ჩაკეტვას.



ცხრაზმის საერისთავო ამ პერიოდში ეკონომიკურად საკმაოდ მოღონიერდა და გაძლიერდა "აღაშენა... ტფილურითა წესითა დარბაზოვანი ქვენიფნევს. ამან შექმნა დიდი ესე ხატი მაცხოვრისაჲ საზომითა ტანისა თჳსისაჲ და მოჭედა იგი. ამანვე შეამკო დიდი ესე ხატი თედორესი და შექმნა ორი კანდელი და დაუკიდა წინა" [236. 349]. დიდსა და ძლიერ საერისთავოს, ასევე დიდი და ძლიერი რეზიდენცია შეეფერებოდა, ამიტომაც აუგიათ "ტფილურითა წესითა დარბაზოვანი".

## §8. ერისთავი ვირშელი (1320-1335 წწ.)

ცხრაზმის ერისთავ ლარგველს დიდხანს არ უცოცხლია. "მოკუდა ლარგუელი. და დაშთეს სამნი ძენი მისნი, და დაჯდა ერისთავად უხუცესი ძე ვირშელი, სრული ყოვლითა კეთილითა" [236. 349]; ლარგველი 1320 წელს უნდა გარდაცვლილიყო.

არაბული წყაროებისა და სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, გიორგი ბრწყინვალემ ორჯერ (1316 და 1320 წლებში) გაგზავნა ელჩობა ეგვიპტეში, ჯვრის მონასტრის დასახსნელად. "ძეგლი ერისთავთას" ცნობით ჯვრის მონასტრის დასაბრუნებლად მოწყობილი ელჩობის დროს ცხრაზმის ერისთავი იყო ვირშელი.

ამდენად, ლარგველი ცხრაზმის საერისთავოს ერისთავად უნდა ყოფილიყო 1318-1320 წწ.

როგორც აღვნიშნეთ, 1320 წლიდან ცხრაზმის ერისთავი ხდება ლარგველის უფროსი შვილი ვირშელი.

## §9. პაპა ქვენიფნეველის ელჩობა იერუსალიმში (1320 წელი)

"ძეგლი ერისთავთა" მოგვითხრობს: "ამას ჟამსა მოვიდა ამბავი კლიტენი იერუსალჱმისანი სპარსთა დაიპყრესო, და

დიდად შეწუხნა მეფე გიორგი, მაშინ წარგზავნა ძე შალვა ერისთავისაჲ, რომელსა ერქუა პიპაჲ, გზასა ჴმელთასა მრავლითა ძღუენითა წინაშე ნისრელისა და წარჰყვა თანა ბანდას ძე დეკანოზი იოვანე და მივიდა პიპაჲ წინაშე ნისრელისა; ხოლო მან სიხარულით შეიწყნარა ძღუენი იგი და მისცნა კლიტენი იერუსალჱმისანი. მივიდა პიპაჲ ზედა საფლავსა ქრისტესსა და შეემთხვა, ჟამი აწირვა, ეზიარა და დეკანოზი იოვანე აკურთხეს მოძღუართ-მოძღუარად. და მოუწერეს სამთავნელსა და ერისთავსა ვირშელსა და ყოველსა ერსა ცხრაზმისჴევისასა, რომელ მოძღუართა მოძღურობაჲ ნუვის ჴელ-ეწიფების თუნიერ ამისსა, და შემდგომად ვინცა იყოს მონასტრის მოძღუარი... (ტექსტში რამოდენიმე სიტყვა წაჭრილი ყოფილა - ვ. ღ.).. მოძღუართ-მოძღუარი ხოლო პიპამან მოილოცნა წმინდანი ადგილნი, და ... წამოვიდა მასვე გზასა ჴმელით და მოვიდა წინაშე მეფისა და მოიღო იერლიყი შეწყალებისაჲ და აღსრულებაჲ ყოვლისა სათხოვლისა მისისაჲ. ფრიად განიხარა გიორგი მეფემან, რამეთუ მოეცნეს კლიტენი ქართველთა" [236. 359].

პიპა ქვენიფნეველისა და დეკანოზ იოანეს ელჩობა იერუსალიმში უნდა მომხდარიყო 1320 წელს [178. 665; 100. 698. 769].

ჯვრის მონასტრის დაბრუნება, ჩვენ ისტორიოგრაფიაში [56. 324; 178. 665-666] ახსნილია როგორც საქართველოს სახელმწიფოს დიდი ძალისა და დიდი ავტორიტეტის საერთაშორისო აქტით დადასტურება, რასაც ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ.

საქართველოს ავტორიტეტის ზრდას, ჩვენი აზრით, ხელი შეუწყო გიორგი ბრწყინვალის (მეფობის დასაწყისში) ფრთხილმა საშინაო პოლიტიკამ ("დიდებულნი და ერისთავნი ვერ სცვალნა ჟამამდინ რიდითა ყეენისათა"), მისმა მეგობრულმა ურთიერთობამ ჩობან ნოინთან. ჩობანის ვაჟი შეიხ მაჰმუდი ხომ ილხანთა 10.000 ლაშქრის მთავარსარდალი იყო საქართველოში [150. 21] და ამდენად, გიორგი V-ის უკან ხომ ყოვლისშემძლე ჩობანი იდგა.



"... ბრწყინვალემან გიორგიმ დაიპყრა საქართველონი, სომხითი, ჰერ-კახნი, ქართლი, მესხნი, ტაო, შავშ-კლარჯნი და ვიდრე სპერადმდე და ზღავადმდე გარნა თუმცა ძენი ბექასნი ფრიად განდიდებულნი იყვნენ და დაეპყრათ სრულიად სამცხე, კლარჯეთი, არამედ ვინაითგან მოეცნეს მეფესა გიორგის ყეენისაგან ამისთვის ვერღარა ურჩექმნენ ძენი ბექასანი" [15. 255-256].

როგორც ვხედავთ, მონღოლებისაგან ქართველ მეფეთა ორგულობაში განდიდებულ დიდებულებს, გიორგი ბრწყინვალემ ისევ მონღოლთა მხარდაჭერა დაუპირისპირა და ამ პოლიტიკური მეთოდით დანაწევრებული საქართველო ისევ ერთიან ძლიერ სახელმწიფოდ აქცია. მართალია ეს სიძლიერე მოჩვენებითი, ბუტაფორული იყო და ემყარებოდა ჩობან ნოინთან, გიორგი ბრწყინვალის მეგობრობას, მაგრამ ამ ბუტაფორულობის უკან ხომ დროის ფაქტორი მუშაობდა.

## §10. გორის განთავისუფლება ოსთაგან (1325-1327 წწ.)

ვახუშტის, საქართველოს განთავისუფლება დიფერენციულად აქვს გააზრებული.

გიორგი ბრწყინვალემ ვახუშტის თანახმად ჯერ ოსები "განასხა", "მერე შევიდა და შემუსრნა კავკასსა შინა მყოფნი, ურჩნი მოსრნა და დაიმორჩილნა და მოხარკე ჰყვნა ყოველნი იგინი და დაამშვიდა ქართლი ოვსთაგან, ვინაითგან გზანი ყოველნი თუთ დაიპყრნა" [15. 256].

"ძეგლი ერისთავთა" ეთანხმება ვახუშტის ამ ცნობას და ახალი დეტალით ავსებს: "მაშინ მოადგა ოვსთა გორს მყოფთა (გიორგი V- ვ. ღ.), და ჰბრძოდა სამ წელ" [236. 350].

როგორც ცნობილია, XIII ს. 70-იან წლებში ოსთა გარკვეული ნაწილი გადმოდის საქართველოში, მალე ისინი მონღოლთა სამხედრო სამსახურში დგებიან და მონღოლთა

უშუალო ხელშეწყობით 1292 წელს იკავებენ გორს [42. 170-171].

ქართველი ხელისუფალნი მაშინათვე ცდილობდნენ ოსთა თარეშის აღკვეთას, მაგრამ ფაქტობრივად ქართველთა ბრძოლა შედეგს არ იძლეოდა. ოსები სარგებლობდნენ მონღოლ მოლაშქრეთა სტატუსით, მათი მხარდაჭერით და წაქეზებით მოქმედებდნენ.

"XIII ს. მეორე ნახევარში და XIV ს. პირველ მესამედში აღმოსავლეთ საქართველო თუმც კი მონღოლთა (ჰულაგიდების) ბატონობის ქვეშ იყო, მაგრამ ამასთანავე გარკვეული შინაგანი ავტონომიით სარგებლობდა. ამის გამო ემიგრირებულ ოსებს ქართლში დახვდა ხელისუფლების ორი დამოუკიდებელი სისტემა: ერთი, ქართული ფეოდალური ორგანიზაცია მეფის მოთავეობით, მეორე მონღოლთა სამხედრო გარნიზონები და ნოინები, რომლებიც ილხანთა (ჰულაგიდების) ბატონობის განმასახიერებელნი და დამცველები იყვნენ. ამ ორი პოლიტიკური ძალის დაპირისპირება იყო მთავარი პოლიტიკური წინააღმდეგობა იმ დროის ქართლში" [42. 188].

ქ. გორის, ოსთაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლის ხანგრძლივობა - სამი წელი, განპირობებული იყო იმ სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ნგრევის სიძნელეებით, რომელიც საქართველოში დაინერგა მონღოლთა მიერ ასი წლის ბატონობის პერიოდში.

ფაქტობრივად ეს იყო შენიღბულ-შეფარული ბრძოლა მონღოლ-ოსებსა და ქართველებს შორის.

შენიღბვა კი იმაში მდგომარეობდა, რომ საქართველოში მიმდინარე მონღოლური სტრუქტურების ნგრევა მაინცდამაინც თვალშისაცემი არ უნდა ყოფილიყო. ქართველებს არ უნდა გაესწროთ იმ პოლიტიკური მოვლენებისათვის (შიდა რღვევა), რაც მიმდინარეობდა ირანის ილხანთა სახელმწიფოში და არც შესაფერისი დრო უნდა გაეშვათ ხელიდან. ეს კი საქართველოს სამეფოს ხელმძღვანელებიდან დიდ პოლიტიკურ გამოცდილებასა და ალღოს თხოულობდა.



ვახუშტის თანახმად ოსთა "განსხმა" მოხდა ჩობან ნოინის სიკვდილით დასჯის წინ. ჩობანი კი სიკვდილით დასაჯეს 1327 წელს. ამდენად, გორის განთავისუფლების ზედა ზღვრად უნდა მივიღოთ 1327 წელი.

ვახუშტის თანახმად, ჩობან ნოინის სიკვდილით დასჯის შემდეგ გიორგი V ცვლის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ფრთხილი ("არამედ დიდებულნი და ერისთავნი ვერ სცვალნა ჟამამდინ რიდითა ყეენისათა"), გამოზომილი მოქმედებიდან აქტიურ პოლიტიკაზე გადადის [15. 256].

## §11. ბრძოლა ლომისის მთაზე 1327 წელს

"ძეგლი ერისთავთას" თანახმად, ცხრაზმის ერისთავს ვირშელს და მისი დროშის ქვეშ მდგომ ცხრაზმელ მებრძოლებს განსაკუთრებული ერთგულება გამოუჩენიათ გიორგი-V-სადმი, ოსებისაგან ქ. გორის განთავისუფლებისათვის წარმოებულ სამწლიან ომში, "ხოლო ვირშელი და ლაშქარი მისი უმჯობეს ჰბრძოდა სპისა ყოვლისაგან, და აქებდეს ქებითა დიდითა, რომელი ესე შეიშურვეს მთიულთა არაგუსათა" [236. 350]. როგორც ჩანს, გიორგი V-ის მიერ აქტიური პოლიტიკის განხორციელების პერიოდში, ცხრაზმის ერისთავი ვირშელი მეფის ერთგული მოხელე იყო. აღნიშნულ ფაქტს - ცხრაზმელთა ერთგულებას სამეფო ხელისუფლებისადმი შემდგომი მოვლენებიც გვიდასტურებენ. გიორგი V-ის ხელისუფლებისადმი საკმაოდ ორჭოფული პოზიცია ჰქონიათ "მთიულთა არაგუსათა".

"მთიულთა არაგუსათა"-ს ცნებას, ძეგლის ავტორი, კიდევ უფრო აკონკრეტებს შემდგომ მოვლენებთან კავშირში "ცხავატელ-გარეთნი და ყოველნი მიმდგომი მათი და... ჯადელ-მოჴევენი და მიმდგომნი მათნი" [236. 351]. ე. ი. ცხავატელ გარეთნი და ყოველნი მიმდგომნი მათი და ... ჯადელ-მოჴევენი და მიმდგომნი მათნი, ვირშელის დროშის ქვეშ არ მდგარან, უფრო მეტიც, ცხრაზმელები და "მთიულთა

არაგვსათა" იარაღით უპირისპირდებიან ერთმანეთს ლომისის მთაზე. ამდენად, ვახტანგ III-ის მიერ ცხრაზმის ერისთავის - შალვა ქვენიფნეველისთვის 1303 წელს ბოძებული "თრუსუჲ, ღუდაჲ, გაგასძენი, მლეთე, არაჭუეთი, ჭანდო" [236. 348], ცხრაზმის ერისთავებს 1327 წლისთვის კვლავ დაუკარგავთ. ცხრაზმის საერისთავოს ჩრდილოეთის საზღვარი ამ პერიოდისთვის ლომისის მთასთან გადიოდა.

"ძეგლი ერისთავთას" ავტორის თანახმად, ლომისის მთაზე მომხდარი ბრძოლა ცხრაზმელებსა და "მთიულთა არაგვსათა"-ს შორის მოხდა მეფის მიერ ცხრაზმელთა ქების გამო, რაც ჩვენი აზრით, სინამდვილეს არ შეეფერება. იგივე ავტორი ბრძოლის დაწყების წინ ცხრაზმელებს ათქმევინებს "მამანი ჩუენნი მცირედნი მძლავრობდიან მამათა მათთა დიდთა და მრავალთა და უკუეთუ არ ვართ შვილნი მამათა ჩუენთანი, რაჲსთჳს გუაქუს მამული მათი" [236. 351].

ჩვენი აზრით, ლომისის მთაზე მომხდარი ბრძოლა მიზნად ისახავდა ცხრაზმის ერისთავის დაკარგული ხელისუფლების აღდგენას – "ცხავატელ გარეთნი და ყოველნი მიმდგომნი მათი და... ჭადელ-მოჭევენი და მიმდგომნი მათნი"-ს ტერიტორიაზე.

აღნიშნული ბრძოლისთვის, ძეგლის თანახმად, ორივე მხარე კარგა ხანს ემზადებოდა. ცხარზმელები ლომისის მთაზე დაბანაკებულან [236. 350]. "ხოლო არაგჳსა მთიულნი დადგეს ღოისთავს,... ტყესა მცირესა ღოისთავისასა და ქარაფსა კლდეთასა" [236. 351].

ლომისის მთაზე მოსულა მეფის ძე დავითი. სავარაუდოა, გარკვეული შეთანხმება მომხდარიყო "მთიულთა არაგვსათა"-ს და მეფის ხელისუფლებას შორის. "და არა ჩაუშუნა ჰომად, (ცხრაზმელები ვ. ღ.), არამედ განყარნა ყოველნი თავის-თავ და წამოვიდეს ყოველნი აზნაურნი ქართველნი, და წარვიდეს ყოველნი თჳნიერ სამთა ჭევთა" [236. 351].



საბრძოლო სამზადისი ფართო მასშტაბისა იქნებოდა, რამეთუ, ლომისის თავზე ცხრაზმელებთან ერთად ყოფილან "ყოველნი აზნაურნი ქართველნი".

ლომისის მთაზე დაბანაკებულნი ემორჩილებიან დავით გიორგი ბრწყინვალის ძეს და ნელ-ნელა იშლებიან ამ ადგილიდან; ბოლოს კი მთიდან მდ. ქსნის სანაპიროზე ჩამოდიან ვირშელი და ცხრაზმის საერისთავოს "სამთა მათ ჭევთა" მებრძოლები.

როგორც კი გაიგეს "მთიულთა არაგვსათა, წარმოვიდეს,... და გამოვიდეს ლომისას, "არ დაემორჩილნენ დავით უფლისწულს, "არამედ მრავლითა გინებითა მოსზახდეს და საგორავსა სიმრავლესა ჩამოჭყრიდეს.

მაშინ ვირშელმან შეკრიბნა მცირედნი იგი ლაშქარნი სამისა ამის ჭევისანი... წარიძღუანეს დროშაჲ და აღემართნეს ორსა მას ქედსა მთასა ლომისისასა, და ჩამოეგებნეს ერთსა ქედსა ცხავატელ-გარეთნი და ყოველნი მიმდგომი მათი და ერთსა მას ჭადელ-მოჭევენი და მიმდგომნი მათნი" [236. 351].

არაგველებმა ვერ გამოიყენეს პოზიციური და რიცხობრივი უპირატესობა, ერისთავმა ვირშელ II-მ ლომისის მთაზე დაამარცხა არაგველები და განდევნა.

ჩვენი აზრით "მთიელთა არაგვსათა"-ს დამარცხების მიზეზი მათი არაორგანიზებულობა და მყარი ხელისუფლების უქონლობა იყო. ვირშელ II გამარჯვებული შემობრუნდა ლომისაზე, "ისტუმრა შინა დავით, ძე მეფისაჲ" [236. 352].

"ძეგლი ერისთავთას" ავტორი არაფერს ამბობს ლომისის მთაზე ბრძოლის შემდგომ, ცხრაზმის ერისთავს დაუქვემდებარა მეფემ "ცხავატელ-გარეთნი და ყოველნი მიმდგომნი მათი და... ჭადელ-მოჭევენი და მიმდგომნი მათნი" - თუ არა? "ძეგლის დების" მიხედვით კი ჩვენთვის ცნობილია, რომ ცხრაზმის ერისთავის ხელისუფლება აღნიშნულ ტერიტორიაზე არ ვრცელდებოდა" მ. ბ. (42)... ლომისისა ვინც გლეხი მოკლას, თუ მეფეთაგან შეწირულია, გინა სხვათა ვისგანმე, ათას ხუთასი თეთრი დაეურვოს. თავით

ძველითგან გაჩენილი არის ლომისას სამძღვარსა ზედა, ამიერ ჴადა-ცხავატის მიმდგომი არის და აგრეთვე გაჩენით იყოს" [237-ა. 103, 104]. ერთგვარი საზღვარი: ცხრაზმასა და "მთიულთა არაგუსათას" შორის რომ ლომისაზე გადიოდა, ჩანს მომდევნო 43 - მუხლშიც [237-ა. 105].

ამ (42) მუხლში ასევე მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ლომისის ეკლესიას "შეწირული" გლეხის სისხლი, "ათას ხუთას თეთრად" არის შეფასებული. "ხოლო ამ დროის ბარში გლეხის სისხლი ჩვეულებრივ 400 თეთრია, ზოგჯერ - 1000 თეთრი" [178. 635].

ის, რომ ლომისის ეკლესიას შეწირული გლეხის სისხლის ფასი არის 1500 თეთრი, ხომ არ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ამ გლეხთა ვალდებულება განსაკუთრებული იყო? და მათ ფუნქციაში შედიოდა ლომისაზე გადმოსასვლელი გზის ჩაკეტვა. თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, მაშინ გასაგები ხდება, "ძეგლი ერისთავთას" ავტორის, შემდგომი დროის მოვლენების გადმოცემა - "მაშინ ჩამოვიდნენ ცხავატელნი ჟამურს და მისცა ღმერთმან გამარჯვებაი გიორგის, ძმასა ერისთავისასა და გააქცივნეს აღმა მთისა სიმაღლესა" [236. 352]. ე. ი. ლომისის ეკლესიისათვის შეწირული გლეხები იცავენ გადმოსასვლელს და ცხავატელები სხვა გზით გადმოდიან ცხრაზმელთა (ჟამურელთა - ვ. ღ.) დასარბევად.

სოფ. ლომისის მოსახლეთა ფუნქცია გარკვეულწილად სამხედრო სამსახური რომ ყოფილა, ჩანს ხალხურ ლექსშიც:

"ხოროშან ლაშქრად ვიყვენით ჩვენ ლომნი ლომისისანი,
იქ გავიგონეთ ჟღერანი ჟამურ ბერციხის კლდისანი.
მუხლი გვქონდა და ვიხმარეთ ამ ჩემის ჭარმაგისანი,
სადილით სამხრობამდისა ჟამურს დავლახეთ ქვიშანი,
შვიდნი ჩვენ-შვიდას ქსნელები სისხლის ტბად
შევიყარენით,
გაშჭრა ი შაბათის ძალმა, ბარდაბარ გავიყარენით" [124. 15].



ამდენად, ცხრაზმის საერისთავოსა და "მთიულთა არაგუსათა"-ს საზღვარი ამ პერიოდისათვის - (ლომისის მთაზე ბრძოლის შემდგომ XIV ს. 30-იანი წლები) ლომისის მთის გაყოლებით განისაზღვრა და საზღვრის ჩაკეტვა, ლომისის ეკლესიისათვის შეწირულ გლეხებს დაევალათ.

ლომისის მთაზე დამარცხების შემდეგ სიტუაცია "მთიულთა არაგუსათა"ს ტერიტორიაზე კიდევ უფრო გართულებულა, არა მყარი ხელისუფლების არსებობამ კი მათთან თითქმის ანარქიული მდგომარეობა შექმნა.

საჭირო იყო მკვეთრი, სამართლებრივ-ადმინისტრაციული ღონისძიებანი ანარქიული მდგომარეობის აღსაკვეთად, რაც საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებამ სათანადო სამზადისის შემდეგ კიდეც გაატარა.

"ჩვენ, მეფეთ მეფემან გიორგიმ,... დავდევით ძეგლი განაჩენი ესე მას ჟამსა, ოდეს შევედით მთიულთა შიგან მოსავლელად,... წარვედით.... და შევედით სასახლესა ჩვენსა ჟინვანს. და მუნით მივედით ჴადა-ცხაოტს და... გავიგონეთ მათნი საქმენი,... და მივედით დარიალამდის,... დარიალით მობრუნებულთა, ვილოცეთ ლომისის მთავარმოწამის წინაშე და ჩამოვიარეთ ცხრაზმისჴევი და მოვიკვლიეთ მუნებური სასაქმო.

მოვედით მუხრანს, საზამთროსა ჩვენსა და დავდეგით და შემოვედით ქალაქსა, და შემოვიტანეთ თემისა და თემის ერისთავნიდა ჴევისთავნი და ჴევისბერნი და ეროვანნი. დავსხედით და დავსვით,... "[237-ა. 35-36].

ამდენად, შექმნილი უმართავი სიტუაციისა და ანარქიის პირობებში, სამართლებრივი ვაკუუმის შესავსებად მეფე გიორგი ბრწყინვალემ "მთიულთა" (ალბათ უნდა იყოს "მთიულთა არაგუსათა" - ვ. ღ.) დაუწესა სამართლებრივი ცხოვრების აქტები - "ძეგლის დება".

აღნიშნული ძეგლის დადება, ი. დოლიძის გამოკვლევის თანახმად უნდა შემდგარიყო 1335 წელს [63. 15].

ლომისის მთაზე მომხდარი ბრძოლიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ გიორგი ბრწყინვალე მოგზაურობს არაგვ-

ის მთიულეთში, მიდის დარიალამდის, ბრუნდება უკან, გადმოივლის ლომისას, ჩამოვა ცხრაზმაზე, სადაც მოიკვლევს იქაურ საქმეებს და გაარიგებს გარკვეულ წესს.

## §12. წითლოსან ლარგველის ძე (1335-1344 წწ.)

"ძეგლი ერისთავთას" ავტორი, არაფერს ამბობს გიორგი V-ის მთიულეთში მოგზაურობასა და ლომისაზე გადმოვლით ცხრაზმაში გარკვეული წესის დადგინებაზე. მხოლოდ ერთი რამ – ლომისის მთაზე ბრძოლის გარკვეული პერიოდის შემდეგ "და მოკუდა ერისთავი ვირშელი და მეუღლე მისი გუანცა სამსა დღესა შინა, და დარჩეს სამნი ძენი მისნი ქუენიფნეველი, იოვანე და გიორგი, რამეთუ მცირე იყუნეს. მაშინ წინამძღვარ ექმნა ცხრაზმის ჴეველთა წითლოსანი ბიძაჲ მისი ცხრა წელ" [236. 352]. ჩვენი აზრით, გიორგი ბრწყინვალის ცხრაზმაში გადმოსვლა "და მოვიკლევით მუნებური სასაქმო" უნდა ასახავდეს ვირშელ II-ის გარდაცვალების პერიოდს და ცხრაზმის საერისთავოს წინამძღვრად წითლოსანის დანიშვნას. თუ ჩვენი მსჯელობა სწორია, მაშინ, ვირშელ II ცხრაზმის ერისთავად ყოფილა 1320-1335 წლებში.

წითლოსან ლარგველის ძე ცხრაზმის საერისთავოს წინამძღვარი ყოფილა "ცხრა წელ", ე. ი. 1335+9=1344.

## §13. ერისთავი ქვენიფნეველი (1344-1373 წწ.) "პროვინციის სამეფოს" შემადგენლობაში

წითლოსან ლარგველის ძის ცხრაზმის საერისთავოს წინამძღოლად ყოფნის დროს რა ვითარება იყო ცხრაზმასა და "მთიულთა არაგჳსათას" ტერიტორიაზე, ჩვენთვის ხელმისაწვდომი წყაროები სდუმან, რაც გვავარაუდებინებს, რომ ამ პერიოდში (1335-1344 წწ.) აღნიშნულ ტერიტორიებზე შედარებით მშვიდობიანი ცხოვრება ყოფილა. ამ დროისათვის ვირშელ II-ის ძე ქვენიფნეველი სრულწლოვანი გამხდარა - "აღიზარდა ქუენიფნეველი და დაჯდა ერისთავად" [236. 352]. ქუენიფნეველს დიდი მშენებლობა ჩაუტარებია ქვენიფნევსა და ლარგვისში როგორც საერო, ასევე საეკლესიო ხაზით [236. 352].

"ძეგლი ერისთავთას" ავტორი მოგვითხრობს - "ამათ ჟამთა იყო შალვა ერისთავისა ნათესავი სამოცდათორმეტი შუბოსანი და ყოველნი მორჩილებასა ქუეშე ქუენიფნეველისა" [236. 352]. აქ მეტად საგულისხმო ფაქტთან გვაქვს საქმე:

1. ქვენიფნეველი ცხრაზმის ერისთავობას მტკიცედ ღებულობს მემკვიდრეობით ("მაშინ წინამძღვარ ექმნა ცხრაზმისჴეველთა წითლოსანი... ცხრა წელ"). წითლოსანი ერისთავი არ ყოფილა. ერისთავობა უკვე მკვიდრად გადადის მამიდან უფროს ვაჟზე, ე. ი. ამ პერიოდისათვის ერთგვარად სრულდება ცხრაზმის საერისთავოს, როგორც მეფის სამოხელეოს გარდაქმნა ცხრაზმის საფეოდალოდ.

2. ქუენიფნეველის გაერისთავება და წითლოსანის გადაყენება არც ისე უმტკივნეულოდ უნდა მომხდარიყო, როგორც ეს ძეგლის ავტორს სურს წარმოგვიდგინოს. "სამოცდათორმეტი შუბოსნის" არსებობა თავისთავად მიგვანიშნებს არასტაბილურ ვითარებაზე და იმაზეც, რომ ერისთავს, რომლის პირად უშიშროებასაც ემსახურება "სამოცდათორმეტი შუბოსანი", ჰყავს ძლიერი პოლიტიკური მოწინააღმდეგე, მის სახელისუფლო ტერიტორიაზე კი სიმშვიდე არ არის. ამ მოსაზრებას გვიდასტურებს "ძეგლი ერისთავთა": "მაშინ ჩამოვიდეს ცხავატელნი ჟამურს და მისცა ღმერთმან გამარჯვებაჲ გიორგის, ძმასა ერისთავისასა და გააქცივნეს აღმა მთისა სიმაღლესა და ვითარც აღვიდეს მთად, დაუდგეს წინა მამასახლისნი და აღარ სდევნეს რამეთუ თქუეს: ჴმა არს ბრალი ესე, რამეთუ მომკუდარ იყო. გარე-

შე წურილისა ერისა: ... ი-ც (18. ვ.დ.) თავადი ჰევისბერი ცხავატელი" [236. 352].

როგორც ჩანს, კვლავ არასტაბილური ვითარება შეიქმნა "მთიულთა არაგჳსათას" ტერიტორიაზე (მაშინ ჩამოვიდნენ ცხავატელნი ჟამურს.."). გამოდის, რომ გიორგი ბრწყინვალის "ძეგლის დება" არ (ან ვერ) გატარებულა ცხოვრებაში და არ (ან ვერ) შეასრულა ის პროფელაქტიკური დანიშნულება, რაც მას ეკისრებოდა. "და მეორესა წელსა მოუჳდეს ყოველნი დვალნი მაშინ ბრძოლა უყვეს ჟამურელთა და იყუნეს ბეგრის მკრეფელნი ცხაზმელნი და მივიდეს იგიცა და ვითარცა ესმა დვალთა მისლვაჲ ცხრაზმელთაჲ ზარი დაეცა და გაიქცეს... " [236. 353].

ჩვენი აზრით "მთიულთა არაგჳსათას", ცხრაზმის საერისთავოს, დვალეთის ტერიტორიაზე შექმნილი არასტაბილური ვითარება და 1348 წლის ანდრონიკე მეფის სიგელი ბოძებული წითლოსან ლარგველის ძისადმი, გარკვეულწილად კავშირშია ერთმანეთთან.

ანდრონიკე მეფის სიგელი: "ქ. სახელითა ღმრთისაჲთა, ანდრონიკესაგან ბაგრატუნიანის,... მოვიდა ჩუენსა წინაშე ქუენიფნეველი, ლარგველისა შვილი წითლოსან და გუეაჯა და მოგუაჴსენა, რაითამცა ქართლს მუხუსძისა სალარისეულნი სოფელნი: კარბაჲ და გარეჯარ ბაკურის უბანი მისთუისმცა მიგუებოძნეს.

დაგუაჯერა ღმერთმან და ვისმინეთ აჯაჲ ქუენიფნეველისაჲ, წითლოსანისი, ვინაიდგან მათის ცოლის ძმის მუხუს ძეს სალარესცა მისთუის და მისთა დისწულთათუის უანდერძე მისი მამული, ჩვენცა შევიწყალეთ და მიუბოძენით ქართლის სოფელნი: კარბაი და გარეჯარ ბაკურის უბანი. მისითა სამართლიანითა მძღვრითა მკჳდრად, სამამულოდ, შეუვალად და შეუცვალებლად... აწ, ვინცა ჰნახოთ ბრძანებაჲ და სიგელი ესე ჩუენი: "შემდგომად ჩუენსა მამავალთა მეფეთა და დედოფალთა, კარის ჩუენის ვაზირთა და მოურავთა, ერისთავთა-ერისთავთა და ქართლის ერისთავთა, გორის და ჩვენთა ციხისთავთა და მეციხოვნეთა და



გორის მოურავთა, მერემაეთა, მეჯინიბეთა, ბაზიართა, მონადირეთა, ხვარბლის მკრეფელთა, მესაბანჯრეთა, მეკულუხეთა და ყოველთავე კართ ჩუენთა სასაქმოდ წარგზავნილთა, დაუმტკიცეთ... დაიწერა ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი ინდიკტიონს მეფობასა ჩუენისა მეცხრესა, ქორონიკონსა ლვ... " [206. 98-99].

ამ სიგელითა და ისტორიულ წყაროთა სხვა მონაცემებით დგინდება: იმისდა მიუხედავად, რომ გიორგი ბრწყინვალემ განსხვავებული აზრის მქონე პოლიტიკური მოწინააღმდეგე დიდებულები XIV ს. 30-იან წლებში თითქმის ფიზიკურად ყველა გაანადგურა, საქართველოს ცენტრალური სამეფო ხელისუფლების პოლიტიკური ძალაუფლება 1348 წლისთვის საკმაოდ დამცრობილია. "პროვინციის მეფეს" ანდრონიკე დავით VIII-ის ძეს ხელი მიუწვდება: ჯავახეთზე-ალასტანითურთ, ქვემო ქართლის, სომხეთის, შიდა ქართლის გარკვეულ ტერიტორიაზე [152. 124-125]. "პროვინციის მეფის" ანდრონიკეს შეწევნით წითლოსან ლარგველის ძე ღებულობს მემკვიდრეობით სოფლებს - კარბსა და გარეჯვარ ბაკურის უბანს.

ავგაროზ ბანდაისძე 1348 წლის მინაწერით "პარაკლიტონზე" ახალი ფერებით აშუქებს, ისედაც არასასურველ სურათს – "ჰელვყავ და ვიწყე წერად დიდსა სიგლახაკესა და ეტრატისა სიძვირესა და შფოთსა და უცალობასა შინა, წელს მას, რომელსა იყო დიდი სიკუდილობა, ქორონიკონი იყო ლვ/=1348/,..." [236. 319].

ამდენად, შეიძლება ვივარაუდოთ: XIV საუკუნის 40-იანი წლებიდან, ჯერ კიდევ გიორგი ბრწყინვალის მეფობაში (გარდაიცვალა 1346 წ.), საქართველოში ახალი ძალით იწყება ძმათა შორის სახელისუფლო ძალაუფლების ხელში ჩაგდების ვნებათა ღელვა, რომლის დამღუპველი შედეგებიც მალე იჩენენ თავს.

საქართველოს სამეფოს ცენტრალური ხელისუფლება საკმაოდ შეუვიწროვებია დავით VIII-ის მემკვიდრეებს ("ინ-

დიკტიონსა მეფობისა ჩუენისა მეცხრესა, ქორონიკონსა ლვ" ე. ი. 1348-9= 1339წ.).

გიორგი ბრწყინვალე იძულებულია შეურიგდეს სამეფოს დაშლას.

"პროვინციის მეფე" ანდრონიკე 1348 წლისთვის ფლობს ჯავახეთს ალასტანითურთ, ქვემო ქართლის, სომხეთის, შიდა ქართლის გარკვეულ ტერიტორიებს.

ასეთივე არასტაბილური ვითარებაა ცხრაზმის საერისთავოს ტერიტორიაზეც. ერისთავი ქუენიფნეველი ჟამურიდან (ცხრაზმის საერისთავოში შემავალი მცირე ადმინისტრაციული ერთეული - ხევი) ბეგარის აკრეფას შეიარაღებულ პირთა საშუალებით ახერხებს. თითქმის მუდმივ თავდასხმებს აწყობენ დვალები ცხრაზმის საერისთავოზე. თვით ერისთავის უშიშროებას ემსახურება სამოცდათორმეტი შუბოსანი,... და ყოველივე ამ უბედურების თავი და თავი შიდა სახელმწიფოებრივი (შიდა საერისთავო), ძმათა - შორის აშლილობაა.



# მესამე თავი

## §1. შიდა აშლილობა

XIV საუკუნის შუა პერიოდში, მონღოლთა ბატონობისაგან გარკვეულწილად თავდახსნილ საქართველოს მეტად მძიმე დღეები ადგა. "ჰელვყავ და ვიწყე წერად დიდსა სიგლახაკესა და ეტრატისა სიძვირესა და შფოთსა და უცალობასა შინა, წელსა მას, რომელსა იყო დიდი სიკუდილობაი ქორონიკონი იყო ლ-ვ (=1348 წ.)" [236. 319]. მწუხარებით მოსთქვამს ცხრაზმელი მწიგნობარი ავგაროზ ბანდაისძე. პარაკლიტონზე, ავგაროზ ბანდაისძის, ამ მინაწერით ვიგებთ, რომ ამ პერიოდის მოსახლეობა უკიდურესად გაღატაკებულია ("დიდსა სიგლახაკესა"), ქვეყანაში შექმნილია არასტაბილური ვითარება (შფოთსა და უცალობასა"), რასაც ზედ დართვია დიდი სიკვდილიანობა. ("დიდი სიკუდილობაჲ"). სიკვდილიანობა, როგორც ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობს, შავი ჭირის გავრცელებას უნდა გამოეწვია, რომელიც 1346 წელს გაჩენილა ოქროს ურდოში და შემდგომ საქართველოშიც შემოუღწევია [257. 179-180].

"ძეგლი ერისთავთას" ავტორი XIV ს. შუა პერიოდის მოვლენებთან დაკავშირებით მოგვითხრობს ცხრაზმის საერისთავოზე დვალების მეკობრულ თავდასხმას და ცხრაზმის ერისთავის ქვენიფნეველის საპასუხო ღონისძიებების შესახებ. "მოუჴდეს ყოველნი დვალნი მაშინ ბრძოლა უყვეს ჟამურელთა და იყუნეს ბეგარის მკრეფელნი ცხრაზმელნი და მივიდეს იგიცა და ვითარცა ესმა დვალთა მოსვლაჲ ცხრაზმელთა, ზარი დაეცა და გაიქცეს და შეიხუეწნეს ციხეთა ქნოლოჲსათა,..., მაშინ განრისხნა ქუენიფნეველი და განილაშქრა ქნოლოს და დაარღუნა ციხენი მათნი,..., ამისსა შემდგომად დვალთა წაასხეს ხუსდაგი ჟამურით ესმა ერისთავსა და წარვიდა,.. და წარმოვიდა დიდად განმარჯვებული" [236. 353].

"ძეგლი ერისთავთას" ავტორი არაფერს აღნიშნავს თუ
რა ღონისძიება ჩაატარა საქართველოს სამეფოს ხელისუფ-
ლებამ (ცენტრალურმა და პროვინციისამ) განუკითხაობის
აღსაკვეთად ან ვისი ხელდასხმით მოხდა დვალთა მიერ
(საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქ-
ციაში მყოფნი), ცხრაზმის საერისთავოს (პროვინციის სა-
მეფოს შემადგენლობაში მყოფნი), ტერიტორიის დარბევა.

შიდასახელმწიფოებრივი აშლილობა, არასტაბილური
ვითარება, ცენტრალური ხელისუფლების სისუსტე და უუნ-
არობა კიდევ უფრო მკვეთრად ჩანს შემდგომი მოვლენების
გადმოცემისას: "ხოლო გიორგი, ძმაჲ ერისთავისაჲ, უმც-
როჲსი, ლაშქრობდის იქით არაგჳსა და ტყუენვიდის, რამე-
თუ იყო კაცი გონიერი და შემართებული" [236. 353].

საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლების დაქვემდე-
ბარებაში მყოფ არაგველებსა და "პროვინციის" სამეფოს
დაქვემდებარებაში მყოფ ცხრაზმელთა ურთიერთდარბევა
და აწიოკება ისე გახშირებულა, რომ ცხრაზმის ერისთავ-
ის უმცროს ძმას გიორგის, რომელმაც არაგველები დალა-
შქრა, მემატიანე, "კაცი გონიერი და შემართებული", ეპით-
ეტებით ამკობს. მიუხედავად იმისა, რომ გიორგი ბრწყინვა-
ლის სამართალი - სახელმწიფო კანონი - "ძეგლის დება"
კრძალავდა ასეთ თავდასხმებს მუხლი - 42". ამიერნი ჴევი-
სბერნი და ჰეროვანნი იმიერთ ნუოდეს მიუდგებიან, ნუცა
სალაშქროდ, ნუცა სასაუროდ ისაქმებენ ერთმანეთთანა
თავის-თავისასა საერისთავოსაგან კიდე.

და რომელიც მიუდგება, - თუ გინდ იმიერი ამიერსა ანუ
ამიერი იმიერსა, - დარბაზით მამული წაეღოს და ციხე და-
ექციოს" [63-103), ხოლო თუ მაინც მოხდებოდა მიხდომა სა-
მართალი - კანონი, დამნაშავის დასჯას თხოულობდა "და-
რბაზით მამული წაეღოს და ციხე დაექციოს"-ო.

"ძეგლი ერისთავთას" ავტორის თანახმად არც ამ ლაშქ-
რობას მოჰყოლია სამეფო (ცენტრალური და "პროვინციის")
ხელისუფალთაგან რაიმე აღმკვეთი ღონისძიება, თუმცა
მათ, ამას პირდაპირ ავალებს "ძეგლის დება", რაც მიგვანი-



შნებს, მათ შორის - (ცენტრალურსა და პროვინციის") -
არსებულ მტრობასა და ცენტრალური ხელისუფლების სი-
სუსტეზე.

1327 წელს, როცა ლომისის მთაზე ერთმანეთს შეებრძო-
ლნენ ცხრაზმელები და არაგველები, სამეფო ხელისუფლე-
ბამ, სისხლისღვრის თავიდან აცილების მიზნით გარკვეუ-
ლი ღონისძიებები გაატარა - გამოგზავნა მეფის ძე დავითი
(შემდგომში დავით IX), რათა ბრძოლა არ მომხდარიყო, მა-
გრამ არაგველები არ დაშოშმინდნენ და დაისაჯნენ კიდევ-
აც [225. 153]. ამდენად, 1327 წ. "ძეგლი ერისთავთას" ავტორ-
ის თანახმად სამეფო ხელისუფლება ცდილობს გარკვეული
პროფილაქტიკური ღონისძიებებით აღკვეთოს ცხრაზმელებ-
სა და არაგველებს შორის სისხლისმღვრელი ბრძოლა, მა-
შინ, როცა, იმავე ავტორის თანახმად XIV ს. 50-იან წლებ-
ში, სამეფო ხელისუფლება არავითარ აღმკვეთ ღონისძიებ-
ას არ ატარებს. თუმცა არსებული სამართალი - "ძეგლის
დება" ხელისუფალთ პირდაპირ ავალებს - დამნაშავეს "და-
რბაზით მამული წაეღოს და ციხე დაექციოს"-ო, რაც მიგ-
ვანიშნებს ამ - XIV ს. 50-იანი წლების ცენტრალური სამე-
ფო ხელისუფლების დასუსტებაზე 30-იანი წლების სამეფო
ხელისუფლებასთან შედარებით.

XIV საუკუნის 30-იან წლებში ცხრაზმის საერისთავო
ცენტრალური ხელისუფლების დაქვემდებარებაში მოჩანს.
კერძოდ, 1327 წელს ტახტის მემკვიდრე უფლისწული დავი-
თი ცხრაზმის საერისთავოშია და ცხრაზმის ხელისუფლებ-
აც ემორჩილება მას. შემდგომ 1335 წლისთვის გიორგი
ბრწყინვალე ლომისაზე გადმოვლით ცხრაზმის საერისთავ-
ოს ჩამოივლის – "ჩამოვიარეთ ცხრაზმისჴევი და მოვიკ-
ლევით მუნებური სასაქმო" [63. 103]. ი. დოლიძის განმარტე-
ბით "სასაქმო ეწოდება ყოველგვარ სადავო, სასარჩლო სა-
ქმეს, როგორც სისხლის სამართლის საქმეს, ისე სამოქა-
ლაქო ხასიათის დავას [63. 68]. გაარიგებს გარკვეულ საქმ-
ეს და დაბრუნდება თბილისში [225. 153]. აღნიშნული გვა-
ფიქრებინებს, რომ XIV ს. 30-იან წლებში ცხრაზმის საერი-

სთავო არ შედის "პროვინციის" სამეფოს შემადგენლობაში, ხოლო "პროვინციის მეფის" ანდრონიკეს მიერ წითლოსან ლარგველის ძისადმი ბოძებული 1348 წლის სიგელით ნათელია, რომ ცხრაზმის საერისთავო არის "პროვინციის მეფის" დაქვემდებარებაში [206. 98-99]. ე.ი. ცხრაზმის საერისთავო "პროვინციის მეფის" დაქვემდებარებაში გადაუციათ ქართლის მთიანეთზე გიორგი ბრწყინვალის "ძეგლის დების" შემდგომ - 1335-1348 წლებს შორის. აქვე დაუდგენიათ ცხრაზმის საერისთავოსა და არაგველთა შორის საზღვარი: "თავით ძუელითგან გაჩენილი არის ლომისის სამძღვარსა ზედა, ამიერ ჭადა-ცხავატის მიმდგომი არის, და აგრეთვე გაჩენით იყოს" [63.117]. თუ როდის გადავიდა ცხრაზმის საერისთავო "პროვინციის სამეფოს" შემადგენლობაში, დღეისათვის არსებული მონაცემებით უფრო ზუსტად განსაზღვრა არ ხერხდება. XIV ს-ის შუა პერიოდში "პროვინციის სამეფო" ძირითადად მოიცავდა: ჯავახეთს - ალასტანითურთ, ქვემო ქართლის, სომხეთის, შიდა ქართლის - ცხრაზმის საერისთავოს ჩათვლით გარკვეულ ტერიტორიებს [152. 126].

რამდენ ხანს გაგრძელდა ცენტრალური ხელისუფლების დაქვემდებარებაში მყოფ საქართველოს და "პროვინციის მეფეთა" იურისდიქციაში არსებულ საქართველოს (ქართველებს) შორის ბრძოლა და სისხლისღვრა?

თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში მიმდინარე მოვლენები (შიდაარეულობა) იყო ერთგვარი გაგრძელება მონღოლთა სახელმწიფოში მიმდინარე იმავე (შიდაარეულობა) მოვლენებისა - "XIV ს-ის 50-იან წლებში საილხანოს ნანგრევებზე პატარ-პატარა სამთავრო-სახანოები წარმოიქმნა. ეს სახანოები ერთმანეთს ებრძოდნენ და ხალხს აწიოკებდნენ" [56. 333]; შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქართველოში გაშლილი შიდაარეულობა საკმაოდ დიდხანს 90-იანი წლების დასაწყისისამდე უნდა დამთავრებულიყო.



## §2. ერისთავ ქვენიფნეველის სიკვდილი

მართალია 1357 წლისათვის დასრულდა მონღოლთა ფორმალური ბატონობა საქართველოში [178. 688], მაგრამ ფაქტობრივი მფლობელობა შენიღბული სახით კვლავ გრძელდებოდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ 1366 წელს საქართველოში გავრცელებული შავი ჭირისაგან გარდაიცვალა ბაგრატ V-ის მეუღლე ელენე [257. 18; 56. 333].

"ამათ ჟამთა მოვიდეს თურქნი წინამძღომითა ბაედარის ძისა ხოსიაისითა და მოკლეს მეფე გიორგი და ყოველნი მთავარნი და დიდებულნი ქართველნი. და მუნვე მოკუდა ერისთავი ქუენიფნეველი ქორონიკონი: ი-ა" [236. 354] 1373 წელს.

დღეისათვის უკვე დადგენილია, რომ მეფე გიორგი არის "პროვინციის მეფე" გიორგი ალასტანელი [152. 124-125], რომლის "პროვინციის მეფის" ამილახორი არის ცხრაზმის ერისთავი ქუენიფნეველი, რომელიც დაიღუპა "პროვინციის მეფე" გიორგი ალასტანელთან ერთად 1373 წ. 6 აგვისტოს [8.90-91].

"ძეგლი ერისთავთას" ავტორი არაფერს გვეუბნება, თუ როდის, რა დამსახურებისათვის მისცა "პროვინციის მეფემ" ცხრაზმის ერისთავ ქუენიფნეველს ამილახვრობა, თუმცა ქუენიფნეველის კარგ მხედართმთავრობას სიამაყით აღნიშნავს: "მაშინ განრისხა ქუენიფნეველი და განილაშქრა ქნოღოს და დაარღუვნა ციხენი მათნი და მოწუა ქუეყანაჲ მათი" [236. 353].

ხელმწიფის კარის გარიგების მიხედვით "ამილახორი ვეზირი არის ამირსპასალარისა" [203.40]. იცავდნენ თუ არა "პროვინციის მეფეთა" კარზე ცენტრალურ სამეფო კარზედ დაკანონებულ ეთიკეტს - ხელმწიფის კარის გარიგებას, ჩვენთვის ხელმისაწვდომი მონაცემებით დაუდგენელია. მხოლოდ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დადგენილი სამეფო კარის ეთიკეტი მუშაობდა, როგორც ცენტრალურ, ასევე "პროვინციის მეფეთა" კარზე.

"ამირსპასალარის მოადგილე იყო ამილახორი (პარ.18). იგი პატივით გათანაბრებული იყო მეჭურჭლეთუხუცესსა და მსახურთუხუცესთან (§25).

ამილახორი სავაზიროს სხდომას ესწრებოდა, მაგრამ მას მხოლოდ სათათბირო ხმა ჰქონდა,...

ჯარი, რომელსაც ამირსპასალარი მეთაურობდა შედგებოდა ქვეითისა და ცხენოსნებისაგან. ამილახორის საქმიანობა ძირითადად ცხენოსანი ლაშქრის და მასთან დაქვემდებარებულ საკითხებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. საყურადღებოა, რომ ამილახორი "ვეფხისტყაოსანში" ასეთ კონტექსტშია მოცემული: "ამილახორი, მოასხი რემა, ცხენი და ჯოგია", უბრძანებენ მას. [203. 26].

## §3. ერისთავი იოვანე 1373-1390 წწ.

ჩვენ მიერ ადრე [225. 77] დადგენილია, რომ ქუენიფნეველი ცხრაზმაზე გაერისთავდა 1344 წელს, ე.ი. ერისთავობდა 1344-1373 წლის 6 აგვისტოს ჩათვლით, რომლის შემდგომაც ცხრაზმის ერისთავი ხდება მომდევნო ძმა, იოვანე.

"ძეგლი ერისთავთას" ავტორი არაფერს გვეუბნება ქუენიფნეველის მემკვიდრის შესახებ - სავარაუდოა, რომ ქუენიფნეველს მემკვიდრე არ დარჩა.

"ხოლო იოვანე სიმჴნითა და სიქველითა თჳსითა განერა მათგან, სასტიკათ ბრძოლილი, მოვიდა და დაჯდა ერისთავად და ახოვნებასა სიმჴნესა მისსა ზედა შესძინა სამართალი" [236. 354].

მაშასადამე, 1373 წლის 6 აგვისტოს, იოვანეს მოუხერხებია გამოჴრიდებოდა უეჭველ სიკვდილს, დაბრუნებულა ცხრაზმაზე "და დაჯდა ერისთავად".

ტექსტიდან ირკვევა, რომ იოვანე ერისთავად თვითონ "ჯდება". მას მეფე (არც ცენტრალური და არც "პროვინციის") არ "სვამს" ერისთავად. მაშასადამე იგი უკვე აღარაა მეფის მოხელე, იგი უკვე ფეოდალია, რომელსაც სამოხე-





ლეო, სათავისთავო მამულად უქცევია. ამ მხრივ იოვანე ჰბაძავს უფროს ძმას ქუენიფნეველს ("აღიზარდა ქუენიფნეველი და დაჯდა ერისთავად") [236. 352].

მემატიანე ნათელი ფერებით ხატავს იოვანეს პორტრეტს, "რამეთუ იყო იგი მამა ობოლთა, შემწე უღონოთა, ჴელის ამპყრობელ დაღონებულთა და ფრიად საზარელ მტერთა და მრისხანე ბოროტის მოქმედთა ზედა, მოშიშ ღმრთისა, მოყუარე მღდელთა, პატივისმცემელ მონაზონთა, განმადიდებელ ეკლესიათა, შემამკობელ ხატთა,..., და ურცხვნელ საკაცობოჲთა მოქმედებითა" [236. 354].

ცხრაზმის ერისთავ იოვანეს, იმავე 1373 წლის მიწურულს, ან 1374 წლის დასაწყისში უნდა მოეყვანა ცოლი - "მაშინ მოიყვანა მეუღლე პატივოსანი, კეთილი,..., მაშინ ევედრებდეს ღმერთსა ყოვლით ერითურთ მოცემად შვილისა და შეისმინა ღმერთმან ვედრებისა მათისაჲ და მისცა მათ ყრმაჲ წული" [236. 354]. ამ სტრიქონის გასწვრივ, მარცხენა კიდეზე მთავრულით მიწერილია: "ქ-კ ნ ი-დ" 164=1376), რაც ვირშელის დაბადების თარიღი უნდა იყოს [236. 354].

ამდენად, ვირშელ იოვანეს ძე დაბადებულა 1376 წელს, რომელიც გარკვეული პერიოდის შემდეგ ("რაჟამს სძესა განეყენა") [236. 355], სწავლა-აღზრდის მისაღებად წაუყვანია მამიდას [236. 355].

მალე, იოვანეს მეუღლეს მეორე ბავშვი შესძენია და მშობიარობისას გარდაცვლილა ("შვა ქალი და მიიცვალა") [236. 355].

პირველი ცოლის გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგ იოვანეს მოჰყავს მეორე მეუღლე - "ასული ღმრთივ-გჳრგჳნოსნისა დავით მეფეთ-მეფისა გიორგის ძისაჲ, რომელსა ეწოდა გულშარ." [236. 355]. დავით მეფეთა მეფე უნდა იყოს "პროვინციის მეფე" ანდრონიკეს მეორე შვილი, (გიორგი ალასტანელის ძმა. ეს გიორგი მოკლეს თურქებმა 1373 წლის 6 აგვისტოს). დავითს ჰყავდა ძეები: გიორგი და ალექსანდრე [154. 181]. სწორედ ამ გიორგის ქალიშვილი უნდა იყოს გულშარ. ეს უნდა მომხდარიყო ჩვე-

ნი ანგარიშით 1380 წლის ახლო პერიოდში. გულშართან იოვანეს ორი ასული შესძენია, რაც დაახლოებით იძლევა 1380+1+1=1382 წელს.

## §4. ᲓᲕᲐᲚᲗᲐ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲔᲑᲘ

"ამასა ჟამსა იყო შფოთი" [236. 355] წერს ცხრაზმელი მემატიანე, მაგრამ წყაროების სიმწირის გამო არა გვაქვს საშუალება ზუსტად განვსაზღვროთ თუ რა არეულობა და შფოთი იყო XIV ს-ის 80-იან წლების საქართველოში. მაგრამ არეულობა და შფოთი მარტო საქართველოში არ ყოფილა. "სომხეთი ყველაზე მძიმე პირობებში იმყოფებოდა XIV ს-ის 80-იან წლებში. საუკუნეთა მანძილზე იქ მოშლილი იყო ერთიანი სახელმწიფოებრივი ორგანიზმი, ხოლო მისი ტერიტორია ქცეული იყო სხვადასხვა მომთაბარე ტომთა რბევა-თარეშის ასპარეზად" [194. 43]. თუ გავითვალისწინებთ, რომ სომხეთის გარკვეული ტერიტორია, ისევე როგორც ცხრაზმის საერისთავო, "პროვინციის მეფეს" ემორჩილებოდა, სრულიად გასაგები ხდება რა იგულისხმება ძეგლი ერისთავთას ავტორის "შფოთში". "ტერიტორია ქცეული იყო სხვადასხვა მომთაბარე ტომთა რბევა-თარეშის ასპარეზად". ამავე გამოკვლევის მიხედვით, არც აზერბაიჯანში და ირანში ყოფილა უკეთესი პირობები [194. 44-47].

აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაგებია თუ რომელ ომებში მოიხვეჭა ბაგრატ V-მ უშიშარი მხედრისა და კარგი სარდლის სახელი, როგორც მას მოიხსენიებენ თანამედროვენი [257. 181].

"პოეს ჟამი დვალთა და წაასხეს ღუდით ზროხაჲ" [236. 355]. როგორც ჩანს, მიმდინარე "შფოთის" შესახებ დვალები კარგად ყოფილან ინფორმირებულნი. აქედან გამომდინარე, დვალთა ეს თავდასხმა უფრო მეტ დატვირთვას იძენს, ვიდრე მეკობრული თავდასხმა.



ერისთავ იოვანეს როგორც კი გაუგია დვალთა თავდასხმა, საპასუხოდ გაულაშქრია, "მივიდა ერემას, წუხლეთს და წუბენს და დაარღჳვნა ციხენი მათნი" [236. 355].

"მაშინ მთიულნი არაგჳსანი ყოველნი დაესხნეს გრემის ჴევს" [236-355]. გრემისხეველები არ დაბნეულან, გაერთიანებულან სუემონის მეთაურობით, შებრძოლებიან და გააქციეს. მემატიანე განსაკუთრებით ხაზს უსვამს, რომ გრემისხეველები კი არ ხოცავდნენ არაგველ მთიულებს, არამედ სდევნიდნენ და იპყრობდნენ. დაუჭერიათ 40 "თავადი" და მიუყვანიათ ერისთავ იოვანესთან.

საფიქრებელია, რომ ერისთავი დაპატიმრებულებს გარკვეულ რიტუალს შეასრულებინებდა, დააფიცებდა რომ მეორედ აღარ აღმართავდნენ ხელს მოძმეთა წინააღმდეგ, მხოლოდ ერთს "ბოროტად მეტყუელსა" ანდრიას მოჰკვეთეს ხელი, (ალბათ იმიტომ, რომ მეტჯერ აღარ აღემართა მოძმეთა წინააღმდეგ მახვილი) და მარცხენა ფეხი (ალბათ იმიტომ, რომ მოძმეთა საწინააღმდეგო გზას აღარ დასდგომოდა) [236. 355].

აღნიშნულიდან ირკვევა, რომ გრემისხევი შედის ცხრაზმის საერისთავოს დაქვემდებარებაში, თუმცა ძეგლი ერისთავთას ავტორი არაფერს გვეუბნება, როდის და რა ვითარებაში გადაეცათ გრემისხევი ცხრაზმის ერისთავებს. გრემისხევის ფლობით XIV ს. 80-იან წლებში, ჩანს, რომ ცხრაზმის ერისთავებს კიდევ უფრო ქვემოთ, ბარისკენ (სამხრეთ აღმოსავლეთით) გაუფართოებიათ საერისთავოს საზღვარი.

ამ დროისათვის დიდი წვიმები ყოფილა ცხრაზმის საერისთავოს ტერიტორიაზე, ქსანი ადიდებულა და ლარგვისის ეკლესიის სამრეკლო და გალავანი წაუღია, ხოლო ეკლესიისთვის ძირი გამოუთხრია. საძირკველდანგრეული ეკლესიის სანაცვლოდ ერისთავს იმავე კვირას ახალი ეკლესიის მშენებლობა წამოუწყია, რომლის აშენებასაც სამი წელი მოანდომა. ახალი ეკლესიის მშენებლობის დაწყება თავისთავად მიგვანიშნებს გარკვეულ სტაბილურ ვითარე-

ბაზე, მყარ ხელისუფლებასა და ეკონომიურ მოღონიერებაზე; ბუნებრივია, ეკონომიურად დაუძლურებული ერისთავი ახალი ეკლესიის მშენებლობას ვერ დაიწყებდა.

აღნიშნულის მიუხედავად, ცხრაზმაზე მაინც არაა სტაბილური ვითარება ბოლომდე განმტკიცებული, "ამას ჟამსა ქვემო დვალთა წაასხეს ზროხაჲ აწერის ჴევით". ერისთავი იოვანე დაუყოვნებლივ ატარებს საპასუხო ღონისძიებას, მიუხედავად იმისა, რომ თოვლი ადრიან ოქტომბერში ყოფილა მოსული, გადავლეს მთა და ჩავიდნენ თლისხევს და მოაოხრეს" თლე ბიბილურთაჲ და წერღუჱ " [236. 356]. აიღეს დიდი ალაფი და წამოვიდნენ გამარჯვებული. ამ ლაშქრობაში მონაწილეობდა ჯერაც ყმაწვილი ("წუთლა ჩჩულ") ვირშელი.

ამ ლაშქრობის შემდგომ, საერისთავოს ტერიტორიაზე მშვიდობა დამყარდა და ერისთავი იოვანე იწყებს, ჩვენი აზრით, ზემოაღწერილ შფოთსა და არეულობის დროს დანგრეულ-დაზიანებული ეკლესიების განახლებას. ამ დროს აღუდგენიათ იკორთის მთავარანგელოზ მიქელის სახელზე 1172 წელს აგებული ტაძარი. პ.ზაქარაიას აზრით, "მაშინდელი შეკეთება არ უნდა ყოფილიყო დიდი მასშტაბისა [81. 117]; სამაგიეროდ, ფართო მოცულობის აღდგენითი სამუშაოები ჩაატარეს ყანჩაეთის კაბენზე [232. 162-170]. "ძეგლი ერისთავთას" ავტორი შესრულებულ სამუშაოს, კაბენის ღვთისმშობლის ეკლესიის მეორედ აშენების ტოლფასად მიიჩნევს ("მეორედ აღმაშენებელ იქმნნეს") [236. 356].

## §5. ერისთავი იოვანე და "პროვინციის სამეფოს" მეფეები

როგორც ჩანს, იოვანეს "პროვინციის მეფეთა" კარზე ჰქონია მაღალი თანამდებობაც - ამირეჯიბობა [160. 18]. ამირეჯიბი ითვლებოდა მანდატურთუხუცესის, თანამედროვე ტერმინით რომ ვთქვათ, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ, იგი საპატიო და საპასუხისმგებლო თანამდებობა იყო. "ამირეჯიბი" სადა გინდ იყოს მეფე... ყოველგან მივა და ყოველგან იურვის"... ამირეჯიბი დიდი პატივით სარგებლობდა. იგი იყო ერთ-ერთი იმ სამი მოხელეთაგანი (საწოლის მწიგნობარი, ამილახორი და ამირეჯიბი), რომელიც სავაზიროს სხდომას ესწრებოდა, მას სათათბირო ხმის უფლება ჰქონდა [203. 28].



ისტორიული წყაროები არაფერს გვეუბნება, რომელ წლებში ჰქონდა იოვანეს ამირეჯიბის სახელო-თანამდებობა. თუ გავითვალისწინებთ, რომ 1373 წლის 6 აგვისტომდე იოვანე "მარადის იყვის წინაშე მეფისა", შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იოვანეს 1373 წლამდე უნდა ჰქონოდა მეფეთაგან ამირეჯიბობა  მიცემული, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ იოვანეს უფროს ძმას, ქუენიფნეველს მოცემული ჰქონდა ამავე პერიოდისთვის ამილახვრობა, შეიძლება დავასკვნათ, რომ ცხრაზმის ერისთავები დიდი პატივით სარგებლობდნენ "პროვინციის მეფის" კარზე. უფრო მეტიც, მას შემდეგ, რაც ცოლად მოიყვანა "პროვინციის მეფის" გიორგის ასული - გულშარი, საერისთავოს ტერიტორიაზე დაამყარა სტაბილური ვითარება და მტკიცე ხელისუფლება (დასაჯა მოთარეშე დვალები და არაგველები), ააშენა ლარგვისის ეკლესია, აღადგინა იკორთა და ყანჩაეთის კაბენი, იოვანეს ავტორიტეტი, როგორც პიროვნებისა და დიდი მოხელის - ამირეჯიბის და როგორც კარგი მმართველის - ერისთავის, კიდევ უფრო უნდა განმტკიცებულიყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, სრულიად უეჭველად მიგვაჩნია "ძეგლი ერისთავთას" ავტორის შემდგომი თხრობა: "ხოლო საქმე ერისთავის იოვანესი ვითარ გაუწყო: მეფენი შემოხუეწილ სახლსა შინა მისსა მათგან ითხოვდიან მეფობასა და მისცის, რომლისაცა ენების" [236. 356]. აქ გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებაც: ამ პერიოდში (XIV-საუკუნის 80-იან წლების მიწურული) პროვინციის მეფეთა კარზე გაიშალა შიდააშლილობა [103. 20-21]. "ჩვენი აზრით, იოვანე ქსნის ერისთავის "სახლსა შინა შემოხუეწილ"-ში

იგულისხმება ის მებრძოლი ბატონიშვილები თუ გვერდითი შტოს ბაგრატიონები, რომელთა მიზანია არა ერთიანი სამეფო ტახტი, არამედ ქვეყნის რომელიმე კუთხეში "გამეფება" [153. 135]. მართალია იოვანე ზოგიერთ უფლისწულს ეხმარება ("და მისცის, რომლისაცა ენების) "პროვინციის მეფეთ" გახდომაში, მაგრამ ცხოვრება უკვე სხვა მოთხოვნებს აყენებს. XIV ს. 80-იანი წლების ბოლოსათვის ალასტანელ ბაგრატიონთა სამფლობელო რეგიონებში "პროვინციის მეფეთა" მფლობელობისათვის საჭირო, აუცილებელი პირობები ქრება, ამიტომ ბაგრატიონთა ამ შტოს წარმომადგენლები თავიანთ სამფლობელოებს კარგავენ [154. 181]. ჩვენი აზრით, არც ეს "დაკარგვა" უნდა ყოფილიყო უმტკივნეულო, და ალბათ ერთ-ერთი პირობა ესეც იყო, რომ "პროვინციის მეფენი" ცხრაზმის ერისთავის კარზე ეძებდნენ დამხმარესა და მხარში მდგომს. ასევე - საგარეო, საერთაშორისო გართულებებს, თემურლენგისა და თოღთამიშის გამოჩენას უნდა შეექმნა საქართველოს შიდა სახელმწიფოებრივი გაერთიანების პოლიტიკური პირობები.

იოვანე თავისი ეპოქის შვილად მოსჩანს, მან დროს ვერ გაუსწრო. გამომდინარე ფეოდალის ბუნებიდან, იოვანე საერისთავოს ტერიტორიაზე ერთიან ცენტრალურ მმართველობას უწყობს ხელს, მაშინ როცა მომხრეა საქართველოს დეცენტრალიზაციის, მეფეთა რამოდენიმე შტოს არსებობისა და სუსტი მეფის ყოლისა ("მეფენი შემოხუეწილ სახლსა შინა მისსა მათგან ითხოვდიან მეფობასა და მისცის რომლისაცა ენების"). მაგრამ დრო თავისას თხოულობს, XIV ს. 80-იანი წლებისათვის საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება მტკიცედ ადგია გაერთიანებისა და სახელმწიფოებრივი განმტკიცების გზას. რა პროცესსაც ამ პერიოდში (გაერთიანებისა და განმტკიცებისა), დიდი წარმატებით ახორციელებს შუა აზიელი ხეიბარი - თემურლენგი.

იოვანე სიბერით გარდაცვლილა და დაუსაფლავებიათ მის მიერ აგებულ ლარგვისის მონასტერში. სამწუხაროდ, "ძეგლის" ავტორი არაფერს გვეუბნება, თუ რომელ წელს



გარდაიცვალა იოვანე, ჩვენი ვარაუდით, ეს უნდა მომხდარიყო XIV ს. 90-იანი წლების დასაწყისში.

თუ გავითვალისწინებთ, რომ იოვანეს მამა ვირშელ II უნდა გარდაცვლილიყო 1335 წელს, "და დარჩეს სამნი ძენი მისნი ქუენიფნეველი, იოვანე და გიორგი, რამეთუ მცირე იყუნეს" [236. 352], შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იოვანე უნდა დაბადებულიყო 1330 წლის ახლო პერიოდში. გარდაიცვალა, როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი ვარაუდით, 1390-იანი წლების დასაწყისში. გამოდის, რომ იოვანეს უცოცხლია დაახლოებით 60 წელი.

ამდენად, ცხრაზმის საერისთავო "პროვინციის სამეფოს" შემადგენლობაში იყო დაახლოებით 40 წელი (XIV საუკუნის 40-იანი წლებიდან 80-იანი წლების ჩათვლით). საქართველოს "პროვინციის სამეფოსა" და საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციაში მყოფ საქართველოს შორის მიმდინარეობდა თავდასხმები, ისევე, როგორც "მე-14 საუკუნის 50-იან წლებში საილხანოს ნანგრევებზე წარმოქმნილი პატარ-პატარა სამთავრო-სახანოები, ეს სახანოები ერთმანეთს ებრძოდნენ და ხალხს აწიოკებდნენ".

ამ ურთიერთთავდასხმებს, ბუნებრივია, მოსდევდა ნგრევა, შიმშილი, სიკვდილიანობა, ზნეობრივი დეგრადირება. რაც გავრცელებული იყო იმ პერიოდის ცხრაზმის საერისთავოში. ეს არეულობა, ცხრაზმის საერისთავოში XIV საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისამდე გაგრძელდა. ჩვენი აზრით, საგარეო, საერთაშორისო გართულებებს, თემურლენგისა და თოღთამიშის გამოჩენას, უნდა შეექმნა ძირითადად პოლიტიკური თვალსაზრისით, საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი გაერთიანების გარკვეული პირობები.

## §6 ერისთავი ვირშელი (1390-1422 წწ.)

XIV საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისისათვის ცხრაზმის საერისთავოში შედარებით მშვიდი, სტაბილური ვი-

თარება იყო. ამ დროისათვის გარდაიცვალა ერისთავი იოვანე (1376-1390-იანი წლების დასაწყისი) და გაერისთავდა ვირშელ III. საერისთავოში არსებული მშვიდი ვითარებიდან გამომდინარე, ერისთავს გაუგრძელებია მამის სააღმშენებლო პოლიტიკა. "და პირველსავე წელსა ერისთავობისა მისისა აღაშენა ქვითკირითა ეკლესიაი წმიდისა ნიკოლოზისი" [236. 356]. "ძეგლის" ავტორი არაფერს გვეუბნება რა ადგილას მოხდა ეკლესიის აშენება, მაშინ როდესაც ერისთავ იოვანეს მიერ წარმოებულ სააღმშენებლო საქმიანობას - სახელისა და ადგილის შესახებ, ზუსტად მიგვითითებს ("მაშინ მოშლილი იყო დიდი იგი საყდარი იკორთას, მთავარ-ანგელოზისა მიქელისა,..., ყანჩაეთს მეორედ აღმაშენებელ იქმნნეს ტაძარსა დედისა ღმრთისასა" [236. 356].

"ძეგლის" ავტორი, ცხრაზმის ყველა ერისთავს ნათელი ფერებით ხატავს, გავიხსენოთ თუნდაც ბიბილურთა გვარის პირველი ერისთავი, როსტომი, "და წარუძღუა წინა, ვითარცა ლომი ზახილითა და ვითარცა ვეფხვი სიმჴნითა და ვითარცა ჯიქი სიფიცხითა,... და არავინ იპოებოდა მარტოდ მბრძოლი როსტომისა" [236. 345]. მაგრამ განსაკუთრებული ფერებით ხატავს ვირშელ III-ს. "იყო კაცი შუენიერი და სრული ყოვლითა კეთილითა, ბრძენი, გონიერი, მშვიდი, უშურველი, სამართლის მოქმედი,...,საშინელ ურჩთა და წინააღმდგომთა. ხოლო იყო ჭაბუკი ასაკითა და უბრძნეს მოხუცებულთა სათნოებითა. ბრძოლათა შინა უძლეველი და გამომრჩევი ქებული" [236. 356]. და ეს გასაგებიცაა, ძეგლის ავტორი ხომ ვირშელის თანამედროვეა და ალბათ საგვარეულო მატიანის შემკვეთიც, ყოველ შემთხვევაში "ძეგლი ერისთავთას" არავინ შეავსებდა, ერისთავ ვირშელ III-ის თანხმობისა და თანამედროვე ტერმინით რომ ვთქვათ, დაფინანსების გარეშე.

XIV საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველო აღმოჩნდა ორ მოწინააღმდეგე მხარის - თემურლენგის და თოღთამიშის პოლიტიკურ ინტერესთა გადაკვეთის ცენტრში. როგორც ცნობილია, 1377 წლიდან თოღთამიში, თე-



მურლენგის დახმარებით ხდება თეთრი ურდოს ყაენი, შემდგომ წლებში ახერხებს შეიერთოს ოქროს ურდო და უჩნდება პრეტენზია აღადგინოს თავისი სკიპტრის ქვეშ ჩინგის ხანის დროინდელი მონღოლთა სახელმწიფო. აქედან იწყება თემურლენგისა და თოღთამიშის დაპირისპირებაც, რამეთუ იგივე სურვილი და იგივე პრეტენზია - ჩინგის ხანის დროინდელი მონღოლთა იმპერიის აღდგენა, ჰქონდა თემურლენგსაც. სწორედ ამ ორი მოწინააღმდეგე მხარის ერთგვარ საბრძოლო პოლიგონად იქცა XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე საქართველო, "რაც გრძელდებოდა თითქმის 15 წელს. სწორედ მათმა ორთაბრძოლამ მოიყვანა თემური პირველად საქართველოში 1386 წელს, ე.წ. "სამწლიანი" ლაშქრობის დროს [194. 60].

თემურლენგის პირველ შემოსევათა საპასუხოდ თუ რა ღონისძიებები გაატარეს ცხრაზმელებმა, ჩვენ არაფერი ვიცით. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ცხრაზმელები ძირითადად ცხრაზმის საერისთავოს ციხესიმაგრეებში იყვნენ გამაგრებულნი, რამეთუ "დიდებულნი თავადნი ქართლისანი არა იყვნეს ციხესა (მეფესთან ერთად, ვ.ღ.) მას შინა" [202. 450]. ამდენად, თემურლენგის 1386; 1387; 1394, 1399 წლების თავდასხმების შესახებ ცხრაზმელი მემატიანე სდუმს.

## §7. ვირშელის ლაშქრობა დვალეთსა და მთიანეთში

"ძეგლის" ავტორი, თხრობას აგრძელებს, ვირშელ III-ის პოლიტიკური ქმედების შესახებ, რომელიც შეასრულა დვალთა შემოსამტკიცებლად, მეფე გიორგი VII-ის მიერ ალინჯის ციხეზე ლაშქრობის წინ. დღეისათვის უკვე დადგენილია, რომ მეფე გიორგი VII-მ ნახჭევანში მდებარე ალინჯის ციხეში გამაგრებულ თემურლენგის ერთ-ერთი მოწინააღმდეგის ჯალაირიანის ვაჟის - თაჰერის მისაშველებლად ლაშქრობა მოაწყო 1398 წელს. ამდენად, ვირშელის ლაშქ-

რობა დვალთა შემოსამტკიცებლად უნდა ვივარაუდოთ, იმავე, 1398 წელს. ვირშელს ეს ლაშქრობა საქართველოს სამეფო ხელისუფლების დავალებით მოუწყვია, სხვა შემთხვევაში, ერისთავის მოქმედება შეიარაღებული ძალებით, საერისთავოს გარეთ, ომის პერიოდში შეფასდებოდა, როგორც დაუმორჩილებლობა ცენტრალური ხელისუფლებისადმი. არადა, ასეთი - დაუმორჩილებლობის შესახებ არაფერს გვეუბნება არც "ძეგლი ერისთავთა" და არც "ქართლის ცხოვრება". ამდენად, 1398 წელს ცხრაზმის ერისთავი ვირშელ III საქართველოს სამეფო ხელისუფალთა დავალებით აწყობს ლაშქრობას დვალების და ქართლის მთიანეთის - ქართველების შემოსამტკიცებლად, რისთვისაც შეკრიბა ლაშქარი და მიმართა სპეციალური სიტყვით, სადაც განმარტებულია  ამ ლაშქრობის მიზანი - დვალები გავხადოთ ჩვენი ერთგული მსახურნი და მობეგრენი თუ არა და პირველსავე შემთხვევაში გვიღალატებენ, დაგვესხმიან და გვაზარალებენო. "შევქმნნეთ მსახურ და მობეგრედ ჩუენდა. ნუთუ მათ პოონ ჟამი ჩუენ ზედა, ოდეს ჩუენ უცალო ვიყუნეთ სხჳსა შფოთისაგან, მათ შური იძიონ და დატყუენონ ნაპირი, მათ კერძო სოფელი ჩუენი" [236. 356].

როგორც ჩანს, თემურლენგის პირველი შემოსევების დროს, დვალებმა ქართული სახელმწიფოებრივი ინტერესების საწინააღმდეგო მისწრაფებანი გამოამჟღავნეს; ცენტრალური ხელისუფლება ღებულობს შესაბამის გადაწყვეტილებას - დვალების და მათთან ერთად ქართლის მთიანეთში მცხოვრებ ქართველების შემოსამტკიცებლად აგზავნის ცხრაზმის ერისთავ ვირშელ III-ეს ლაშქრით.

ქვემო დვალეთში ვირშელ III-ს მისვლისთანავე ერთგულება შეჰფიცეს, მისცეს მძევლები, ძღვენი და ბეგარა "ქვემო დვალთა კოშკელ იოსებურთა, თლეველ მუღისველელთა, ზღუბერელ როკაელთა" [236. 357]. ვირშელ III-მ ძღვენი და მძევლები მიიღო, ფიცი ირწმუნა და გატრიალდა სოსხოს მთაზე გადავლით მაღრან-დვალეთისაკენ. მათაც - "ზრუტას შვილნი და კელეურ-კაბუშურნი და ყოველნი სო-





სხოელ-წუბენის ჭეველნი, ხაჯაელწაელნი" [236. 357]. მიუციათ ძღვენი, ბეგარა, მძევლები და აღუთქვიათ ერთგულება, მათაც დაუჯერა ვირშელ III-მ. აქედან ერისთავი ჩადის თრუსოში. თრუსოელებმა მიართვეს ძღვენი ("მრავლითა ძღვენითა") და დაუმტკიცეს ერთგულება. საყურადღებოა, რომ თრუსოელები არც მძევლებს და არც ბეგარას არ იძლევიან. ე.ი. მათგან ერისთავი ვირშელ III ამას არ თხოულობს, ამდენად, 1398 წლის წინარე პერიოდში თრუსოელები ინარჩუნებდნენ გარკვეულწილად საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისადმი ერთგულებას. როგორც ჩანს, ვირშელმა დაუჯერა მათ, რის შემდგომაც "ევედრნეს (თრუსუელები, ვ.ღ.) შუელად მტერთა მათთა ზედა მნას" [236. 357].

ვირშელ III იქვე თრუსოში იბარებს მნაველებს, მაგრამ მნაველები არ ცხადდებიან. "მათ არ ინებეს, რამეთუ თქუეს: არა მეშინის შენგან და ვერც რას შემძლებელ ხარ ვნებად ჩუენდა" [236. 357].

მაშინ, განრისხებულმა ერისთავმა გადაწყვიტა მნაველთა სამაგალითო დასჯა. ცხრაზმელთა და მნაველთა ბრძოლამ მეტად მწვავე ხასიათი მიიღო, "რამეთუ კაცნი იგი იყუნეს მარჯუედ მბრძოლნი, მჴნენი და გოლიათნი და აბჯარსრულნი. და იყო სიმრავლე ისრისაჲ ვითარცა წვიმაჲ ჴშირი, და სიმრავლე ქვისაჲ, ვითარცა სეტყუაჲ და საგორავი აურაცხელი, მაშინ მოიკლნეს სიმრავლითა ისართაითა თავნი და გოლიათნი ქუეყანისა მათისანი: სუნღუ, ფარეჯან, ამსაჯან, ბაღათარ და სხუანი მრავალნი" [236. 358].

მნაველებს, როგორც ჩანს, ვირშელისათვის დიდი წინააღმდეგობა გაუწევიათ, მაგრამ ვირშელი ამარცხებს მოწინააღმდეგეებს" დაწუნეს და დარღუვნეს ციხენი და სოფელნი იმათნი" [236. 357]. მნაველთა დასახმარებლად მოვიდნენ მოხევეები, მაგრამ დაგვიანებით, ბრძოლის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო და ველარ გაბედეს ბრძოლაში ჩაბმა. აქედან ერისთავი გადმოვიდა კობში, სადაც მოხევეებმა მიართვეს მრავალი ძღვენი. კობიდან მეორე დღეს წამოვიდა ვი-

რშელ III ხადა-ცხავატზე. ხადა-ცხავატელები ძალიან შეშფოთდნენ და საბრძოლველადაც კი გაემზადნენ, მაგრამ როგორც კი დაინახეს ვირშელ III-ის ლაშქრის სიმრავლე ისევ დაიფანტნენ და თავიანთ განზრახვაზე ხელი აიღეს.

ახლა უკვე ძღვენით მოვიდნენ ვირშელ III-სთან - "ხოლო ვირშელმან დაიდვა ნადიმი ვაკესა ჯადისასა და ძღუენი ყოველნი მიითუალა". "წამოვიდა გადმოიარა ლომისის მთა, და "გაუშვა ლაშქარი ყოველნი" [236. 358]. მიართვა ლომისის წმინდა გიორგის ეკლესიას შესაწირავი. წამოყვანილი ტყვეები, ალბათ მნაველები, იპატივა და გაუშვა. საფიქრებელია, რომ ვირშელი ტყვეებს რაიმე რიტუალს შეასრულებინებდა, ერთგულებაზე დააფიცებდა ლომისის წმინდა გიორგის ხატზე. ვირშელს რომ თავისი ინიციატივით, მეკობრული მიზნით მოეწყო ეს ლაშქრობა, ბუნებრივია, ტყვეებს გამოსასყიდის გარეშე არ გაუშვებდა და არც მძევლებს წამოიყვანდა. "ძეგლის" ავტორი ანსხვავებს "მძევალს" და "ტყვეს" ერთმანეთისაგან. როგორც ჩანს, "მძევალი" და "ტყვე" იგივე დატვირთვით არის ნახმარი, როგორც დღეს იხმარება. "მძევალი - პირი, რომელიც შეპყრობილი ჰყავდა  იმის უზრუნველსაყოფად, რომ ვინც დაინტერესებულია მისი განთავისუფლებით, შეასრულოს რაიმე მოთხოვნა, ვალდებულება" [216. 346]". "ტყვე-ომის ან რაიმე თავდასხმის დროს მტრის მიერ შეპყრობილი მებრძოლი,..."[216. 423] და თუ მძევალს მაინც წამოიყვანდა, მაშინ ყველასაგან წამოიყვანდა და არა მარტო დვალებისაგან. არ წამოიყვანა: თრუსუელთაგან, მნაველთაგან, მოხევეებისაგან და ხადა-ცხავატელებისაგან. ე.ი. დვალებით დასახლებული ტერიტორია ყოფილა: ქვემო დვალეთი - "კოშკელ იოსებურთა, თლეველ-მუღისველელთა, ზღუბერელ როკაელთა"; და მაღრან დვალეთი - "ბრუტას შვილნი და კელეურ-კაბუშურნი და ყოველნი სოსხოელ-წუბენისჭეველნი, ხოჯაელ-წაელნი". დანარჩენ ტერიტორიაზე ყველგან ქართველებს უცხოვრიათ. აღნიშნულიდან გამომდინარე, უმართებლოდ მიგვაჩ-



ნია ლაპარაკიც კი ოსთა რაღაცა ჩამოსახლებაზე დასახლებულ ტერიტორიაზე მოცემულ პერიოდში.

ყურადსაღებია ერთი გარემოებაც: ვირშელი ლაშქარს უშვებს ლომისის ქედზე მოსვლისთანავე, ე.ი. საერისთავოს საზღვარი კვლავ ლომისაზე გადის. "თავით ძუელითგან გაჩენილი არის ლომისის სამძღვარსა ზედა, ამიერი ჯადაცხაოტის მიმდგომი არის, და აგრეთვე გაჩენით იყოს "[63. 117].

როგორც დავინახეთ "ძეგლი ერისთავთას" თანახმად საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ, სანამ ნახჭევანში ალინჯის ციხეში გამომწყვდეულ თემურლენგის მოწინააღმდეგე თაჰერის მისაშველებლად გაილაშქრებდა, საკმაოდ კარგი მოსამზადებელი სამუშაოები ჩაატარა.

კავკასიაში მცხოვრები დვალები და სეპარატიზმის გზაზე დამდგარი თანამოძმენი შემოიმტკიცა, რის შემდგომაც გიორგი VII-მ ნახჭევანში გასალაშქრებელი სამზადისი დამთავრებულად ჩათვალა, "განილაშქრა ალინჯას ყოველთა სპითა ქართველითა, იმერლითა, მესხითა და შირვანელითა" [236. 358].

ნახჭევანში მდებარე ალინჯის ციხე საკმაოდ მაგარი ყოფილა, მისი დაპყრობა, თემურლენგს, ჯერ კიდევ 1386 წ. უცდია, მაგრამ უშედეგოდ. შემდეგ წლებში, თემურლენგმა, ალინჯის ციხის აღება თავის შვილს მირანშაჰს დაავალა, რომელმაც ციხის გარშემო კედელი ააშენებინა (ციხე-ციხეში), რომ არც არავინ შესულიყო და არც არავინ გამოსულიყო.

"ამ ციხიდან ბატონიშვილ თაჰერის გამოყვანას, ციხის გარნიზონის გაძლიერებას და სურსათ-სანოვაგით მათ უზრუნველყოფას ისახავდა ერთ-ერთ მთავარ მიზნად გიორგი მეფის ნახჭევანის ლაშქრობა" [194.99].

ქართველებმა მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, თათრები დაამარცხეს, ალინჯის ციხეს შემორტყმული გალავანი დაანგრიეს, ახლო-მახლო ტერიტორია მოარბიეს, თათართა მაშველი რაზმი დაამარცხეს, ციხის გარნიზონი გააძ-

ლიერეს, თაჰერი წამოიყვანეს და საქართველოში დაბრუნდნენ [194. 100-101].

"ძეგლი ერისთავთას" თანახმად "მივიდა ალინჯას და გამოიყვანა ძე სულტნისაჲ შეყენებულ ციხესა ალინჯისასა და დაჴოცა ლაშქარი თემურ ყაენისაჲ და მოვიდა განმარჯვებული" [236. 358].

"ძეგლი ერისთავთა" არაფერს გვეუბნება ალინჯის ციხის ბრძოლების - 1398 წ. შემდგომ ორი წლის მოვლენების შესახებ, მხოლოდ აღნიშნავს, რომ ვირშელმა მოიყვანა მეუღლე თამარი, "ნათესავთაგან დიდ-ტომთა და სამეუფოთა" [236. 358]. მაგრამ იგივე ავტორს ლარგვისის პარაკლიტონზე მიუწერია: "მეფობასა შინა მეფეთ-მეფისა გიორგი ბაგრატის ძისასა და ერისთაობასა შინა ერისთავისა ქუენიფნეველისა ვირშელისა, ოდეს იგი დიდთა ომთაგან გამარჯვებული ალინჯით მოვიდა, მოქცევასა იდ.: /14/ ქორონიკონსა: პ-ჰ /88/ მაისისა. ი-ზ/17/ მოვიდა თემურბეგ სულტანი სამარყანელი,...," [257. 202]. გამოდის, რომ ალინჯის ციხეზე ქართველთა 1398 წლის წარმატებული ლაშქრობა ერთჯერადი აქტი არ ყოფილა. ეტყობა იქ შემდგომაც ჩადიოდნენ საქართველოდან ვირშელ III-ის ხელმძღვანელობით, სურსათის, საჭურვლის მისატანად და სულაც დამხმარე ძალების შესაცვლელად. ალბათ ამიტომ აღნიშნავს - მინაწერში - გრიგოლ ბანდაისძე: "დიდთა ომთაგან გამარჯვებული ალინჯით მოვიდა"-ო, 1400 წელს.

პარაკლიტონზე ამ მინაწერის შემდგომი თხრობა და "ძეგლი ერისთავთაში" გადმოცემული ფაქტები თითქმის იდენტურია.

## §8. თემურლენგი ქსნის საერისთავოში

1400 წელს თემურლენგი მეექვსედ შემოესია საქართველოს, მოწვეს და მოაოხრეს ყოველივე რასაც კი მისწვდნენ: "დაყარეს მძორი მკუდრისაჲ ვითარცა მჭელი თივისაჲ"



[236.359]. ერისთავი ვირშელი მდ.პატარა ლიახვის სათავეებთან არსებულ ბეხუშის ძლიერ ციხესიმაგრეში მაგრდება. მასთან არიან მისი ახლობლები და კათალიკოსი ელიაზი "ყოველით საყდრისშვილითურთ და ხიზნითა დიდითა და ჯოგითა და ცხურითა" [236. 358].

"ძეგლი ერისთავთას" მიხედვით თემურლენგის ლაშქარმა ლარგვისში დაანგრია იოვანე ერისთავის მიერ აშენებული ეკლესია, ხოლო ლარგვისის პარაკლიტონზე მინაწერით ვიგებთ, რომ ნგრევა და აოხრება უფრო ფართო მასშტაბისა იყო: "მოვლეს ყოველი ქუეყანაჲ და წარტყუენეს და დააქცივნეს საყდარნი, მონასტერნი და ეკლესიანი და აღიხუნეს ყოველნი ციხენი და მოსრეს, ტყუე-ქმნეს და მოაოჴრეს ყოველი ქუეყანაჲ დასავლეთამდის" [257. 202], ეს მოხდა 1400 წლის 17 მაისს.

პ. ზაქარაიას აზრით, ამ შემოსევის დროს, უნდა დაენგრიათ ქარჩოხის (ცხმორის, როგორც მოსახლეობა უწოდებს) ციხის გარკვეული ნაწილი [85.68].

კ. ტაბატაძე ფიქრობს, რომ თემურის ლაშქარი ლარგვისს ზევით არ უნდა წასულიყო [194. 132]. ჩვენი აზრით, სრულიად შესაძლებელია, თემურის ლაშქრის ერთი რაზმი აჰყოლოდა მდ.ქსნის ხეობას, დაენგრია რაც ადვილად დასანგრევ-გასაპარტახებელი იყო, მათ შორის ქარჩოხის გარკვეული ნაწილი. როგორც ჩანს, თვითონ გრიგოლ ბანდაიძეც შემთხვევით გადარჩა, რის შემდგომაც თემურის მარბევალი ლაშქარი უკან გაბრუნდა. ეს უნდა მომხდარიყო 1400 წლის შემოდგომაზე.

## §9. ქნოღოში მიმდინარე პროცესები

მომხდურნი პატარა ლიახვის სათავეებსაც შესევიან. ვირშელს ახლობლები და შემოხიზნულნი უფრო ზევით ქნოლოში გადაუყვანია, თვითონ კი ბეხუშის ციხესთან გამაგრებულა. ბრძოლა ვირშელ III-სა და თემურის ლაშქრის მე-

ბრძოლებს შორის მეტად მძაფრი ყოფილა; თავიდან მომხდურებს გარკვეული წარმატებებისათვის მიუღწევიათ, მაგრამ შემდგომ ვირშელს საბრძოლო პოზიცია შეუცვლია და წარმატებისთვისაც მიუღწევია. ბეხუშის ციხესთან მოპოვებული გამარჯვების შემდეგ ვირშელ III გაემართა ქნოღოს, ახლობლების სანახავად. ქნოღოში ვირშელი სამხედრო რაზმის გარეშე ასულა, რასაც წაუქეზებია ქნოღოელი ხარება, რომელიც ჩუმად ასულა მაღრან დვალებთან და გააფრთხილა - თქვენი მტერი ვირშელი ქნოღოშია და მოდით და შური იძიეთო. დვალები მართლა წამოსულან ვირშელის შესაპყრობად, მაგრამ ვირშელმა დროზე შეიტყო და სასწრაფოდ გაეცალა ქნოღოს.

აქ მნიშვნელოვანია შემდეგი გარემოება: როცა ვირშელი ქნოღოში ავიდა ახლობლების მოსანახულებლად და ქნოღოელმა ხარებამ ვირშელის იქ ყოფნა  დვალებს შეატყობინა "მაშინ შეკრბეს ყოველნი დვალნი სიხარულითა და წარმოვიდეს" [236. 359]. ჩანს, რომ "ყოველნი დვალნი" მეფე გიორგის ლაშქარში არ ყოფილან და მათ საერთოდ არ მიუღიათ მონაწილეობა 1400 წლის საქართველოს თავდაცვით ომში. მიუხედავად მათ მიერ 1398 წელს მიცემული ფიცისა და მძევლებისა, როგორც ჩანს, ვირშელის 1398 წლის დვალების შემომტკიცებას დროის მცირე მონაკვეთში უმუშავია. ამდენად, ვირშელი მოდის ქნოღოდან "ყოვლითურთ". ვინ იგულისხმება, რა დატვირთვაა ჩადებული ამ ერთ "ყოვლითურთ" სიტყვაში?

"ძეგლის" მიხედვით ვირშელი თავდაპირველად ბეხუშის ციხეს შეეფარა  "დედაწულითა და დიდი ჯოგითა, და თანა ჰყვა კათალიკოზი ელიაზ ყოვლით საყდრისშვილითურთ და ხიზნითა დიდითა და ჯოგითა და ცხურითა" [236. 358]. როცა ბეხუშის ციხე საშიშროების წინაშე აღმოჩნდა, "მაშინ ვირშელმან უკუაყენა ხიზანი და დედაწულნი ქნოღოსა" [236. 359]. ამდენად, როცა "ყოველნი დვალნი" წამოვიდნენ ქნოღოსაკენ ვირშელ III-ზე შურის საძიებლად, ქნოღოში იმყოფებოდნენ ვირშელის "დედაწული", დღევანდელი ლექსიკით ოჯახი [1. 139] და ხიზანი. არ ჩანს კათალიკოსი ელიაზი "ყოვლითა საყდრისშვილითურთ" გადავიდა ბეხუშიდან ქნოღოს თუ არა. ამდენად, უკვე ნათქვამს თუ შევაჯერებთ მივიღებთ, რომ სიტყვა "ყოვლითურთ" იტევს ვირშელის ოჯახს და შემოხიზნულთა გარკვეულ რაოდენობას, რომლებიც სასწრაფოდ გაეცალნენ ქნოღოს. თუმცა ხარება წამოსწევია და გარკვეული რაოდენობის სიმდიდრე-საგანძური წაურთმევია. ვირშელი "ყოვლითურთ" სწრაფად გასცილდა ქნოღოს მიდამოებს. იმავე ღამეს ჩამოვიდნენ ქნოღოში დვალნი, რომელნიც დაგვიანებისათვის და ვირშელის ცოცხლად გაშვების გამო ხარებამ დაადანაშაულა.

ამ დროისათვის, თემურლენგმაც დაასრულა აღმოსავლეთ საქართველოს მოოხრება და გაეცალა იქაურობას. გრიგოლ ბანდაისძე მწუხარებით აღნიშნავს თემურლენგის ურდოების ნამოქმედარის შესახებ: "ცხრაზმის საერისთავოში ერისთავის კუთვნილი ვერ დაუნგრევიათ "ზემოჲ თავადი ციხე ქუენიფნევს და სახლები ი: (10. ვ.ღ.) და ციხე ქოლოთისაჲ და სხუაჲ ყოველი აღაოხრეს" [236. 360]. რა თქმა უნდა შუააზიელი ხეიბრის სურვილი იყო ყველაფერი დაენგრია და ნაცარტუტად ექცია, მაგრამ, როგორც ამას სწორად შენიშნავს აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი: "ასეთი მიზნის განხორციელება მაინც არ შეეძლოთ: იმდროინდელ საქართველოში ქვითკირის მკვიდრი შენობები იყო გავრცელებული და ასეთ ნაგებობათა საფუძვლიანად დანგრევას მოკლე ხანში მტრის დაუნდობელი ლაშქარიც, რასაკვირველია ვერ მოასწრებდა და ვერც მოახერხებდა" [257. 204.205].

ყურადსაღებია შემდეგი გარემოებაც – დაუნგრეველი საცხოვრებელი და საფორტიფიკაციო ნაგებობათა ჩამოთვლით, სხვა მინიშნებებთან ერთად, "ძეგლის" ავტორმა ფაქტიურად ერთხელ კიდევ შემოგვიხაზა ცხრაზმის საერისთავოს საზღვრები.

## §10. საერისთავოს საზღვრები

"და დარჩეს ერისთავსა"- "ციხე ქოლოთისაჲ", - მდ.ლეხურას სათავეებთან არის; "ციხენი ისროლისანი, "მდ.მეჯუდის სათავეებთან არის რამდენიმე ციხე, "ციხე ბეხუშისაჲ", მდ. პატარა ლიახვის სათავეებთან, ციხენი უკანუბნისანი". მდ. ცხრაზმურას სათავეებთან - რამდენიმე ციხე, რაც შეეხება სახლებს: "სახლი ნაკაფოვნისაჲ" არის ისროლის ხევში, მდ.მეჯუდის სათავეებთან. და "სახლი წინუბნისაჲ" არის მდ.ალეურას სათავეებთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 1400 წლისათვის ცხრაზმის საერისთავოს საზღვრებია:

აღმოსავლეთით - იწყებოდა გრემისხევიდან, მიჰყვებოდა ჩრდილოეთით ალევის ქედს (ლოწობნისა და ალევის სამების გაყოლებით); საფეშეთის მთები (სახლი წინუბნისა) და ლომისის ქედი.

ჩრდილოეთის სასაზღვრო ხაზი მიუყვებოდა მდ.ქსნისა და პატარა ლიახვის სათავეებს.

დასავლეთით - მდ.მეჯუდისა და ლეხურას სათავეებიდან დაუყვებოდა სამხრეთისაკენ, გამოივლიდა ყანჩაეთს.

გვრჩება სამხრეთის საზღვარი, ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან გამომდინარე (ნაკლები სიზუსტით) შეიძლება ვივარაუდოთ - სამხრეთის საზღვარი, ყანჩაეთიდან გრემისხევამდის ახალგორის გვერდის ავლით, ვინაიდან უცნობია ახალგორი იყო თუ არა ცხრაზმის საერისთავოს შემადგენლობაში ამ დროისათვის.

რასაკვირველია, ამ ძირითადი სასაზღვრო ხაზის გარდა იყვნენ სხვადასხვა ადგილას განფენილი სათავისთავო სოფლები (მაგ. კარბაი და გარეჯარ ბაკურის უბანი და სხვა).

ვირშელმა არ აპატია ქნოღოელ ხარებას ღალატი, შეკრიბა მონღოლთა ბრძოლებში გადარჩენილი ლაშქარი და გაილაშქრა ქნოღოს. ხარება და მისი თანამოაზრენი შეიმწყვდია მათსავე ციხეში და ყველანი დახოცა, ცოცხალი მხოლოდ ხარებას სამი წლის ვაჟი, ხარებას ცოლი და ძმა



დატოვა. ხარება სოციალურად და ეკონომიურად საკმაოდ დაწინაურებული ჩანს, ჰქონია რამოდენიმე ციხე" ("დააქცივნა ციხენი მათნი, დაწუა ქუეყანაი მათი") [236. 360] და "აღავსნო ლაშქარნი ალაფითა" [236. 360].

ვირშელ ერისთავის მიერ ქნოღოელი ხარებას დარბევა, როგორც კი ცნობილი გახდა დვალებისათვის, ჩამოვიდნენ მისახმარებლად, მაგრამ ბრძოლა უკვე დამთავრებული იყო და დვალებმა გამარჯვებულ ვირშელს შებრძოლება ვეღარ შებედეს. არც ვირშელმა მოინდომა ბრძოლა და უკან დაბრუნდა გამარჯვებული.

ეს ამბები, როგორც აღვნიშნეთ, უნდა მომხდარიყო 1400 წლის გვიან შემოდგომით. ამ დროისათვის ვირშელ III-ის ოჯახში დაიბადა ვაჟი, რომელიც მონათლა ქართლის მღვდელმთავარმა და უწოდა ქუენიფნეველი.

ამავე პერიოდში ცხრაზმაზე დაიწყო სასულიერო და საერო ცხოვრების გარკვეული გამოცოცხლება - ჯვარ-ხატების შემკობა და ეკლესიის მშენებლობა.

## §11. ლაშქრობა დვალეთზე

თემურლენგის ლაშქარს დასავლეთ საქართველოში გარიდებული გიორგი VII ბრუნდება აღმოსავლეთ საქართველოში და იწყებს შერყეული ხელისუფლების განმტკიცებას, მოღალატეთა დასჯას. ამით გიორგი VII ფაქტიურად აგრძელებს თემურლენგის წინააღმდეგ ომს. ამდენად, მოღალატეთა დასჯის და ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსასვლელ გზა-ბილიკებზე თავის კონტროლის დაწესების მიზნით - აწყობს გიორგი VII ლაშქრობას დვალეთზე, აჩაბეთის გზით [236. 360; 35.25].

ლაშქრობა დვალეთზე კარგად იყო მომზადებული. მეფე გიორგი აჩაბეთის გავლით მიადგა ქვემო დვალებს და დაიწყო მათი დასჯა-აოხრება. ქვემო დვალეთი კი "ძეგლის" ავტორის მონაცემებით მოიცავდა: "კოშკელ-იოსებურთა,

თლეველ-მუღისველელთა, ზღუბერელ-როკაელთა" [236. 357] ტერიტორიას.

ცხრაზმის ერისთავი ვირშელ III მაღრან დვალეთს დაესხა თავს "და ჩავიდა სოსხოს და აიღო მას დღესა რვაჲ ციხე და სოფელი" [236. 361] და ყოველივე მოაოხრა მათ გარდა, ვინც აცნობა ღალატი დვალთაგან. ე.ი. ქნოღოელმა ხარებამ დვალებს აცნობა ვირშელ III-ის ქნოღოში სამხედრო ძალის გარეშე ყოფნა, მოუწოდა ვირშელზე თავდასხმა. დვალების ამ ოპერაციაში, ქვემო დვალებთან ერთად მაღრან დვალებსაც მიუღიათ მონაწილეობა. სწორედ აქ - სოსხოში ყოფილა ვირშელის ერთგული კაცი, რომელმაც დვალების განზრახვა აცნობა ერისთავს და ბუნებრივია, ერისთავსაც ყოველივე ამ პიროვნებისა უვნებლად დაუცვია. სოსხოსა და მისი მომიჯნავე სოფლების დარბევის შემდეგ ვირშელ "მეორე დღესა მივიდეს ყარას და დაწუეს ციხე და სოფელი ხუთი" [236. 361]. დამარცხებული ყარაელები მიუვალ კლდიან მთებს შეეხიზნენ, ვირშელმა იქაც სდია და დიდი ალაფი აიღო.

მაღრან დვალებს, მეორე მხრიდან თავს დაესხა არაგვის ერისთავი სურამელი, რომლის სახელისუფლო ტერიტორია "ძეგლის" ავტორის მიერ შემოსაზღვრულია შემდეგნაირად: "მაშინ მთიულნი არაგჳსა ზედაზნით დარიალამდისნი ყოველნი ერთად შეკრებით იყუნეს და უძღოდა მათ ერისთავი მათი სურამელი" [236. 361]. "ძეგლის" მიხედვით არაგველებმა მაინცდამაინც თავი ვერ გამოიჩინეს. საბრძოლო წარუმატებლობის შემდეგ მოლაპარაკების გზით დაარწმუნეს ხოჯაელი დვალები და მორჩილების გზაზე დააყენეს - "მაშინ დვალთა მოსცნეს კაცნი, მას ჰომსა შიგან შეპყრობილნი, და ზროხანი ოთხნი" [236. 361]. ე.ი.ხოჯაელმა დვალებმა ბრძოლაში აქეთ დაატყვევეს არაგველი მოლაშქრენი და მოლაპარაკების შემდგომ უბრუნებენ სურამელს მის მებრძოლებს ოთხ ძროხასთან ერთად, რის შემდგომაც "აიყარნეს ორივე ერისთავნი" [236. 362]. ამდენად, ხოჯაელ დვალთა მორჩილება გამოუწვევია არა იმდენად მოლაპარაკებას, არამედ ვირშელ ერისთავის მისვლას სამხედრო ძალით; ამის შემდეგ ვირშელი ჩამოივლის მეფის მიერ დარბეულ ქვემო დვალეთის ტერიტორიას, შეიპყრობს 16 კაცს, რომლებიც ასწავლიან დვალების მიერ დაფლული განძის ადგილმდებარეობას და მოპოვებული განძით და დიდი ალაფით ბრუნდება საერისთავოში. "მეორესა დღესა მივიდა ვირშელი წინაშე მეფისა, ხოლო მეფემან განიხარა" [236. 362] და დიდად დააჯილდოვა. ამის შემდეგ ცხრაზმის საერისთავოში მიმდინარე ამბების შესახებ ჩვენ უკვე ნაკლები ინფორმაცია გვაქვს, რადგან აქ წყდება "ძეგლი ერისთავთა". ცხრაზმის საერისთავოში მიმდინარე მოვლენების შესახებ ვიცით, რომ ვირშელ III, 1422 წლამდე ყოფილა ცხრაზმის ერისთავი [114. 56]. გაერისთავდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1390-იანი წლების დასაწყისში. ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ (46 წლის ასაკში გარდაიცვალა) ერისთავი ხდება მისი შვილი ქუენიფნეველი.

ამდენად, გიორგი VII, 1401 წელს კვლავ აქტიურად იბრძვის თემურლენგის წინააღმდეგ. სჯის მოღალატე, სეპარატიზმის გზაზე დამდგარ დვალებს, რითაც კვლავ თავის კონტროლს აწესებს ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმომავალ გზა-ბილიკებზე. შეიძლება სწორედ ეს, ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმომავალ გზა-ბილიკების გაკონტროლება, კვლავ გიორგი VII-ის მიერ და თემურლენგის მოლაშქრეთა გაწყვეტა თბილისში იყო ის "მზღვარს გადასვლა" და "ურჩობისა და მოუწონარი მოქმედების კარის გაღება" [194. 151], როგორც გიორგი VII-ის საქმიანობა აქვთ შეფასებული ამ პერიოდის მოვლენებთან დაკავშირებით თემურლენგის ისტორიკოსებს, რის გამოც მომდევნო წელს გამოგზავნა თემურმა თავისი სარდლები [194. 151]. ჩვენ ვთვლით, რომ გიორგი მეფის საქმიანობას - თბილისის გაწმენდა თემურლენგის მოლაშქრეებისაგან, მოღალატეთა დასჯა და ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმომავალი გზა-ბილიკების თავის კონტროლს დაქვემდებარება, უნდა შეეფასებინათ თე-

მურლენგის კარზე უარყოფითად, რისთვისაც გამოგზავნეს ახალი დამსჯელი სამხედრო ნაწილები მომდევნო წელს.

## §12. ერისთავ ვირშელის აღმშენებლობითი საქმიანობა

ვირშელ III კარგ მმართველად ჰყავს "ძეგლის" ავტორს წარმოდგენილი და დადებითად ახასიათებს. იგი მხარში ედგა საქართველოს მეფე გიორგი VII-ს და მასთან ერთად ებრძოდა მოძალებულ თემურლენგის ურდოებს; ცხრაზმის საერისთავო ამ დროისთვის წარმოადგენდა ერთგვარ სახიზარს ("და თანა ჰყვა კათალიკოზი ელიაზ ყოვლით საყდრისშვილითურთ და ხიზნითა დიდითა და ჯოგითა და ცხურითა"). აღსანიშნავია გრიგოლ ბანდაისძის მინაწერიდან პარაკლიტონზე შემდეგი ადგილი: "...დაწვისაგან მოოჯრებული აღვაშენე ხუთი სახლი", "საფლავსა ზედა აღვაშენე კარიბჭე და დავჭატე ჭელითა ჩემითა" [257. 209]. როგორც ჩანს, ვირშელს კარგად სცოდნია განათლებული ადამიანის შრომის ფასი და მიუხედავად დიდი გასაჭირისა, რაც თავს დაატეხა საქართველოს და კერძოდ ცხრაზმის საერისთავოს თემურლენგმა, ვირშელ III მაინც ახერხებს მწიგნობარ გრიგოლ ბანდაისძეს გადაუხადოს შესაფერისი ანაზღაურება, რითაც ააშენა გრიგოლმა ხუთი სახლი და ახლობელთა სასაფლაოზე კარიბჭე. მოყვანილი ამონაწერი, იმასაც მიგვანიშნებს, რომ თემურლენგის ლაშქრობების შემდგომ ცხრაზმის საერისთავოში ფართოდ გაიშალა აღდგენით-აღმშენებლობითი საქმიანობა, რაც ბუნებრივია, ვირშელ III-ის ხელმძღვანელობით წარიმართებოდა.



## §13. წირქოლის ეკლესიის წარწერა

მდ. ქსნის მარჯვენა მხარეს, იქ სადაც ახლა წირქოლის დაკიდული ხიდია, მკვეთრად წამოწეულ კლდეზე აღმართულია შუა საუკუნეების, მცირე ზომის დარბაზული ეკლესია. ეკლესია ნაგებია ადგილობრივი კლდის ფლეთილი და რიყის ქვით. ნახმარია შირიმის ქვა და ქართული აგური. დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდით. აბსიდის იატაკის დონე ერთი საფეხურით მაღალია დარბაზისაზე. კონქი სფერულია, საკურთხეველი დარბაზისაგან გამოყოფილია მცირე ზომის მხრებით. დარბაზის იატაკი მოპირკეთებულია. ეკლესია ნათდება აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებში დატანებული მცირე თაღოვანი სარკმლებით. ეკლესიის დასავლეთის კიდეზე აღმართულია მცირე სამრეკლო.

აფსიდში შემორჩენილია ორსტრიქონიანი, ასომთავრულ-ნუსხურშერეული წარწერა – შესრულებული შავი ფერის საღებავით კირით ნალესს ბათქაშზე. წარწერის პირველ სტრიქონზე შემორჩენილია სამი ასო: ასომთავრული და მხედრული "ლო". მეორე სტრიქონის ყოველი გრაფემა ასომთავრულია. წარწერის ფართობი 40X15 სმ. გრაფემების სიმაღლე: 4-9 სმ. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორი წერტილი, (ყოველი სიტყვის შემდეგ), ქარაგმების ნიშანი, განივი, მოკლე კლაკნილი ხაზი.

დაზიანება: პირველი სტრიქონი ჩამორეცხილია, შემორჩენილია წარწერის კვალი. იკითხება მხოლოდ სამი გრაფემა.

ქარაგმების გახსნით:

1. [წ მინდა/ო] კვირაცხოვ/ელო...
2. წ/მინდა/ო გ/იორგ/ი შ/ეუნდ/ე ქ/უ/რ/ულ/ს.

წარწერის დათარიღება: არა უადრეს XV ს.

დათარიღების საფუძველი: 1. პალეოგრაფიული ნიშნები, მხედრულის შერევა ასომთავრულში; 2. წარწერის შინაარსი, ჟურულის მოხსენიება.

პირველი სტრიქონის წაკითხვა "წმინდაო კვირაცხოველო" გამომდინარეობს შემორჩენილი გრაფემებისა და სახელწოდების ურთიერთშეჯერებით.

რაც შეეხება მეორე სტრიქონს:

გვიან შუა საუკუნეებში ქსნის ხეობის მოღვაწეთა შორის ჟურულთა გვარი საკმაოდ ცნობილია. ჩვენი ვარაუდით, წარწერაში მოხსენიებული ჟურული უნდა იყოს მღვდელი გიორგი ჟურული, რომლის წინაპარი 1460 წლის სასისხლო სიგელის მიხედვით "ჟურელთა მეფეთაგანცა შეწყალებული იყო ცხრაზმა და თქუენი გუარისა კაცი მისი მონაპირე ყოფილა და მონასტრისა და ციხის შვილი და მქონებელი" [167. 278]. მისი სისხლი 160000 კირმანეული ღირს, მაშინ როდესაც ამავე პერიოდის ცხრაზმის ერისთავის შალვა ქვენიფნეველის სისხლი 170000 კირმანეული ღირს.

ცხრაზმის საერისთავოში XIII ს-ის ბოლოსა და XIV ს-ის დასაწყისში მოჩანს ცხრა ხევი [236. 347]. (ხევი საერისთავოს ფარგლებში მყოფი მცირე ადმინისტრაციული ერთეული). სასისხლო სიგელის მიხედვით ჟურულები ცხრაზმის საერისთავოს მონაპირე მმართველნი ყოფილან. ჩვენი ვარაუდით, ჟურულთა გვარი ცხრაზმის საერისთავოში შემავალი, მცირე ადმინისტრაციული ერთეულის - ცხრაზმის ხევის მმართველნი ყოფილან. 1459 წლისათვის კი ცხრაზმაზე სამი ხევია მოხსენიებული [208. 206].

დანარჩენი ექვსი მცირე ადმინისტრაციული ერთეული - ხევი, სავარაუდოა, რომ უკვე ერისთავის სათავისთავო მამულის ნაწილად არის გადაქცეული. ამ ექვს, გაუქმებულ სახევისთავოებს შორის საგულისხმოა ცხრაზმის ხევი, რომელიც ცხრაზმის ერისთავმა XV ს-ში უშუალოდ თავის მამულად გადააქცია, ხოლო ხევისთავთა შთამომავალი გიორგი ჟურული 1470 წელს ლარგვისის წინამძღვრად დანიშნა [206. 143].



შალვა ქვენიფნეველის 1470 წლის შეწირულობიდან ლარგვისის ეკლესიისადმი [206. 142-143] კარგად ჩანს, რომ ეკლესიების, ნაოხარი სოფლების მშენებელი ყოფილა თვითონ შალვა ქვენიფნეველი და მისდამი დაქვემდებარებული პირნი [206. 140-141].

სავარაუდოა, რომ ლარგვისის მონასტრის წინამძღვარმა გიორგი ჟურულმა გარკვეული სახის აღმშენებლობითი სამუშაო ჩაატარა წირქოლის წმინდა გიორგის ეკლესიაზე და გააკეთებინა შესაბამისი ფრესკული წარწერა.

ამ პერიოდიდან XVI ს. 70-იან წლებამდე, ქსნის ერისთავთა პოლიტიკური ცხოვრების ამსახველი ცნობები ძალზე მწირია.

# მეოთხე თავი

## §1. ელიზბარ ერისთავი (1570-1600 წწ.)

XVI საუკუნის მეორე ნახევარში, ისევე როგორც წინა და შემდგომ საუკუნეებში, ქსნის საერისთავო მეტ-ნაკლებად იმ ტკივილნარევი ცხოვრებით ცხოვრობდა, რითაც მთლიანად საქართველო და კერძოდ ქართლი.

ქართულ ნარატიულ ძეგლებში დაფიქსირებულია ქსნის ერისთავის პოლიტიკური აქტივობის რამოდენიმე მომენტი, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში თითქმის ერთგვაროვნად არის წარმოჩენილი [55. 311-312; 45. 70-71]. არადა დღევანდელი გადასახედიდან ელიზბარ ქსნის ერისთავის ქმედება სხვანაირ გააზრებას, უკეთ წარმოჩენას, დროის კონკრეტულ მომენტში (დათარიღება) ჩასმას მოითხოვს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროდ მიგვაჩნია შესაბამისი პერიოდის ქართლის ისტორიის ძირითადი კონტურების წარმოჩენა.

XVI ს. მეორე ნახევარში, საქართველოს დაპყრობას კვლავ ერთმანეთს ეცილებოდა ორი დიდი მეზობელი სახელმწიფო: ირანი და თურქეთი. მართალია პირველი ომის (1514-1555 წ. წ.) დასასრულს 1555 წელს ქ. ამასიაში დადებული ზავის თანახმად, ირანსა და თურქეთს შორის გარკვეული შეთანხმება მოხდა, მაგრამ ორივე ხელმომწერი მხარე მაინც უკმაყოფილო იყო და არ აპირებდა ზავის პირობების შესრულებას. ზავის თანახმად, საქართველოს განაწილება ირანსა და თურქეთს შორის შემდეგნაირად გადაწყდა: ირანის მფლობელობაში გადავიდა აღმოსავლეთ საქართველოს ორივე სამეფო (ქართლი და კახეთი) და სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთი ნაწილი.

თურქეთის დაქვემდებარებაში გადავიდა დასავლეთ საქართველო (ოდიშისა და გურიის სამთავროების ჩათვლით) და სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილი.



აღმავლობის გზაზე მდგარი თურქეთი უკმაყოფილი იყო სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთი ნაწილის ირანისადმი მიკუთვნებით. უკმაყოფილონი იყვნენ ირანის ხელისუფალნიც, რომელნიც ტრადიციულად ქართლ-კახეთს და სამცხე-საათაბაგოს თავიანთ კუთვნილ ტერიტორიებად აღიქვამდნენ. დაბოლოს, ქართლის პოლიტიკური ხელმძღვანელნი არ სცნობდნენ ზავის პირობებს, რადგან თავს დამარცხებულად, დაპყრობილად არ მიიჩნევდნენ და აგრძელებდნენ ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის [179. 114].

1556 წელს ქართლის დამოუკიდებლობისათვის, ირანელთა წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა ლუარსაბ I (1527-1556წ. წ.). ქართლის მეფე ხდება ლუარსაბის უფროსი შვილი სიმონ I.

სიმონ I-ის ხელისუფლებაში მოსვლით, ქართლის პოლიტიკოსთა მიერ ადრე აღებული კურსი - იარაღის ძალით გადაწყვიტონ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი, არ იცვლება. ამდენად, ქართლი, სიმონ I-ის (1556-1599 წ.წ.) ხელმძღვანელობით ხმლით აგრძელებს ირანელთა, შემდეგ კი თურქთა წინააღმდეგ ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის.

ირანის სახელმწიფოს ხელისუფალნი რეალურად აფასებენ არსებულ ვითარებას. კარგად იყენებენ ძველ რომაულ - გათიშე და იბატონეს პოლიტიკას და ქართლის პოლიტიკურ მმართველ გუნდს თიშავენ, ჰყოფენ ორ ურთიერთდაპირისპირებულ ნაწილად. ამის შესახებ პირდაპირ აღნიშნავს ბერი ეგნატაშვილი - "და ამან განსცა ძმა და ქუეყანა თჳსი და წარვიდა ყაენთან, და მივიდა შაჰ-თამაზთანა ყაზმინს, და გაჰყვნეს თავადნი//აზნაურნი და მსახურნი, გათათრდა და უწოდეს დაუთხან, და მუნ დიდად პატივ-სცა შაჰ-თამაზ, ... და გააგზავნა ტფილისს და რაოდენი ადგილი ეპყრა საქართველოსანი. და მოუმცნო სულთანსა განძისასა შემწეობა მისი და მოვიდეს დაუთხან ტფილისს და დაიპყრა ტფილისი" [202. 367]. (ხაზგასმა ჩემია ვ. ღ.).

ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტი, ახალი დეტალებით ავსებს მონათხრობს. დაუთ-ხანის მომხრეთა შორის ასახელებს ბარათაშვილებს (თუმცა სხვათა გვარებს არ ჩამოთვლის). დაუთ-ხანისა და მისი მომხრეთათვის ირანში მიუციათ შესაბამისი დაფინანსება, ქ. თბილისისა და სომხით-საბარათიანოს მეფობა. ("რაც ბატონ-ყმათ მიეცა, სრულ ცხრაათასის თუმნისა იყო. და ქალაქისა და სომხით-საბარათიანოს მეფობა მისცეს, და რაყამში შვილობით ჩაუწერეს") [202. 512].

ვახუშტი ბატონიშვილი ეთანხმება ბერი ეგნატაშვილს და დავითს ქვეყნის გამცემს - "იქმნა გამცემელ ქუეყანისა" [15. 407] უწოდებს.

ირანის ხელისუფალთა გააზრებულმა პოლიტიკამ შედეგი გამოიღო, ქართლში 1562 წელს იწყება ძმათამკვლელი ომი. ამ ომში დაუთ-ხანი სისტემატურად იღებდა აქტიურ დახმარებას ირანის სახელმწიფო-ხელისუფალთაგან ცოცხალი ძალით, იარაღით, ფინანსებით და სხვა საშუალებებით, რაც მიმართული იყო ქართლის დანგრევისაკენ.

1569 წელს ფარცხისთან ომის დროს ირანელებმა სიმონი ტყვედ ჩაიგდეს.

ირანის ხელისუფალნი, როგორც ჩანს, კარგად აცნობიერებდნენ თურქეთთან მომავალ ომს, ამიტომ ითვალისწინებდნენ რა სიმონ მეფის საბრძოლო გამოცდილებას, შეუპოვრობას, ორგანიზაციულ ნიჭს, გავლენას და სხვა მრავალ დადებით თვისებებს, ცდილობდნენ სიმონ I თავიანთ მომხრედ ექციათ. სპარსელი ისტორიკოსი ისქანდერ მუნში აღნიშნავს: "დედაქალაქ ყაზვინში ის (სიმონი) წარსდგა ხელმწიფის წინაშე, რამოდენიმე ხანს უავგუსტოეს სასახლეში ჰყავდათ, რომ იქნებ ისლამის დიდებით შეიმოსოსო, მაგრამ ის ხელს არ იღებდა ქრისტიანობის რჯულზე და ბოლოს ალამუთის ციხეში გააგზავნეს" [102. 25].

ამდენად, ირანის სამეფო კარმა, სიმონს შესთავაზა უარეყო ქრისტიანობა, ქართული სახელმწიფოებრივი ცნობიერება და ჩამდგარიყო ირანის სახელმწიფო ინტერესთა



სამსახურში. სიმონი არ თანხმდება ქართული სახელმწიფოებრივი ინტერესების უგულვებელყოფას, რისთვისაც მას აგზავნიან ალამუთის ციხეში, სადაც გრძელდება სიმონის იდეოლოგიური დამუშავება, შაჰ-თამაზის ძის, ისმაილის მიერ (შემდგომში - შაჰ-ისმაილ II. 1576-1577 წ.წ.), რომელიც ალამუთის ციხეში ტყვედ იმყოფებოდა.

ქართული სამართლის ძეგლებზე დაკვირვება გვარწმუნებს, რომ სიმონს ალამუთის ციხეში ყოფნისას (1575-1576 წლამდე), ქართლში შენარჩუნებული ჰქონდა გარკვეული პოლიტიკური უფლებები, სახელმწიფო აპარატი დედოფალ ნესტან-დარეჯანის ხელმძღვანელობით ფუნქციონირებს გორში და ასრულებს სახელმწიფო მისიას. კერძოდ, "1570 წლის სიგელი სვიმონ მეფისა, მიცემული სვეტისცხოვლისთვის, მეუღლესთან ნესტან-დარეჯანთან, შვილებთან: გიორგი, ვახტანგ, ლუარსაბ, ალექსანდრესთან ერთად სვიმონ მეფემ ანეშის საყდარი და დაბა შესწირა სვეტიცხოველს" [157. 94].

1573 წლის დოკუმენტში წერია":... ღმრთივ - გჳრგჳნოსანმან მეფეთმეფემან, პატრონმა სვიმონ და თანამეცხედრემან ჩუენმან, დედოფალთ-დედოფალმან, პატრონმან ნესტან-დარეჯან... [205. 194-195]. დოკუმენტს ამტკიცებენ: ნესტანდარეჯანი, გიორგი (შვილი, ვ. ღ.) და ვახტანგი (სიმონის ძმა, ვ. ღ.) (ხაზგასმა ჩემია, ვ. ღ.).

1574 წლის დოკუმენტში, "ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა, კითხვითა, მოწმობითა და ბრძანებითა მეფისა პატრონისა სჳმეონისითა და დედოფლისა პატრონისა ნესტან-დარეჯანისითა ჩუენ, ქართლის.... [226. 277] (ხაზგასმა ჩემია, ვ.. ღ.) აღნიშნულია 1574 წლის 14 მარტის, წყალობის წიგნში - ნიკოლოზ კათალიკოზისა პატრონ ვახტანგისადმი.

ამდენად, წარმოდგენილი დოკუმენტებით მტკიცდება, რომ სიმონ I-ს ტყვეობის პერიოდში გარკვეული პოლიტიკური უფლებები კვლავ ჰქონია შენარჩუნებული და სახელ-

მწიფოს მართავდა მისი სახელით დედოფალი ნესტან-დარეჯანი.

ხელისუფლების დაუფლებისათვის საკმაოდ მძაფრი შინაბრძოლა გაჩაღდა კახეთის სამეფო კარზე. "1574 წელს გარდაიცვალა კახეთის მეფე ლევანი და ლევანის შვილებს შორის ატყდა ბრძოლა ტახტის დაუფლებისათვის. ძლიერი თავადების - ბარძიმ ამილახორის, ელიზბარ ქსნის ერისთავისა და ქართლის მმართველის დაუთ-ხანის დახმარებით გაიმარჯვა ალექსანდრემ, რომელმაც შაჰს მორჩილება და ერთგული სამსახური აღუთქვა" [179. 122].

როგორც ჩანს, ალექსანდრეს გამეფებით დაინტერესებული ყოფილა ირანის სამეფო კარი. "შაჰს მორჩილება და ერთგული სამსახური აღუთქვა" [179. 122], (ხაზგასმა ჩემია, ვ. ღ.). სხვა შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა, რატომ უნდა აღეთქვა მორჩილება და ერთგული სამსახური ალექსანდრეს ირანის შაჰისათვის.

აქვე აღვნიშნავთ, ალექსანდრე კახთა მეფე იყო ბარძიმ ამილახორის სიძე. ალექსანდრესი და თინათინ ამილახორის ქორწინება მოხდა 1569 წელს [161. 221].

ჩანს, 1574 წლისთვის, ირანული ორიენტაციის მქონე ქართველ ფეოდალთა რიცხვიც და გეოგრაფიაც გაზრდილ-გაფართოებულა. ალექსანდრე კახთ-ბატონთან ერთად ირანის შაჰის მომხრეები გამხდარან ბარძიმ ამილახორი, ელიზბარ ქსნის ერისთავი, დაუთ-ხანი.

1574 წლისთვის აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ხელისუფლება ურთიერთდაპირისპირებულ ძალებადაა დაყოფილი. სიმონის ტყვეობაში ყოფნა ამცირებს მის მომხრეებს. ბერი ეგნატაშვილი მოგვითხრობს: "... ელიმირზონ ძე ლევანისა და ხოსრო-მირზა (ალექსანდრე კახთა მეფის ნახევარი ძმები. ვ. ღ.), უწინ სჳმონ მეფის მოყურობით გათამამებულნი იყვნენ და განძლიერებულნი არა უმდაბლეს ალექსანდრესა... და რა სცნა ბატონმან ალექსანდრე, შეიყარა მანცა სპა თჳსი და წარვიდა მათ ზედა... იქმნა ბრძოლა ძლიერი და მოისრა ორგნითვე სპანი მრავალნი და მოიკლნეს ელიმირზონ და ხოსრო-მირზა ორივენი ძმანი" [202. 369].



## §2. ერისთავის და ამილახორის თავდასხმა დედოფალზე

მოვლენათა განვითარების ამ ფონზე, სრულიად გასაგები ხდება მემატიანის შემდგომი სიტყვები: "და ცოლი მეფისა სჳმონისა დედოფალი ნესტან-დარეჯანი, ასული კახის ბატონისა, იყო კავთისჴევს და ჰყვა ძე მისი მცირე გიორგი. და რა ნახეს ქსნის ერისთავმან და ამილახორმან, ნესტან-დარეჯან დედოფლის ქმარი ალამუტის ციხეში დაატყუევეს, და ძმანი მისნი მოსრნა ალექსანდრე. და ალექსანდრეც არ იყო კარგი იმისთჳს, ამისთჳს რომე არ იყო ნაშობი დედისა თჳსისა, ამაზედ დრო იცეს ამილახორმან და ქსნის ერისთავმან, და შეესივნეს დედოფალს ნესტან-დარეჯანს და აიფორაქეს და წარიღეს საქონელი ყოველივე, რაცა ჰქონდა, რამეთუ დაუთხანსაც არ ენაღვლებოდა. და მიერითგან ითქუა - "ვაი ბატონის სჳმონის საქონელიო", რომელსა აწცა იტყჳან ქართველნი" [202. 369].

ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტი და ვახუშტი ბატონიშვილი მცირეოდენი დამატება - დაზუსტება-განმარტებით თითქმის იმეორებენ ბერი ეგნატაშვილის მონათხრობს. კერძოდ, მესამე ტექსტი, ქსნის ერისთავისა და ამილახორის მიერ, დედოფალ ნესტან-დარეჯნის წინააღმდეგ ჩადენილ ქმედებას ხსნის ანგარებით და სიმდიდრის მოყვარეობით - "სძლია ანგარებანმან და ვეცხლის-მოყუარებამან, შეესივნეს დედოფალსა ნესტან-დარეჯანს და იავარყვეს საუნჯენი მისნი, და წარიღეს ყოველივე, რაცა აქუნდათ, მეფისა სვიმონისა და დედოფლისა ნესტან-დარეჯანისა, და მიმოაქუნდათ ყოველთავე დიდთა და მცირედთა, რამეთუ იტყოდეს სიტყუასა ამას ერთგულნი ყმანი მეფისანი, რომელსა აწცა იტყჳან ანდაზად, და არს სიტყუა ესე

მაშინ თქმულა: ვაჲმე ბატონის სვიმონის საქონელო"! და წარიღეს ყოველივე საუნჯენი მეფისა დედოფლისა ნესტან-დარეჯანისა" [202. 515].

ვახუშტის თანახმად კი ამილახორი და ქსნის ერისთავი წაუქეზებია დაუთ-ხანს, "და დაჯდა დაუთხან ქუეშის ციხესა შინა (ქვემო ქართლში. ვ. ღ.) და განცხრებოდა ჴორციელად; და ოდესმე იყვის ტფილისს, არა რისა მზრუნველი სულისა და ქუეყნისათჳს, არა რაჲს პატივსა უყოფდა დედოფალსა, ცოლსა სჳმონ მეფისასა. ამისი მხილველნი ამილახორი და კსნის, ერისთავი,.... მოუჴდნენ დედოფალსა სჳმონ მეფისასა, კავთისხევს მდგომსა, და წარუხუნეს სრულიად ქონებანი და აილაფეს, რომელი არა ჯერ იყო საყოფლად (მაშინ იტყოდიან თემნი: "ვაი სჳმონ მეფისა საქონელსაო")" [15. 409]. (ხაზგასმა ჩემია. ვ. ღ.).

რა ქრონოლოგიურ ჩარჩოში ჯდება მომხდარი ფაქტი.

ირანის ხელისუფლება, როგორც ჩანს, გრძნობს თურქეთთან მოახლოებულ ომს. ირანს აღარ აწყობს ქართლის ორ ურთიერთდაპირისპირებულ ნაწილად დაყოფა და ატარებს შესაბამის პოლიტიკურ ღონისძიებებს: ართმევს სიმონს და დედოფალ ნესტან-დარეჯანს ძალაუფლებას და მთელი ქართლის მეფობას აძლევს დაუთ-ხანს. პარიზის ქრონიკის თანახმად "ქორონიკონსა სჲდ (264) დაუთხ[ა]ნ დასვეს ქართლის ბატონათ" [235. 45], რაც უდრის 1576 წელს. ჩვენი ვარაუდით ეს უნდა მომხდარიყო შაჰ-თამაზის (1524-1576 წ.წ.) გარდაცვალებამდე. ამდენად, დედოფალ ნესტან-დარეჯანის გაძარცვა და შეურაცხყოფა სავარაუდოა მომხდარიყო დაუთხანის მთლიან ქართლში გამეფებიდან შაჰ-თამაზის გარდაცვალებამდე. მატიანის მიხედვით "24 ქკს სჲდ, მაისს იე დღესა სამშაბათსა ყაენი შაჰ-თამაზ მოკუდა" [196-ა. 42; 235. 45], ე. ი. 1576 წ. 15 მაისს გარდაიცვალა შაჰ-თამაზი. (ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში, მითითებულია - 14. V. 1576 წ. ტ. IV, 1979, გვ. 578).

ამდენად, დაუთ-ხანის მთლიან ქართლში გამეფება და დედოფალ ნესტან-დარეჯანის შეურაცხყოფა მომხდარა



1576 წლის პირველ ნახევარში, უფრო ზუსტად 15 მაისამდე.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქსნის ერისთავისა და ამილახორის მიერ ჩადენილი ქმედება იყო პოლიტიკური აქტი, რომ სიმონს და მის მეუღლეს ნესტან-დარეჯანს არავითარი სახელისუფლო ძალა აღარ ჰქონდა და მთელ ძალაუფლებას ქართლში ფლობდა დაუთ-ხანი. დედოფლის დარბევის ფაქტს იმდენად დიდი გამოძახილი ჰქონია, რომ ანდაზებიც კი შექმნილა.

ჩვენი აზრით, ქსნის ერისთავის და ამილახორის მიერ დედოფლის გასაძარცავად და დასამცირებლად მოწყობილი ქმედება უნდა განვიხილოთ, როგორც ირანის ხელისუფალთა მიერ ჩადენილი მორიგი დანაშაული. აღნიშნული ქმედებისათვის კი ელიზბარ ერისთავი და ბარძიმ ამილახორი მოუმზად-წაუქეზებიათ: დაუთ-ხანს, კახეთის მეფე ალექსანდრეს ("და ალექსანდრეც არ იყო კარგი იმისთჳს"). დედოფლის გაძარცვა-დამცირების საქმეში გარკვეული წამქეზებლური როლი უნდა შეესრულებინა ასევე ვახტანგ მუხრან-ბატონს, (რომელიც 1578 წლის 21 ნოემბერს დააპატიმრებინა სიმონ I-მა ეჭვის გამო, ამის შესახებ ქვემოთ) და ელიზბარისა და ბარძიმის სურვილს - მეფის ნაქონი სიმდიდრის ხელში ჩაგდებისა.

1576 წელს გარდაიცვალა ირანის შაჰი. ციხიდან გაანთავისუფლეს შაჰ-თამაზის შვილი ისმაილი და 1576 წელს ირანის ტახტზე აიყვანეს. ირანში შინა ომი დაიწყო. შაჰ-ისმაილ II-მ (1576-77 წწ.) ალამუთის ციხიდან გაანთავისუფლა სიმონ I.

სახელისუფლო ძალაუფლების ჩამორთმევისა, ერისთავისა და ამილახორის მიხდომის შემდგომ მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში ჩავარდნილი დედოფალი ნესტან-დარეჯანი კავთისხევიდან სურამში გადასულა. "წარვიდა მუხრანის ბატონის არჩილის შვილი ერეკლე სურამს ნესტან-დარეჯან ქართლის დედოფალთანა. დედოფალი ღარიბად იყო" [202. 521]. პარიზის ქრონიკა რიცხვსაც გვისახელებს: "ქო-

რონიკონსა" სჳვ (266+1312=1578 წ. მაისსა კა (21), დღესა ოთხშაბათსა წარვიდა მუხრანის ბატონის არჩილის შვილი ერეკლე სურამს, ნესტან-დარეჯან ქართლის დედოფალთანა: დედოფალი ღარიბათ იყო: მასთან სამყოფად ჩავიდა" [235. 50].

სიმონი ტყვეობიდან გაანთავისუფლა შაჰ ისმაილმა, მალე (1577 წ.) შეთქმულებმა მოკლეს შაჰ ისმაილი და ირანის სამეფო ტახტზე ავიდა მისი ძმა ხუდაბენდე [179. 126].

## §3 ლალა მუსტაფა ფაშას ლაშქრობა

ირანში მიმდინარე შინაომების შესახებ, როგორც ჩანს, კარგად ყოფილა ინფორმირებული თურქეთის ხელისუფლება [196-ა. 36], რომელმაც ჯარის მთავარსარდლად დანიშნა ლალა მუსტაფა ფაშა და დაავალა საომარი მოქმედების დაწყება არა უშუალოდ ირანის სახელმწიფოს ცენტრალურ ტერიტორიაზე, არამედ იმ პროვინციებზე, რომელნიც ირანს გარკვეულწილად დაუმორჩილებლობას უცხადებდნენ. როგორც ჩანს, თურქეთი ცდილობდა ცენტრალური ირანისათვის დაეპირისპირებინა უკმაყოფილო პროვინციები და ამით მისი ძლიერება შეესუსტებინა.

ლალა მუსტაფა ფაშა, "სამცხე-საათაბაგოსა და ქართლის დაპყრობის შემდეგ შირვანში უნდა გაჭრილიყო, სადაც მას ჩრდილო-კავკასიიდან მომავალი ყირიმელთა ლაშქარი შეუერთდებოდა" [179. 126].

თურქეთ-ირანის მეორე ომი მიმდინარეობდა 1578-1590 წლებში - "1578 წლის აგვისტოს დასაწყისში ოსმალთა უზარმაზარი არმია, მუსტაფა ლალა ფაშას მეთაურობით, სამხრეთ საქართველოში შემოვიდა,... 24 აგვისტოს თბილისს მიადგა... ოსმალებმა თბილისი დაიკავეს" [179. 127-128], დაუთ-ხანმა ვერ შესძლო წინააღმდეგობის გაწევა და თბილისიდან გაიქცა.



ახალი ქართლის ცხოვრების, მესამე ტექსტი მოგვითხრობს: "როდესაც ტფილისს ფაშა დასუეს და გორს სანჯაყი, მუხრანის ბატონის შვილი პატრონი ვახტანგ, ერისთავი ელისბარ და ამილახორი ბარძიმ ერთად შეიყარნეს. ლალა ფაშამ ლაშქარი გაუძახა დედოფალსა და სრულიად ქართლსა. ესენი მივიდეს და ამათის წყალობით ლაშქარი დააბრუნეს. თემი აღარ ამოსწყდა. მათ მათი მამული მისცეს" [202. 522-523]. ვახუშტი ბატონიშვილი გარკვეულწილად ეთანხმება და მცირე განმარტებას ურთავს: "მუხრანის ბატონი ვახტანგ იყო უფლისწულობით, ვითარცა განმგე ქართლისა და მორჩილებდნენ ყოველნი. ამან მოიყვანა ამილახვარი ბარძიმ და კსნის ერისთავი ელიზბარ ლალა ფაშასა თანა, და დაიჴსნა ამან ქართლი და თემი მოწყუედისაგან" [15. 410].

"მესხური მატიანე" გადმოგვცემს: "54. პატრონის ბაგრატის შუილი, პატრონი ვახტანგ, ერისთავი ელისბარ და ამილახორი ბარძიმ ერთად შეიყარნეს. ლალა ფაშამ ლაშქარი გააძახა დედოფალსა და სრულიად ქართლსა. ესენი მოვიდეს და ამათის წყალობითა ლაშქარი დააბრუნვეს. თემი აღარ ამოსწყდა. მათ-მათი მამული მისცეს, ოთხი დღე არ დააყოფინეს, დააბრუნვეს; მათს მამულში მოვიდეს" [184. 49].

მუხრან-ბატონ ვახტანგის, რომელიც ამავე დროს ქართლის გამგებელიც იყო, ქსნის ერისთავ ელიზბარის და ბარძიმ ამილახორის მოქნილმა პოლიტიკამ, ისეთივემ, როგორსაც აწარმოებდა კახეთის მეფე ალექსანდრე, არამარტო გადაარჩინა, არამედ ეკონომიკურად ააყვავა და მოაშენა კახეთი, როგორც ჩანს, ასევე გადაარჩინა დედოფალი და ქართლი დარბევა-აოხრებისაგან.

ამ დროისათვის (1578 წ. აგვისტო), დედოფალ ნესტან-დარეჯანს სახელმწიფოს მართვაში კვლავ აქვს გარკვეული ფუნქცია, ვფიქრობთ, ვახტანგ მუხრან-ბატონის, ელიზბარ ერისთავის და ბარძიმ ამილახორის გამოცხადება ლალა მუსტაფა ფაშასთან, სწორედ დედოფალ ნესტან-დარე-

ჯანთან შეთანხმებული უნდა ყოფილიყო. სხვა შემთხვევაში ქართლისა და დედოფლის დასარბევად გაგზავნილ ლაშქარს უკან არ დააბრუნებდნენ. თუ არ იქნებოდა დედოფლის თანხმობა - მორჩილების გამოცხადების შესახებ. ჩვენი ვარაუდით, ვახტანგ მუხრან-ბატონი მოქმედებდა დედოფლის დავალებით.

როგორც ჩანს ქართლის პოლიტიკოსთათვის კარგად იყო ცნობილი სიმონის განთავისუფლება ალამუთის ციხიდან, რის შედეგადაც უნდა დაებრუნებინათ ნესტან-დარეჯანისთვის სახელისუფლო უფლებანი.

თუ რა უბედურებასთან იყო დაკავშირებული ომის წარმოება, მით უმეტეს თავდაცვითი ომისა საკუთარ ტერიტორიაზე, კარგად ჰქონდა გააზრებული კახეთის მეფე ალექსანდრეს. ქართველ დიდებულებს, კახეთის სახით - ომით დაურბეველი ქვეყნის მაგალითის თვალსაჩინოება ხომ სახეზე ჰქონდათ.

"მტერს წინააღმდეგობა გაუწია მხოლოდ ქვემო ქართლმა, სადაც მრავალი ოსმალო გაწყვიტეს. ამგვარად, ქართლში ოსმალები გაბატონდნენ, თბილისი საფაშოდ გამოაცხადეს, გორი - სანჯაყად, ციხე-სიმაგრეებში თავიანთი გარნიზონები ჩააყენეს და თბილისში ფაშა დანიშნეს" [179. 128]. ცოტა ხანში თურქეთმა აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან ირანი განდევნა [179. 129]. "შაჰმა დაინახა, რომ დაუდ-ხანი ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად არ გამოდგებოდა,... ამიტომ შაჰ ისმაილი ცდილობდა სიმონ I-ის გამოყენებას ოსმალთა წინააღმდეგ"... [179. 129].

ალამუთის ციხეში ყოფნისას სიმონმა კარგად გააცნობიერა, რომ თუ არ მიიღებდა მაჰმადიანობას და არ გამოხატავდა სურვილს ებრძოლა ირანის სახელმწიფო ინტერესთა დასაცავად, არავინ გაანთავისუფლებდა [67. 153] და არც მეფობას დაუბრუნებდა, ამიტომ მაჰმადიანობა მიიღო.

ალამუთის ციხეგამოვლილ სიმონის შეხედულებანი კარგად ჩანს შაჰ-ხოდაბენდესადმი გაგზავნილ მის თხოვნაში. "სიმონი გმობდა რა ძმის (დაუდ-ხანის, ვ. ღ.) ლაჩრობას,



თხოვდა შაჰს დაებრუნებინათ იგი თავის ცუდად დაცულ მამულში და პირობას იძლეოდა, რომ თავს არ დაზოგავდა ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში. არ შეუშინდებოდა დიდ საქმეებს და არ ითაკილებდა მცირეს, ოღონდ კი სცოდნოდა, რომ ემსახურებოდა თვით მოჰამედს" [67. 153].

## §4. შერიგება

"1578 წელს შაჰმა მას (სიმონს ვ. ღ.) ქართლის მეფობა უბოძა. სიმონს "რაყამი ძმობით მისწერეს" და ყიზილბაშ სარდალ ალი ყული ხანთან ერთად, 5000 მხედრით და რამდენიმე ქვემეხით საქართველოში გამოგზავნეს" [179. 129].

1578 წლის ოქტომბერში სიმონ მეფე უკვე ქართლში იყო [67. 153]. ირანსა და თურქეთს შორის საქართველოსთვის და კერძოდ ქართლისათვის ბრძოლა ახალ ფაზაში შევიდა. თურქთა უზარმაზარ ლაშქართან პირისპირ შებმას ქართველი პოლიტიკოსები უაზრობად მიიჩნევენ, ამიტომ სიმონი წვრილ-წვრილ პარტიზანულ ბრძოლებს უმართავს თურქთა ლაშქარს. თურქები პარტიზანულ ომს ყურადღებას არ აქცევენ. ქართლის დაპყრობა-დამორჩილებას დამთავრებულად თვლიან, ციხე-სიმაგრეებში თავიანთ გარნიზონებს ტოვებენ და ქართლიდან გადიან.

ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტი მოგვითხრობს: "მობრუნდა მეფე სვიმონ, გორი აიღო, ქართლში გაძლიერდა და ვისაც დედოფალსა და ბატონის შვილს გიორგიზე ვუმტყუნეს, ზოგნი მეფეს დავითს თან გაჰყვენენ ურუმში და ზოგნი იმერეთსა და კახეთს გარდაიხვეწნეს. და ქსნის ერისთავის მამული ზოგი ბატონს ნესტან-დარეჯანს დედოფალს საუპატიოდ მისცეს, და ზოგი ბატონის შვილს მისცეს. და ამილახორის კასპი სუეტს ცხოველს შეუწირეს, და აზნაურიშვილნი სახასოდ დაიჭირა "[202. 524]. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ბერი ეგნატაშვილი შემდეგ ცნობას გვაწვდის: "ხოლო სჳმონ მოვიდა ქართლს,... და შე-

უშინდა ქსნის ერისთავი და ამილახორი დედოფლის ურიგოს კადრებისათჳს. ხოლო დაუწყეს ხუეწნა, და ქსნის ერისთავმან მიართვა საუპატიოდ მეჯუდისჭევი და ახალგორი, და ამილახორს გამოართვეს კარბი და კასპი" [202. 372].

იგივე ამბავს ვახუშტი შემდეგნაირად გადმოგვცემს: "მაშინ მეფე სჳმონ ლამობდა შურისგებასა ამილახორის და კსნის ერისთავისასა. არამედ ვახტანგ მუხრანის ბატონი ურჩიდა წინათქმულთათჳს წინაშე სჳმონ მეფისა, იწყინა მეფემან და ამავ ქორონიკონს შეიპყრა ამილახორი ბარძიმცა: შეშინდა კსნის ერისთავი ელიზბარ და შეუვარდა დედოფალსა; შეძღუნა სრულიად მინატაცი და სხუანიცა მრავალნი, კუალად ახალგორი და მეჯვდა და ამილახვარმან კასპი და კარბი. შეიწყალა დედოფალმან და ევედრა მეფესა შენდობისათჳს, შეიწყალა მეფემანცა და აფუცა ერთგულებასა ზედა და განუტევა. შემდგომად ამისა განუტევა ვახტანგცა" [15. 412].

პარიზის ქრონიკა შემდეგნაირად მოგვითხრობს: "მეფემ სვიმონ გორი აიღო, ქართლში გაძლიერდა და ვისაც დედოფალსა და ბატონიშვილ გიორგიზე იმტყუნეს, ზოგნი მეფეს დავითს თან გაჰყუნეს ურუმში და ზოგნი იმერეთს და კახეთს გარდაიხვეწნეს და ქსნის ერისთავის მამული ზოგი ბატონს ნესტან-დარეჯანს დედოფალს საუპატიოთ მისცეს და ზოგი ბატონიშვილს მისცეს. ამილახორისა კასპი სვეტს ცხოველს შესწირეს და აზნაურიშვილნი სახასოთ დაიჭირა და გორის მოურაობა სულხან თურმანიძეს მისცა. მუხრანის ბატონის ბაგრატის შვილი მუხრანის ბატონი ვახტანგ ტაძრათმიყვანება დღეს ჰელთ დაიჭირა პატრონმა სიმონ მეფემან და კეხვის ციხეში ტყვეთ ჩააგდო" [235. 53].

ფ. გორგიჯანიძის თანახმად "ამილახორსა და ქსნის ერისთავს ბატონს დედოფალზედა და ბატონიშვილს გიორგიზედ ორგულობა გასცხადებოდა. ამისთვის ქართლში ველარ დადგნენ ჯალაბობით გაეც/ა/ლნეს და კახს ბატონს შეეხვეწნეს და მეფემ სვიმონ იმათი ალაგი და სოფლები



საუფატიოთ ბატონს დედოფალს მიართვა და ზოგი თავის ძმას ბატონიშვილს ვახტანგს მისცა" [66. 219-220].

"მესხური მატიან"-ის მიხედვით - "72, ტაძრადმიყვანებჲს დღეს პატრონის დედისიმედის ძმა პატრონი ვახტანგ ჰელთ დაიჭირა პატრონმა მეფემა სუიმონ და კეხჳს ციხეში ტყუედ ჩააგდო" [184. 51].

როგორც ვხედავთ, ისტორიულ ფაქტს სხვადასხვა კუთხით გადმოგვცემენ ავტორები, ერთნი უფრო კონკრეტულად, მეორენი უფრო ზოგადად.

მოყვანილი ამონარიდებიდან სანამ რაიმე დასკვნას გავაკეთებთ, საჭიროდ მიგვაჩნია მათი ავტორების სანდოობის შესახებ ორიოდე სიტყვის თქმა.

"1742-1745 წ. წ. როცა ვახუშტი თავისი... ისტორია-გეოგრაფიის ისტორიულ ნაწილს წერდა, მას ხელთ ჰქონია საქართველოს ისტორიის "დედა/ნ/ი" "არა ერთი, არამედ მრავალი"...

ვახუშტი, რომელმაც სასტიკად გააკრიტიკა სწავლულ კაცთა ნაჭირნახულევი, როგორც ცნობილია, იყენებს მათი ნაშრომის უფრო სარწმუნო ნაწილს, მაგრამ საჭიროდ თვლის ძირითადად დაემყაროს ახალ, სწავლულ კაცთათვის უცნობ წყაროებს...

ვახუშტი გვამცნობს, რომ თავისი შრომის გარკვეული ნაწილი, სახელდობრ, საქართველოს ისტორიის XVI ს. პერიოდის ამბების შემცველი თხრობა, მან საგანგებოდ გამოიკვლია "ჩვენთა ქორონიკონებთა, სპარსთაგან და გუჯართა და სიგელთაგან" [184. 108-109]. და შემდგომ - "მესხური მატიანის" დედნის სათანადო ადგილების ანალიზის შემდეგ ნათელია, რომ ვახუშტის ტექსტში არ არის დაცული ამბების ქრონოლოგიური თანამიმდევრობა [184. 15]. ვფიქრობ, მსგავს მოვლენასთან გვაქვს საქმე ჩვენ შემთხვევაშიც.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მომხდარი ისტორიული ფაქტი ჩვენ ასე გვესახება:

ტყვეობიდან დაბრუნებული სიმონ მეფე (1578 წ. ოქტომბერი) ირანიდან ჩამოყვანილ მოლაშქრეებთან ერთად

წვრილ-წვრილი პარტიზანული ბრძოლებით აღწევს გარკვეულ წარმატებებს. ძლიერდება, ანთავისუფლებს ქ. გორს და ემზადება ქართლის დიდებულებზე შურის საძიებლად. შურის საძიებო ღონისძიებათა გატარებაში მეფეს გარკვეულ წინააღმდეგობას უწევს ვახტანგ მუხრან-ბატონი. სიმონ მეფეს მის ერთგულებაში ეჭვი შეაქვს და ვახტანგს აპატიმრებინებს. "მესხური მატიანე" დაპატიმრების დღესაც გვეუბნება - "ტაძრათმიყვანების დღეს". რადგან ტაძრათმიყვანება ანუ ტაძრათ მიყვანება ყოვლადწმიდისა ღვთისმშობელისა, ქრისტიანული საეკლესიო დღესასწაულია და მუდმივი რიცხვი - 21 ნოემბერია (ახალი სტილით 4 დეკემბერი), მაშასადამე ქ. გორის განთავისუფლება მომხდარა 1578 წლის 21 ნოემბრამდე, ხოლო ვახტანგ მუხრან-ბატონის დაპატიმრება კი 21 ნოემბერს.

ვახტანგ მუხრან-ბატონის შემდგომ დაუპატიმრებიათ ბარძიმ ამილახორი, შეშინებული ქსნის ერისთავი მისულა დედოფალთან, დაუბრუნებია წართმეული (ეტყობა, როგორც თავის მიერ, ასევე ბარძიმ ამილახორის მინატაციც) და ცოტა მეტიც ("სხუანიცა მრავალნი"), გარკვეული პერიოდის შემდგომ კი მეორედ ("კუალად") ხვდება დედოფალს ქსნის ერისთავი. ხდება შეთანხმება. ქსნის ერისთავ ელიზბარს, დედოფლისათვის ღირსების შეურაცხყოფისათვის ("საუპატიოდ") გადაუცია ახალგორი და მეჯუდა. ბარძიმ ამილახორს დაუთმია კარბი და კასპი. უპატიებია დანაშაული დედოფალ ნესტან-დარეჯანს თავადებისათვის და უთხოვია მეფისათვის მათი პატიება. შეუნდვია მეფეს, დაუფიცებია ორივე თავადი ერთგულებაზე, რომლის შემდგომაც გაუნთავისუფლებია ვახტანგ მუხრან-ბატონი. შენდობის მიუხედავად მეფემ ბარძიმ ამილახორი გაანთავისუფლა ქ. გორის მოურავობიდან, მის მაგივრად კი დანიშნა სულხან თურმანიძე.

ჩვენი აზრით, ამ მოლაპარაკება-შერიგებაში, რომელიც გარკვეულ პერიოდს გრძელდებოდა, ძალზე დიდ როლს



შეასრულებდა ირანის სამეფო კარის წარმომადგენელი საქართველოში.

ამ ეტაპზე ირანის სამეფო კარის მიზნებში არ შედიოდა ქართლში შინაომისა და დაპირისპირების არსებობა. მათი ინტერესებისათვის კი ბუნებრივია ანგარიში უნდა გაეწიათ, როგორც მეფეს, ასევე დედოფალს. ამ შერიგებით ირანი თავის საქმეს აკეთებდა: თურქეთის წინააღმდეგ საბრძოლველად მას სჭირდებოდა ერთიანი, მობილური ქართლი, შეურიგებლობის შემთხვევაში კი ის კარგავდა სამ მძლავრ ფეოდალს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ დაუთ-ხანის და მისი მომხრე ფეოდალების სახით ირანმა უკვე გარკვეული სამხედრო ძალა დაკარგა, შერიგების მომხრეთა ძალისხმევა სრულიად გასაგები გახდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ნაკლებ დამაჯერებლად მიგვაჩნია ბატონ დ. ნინიძის მოსაზრება [155. 64-81] - ფ. გორგიჯანიძის მონათხრობზე დაყრდნობით, ქსნის ერისთავისა და ამილახორის მიწების ხარჯზე სავახტანგოს ტერიტორიის ერთბაშად ზრდასთან დაკავშირებით. როგორც ზემოთ დავინახეთ, ქსნის ერისთავმა დედოფლის და მეფის ძის გიორგის ღირსების შეურაცხყოფისათვის დასთმო ახალგორი და მეჯუდა, ხოლო ბარძიმ ამილახორმა კასპი და კარბი. რაც შეეხება ფ. გორგიჯანიძის მონათხრობს, ასახავს იმავეს, რასაც გადმოგვცემს ქართლის ცხოვრება და ვახუშტი. ფ. გორგიჯანიძე მომხდარ ფაქტს ზოგადად გადმოგვცემს, ხოლო ქართლის ცხოვრება და ვახუშტი ბატონიშვილი აკონკრეტებენ გადაცემული ტერიტორიების სახელების ჩამოთვლით. სავარაუდოა, რომ ფ. გორგიჯანიძე აღწერილი ამბის თხრობისას ეყრდნობა ზეპირ გადმოცემას. აკი ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტის ავტორი და ვახუშტი ბატონიშვილი პირდაპირ გვეუბნებიან დედოფლის გაძარცვასთან დაკავშირებით: "მიერითგან ითქუა" [202. 369]. "რამეთუ იტყოდეს სიტყუასა ამას ერთგულნი ყმანი მეფისანი, რომელსა აწცა იტყჳან ანდაზად, და არს სიტყუა ესე მაშინ თქმული" [202. 515] "მაშ-

ინ იტყოდიან თემნი: "ვაი სჳმონ მეფისა საქონელსაო" [15. 409].

კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი, რას წერს ფ. გორგიჯანიძე: "ამილახორსა და ქსნის ერისთავს ბატონს დედოფალზედა და ბატონიშვილს გიორგიზედ ორგულობა გასცხადებოდა. ამისთვის ქართლში ვეღარ დადგნენ ჯალაბობით გაეც/ა/ლნეს და კახს ბატონს შეეხვეწნეს და მეფემ სვიმონ იმათი ალაგი და სოფლები საუფატიოთ ბატონს დედოფალს მიართვა და ზოგი თავის ძმას ბატონიშვილ ვახტანგს მისცა " [66. 219-220]. (ხაზგასმა ჩემია, ვ. ღ.).

ფ. გორგიჯანიძის მონათხრობში განსხვავებული დეტალია - "ზოგი თავის ძმას ბატონიშვილს ვახტანგს მისცა". ბ. ეგნატაშვილი და ვახუშტი ამ ფაქტის შესახებ არაფერს ამბობენ. ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტი - "ქსნის ერისთავის მამული ზოგი ბატონს ნესტან-დარეჯანს დედოფალს საუპატიოდ მისცეს, და ზოგი ბატონის შვილს მისცეს", (იგულისხმება ბატონიშვილი გიორგი, ვ. ღ.). პარიზის ქრონიკა ეთანხმება, ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტის ავტორს. ამდენად, ფ. გორგიჯანიძის მიერ გადმოცემულ ამბავში მოყვანილი ფაქტი - "ზოგი თავის ძმას ბატონიშვილს ვახტანგს მისცა" სხვა წყაროებით არ დასტურდება. უფრო მეტიც, აღნიშნული ტერიტორიები ჩამოერთვა ელიზბარ ერისთავს და ბარძიმ ამილახორს დედოფალ ნესტან-დარეჯანისათვის და უფლისწულ გიორგისათვის მიყენებულ ღირსების შეურაცხყოფისათვის. თავადებს არ მიუყენებიათ არავითარი შეურაცხყოფა მეფის ძმა ვახტანგისათვის. "ცოლი მეფისა სჳმონისა დედოფალი ნესტან-დარეჯანი, ასული კახის ბატონისა იყო კავთისჴევს და ჰყვა ძე მისი მცირე გიორგი" [202. 369]. ამასვე ამბობს ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი [202. 515]. თვითონ ფ. გორგიჯანიძე "ბატონს დედოფალზე და ბატონიშვილს გიორგიზედ ორგულობა გასცხადებოდა" [66. 219]. ამიტომ, ფ. გორგიჯანიძის - "და სოფლები საუფატიოთ,... ზოგი თავის ძმას ბატონიშვილ ვახტანგს მისცა", რეალობას არ შეესაბამება.



ამდენად, ფ. გორგიჯანიძის მონათხრობი ეყრდნობა ზეპირ გადმოცემებს, მოკლებულია კონკრეტულობას და ზოგადად იმასვე გადმოგვცემს, რასაც უფრო კონკრეტულად ბერი ეგნატაშვილი,... ამიტომაც წერს ფ. გორგიჯანიძე: "ორგულობა გასცხადებოდაო".

## §5. ახალგორი

მართალია, ახალგორი მატიანეში პირველად 1578 წლის ნოემბრის ამბებთან დაკავშირებით მოიხსენიება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ახალგორის, როგორც დასახლებული ტერიტორიის ისტორია, ამ დროიდან იწყება. შემთხვევით მოპოვებული არქეოლოგიური მასალებიდან ირკვევა, რომ ახალგორში ადამიანი საცხოვრებლად დამკვიდრებულა ჯერ კიდევ ახალი ქვის (ნეოლითი) ხანაში, დაახლოებით 10-12 ათასი წლის წინათ [199. 170; 249].

ახალგორის ქსნის ხეობის ისტორიის, არქეოლოგიისა და არქიტექტურის მუზეუმ-ნაკრძალის ექსპოზიციაში წარმოდგენილია ძვ. წ X ს. თიხისაგან დამზადებული: სადღვებელი (საინვენტარო №:1616), ხილის ვაზა (საინვენტარო №1617), ... რაც მიგვანიშნებს, რომ აღნიშნულ პერიოდში ახალგორსა და მის მომიჯნავე ტერიტორიაზე საკმაოდ მაღალ დონეზე ყოფილა განვითარებული მეთუნეობა, მესაქონლეობა (კარაქის ამოყვანის ხელოვნება), მეხილეობა და სხვა.

ძვ. წ. IV საუკუნით თარიღდება 1917 წელს ახალგორში ასევე შემთხვევით მიკვლეული პიტიახშის სადარი სამარხეული ინვენტარი [249], საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ახალგორში არქეოლოგიური გათხრები არ ჩატარებულა და ვფიქრობთ საინტერესო აღმოჩენებია მოსალოდნელი.

ახალგორი, ვახუშტის მცირე ქალაქად აქვს მოხსენიებული [15. 359].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბერი ეგნატაშვილის თანახმად, ქსნის ერისთავმა ელიზბარმა დედოფლის - ნესტან-დარეჯანის და მეფისწულ გიორგის შეურაცხყოფისათვის ("საუპატიოთ") დასთმო ახალგორი და მეჯუდის ხევი, ვახუშტის მიხედვით - ახალგორი და მეჯუდა, და არა მეჯუდის ხევი. ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტი, პარიზის ქრონიკა და ფ. გორგიჯანიძე კი ქსნის ერისთავის მიერ დათმობილ ტერიტორიებს არ აკონკრეტებენ. ჩვენ ვახუშტი ბატონიშვილის უფრო გვწამს, რადგან როცა ბატონიშვილი წერდა "მას ხელთ ჰქონია საქართველოს ისტორიის "დედა/ნ/ი" "არა ერთი, არამედ მრავალი", მათ შორის ბერი ეგნატაშვილის ნაშრომი. მეჯუდის მდებარეობა ვახუშტის ასე აქვს განმარტებული: "არს მეჯჳდაზედ იკორთისა და კირბალის მთის ძირს, დაბა მეჯჳდა, რომლისაგან ისახელა მდინარე, ესე" [15. 368], მეჯუდა, როგორც ეს ადრე შესწავლილ ნაშრომში ვაჩვენეთ, [226. 114] - 1777 წელს, როცა ერეკლემ ქსნის საერისთავო გააუქმა, მეჯუდა გადასცა სახელისუფლოდ თავის შვილს გიორგის. გიორგიმ კი შემდგომში გადასცა ასევე თავის შვილს ბაგრატს. ამდენად 1777 წლამდე მეჯუდა ქსნის ერისთავების კუთვნილება ყოფილა.

ჩვენთვის ხელმისაწვდომი დოკუმენტებით ზუსტი განსაზღვრა, თუ რამდენ ხანს იყო ახალგორი და მეჯუდა ქართლის სამეფო კარის დაქვემდებარებაში, არ ხერხდება. სავარაუდოა, რომ ახალგორი და მეჯუდა მალევე უნდა დაებრუნებინათ ქსნის ერისთავებს, რამეთუ XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე ქსნის ერისთავები ახალგორში აშენებენ ციხე-სასახლეს [45. 70-71; 200. 564].

ქართლში კი, ირანის შაჰის სამეფო კარის გააზრებულ საგარეო პოლიტიკას მათთვის დადებითი შედეგები მოჰყვა, 1578-79 წლებში "სულთან მურად III-მ 1579 წლის კამპანიის დამთავრების შემდეგ ლალა მუსტაფა გადააყენა მთავარსარდლობიდან უმთავრესად იმის გამო, რომ მან ვერ შესძლო საქართველოს დამორჩილება" [179. 133].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, XVI ს. მეორე ნახევარში, ელიზბარ ქსნის ერისთავმა, მიმდინარე პოლიტიკური კატაკლიზმების მიუხედავად, შეძლო შეენარჩუნებინა სახელისუფლო ძალაუფლება, დაკარგული ტერიტორიების - ახალგორისა და მეჯუდას დაბრუნება და ქართლის პოლიტიკურ ცხოვრებაში საკმაოდ აქტიური როლის შესრულება, რაც უდავოდ მისი მოქნილი პოლიტიკის შედეგია.

# მეხუთე თავი

## §1. შალვა ერისთავი

XVII ს. დასაწყისში ქსნის ერისთავთა პოლიტიკური აქტივობის შესახებ ცნობები 1609 წლიდან გვაქვს. ამ დროს გრძელდებოდა 1602 წელს დაწყებული ომი ირანსა და თურქეთს შორის ამიერკავკასიაზე ბატონობისათვის. 1606 წელს შაჰ-აბასის ლაშქარმა უბრძოლველად განდევნა ოსმალეთის მეციხოვნენი თბილისიდან, ქართლის ძირითად ციხე-სიმაგრეებში ყიზილბაში მეომრები იდგნენ სამცხე-საათაბაგოში კი ოსმალები ბატონობდნენ. შაჰ-აბასმა 1606 წელს ქართლში ლუარსაბი, კახეთში კი თეიმურაზი დასვა მეფედ, რომელიც 1604 წლიდან შაჰის კარზე იზრდებოდა.

1609 წლის ივნისში თურქთა მრავალათასიანი ლაშქარი შემოიჭრა ქართლში, გვერდი აუარა ქართველთა საყარაულო რაზმებს და სწრაფი ტემპით ქვეყნის ცენტრში შემოვიდა. თურქ-ოსმალებს სურდათ ხელში ჩაეგდოთ ქართლის მეფე ლუარსაბ II, რომელიც ირანული პოლიტიკური ორიენტაციის გამტარებლად აღიქმებოდა თურქების მიერ.

თევდორე მღვდლის თავდადებამ თურქების თავდასხმის მოულოდნელობის ეფექტი გააქარწყლა. ქართლის სამეფო ხელისუფლებამ, მეფე ლუარსაბ II-ის და გიორგი სააკაძის ხელმძღვანელობით, შესძლო კრიზისის დაძლევა. შალვა ქსნის ერისთავი იხსენიება ცხირეთის მიდამოებში, თეძმის ხეობაში მიმდინარე ბრძოლასთან დაკავშირებით.

თეძმის ხეობაში სხერტის ჭალაში დამარცხებული თურქ-ოსმალები ქ. გორისაკენ მიემართებიან, გორში ვერ ახერხებენ შესვლას და აგრძელებენ მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე აყოლას ძარცვა-რბევით. ტაშისკართან შალვა ქსნის ერისთავმა თურქებს ახალციხისაკენ გასასვლელი გზა ჩაუკეტა. ამ ბრძოლაში ქართველობამ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა.



შემდგომ პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით შალვა ქსნის ერისთავი აღარ ჩანს. 1614 წლიდან კი ასპარეზზე გამოდის იასე (იასე ერისთავი).

## §2. იასე ერისთავი (1614-1626; 1632-1637 წწ.)

1613 წლის 16 ოქტომბერს ირანის შაჰი საქართველოსკენ დაიძრა. 1613 წლის ბოლო და 1614 წლის დასაწყისი საქართველოს სიახლოვეს განჯაში გაატარა. განჯაში მისულ შაჰ-აბასს ქართლის მეფე ლუარსაბმა და კახეთის მეფე თეიმურაზმა "სახვეწარი წიგნი მისწერეს," ... [235. 78; 77. 126]. ვახუშტის თანახმად "განიპარნენ ნუგზარ და იასე ერისთავნი, ამილახორი ანდუყაფარ, ფეშანგი ფალავანდიშვილი, აღათანგი ხერხეულიძე და მივიდნენ განჯას წინაშე ყეენისა" [15. 425]. განჯაში მყოფმა შაჰ-აბასმა პოლიტიკური მეთოდებით შესძლო თავის მხარეზე გადაეყვანა ქართლ-კახეთის ფეოდალთა დიდი ნაწილი, რომელთა შორის მოჩანს იასე. "ბატონს თეიმურაზს ზოგიერთი ყმანი გაორგულებოდა: ომი ვეღარ გაბედა და წავიდა ქართლს" [235. 79].

ივანე ჯავახიშვილს მოაქვს ერთი ცნობა: "1613 წ. "ქ კ ს: ტ: აქა მოვიდა შაჰაბაზ ყეენი. ბატონი თეიმურაზ იმერეთს მორჩა და ბატონი ლუარსაბ თან წაიტანა. კახეთი ამოაგდო და ქართლი ბატონს ბაგრატ მეფეს უბოძა და იასე ქსნის ერისთავად დასო". სხვა წყაროებში, წერს ბატონი ივანე ჯავახიშვილი - ეს ამბავი 1614 წლის ქვეშე იხსენიება" [252. 346]. ქრონიკის ავტორს, როგორც ამას აკად. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, წელი შეშლია. სხვა მხრივ ამ მინაწერით ვიგებთ, რომ 1614 წლამდე ქსნის ერისთავად სხვა (ალბათ შალვა) ყოფილა, და 1614 წელს შაჰ-აბასს ქსნის ერისთავად დაუმტკიცებია იასე. ქსნის ერისთავი იასე და ქართლის თავადთა დიდი ნაწილი, ამ პერიოდისათვის, ირანული ორიენტაციის პოლიტიკოსებად მოჩანან. ჩვენი აზრით, შაჰ-აბასის მიერ მოწყობილი ლაშქრობის და კახეთის

აოხრების (1614 წლის დასაწყისში) მიზეზი უნდა ყოფილიყო კახეთის და ქართლის ხელისუფალთა დაუმორჩილებლობა, ვასალური მოვალეობის შეუსრულებლობა (ამის შესახებ ცოტა ქვემოთ) და აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოება რუსეთთან. ცნობილია, რომ თვითონ ირანი, ხანგრძლივ ომებს აწარმოებდა თურქეთთან საქართველოს დაპყრობა-შენარჩუნებისათვის. ამ დროს, საქართველოს ხელისუფალთა მიერ პოლიტიკური ორიენტაციის აღება რუსეთზე და ირანის უარყოფა, ირანის მხრიდან რეაგირების გარეშე არ დარჩებოდა. ირანის მიერ კახეთის ხელისუფალთა დასჯას ემსახურებოდა 1605 წლის 12 მარტს კახეთში დატრიალებული ტრაგედია, როცა ირანული პოლიტიკური ორიენტაციის მქონე კონსტანტინემ, სახელისუფლო ძალაუფლების ხელში ჩაგდების სურვილით შეპყრობილმა, რუსული პოლიტიკური ორიენტაციის მქონე მამა - ალექსანდრე და ძმა - გიორგი დახოცა, (ალექსანდრემ ჯერ კიდევ 1587 წელს მიიღო რუსეთის მეფის ერთგულების ფიცი).

1612 წლის გაზაფხულზე, როცა შაჰ-აბასს დაგეგმილი ჰქონდა თავისი ჯარების ერთობლივი საწვრთნელი შეკრება, ნადირობა-ლაშქრობა, თეიმურაზი და ლუარსაბი არ გამოცხადდნენ [66. 228]. "ფეოდალურ საზოგადოებაში ნადირობა, ლაშქრობასთან ერთად, ერთ-ერთი ძირითადი ვასალური მოვალეობა იყო" [233. 153]. "თუ მთავარი, მეფეს ნადირობაში არ ეახლებოდა, ეს იმის მაჩვენებელი იყო, რომ იგი (მთავარი) მეფის სიუზერენიტეტს აღარ ცნობდა" (იქვე, გვ. 55), ფაქტობრივად ასეც იქნა გაგებული. ირანის სამეფო კარზე ლუარსაბისა და თეიმურაზის გამოუცხადებლობა გახდა ძირითადი მიზეზი კახეთიდან ირანში 80.000 ოჯახის გასახლების [66. 230], ქეთევან დედოფლის და ლუარსაბ II-ის დატყვევებისა და წამებით სიკვდილით დასჯისა. ირანელი ისტორიკოსი მოგვითხრობს: "მან (შაჰმა. ვ. ღ.) გადაწყვიტა, რომ რადგან ხსენებული უფლისწულები (ლუარსაბ II და თეიმურაზ I,  ვ. ღ.) "უვიცობისა და სიამაყის ცხენზე შემჯდარან, ბედის სილის (გარტყმა) ჯერ არ უგემიათ, უბედურების მასწავლებელს მათთვის დარიგების მომსმენი ყური დასჯის ხელით არ აუწევია ჭკუის სასწავლად" და ჟამთა გამოცდილებით არ გამოზრდილან, (ამიტომ) მათ დასასჯელად და დასატუქსავად წასულიყო ყარაბაღს" [102. 81].



ყარაბაღში, შაჰ-აბასთან განჯაში ჩასულ ქართველ ფეოდალთა შორის, როგორც უკვე აღვნიშნე, მოსჩანს იასე, რომლისთვისაც შაჰ-აბასს მიუცია ქსნის ერისთავობა.

იასე, გიორგი სააკაძის სიძე იყო - მეორე, ან მესამე ქალიშვილის ქმარი. პროფესორი გ. ჯამბურია წერს: "ორი უფროსი ქალი გიორგის (სააკაძე ვ. ღ.) ირანში გადახვეწამდე, ე. ი. 1612 წლამდე გაუთხოვებია, მესამე კი 1620 წლის შემდგომ გათხოვილა. უფროსი ქალი თეიმურაზ მუხრან-ბატონის მეუღლე ყოფილა, ორი დანარჩენიდან ერთი - იასე, ქსნის ერისთავისა, მეორე - ახალციხელი ფარად-ფაშას მეუღლე" [263. 39]. ბატონი გ. ჯამბურია შემდგომ კიდევ უფრო აზუსტებს "სააკაძის ქალიშვილისა და ფარად-ფაშას... ქორწინება,... 1620-1624 წლებში მოხდა" [263. 129]. თ. ჟორდანიას მიხედვით იასეს მეუღლეს როდამი რქმევია, რომელთანაც 1615 წლის ახლო პერიოდში ჰყოლია ორი ვაჟი - იასე და ზაალი [167. 22]. 1620 წლისთვის საამილახვროში ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად ძალზედ გამწვავდა მდგომარეობა. ერთმანეთს დაუპირისპირდა პაპუნა და ანდუყაფარი. ქსნის ერისთავი იასე მიემხრო ანდუყაფარ ამილახვარს და პაპუნა მოაკვლევინა. "შეშინებულმა პაპუნას მეუღლემ, თამარ ბატონიშვილმა (სიმონ I-ის ასული) შვილები - პაატა, ბეჟანი და იოთამი შაჰთან გაგზავნა" [128. 13].

1625 წლის მარტყოფის და მარაბდის ომებში, იასე ქსნის ერისთავი, სხვა ქართველ დიდებულებთან ერთად ირანის წინააღმდეგ იბრძოდა. არჩილს, იასე ქსნის ერისთავი, თეიმურაზ და ქაიხოსრო მუხრან-ბატონები ომის დაუყოვნებელი დაწყების მსურველებად ჰყავს გააზრებული მარაბდის ომში.

"თეიმურაზ, ქაიხოსრომ, ორთავ ძმებმა მუხრანს მჯდომთა, კვლა იასე ერისთავმან, სხვათ ქართველთა ომის მდომთა:

"თუ შეგვაბამთ, შეგვაბითო,
რას ხელსა გვხვდით აქა მდგომთა?
დროა, დასდგეთ ერთს რჩევაზედ,
თვარემ წავალთ ჩვენ სადგომთა" [20. 451 სტ. 627].

## §3. ბრძოლა ქარჩოხში ანუ სისხლისფრად დიოდა ქსანი

მარაბდის ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ, რის შემდეგაც ქართლში იწყება პარტიზანული ბრძოლა გ. სააკაძის ხელმძღვანელობით, სადაც გარკვეულ როლს ასრულებს იასე ქსნის ერისთავი. განსაკუთრებით კარგად არის გამოკვეთილი იასეს როლი ქსანზე, ქარჩოხში მომხდარ ბრძოლაში.

1625 წლის მარაბდის ბრძოლის შემდგომ, ქარჩოხში მომხდარი ბრძოლის პერიპეტიები შემდეგნაირად განვითარდა: ჯერ კიდევ მარტყოფის ველზე გამართული ბრძოლის წინ, ქართველთა სარდლობამ გადაწყვიტა ანდუყაფარ ამილახორის, როგორც არასაიმედო პიროვნების იზოლირება. თვით, ანდუყაფარის მონაცემებით მისი დაკავების იდეის ავტორი ყოფილა ღაზნელი [15. 434], არჩილის თანახმად კი ანდუყაფარის დაპატიმრება გიორგი სააკაძის წინადადება იყო. ("ანდუყაფარ კი შევიპყრათ, უთხრათ: შენ არშას ებია") [20. 444 სტ. 597 1]. ჩვენი აზრით, შესაძლებელია გ. სააკაძეს ანდუყაფარის იზოლირების იდეა მიაწოდა ღაზნელმა, გ. სააკაძემ კი, როგორც აჯანყების ხელმძღვანელმა გაიზიარა.

ანდუყაფარი იმყოფებოდა ირანის ჯარის ბანაკში, მთავარსარდალ ყარჩიხა-ხანთან. გიორგი სააკაძემ, როგორც მთავარსარდლის მოადგილემ, ანდუყაფარი, ვითომდა სპე-



ციალური დავალებით, ცენტრალური ბანაკიდან გაიტყუა. ბერი ეგნატაშვილი გადმოგვცემს: "ურჩია მოურავმან ყარჩიხა ხანს ვითარმედ" გავგზავნოთ ანდუყაფარ ამილახორი და ზურაბ ერისთავი და დავიბაროთ სრულიად ქართველნი, დავიპყრათ და გაუგზავნოთ ყეენსა". მაშინ დაჰყუა ყარჩიხა-ხან და გააგზავნეს ანდუყაფარ ამილახორი,..., ანდუყაფარს არ ენდობოდნენ, რამეთუ ცოლად ჰყუანდა დაჲ სვიმონ მეფის ცოლისა და ნათესავი ყეენისა, და თუთცა და დიდად ერთგული იყო" [77. 151-153]. რაც შეეხება სვიმონ მეფის ცოლს - "ოდეს გამოგზავნა მეფე სვიმონ ყაენმა, მაშინ მისცა ყეენმა ასული ყორჩიბაშისა ცოლად და წარმოატანა თანა. და იყო ქალი ყორჩიბაშის, შვილიშვილი ყაენისა, სახელით ჯანბანუმ" [77.. 150]. მემარჯვენე დროშის სარდალი, საქართველოს დიდი თავადი ანდუყაფარი, მეორე მხრივაც ენათესავებოდა შაჰ-აბასს; მისი და თამარი შაჰის ერთ-ერთი ცოლი იყო [20. 445 სტრ. 599]. ამდენად ანდუყაფარი ოჯახთან ერთად არშის ციხეში ჩაკეტეს. მართალია მარტყოფის ველზე ქართველებმა გაიმარჯვეს, მაგრამ შემდეგ მარაბდის ველზე - დამარცხდნენ. ირანის ჯარის მთავარსარდალმა ისა-ხან-ყორჩიბაშმა თავისი სიძის ანდუყაფარის გამოსახსნელად 12000 ცხენოსანი მებრძოლი გააგზავნა შაჰ-აბასის დავალებით. მანამდის კი ყორჩიბაში შეუთანხმდა ზურაბ არაგვის ერისთავს, რათა მას წინააღმდეგობის გაუწევლად გაეტარებინა არაგვის საერისთავოზე ყიზილბაშთა ლაშქარი. ვფიქრობ, ზურაბ ერისთავი შეუთანხმდა გ. სააკაძეს და ყორჩიბაშს თანხმობა მისცა შემდეგი პირობით: ყიზილბაშები შევიდოდნენ არაგვის ერისთავის ტერიტორიაზე, ავიდოდნენ ხევში (ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, რომელიც არ ექვემდებარებოდა არაგვის ერისთავს), გამოიყვანდნენ არშის ციხიდან ანდუყაფარს და უკან დაბრუნებისას გადმოვიდოდნენ ქსნის ხეობაში. შეთანხმდნენ და მოქმედებას შეუდგნენ.

ქარჩოხში მომხდარი ბრძოლის შესახებ წყაროთა ავტორები შემდეგს მოგვითხრობენ: ბერი ეგნატაშვილი წერს:

"მაშინ ყორჩიბაშმან უთავა ჯარს ხოსრო მირზა,..., წარვიდ-ენ შეულიეს და გამოიყუანეს ქალი და გარდმოვლეს ლომისა და ენებათ ქსანზე ჩამოვლა. მაშინ პირობა მისცეს ზურაბ ერისთავმა, იასე ერისთავმა და მოურავმა გიორგიმ და ერისთავის ძმამან და შეკრეს ქსანზედ გზები, დახუდენ და ამოსწყუიტეს ასე, რომე იმისთანა გამარჯვება არა თქმულარს. მოსრეს ესრეთ, რომე ქსანი შეიღება სისხლითა და სისხლის ფერად დიოდა" [77. 158].

ვახუშტი ბატონიშვილი გადმოგვცემს: "მერმე შევლეს დუშეთი და განვლეს მთიულეთი და გარდავიდნენ ჴევს და გამოიყვანეს არშიდამ ანდუყაფარ და ქალი იგი, მერმე გარდმოვლეს მთა ლომისა და შთამოვიდნენ კსანსა ზედა.

მაშინ შეკრბნენ ერისთავი კსნისა იასე და ძმა ზურაბ ერისთავისა გიორგი. რამეთუ ზურაბ ფიცისათვს არღარა ინება, და შეჰკრეს გზა კსნისა და მოურავიც დახუდა კსნის ბოლოს, მოსვრიდნენ ყიზილბაშთა ესრეთ, რამეთუ კსანი იქმნა, ვითარცა სისხლი, შეიპყრეს ხანი ყაზახისა და სულტანი სამი. არამედ მჴნედ იყო ხოსრო-მირზა, რამეთუ ვერ წარგუარეს ქალი იგი, გამოიყუანა და მოგუარა ყარჩიბაშს" [15. 433].

იოსებ ტფილელი შემდეგს ათქმევინებს გიორგი სააკაძეს:

"წიწამურის თავს დავხერგე,
შეუკარ ღართისკარია".

* * *

"მათ ქალი მოჰყავს, გარდმოვლეს
უწყინრად ხევი ხადანი,
უკან გიორგი მოსდევდა,
- ვალს უნდა გარდახადანი,
მეც მიველ, წინ გარდაუდეგ,
ვიყავ იასეს ხადანი,
რომელსა მოვხვდი, გუდურებ
უყავ ტყავისა ხადანი.



მე ხუთი ქეში ისარი
დავლიე მათზე სროლითა
გზის ასაქცევი არ ჰქონდათ,
ქარჩოხით, არც ისროლითა,
ამოვსწყვიტეს და დავხოცეთ,
ქსანს სისხლი შევასწორითა,
ალაგს და უადგილოსა
კაცი ეყარა გორითა.

* * *

სისხლი რუდ მოდის კაცისა
ქსნის წყლისა არის მღებელი,
როდეს ისარი დავლივე,
ხმლისა ვარ ამომღებელი.

* * *

ქსანი შეიქმნა ორს კვირას
სრულად სისხლისა ფერადო,
ხევები მძორით აივსო,
კაცი ვერ მორჩა ვერადო,
რომელიც მორჩა ცოტა რამ,
შეიქნენ გასაშტერადო,
უკვირდათ ჩემი საქმენი,
ვის თვალნი ჰქონდა მზერადო.

ყაზახის ხანი შევიპყარ,
არ მოვჰკალ, იქ დავაბია,
სამი სულთანი მასთანა
ერთმანეთს გარდავაბია".
[20. 630-632 სტრ. 207-219].

იგივე ბრძოლას არჩილი შემდეგნაირად აგვიწერს: -
"გამოსცილდნენ ლომისასა,
უკან მოჰყვა მათ გიორგი,

გამოიქცნენ, არ უყურეს,
რაც მოსდევდა უკან ბარგი:
მოჰხოცდეს და მოსძახოდეს:
წინ დამხდომნო აწ ივარგი:
ეს სახელი მე მიქნია
ნუგზარის შვილს ჩემთვის დარგი.

* * *
წინ დაუხვდა მოურავი
და იასე ქსნის მპყრობელი,
ქაიხოსრო, მუხრანისა
ბატონია, ხმლის მსობელი,
ზურაბ, ქველი მეომარი
და დათუნა საქებელი,
წინ დაუხვდნენ გამოქცეულთ,
აწყევლინეს მათ მშობელი".

* * *
წინ შეუკრეს ასრე გზები,
არსით კარი გაეღება,
იგინი დგეს უჩუმარად,
ამათ ხმა არ შეეღება
სისხლთა მათთა მინადენთა
სამ დღე ქსანი შეეღება,
ცხენი მათი საჭურველი
ამათს სახლში შეიღება"

[20. 458-459 სტრ. 666-671]. (ალბათ უნდა იყოს - ამათს სისხლში შეიღება. ვ. დ.).

ფ. გორგიჯანიძის მიხედვით "ყაენის ბრძანება მოუვიდა - საერისთავოში შედითო და იმან ყული ხანის ქალი წამოიყვანეთო და ჩვენთან გამოგზავნეთო. ლაშქარი შეუძახეს. ზოგი ქსნის ჴევითა და ზოგი არაგვითა, შესვლაზედ გზა დაანებეს. რა ციხეს ახლოს მივიდნეს, იმან ყული ხანის



ქალი მოსცეს და დაბრუნებაში გზები ჩაუხერგეს და უკანიდამენ წამოუშინეს. სიდამდისინ გზებს გახსნიდნემ, სამს დღეს იომეს და ძლივას ხეები გზიდამენ გარდაყარეს, ზოგნი დაიხოცნეს და ზოგნი კახეთისაკენ გარდავიდნენ და ზოგთ ამილახორის ჯალაბები წაასხეს, შაჰბანდა ხანი მოკლეს და ყაზახან შირვანის ბატონი ცოცხალი დაირჩინეს და უკანის დროს გააპარეს" [66. 235].

ზემოთქმულისა და ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, ქსანზე, ქარჩოხში მომხდარი ბრძოლა ჩვენ შემდეგნაირად გვესახება: ისა ხან ყორჩიბაში, გამომდინარე გიორგი სააკაძის მიერ გაშლილი პარტიზანული ბრძოლებისა, მთლად არ ენდობოდა ზურაბ არაგვის ერისთავის ფიცს და საკმაოდ მრავალრიცხოვან ლაშქარს, 12000 მხედარს გზავნის ანდუყაფარ ამილახორის და მისი მეუღლის გამოსახსნელად ყაზახ-ხანის, შაჰბენდე-ხანის და ხოსრო მირზას ხელმძღვანელობით. სააკაძეს, პირველი მცირე სამანევრო ბრძოლა დართისკარსა და წიწამურის მიდამოებში გაუმართავს და მალევე გასცლია. ჩვენი აზრით, ამით მტრისთვის ქართველთა "უძალობა" უჩვენებია. თავის სიძლიერეში დარწმუნებული მტრის ლაშქრის ძირითადი ნაწილი არაგვის ხეობით წასულა. მცირე მხედრობა კი ქსნის ხეობაზე შემოსულა (ფ. გორგიჯანიძე) და ქსნის ხეობის დაზვერვის შემდგომ გადავიდოდა არაგვზე, სადაც შეუერთდებოდა ძირითად ნაწილს. ქსანზე შემოსული რაზმის მიზანს, ჩემი აზრით, შეადგენდა მთლიანი ლაშქრისათვის უკან დასაბრუნებელი გზის დათვალიერება. იასე ქსნის ერისთავმა, რომელიც ალბათ შეთანხმებული იქნებოდა გიორგი სააკაძესთან, უპრობლემოდ გაატარა სპარსელთა მზვერავი რაზმი. როგორც ჩანს, სპარსელ მზვერავებს, ქსნის ხეობაზე მათ საწინააღმდეგო საომარი სამზადისი ვერ შეუმჩნევიათ. არშის ციხის მეციხოვნეებმა წინააღმდეგობის გაუწევლად მისცეს ანდუყაფარი და მისი ოჯახი. უკან მობრუნებულ ირანელებს ქსნის ხეობაში გადმოსვლა სხვა უღელტეხილით უცდიათ, მაგრამ ქართველებს ამის საშუალება არ მიუცი-

ათ [102. 131]. ყიზილბაშები არაგვიდან ლომისის გადმოსასვლელით იწყებენ გადმოსვლას ქსნის ხეობაში. ლომისის გადმოსასვლელი არის ციცაბო ქედზე ბუნებრივად ჩაჭრილი მცირე დავაკება (შემორჩენილია VIII-IX სს. დარბაზული ეკლესია, რომლისთვისაც XVI საუკუნეში ჩაუტარებიათ გარკვეული სააღმშენებლო სამუშაოები, [48. 16-17], სამრეკლო და სამეურნეო დანიშნულების შენობა-ნაგებობანი). ამდენად, 12000 ცხენოსანი მოემართება, მაგრამ გადმოსასვლელი გზის სივიწროვის გამო - (გამტარუუნარობა) იძულებულნი არიან დაბანაკდნენ ლომისის ქედის ჩრდილოეთით და ნაწილ-ნაწილ დაიწყონ გადმოსვლა.

ლომისის უღელტეხილიდან, ქსნის ხეობაში ჩამოდის შემდეგი ბილიკები: ერთი - ლომისის ხევის მარჯვენა და მარცხენა ჩაყოლებაზე, რომელიც შემდგომ, დაბლა ტყე-ბუჩქნარში ერთდება და მეორე, ლომისის ხევის მარცხნივ ოხირის ხევის ჩაყოლებით. ეს ბილიკები ალპურ ზონაში უფრო ციცაბოა. შემდეგ ტყე-ბუჩქნარში თანდათან ვაკდება და გამოდის ქსნის პირზე. საერთოდ, ლომისის უღელტეხილიდან მდ. ქსნამდე 3-4 კმ. იქნება. თითოეული ხევის მარჯვენა და მარცხენა მხარეს არსებული ბილიკები ტყე-ბუჩქნარში ჩახერგილი იქნებოდა ხეებით, ისე, რომ ბილიკზე მომავალს ვერ გადაეხვია. აქვე იქნებოდა მოწყობილი ერთგვარი სამალავები, საიდანაც უნდა მომხდარიყო ყიზილბაშთა ხოცვა (გ. სააკაძეს ხუთი კაპარჭი დაუცლია). ეს ჩახერგილ ბილიკებიანი, მიხვეულ-მოხვეული გასასვლელები ლომისის ქედიდან არ უნდა გამოჩენილიყო, სადაც დაბანაკებულნი იქნებოდნენ სარდლები: ყაზახ-ხანი, შაჰბენდე-ხანი, (რომლის განსაკუთრებული ინტერესიც ჰქონდათ ქართველებს, რამეთუ მარაბდაში ქართველების დამარცხება მის სახელთან იყო დაკავშირებული) და ხოსრო მირზა ბატონიშვილი.

მაშ ასე, მოემართება 12000 მხედარი, მაგრამ უღელტეხილის გამტარუნარიანობის სიმცირის გამო ბანაკდება ჩრდილოეთით და იწყებს ნაწილ-ნაწილ გადმოსვლას. მტერი



ფრთხილობს, მცირე რაზმს უშვებს ლომისის ხევის ჩაყოლებით და ელოდება მათ ნიშანს ლომისის ქედზე. ამ მზვერავ რაზმს სააკაძე და იასე ერისთავი მშვიდად ატარებენ. რაზმი ჩადის ქსნის პირზე და აძლევს ნიშანს - ჩამომავალი გზის უსაფრთხოების შესახებ. იწყება მასიური გადმოსვლა. უღელტეხილზე გადმოსულები ეშვებიან, როგორც დაბლა რიყისაკენ, ასევე იფანტებიან აქვე არსებულ პატარა სოფლების დასარბევად, (დღეს არის 6 ნასოფლარი). ჩემი ვარაუდით მოსახლეობა უკვე გაყვანილი იქნებოდა ამ ადგილებიდან. ყიზილბაშთა მასა თამამად ეშვება ბარის მიმართულებით, გასასვლელებში კი უკვე ჩამდგარან ქართველი მეომრები. აი ამ ვიწრო გასასვლელებში მიმდინარეობდა უხმაურო - უყიჟინო ბრძოლა (არჩილი). ფაქტიურად ეს იყო გათითოკაცებული მტრის მუსვრა. როგორც აღვნიშნეთ, უღელტეხილის გამტარუნარიანობის სიმცირის გამო გადმოსვლა მიმდინარეობდა ნელა. ჩვენი ვარაუდით, ლომისის უღელტეხილი შეიძლება დაახლოებით 4000-მა მხედარმა გადაკვეთოს დღეში. ასე, რომ 12000 მხედრის გადმოსვლას უნდა დასჭირვებოდა არა ნაკლები სამი დღე. სამი დღე მიმდინარეობდა გააფთრებული ბრძოლა ლომისისა და ოხირის ხევებში არსებულ ვიწრო გადასასვლელებში. ვერც უკან ბრუნდებოდა მტერი, რადგან უკანიდან ზურაბ არაგვის ერისთავის ძმას - გიორგის ჩაეკეტა გზა და ვერც წინ იწევდა, ასე რომ რამდენიც ჩამოდიოდა ქსნის პირზე იმდენი იხოცებოდა. ვიწრო ადგილებში ყიზილბაშთა გვამები გროვა-გროვად ეყარა. როცა მტერი მიხვდა, რომ ისინი ხაფანგში იყვნენ გაბმულნი სცადა გზის აქცევა, მაგრამ აქაც გზა მოჭრილი დახვდათ, ქართველ მხედართმთავრებს ესეც გაეთვალისწინებინათ და სათანადო რაზმები ჩაეყენებინათ. მართალია ძირითადი ბრძოლები სამი დღე მიმდინარეობდა, მაგრამ ამ ბრძოლების შემდგომაც მრავლად იყვნენ გზააბნეული ყიზილბაშები, უღელტეხილიდან ჩამომავალ გზა-ბილიკების ახლოს არსებულ პატარ-პატარა სოფლებსა, სახლებსა თუ ნასახლარებში, ბუჩქებსა თუ ჩირგ-

ვებში თავშეფარებულნი, რომელთა კვლა და ხოცვა-ჟლეტა სრულ ორ კვირას მიმდინარეობდა, ხოლო გორებად დამდგარი მტრის გვამებიდან ნაჟონი სისხლი ერთვოდა ლომისის და ოხირის ხევებს, შემდგომ მდინარე ქსანს და აწითლებდნენ. ორ კვირას უდენია მტრის სისხლით წითლად შეღებილ ქსანს (იოსებ ტფილელი).

ქარჩოხში ჩატარებული ბრძოლის თარიღის შესახებ პირდაპირი ცნობები არ გაგვაჩნია. ირიბი მონაცემებით (მარაბდის ბრძოლა, გამარჯვების ცნობის გაგზავნა, ყაენის ბრძანების მოსვლა ანდუყაფარის გამოხსნასთან დაკავშირებით, საორგანიზაციო საკითხები, ამ ბრძოლის შემდგომ გ. სააკაძის სამცხეში წასვლა და სხვა) შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქარჩოხში ბრძოლა დაიწყო 1625 წლის აგვისტოს ბოლოს და მიმდინარეობდა სექტემბრის პირველი დეკადის ჩათვლით.

ქსანზე, ქარჩოხში ყიზილბაშთა 12000 მხედრობიდან მხოლოდ მცირე ნაწილმა შესძლო გაღწევა, რომელთა შესახებაც საინტერესო ცნობას გვთავაზობს ირანელი ისტორიკოსი ისქანდერ მუნში: "ყაზახ-ხანი ქართველებმა ცოცხალი წაიყვანეს," რადგან "მასთან ნაპურმარილევი იყვნენ შაჰის კარზე ყოფნის დროს, არ ისურვეს მისი მოკვლა" [102. 132].

ერთი დეტალიც: როცა ზურაბ არაგვის ერისთავმა სვიმონ მეფე სხვილოს ციხეში მძინარე მოაკვლევინა და დედოფალს წავკისში მიუხტნენ, თეიმურაზმა ასე შეუთვალა: "ერანის ჴელმწიფის შვილისშვილი არისო, დედოფალს არა შესცოდოთ რამეო" [66. 236]. სვიმონ მეფის ცოლი და ანდუყაფარ ამილახორის ცოლი, დები რომ იყვნენ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ ქარჩოხის ბრძოლიდან ცოცხალი ძირითადად გააღწია მხოლოდ იმან, ვისი გაშვებაც ხაფანგის მომწყობებმა – გ. სააკაძემ, იასე ქსნის ერისთავმა და სხვებმა მოინდომეს: "ყაზახ შირვანის ბატონი ცოცხალი დაირჩინეს და უკანს დროს გააპარეს" [66. 235]. ხოსრო-მირზამ, გადარჩენილი მცირე რაზმებით თბილ-



ისს მიაშურა. ანდუყაფარი და მისი მეუღლე, რომელთა გამოხსნა თორმეტი ათასიანი არმიის განადგურება დაჯდა, ყორჩიბაშს მიჰგვარეს" [263. 142]. შაჰბენდე-ხანი ბრძოლაში მოკვდა.

ქართველთა მხედრობის დანაკლისის შესახებ წყაროები სდუმან, ამიტომ ვფიქრობ, რომ ქარჩოხში მომხდარი ბრძოლის დროს ქართველთა მსხვერპლი უმნიშვნელო უნდა ყოფილიყო.

შედარებისათვის: მარტყოფის ომში 30000 ყიზილბაშიდან 27000 დახოცეს ქართველებმა, მარაბდაში - 14000 ყიზილბაში, ქარჩოხში კი თითქმის მთელი 12000. ამდენად, 1625 წელს, მცირე ომებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ქართველებმა დახოცეს (27000+14000+12000)= 53000 - ყიზილბაში მებრძოლი, რაც უდავოდ დიდი დარტყმა იყო ირანის სახელმწიფოსათვის. საერთოდ კი ამ პერიოდში 60000-მდე მებრძოლი დაკარგეს (რაც ირანის არმიის ნახევარს შეადგენდა) [165. 10].

ერთი შედარებაც: ლაშა გიორგის მეფობის დროს, ჟამთააღმწერლის მიხედვით, საქართველოს თავს დაესხა მონღოლთა 12000 მხედრობა ჯებეს და სუბუდაის მეთაურობით. ქართველობამ 90000 ცხენოსანი მებრძოლი დაუპირისპირა მომხდურებს, მაგრამ რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად, მონღოლური სამხედრო ხერხის არცოდნის გამო, ქართველები მაინც დამარცხდნენ [202. 164].

ლომისის მთის ცხვირად წამოწვდილ ქედზე, ოხირის ხევის მარჯვენა მხარეს და მდინარე ქსნის მარცხენა მხარეს, კლდოვან ციცაბოზე არის აღმართული ქარჩოხის ციხე. ამ ადგილას თავდაპირველად ზურგიანი კოშკი ყოფილა. მსგავსი ზურგიანი კოშკები დაფიქსირებულია ლომისის გადასასვლელისაკენ ამავალ ნასოფლარებში [236. 68-71. 77-78], (შენიშვნა 46). როგორც ჩანს, ქარჩოხის ციხე ამ ულელტეხილისაკენ მიმავალ გზებზე მყოფ სხვა კოშკებთან ერთად ჩრდილოეთიდან გადმომავალ გზა-ბილიკების დაცვას ემსახურებოდა. პროფესორ პ. ზაქარაიას აზრით, ქარჩო-

ხის ციხის ადგილას თავიდან ადრეფეოდალურ ხანაში ზურგიანი კოშკი აუშენებიათ, შემდეგ იგი მრავალჯერ გადაუკეთებიათ. განსაკუთრებული ორიგინალობით გამოირჩევა აქ ჩაშენებული VIII-IX ს.ს. ეკლესია. XVII-XVIII საუკუნეებში ქარჩოხის ციხე საფუძვლიანად გადაუკეთებიათ [85. 68-69] და ეს ბუნებრივიცაა, რამეთუ აქ მიმდინარე ბრძოლების დროს ციხე გარკვეულწილად დაზიანდებოდა.

ამდენად, ქსანზე, ქარჩოხში მომხდარი ბრძოლის დროს გიორგი სააკაძეს, იასე ქსნის ერისთავს და სხვა მათ თანამდგომთ გამოუყენებიათ მონღოლური სამხედრო ხერხი: მოწინააღმდეგეს ჯერ მცირედით გაამარჯვებინე, შემდეგ ხაფანგში შეიტყუე და მოსპე.

ქსანზე, ქარჩოხში წარმატებით ჩატარებულ ბრძოლას ხალხმა ლექსები მიუძღვნა:

"ლომისავ, წმინდა გიორგი
შენ მოგვიმართე ხელია!
უწინამც მოგვაკვლევინე
ჩვენზედ მოსული მტერია".

***

"ადვილად არ დაირბევა
ქარჩოხის ჭალა ქვიანი.
ვაჟკაცი ბევრი გამოვა
თოფიანი და ხმლიანი".

(მთქმელი გიგლა ბუნტური, სოფელი ზოდეხი, ჩაიწერა ს.დადიანეთის ისტორიის მასწავლებელმა ვენერა ჩოხელმა).

***

"-აქ არ გეგონოთ მარაბდა
რომ დაგვკიოდით "შაჰგელდი".
აქედან ცოცხალ ვერ წახვალთ
უნდ შეგილეწონ მკერდ-გვერდი".

***



თქვენს კისერს აწევს დიდ ცოდვად
მეხის დრუბელი, ნისლია,
საქართველოში დაღვრილი
ქართველი ხალხის სისხლია.
აქ ხომ გინაღდებთ თქვენს ცოდვას,
ჩვენ აღარ გვინდა ნისია,
სამაგიეროს მოგიზღავთ
- ჯავრი არ ვჭამოთ სხვისია".

***

"ცა თუ ჭექს, ღრუბელი ნამობს
მიწა მათ მინაბარია,
სამშობლოს დაცვა მტრისაგან
წინაპართ დანაბარია".

( მამაჩემის - დავით ღუნაშვილის ჩანაწერებიდან, ინახება ჩემთან - ვ.ღ.).

## §4. აზნაურ ღაზნელთა ამოწყვეტა

ქსანზე, ქარჩოხში ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ იასე ქსნის ერისთავი და ანდუყაფარ ამილახორი მალე შერიგდნენ. როგორც ჩანს, ანდუყაფარმა იცოდა იასეს დამსახურება ხაფანგიდან მისი ცოცხლად გამოსვლასთან დაკავშირებით, და კიდევ, ურთიერთინტერესთა დამთხვევამ პირადი წყენა დაავიწყათ. ვახუშტი წერს, "მოიმწო (მოიხმო ვ. ღ.) ანდუყაფარ ამილახორმან ქსნის ერისთავი, რამეთუ შესწამა შეპყრობისა თჳსისა უწყება ღაზნელსა, დაესხა და მოსწყვდნა იგი და განიყვეს მამული მისი, ქოლოთქვითკირი დაიპყრა კსნის ერისთავმან და ნეშტი ამილახორმან [15. 434].

ანდუყაფარ ამილახორის შესახებ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ. რაც შეეხება ღაზნელებს, გამოთქმულია მოსაზრება [128.

15] იასე ქსნის ერისთავის და ანდუყაფარ ამილახორის მიერ ღაზნელთა მთელი გვარის ამოწყვეტის შესახებ და მკვლევარი უთითებს ვახუშტის, რასაც ჩვენ არ ვიზიარებთ შემდეგ გარემოებათა გამო: ვახუშტის მიხედვით – ანდუყაფარ ამილახვარი და იასე ქსნის ერისთავი გაერთიანდნენ, დაესხნენ "და მოსწყვიდნა იგი და განიყვეს მამული მისი". შემდეგ, ვახუშტი ბატონიშვილისავე თქმით "მთავართა შორის აწინდელთა ჟამთა უწარჩინებულესნი და შემძლებელნი ესენი იყვნენ და გაუყრელნი სახლნი აქუნდათ: (ჩამოთვლილია დიდი თავადები, ვ. ღ.), ხოლო აზნაურნი მრავალნი არიან, სიგრძისათვს დავიდუმეთ, ვიეთნი ძუელის გუარისანი, ვითარცა... ღაზნელი" [15. 35]. ე. ი. როცა ვახუშტი თავის შრომას წერდა 1742-1745 წწ. ღაზნელები ყოფილან "უწარჩინებულესნი და შემძლებელნი, გაუყრელნი... ძუელი გუარისანი". ამდენად, ვახუშტის მიხედვით იასეს და ანდუყაფარს ღაზნელთა მთელი გვარი არ ამოუწყვეტია.

1620 წლის დოკუმენტში მოხსენიებულია "შეღვინეთუხუცესი ღაზნელიძე პატრონი ღაზნელი" [209. 55]. 1620 წელს ღაზნელიძე ღაზნელს ჰქონია საკმაოდ მაღალი თანამდებობა - მეღვინეთუხუცესის და მოიხსენიება პატრონად. ბატონ გ. ჯამბურიას დაკვირვებით "წვრილ ფეოდალს პატრონი არ ეწოდებოდა" [263. 22]. სარგის კაკაბაძემ გამოსცა XVII ს. მეორე ნახევრის საამილახვრო დავთარი, სადაც მოხსენიებულია, ლეხურის ხეობის შუა წელზე - ზაყორის ტერიტორიაზე ზურაბ ღაზნელი, რომელსაც ევალებოდა გამოეყვანა 26 შეიარაღებული პირი, მათ შორის 5 მშვილდით და 21 თოფით [106. 19].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ შემდეგი: ღაზნელები ძველი და ძლიერი გვარის აზნაურები ყოფილან. 1625 წლისთვის მათ მიტაცებული (სხვადასხვა აკრძალული ხერხით ხელში ჩაგდებული) ჰქონიათ ქსნის ერისთავთა კუთვნილი ტერიტორია - ლეხურის ხეობის ზემო წელი - ქოლოთ-ქვითკირი. ღაზნელთა დაქვემდებარებაში ყოფილა ამავე ხეობის ქვემო წელიც, რომელიც



ამილახვრების საფეოდალო კუთვნილებას წარმოადგენდა. 1625 წლისთვის ღაზნელები იმდენად ძლიერნი ყოფილან, რომ ანდუყაფარ ამილახვარმა, მიუხედავად სამეფო ხელისუფალთა მხარდაჭერისა, რომელიც მას ჰქონდა, ვერ გაბედა დამოუკიდებლად მათზე თავდასხმა. შეუთანხმდა ქსნის ერისთავ იასეს და გაერთიანებული ძალით დაამარცხა და ამოწყვიტა ღაზნელთა ოჯახი, რომლის შემდგომაც ქსნის ერისთავმა იასემ დაიბრუნა საერისთავოს კუთვნილი ტერიტორია ლეხურის ხეობის ზემო წელი - ქოლოთქვითკირი, ქვემო წელი კი კვლავ ამილახვრებმა დაისაკუთრეს. თუ შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ, ღაზნელთა ოჯახის ამოწყვეტის მიზეზი ყოფილა მათსა და ერისთავ ამილახვრებს შორის არსებული დაპირისპირება სამამულო და სამოხელეო ტერიტორიების განაწილებასთან დაკავშირებით.

იასე ქსნის ერისთავმა და ანდუყაფარ ამილახვარმა მხოლოდ აზნაურ ღაზნელთა ოჯახი არ ამოწყვიტეს, როგორც ზევით აღვნიშნეთ, 1620 წელს მათ მოაკვლევინეს პაპუნა ამილახვარი (ანდუყაფარი იყო პაპუნას ბიძაშვილი და ამილახვრობაში ეცილებოდნენ ერთმანეთს), პაპუნას ცოლშვილმა კი ირანს შეაფარა თავი [15. 95; 128. 13].

აქვე აღვნიშნავ, ანდუყაფარ ამილახვრის სიცოცხლე ტრაგიკულად დასრულდა. ვახუშტი მის სიკვდილთან დაკავშირებით ორ ვერსიას გვთავაზობს: I - ანდუყაფარმა მცხეთის დეკანოზი შეიპყრო და საგანძური წაართვა, შემდგომ თბილისში ჩავიდა, თბილისის ("კალას") ციხისთავს ესტუმრა, დათვრა, მიაწყდა მოაჯირს გადმოანგრია, გადმოვარდა და მოკვდა [15. 434]; II - ნადირობისას ცხენიდან გადმოვარდა, კისერი მოსტყდა და მოკვდა [15. 480-481].

## §5. განხეთქილება ქართველთა შორის

1626 წლის შემოდგომაზე, იასე ქსნის ერისთავი გ. სააკაძესთან ერთად მონაწილეობს, თეიმურაზ I-ის წინააღმდეგ ბაზალეთის მიდამოებში გამართულ ომში. ფაქტობრივ-

ად ეს იყო ირანის ხელისუფალთა მიერ პროვოცირებული დაპირისპირება. შაჰ-აბასის სამეფო კარმა კარგად გამოთვალა თუ რა დანაკარგ-დანახარჯების ფასად უჯდებოდა საქართველოს შემომტკიცება და ხმლის პოლიტიკა დიპლომატური პოლიტიკით შეცვალა. შეიტანა განხეთქილება თეიმურაზ I-ისა და გიორგი სააკაძის დაჯგუფებაში და ისინი ერთმანეთს დაუპირისპირა. თეიმურაზი შემოირიგა და ირანის სახელმწიფოს სასარგებლო პოლიტიკა ქართველების ხელით და სისხლით აკეთა. ბაზალეთის მიდამოებში გადახდილი ბრძოლა ეს იყო ირანული ორიენტაციის მქონე დაჯგუფებასა (თეიმურაზ I) და თურქული ორიენტაციის მქონე (გ. სააკაძე) დაჯგუფებას შორის, დაპირისპირების შედეგი. დამარცხდა თურქული ორიენტაციის მქონე დაჯგუფება - გ. სააკაძე, ქაიხოსრო მუხრან-ბატონი, იასე ქსნის ერისთავი და სხვანი.

ვახუშტის თანახმად, გ. სააკაძე და ქაიხოსრო მუხრანბატონი, წავიდნენ სტამბოლში ხონთქართან [15. 435]. იოსებ ტფილელის მიხედვით, მათთან ერთად იყო იასე ქსნის ერისთავი.

"ცოლ-შვილი სამცხეს დავაგდე,
მოყვრები მიიბარევდეს,
ბატონიშვილსა მე ვახლდი,
იასე ჩემი მარევდეს,
ხვანთქრის კარზედა წავედით,
გზად ჩვენთვის დარი დარევდეს
ყაზახ-მეკობრე, ჯალალი
ჩვენს ვერას მოიპარავდეს".
[20. 668 სტრ. 415:19. 291].

იგივეს წერს არჩილიც:
"ქაიხოსრო და იასე,
კვლა სხვა ბევრი ქართველები
თან გარდაჰყვნენ სააკაძეს,
თავადები ძირ-ძველები".
[20. 465, სტ. 700].



## §6. ერისთავი შანშე (1626-1632 წწ.)

იასე ქსნის ერისთავის თურქეთში წასვლის შემდგომ - 1626 წლის გვიან შემოდგომით, ქსნის საერისთავოს მართავდა იასეს ძმა შანშე. დოკუმენტი, რომელშიც შანშე ერისთავია მოხსენიებული, ჩვენი აზრით, იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მოგვყავს მთლიანად.

**"განჩინება თეიმურაზ I-ისა შანშე ერისთავისა და იოთამ ამილახორის ყმა-მამულის საქმეზე 1606-1632 წწ.**

ქ. ზე ადიდენ ღმერთმან მეფეთ-მეფობა პატრონისა თეიმურაზისა. დავსხედით ბრჭენი და მეშუალნი: თვითონ მეფეთ-მეფე პატრონი თეიმურაზ, არაგვის ერისთავი პატრონი ზურაბ, სახლისუხუცესი პატრონი რევაზ, სუფრაჩი პატრონი ბიძინა, კიდევ სუფრაჩი პატრონი ზაალ, ბოქაულთუხუცესი ჯაზდან, ჯორჯაძე მერაბ, ციციშვილი მანუჩარ, ჯავახიშვილი როინ, მდივანი ლაზარე და მდივანი ავთანდილ - ერისთავის შანშესა და ამილახორის იოთამის საქმისა და საჩივრის გასაჩენლად. მეზობლობაში ერთმანეთთან ბევრი რამ სადაო საქმე ჰქონდა. სარჩელი და საჩივარი ორივესი გავიგონეთ.

1. ამილახორი ერისთავს უგანაძეს ესარჩლებოდა. რომე უგანაძე მიზდღეჩი ჩემი და ჩემის სახლის სამკვიდრო ყოფილაო.

ერისთავი ამას უპასუხებდა: უგანაძე რარიგაცა გარეყანიძე, ფურცელაძე და უთნევრიშვილი ჩვენის სახლისა ყოფილა, ისრევე ჩვენი არისო.

ჩვენ ამისი ასრე გავაჩინეთ. ერისთავმან შანშე ორი შესახელებული თავისი აზნაურიშვილი და ორი შეუსახელებელი აზნაურიშვილი ასრე შეაფიცოს, რომე: "ერისთვის სახლისაც ყოფილიყოს და არც უჴელმწიფოს კაცისაგან წართმეოდეს".

თუ შეაფიცოს და ფიცმა ამართლოს, დარჩეს ერისთავსა და ამილახორი ნუღარას ეცილების და თუ ვერა შეაფიცოს და ან ფიცმა აბრალოს - დარჩეს ამილახორსა, და ერისთავი ნუღარას ეცილების.

2. აგრევე მახისურს მიწებსა და ჭალასა ერისთავი ამილახორს ეცილებოდა. მოკითხული ვქენით: წიგნებშიაც ამილახორს ეწერა და ერისთავი ტყუილად ეცილებოდა: დაანებოს ამილახორსა და მახისურს ნუღარას ეცილების.

3. კიდევ ამილახორი ამას ჩიოდა, რომე: ჩემის სახლის საქონელი ორიანობაში სულა ჩვენს გამდელსა ჰქონდა და ბოლს, ხიზნად იყო. შეუყენა ერისთავმან ქურდები და გამდელი გაგვიცარცვევინა. მერმე იმ ქურდებს ჩვენის სახლის საქონელი სულა თვითონ გამოართვაო.

ერისთავი შანშე ამას უპასუხებდა: აშოროს ღმერთმან, არც ჩვენის საქმით ქურდები შეგვიყენებია და არცარა იმისი საქონელი ჩუენ გუნდომია და ვინცა ქურდები არის, ამილახორს ჰელთ მივსცემო.

თუ ქურდები მისცეს ერისთავმან ამილახორსა და ქურდები ამილახორმან ამაზედ გატეხოს, რომე იმ საქონლისაგან ერისთავს დარჩომოდეს რამე, რაც დარჩომოდეს - მიართვას ამილახორსა. თვარადა, რაც ქურდებისათვის გამოერთმევინოს და ისრევე ამილახორის სახლში გაეგზავნოს - ამილახორი აღარას ემართლება. თუ ერისთავმან ამილახორს ქურდები ვერ მისცეს, ერთი შესახელებული თავისი აზნაურიშვილი ასრე შეაფიცოს, რომე "არც შანშეს თავისი საქმით ქურდები შეეყენებინოს და არც რა იმ საქონლისაგან დარჩომოდეს" და ამილახორი აღარას ემართლება.

4. აგრევე ყანჩაელი ოთარა თავის დარბევასა და გაცარცვასა ჩიოდა. რაც ერისთავს იასეს წაერთმევინა, იმისას შანშე არას შუა არის და რაც შანშეს თვითონ წაერთმევინოს, თუ ოთარამ ასრე დაიფიცოს, რომე: "არც ბატონისა და არცავის უფროსი კაცის ბრძანება არა ჰქონია და შანშეს თავისის საქმით გაეცარცოს," რაც თვითონ წაერთვას,



ისრევე ოთარას შეაქციოს შანშემან. "თეიმურაზი" [209. 66-68].

დოკუმენტი ჩვენ რამოდენიმე დასკვნის გასაკეთებლად გვჭირდება.

გამომცემელს დათარიღებული აქვს 1606-1632 წწ. ჩვენი აზრით, დოკუმენტის ქვედა ზღვარი ნაჩვენები უნდა იყოს 1627 წ. და რატომ? როგორც აღვნიშნეთ იასე ერისთავი 1626 წ. ბოლოს გაჰყვა გიორგი სააკაძეს. დოკუმენტებში კი შანშე ახალგაერისთავებული არ ჩანს. და მეორე ზედა ზღვარი - არაგვის ერისთავი ზურაბი მოაკვლევინა თეიმურაზმა 1631 წელს. განჩინებაში კი ზურაბი ცოცხალი ჩანს. ამდენად, განჩინება შედგენილი უნდა იყოს დაახლოებით 1627-1630 წლებში. შემდეგ, უგანაძის საკითხი, რომლის შესახებაც მიმდინარეობდა დავა იოთამ ამილახორსა და შანშე ქსნის ერისთავს შორის, უნდა გადაწყვეტილიყო მოფიცარი კაცების საშუალებით. უნდა ვივარაუდოთ, რომ შანშე ქსნის ერისთავი ფიცის დამდებ აზნაურთა შორის დაასახელებდა ისეთ აზნაურებს, რომლებიც მის მფლობელობასა და მის გავლენის ქვეშ იყვნენ და ამდენად, უგანაძის შესახებ საკითხი, ალბათ შანშე ქსნის ერისთავის სასარგებლოდ გადაწყდებოდა.

საინტერესო მასალას გვაწვდის უგანაძეთა შესახებ იოანე ბატონიშვილი: "ამათნი წინა-პარნი პირველ ესახლნენ ადგილსა ერწოს საერისთაოსასა, სოფელსა რომელსა ეწოდების უგნაძე და იყვნენ მუნ მოსახლენი უგნაძეთ ხმობილნი მცირე აზნაურნი,... რომელნიც აწ ჰსცხოვრობენ და მოსახლეობენ ლიახვის ხეობასა შინა" [18. 69]. აღსანიშნავია, რომ სოფელი ერწო დღესაც არის დიდი ლიახვის ზემო წელზე.

დავა, უგნაძეთა შესახებ ამილახორსა და ერისთავს შორის შემდგომ წლებშიც გაგრძელებულა, პაატა უგნაძე მოჩანს ვახტანგ ბატონიშვილის ყმად. კერძოდ 1634 წელს როსტომ მეფემ იოთამ ამილახორს უწყალობა "თავისი ბიძის,

ვახტანგ ბატონიშვილის ნაყმევი აზნაური, პაატა უგნაძე მამულით" [161. 337].

სასამართლოზე უგნაძის დასასაკუთრებლად ერისთავი შანშე ასახელებს სამ კუთვნილ აზნაურს: გარაყანიძეს, ფურცელაძეს და უთნევრიშვილს. აქედან: 1783 წლის ტრაქ-ტატს დართულ "თავადის ერისთვისშვილის აზნაურნი"-ს სიაში მოხსენიებულია მხოლოდ "აზნაური უთნელისშვი-ლი" [18. 144; 207. 215]. გარაყანიძეთა შესახებ იოანე ბატო-ნიშვილი წერს: "ამათნი წინაპარნი ძველადვე არიან ქსნის აზნაურნი პირველ ცხრაზმის ხეობის მოსახლენი და მუნე-ბურნი ხევისბერნი მოხელედ" [18. 52]. აზნაური ფურცელაძე მოხსენიებულია სახასო აზნაურთა სიაში [18. 143; 207. 214].

როგორც ჩანს აზნაურები განიცდიდნენ "მოძრაობას" და ხშირად, გადადიოდნენ ერთი ფეოდალიდან მეორე ფეოდა-ლის ანდა სულაც სამეფო სახლის დაქვემდებარებაში.

სასამართლო გადაწყვეტილებიდან ჩანს, რომ შანშე ქსნის ერისთავი "მახისურს მიწებსა და ჭალას" ვერართმ-ევს ამილახორს. ასევე ირკვევა - იოთამის განცხადების საფუძველზე, რომელიც მოსამართლეებს ურწმუნიათ, რომ შანშე ქსნის ერისთავს ფარული (აკრძალული) ხერხითაც მიუტაცნია ამილახორის საქონელი, ქონება. და რომ ქსნის ერისთავი მარტო ამილახორის კუთვნილ ქონებას კი არ იტაცებდა აშკარა თუ ფარული გზებით, ასევე ძარცვავს თავის სახელისუფლო აზნაურს ოთარ ყანჩაელს. შეწუხე-ბული ოთარ ყანჩაელი უჩივის როგორც შანშეს, ასევე იასე ქსნის ერისთავს.

სასამართლო გადაწყვეტილებით - "რაც ერისთავს იასეს წაერთმევინა, იმისას შანშე არას შუა არის,... რაც თვითონ წაერთვას, ისევე ოთარას შეუქციოს შანშემან".

დოკუმენტის თანახმად ქსნის ერისთავი შანშე იმავე მე-თოდებით იბრძვის საერისთავოს გაზრდა-გაფართოებისათ-ვის და თითქმის იმავე პოლიტიკას აწარმოებს როგორსაც იასე.



შანშე ქსნის ერისთავსა და ამილახორის ურთიერთქიშპი ამით არ დამთავრებულა, ახალ-ახალი ტერიტორიების მი-ტაცება მათ ინტერესთა სფეროში ყოველთვის შედიოდა. ცენტრალური ხელისუფლება კი ცდილობდა სასამართლ-ოს ძალით დაედგინა მათ შორის სასაზღვრო ხაზი [182-ა].

1629 წლის 3 ოქტომბერს თურქეთში დაიღუპა დიდი ქა-რთველი მხედართმთავარი გიორგი სააკაძე და მასთან მყო-ფი ახლობლები. როგორც ჩანს, იასე იმ პერიოდში გ. საა-კაძესთან არ იმყოფებოდა. ბერი ეგნატაშვილის თანახმად შემთხვევით გადარჩენილნი ნაწილ-ნაწილ ბრუნდებიან სა-ქართველოში. დაბრუნებულთათვის მეფე თეიმურაზს თავი-დან მძიმე პირობები შეუქმნია [77. 163].

შემდგომი მოვლენების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქართ-ლში დაბრუნებულ იასეს, ქსნის ერისთავად მყოფი ძმა შა-ნშე მოუკლავს [66. 245]. ჩვენი ვარაუდით, ქართლში ჩამოს-ვლის შემდგომ იასე ხელისუფლების დაბრუნებასთან და-კავშირებით შანშე ერისთავისგან გარკვეულ წინააღმდეგო-ბებს წააწყდა.

ფარსადან გორგიჯანიძის თანახმად შანშე ცოლის მხრიდან ენათესავებოდა ხოსრო მირზას ("შანშეს ცოლიცა რომ მეფის (როსტომის ვ. ღ.) დისწული იყო") [66. 245], რო-მელიც ირანსა და საქართველოში თეიმურაზის რეალურ მეტოქედ გაიაზრებოდა. სავარაუდოა, იასე ერისთავს თეი-მურაზის თანხმობით (ფარული ან აშკარა) მოეკლა შანშე ქსნის ერისთავი და თეიმურაზისავე ხელშეწყობით დაებ-რუნებინა ერისთავობა 1632 წ. როცა ირანის შაჰმა თეიმურ-აზს ჩამოართვა მეფობა და როსტომს უბოძა. ამ - 1632 წლის სასარგებლოდ მეტყველებს შემდეგი გარემოებაც: როცა ქართლის დიდებულები გაუდგნენ თეიმურაზს და როსტომს მიემხრნენ, იასე თეიმურაზის ერთგული დარჩა და მასთან ერთად გადავიდა დასავლეთ საქართველოში. იასეს, რომ თვითნებურად მოეკლა შანშე, თეიმურაზ მეფე როგორც უმაღლესი მსაჯული, მას აუცილებლად დასჯი-

და, და ეს დასჯა რაიმე ფორმით აუცილებლად გაცხადდე-ბოდა.

ამდენად, შანშე ქსნის ერისთავად მოჩანს 1626-32 წლებ-ში.

## §7. ერისთავი ზაალი (1633-1634 წწ.)

იასეს სახლიკაცი ზაალი როდის ჩავიდა ირანში შაჰის კარზე, წყაროთა მონაცემებით არ ჩანს. როგორც ირკვევა ირანის სამეფო კარზე ცნეს ზაალის უფლებები, მისცეს ქსნის ერისთავობა და 1633 წლისთვის როსტომ მეფესთან ერთად აბრუნებენ საქართველოში.

ფ. გორგიჯანიძის თანახმად, როცა როსტომი ქართლში შემოდის მასთან ერთად არიან "ამილახორი ბეჟან, ქსნის ერისთავი ზაალ, თვალდამწვრის შვილი დავით თავისის შვილებითა, ფანველისშვილი ბახუტა და როინ ჯაგლაგ, მაჩაბელი თამაზა, ციციშვილი პაპუნა, თურმანბეგ თურმა-ნიძე, იმერეთის ბოქაულთუხუცესი ჩხეიძე თეიმურაზ, ბარა-თაშვილი ჰასანბეგ თავისის ძმებითა. კახი ანდრონიკაშვი-ლი, ოტია, კახაბერი, ელიზბარ სვიმონისშვილი" [66. 240].

ზაალი იყო შანშე ქსნის ერისთავის სახლიკაცი, რომე-ლიც როსტომთან ერთად ბრუნდება საქართველოში. როს-ტომი ფაქტობრივად წინააღმდეგობის გარეშე დაეუფლა ქა-რთლის ტახტს, თეიმურაზი იმერეთში გადავიდა. სამეფო ტახტის დაუფლების შემდგომ, როსტომმა მოხელეთა გარკ-ვეული ნაწილი შეცვალა, მათ ადგილას ირანიდან ჩამოყვა-ნილი ერთგული დიდებულები დანიშნა ზოგს კი ჩამორთმე-ული მამულები დაუბრუნა [66. 240]. სამწუხაროდ, წყაროებ-ის სიმწირის გამო არ ჩანს როგორ განვითარდა მოვლენე-ბი ქსნის ერისთავთა კარზე. ბუნებრივია, ვივარაუდოთ, რომ ზაალი, რომელიც როსტომმა ჩამოიყვანა მისი ერთგუ-ლი იქნებოდა. "... ქართველთა თავადნი და აზნაურნი სრულ მიუვიდნეს და როსტომ მეფეს ფეხს აკოცეს" [66. 240; 235. 93]. ერთი დოკუმენტის მიხედვით ვიგებთ, რომ



1633 წლის 25 დეკემბრისათვის როსტომ მეფეს განუახლე-ბია წყალობა ქაიხოსრო ბარათაშვილისათვის, რომელმაც როსტომ მეფეს იასე ქსნის ერისთავი შეარიგა [161. 343]. აქ-ედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ პერიო-დისთვის იასე ქსნის ერისთავს სახელისუფლო ძალაუფლე-ბა დაბრუნებული უნდა ჰქონდეს, სხვა შემთხვევაში, კერძო პირთან შემორიგებას მეფე ამხელა მნიშვნელობას - "განუ-ახლა წყალობა, გადასცა საჩუქარი, ქაიხოსრო ბარათაშვ-ილს" - არ მიანიჭებდა. ამ დოკუმენტიდან იმასაც ვგებულ-ობთ, რომ აქამდე იასე ოპოზიციაში ყოფილა როსტომთან. ამდენად, ზაალი ქსნის ერისთავად მოჩანს 1633 წლის და-საწყისიდან, წლის ბოლოდან კი იასესთან ერთად მართავს ქსნის საერისთავოს. ორი პირის მიერ ერთი ადმინისტრა-ციულ-ტერიტორიული ერთეულის ერთად მართვა, უჩვეუ-ლო არ იყო. არჩილის მიხედვით, 1625 წელს სამუხრანბა-ტონოს მართავდნენ ძმები: თეიმურაზი და ქაიხოსრო. ("თე-იმურაზ ქაიხოსრომ ორთავ ძმებმა მუხრანს მჯდომთა") [20. 45 სტრ. 627. 1].

ჩვენი ვარაუდით, როსტომ მეფის და იასე ერისთავის შერიგებაში გარკვეული როლი უნდა ეთამაშა იასეს ადრი-ნდელ შემწყნარებლურ პოზიციას როსტომის მიმართ, კერ-ძოდ, ქარჩოხში მომხდარი ბრძოლის დროს როსტომის ცო-ცხლად გაშვებასთან დაკავშირებით და იმას, რომ იასე გი-ორგი სააკაძის სიძე იყო და როსტომის დაწინაურებაში გიორგი სააკაძეს ლომის წილი მიუძღოდა. აქვე აღვნიშნ-ავთ, რომ ქაიხოსრო ბარათაშვილი, ირანიდან ჩამოჰყვა როსტომს 1633 წ. [165. 43]. და იყო როსტომ მეფის სახლ-თუხუცესი [165. 52].

## §8. მართვადი ქაოსი

იასე ერისთავის მორჩილება როსტომ მეფესთან დიდხ-ანს არ გაგრძელებულა. 1634 წელს, როცა როსტომ მეფემ

დათუნა არაგვის ერისთავი მოაკვლევინა და არაგვის ერისთავად ზაალი დაჯდა, ზაალმა იმერეთიდან თეიმურაზი მოიწვია, თეიმურაზთან ერთად ქართლში ბრუნდება იასე - "ბატონი თეიმურაზი იმერეთს იყო და ქსნის ერისთავი იასე მას ახლდა" [66. 243], ე. ი. იასე ამ პერიოდისათვის როსტომ მეფეს კვლავ ოპოზიციაში ჩაუდგა. თეიმურაზმაც არ დააყოვნა და მოწვევისთანავე არაგვის ხეობაში გადმოვიდა.

"ეს ამბავი მოუვიდა - ქსნის ერისთავი იასე ქურდობით მოჰპარვიაო და ზაალ ქსნის ერისთავი მოუკლავსო და ისევ იასე იმერეთს გარდასულაო. მეფემან წიგნი გასწერა და ყველგნით ლაშქარნი მოიხმო და იასე ერისთავი მოსრულიყო კიდევ და ერისთავზედ გაუძახეს" [66. 243], მაგრამ თეიმურაზმა სამხედრო ძალთა მანევრირებით აიძულა როსტომი, ქსნის საერისთავოს დალაშქვრაზე ხელი აეღო. თეიმურაზი კახეთში გადადის, მასთან არის იასე ერისთავი. ვახუშტი მოგვითხრობს: "თეიმურაზ და ზაალ, როსტომის მტერობისა ვერა-რისა მყოფელთა, მოიბირეს კსნის ერისთავი და მიუჴდნენ სალიმ-ხანს, განაძეს სალიმ-ხანი და დაიპყრა თეიმურაზ კახეთი" [15. 440].

1636 წელს საომარი დაპირისპირება თეიმურაზსა და როსტომს შორის კვლავ გრძელდება. იასე ქსნის ერისთავი თეიმურაზის მომხრეთა შორის არის. თეიმურაზი კვლავ მარცხდება და კახეთში ბრუნდება. როსტომმა დიდი ჯარით თეიმურაზზე გაილაშქრა. თეიმურაზმა დაინახა რა, რომ ძალთა უპირატესობა აშკარად როსტომის მხარეს იყო, ხერხი იხმარა - დაზავება ითხოვა. - "თქვენი თავადები, რომელიც ჩვენთან არიანო, ფიცით შემოგარიგებთო და ჩემს თინათინს ბრძანებით შაჰსეფი ყა/ე/ნს ვაახლებო და შვა შემოდითო, ჩემს აოჴრებულს სამკვიდრო მამულზედ დაგვაყენონო. ეს ამბავი როსტომ მეფეს ნამეტნავად იამა და ყაენს არზა მისწერა და ლაშქრობა მოიშალა და კახმან ბატონმან ამისი თავადები გამოუგზავნა" [66. 244].



შერიგება შედგა. "ბატონისშვილი თინათინი შაჰსეფი ყაენს მიჰგვარეს და ჴელმწიფემ კარგის თვალით ნახა, ..., ბატონს თეიმურაზს ათასი თუმანი თეთრი და ათასის თუმნის ჴალათი გაუგზავნეს და კარგი საიმედო რაყამი მისწერეს, ასე, რომ ამას წინათ შეგიცოდებიაო, ყველა შეგვინდვიათო" [66. 244]. ეს ფაქტიურად ირანის სამეფო კარის მიერ თეიმურაზის კახეთის მეფედ ცნობა იყო.

იასე ქსნის ერისთავისა და როსტომ მეფის შერიგების შესახებ სხვა წყაროდანაც ვიგებთ [59. 147], მაგრამ თეიმურაზ-როსტომის არც ეს შერიგება აღმოჩნდა ხანგრძლივი. თეიმურაზი, დარბეულ და გაჩანაგებულ კახეთში ვერ ჩერდებოდა. გავიხსენოთ ერთიც: თეიმურაზის არასწორი პოლიტიკის შედეგად, როცა მან ვერ დააბალანსა საგარეო და საშინაო ძალთა თანაფარდობა, შაჰ-აბასმა რამდენჯერმე დალაშქრა კახეთი და მთლიანი საქართველო. 1614 წელს კახეთიდან 80.000 მდე ოჯახი იქნა გაყვანილი, 1616 წელს 13000 ტყვე, რომელიც შემდგომ ძირითადად ფერეიდანში დაასახლა. მოკლულთა რიცხვი კი 1616 წლისთვის 60-70 ათასს სჭარბობდა. ამდენად მარტო 1616 წელს კახეთმა დაკარგა დაახლოებით 200000 ადამიანი. კახეთის აოხრება შემდგომ წლებშიც გრძელდებოდა [102. 107].

რაც შეეხება მძევლად გაგზავნილ თინათინს - გარკვეული პერიოდის შემდეგ იგი წამებით მოკლეს ირანში, ასე, რომ ირანში თეიმურაზის გაგზავნილი სამი მძევალი – შვილი, და ელენე და დედა ქეთევანი დაიღუპა.

"ანანურს ვიდეგ სამს წელსა, ვიარე აღმართ-დაღმართი" [20. 474, სტ. 741], ათქმევინებს არჩილი თეიმურაზს. იგივეს აღნიშნავს ბერი ეგნატაშვილიც [202. 419]. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პოლიტიკური თვალსაზრისით ქართლში მეტად რთული ვითარება იყო. დაკარგული ხელისუფლების დაბრუნებისათვის მებრძოლი თეიმურაზის პოლიტიკური ორიენტაციის ხშირი ცვლა ქვეყნის განვითარებაზე ცუდად მოქმედებდა, ქვეყანა შიდა ომში იყო ჩათრეული. როსტომ მეფე გორსა და თბილისში იყო, თეიმურაზი კი როგორც ალ-

ვნიშნეთ, 1634 წ. ანანურში, კახეთში, ისევ ანანურში და ასე შემდეგ. იასე ქსნის ერისთავი თეიმურაზის მხარესაა.. შიდაფეოდალური ომი ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. ამ შიდაომის ინსპირატორ-დამფინანსებელი რომ რუსეთი იყო კარგად ჩანს არჩილთან:

"ხანდახან დავზავდებოდი, ყაენს შევსძღვნიდი ფეშქაშსა,
გამოგზავნიდა ხალათსა, მის შესაფერსა ზარქაშსა.
კვლავ რუსეთიდამც მოვიდეს, ფლურით ავსებდნენ ბარქაშსა.
როსტომ მეფესაც გავრიგდი, უხარის ჩემსა დამაშსა" [20. 477 სტ. 759]

(ხაზგასმა ჩემი ვ. ღ.).

ქსნის ერისთავთა, აქტიური მონაწილეობა, ამ ომში, ჩვენის აზრით, განპირობებული იყო ქსნის საერისთავოს ტერიტორიის სტრატეგიული მნიშვნელობით.

ქსნის ერისთავები, არაგვის ერისთავებთან ერთად ფლობდნენ ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელ გზა-ბილიკებს, საიდანაც ხორციელდებოდა კავშირურთიერთობა რუსეთთან. თეიმურაზს, რომ ომი ეწარმოებინა როსტომთან, ე. ი. ირანული პოლიტიკური ორიენტაციის გამტარებელ ხელისუფალთან, რუსეთი აფინანსებდა. რუსეთი იმდენ ფულს უგზავნიდა თეიმურაზს რომ, როგორც არჩილი ამბობს - ლანგარს ავსებდა ფულით [სტრ. 759]. ცხადია, რუსეთიდან გამოგზავნილი ფულის გარკვეული ნაწილი მოდიოდა იასე ქსნის ერისთავთან, როგორც რუსული ორიენტაციის ფეოდალთან. აღნიშნული სტროფიდან ჩანს, რომ 1634 წლისთვის რუსეთი ფულს არ ზოგავდა, რათა ქართლში ყოფილიყო არასტაბილური ვითარება და ჰყოლოდა რუსული პოლიტიკური ორიენტაციის მქონე ხელისუფალნი - მეფე თეიმურაზ I, არაგვისა და ქსნის ერისთავები და სხვა ფეოდალნი.

ჩემი აზრით, თეიმურაზ - როსტომის ომი ეს იყო საქართველოსათვის თავსმოხვეული ქაოსი და არეულობა, რომლის ინსპირატორები იყვნენ რუსეთი, თურქეთი და ირანი.



საუბედუროდ, ეს დაგეგმილი, მართვადი ქაოსი ქართველების ხელით ხორციელდებოდა.

სამწუხაროდ ამ ქაოსში იასე ქსნის ერისთავიც აღმოჩნდა ჩაბმული. სავალალოა, რომ იასე ქსნის ერისთავს არ აღმოაჩნდა პოლიტიკური გამჭრიახობა, რათა პირად ამბიციებზე უფრო მაღლა დამდგარიყო და არასტაბილური ვითარების დამყარებისათვის ხელი არ შეეწყო. უფრო მეტიც, 1634 წელს იმერეთიდან, თეიმურაზთან ერთად გადმოსული იასე ახერხებს -"ქსნის ერისთავი იასე ქურდობით მოჰპარვიაო და ზაალ ქსნის ერისთავი მოუკლავსო და ისევ იასე იმერეთს გადასულაო" [66. 243]. ჩემი აზრით, ზაალ ქსნის ერისთავის, როგორც ირანული ორიენტაციის მქონე ფეოდალის მკვლელობა თეიმურაზის მიერ უნდა ყოფილიყო მომზადებული. გავიხსენოთ: ზაალ ქსნის ერისთავი ირანიდან ჩამოჰყვა როსტომს. ბუნებრივია, თეიმურაზი, რომელიც იბრძვის როსტომის გასანადგურებლად იზრუნებდა როსტომის მომხრეთა მოსპობაზეც. რა თქმა უნდა, ზაალის სიკვდილი მარტო თეიმურაზის გეგმაში არ შედიოდა. თეიმურაზის და იასე ერისთავის ინტერესთა დამთხვევას მოჰყვა ზაალ ქსნის ერისთავის სიკვდილი. თეიმურაზის მიერ მოწყობილ პროვოკაციებს ცოტა უფრო ადრე უნდა ემსხვერპლა დათუნა არაგვის ერისთავი. "დათუნა ერისთავს ასრე დაანახეს მეფე (როსტომი ვ. ღ.) ცოცხალს არ გაგიშვებსო და შეაშინეს" [66. 242]. თეიმურაზის სახელთან არის დაკავშირებული სხვა დიდებულთა სიკვდილით დასჯაც. "ამისი (დათუნა არაგვის ერისთავი ვ. ღ.) ძმა ზურაბ ერისთავი ბატონს თეიმურაზს მოეკლა" [66. 242]. თეიმურაზს აბრალებდნენ სიმონ II-ის მკვლელობასაც [66. 236] და სხვა. თეიმურაზს არ ჰქონდა სახელმწიფოს (ქვეყნის) მოვლის ნიჭი, მაგრამ ჰქონდა უზარმაზარი ამბიციები. იგი სამეფო კეთილდღეობაზე წინ ყოველთვის თავის კეთილდღეობას აყენებდა და პირადი ბედნიერებისათვის მზად იყო გაეწირა ყველა, მათ შორის ოჯახის წევრებიც: დედა, შვილები, და,

სიძე. მისი არასწორი მმართველობის შედეგად, არა მარტო
კახეთი, არამედ ქართლიც თითქმის განადგურდა.

იმერეთიდან ქართლში გადმოსულ თეიმურაზს მატერია-
ლურად - ფულით ეხმარება რუსეთი [20. 477 სტ. 759], საბ-
რძოლო მოქმედებებში გარკვეული სახის დახმარებას უწ-
ევს თურქეთი [204. 236-246]. "რამდენიმე შეტაკებაში თეიმუ-
რაზმა წარმატებასაც მიაღწია, მაგრამ საბოლოოდ მაინც
დამარცხდა, იძულებული გახდა ქართლს გასცლოდა და
კახეთში გადავიდა"[179. 319].

## §9. ელიზბარ ერისთავი, მართვადი ქაოსი გრძელდება (1637-1658; 1658-1660 წწ.)

საქართველოში გაშლილი დაპირისპირება მარტო გარე-
დან არ იყო თავსმოხვეული. საქართველოს დიდი თავადები
სამამულო და სამოხელეო ტერიტორიების მიტაცებისათვის
მადააშლილნი არავის და არაფერს ეპუებოდნენ და არც
თუ იშვიათად ძალზედ ბევრს კარგავდნენ, როგორც მოუვი-
და ეს იასე ქსნის ერისთავს (და არა მარტო მას).

1637 წლისთვის, დაზავების მიუხედავად, ქართლში არე-
ულობა კვლავ გრძელდებოდა "მეფე (როსტომი ვ. ღ.) გორს
იდგა. ციციშვილი ნოდარ და ქსნის ერისთავი იასე კარა-
ლეთზედ ცილობდნენ. არაგვის ერისთავი ზაალ ნოდარს
მიუდგა და იოთამ ამილახვარი ქსნის ერისთავს მიუდგა.
და ქსნის ერისთავი და ამილახვარი ლაშქრით გორ ზევით
ჭალაში იდგნენ. და ნოდარ თავისის ლაშქრით მტკვრის
პირს იდგა, გორ ქვეითა და ჯერ არაგვის ერისთვის ლაშ-
ქარი არ დაძრულიყო" [235. 95-96]. ფეოდალთა თვითნებობა
როსტომ მეფემ იწყინა და საპასუხო ღონისძიებები გაატა-
რა. "იასე ერისთავისა და იოთამ ამილახორის ცოლ-შვილი
როსტომ მეფემ გორის ციხეში შეგზავნა. კარალეთი როსტ-
ომ მეფემ ნოდარს უბოძა,..., და ერისთავისა და ამილახორ-



ის დაჭირვა მოინდომა. ეს იმათ შეიტყვეს, გორით აიყარნ-
ეს და ახალგორს მივიდნეს. მეფემანც ამილაჰვრობა ბეჟ-
ანს მისცა და ქსნის ერისთავობა ელიზბარს მისცა" [66.
245]. იასე ქსნის ერისთავი და ამილახორი მცირე წინააღმ-
დეგობის შემდეგ კახეთში ჩავიდნენ და თეიმურაზის საშუ-
ალებით სცადეს დაკარგული ხელისუფლების დაბრუნება.
როსტომ მეფემ "ამილახორი თავის დედას ბატონისშვილს
თამარს აპატია და საამილახოროც მისცა. ვითაც იასეს
ერისთვისა მრავალნი ჯავრი ახსოვდა მეფესა და მესისხლ-
ეც იყო, თავად თავისი ძმა, შანშე მოეკლა და შანშეს ცო-
ლიცა რომ მეფის დისწული იყო და ზალ ქსნის ერისთავი
მეფის როსტომის ბატონობაში მოეკლა, ამისთვის აღარ შე-
მოირიგა. იასესაც ღონე გაუწყდა და ყაენის კარს ჩავიდა,
კარგი პატივი დაიდვა, ულუფა გაუჩინეს და ჴელმწიფის
მეჯლის შიგ დასვეს" [66. 245]. იასეს მიერ ძმის და სახლი-
კაც ზაალის და მათი ოჯახების მიმართ ჩადენილ ტერო-
რისტულ ქმედებას აღნიშნავს ვახუშტიც: "მოწყვიდნა იასე
კსნის ერისთავმან ძმანი თჳსნი ცოლშვილითა სრულიად"
[15. 434]. ვახუშტის ქსნის ერისთავები - იასე, შანშე და ზა-
ალი ძმებად ჰყავს გააზრებული (თუმცა მათ სახელებს არ
ჩამოთვლის), სხვა წყაროთა მონაცემებით კი არ დასტურ-
დება.

რაც შეეხება იასეს ჩასვლას და დარჩენას ირანში, ჩემი
აზრით, ეს როსტომ მეფის მოთხოვნა უნდა ყოფილიყო. ეს
იყო შემორიგების თავისებური მეთოდი. ***შედარებისთვის***:
ვახუშტი, ზაალ არაგვის ერისთავის შესახებ აღნიშნავს:
"ზაალ ერისთავი ევედრა როსტომ მეფესა, რათა შეიწყალ-
ოს,..., ამისთვის უბრძანა როსტომ წარსვლა წინაშე ყეენი-
სა, ვინაითგან სწადდა როსტომს დამორჩილება ქართლისა
ყეენისაგან, ვითარცა სხუათა სახანოებთა, და მისთვის წა-
რავლინებდა მუნ ყოველთა" [15. 442] (ხაზგასმა ჩემია, ვ.
ღ.). ბერი ეგნატაშვილის მიხედვით: - დამარცხებულმა ზაა-
ლმა ხვეწნა დაუწყო როსტომს - შეგვირიგე და გვიმსახუ-
რეო", ხოლო როსტომ მეფემან ესე უპასუხა ზაალ ერისთა-

ვსა: "უკეთუ წარხვალ ყაენთან, შეგირიგებ და უკეთუ არა წახვალ, ჩემთან ჭელი არა გაქუს". მაშინ დაჰყუა ზაალ ერისთავი: მოიყვანა და შეირიგა. და გააგზავნა ყაენთან და მისწერა ყაენთან კაი წიგნები" [202. 423]. ზაალი დიდი პატივით მიუღია ყაენს "კეთილად მიიჩნივა სიტყვა როსტომ მეფისათა და უყო წყალობა მრავალი: გაუჩინა წელიწადში სამასი თუმანი ჯამაგირი, გაათათრა და გამოისტუმრა ქართლს. და მოვიდა როსტომ მეფესთანა და მიერითგან იყო ერთგული როსტომ მეფისა" [202. 432-433]. ის, რომ ყაენი როსტომს უჯერებდა, ბერი ეგნატაშვილი შემდგომაც აღნიშნავს: "და უჯერებდა ყაენი დიდად როსტომ მეფესა" [202. 433], ამიტომ ვფიქრობთ, რომ ერისთავ იასეს ირანში ჩასვლა და შაჰის კარზე მაღალ თანამდებობაზე დანიშვნა როსტომ მეფის თხოვნით მოხდებოდა.

ფ. გორგიჯანიძის ცნობით საქართველოდან ირანში ჩასული იასე საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე დაუნიშნავთ. პარიზის ქრონიკის ავტორი ეთანხმება გორგიჯანიძეს და კიდევ უფრო აზუსტებს: "ყაენმა დიდი პატივი მისცა, მეჰმანდარად ("მეჰმანდარი" თანამედროვე ქართულით - მესტუმრეთუხუცესს ნიშნავს. ვ. ღ.) დააყენა და კარგი ულუფა გაუჩინა და მეჯლისში საჯდომად ალაგი უბოძეს და ყოველს მეჯლისში დაჰპატიჟებდიან" [235. 95].

საინტერესო დაკვირვებას გვთავაზობს მეჯლისის შესახებ ნ. სურგულაძე - მეჯლისი შაჰთან არსებული სახელმწიფო სათათბირო ორგანოა, სადაც სხვადასხვა სახელმწიფოებრივი საკითხები განიხილება [192-ა. 95]. მეჯლისზე ხდებოდა მოხელეთა სამსახურზე დანიშვნაც და აქვე უნდა შესრულებულიყო თანამდებობის მიღებასთან დაკავშირებული, ე. წ. "ფეხის კოცნის" (ფაიბუს") ცერემონიალი" [192-ა. 96-97].

ფარსადან გორგიჯანიძე მოგვითხრობს: "ამ იასეს ერისთავს ამილახორი პაპუნა მოეკლა, იმისი ორნი შვილნი პაატა და იოთამ ყაენს ახლდნენ და იყვნენ დროს მძებნელნი, რომ თავიანთ მამის მკვლელი იასე მოკლან. ამ დროს შაჰსეფი ყაენი მიიცვალა და იმისი შვილი შაჰაბაზ გაჴემწიფდა. ქ. კს ტლ. ყაენი ყაზმინს მივიდა, ჴელმწიფე ყმაწვილი იყო და ამილახორის შვილებმან დრო დაიცეს, ყაზმინს ყაენის სახლით მიმავალს გზაზედ დახვდნენ და თოფი ჰკრეს და იასე ერისთავი მოკლეს" [66. 245]. იასე ქსნის ერისათავის მოკვლას ადასტურებს სპარსელი ისტორიკოსი მოჰამედ თაჰერიც - "იასე ერისთავი - ქართველი მოჰკლა ყაზვინში ბადადა (პაატა) - ქართველმა, ამილახორის შვილმა" [197. 382].

იასე ქსნის ერისთავად მოჩანს 1614-1626; 1632-1637 წლებში. იასე ერისთავი პაპუნა ამილახვრის შვილებს მოუკლავთ შაჰ-აბაზ II-ის გამეფებისას. შაჰ-აბაზ II გამეფდა 1642 წელს. იასე ერისთავის გვამი ირანში არ დაუტოვებიათ: "როინ ჯავახიშვილი ყაზმინს იყო როსტომ მეფისაგან ყაენთან გამოგზავნილი და იასე ქსნის ერისთავი იმან საქართველოში წაიღო მკვდარი" [66. 246]. იასეს ჩამოსვენება, როგორც ჩანს, როსტომის დავალებით მომხდარა: "შეუთვალა (როსტომმა, ვ. ღ.) როინ ჯავახიშვილს, რომ გამოეძია იასე ერისთავის მკვლელობის საქმე, ხოლო ნაზირს - მოკლულის ქონება და ნივთები აღენუსხა" [161. 354].

როგორც ზემოთ აღვნიშნე, აქ ისიც ჩანს, რომ იასე ქსნის ერისთავი ირანის სამეფო კარზე როსტომ მეფის თხოვნით დატოვეს და მისი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა 1637-1642 წლებში. ფ. გორგიჯანიძის თანახმად, იასეს ქრისტიანული რჯული არ უარყვია და არ გამაჰმადიანებულა.

საქართველოში კი დაგეგმილ-დაპროგრამებული "შინა" ომი გრძელდებოდა. 1638 წელს "ქალაქს შიგ მჯდომს მეფეს როსტომს ამბავი მოუვიდა, რომ ხვალ შობას ორნივ ერისთავები და იოთამ ამილახორი ახალგორს შობას ერთგან იქმონენო და იქ ლაშქარს შეიყრიანო და ბატონს თეიმურაზს საფურცლეს შემოეყრებიანო, იქიდამენ ცხეთას მოვლენო და ვისაც მათთან პირობა აქვთ, იქ შეეყრებიან და შეჰფიცვენ" [66. 249]. როსტომ მეფემ სასწრაფო ღონისძიე-

ბები გაატარა, შობის წინა ღამეს დიდი ჯარით ახალგორისკენ გამოემართა - "შობას დილას ახალგორს ლოცვაზედან მდგომთ თავს დაესხნეს".... [66. 249-250].

თავდასხმა როსტომმა სწრაფად და მოულოდნელად განახორციელა. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ბახუტი მუხრანის ბატონმა. აჯანყებულები თავდასხმას არ ელოდნენ. გუშაგებმა ხმაური რომ ატეხეს, სეპარატისტებმა იარაღის ასხმაც ვერ მოასწრეს, ბევრი აღარც მეფის მხედრობამ აცალა და მოწინააღმდეგენი ახალგორიდან გაჰფანტა. ვისაც როგორ შეეძლო ისე გარბოდა, ზოგი ცხენით და ზოგი ფეხით. მათი სამასპინძლო საუზმე კი მეფის ლაშქარმა მიირთვა. იმ დღისით როსტომ მეფე ახალგორში დარჩა, მეორე დღეს დაპატიმრებულ მოწინააღმდეგეებს აპატია დანაშაული, შემოირიგა და გორისკენ გაემართა [66. 250]. წყაროს ავტორი არ გვეუბნება სეპარატისტ ქსნის ერისთავის სახელს. სავარაუდოა, რომ ამ დროს ქსნის ხელისუფალია 1637 წელს გაერისთავებული ელიზბარი.

საინტერესოა რა არის ცნობილი ელიზბარ ქსნის ერისთავის შესახებ. როგორც აღვნიშნეთ, ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით: "მოწყვდნა იასე კსნის ერისთავმან ძმანი თჳსნი ცოლშვილითა სრულიად" [15. 434]. იასეს მიერ ძმის და სახლიკაცის დახოცვის ფაქტს გვიდასტურებს ფ. გორგიჯანიძე [66. 243, 245], პარიზის ქრონიკის ავტორი - "იასე ერისთავს,... თავისი ძმა შანშე და მისი ცოლი მოეკლა, და შანშეს ცოლი მეფის (როსტომის, ვ. ღ.) დისწული იყო" [235. 95]. თ. ჟორდანიას მიხედვით იასეს ვაჟებს რქმევიათ იასე და ზაალი [167. 22]. ამდენად, ელიზბარი, იასეს ძმა არ შეიძლება ყოფილიყო და არც იასე გაიაზრება ერისთავის შვილად, ჩემი აზრით, ელიზბარი იყო იასეს სახლიკაცი.

მკვლევარ ჯონდო გვასალიას აზრით, ამ პერიოდისთვის ახალგორი უკვე ქსნის საერისთავოს ცენტრად იგულისხმება [45. 71], რასაც ჩვენც ვეთანხმებით. საქართველოში სხვა სახელმწიფოთა მიერ დაგეგმილი ანარქია გრძელდებოდა. 1639 წელს თეიმურაზმა რუსეთის მეფის ერთგულების ფიცი მიიღო. ქსნის ერისთავთა სახლის წევრი - ლარგველ ერისთავის შვილი - სხვა დიდებულებთან ერთად ისევ აღმოჩნდა ჩაბმული "შინა" ომში.. რუსეთიდან კი კვლავ მოდიოდა თანხები დესტაბილიზაციის მხარდასაჭერად. 1642 წელს თეიმურაზ I-ს გადასცეს 20.000 ეფიმკა ("ეფიმკა" 50 კაპიკს უდრიდა) და 2200 მანეთის საჩუქრები [207. 79]. როსტომ მეფემ ამჯერადაც შესძლო, სწრაფი მოქმედებით, შეთქმულთა გაუვნებელყოფა. დასახელებული თანხის მსყიდველობითი უნარის უკეთ გააზრებისათვის მოგვყავს შემდეგი შედარება: 1651 წლისათვის რუსეთის სახელმწიფოს ელჩები, რათა იმერეთის მეფეს ალექსანდრეს მიაღებინონ რუსეთისათვის სასურველი გადაწყვეტილება, საჩუქრების სახით აძლევენ ქრთამს - მეფის სულიერ მოძღვარს ზაქარია მიტროპოლიტს, ფეშანგი მდივანს და ბიძინა თარჯიმანს, სულ 33 მანეთის, 52 ალტინის და 8 დენგის ოდენობით [169. 55].

ამდენად, ქსნის საერისთავო და ერისთავები ჩაბმული აღმოჩნდნენ ქართლში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. თეიმურაზ მეფის მიერ ნაჩქარევად გაკეთებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას - რუსეთისაკენ პოლიტიკური ორიენტაციის აღებისა, მაშინ როცა ირანი თავის ძლიერების ზენიტში იყო, ირანის ხელისუფალთაგან მოჰყვა შესაბამისი ზომები. აღმოსავლეთ საქართველო თითქმის გავერანდა. დაგეგმილ-დაფინანსებულმა "შინა" ომმა საქართველო ფიზიკურად და ეკონომიკურად ძალზედ დაასუსტა და დააბეჩავა.

აქ ერთ საკითხსაც გვინდა შევეხოთ. მართალია ეს ჩვენს თემას სცილდება, მაგრამ არ შეიძლება ორიოდე სიტყვა არ ითქვას; სამწუხაროდ, თეიმურაზ მეფეს არ აღმოაჩნდა პოლიტიკური სიბრძნე, ვერ დაძლია პირადი ამბიციები; მიიღო რამდენიმე ნაჩქარევი, არასწორი პოლიტიკური გადაწყვეტილება, რასაც, მოჰყვა საქართველოს გავერანება. ირანის სამეფო კარი თეიმურაზს პოლიტიკური ორიენტაციის ცვლას არ ჰპატიობდა და საქართველოს სამაგალითოდ სჯიდა. რაც შეეხება წინამდებარე თავში წარმოდგენილ ერისთავებს - იასეს, შანშეს, ზაალს და ელიზბარს -

იყვნენ ფეოდალური საზოგადოების ტიპიური წარმომადგენლები, რომლებიც მხოლოდ თავიანთ პირად – საფეოდალოს ინტერესებიდან გამოდიოდნენ და შესაბამისად მოქმედებდნენ და ამ გაუაზრებელი, ანტისახელმწიფოებრივი ქმედებით საქართველოს და კერძოდ ქსნის საერისთავოს აჩანაგებდნენ.



# მეექვსე თავი

## §1. ელიზბარ ერისთავი ოპოზიციონერი

1657 წლის 17 მარტს სამეგრელოს მთავარი ლევან დადიანი გარდაიცვალა. სამთავრო ტახტის დაუფლებისათვის ბრძოლაში ერთმანეთს დაუპირისპირდა ლევანის ძმისწული ლიპარიტ ივანეს ძე და ვამეყ ლიპარიტიანი. შიდა აშლილობით ისარგებლა იმერეთის მეფე ალექსანდრემ, დიდი ჯარით შეიჭრა სამეგრელოში და გაამთავრა ვამეყი. ლიპარიტმა დახმარება სთხოვა ქართლის მეფეს. როსტომმა ლიპარიტის დასახმარებლად გააგზავნა ჯარი ბახუტი (შემდგომში ვახტანგ V, შაჰნავაზი) მუხრან ბატონის და ზაალ არაგვის ერისთავის ხელმძღვანელობით. ბრძოლა მოხდა 1658 წლის ივნისში [169. 59].

დაპირისპირებამ ვახტანგ მუხრან ბატონსა, რომელიც ამავე დროს ქართლის გამგე იყო, და ზაალ არაგვის ერისთავს შორის, რომელიც კახეთის სარდალი იყო [209. 96] და ირანის შაჰის დიდი ნდობით სარგებლობდა, ქართლ-კახეთის ჯარს რეალური მოქმედების საშუალება არ მისცა. ფარსადან გორგიჯანიძის გადმოცემით, მუხრან ბატონს წარუმატებლობა როსტომ მეფისათვის ასე აუხსნია: "თუ ერისთავი იმერეთს გარდა მყოლოდაო, მეფე (იმერეთის, ვ. ღ.) ჩვენზედ წამოვიდოდაო და დადიანის ძმისწული ლიპარიტი ოდიშს დაიჭერდაო. რამდენჯერ გარდასვლა მოვინდომეო, არც თვითონ წამოვიდაო და არც ლაშქარი გამოუშვაო და რა ჩვენის ლაშქრის დამარცხების ანბავი მოვიდაო, ფიცხლივ აიყარა და ქსნის ერისთავი და კახნი თან წამოასხაო და ჰავლაბარში მოსულაო" [66. 268]. ქსნის ერისთავად ამ პერიოდში ელიზბარ ერისთავია. "ზაალ ერისთავი და ელიზბარ ერისთავი თავიანთი ლაშქრით და კახნი ერთ პირად წამოვიდნენ და ქალაქს მეფესთან მოვიდნენ, ჰავლაბარში დადგნენ" [66. 268]. ვახტანგ მუხრან ბატონსა და ზაალ არაგვის ერისთავს შორის, რომ ნამდვილად არსებობდა დაპი-

რისპირება ამას პარიზის ქრონიკის ავტორი [235. 107], ვა-
ხუშტი [15. 447] და სპარსელი ისტორიკოსი მოჰამედ თაჰერ-
იც გვიდასტურებს [197. 388-389]. ფარსადან გორგიჯანიძის
ცნობით ზაალ არაგვის ერისთავმა როსტომ მეფესთან კა-
ცი გაგზავნა და შეუთვალა: "რა თქვენ ცოცხალი ბრძანდე-
ბითო, შენის მეტი პატრონი არ გვინდაო და თქვენს უკან
სხუას საქართველოს ბატონს ჩვენ ყმობას არ უზამთო,
ჩვენი ბატონი ყაენი არისო" [66. 268]. ზაალ არაგვის ერის-
თავის ამ სიტყვებში აშკარად ჩანს ოპოზიციონერ ფეოდა-
ლის სურვილი, აღმოსავლეთ საქართველოს ადმინისტრა-
ციულ-ტერიტორიული დაყოფის ახალი მოწყობისა -
"თქვენს უკან სხვას საქართველოს ბატონს ჩვენ ყმობას არ
უზამთო, ჩვენი ბატონი ყაენი არისო" - აცხადებს სეპარა-
ტისტი ზაალ არაგვის ერისთავი. ფ. გორგიჯანიძე გადმოგ-
ვცემს: "მეფემ ასრე შესთვალა: ჯერ ავად ვარო,.. თუ მოვი-
ჯობინებ, ყველას მე გავარიგებო, თუ არა კახნი თქვენთან
იყვნენო, სხვას ჴელი არ ჰქონდესო და მუხრანის ბატონიც
ქალაქში თავისთვის იყოსო" [66. 268]. როსტომმა ამ პასუხ-
ით, ზაალ ერისთავს ერთგვარი თანხმობა მისცა, აღმოსავ-
ლეთ საქართველოს ახლებურ ადმინისტრაციულ-ტერიტო-
რიული დაყოფის, მხოლოდ ქსნის საერისთავო - ზაალს
არ დაუქვემდებარა: კახნი თქვენთან იყვნენო". არადა ზაალ
არაგვის ერისთავი, საარაგვოს, კახეთსა და ქსნის საერის-
თავოს ეპოტინებოდა. ქსნის ერისთავი ელიზბარი (გაერის-
თავდა 1637 წელს), ზაალ არაგვის ერისთავის მხარესაა
("ზაალ ერისთავი და ელიზბარ ერისთავი თავიანთ ლაშქრ-
ით და კახნი ერთ პირად წამოვიდნენ").

სეპარატისტული მოძრაობის ალაგმვას ვახტანგი მოლა-
პარაკებით და კომპრომისებით ცდილობს: "ასრე შესთვალა
(ვახტანგმა - ვ. ღ.) თავდაპირველ შენ (ზაალმა - ვ. ღ.) მო-
ინდომე ჩემი გაბატონებაო, ახლა რა შეგცოდეთო, რომ აგ-
რე გაავგულებულხარო. შენის შვილისათვის ქალი მიმი-
ციაო და რასაც მამულს იტყვი, მოგართმევო" [66. 268]. ზა-
ალმა ასეთი პასუხი გასცა: "როსაც მისი (ვახტანგის - ვ.



ღ.) ბატონობა გამოვარჩიეთო და ჩემს ზურაბს ქალი მოს-
ცაო, ნოდარის ქალი თავის შვილს არჩილს უთხოვაო.
ჩვენს შუა დამხდომი ნოდარი მამკვდარაო, მაგრამ თურმან
და თბილელი ცოცხალნი არიანო. ქართლის მეფობა მაგის-
თვის გვითქვამსო და კახეთის ბატონობა ჩემთვის ითქვაო,
თორა და მაგისთანაც მრავალჯერ დამიფიცავსო, რომ რო-
სტომ მეფეს უკან სხვას ქართლის მეფეს ყმობა არ უყოო,
გინდა ეგ იყოს გინდა სხვაო" [235. 268].

როგორც ჩანს, აღმოსავლეთ საქართველოს სახელისუფ-
ლო გადანაწილებისათვის ადრევე დაიდო შეთანხმება ვახ-
ტანგ მუხრან-ბატონსა და ზაალ არაგვის ერისთავს შორის.
ამ შეთანხმებით, ვახტანგ მუხრან-ბატონი ქართლის მეფე
ხდებოდა როსტომის გარდაცვალების შემდეგ, ზაალ არაგ-
ვის ერისთავი კი კახეთის.

ვახტანგსა და ზაალს შორის ამ პირობის არსებობას
ეთანხმება პარიზის ქრონიკის ავტორი [235. 108].

ჩემი აზრით, როცა ვახტანგ მუხრან-ბატონსა და ზაალ
არაგვის ერისთავს შორის აღნიშნული სახელისუფლო შე-
თანხმება მოხდა, მაშინ პოლიტიკურ ძალთა გადანაწილება
აღმოსავლეთ საქართველოში სხვა იყო, ხოლო 1658 წლის-
თვის როსტომ მეფის გარდაცვალების წინ კი სხვა. თუ ად-
რე ვახტანგს სჭირდებოდა ზაალ არაგვის ერისთავის თა-
ნადგომა და ამიტომ თანახმა იყო ზაალის კახეთში გაბა-
ტონებისა, 1658 წლისთვის პოლიტიკურ ძალთა თანაფარ-
დობა ვახტანგის სასარგებლოდ შეიცვალა. ზაალი ეწინაა-
ღმდეგებოდა ვახტანგის გაძლიერებას, ამიტომ არ მონაწი-
ლეობს მარიამ დედოფლის ძმისშვილ ლიპარიტ ივანეს ძის
გადადიანებაში. მოვლენების შემდგომმა მსვლელობამ აჩვე-
ნა, რომ თუ ლიპარიტი გადადიანდებოდა, მაშინ ვახტანგის
პოლიტიკური გავლენა კიდევ უფრო გაიზრდებოდა. უფრო
მეტიც, ზაალ არაგვის ერისთავი ირანის სამეფო კარზე
გზავნის ვახტანგის მაკომპრომიტირებელ წერილებს. ფ.გო-
რგიჯანიძე მოგვითხრობს: "ზაალ ერისთავის ჩაფარი მოვი-
და, ყაენთან არზა მოეწერა: ... ამ არზაზედ ჴელმწიფემ ას-

რე მიბრძანა.... აქამდისინ ერისთავიო (არაგვის - ვ. ღ.) მუხრან-ბატონის (ბახუტის - ვ. ღ.) სიკეთესა მწერდიო და ახლა არ ვიცითო თუ რისთვის გაავებულანო" [66. 267].

როგორც ჩანს, ირანის სამეფო კარის გეგმებშიც არ შედიოდა ზაალ არაგვის ერისთავის მთელ კახეთში გაბატონება. ამავე დროს ირანის სამეფო კარი ზაალ არაგვის ერისთავის, ელიზბარ ქსნის ერისთავის და კახელების მოქმედებით – ბახუტი მუხრან-ბატონისადმი დაუმორჩილებლობით და ლიპარიტის გადადიანებაში მონაწილეობის არ მიღებით – უკმაყოფილო იყო. ფაქტობრივად ზაალ არაგვის ერისთავმა, ელიზბარ ქსნის ერისთავმა და კახელებმა სადადიანოში ხელი შეუშალეს ირანული პოლიტიკური ორიენტაციის მქონე პიროვნების გამთავრებას და თავიანთი პასიური მოქმედებით ხელი შეუწყეს თურქული ორიენტაციის მქონე პირის ხელისუფლებაში მოსვლას. ეს კი თავისთავად ირანის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის მარცხს წარმოადგენდა.

დაპირისპირება ქართველებს შორის კიდევ უფრო გამწვავდა. ირანელი ისტორიკოსი მოჰამედ თაჰერი მოგვითხრობს: "დადგენილი იქნა, რომ სეფე-ყული სულტან უსთაყულე, ყარა-ჰასანის შვილიშვილი, წასულიყო საქართველოში და მოესპო ის დავა, რომელიც ხსენებული "მეფობის საფარველს" (ვახტანგ V-ს - ვ. ღ.) და ერისთავს (ზაალს) შორის მომხდარიყო, და თუ ერისთავი, იმ ეჭვიანობის გამო, რომელიც მან გამოიჩინა, უარს იტყვის "მეფობის საფარველთან" მისვლაზე მაშინ ის "ქვეყნის საფარველის" (შაჰის) წინაშე მოიყვანოს" [197. 389].

როგორც ჩანს, ვახტანგის გამეფება მთლად უმტკივნეულოდ და უპრობლემოდ არ მომხდარა. ირანის სამეფო კარი მეფედ დასვამდა ვახტანგს იმ შემთხვევაში თუ ის დაიცავდა (შეასრულებდა) ირანის სამეფო კარის მიერ წამოყენებულ პირობებს. მართალია ვახტანგს გაუძნელდა ასეთი მოთხოვნა, მაგრამ "ვერღარა ურჩ ექმნა ყეენსა და არღარა



ღონე ჰქონდა" [77. 200], ამიტომაც ირანის სამეფო კარის მიერ წამოყენებული პირობები შეასრულა.

წყაროთა სიმწირის გამო, ზუსტად თქმა ძნელია, თუ რა კომპრომისის შედეგად მოხდა ვახტანგის გამეფება. ერთი რამ ცხადია, კომპრომისები ორივე მხრიდან იქნებოდა. ვახტანგი, ბუნებრივია, შეეცდებოდა მოწინააღმდეგე - ზაალ არაგვის ერისთავი, ელიზბარ ქსნის ერისთავი და "კახნი" დაესაჯა და სახელისუფლო მართვის სადავეები ჩამოერთმია მათთვის. ირანელი ისტორიკოსის ზემომოყვანილი ამონარიდის თანახმად ირანელთა ინტერესში შედიოდა დაპირისპირებულ მხარეთა შერიგება. შეურიგებლობის შემთხვევაში კი ვახტანგის მოწინააღმდეგენი უნდა ჩასულიყვნენ ირანის სამეფო კარზე. "ზაალ-ბეგი, ხსენებული ბრძანების გამო და იმის სურვილით, რომ (შაჰის) "ფეხთა კოცნის" სამსახურის (გამოჩენის) ბედნიერებისათვის მიეღწია, კახეთის ზოგიერთი აზნაურისა და დიდებულის და თავისი ნათესაობისა და ხელქვეითების თანხლებით "ქვეყნის საფარველის" კარზე მოვიდა და ფეხთა კოცნის პატივით იქნა განდიდებული. მას წყალობის თვალით შეხედეს" [197. 391]. სპარსი ისტორიკოსის მონათხრობს - ზაალის ირანში ჩასვლასთან დაკავშირებით ადასტურებს ფ. გორგიჯანიძე [66. 270] და პარიზის ქრონიკის ავტორი [235. 109-110].

სამწუხაროდ, წყაროებიდან არ ჩანს, ზაალთან ერთად ირანში ჩავიდა თუ არა ელიზბარ ქსნის ერისთავი. თუ დავუშვებთ, რომ სპარსი ისტორიკოსი ზაალის "ნათესავებში" გულისხმობს ელიზბარს - ელიზბარი იყო ზაალის სიძის, შალვას უფროსი ძმა და ამდენად ნათესავი - მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ირანში, შაჰის სამეფო კარზე ჩასულან ძირითადად ვახტანგ V-ის შეურიგებელი მოწინააღმდეგენი. ფ. გორგიჯანიძის თანახმად მოწინააღმდეგენი იყვნენ ზაალ არაგვის ერისთავი, ელიზბარ ქსნის ერისთავი "და კახნი ერთ პირად" [66. 268]. პარიზის ქრონიკის ავტორი ეთანხმება გორგიჯანიძეს [235. 107]. ამდენად, ირანის სამეფო კარზე ჩადის ვახტანგ V-ის ოპოზიციონერთა ჯგუ-

ფი: ზაალ არაგვის ერისთავის, ელიზბარ ქსნის ერისთავის, კახეთის დიდებულებისა და სხვა ხელქვეით ნათესავების თანხლებით. ბუნებრივია, ირანში ჩასული ოპოზიციონერები ისაუბრებდნენ ვახტანგის მიერ ირანის სახელმწიფოსათვის საზიანო პოლიტიკის გატარების შესახებ, რათა დაესაბუთებინათ თავიანთი დაუმორჩილებლობა მეფისადმი და ეცდებოდნენ შესაბამისი ფაქტებით დაემტკიცებინათ, რომ ვახტანგი იყო ანტიირანული პოლიტიკის გამტარებელი საქართველოში.

მოჰამედ თაჰერის ზემოთ მოტანილი ცნობიდან ვიგებთ, რომ ირანის სამეფო კარს მხოლოდ ზაალისათვის შეუნარჩუნებია სახელისუფლო ძალაუფლება "ფეხთა (შაჰის - ვ. ღ.) კოცნის პატივით იქნა განდიდებული", ე. ი. თანამედროვე ტერმინით, რომ ვთქვათ, ელიზბარი განთავისუფლებული იქნა ერისთავის მოვალეობისაგან.

ფ. გორგიჯანიძის თანახმად ზაალ არაგვის ერისთავი ირანის შაჰმა მაზანდარას სანადიროდ ანუ სამხედრო წვრთნაზე დასასწრებად და მონაწილეობის მისაღებად წაიყვანა, რომელიც, როგორც ჩანს, ყოველწლიურად იმართებოდა გაზაფხულის დადგომამდე. ხოლო "ქსნის ერისთავი იასე იასესშვილი (იასეს შვილი - ვ. ღ.) ისპაჰანით საქართველოში გაისტუმრა" [66. 270]. ამდენად, შაჰ-აბასს ქსნის ერისთავი ელიზბარი ჩამოუშორებია საერისთავოს მართვა-გამგეობისაგან და ერისთავად დაუნიშნია იასე იასესშვილი (იასეს შვილი).

ელიზბარი, როგორც ჩანს, სახელისუფლო ძალაუფლების დაკარგვის შემდეგ კვლავ ზაალთან დარჩენილა. არაპირდაპირი მონაცემებით ვიგებთ, რომ ელიზბარს მალევე დაუბრუნებია ქსნის საერისთავოს ერისთავობა (ამის შესახებ ქვემოთ). თუ გავითვალისწინებთ, რომ იასე იასეს ძე დედის მხრიდან გიორგი სააკაძის შვილის - როდამის - შვილი, ხოლო ვახტანგ V, ასევე დედის მხრიდან გიორგი სააკაძის შვილიშვილი იყო, და იასე და ვახტანგი დეიდაშვილები იყვნენ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ელიზბარ ქსნის ერისთა-



ვის გადაყენება და მის ნაცვლად იასეს დანიშვნა, ვახტანგ V-ის შუამდგომლობით მოხდებოდა. რაც შეეხება ზაალ არაგვის ერისთავს, მიუხედავად იმ მაღალ დონეზე მიღებისა, რაც შაჰ-აბასმა მოუწყო, შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მისთვისაც შეუმცირებიათ სახელისუფლო ტერიტორია. "ერისთავი (არაგვისა - ვ. ღ.) და ჩხეიძე გიორგი და კახნი მაზანდარას მიასხა, ანადირა, ალხინა, ჩრაღვანები აჩვენა და ხუთასი თუმანი ჯამაგირი გაუჩინა და კახეთის ნაპირის ალაგიც ერისთავს უბოძა და სხვა კახეთი განჯის ხანს მისცეს და ერისთავი მორჭმითა და ყოვლის რისიმეთი მორთული მაზანდარით საქართველოს გაისტუმრეს" [66. 270].

პარიზის ქრონიკის ავტორი ეთანხმება გორგიჯანიძეს და კიდევ უფრო აზუსტებს: "კახეთის ნაპირის ქვეყანა მისცა და განჯის ხანი, რომ კახეთში ბატონობდა, იმას თაბუნად (ხელქვეითად სულხან-საბას განმარტ.) მისცა და აშრაფით გაისტუმრა" [235. 110]. ამდენად, ზაალ არაგვის ერისთავის ძირითადი მოთხოვნა იყო კახეთი გადაეცათ მისთვის. მიიღო: კახეთის მცირე ნაწილი - "კახეთის ნაპირის ქვეყანა მისცა" შაჰ-აბასმა, "და სხვა კახეთი განჯის ხანს მისცეს". "კახეთის ბატონს მურთუზა ყული ხანს (ზაალი - ვ. ღ.) თაბუნად მისცეს " [66. 270], რაც ბუნებრივია ზაალს სასიამოვნოდ არ დაურჩებოდა. ზაალს, შაჰ-აბასისაგან ასევე ეწყინებოდა მისი ნათესავისა და თანამოაზრის ელიზბარ ქსნის ერისთავისათვის სახელისუფლო ძალაუფლების ჩამორთმევა. მიუხედავად იმისა, რომ ზაალმა მაჰმადიანობა მიიღო "ისლამის დიდებით იქნა განდიდებული" [197. 91], მისი მოთხოვნა მაინც არ დააკმაყოფილეს და კახეთი არ გადასცეს.

ზაალ არაგვის ერისთავი შაჰ-აბასზე ნაწყენი რომ იყო ამას ბერი ეგნატაშვილიც გადმოგვცემს: "ყეენისაგანც გულ-კლებულ იქნა, გული უთქმოდა მხოლოდ თვით პყრობად კახეთისა" [77. 202]. ზაალის უკმაყოფილებას აღნიშნავს ირანელი ისტორიკოსი - "ზაალ ერისთავსაც იმის გან-

ზრახვა ჰქონდა, რომ კახეთის "ოლქის" დამოუკიდებელი მმართველი გამხდარიყო" [197. 394].

ირანის სამეფო კარის ინტერესებში არ შედიოდა იმ პერიოდში კახეთის გადაცემა ზაალ ერისთავისათვის, უფრო მეტიც, ირანელი ისტორიკოსის ცნობით შაჰ-აბასის კარზე დგებოდა გეგმა კახეთში არაქართული ტომების ჩამოსახლებისა [197. 393]. გავიხსენოთ: 1614 წელს თეიმურაზ I-ის არასწორი პოლიტიკის შედეგად კახეთიდან გადაასახლეს 80.000-მდე ქართველი ოჯახი, 1616 წელს - 130.000 ქართველი, რომელნიც შემდგომ ძირითადად ფერეიდანში (ირანის პროვინცია) იქნენ დასახლებული. მოკლულ ქართველ პატრიოტთა რიცხვმა კი 1616 წლისათვის 60-70 ათასს გადააჭარბა [102. 107]. კახეთი, რომ მოსახლეობისაგან დაცლილი იყო ამას ბესარიონ ორბელიშვილიც გვიდასტურებს: "უფროსღა ქუწყანა კახეთისაა,... სრულიად ოხერ და უმკუდრო ჰყო კაცთაგან" [158. 601]. მართალია, 1648 წელს თეიმურაზ I-ის დამარცხებისა და იმერეთში გადასვლის შემდგომ კახეთმა ცოტა ამოისუნთქა, მაგრამ მოსახლეობისაგან კახეთი ძირითადად დაცლილი იყო. - "მცირედ იწყეს შენებად ოხერთა ადგილთა კახეთისათა, თუ სადამელა იპოვებოდეს კაცნი" [158. 601].

რაც შეეხება დათარიღებას: ვახუშტი ბატონიშვილი როსტომ მეფის გარდაცვალებას და შესაბამისად ვახტანგის გამეფებას 1658 წლით ათარიღებს [15. 447], რაც გაზიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში [179. 329]. პარიზის ქრონიკის ავტორის თანახმად, ზაალ არაგვის ერისთავის ირანის სამეფო კარზე ჩასვლა 1659 წლის დასაწყისით, ზამთრის პერიოდად არის წარმოდგენილი. "ზაალ ერისთავი ყაენთან ჩასულიყო და დიდი პატივი დასდვა,... საზამთროდ მაზანდარას მიიყვანა" [235. 109-110]. აქ გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: ახალი წლის დასაწყისი საქართველოში ამ პერიოდში აღირიცხებოდა გაზაფხულით, მარტის თვეში, დღე-ღამის სწორობის დროს (ბუნიაობა), ევროპაში (პარიზში) კი ახალი წლის დასაწყისი იანვარში ფიქსირდე-



ბოდა. თუ ვივარაუდებთ, რომ მაზანდარას ნადირობა, სამხედრო წვრთნა მიმდინარეობდა დღევანდელ თვეთა აღრიცხვით თებერვლის თვეში, მაშინ გამოდის, რომ ელიზბარ ქსნის ერისთავი გადაუყენებიათ და იასე ერისთავად დაუნიშნიათ 1658 წლის ბოლოს. თუ რამდენ ხანს იყო ელიზბარი ჩამოშორებული სახელისუფლო ძალაუფლებას, წყაროების სიმწირის გამო არ ჩანს. 1659 წლის ერთ დოკუმენტში [209. 117-118] ელიზბარი კვლავ ქსნის ერისთავად არის მოხსენიებული. აქედან გამომდინარე ვვარაუდობთ, რომ ელიზბარი მალევე მოახერხებდა ქსნის ერისთავობის დაბრუნებას. აღნიშნულს ეთანხმება ვახუშტიც, როცა ეხება კახეთის განთავისუფლების შემდგომ პერიოდს: "კუალად მისცა კსნის ერისთაობა იასეს" [15. 448]. (კუალად - მეორედ, ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი. 1973 წ.), ე. ი. პირველად 1658 წლის ბოლოს, მეორედ კი კახეთის განთავისუფლების შემდგომ. ელიზბარისთვის, როგორც ვახტანგ V-ის აქტიური მოწინააღმდეგისათვის ხელისუფლების დაბრუნება მიგვანიშნებს ვახტანგ V-ის პოზიციების სისუსტეზე ირანის სამეფო კარზე და ზაალ არაგვის ერისთავის მხარდამჭერთა სიძლიერეზე, რადგან ელიზბარისათვის ქსნის საერისთავოს სახელისუფლოდ დაბრუნება ზაალ არაგვის ერისთავის აქტიური მხარდაჭერის გარეშე არ მოხდებოდა. როგორც ჩანს, ირანის სამეფო კარი გარკვეულ კომპრომისზე წავიდა ზაალ არაგვის ერისთავთან - არ მისცა კახეთი სამართავად, მაგრამ დაუნიშნა დიდი ჯამაგირი და ზაალის ახლობელი ელიზბარ ქსნის ერისთავი აღადგინა ხელისუფლად.

## §2. ელის ტომის ჩამოსახლება კახეთში

ირანელი ისტორიკოსი მოგვითხრობს: "მისმა უდიდებულესობამ, ყოვლად მოწყალე ღვთის ჩრდილმა, (შაჰ-აბასმა - ვ. ღ.), რომელიც საქართველოს დასახლებაზე ფიქრო-

ბდა, ბრძანა, რომ ალავერდი-ხანი ამ საქმის დასამთავრებლად აზერბაიჯანში წასულიყო. ხსენებული ალავერდი-ხანის სახელზე გამოიცა უკეთილშობილესი რაყამი, რომ მან წაიყვანოს კახეთში ოდენობით 15 ათასი ოჯახი ჯევანშირის, ბეითის, არბათანის და აზერბაიჯანის სხვა ელებიდან, მათი სახლკარით, ცხენ-აქლემებით და წვრილფეხა საქონლით, ააშენოს საქართველოში სამ ადგილას, სადაც საჭიროდ ჩათვლის, სამი მტკიცე და მაგარი ციხე და ჩააყენოს შიგ მცველები. მან აგრეთვე უნდა წაიყვანოს საქართველოში ელების კარგი (გულმოდგინე) მოხელეები და მისი (კახეთის - ვ. ღ.) ადგილები, იმათ გამოკლებით, რომლებიც ერისთავისა და იქაური თავადებისა და აზნაურებისთვისაა ნაწყალობევი, ელებს გაუნაწილოს, რათა ისინი ხვნა-თესვას, შენებას და დასახლებას შეუდგნენ. გამოიცა ბრძანებები ხუროთმოძღვრის, კალატოზის და სხვა მშენებელი მუშების იქ წასვლის შესახებ. ციხეების ხარჯისთვის სახელმწიფო ხაზინიდან გაიცა ფულადი თანხა და მაღალადგილოვანმა ყულარაღასმაც, თანახმად უმაღლესი ბრძანებისა, ერთგული მოხელეები დანიშნა; 15 ათასი ოჯახი ელებისა დადგენილი წესის მიხედვით საქართველოში გაგზავნა, იქ სამი ციხე ააშენა და როცა მოამთავრა ამის შესახებ შაჰს მოახსენა [197. 393].

ეს ვრცელი ამონაწერი ჩვენ რამოდენიმე დასკვნის გასაკეთებლად გვჭირდება:

1. ზაალ არაგვის ერისთავს, ირანის სამეფო კარმა, საბატონოდ კახეთი იმიტომ არ მისცა, რომ თვითონ სურდა აეთვისებინათ, დაესახლებინათ არაქართული ტომები. იმ ტერიტორიაზე კი, რომელიც ერისთავს, კახელ თავადებს და აზნაურებს მიეცათ, ელები არ უნდა დაესახლებინათ. ე.ი., რაც შეიძლება კახეთის ნაკლები ტერიტორია უნდა მისცემოდა ზაალ ერისთავს და სხვა ადგილობრივი წარმომავლობის (კახელები) თავადებს, რომ მეტ თავისუფალ ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით ელები ჩამოესახლებიათ.



ამდენად, ზაალის მოთხოვნა ეწინააღმდეგებოდა ირანის სამეფო კარის სახელმწიფო ინტერესებს;

ირანის სამეფო კარი, შეიძლება ფრთხილობდა კიდევაც, როცა ელების ცალკე კომპაქტური დასახლების ბრძანებას იძლეოდა, რათა სამამულო დავას, რომელიც ყოველთვის თან სდევდა ახალ ჩამოსახლებას და მიწების გადანაწილებას, ამ შემთხვევაშიც ქართველებსა და ელებს შორის კონფლიქტი არ გამოეწვია და შემდგომში მასიური დაპირისპირებად არ გადაზრდილიყო;

2. როგორც ჩანს, ელთა ტომის წვრილ-წვრილი ჩამოსახლება ადრეც ხდებოდა, ახლა კი სახელმწიფო დონეზე აიყვანეს ეს საკითხი. საქმის დამთავრება ალავერდი-ხანს დაავალეს და შესაბამისი დაფინანსებაც მისცეს. 1659 წელს კახეთში ჩამოუსახლებიათ 15000 ოჯახი. კახეთში 1500 თურქი ოჯახის ჩამოსახლებაზე საუბრობს არაქელ დავრიჟეცი 1659 წლისთვის [71. 56]. ბესარიონ ორბელიშვილის ნაშრომიდან ცნობილია, რომ კახეთში ჩამოსახლებული იყო ელის 80.000 ოჯახი [158. 603], ამდენად, წინა წლებში წვრილ-წვრილად ჩამოუსახლებიათ 65000 ოჯახი;

3. ადრე ჩამოსახლებული ოჯახები, როგორც ჩანს, მიწათმოქმედებით თავს არ იწუხებდნენ, ახლა კი უნდა შესდგომოდნენ "ხვნა-თესვას, შენებას და დასახლებას";

4. ჩამოსახლებული ელების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად უნდა აეშენებინათ სამი ძლიერი ციხე. ისტორიოგრაფიაში დასახელებულია - ბახტრიონი, ალავერდი და ყარაღაჯი [179. 330; 151. 92]. ჩემი აზრით, ყარაღაჯში ციხე მანამდე უნდა ყოფილიყო აშენებული. ამ ეტაპზე კი ელთა უსაფრთხოება ჩრდილოეთის მხრიდან იყო დასაცავი და მესამე ციხე, თუშეთიდან გადმომავალი გზის სიახლოვეს არის საგულვებელი, ბახტრიონისა და ალავერდის ახლოს;

5. ციხეების აშენება, ელთა ტომის ჩამოსახლების ბოლო ეტაპის პარალელურად მიმდინარეობდა და უნდა დამთავრებულიყო 1659 წლის პირველ ნახევარში. ამდენად, 1659 წ. პირველი ნახევრისათვის თითქმის მთელი სამხრეთ-აღმოსა-

ვლეთი კახეთი ელთა ტომმა დაიკავა. თიანეთი ეკუთვნოდა ზაალ არაგვის ერისთავს, ერწო - ბიძინა ჩოლოყაშვილს (არჩილი, 997. 998 სტროფ.) და სხვა კახელ დიდებულებს;

6. შაჰ-აბასის ბრძანების მიუხედავად, რომ ელები დაესახლებინათ ქართველთაგან დაცლილ ტერიტორიებზე - "იმათ გამოკლებით, რომლებიც ერისთავისა და იქაური თავადებისა და აზნაურებისთვისაა ნაწყალობევი" - საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ყოფის, კერძოდ, ალპური მესაქონლეობის წესების არცოდნის გამო (და ალბათ სხვა რამის გამოც), ელთა ტომის გარკვეული ნაწილის დასახლება მოხდა ბახტრიონის, ალვანის, ლოპოტის და პანკისის მიდამოებში, რომელიც ძველთაგანვე თუშების საქონლის (ცხვარი, ძროხა) საზამთრო საძოვარს წარმოადგენდა [227-ა. 5]. ამან - ელთა ტომის დასახლებამ - ბუნებრივია, თუშთა საზამთრო საძოვრების შემცირება გამოიწვია.

ელთა დაჩქარებული ჩამოსახლებით კახეთის ტერიტორიაზე და სწრაფი ტემპით სამი ციხის აშენება, გამოწვეული იყო თეიმურაზ I-ის ბოლოდროინდელი აქტიურობით რუსეთთან. რუსეთი აფინანსებდა თეიმურაზს. თეიმურაზი აგვარებდა თუშების რუსეთში გაგზავნის ორგანიზებას - "თუშ-ფშავ-ხევსურთა ელჩებმა მოსკოვში რუს დიპლომატებს განუცხადეს, რომ ისინი თეიმურაზ მეფის ყმები იყვნენ, ვიდრე მას შაჰი განდევნიდა, ახლა უბატონოდ არიან და ხელმწიფეს სთხოვდნენ მფარველობას. ელჩებმა აღუწერეს რუსებს თავისი სამშობლო და უთხრეს, რომ თუშების ჯარი 8 ათას მეომარს ითვლის, ხევსურებისა 5 ათასს და ფშავლებისას 4 ათასს" [151. 95].

მოსკოვში მფარველობის სათხოვნელად თუშთა პირველი ჩასვლა 1654 წელს მოხდა. ამავე წელს ჩადის მოსკოვში თეიმურაზ I-ის შვილიშვილი ერეკლე. თეიმურაზს, "როგორც ჩანს, ცდა არ დაუკლია თუშ-ფშავ-ხევსურების რუსულ ორიენტაციაზე გადასაყვანად" [195. 239]. 1657 წლის იანვარში ელჩებმა (თუშეთის - ვ. ღ.) მეფე ალექსი მიხეილის ძეს (რუსეთის - ვ. ღ.) წერილი მიართვეს და თავისი ხა-



ლხის სახელით რუსეთის მეფის ერთგულებაზე დასდეს ფიცი" [195. 241]. ერთგულების ფიცის დადების სხვადასხვა ვარიანტები შემდგომ წლებშიც ხდებოდა (იქვე).

"საქართველოსა (უფრო ზუსტად, თეიმურაზსა - ვ. ღ.) და რუსეთის მიერ გადადგმულ ყოველ ნაბიჯს ირანში სათანადო შეფასება ეძლეოდა. თავისი მრავალრიცხოვანი მსტოვრებისა თუ მომხრეების წყალობით შაჰმა შესანიშნავად იცოდა, რა ხდებოდა კავკასიაში და ბუნებრივია, ცდილობდა საპირისპირო ღონისძიებები მიეღო ... სწორედ კახეთ-რუსეთის ურთიერთობათა გააქტიურების უშუალო შედეგი იყო... თურქმენული ტომების ჩამოსახლების შესახებ გადაწყვეტილების მიღება" [195. 242] და ირანის სახელმწიფოს მიერ შესაბამისი ხარჯების გაღება. უფრო მეტიც, ირანის ხელისუფალთ, როგორც ჩანს, დაღესტანშიც სდომნიათ ციხეების აშენება, რასაც მოჰყოლია დაღესტნელთა პროტესტი: "შამხალმა... მაღალ სასახლეში გამოგზავნა მოხსენება... ვაი თუ დაღესტანში ციხეები ააშენოთ, ისე, როგორც კახეთში" [197. 392-393]. როგორც ჩანს, ირანის ხელისუფალთ ციხეების აშენებით და დემოგრაფიული სურათის შეცვლით სურდათ რუსეთთან დამაკავშირებელი გზების დიდი ნაწილის ხელში ჩაგდება, რითაც ფაქტობრივად საქართველოს გადააქცევდნენ ირანის სახელმწიფოს შიდა პროვინციად. ჩანს, თეიმურაზ I-ის აქტიურობა რუსეთის სახელმწიფოსთან ირანისათვის მაშინვე გახდა ცნობილი. ჩემი აზრით, ელთა დაჩქარებული ტემპით ჩამოსახლება კახეთის ტერიტორიაზე იყო ირანის სამეფოს პოლიტიკოსთა საპასუხო ღონისძიება თეიმურაზ-ერეკლე-თუშ-ფშავ-ხევსურების მოქმედებისა რუსეთის სამეფო კარზე.

## §3. 1659 წ. სასამართლოს განჩინება

შემდგომი მოვლენების უკეთ გააზრებისათვის საჭიროდ მიგვაჩნია ერთი დოკუმენტის ტექსტის მთლიანი მოტანა:

"განჩინება შაჰნავაზ მეფისა კათალიკოზის: ქსნის ერისთავის ელიზბარისა და გივი ამილახორის მამულის საქმეზე. 1659 წ".

"ქ. თვით მეფეთ-მეფე პატრონი შაჰნავაზ, არაგვის ერისთავი ზაალ, ბატონი მთავარეპისკოპოსი, დივანბეგი ჯავახიშვილი როინ, ბოქაულთუხუცესი ედიშერი, თუმანიშვილი მდივანი ბირთულ და მერაბ - ბატონის კათალიკოზისა, ქსნის ერისთავის ელიზბარისა და ამილახორის საცილობლის მამულის გასასინჯად კერნაკის სამძღვრებზედ მივედით. სამლაშეზედ და საჴნავს მიწებზედ ისარჩლებოდეს.

ბატონი კათალიკოზი და ქსნის ერისთავი ამას ამბობდნენ: ჴევს გაღმა ჩვენც ჴელი გუაქსო და საბატარასაც იქ მამული ჰქონებიაო.

ამისი ამილახორმან გივიმან აშორო უპასუხა: რას, ჰქუიანო, რასაც ტყუილად არ ისარჩლებით, თქვენ ჴელი არა გქონებიაო.

რადგან აშოროზედ დაადგენ, განაჩენის წიგნში რა იმ დღეს ამილახორს მოდებული მათი აზნაურიშუილები ქარუმიძეები და ყენჩელები შევაგდევით, ისინი ბატონმან კათალიკოზმან და ქსნის ერისთავმან პატრონმან ელიზბარ და მისმა ძმამ შალვამ დააფიცეს.

და რადგან ფიცმა ამართლა და კიდეც შეჰფიცეს, დღეის უკან ამილახორთან ამ საქმეზე ჴელი აღარა ჰქონდეს. და ქსნის ერისთავი ნუღარას ეცილების, რომე ფიცით გაიტანა და საბოლოოდ დარჩა ამილახორსა.

დაიწერა ბრძანება და ნიშანი ესე ქორონიკონსა ტმზ, ინდიკტიონსა მეფობისა ჩვენისა ერთსა და სამლაშეც ამილახორისა არის ხელრთვა შანავაზ".

მოყვანილი დოკუმენტი ჩვენ რამოდენიმე დასკვნის გასაკეთებლად გვჭირდება:

1. განჩინებას უზის თარიღი "ქორონიკონსა ტმზ, ინდიკტონსა მეფობისა ჩვენისა ერთსა", რაც უდრის 347+1312=1659 წლის მიწურულს (როსტომ მეფე გარდაიცვალა 1658 წლის მიწურულს) ამდენად, როცა საუბარია კახეთის განთავისუფლებაზე, ამ დოკუმენტის მიხედვით 1659 წელი გამორიცხულია;

2. 1659 წლის ბოლოს, გივი ამილახორს სამამულო მიწების მფლობელობას ედავებიან საქართველოს კათალიკოსი და ქსნის ერისთავი ელიზბარი ძმითურთ. დავა ისე გამწვავებულა, რომ "თვით მეფეთ-მეფე პატრონი შაჰ-ნავაზ" იძულებული გამხდარა სასამართლო შემადგენლობით ადგილზე გასულიყო საკითხის სრულად გასარკვევ-გადასაწყვეტად. აღსანიშნავია, რომ ქართული სამართლის ძეგლების მიხედვით მეფის - ვახტანგ V-ის ადგილზე გასვლა - გამსვლელი სხდომის ჩატარება, სხვა განჩინებებით არ ჩანს [209. 117-141];

3. სასამართლომ მოფიცართა საშუალებით დაადგინა, რომ გივი ამილახორი მართალი იყო და რომ საქართველოს კათალიკოსი და ქსნის ერისთავი ელიზბარი და მისი ძმა შალვა ტყუოდნენ. ეს კი - საქართველოს კათალიკოსი რომ ტყუის - არც ისეთი ადვილი დასადგენი იქნებოდა;

4. თუ გავითვალისწინებთ, რომ გივი ამილახორი მეფის თანამოაზრე და ახლობელი იყო [128. 17-18] შეიძლება დავასკვნათ, რომ ვახტანგ V-ის მოწინააღმდეგეებს - ზაალ არაგვის ერისთავს, ელიზბარ ქსნის ერისთავს, ქრისტეფორე კათალიკოზს და სხვებს 1659 წ. არ ჰქონდათ შეწყვეტილი მეფის საწინააღმდეგო მოქმედებანი და სხვადასხვა ფორმითა და მეთოდით კვლავ ეურჩებოდნენ და ეწინააღმდეგებოდნენ მას;

5. სავარაუდოა ისიც, რომ ვახტანგ V-ის ოპოზიციონერებს საკმაოდ მაღალი ჩინის მხარდამჭერები ეყოლებოდათ, როგორც საქართველოს, ისე ირანის სამეფო კარზე;

6. განჩინებიდან ჩანს, რომ 1659 წლის ბოლოს ქსნის ერისთავი არის ელიზბარი და არა შალვა, ე. ი. ბერი ეგნატაშვილი ცდება - "მაშინ შემოიფიცა ქსნის ერისთავი შალვა" [77. 204] და მართალია ფ. გორგიჯანიძე, როცა წერს: "ქსნის ერისთავისშვილი შალვა" [66. 270]. დოკუმენტებიდან ისიც ჩანს, რომ ელიზბარი და შალვა არიან ძმები და არა

ბიძა-ძმისწული, როგორც წერს ბესარიონ ორბელიშვილი [158. 602]. განჩინების მონაცემს - რომ ელიზბარი და შალვა არიან ძმები ეთანხმება შალვას ძის ძე - იასე [198. 172].

## §4. XVII ს. 60-იანი წლების თანამედროვენი კახეთის განთავისუფლების შესახებ

როგორც უკვე აღვნიშნე, ელთა ტომის ჩამოსახლება კახეთის ტერიტორიაზე (დაიწყო 1656წ.) ძირითადად უნდა დასრულებულიყო 1659 წლის პირველ ნახევარში. ახალმოსახლენი თავდაპირველად მშვიდად ეგუებოდნენ ადგილობრივ პირობებს - "მშვიდად და მოსვენებულად იმყოფებოდნენ" [197. 394]. ირანელი ისტორიკოსის ცნობით - "რადგანაც ელებს იმის მისწრაფება ჰქონდათ, რომ ქართველებზე ებატონათ" - ამ ორ ხალხს შორის დავა და ჩხუბი გაჩნდა. თუშებმა, რომელთაც მაღალი მთები, ხშირი ტყეები და უგზოობა ფარავდა, ბოროტმოქმედება და მზაკვრობა იწყეს [197. 394].

სავარაუდოა: პირველი ლოკალური ხასიათის დაპირისპირება თუშებსა და ელებს შორის მოხდა, ელების მიერ თუშების საზამთრო საძოვრების - ბახტრიონის, ალვანის, ლოპოტის და პანკისის მიდამოების დაკავების გამო, რამაც შემდგომ ფართო ასახვა ჰპოვა ქართულ საგმირო ფოლკლორში.

ქსნის ერისთავთა მონაწილეობის შესახებ კახეთის განთავისუფლებაში წყაროები სხვადასხვა, ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობებს გვაწვდიან. კერძოდ, კახეთის განთავისუფლების თანამედროვე ირანელი ისტორიკოსის მოჰამედ თაჰერის მიხედვით ირანიდან დაბრუნებული ზაალ არაგვის ერისთავი - "შფოთის გაძლიერების მიზეზად, არეულობის წყაროდ და ურჩობის არსად გადაიქცა. ზაალ ერისთავის შვილი და ბიძინა კახეთის ერთი თავადთაგანი, რომლის შვილის სახლში იმყოფებოდა (რძლად) ზაალ ერისთავის ქალიშვილი, ალავერდის ეპისკოპოსთან და ზოგიერთ ქართველთან ერთად თუშებს შეუთანხმდნენ და "დაფარული მდგომარეობა აშკარა გახადეს" (გამოსვლა მოახდინეს). ერთ შუაღამისას ისინი მთელ ხროვად ბერათის და არაბთანის ხალხს თავს დაესხნენ, მრავალი მათგანი მოკლეს, ხოლო სხვები გაფანტეს და გააბნიეს... ალი ყული ხანმა და მურთაზა ყული-ხანმა სინამდვილე "ქვეყნის საფარველის" სასახლეს მოახსენეს. რადგანაც ერისთავის (არაგვის - ვ. ღ.) შვილის მონაწილეობა შეთქმულებაში და ერისთავის მიერ იმ ხალხის წაქეზება არც უარყოფილი და არც დამტკიცებული იყო, ნამდვილი მდგომარეობა გამოურკვეველი რჩებოდა და მეტიც, საკვირველი და უცნაური ჩანდა ის, რომ ერისთავი, რომელსაც იმდენი საჩუქარი და წყალობა ჰქონდა მიღებული მისი უდიდებულესობისაგან, უმადურობას გამოიჩენდა "ჟამთა ხელმწიფისადმი" და ასეთი ბოროტმოქმედების ჩამდენი გახდებოდა".

ამ ხანებში ერისთავისაგან ზედიზედ მოდიოდა არზები "ქვეყნის საფარველის" კარზე, რომელშიაც ის ამტკიცებდა, რომ მისი დაკავშირება ამ საქმესთან მტკნარი სიცრუე და ცილისწამებაა. ანგარი ხალხი მიაწერს მას ამ საზიზღარ საქმეს, მან კი სრულიად არაფერი იცის ამ წამოწყების შესახებო, და რომ თუშებმა ალი ყული-ხან ქანგარლუს ცუდი ქცევის გამო ჩაიდინეს ბოროტებაო. დიდსულოვანმა შაჰმა "შურისძიების მახვილი ქარქაშში დასტოვა ჯერჯერობით და ამ საქმის გამოძიებას და გამორკვევას ელოდა. იმ მხარეების ამირებისა და მმართველების სახელზე გამოცემული იქნა ბრძანებები და რადგან მაღალი სასახლის მოხელეებმა საეჭვოდ მიიჩნიეს ალი ყული-ხანის ქცევა, ხსენებული პირის კუთვნილი ოლქების მმართველობა აგრეთვე მურთაზა ყული-ხანს გადაეცა და დადგენილი იქნა, რომ საზამთროდ აზერბაიჯანში დადგეს" [197. 394-395].

როგორც ვხედავთ კახეთის განთავისუფლების ხელმძღვანელებად თითქოსდა დასახელებულია ზაალ არაგვის ერისთავი, ალავერდის ეპისკოპოსი და ზოგიერთი ქართველი

(ალბათ უნდა იყოს ქართლელი - ვ. ღ.), რომელთა შორის შეიძლება ივარაუდება ელიზბარ ქსნის ერისთავი, ზაალის შვილი, ზურაბი და ბიძინა ჩოლოყაშვილი. თუმცა ისტორიკოსი წინააღმდეგობაში ვარდება და თვითონვე გამოთქვამს გაკვირვებას: "მეტად საკვირველი და უცნაური ჩანდა ის, რომ ერისთავი, რომელსაც იმდენი საჩუქარი და წყალობა ჰქონდა მიღებული მისი უდიდებულესობისაგან, უმადურობას გამოიჩენდა "ჟამთა ხელმწიფისადმი" და ასეთი ბოროტმოქმედების ჩამდენი გახდებოდა". ამდენად, ირანელი ისტორიკოსის ხელთ არსებული მასალებით, ზემოხსენებული ჯგუფის მიერ კახეთის განთავისუფლება არც უარყოფილი იყო და არც დადასტურებული.

ამავე პერიოდის ქართველი ისტორიკოსის ფარსადან გორგიჯანიძის მონაცემებით - "ასრე ითქვა - შვილი (ზაალის - ვ. ღ.) და სიძეო სიტყვით გაერივნესო და კახთ ერისთავის მტერობით თუშნი ერთმანეთს შეაფიცეს, ასრე რომე საცა კახეთში თათარი დაესახლებინოს დაესხან და ყათლამი უყონ და ასრე ჰქმნეს, დაესხნეს და საცა თათარი ნახეს, ჴმალქვეშ დავლეს და ალი ყული ხან ქანგარლუ თვითონ ციხეში გამაგრდა. ეს ყველა სხვათა ნაქმარი ერისთავს დააბრალეს და ყაენს მისწერეს. ყაენის ბრძანება მოვიდა ეცადეთ ერისთავი დაიჭიროთ ცოცხალი" [66. 270]. (ხაზგასმა ჩემია - ვ. ღ.). ამდენად, ფ. გორგიჯანიძის მიხედვით, თუ ვინ ხელმძღვანელობდა კახეთის განთავისუფლებას, გაურკვეველია. უფრო მეტიც, ფარსადან გორგიჯანიძე საერთოდ გამორიცხავს მოჰამედ თაჰერთან დასახელებულ პირთა - ზაალ არაგვის ერისთავის, მისი შვილის, ალავერდის ეპისკოპოსის "ზოგიერთ ქართველთან ერთად" - არა თუ ხელმძღვანელობას, არამედ მონაწილეობასაც კი კახეთის განთავისუფლებაში.

ფ. გორგიჯანიძე გადმოგვცემს: "კახეთი განჯის ხანს ჰქონდა, ბიძინა სუფრაჯი და ელიზბარ ერისთავი და შალვა თავიანთი ნებით განჯის ხანთან მივიდნენ და იმან ყაენთან გააგზავნა და კახეთში თათართა ამოწყვეტა იმათ და-



აბრალეს. უწინ ბევრი პატივი დასდვეს, მაგრამ შიგნით გარეთ სხვათა მოჴმარებისათვის დაუწყეს ბეზღობა, დააჭირვინეს და განჯას გააგზავნეს და ვისაც კაცნი კახეთში დაეხოცათ, იმათ ჴელთ მისცეს და უბრალოდ დახოცეს სამნივე და ქართველი მეფე გაძლიერდა" [66. 270] (ხაზგასმა ჩემია - ვ. ღ.).

აქ ერთი გარემოებაც არის გასათვალისწინებელი: ფარსადან გორგიჯანიძე ირანში მოღვაწეობდა და ირანული ორიენტაციისაა იყო, ამიტომაც მიაჩნია ანტიირანული ქმედება დანაშაულად, ხოლო ელიზბარი, შალვა და ბიძინა კი უდანაშაულოებად.

პარიზის ქრონიკის ავტორი ეთანხმება ფარსადან გორგიჯანიძეს, უფრო მეტიც, ელიზბარ ქსნის ერისთავის და ძმის - შალვას, სიტყვიერ მონაწილეობასაც კახეთის განთავისუფლებაში არ ადასტურებს და მათი დახოცვის ფაქტს "ბეზღაობით" ხსნის -"ერისთავი (არაგვის - ვ. ღ.) ვერ ჩამოიყოლიეს, მისი შვილი ზურაბ სიყმაწვილით დაატყუეს და თუშნი შეყრილნი ალი-ყული-ხანი ქანგარლუს მოუხდუნეს და ის ბახტრიანის ციხეში გამაგრდა და რაც თათარი კახეთში დაესახლებინა, უფროსი დაჴოცეს და ტყუეთ წაასხეს.

ეს ამბავი ყაენს მოახსენეს და ყველამ ზაალ ერისთავს დააბრალა. ყაენმა დასტური უბოძა. "ეცადეთ ერისთავის დაჭირვასაო". დაჭირვა ძნელი იყო,... ელიზბარ ერისთავი და შალვა ერისთავის შვილი და ბიძინა სუფრაჯი განჯის ხანმან ყაენთან გააგზავნა და ყაენი კარგს პატივს სდებდა. და დაუწყეს ბეზღობა, რომ კახეთში თათარი ამოსწყვიტესო, ამათი ქნილობა იყო: მისცეს თათართა ჴელთა. გააგზავნეს ჰადირბიჯანს, დაახოცინეს" [235. 110].

1660 წლის შემოდგომაზე რუსეთში მიმავალმა თუშმა ელჩებმა, თერგის მიდამოებში იქაური ჩერქეზებისაგან შეიტყვეს, რომ თუშები გაერთიანდნენ, ჩუმად თავს დაესხნენ ყიზილბაშებს და დედაწულიანად ამოხოცეს [195. 243].

სომეხი ისტორიკოსის არაქელ დავრიჟეცის (1595-1669 წწ.) მიხედვით - "1660 წელს კავკასიის მთებში მობინადრე ქართველები, ხალხი, რომელსაც თუშებს და ფშავებს უწოდებენ, მოვიდნენ ღამით და თურქების ამ 1500 ოჯახს მახვილით მუსრი გაავლეს" [71. 56].

რაც შეეხება თვით ქსნის საერისთავოში მოღვაწე სასულიერო პირებს, რომლებიც აღნიშნულ პერიოდში ცხოვრობდნენ და საეკლესიო წიგნებზე აკეთებდნენ მცირე მინაწერებს, მათ მიერ გაკეთებულ ცნობებში არაფერია ნათქვამი კახეთის განთავისუფლებისა და ქსნის ერისთავთა მონაწილეობის შესახებ. კერძოდ: ყანჩაეთის ჟამნგულანი - "ჟამნგულანის ისტორიული მინაწერების ქრონოლოგიური ჩარჩოებია XV საუკუნიდან მოყოლებული XVIII საუკუნის II ნახევრამდე, ძირითადად ცნობები აღმოსავლეთ საქართველოს შეეხება" [149. 39].

ჩვენთვის საინტერესო პერიოდის შესახებ -

" 32. ტლვ - 1648 - აქა არჩილ დაიბადაჲ ძე მეფისა შაჰნავაზისაჲ. აქვე ბატონიშვილი დათუნაჲ მოკლა როსტომ მეფემან;

33. ტმვ - 1658 - აქა როსტომ მეფე მიიცვალაჲ. აქავე მეფედ დაჯდა ბატონიშვილი ვახტანგ;

34. ტმზ - 1659 - აქა მოათხოვა დადიანმა ვამიყ ასული თუსი მეფესა შანავაზს ძისა თუსისათუს და მეორესა წელსა (ტმ") სხუათა მიათხოვა ქალი იგი;

35. ტნ - 1662 - აქა მეფე შაჰნავაზ მიუჴდა დადიანს ვამიყს, რომელსა ეპყრა იმერეთი და ოდიში. დადიანი მოკლაეს. მისი ცოლი და შვილი წამოასხაჲ. იმერეთი და ოდიში დაიჭირაჲ: გურიელი და აფხაზი ეყმოჲ. იმერეთს გააბატონა ძე თუსი არჩილ და ოდიშს - დადიანი შამადავლე. და მოვიდა მშვდობით სამეფოსავე თუსსა ზედა მრავალისა ურიცხუთა ლარითა აღსავსე;

36. ტნბ - 1664 - აქა მობრძანდა ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოზ;



37. ტნგ - 1665 - აქა მობრძანდა ალექსანდრიის პატრიარქი პაისიოს და სინის მთავარეპისკოპოსი ანანია;

38. ტჲე - 1677 - ამა ქორონიკონსა მიიცვალა გაძლიერებული და აღმატებული სხვათ, დიდი მეფე შაჰნავაზი" [149. 42] და სხვა მინაწერებიც მოცემულია ამავე ნაშრომში.

როგორც ჩანს, ჟამნგულანის მინაწერებში არაფერია ნათქვამი ქსნის საერისთავოს ხელისუფალთა ანტიირანულ ქმედებაზე, მათ მონაწილეობაზე კახეთის განთავისუფლებაში. ჩემი ვარაუდით, ქსნის საერისთავოს საეკლესიო, კულტურულ-საგანმანათლებლო, სამწერლო კერებში მოღვაწენი დუმან მხოლოდ იმიტომ, რომ ქსნელებს არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ კახეთის განთავისუფლებაში, და ამით, ფაქტობრივად ეთანხმებიან ზემოაღნიშნულ ისტორიკოსებს.

ამდენად, კახეთის განთავისუფლების თანამედროვეთა მიხედვით არ ჩანს თუ ვინ იყო შეიარაღებული გამოსვლის ინიციატორ-ხელმძღვანელი, ან რა როლი შეასრულა ელიზბარ ერისთავმა და მისმა ძმამ შალვამ, მაგრამ აშკარაა, რომ ეს იყო მაღალ დონეზე დაგეგმილ-ორგანიზებული და არა სახალხო აჯანყება, მით უმეტეს სტიქიური ამბოხი. ცხადია, კახეთის განთავისუფლების ორგანიზატორს გათვალისწინებული ჰქონდა ყველა შემდგომი ნიუანსი და თავისთვის წინასწარ კარგი ალიბი შექმნა ("სხვათა ნაქმნარი ერისთავს დააბრალეს"); ქართლის მეფე ვახტანგ V-მ ირანული ორიენტაციის ოპოზიციის ხელმძღვანელი ზაალ არაგვის ერისთავი მოაკვლევინა და ელიზბარ ქსნის ერისთავი შალვასთან ერთად სახელისუფლო ძალაუფლებას ჩამოაშორა. "კახეთი განჯის ხანს ჰქონდა, ბიძინა სუფრაჯი და ელიზბარ ერისთავი და შალვა თავიანთი ნებით განჯის ხანთან მივიდნენ". ე. ი. ქსნის საერისთავოს სახელისუფლო ძალაუფლებას ჩამოშორებულ ელიზბარს და შალვას თავი კახეთში ბიძინა ჩოლოყაშვილთან შეუფარებიათ, საიდანაც გარკვეული პერიოდის შემდგომ "თავიანთი ნებით განჯის ხანთან მივიდნენ" და დარწმუნებულებმა თავიანთ უდანა-

შაულობაში, ალბათ პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვეს. განჯის ხანმა ვახტანგ V-ის ოპოზიციონერები ირანის სამეფო კარზე გაგზავნა. თავიდან ირანის სამეფო კარს ურწმუნია მათი უდანაშაულობა და მიუცია პოლიტიკური თავშესაფარი "უწინ ბევრი პატივი დასდვეს". შემდგომში საზოგადოებრივი აზრის ზეწოლის გამო გადაუციათ ისევ განჯის ხანისათვის "და ვისიც კაცნი კახეთში დაეხოცათ იმათ ჰელთ მისცეს და უბრალოდ (უდანაშაულოდ - ვ. ღ.) დახოცეს სამნივე", და ქართველი მეფე გაძლიერდა. ბუნებრივია, კახეთის განთავისუფლებით საქართველოს ირანის შიდაპროვინციად გადაქცევისაგან თავის დახსნით, ირანული ორიენტაციის მქონე დიდ ფეოდალთა განადგურებით, ისევ ირანელთა ხელით, ქართლის მეფე - ვახტანგ V გაძლიერდა და შესაბამისად ამ შედეგით საქართველომ და ქართველმა ხალხმა ისარგებლა.

ამდენად, თუ მთელი ჩემი მსჯელობა ლოგიკურია, დასკვნაც სწორი უნდა იყოს. ჩემი აზრით, კახეთის განთავისუფლების ფარული ხელმძღვანელ-ორგანიზატორი იყო ქართლის მეფე ვახტანგ V.

## §5. მოგვიანო პერიოდის სწავლულნი კახეთის განთავისუფლების შესახებ

სრულიად სხვა ცნობებს გვაწვდიან კახეთის განთავისუფლების შესახებ შემდგომი ხანის მოღვაწენი. კერძოდ, დავით გარეჯში XVIII ს. 20-იან წლებში მოღვაწე ბესარიონ ორბელიშვილის მიერ დაწერილი "შესხმა წმიდათა მოწამეთა ბიძინასი, შალვასი და ელიზბარისა და უწყება წამებისა მათისა", გამოქვეყნებული აქვს მ.საბინინს [158. 598-609].

ბესარიონ ორბელიშვილის მიხედვით კახეთში ელთა ჩამოსახლების მიზეზი ყოფილა: "ხოლო ესმა რა სპარსთა, კუალადცა შენობაჲ კახეთისა, ფრიად შეუძნდა ესე დაიწყეს მისთვის კუალად განზრახვა ბოროტებისა. მაშინღა წარმოგზავნეს ურიცხვი ულუსი თათართა დედა წულითურთ მათითა" [158. 601].

კახეთის განთავისუფლებას ხელმძღვანელობდა ბიძინა ჩოლოყაშვილი: "მოსცა გონებასა სანატრელისა ბიძინასასა განძრახვა კეთილი და გონიერება შემსგავსებული ღუთის მსახურებისა და ახოვნებისა მისისა, წარვიდა წინაშე ორთავე ერის თავთა ქართლისა არაგჳსა და ქსნისათა და აუწყა ყოველი ძჳრი მოწეულთა მათ ზედა და ითხოვდა შეწევნასა მათ მიერ. რამეთუ მაშინ ერისთაობდა ხევსა არაგჳსასა, რომელსა ეწოდებოდა ზაალ. და ქსანსა ზედა წმინდა ელიზბარ და წმიდა შალვა, რამეთუ ელიზბარ უშვლო იყო და მოხუცებულ დღითაჲ და წმიდა შალვა ძმისწული მისი შჳლად მიიყუანა და ესრეთ ერისთაობდენ ორივე ქსანსა ზედა... წარვიდა (ბიძინა - ვ. ღ.) ვითარცა ვთქუ ერისთავთა მათ მიმართ და აუწყო მათ ყოველი ძჳრი მოწევნული მათ ზედა უტყოდა: "იხილეთ ჩემი ესე ოდენ ჭირი და განსაცდელი, ვითარ მწარე ესე ოხრება კახეთისა და აწ სრულიად დაპყრობა თათართაგან და აღხოცა ქრისტიანობისა. დღეს ჩუჱნ ზედა არს მოწევნული ესე ძჳრს. მცირედღა და თქუჱნზედაცა უეჭველად მოიწევის განსაცდელი ესე. ქმნეს განზრახვა ურთიერთას და აღუთქჱს შეწევნა. ხოლო ერისთავი არაგჳსა ცხადად ვერ იკადრებდა შეწევნასა შიშისათჳს სპარსთა, არამედ მცირედნი ოდენ კაცნი რჩეულნი მხედრები მოსცნა თანა შემწედ საიდუმლოდ. ხოლო... ელისბარ და შალვა დიდითა გულს მოდგინებითა მოირთეს ძალი რაჲსაცა ოდენ შემძლებელ იყუნეს სპითა თჳსითა. მოვიდეს თიანეთს და იხმნეს თუშნი და მთიულნი და მცირედნი კაცნი თუ სადამეღა იპოვებოდა და ღამესა ერთსა ბნელსა და უმთვაროსა გარდავლნეს მთა იგი და ჩავლეს ახმეტა და მივიდეს უგრძნობელად მათ ზედა და დაესხნეს მუნ მდგომთა თათართა ზედა... და ესოდენ აწყჳტეს და განაბნიეს ვიდრეღა არცა ერთი იპოებოდა კახეთსა შინა და ესრეთ განუმარჯუა ღმერთმან" [158. 602-603]. ზაალ არაგვის ერისთავს სპარსთა შიშით არ მიუღია

მონაწილეობა, "ხოლო ერისთავი არაგჳსა ცხადად ვერ იკა-
დრებდა შეწევნასა შიშისათჳს სპარსთასა, არამედ მცირე-
დნი ოდენ კაცნი რჩეულნი მხედრები მოსცა თანა შემწედ
საიდუმლოდ". როგორც ვხედავთ ბ. ორბელიშვილი წინააღ-
მდეგობაშია ფ. გორგიჯანიძესთან. ბ. ორბელიშვილის თა-
ნახმად კახეთის განთავისუფლებას ხელმძღვანელობდა ბი-
ძინა ჩოლოყაშვილი, ელიზბარი და შალვა. ფ. გორგიჯანიძ-
ის თანახმად კი მათ არათუ ხელმძღვანელობა გასწიეს,
არამედ საერთოდ არ მიიღეს მონაწილეობა კახეთის გან-
თავისუფლებაში. შემდეგ ბ. ორბელიშვილის მიხედვით:
"ხოლო მეფემან შაჰ ნავაზ, შეიპყრნა იგინი და წარგზავნა
სამნივე ესე სანატრელნი წინაშე შაჰ აბასისა სპარსეთს"
[158. 603], ფ. გორგიჯანიძის მიხედვით კი თავისი ნებით ჩა-
ბარდნენ განჯის ხანს. შემდგომი თხრობისას ბესარიონ
ორბელიშვილი ეთანხმება ფ. გორგიჯანიძეს - ("უწინ ბევრი
პატივი დასდვეს"). ბ. ორბელიშვილის მიხედვით შაჰს სამი-
ვე გადაუცია კახეთიდან გამოქცეულ "სულტანსა მაზარდა-
ლანისასა" და გაუცია შესაბამისი მითითება" დიდიდ მეწ-
ყალიან ეგენი სიკეთისა და ახოვნებისა მათისათჳს და არა
მნებავს სიკუდილი მათი რამეთუ დიდად სახმარ არიან ეგ-
ენი მტერთა და წინა აღმდგომთა ჩუჱნთა ზედა. აიძულენ
დატევებად ჰსჯულისა თჳსისა, უკეთუ უარ ჰყონ სარწმუ-
ნოება თჳსი და იქმნენ მუსულმან ჩუჱნ მიერ დიდთა პატივ-
თა და ნიჭთა სიმრავლესა ღირს იქმნენ. ხოლო უკეთუ ესე
არა ჰყონ და ურჩ ექნენ ბრძანებასა ჩუჱნსა მწარითა სატა-
ნჯუელითა დაისაჯენ" [158. 604]. ირანის სამეფო კარის გა-
საკვირველად არც ერთმა არ უარყო ქრისტიანული რჯუ-
ლი. ავტორი დაწვრილებით აღწერს ქრისტიანული სარწმუ-
ნოებისათვის თავდადებულთა წამების სცენას. პირველად
წამებით დაუხოციათ ელიზბარი და შალვა, შემდგომ კი
ასევე წამებით - ჯერ მოაჭრეს თითები, მკლავები "და ეტ-
ყოდეს ადვილი არს კურნება ამისა, უკეთუ დაემორჩილო
ბრძანებასა თჳთ მპყრობელისასა" [8. 607] - მოჰკლეს ბიძი-
ნა ჩოლოყაშვილი. ასო-ასო დაჭრილი, სამივეს გვამები შა-



ლვას მეუღლემა და შვილმა შემდგომში ჩამოატანინეს სა-
ქართველოში და დაკრძალეს იკორთაში ერთად [8. 609]. ამ-
დენად, ბ. ორბელიშვილის თანახმად სამივე დახოცეს წამე-
ბით შაჰ-აბასის ბრძანებისამებრ მხოლოდ იმიტომ, რომ
ქრისტიანული რჯული არ უარყვეს. "აიძულენ დატევებათ
ჰსჯულისა თჳსისა, უკეთუ უარ ჰყონ სარწმუნოება თჳსი
და იქმნენ მუსულმან ჩუჱნ მიერ დიდთა პატივთა და ნიჭთა
სიმრავლესა ღირს იქმნენ. ხოლო უკეთუ ესე არა ჰყონ და
ურჩ ექმნენ ბრძანებასა ჩუჱნსა მწარითა სატანჯჱლითა და-
ისაჯენ და მერმე ამის ცხოვრებისაგან განიყუანენ" [158.
604]. მათ, სამივემ, მიუხედავად თავიანთი პოლიტიკური
ორიენტაციისა, დასთმეს სიცოცხლე, მაგრამ არ დასთმეს
ქრისტიანული რჯული.

მკვლევარ მიხეილ ქავთარიას გამოკვლევით, ბესარიონ
ორბელიშვილის თხზულების - "შესხმა წმინდათა მოწამე-
თა ბიძინასი, შალვასი და ელიზბარისა და უწყება წამები-
სა მათისა" - პარალელურად იწერებოდა იასე ქსნის ერის-
თავის სვინაქსარ-გალობანი [198. 165]. იასე ერისთავი ყოფი-
ლა წამებული შალვას შვილიშვილი: "ქრისტეს მოწამეო
შალვა, შეიწყალე ძის ძე შენი იასე" [198. 168]. მკვლევარმა,
რომელმაც შეისწავლა და გამოაქვეყნა იასე ერისთავის ჰი-
მნები, გაკვირვებას ვერ ფარავს -" ჰიმნებში 1659 წლის კა-
ხეთის ეროვნული მნიშვნელობის მქონე აჯანყების მანიშ-
ნებელი რაიმე ფაქტი თითქმის არაა, ასევე არაა დასახე-
ლებული სამეულის (იგულისხმება ელიზბარი, შალვა და
ბიძინა - ვ. ღ.) საქმიანობა და დამსახურება შეთქმულების
მოწყობაში. საგალობლებში ხაზგასმულია წამების სცენე-
ბი, ქრისტიანობისადმი ურყევი ერთგულების მაუწყებელი
მომენტები" [198. 161], არადა გასაკვირვი აქ არაფერია. იასე
ერისთავმა, როგორც ჩანს, კარგად იცის, რომ კახეთის გა-
ნთავისუფლებაში ელიზბარის, შალვას და ბიძინას როლი
ნულის ტოლია და ამიტომაც არ წერს არაფერს. ასევე კა-
რგად იცის მათ მიერ ქრისტიანული რჯულისათვის თავდა-
დების ფაქტები - "ქრისტეს შესწირე თავი შენი" [198. 169],

"ქრისტეს ღმრთისათჳს დაითმინე წულილ-წულილად დაჭრა ურჯულოთა მჴედართაგან" [198. 173] და კიდევაც აღნიშნავს.

უნდა ვიფიქროთ, რომ იასე ერისთავს უფრო მეტი და ზუსტი ინფორმაცია ჰქონდა თავის პაპის ღვაწლის შესახებ, ვიდრე ბესარიონ ორბელიშვილს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სწორია იასე ერისთავის ინფორმაცია, რომ ელიზბარი და შალვა არიან ძმები - ორნი ძმანი მოწამენი" [198. 168]. "თ-ა სეკდენბერსა ი". წმიდათა და დიდებულთა ორთა ძმათა მოწამეთა ქართველ ელისბარ ქსნის ერისთავისა და ძმისა მისისა შალვასი [198. 166] და ცდება ბ. ორბელიშვილი როცა წერს: "რამეთუ ელისბარ უშჳლო იყო და მოხუცებულ დღითაჲ და წმინდა შალვა ძმისწული მისი შჳლად მიიყუანა და ესრეთ ერისთაობდენ ორივე ქსანსა ზედა" [158. 602].

ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილ "სწავლულ კაცთა" კომისიამ კახეთის განთავისუფლების მიზეზი შემდეგნაირად წარმოადგინა: "თათართა ეპყრა მონასტერი ალავერდი ციხედ და იყვნენ შიგა და სხუაცა მრავალი ადგილი კახეთისა დაეპყრათ, ბახტრიანი ციხედ ჰქონდათ და მრავალსა ბოროტსა უყოფდენ მკჳდრთა კახეთისათა, რამეთუ ენებათა სრულიად კახეთი გასათათრებლად და ელის დასახლება" [202. 434].

*საბაბი*: "ერთი კახი ხუცესი მარტო მივიდოდა გზასა თჳსსა კახეთში, ხოლო დამთხუევით შეემთხჳნეს გზაზედა მღვდელსა მას თათარნი რაოდენნიმე და შეიპყრეს უსჯულოთა მათ ხუცესი იგი მტერთა მათ და მოშურნეთა ქრისტეს სჯულისათა. შეკრეს ხუცესი იგი მძლავრებითა და შეამთხჳეს საქმე სიბილწისა, რომელ არს ცოდვა სოდომური და განუტევეს. ხოლო წარვიდა ხუცესი იგი და მივიდა დუშეთს... დაუჩოქა ხუცესმან და შესჩივლა: "შენ ზაალ ერისთავი ხარო და კახეთის გამგებელიო, გააოჴრეს სრულიად კახეთი უსჯულოთა აგარიანთა და მე გზაზედ შემიპყრეს და შემამთხჳვეს საქმე უშუერი და ჴელშეკრული გამხრწნეს და ყვეს ჩემ ზედა საქმე სათქმელადაც უშუერი. და აწ ამისი მაგიერი პასუხი ღმერთს შენ მიეც და შენ უნდა გასცე, ვინათგან შენდა რწმუნებულ არს კახეთი" [202. 438].



მათივე მონაცემებით, კახეთის განთავისუფლების ორგანიზატორი ზაალ არაგვის ერისთავია, თანამოაზრენი კი - "მაშინ (ზაალ არაგვის ერისთავმა - ვ. ღ.) შემოიფიცა ქსნის ერისთავი შალვა და ელიზბარ და კახნი სუფრაჯი ბიძინა ჩოლოყაშვილი და შემოიფიცეს მთის კაცნი თუშნი, რამეთუ შალვა ქსნის ერისთავი სიძე იყო მისი (ზაალის - ვ. ღ.)" [202. 438].

***ბრძოლის მიმდინარეობა***: "წარვიდენ ღამესა ერთსა, დაესხნენ თავსა სულტანსა ბახტრიანს და ამოსწყჳტეს, და მოსრნეს ბახტრიანის ციხეში მდგომნი ელნი, და რაც იყვნენ, მიჰყვნენ იქიდამე ჴოცხვითა, ჩავიდნენ ალავერდს და რომელნიცა მუნ იყვნენ, თათარნი და ელი, რაც ესახლა, ყოველი მოსრეს პირითა მახჳლისათა. და ამოსწყჳტეს დედაწულითურთ და აკვანში რომელნიცა ყრმანი იწვნენ, იგინიცა დაჴოცნეს. სადაცა კახეთს თათარი და ელი ესახლა, ყოველივე ამოსწყჳტეს და არა სადა დაშთა, რომ ყოველივე არ მოკლეს და რომელნიმე ივლტოდეს. წარვიდეს და განაძეს" [202. 438].

***შედეგი:*** "კახეთში თათარნი აღარსად იპოებოდენ, თჳნიერ ყარაღაჯისა და გაანთავისუფლეს კახეთი თათართაგან" [202. 438].

კახეთის განთავისუფლებას მოჰყვა სხვა შედეგიც: "მაშინ ყაენმანცა მისწერა წაჴდენა და სიკუდილი ერისთავისა ზაალისა და რომელნიცა ერივნეს თათართა სისხლსა შინა, იგინიცა დაჴოცეთო... მოკლეს ზაალ ერისთავი,... ხოლო შალვა ერისთავი და ელისბარ ძე მისი, და სუფრაჯი ბიძინა ჩოლოყაშვილი არა მივიდეს მეფესა შანავაზთანა, არამედ წარვიდეს ყარაღაჯში მურთაზა ყულიხანთანა. მან შეიპყრა და ყაენსს გაუგზავნა.. ჩოლოყაშვილი ბიძინა სუფრაჯი, შალვა და ელისბარ, ესენი მისცეს მკუდრის პატრონთა,... დაჰპატიჟეს სჯული მაჰმადისა ბიძინა სუფრაჯს ჩო-

ლოყაშვილსა და შალვასა და ელისბარს. მაშინ დიდად მჴნედ გამოჩნდეს სამნივე ესე მოწამენი და უმეტესად ბიძინა ჩოლოყაშვილი... ერთჴმობით სამთავე აღიარეს ქრისტეს სარწმუნოება და უარყვეს სჯული მაჰმადისა. ხოლო მათ მახვლებითა დაჭრეს იგინი ასოეულად და დაჴურიტეს რომელიმე თოფითა და რომელიმე მახვლებითა დაჭრეს... ხოლო რაჟამს მოკლეს ზაალ ერისთავი, მაშინ მისცა ერისთაობა ოთარსა მეფემან შანავაზ (ოთარი იყო ზაალის ძმისშვილი და ვახტანგ მეფის დისშვილი - ვ. ღ.) და მსაჯულობა საქართველოსი მისცა ედიშერს, ხოლო ქსნის ერისთაობა მისცეს იასეს და დაიპყრა მეფემან შანავაზ მტკიცედ საქართველო და იყვნენ დიდად ერთგულნი ოთარ ერისთავი, ედიშერ ქართლის მსაჯული, ქსნის ერისთავი იასე და სრულიად ქართლის დიდებულნი... და მეფობდა მეფე შანავაზ სამთავე სამეფოთა: ქართლს, კახეთსა და იმერეთსა ზედა" [202. 438-440].

ბერი ეგნატაშვილს, ზემოთ მოტანილი ამონარინდი დაწერილი აქვს - "თუით თვალითა მნახველთა და მისთა ომებთა შინა მყოფთა კაცთაგან" მონათხრობზე [77. 6;202. 326]. და მეორე: "ბერი ეგნატაშვილი, როგორც მთელი მისი თხზულება მოწმობს, ქართლის სამეფო ბაგრატიონთა შტოს დინასტიური იდეოლოგია. იგი ამ მხრივ ღრმა პარტიულ-დინასტიური ისტორიკოსია" [70. 96].

"სწავლულ კაცთა" პოზიცია იყო ასეთი: "მეფე სასუფეველია ღვთისა დედამიწაზე, მეფის განზრახვათა გამჟღავნება ღალატია" [58. 148]. მოღალატე კი "მტერზე უფრო მტრადაა მიჩნეული" [58. 132]. ამიტომაც ვფიქრობ, "სწავლულ კაცთა" კომისია ვახტანგ V-ის კარზე შეთხზულ ლეგენდას გვაწვდის ირანის სამეფო კარის მიერ გამოგზავნილი კომისიის დასარწმუნებლად, რომ კახეთში ელთა ტომი ამოწყვიტეს მეფის-ვახტანგ V-ის ოპოზიციონერებმა: ზაალ არაგვის ერისთავმა, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავებმა და ბიძინა ჩოლოყაშვილმა, რომელნიც ირანის სამეფო კარის მიერ ისე იყვნენ განდიდებულნი, რომ ქართლის მე-





ფის ხელისუფლებს არ ემორჩილებოდნენ და მათ კახეთის განთავისუფლება ისე მოაწყვეს, რომ ვახტანგ V-მ ამის შესახებ არაფერი იცოდა. ალბათ ამიტომაც იყო ირანის სამეფო კარისათვის დაუჯერებელი ეს ლეგენდა.

*შედარებისათვის*: დღეისათვის რუსეთისგან გაქეზებული სეპარატისტები - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა და ცხინვალის რეგიონის ხელისუფლება არ სცნობენ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლების იურისდიქციას და ხომ წარმოუდგენელია, რომ ერთ ბნელ, უმთვარო ღამეს აფხაზეთისა და ცხინვალის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ მოახდინონ გამოსვლა და ამოწყვიტონ საქართველოში კომპაქტურად მცხოვრები რუსი ეროვნების მოქალაქენი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სრულიად გასაგები ხდება თუ რატომ მოგვცა არასწორი ინფორმაცია ეგნატაშვილმა - ასე სჭირდებოდა ქართლის ბაგრატიონთა სამეფო სახლს, ასე სჭირდებოდა საქართველოს გადარჩენას და შემდგომ გაერთიანებას. "ვახტანგი არც ერთ შესაფერ შემთხვევას ხელიდან არ უშვებდა და არანაირ საშუალებას არ ერიდებოდა საქართველოს სამეფო-სამთავროების შესაერთებლად ან ამ სამეფო-სამთავროებზე თავისი გავლენის გასავრცელებლად" [107. 126]. თუ შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ ვნახავთ, რომ საქართველო გადაურჩა თათართა მასიურ ჩამოსახლებას. ირანული ორიენტაციის მქონე მძლავრი ფეოდალები, ისევ ირანის სამეფო კარის საშუალებით იქნენ ლიკვიდირებულნი. არადა შაჰის სამეფო კარი, მეფე ვახტანგ V-ს არ მისცემდა ირანული ორიენტაციის მქონე ფეოდალების - ოპოზიციონერების განადგურების უფლებას, თუ მეფე ვერ დაარწმუნებდა მათ ანტიირანულ ქმედებაში: "და მეფობდა მეფე შანავაზ სამთავე სამეფოთა: ქართლსა, კახეთსა და იმერეთსა ზედა, ესრეთ განადიდნა და აღემატა მეფობა და სიმდიდრე მისი საქართველოსა შინა" [202. 440].

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით კახეთის განთავისუფლების მიზეზი ყოფილა შემდეგი: "ამან სალიმხან (მართავდა კახეთს 1657 წლიდან - ვ. ღ.) მოიყვანნა ელნი და დასხნა შიგნით - და გარეთ - კახეთს და დაიპყრეს ამათ ბახტრიანი, ალავერდი და განიყუნეს წმინდანი ეკლესიანი, რამეთუ იყვნენ არვე - მროწლეთა მათთა სადგურად და იყო ჭირიცა დიდი მათგან კახეთსა შინა და ქურდთა ლეკთაგან. არამედ სალიმხან ჯდა ყარაღაჯს უზრუნველი კახთათჳს და განისვენებდა უზრუნველი მტრის ვნებისაგან" [15. 599].

*საბაბი*: "დღესა ერთსა მღუდელი ვინმე მოვიდოდა შიგნით კახეთს, შეიპყრეს იგი თათართა და განხრწნეს სოდომურითა და განუტევეს. შეიწროებული მღუდელი იგი მოვიდა წინაშე ზაალისა მეტყუელი ესრეთ: შენდა რწმუნებულ არს კახეთი კნინღა პყრობად, აწ შემამთხვიეს თათართა უჯერი, ამისთჳს შენვე პასუხ-უგე ქრისტესა დღესა მას დიდსა განსჯისასა [15. 599].

კახეთის განთავისუფლების ხელმძღვანელნი - "ამისმან მსმენელმან ზაალ ერისთავმან შემოიფიცა საყმონი თჳსნი და ფშავ-ჴევსურ-თუშნი, და ბიძინა სუფრაჯი და ერისთავი კსნისა შალვა ძმით ელიზბარ (რამეთუ სიძე იყო შალვა ზაალისა)" [15. 599-600].

ბრძოლის მიმდინარეობა: "შეკრიბნა ესე ყოველი, წარუძღუანა ძე თჳსი და მოუჴდნენ პირველად ბახტრიანს, მოსრნეს და მოსწყჳდნეს, თათარნი, მერმე ალავერდს და შემდგომად. ყოველსა კახეთსა შინა მოსწყჳდნეს, რამეთუ არცღათუ დაუტევეს აკუანთა შინა მწოვარნი და განათავისუფლეს კახეთი" [15. 600]. კახეთის განთავისუფლებისას ქართლის მეფე ვახტანგ V იმერეთში იმყოფებოდა: "მოკუდა რა ალექსანდრე მეფე იმერთა და მეფობდა ბაგრატ უთუალო, მიუწოდა ვახტანგ მეფესა იმერთა, შეკრბა ვახტანგ და დადგა ფცას. არამედ ზაალ ერისთავმან მოსწყვდნა ელნი კახეთს" [15. 447-448].



იმერეთის მეფე ალექსანდრე 1660 წლის 4 მარტს გარდაიცვალა [169. 64].

მეფის გარდაცვალებიდან მესამე დღეს მემკვიდრეს, ბაგრატს, ცოლად შერთეს ქეთევანი [169. 71]. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჯერ სამგლოვიარო, შემდგომ კი საქორწილო ცერემონიალი კარგახანს გაგრძელდებოდა. ამ ცერემონიალში ვახტანგ V-ეს ქართლის ჯარით მიუღია მონაწილეობა. მის ჯარში არ იმყოფებოდნენ: "ზაალ ერისთავმან შემოიფიცა საყმონი თჳსნი და ფშავ-ჴევსურ-თუშნი, და ბიძინა სუფრაჯი და ერისთავი კსნისა შალვა ძმით ელიზბარ". ამდენად, ვახტანგ V-ეს აქვს კარგი ალიბი, ოფიციალურად იმერეთში იმყოფება და სამეფო კარის ცერემონიალში იღებს მონაწილეობას. მისი ჯარი "დადგა ფცას". ჩემი აზრით, "ფცასთან" ჯარის საეჭვო ნაწილი იქნებოდა. ჯარის ერთგული ნაწილით კი კახეთის განთავისუფლების ოპერაციას ჩაატარებდა ბნელ, უმთვარო ღამეს. შესაძლებელია მეფეს გამოეყენებინა დაქირავებული ჯარიც. ამდენად კახეთის განთავისუფლება უნდა მომხდარიყო 1660 წლის მარტში.

ვახუშტი გვაძლევს დამატებით ინფორმაციას ზაალ არაგვის ერისთავის მოკვლასთან დაკავშირებით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ შაჰ-აბასმა ბრძანა ზაალი დაეჭირათ და ცოცხალი მიეგვარათ ირანში, მისი ცოცხლად ჩასვლა კი ვახტანგ V-ის ინტერესებში არ შედიოდა. საჭირო იყო ზაალის ანტიირანული ქმედების მაღალ დონეზე დაფიქსირება. "მოუწოდა ამ ზაალ ბატონის თეიმურაზის ძის ძეს ერეკლეს რუსეთიდან, რათა ჰყოს მეფედ და ამ ჟამთა მოსრულ იყო თუშეთს და ბრძოდა კახეთს" [15. 450].

ფ. გორგიჯანიძის თანახმად, ზაალი თეიმურაზსაც იწვევდა ქართლ-კახეთში გასამეფებლად. "ბატონის თეიმურაზისათვის სკანდის ციხეში კაცი და საფიცრის (წიგნი) გაეგზავნა, რომ ქართლსა და კახეთს თქვენის მეტი მემკვიდრე პატრონი არსად დარჩომილაო, მანდ ნუ დგახარ, კახეთს ჩაბრძანდითო, ქართლიც თქვენი იქნებისო" [66. 71].

ამდენად, მას შემდეგ, როცა ზაალს დაუდასტურდებოდა დამატებით ანტიირანული პოზიცია - პოლიტიკური ორიენტაციის აღება რუსეთისაკენ, ირანის სამეფო კარი, ზაალ არაგვის ერისთავის ფიზიკური ლიკვიდაციის ნებას მისცემდა ვახტანგ V-ს.

ზაალი 1660 წლის მაისში მოკლეს.

"უბრძანა (ვახტანგ V-მ - ვ. ღ.) ძმისწულთა ზაალისათა და დისწულთა თჳსთა, რომელნი გაბოროტებულნი იყვნენ მისგან, რათა მოკლან ზაალი,.. და მოკლეს ზაალ ერისთავი ბიძა თჳსი...

ამის წილ მეფემან მისცა ოთარს ერისთაობა, ედიშერს - მსაჯულთუხუცესობა, იასონს - დედოფლის სალთხუცობა... კუალად მისცა კსნის ერისთობა იასეს და დაიპყრა უმეტეს ქართლი, რამეთუ ერთგულებდნენ ესენი ფრიად... და ეპყრა ვახტანგს ქართლი, იმერეთი და კახეთი" [15. 448].

"ხოლო შემდგომად ზაალ ერისთავის სიკვდილისა შეშინდნენ ბიძინა, შალვა ძმით ელიზბარით და არღარა მივიდნენ ვახტანგ მეფისა თანა. არამედ შთავიდნენ მურთუზ ალი ხანთან ყარაღაჯს. მაშინ ხანმან შეიპყრნა იგინი და წარავლინა წინაშე ყეენისა. ხოლო ყეენმან მისცა იგინი მესისხლეთა, რომელნიცა მოსწყვდნეს მათ ელნი და მათ აწამეს იგინი ქრისტესთჳს, ვითარცა წერილ არს მეტაფრასსა მათსა. არამედ კახეთი თუცა ეპყრა მურთუზალიხანს, გარნა უფროსს მორჩილებდნენ მეფესა ვახტანგს და იყვნენ წინაშე მისსა" [15. 600].

როგორც ამ ვრცელი ამონაწერიდან ირკვევა, ბერი ეგნატაშვილის და ვახუშტი ბატონიშვილის მონათხრობი ძირითადად ემთხვევა ერთმანეთს, ჩანს, მათ ერთი წყარო ჰქონიათ. ასევე კარგად ჰქონდათ გააზრებული არჩილ ბაგრატიონის შეგონება:

"ვინ ბატონის საიდუმლო სიტყვა გარეთ გაიტანოს,
მუსაიფსა თუ სხვას, ვის გინდა, მისი რჩევა მიუტანოს,
მას პირს უნდა შეადუღოს, ზედ თავსლაფი დაატანოს,
პირში ენა ამოართოს, კლიტე თან ამოატანოს".



(არჩილი, საქართველოს ზნეობა, სტრ. 39).

არის რამდენიმე განსხვავებაც: "ბერი ეგნატაშვილის მიხედვით: "ხოლო შალვა ერისთავი და ელიზბარ ძე მისი" [202. 439].

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით: "ერისთავი კსნისა შალვა ძმით ელიზბარ" [15. 600].

ელიზბარი და შალვა რომ ნამდვილად ძმები იყვნენ ჩვენ ზემოთ არაერთგზის აღვნიშნეთ. ასევე ვახუშტი მართალია როცა აღნიშნავს: "აწამეს იგინი (ელიზბარი, შალვა და ბიძინა - ვ. ღ.) ქრისტესთჳს" და სხვა. ვახუშტი ცდება ეგნატაშვილთან ერთად, როცა ქსნის ერისთავად თვლის შალვას. ასევე ცდება როცა კახეთის განთავისუფლების ორგანიზატორებად მიაჩნია ზაალ ერისთავი, ბიძინა ჩოლოყაშვილი, ელიზბარ და შალვა ერისთავები.

გარკვეულ წინააღმდეგობაში ვარდება XVIII ს. მეორე ნახევრის მოღვაწე ანტონ ბაგრატიონი. ნაშრომში: "შესხმა და მოთხრობა ღუაწლთა და ვნებათა წმიდათა დიდთა მოწამეთა ბიძინა მატაკარანისა, ელიზბარ ქსნის ერისთავისა და შალვა, ნათესავისა და ძეობილისა მისისასა, ქმნილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოჲსა საქართველოჲსა, დავითიან-ბაგრატოვანისა" [241. 169-189]. აქ ავტორი ძირითადად იმეორებს ბესარიონ ორბელიშვილის ცნობებს და უთითებს კიდევაც არა ერთგზის: "იტყჳს უკუე ნეტარი ბესარიონ (მამათმთავარი ჩვენი)" [241. 177], "იტყჳს ნეტარი ბესარიონ" [241. 183], "იტყჳს სანატრელი ბესარიონ" [241. 186]. ბესარიონ ორბელიშვილის ცნობების გარდა, ანტონს წმინდანთა წამების სცენის აღწერისას, სავარაუდოა, გამოუყენებია ბერი ეგნატაშვილის [241. 184], ბიძინა ჩოლოყაშვილთან დაკავშირებით კი არჩილ ბაგრატიონისა და სხვა მონაცემებიც.

ბ. ორბელიშვილის გავლენით, ანტონს კახეთის განთავისუფლების ხელმძღვანელად მიაჩნია ბიძინა ჩოლოყაშვილი, ხოლო თანამონაწილეებად არაგვისა და ქსნის ერისთავები [241. 175].

სათაურიდანაც ჩანს, რომ ბესარიონ ორბელიშვილის მსგავსად, ანტონ კათალიკოსიც შალვას მიიჩნევს - "ელიზბარ ქსნის ერისთავისა და შალუა, ნათესავისა და ძეობილისა მისისა", - და ტექსტშიც "წმიდამან ელიზბარ რამეთუ ნათესავით თჳსით, ძეობილით შალუა ნეტარით" [241. 175]. ხოლო მეორე ნაშრომში, რომელიც გამომცემელთა აზრით თითქმის იმავე დროსაა დაწერილი, წერს: "თთუესა სეკდემბერსა 18. თჳს წმიდათა დიდთა მოწამეთა მთავართა ბიძინასა და ორთა ძმათა ერისთავთა ქსნისათა ელიზბარისა და შალვასი" [19. 206-208]. სავარაუდოა, აქ ანტონი ეყრდნობოდეს ვახუშტის.

იოანე ბატონიშვილი, თავის ცნობილ კალმასობაში, ძირითადად იმეორებს ბესარიონ ორბელიშვილის მონაცემებს და სათანადოდ უთითებს კიდევაც მას: "ვითარცა სწერს წმინდა მამა ჩვენი ბესარიონცა" [17-ა . 111]: ვითარცა იტყვის ნეტარი ბესარიონ" [158. 115]. ამავე დროს იოანე იყენებს სხვა მონაცემებსაც, კერძოდ, ბ. ორბელიშვილის თანახმად: "რამეთუ უკეთური იგი მეფე შაჰ-აბაზ მწარითა აღსასრულითა განეხუა ცხოვრებისაგან, რამეთუ მსგავსად იუდასი განსივნა და გასქდა" [158. 601]. იოანეს მიხედვით: "არა ჰყოვნა მსჯავრმან საღმრთომან და შეედო სენი მუცლისა შააბაზს ესრეთ, რომელ ნაწლევნი გამოსდიოდენ განსავალიდგან, და იტანჯებოდა შვიდ წელ ამ სენითა, და მერე წარვიდა ჯოჯოხეთსა შინა"... [17-ა. 108] შემდგომ: თათართაგან შეურაცხყოფილი ხუცესის ეპიზოდი, რომელიც მოთხრობილი აქვს ბერი ეგნატაშვილს და ვახუშტი ბატონიშვილს, ნახსენები არა აქვს ბ. ორბელიშვილს. იოანე ბატონიშვილის მიხედვით შეურაცხყოფილი მღვდელი მიდის ბიძინა ჩოლოყაშვილთან"... განივლტო ხუცესი იგი, და მოვიდა ბიძინა მთავრისადმი და ყოველივე შეურაცხყოფა თჳსი აუწყა მას" [17-ა. 110]. ბ. ეგნატაშვილის მიხედვით კი შეურაცხყოფილი მღვდელი მიდის ზაალთან და სხვა.

ქსნის ერისთავთა შთამომავალი, ქართული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწე გიორგი ერისთავი თითქმის იმეორ-



ებს ბესარიონ ორბელიშვილის მონათხრობს: "ქსანზედ ელიზბარ ძმისწულითურთ ერისთაობდა".

"ბახტრიონიდან და ნუხადმდე დადგა თათარი,
სრულიად აღხოცეს ქრისტიანობა მთელსა კახეთსა
არღავინ იყო კაცი ერთი, გარნა თუშეთსა" [79. 89].

ბ. ორბელიშვილთან "... უფროსღა ქუეყანა კახეთისაჲ, რამეთუ უღმრთომან შაჰ აბაზ, რომელი იყო მეფე სპარსეთისა, სრულიად ოხერ და უმკჳდრო ჰყო კაცთაგან....

რამეთუ არღარა სადა იხსენებოდა სახელი ქრისტესი თვნიერ მცირედთა ოდენ მთით კერძო თუშთა შორის და ხუზთა და მის კერძოთა ადგილთა" [158. 601-602].

გ. ერისთავი ასევე ეთანხმება ბ. ორბელიშვილს, კახეთის განთავისუფლების ხელმძღვანელთა ჩამოთვლისას, მსახურთა მიერ კი განსხვავებული შეხედულება არსებობდა: "მაშინ მსახურნიცა მათნი, რომელნიცა თანა ჰყუჳს მცირედნი ოდენ იგინიცა ფრიად აიძულებდეს და ეტყოდეს, რათა დაემორჩილნენ ბრძანებასა მათსა" [158. 605].

გ. ერისთავთან - "ჰკითხა როინმა: "რა უყავით თქვენი ბატონნი -

რად აგრე ჩქარა მოცაბრუნდით ორნი მარტონი?"

"ვცანთ. ერისთავნი წარიყვანეს სპარსთა სასჯელად,

რათ წავყვებოდით თავის ჩვენის დასახოცველად?" [79. 93] და სხვა.

ბ. ორბელიშვილის გავლენის ქვეშაა და თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს მის მონაცემებს საქართველოს დიდი მგოსანი აკაკი წერეთელი თავის ცნობილ ნაწარმოებში - "ბაში-აჩუკი". აი, რას ათქმევინებს ავტორი ელიზბარ ერისთავს შალვას შესახებ: "რა ვქნა, ჩემო ზაალ! მეც ბევრი ვურჩიე ამ ჩემს ძმისწულსა და შვილობილს," [242. 131]. ბ.ორბელიშვილის გავლენითვე უნდა იყვნენ კახეთის განთავისუფლების ხელმძღვანელებად დასახელებული ბიძინა ჩოლოყაშვილი, ელიზბარ ქსნის ერისთავი და შალვა. საერთოდ აკაკი წერეთელი ცნობილია როგორც სასულიერო მწერლობის კარგი მცოდნე.

ზემოაღნიშნულ წყაროთა მონაცემების სხვადასხვაობიდან გამომდინარე, ქართულ საეკლესიო ლიტერატურაშიც ასევე არაერთგვაროვნად არის წარმოდგენილი ბევრი საკითხი. კერძოდ, 1811-1825 და 1885 წწ. გამოცემულ საღვთისმსახურო წიგნებში: ჟამნი. 18 სექტემბრის საკითხავებში წერია: "ამათი ხსენება და წამება ამას დღეს არს ძმანო და არათუ ივლისს, და ვისაცა დაუწერია, ტყუილად დაუწერია. ივლისს არა არს, არამედ იჱ" [18 - ვ. ღ. ] სექტემბერს ეწამნენ".

18 სექტემბერი ახალი სტილით არის 1 ოქტომბერი. ტექსტში შემდგომ წერია: "წმინდათა ელიზბარ ქსნის ერისთავისა და ძმისა მისისა შალვასი".

1865 წელს გამოცემულ საღვთისმსახურო წიგნში - "სადღესასწაულო" ქსნის ერისთავები ელიზბარი და შალვა ძმებად არიან მოხსენიებულნი*.

1999 წელს საქართველოს საპატრიარქომ ნიქოზისა და ცხინვალის ეპისკოპოსის ისაიას ლოცვა-კურთხევით დაბეჭდა - "წმიდა მოწამენი: ბიძინა, შალვა და ელიზბარი", რომელიც ძირითადად დაყრდნობილია ბესარიონ ორბელიშვილის თხზულებაზე (და მითითებულია შესაბამისად). კერძოდ შეურაცხყოფილი მღვდლის ეპიზოდი მოთხრობილი არ არის. კახეთის განთავისუფლების ხელმძღვანელად წარმოდგენილია ბიძინა ჩოლოყაშვილი, ელიზბარი და შალვა კი როგორც: "ელიზბარ და ძმისწული მისი შალვა" [243. 4].

1948 წელს ს.ჯანაშიას რედაქციით გამოიცა - საქართველოს ისტორიის I ნაწილი - უძველესი დროიდან XIX ს-ის დამდეგამდე. სახელმძღვანელო განკუთვნილია საშუალო სკოლის უფროსი კლასებისათვის. ნაშრომში, კახეთის განთავისუფლება რატომღაც კახეთის აჯანყებად არის წარმოდგენილი: "კახეთში მრისხანე აჯანყება მომწიფდა, საყოველთაო საფრთხემ საყოველთაო აჯანყება შობა" [185. 350]. აღსანიშნავია, რომ ეს ტერმინი, კახეთის აჯანყება, ფიგურირებს შემდგომ და დღემდე გამოცემულ სხვადასხვა ავტორთა და დამხმარე სახელმძღვანელოებში. არადა ეს არ



იყო კახეთის აჯანყება, ეს იყო კახეთის განთავისუფლება თურქმენული ტომებისაგან. უფრო მეტიც, არც ვახუშტი ბატონიშვილი და არც ბერი ეგნატაშვილი არ საუბრობენ კახეთის აჯანყებაზე "გაანთავისუფლეს კახეთი" [15. 600], "გაანთავისუფლეს კახეთი თათართაგან" [202. 438].

სახელმძღვანელოს ავტორებს კახეთის განთავისუფლების ხელმძღვანელად გააზრებული ჰყავთ ზაალ ერისთავი: "აჯანყების მთავარი მომწყობი ზაალ არაგვის ერისთავი თავისი მომხრეებით დამორჩილებას (შაჰისადმი - ვ. ღ.) არ ფიქრობდა" [185. 351], ხოლო ზაალის თანამებრძოლებად - "ზაალის სიკვდილის შემდეგ მისი თანამებრძოლები გატყდნენ. შალვა ქსნის ერისთავი, მისი ძმა ელიზბარი და ბიძინა ჩოლოყაშვილი ეახლნენ ირანის შაჰს და დანაშაულის შენდობა ითხოვეს" [185. 351].

1973 წელს გამოცემულ, საქართველოს ისტორიის ნარკვევებში ბატონი გ. ჯამბურია წერს: "ზაალ ერისთავმა, რომელსაც მოსახლეობის ფართო წრეებმა, მათ შორის ფეოდალებმაც დაუჭირეს მხარი, აჯანყების საერთო ხელმძღვანელობა ითავა, თუმცა აჯანყების დაწყების შემდეგ მას აშკარა მონაწილეობა ბრძოლაში არ მიუღია. აჯანყების უშუალო ხელმძღვანელები და ორგანიზატორები კი იყვნენ თეიმურაზ I-ის თანამებრძოლი ბიძინა ჩოლოყაშვილი, ალავერდელი ეპისკოპოსი, შალვა ქსნის ერისთავი და მისი ძმა ელიზბარი. აჯანყების ერთ-ერთი მოთავე და ორგანიზატორი იყო თუში ზეზვა გაფრინდაული..." [179. 331]. შემდეგ "აჯანყების მთავარი ორგანიზატორი ზაალ ერისთავი შაჰის ბრძანებით ვახტანგ V-მ მოაკვლევინა ზაალისავე ძმისწულებს (1660. 13. 5), ზაალის შვილები კი შეიპყრეს და შაჰს გაუგზავნეს. ამის შემდეგ აჯანყების სხვა მეთაურებიც გატყდნენ. ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ერისთავები შაჰს მიუვიდნენ და პატიება ითხოვეს" [179. 333].

1995 წელს ნ. ასათიანის ავტორობით გამოცემულ საქართველოს ისტორიის მე-9 კლასის სახელმძღვანელოში ვკი-

თხულობთ: "კახეთის აჯანყებამ 1660 წელს იფეთქა. ქართლიდან კახეთის დასახმარებლად მოვიდნენ შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები. კახეთის მოსახლეობა მტრის წინააღმდეგ დარაზმა ბიძინა ჩოლოყაშვილმა. აჯანყების მომზადებას ხელმძღვანელობდა ზაალ არაგვის ერისთავი, ხოლო უშუალო ბრძოლებს მისი ვაჟი ზურაბი". შემდგომ "სპარსელთა გულისწყრომა ოდნავ მაინც, რომ დაეცხროთ და ქვეყნისათვის თავიდან აეცილებინათ ირანის შაჰის მთელი ძალით შემოსევა, აჯანყების ხელმძღვანელები - ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები, თავიანთი ნებით გამოცხადდნენ შაჰის კარზე და თავი გასწირეს სამშობლოს გადარჩენისა და მომავლისათვის" [10. 62-63]. არადა, ირანის სამეფო კარი ამ პერიოდში არ აპირებდა ქართლის დალაშქვრას, თუნდაც იმიტომ, რომ ქართლის ოფიციალური ხელისუფლება შაჰის უზენაესობას აღიარებდა. ბიძინა ჩოლოყაშვილი, ელიზბარ და შალვა ერისთავები იმიტომ ჩავიდნენ ირანის სამეფო კარზე, რომ მათთვის თავიანთი "უდანაშაულობა" – კახეთის განთავისუფლებაში მონაწილეობის მიუღებლობა დაემტკიცებინათ. თანამედროვე სიტყვებით, რომ ვთქვათ კახეთიდან ლტოლვილებმა პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვეს ირანის სამეფოს ხელისუფალთაგან. მათ თავი გასწირეს არა "სამშობლოს გადარჩენისა და მომავლისათვის" არამედ ქრისტიანული რჯულისათვის. დასთმეს სიცოცხლე, მაგრამ არ დასთმეს ქრისტიანობა.

## §6. დასკვნის მაგიერ

ამდენად, თეიმურაზ I-ისა და რუსეთის გააქტიურების შემდგომ, ირანის სამეფო კარმაც გააქტიურა თავისი პოლიტიკა აღმოსავლეთ საქართველოს მიმართ. კახეთში ჩამოასახლა 80.000 თურქმენული ოჯახი, უზრუნველყო მათი უშიშროება სამხედრო ძალით და სამი ძლიერი ციხე-სიმა-



გრით და ფიქრობდა ამ პროცესის შემდგომში გაგრძელებას. მათი აზრით თურქმენთა დასახლება ისე უნდა მომხდარიყო, რომ ჩამოსახლებულებს შეესრულებინათ ერთგვარი სასაზღვრო ზოლის ფუნქცია ქართველებსა და ჩრდილოეთ კავკასიელებს შორის. ამით ირანის სამეფო კარს სურდა აღმოსავლეთ საქართველოს გადაქცევა განაპირა მხრიდან, ირანის შიდა პროვინციად. სხვათა შორის, იგივე გააკეთეს XVII ს-ის 20-იან წლებში, როცა კახეთის მოსახლეობა ირანში ისეთ ადგილებში ჩაასახლეს, საიდანაც ხდებოდა სპარსული მოსახლეობისადმი მტრულად განწყობილი ტომების თავდასხმები [29.3-4].

საქართველოს სამეფო კარს კარგად გაუაზრებია მოსალოდნელი საშიშროება და შესაბამისი ზომებიც მიუღია. კახეთის გაწმენდა თურქმენული ტომებისაგან ისე განახორციელა, რომ ირანის სამეფო კარმა, მიუხედავად მრავალრიცხოვანი აგენტურისა, წინასწარ ვერაფერი შეიტყო.

1660 წლის მარტის დასაწყისში, ვახტანგ V-მ იმერეთის სამეფო კარზე მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის მისაღებად შეკრიბა ქართლის სამეფო ჯარი. ამ ჯარის შემადგენლობაში არ არიან სეპარატისტი ფეოდალები - ზაალ არაგვის ერისთავი და ელიზბარ ქსნის ერისთავი, შესაბამისი - არაგველთა და ქსნელთა სამხედრო ნაწილებითურთ. დანარჩენი ქართლის ჯარი ბანაკდება შიდა ქართლში ფცასთან დასავლეთ საქართველოში გადასასვლელის სიახლოვეს. თვითონ კი შედარებით სანდო მხედრებით მონაწილეობას ღებულობს იმერეთის მეფის ალექსანდრეს დაკრძალვის, შემდგომ კი, მისი შვილის ბაგრატის გამეფება-დაქორწინების ცერემონიალში, რითაც თავის თავს უქმნის მყარ ალიბს. ქართლის ჯარი ვახტანგ V-ს ფაქტობრივად ორ ნაწილად ჰყავს გაყოფილი. ამათგან ერთი - შედარებით ნაკლებად სანდო, ფცასთან არის დაბანაკებული, მეორე ნაწილი - უფრო ერთგული მეომრებით კი იმყოფება მასთან. იმერეთის სამეფო კარზე ყოფნის პერიოდში ვახტანგი მუდმივ კავშირშია ფცასთან დაბანაკებულ

ჯარის ნაწილთან. თუ გავითვალისწინებთ მანძილს ფცადან ბახტრიონ ალავერდამდე (300 კმ. ფარგლებში), უნდა ვიფიქროთ, რომ ვახტანგ V ჯარის სანდო ნაწილთან ერთად ამ მანძილის შეუმჩნევლად დაფარვას 5-6 ღამეს მაინც მოანდომებდა; და ერთ ბნელ, უმთვარო ღამეს (ასეთი ღამეები ახალი მთვარის გამოჩენისას იცის), სამეფო ჯარის სანდო ნაწილით (შეიძლება ვახტანგს გადმოყვანილი ჰყავდა დაქირავებული ჯარიც), თავს ესხმის კახეთში ჩამოსახლებულ ელთა ტომს. ციხესიმაგრეების ბახტრიონის და ალავერდის აღების შემდეგ, კახეთის გარკვეულ ნაწილს წმენდს თურქმენული მოდგმის ტომებისაგან. შიშსა და პანიკას თესავს მათ შორის, ხელს არ ახლებს აღაჯყალში მდგომ მურთაზ-ყული-ხანის დაქვემდებარებაში მყოფ თურქმენებს და გამთენიისას უჩინარდება.

თურქმენული მოდგმის ტომთა განადგურების შემდეგ საჭირო იყო საერთაშორისო კლასის დონეზე იმ მტკიცებულებების გავრცელება-შეკრება, რომ ელთა ტომის გაწყვეტა მოახდინა ზაალ არაგვის ერისთავმა და მისმა თანამოაზრეებმა: ბიძინა ჩოლოყაშვილმა, ელიზბარ და შალვა ქსნის ერისთავებმა.

განსაკუთრებული სიფრთხილე იყო საჭირო ზაალ არაგვის ერისთავთან მიმართებაში, რადგან ზაალს ბევრი მომხრე ჰყავდა ირანის სამეფო კარზე. მაგრამ მას შემდეგ, რაც ფიქსირდება ზაალის რუსული ორიენტაცია - თეიმურაზ I-სა და მის შვილიშვილთან ურთიერთობისას, ვახტანგი აკვლევინებს ზაალ არაგვის ერისთავს 1660 წლის მაისში. შედარებით ნაკლები პოლიტიკური წონა ჰქონდათ ირანის სამეფო კარზე ელიზბარ და შალვა ერისთავებს, რომლებიც კახეთში ბიძინა ჩოლოყაშვილთან აფარებდნენ თავს. პოლიტიკური ზეწოლისაგან თავის დახსნისა და თავიანთი უდანაშაულობის დამტკიცების მიზნით, რათა დაიბრუნონ სახელისუფლო ძალაუფლება, ისინი ჩადიან ირანში; აქ მათ სთავაზობენ ქრისტიანული რჯულის უარყოფას და მაჰმადიანობის მიღებას. ლტოლვილნი შემოთავაზებულ წინა-



დადებას არ თანხმდებიან და 1662 წლის 18 სექტემბერს (ახალი სტილით 1 ოქტომბერს) მათ წამებით ხოცავენ. შემდგომში ქრისტიანული ეკლესია ბიძინა ჩოლოყაშვილს, ელიზბარ და შალვა ქსნის ერისთავებს წმინდანებად შერაცხავს.

ფაქტობრივად, ვახტანგ V ანთავისუფლებს კახეთს და ანადგურებს ირანული ორიენტაციის ოპოზიციონერებს.

## §7. იასე ერისთავი
## (1658წ; 1658-1675 წწ.)

სეპარატისტთა დამარცხების შემდეგ ვახტანგ V-ის ძალაუფლება ვრცელდება ქართლზე, კახეთზე და დასავლეთ საქართველოს გარკვეულ ნაწილზე.

კახეთის განთავისუფლების შემდეგ, 1660 წლის მარტში, ქსნის ერისთავად ინიშნება იასე იასეს ძე. ახლად დანიშნული ერისთავის მამა ბოლოს 1637 წელს ჩამოაშორეს ქსნის საერისთავოს მართვის სადავეებს და ირანში ცხოვრობდა - 1642 წ. სავარაუდოა, რომ ოჯახის სხვა წევრებთან ერთად, იქვე იმყოფებოდა მისი შვილი იასეც და იქვე დარჩა მამის ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგაც.

1658 წელს, როცა ელიზბარი მცირე ხნით გადააყენეს თანამდებობიდან და ერისთავად დანიშნეს იასე, ფ.გორგიჯანიძე ასე გადმოგვცემს ამ ამბავს: "ქსნის ერისთავი იასე იასეს შვილი ისპაჰანით საქართველოში გაისტუმრა" (შაჰმა - ვ.ღ.). ამდენად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იასე ისპაჰანში იზრდებოდა და ირანული ორიენტაციისა იყო.

ირანის სამეფო კარის ინტერესებში არ შედიოდა საქართველოს და კერძოდ, ქართლის მეფის გაძლიერება, ამიტომ ირანიდან იქმნება შესაბამისი პირობები სეპარატიზმის გასაძლიერებლად, რასაც უპირისპირდება სამეფო ხელისუფლება: "ქართველი მეფე და კახთ ბატონიო თავიანთ დიდის ლაშქრითაო, საერისთაოს (არაგვის - ვ.ღ.) შეუხდნენო და

ერისთავის ძმა პაპო მოკლესო და საერისთაო დაარბივესო" [66. 274].

1675 წელს, როცა ვახტანგ V ირანის სამეფო კარზე დაიბარეს - "ბატონის შვილების გიორგისა და ლევანისათვის დაებარებინა: მე, რომ ყაენის წინაშე წავიდეო, თქვენ იასე ერისთავს მოუჭედითო და რაც ავი იყოს, ის უყავითო. იმათაც მამის ბრძანება გაათავეს, უწინ ყმანი გარდმობირეს, გაუორგულეს, დიდის ლაშქრით შესივნეს. წინიდან საქართველოს ლაშქარმა და უკანიდამენ თავისმან თოფი დააყარეს და ცოტა კაცით ველარ გაუძლო და ჯალაბები გაუშვა და ხუთის კაცით კახეთზედ ჩაიარა და ყაენის კარს ჩავიდა და სახლკარი აუკლეს და დედა და ცოლი და მჭლებლები დაუხოცვეს. შაჰნავაზ მეფე ყაზმინს ჩასულიყო. იქ მოახსენეს - ქსნის ერისთავს იასეს ჩაუვლიაო და ყაენთან წასულაო. თავად ავად იყო, მერე ეს ამბავი დიაღ ეწყინა. ყაზმინით ავადმოყოფი წავიდა... ხოშქარუს ქარვან სარაში მიაწიადა იქ მიიცვალა" [66. 275].

იასე ქსნის ერისთავის საერისთავოდან გამოძევებას და დათუნა შალვასძის თუშეთიდან მიყვანა-გაერისთავებას ვახუშტიც გადმოგვცემს [15. 456].

ამდენად, იასე ქსნის ერისთავად იყო 1658 წ. მცირე ხნით და 1660-1675 წწ.

ვახტანგ V-ის გზაში გარდაცვალებასთან დაკავშირებით არის ინფორმაცია - ჩუმად აცნობეს: შაჰს შენი სიკვდილით დასჯა უნდაო და ვახტანგმა თავი მოიწამლა [107. 149; 32.31].



# მეშვიდე თავი

## §1. იასე ერისთავის გაძევება

1675 წელს ირანის სამეფო კარზე დაბარებული ვახტანგ V წასვლის წინ ქართლის გამგებლად ნიშნავს მეორე შვილს – გიორგის (შემდგომში გიორგი XI) და აძლევს მითითებებს ქსნის ერისთავის იასეს დარბევისა და საერისთავოდან გაძევების შესახებ: „აუწყა, რათა განაძოს ერისთავი კსნისა იასე, რომელი იყო უკუმდგარი" [15. 456]. აღნიშნულ ფაქტს ფარსადან გორგიჯანიძეც გვიდასტურებს [66. 275]. თუმცა, დასახელებული ავტორები არაფერს გვეუბნებიან თუ რატომ იყო „უკუმდგარი" იასე ქსნის ერისთავი და რატომ არ ემორჩილებოდა მეფე ვახტანგ V-ეს, რომელიც ამავე დროს მისი დეიდაშვილი იყო (ვახტანგ V-ის დედა იყო გიორგი სააკაძის უფროსი ქალიშვილი; იასე ქსნის ერისთავის დედა – როდამი – კი მისი მეორე ქალიშვილი. ამდენად, მეფე ვახტანგ თეიმურაზის ძე და ერისთავი იასე იასეს ძე გიორგი სააკაძის შვილიშვილები იყვნენ).

მეფისა და ერისთავის დაპირისპირების შესახებ ჩვენ ხელთ არსებული წყაროები სდუმან, თუმცა შეიძლება ვივარაუდოთ შემდეგი: იასე ქსნის ერისთავი ირანში იყო გაზრდილი და ირანული პოლიტიკური ორიენტაციისა იყო. ამდენად, იგი ქსნის საერისთავოს და ქართლის მომავალს ირანთან მჭიდრო კავშირში ხედავდა, მაშინ როდესაც ვახტანგ V ქართლის დამოუკიდებლობის და საქართველოს გაერთიანება-გაძლიერების მებაირახტე იყო. ამდენად, დაპირისპირება ვახტანგ V და იასე ქსნის ერისთავს შორის პოლიტიკურ ნიადაგზე უნდა მომხდარიყო.

წყაროებში არც ის ჩანს, თუ რამდენ ხანს იყო იასე „უკუმდგარი", მაგრამ ერისთავის დაუმორჩილებლობა რომ საკმაო ხანს გაგრძელებულა, ეს იგრძნობა როგორც ვახუშტი ბატონიშვილთან, ისე ფ. გორგიჯანიძესთან. კერძოდ: ვახუშტის თანახმად, გიორგი უფლისწულს მამის –

ვახტანგ V ირანში წასვლამდე ჰყოლია ქართლის სამეფო კარზე თუშეთიდან მოყვანილი ქსნის ერისთავთა სახლის შვილი – დათუნა შალვას ძე; ალბათ, როგორც ქსნის საერისთავოს პერსპექტიული მმართველი.

ფ. გორგიჯანიძის მიხედვით, სანამ სამეფო ლაშქარი ქსნის საერისთავო კარს დაარბევდა და ერისთავ იასეს გააძევებდა, მანამ ქართლის სამეფო კარს გარკვეული სამუშაოები ჩაუტარებია: „უწინ ყმანი გადმოიბირეს, გაუორგულეს, დიდის ლაშქრით შეესივნენ. წინიდან საქართველოს (ქართლის – ვ. ღ.) ლაშქარმა და უკანიდამენ თავისმან თოფი დააყარეს...” [66. 275].

ამდენად, როგორც აღვნიშნე, იასე ქსნის ერისთავის დაუმორჩილებლობა საკმაო ხანს გაგრძელებულა – ოპოზიციაში მყოფი იასე ერისთავის შემცვლელი ადამიანის მოძებნა, სამეფო კარზე მოყვანა და სამეფო კარის მიერ ერისთავ იასეს ყმების გადმობირება, მათი მომზადება და შეიარაღება უშვილო ბატონზე თავდასასხმელად – ამას ადასტურებს.

იასე ქსნის ერისთავის დასარბევად გამოგზავნილ ლაშქარს ლევან ბატონიშვილი სარდლობდა. მემატიანე არაფერს გვეუბნება თუ სად მიმდინარეობდა ბრძოლა, თუმცა წყაროთა კონტექსტიდან შთაბეჭდილება რჩება, რომ ბრძოლა ახალგორში უნდა მომხდარიყო – „სახლკარი აუკლეს და დედა და ცოლი და მხლებლები დაუძარცვეს” [66. 275]. ახალგორში, უკვე XVI-XVII საუკუნეთა მიჯნიდან იყო ქსნის ერისთავების სასახლე. თუმცა იასე ერისთავს ამ პერიოდში სხვაგანაც ექნებოდა სახლი. ამდენად, მტკიცება – ახალგორის ერისთავების სასახლის დარბევისა – ძნელია.

ერისთავი იასე იასეს ძე, როგორც ჩანს, ძლიერი ხელისუფალი ყოფილა. სხვა შემთხვევაში ქართლის სამეფო კარს მის წინააღმდეგ – ყმების გადმობირება და დიდი ლაშქრის გაგზავნა არ დასჭირდებოდა. დამარცხებული იასე იასეს ძეს დედა, ცოლი და სხვა ახლობლები თან არ



წაუყვანია, მხოლოდ ხუთი მხლებლით გაემგზავრა ირანის სამეფო კარზე.

იასე ქსნის ერისთავად იყო 1658 წ. მცირე ხნით და 1660-1675 წლებში [227. 86].

## §2. დათუნა ერისთავი (1675-1696; 1700-1716 წწ.)

ქსნის საერისთავოდან იასეს გაძევების შემდეგ, ქართლის სამეფო კარმა, ქსნის ერისთავად დაამტკიცა დათუნა შალვას ძე – 1675 წელს „დასუეს დათუნა ერისთავად” [15. 456).

ირანის სამეფო კარმა დიდი ყოყმანის შემდეგ 1677 წელს ქართლის მეფედ დაამტკიცა გიორგი ვახტანგის ძე.

„გიორგი ქვეყნის მმართველობას ენერგიულად შეუდგა. არაფერს იშურებდა იმისათვის, რათა ქართლში ხელისუფლება განემტკიცებინა და სპარსეთის ბატონობისათვის ბოლო მოეღო” [196. 14]. არც სპარსეთის სამეფო კარი იყო მშვიდად. ქართლის მეფის, გიორგი XI-ის მოქმედება, ირანის სამეფო კარზე, ძალაუფლების გადამეტებად, ღალატად ფასდებოდა. შესაბამისად იგეგმებოდა ანტიქართული ღონისძიებები, რის შესახებაც პირდაპირ გვეუბნება ვახუშტი ბატონიშვილი: „ისმინა ყეენმან და წარმოავლინა სპასალარი აჯი ალიხან. და ესე მოვიდა თავრიზს ქ-სა ჩ“ქოთ, ქართულსა ტი ზ (1679 წ.), რათა გარდაბირნოს ქართველნი გიორგი მეფისაგან” (15. 458). იგივეს შემდეგნაირად მოგვითხრობს „ცხოვრება საქართველოჲსა” (პარიზის ქრონიკა): „ყაენი გურგი ხანს უწყრებოდა. ქართლის თავადები თავს არ უდებდნენ და ურჩობდნენ" [235. 121].

1684 წელს, როკოთის ბრძოლის შემდეგ იმერეთის მეფე ალექსანდრემ გამოგზავნა მაშვალი და ქართლის მეფე გიორგი XI-ს ასული მარიამი სთხოვა ცოლად: „ესე არა ინება მეფემან არჩილის გამო და მიზეზ-ჰყო დაწინდვა დავით

ერისთავისაგან” [15. 459]. აქ თუ დათუნა შალვას ძის და დავითის სახელების არევასთან არა გვაქვს საქმე, მაშინ გამოდის, რომ 1684 წლისათვის ქსნის საერისთავოს ერთად განაგებდნენ 1675 წელს ერისთავად დანიშნული დათუნა შალვას ძე და მისი ბიძაშვილი დავითი. ერთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ორი პირის მიერ ერთდროულად მართვის შესახებ ჩვენ ადრე უკვე აღვნიშნეთ [227. 41-42]. როგორც ჩანს, დათუნა პირველი პირი იყო, ხოლო დავითი მეორე. XVII ს. 90-იანი წლების ამბების გადმოცემისას სეხნია ჩხეიძე წერს: „არაგვის ერისთავი იყო გიორგი და ძმა მისი მდივანბეგი ბარძიმ” [234. 6].

1684 წელს, გიორგი XI-ის განცხადების თანახმად, მისი ასული მარიამი დანიშნული ყოფილა დავით ქსნის ერისთავზე. 1686 წლის მოვლენების შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი შემდეგს მოგვითხრობს: „მაშინ მისცა ასული თჳსი, მეფემან დათუნას კსნის ერისთავსა და უქმნა ქორწილი კოჟორსა ზედა, მგონებელმან მომტკიცებისა მისისამან” [15. 460]. ამდენად, 1684 წლისათვის მეფის ასული მარიამი დანიშნული ყოფილა დავით ქსნის ერისთავზე, 1686 წელს კი – მიათხოვეს დათუნა ქსნის ერისთავს.

აღნიშნული ფაქტის (ქორწილის) გადმოცემასთან ერთად, ვახუშტი ბატონიშვილი, თავის გულისტკივილსაც გადმოგვცემს – „მგონებელმა მომტკიცებისა მისისამან”. ამით კი ის გამოდის, რომ 1686 წლისათვის დათუნა ქსნის ერისთავი გარკვეულ წინააღმდეგობაში ყოფილა ქართლის მეფე გიორგი XI-სთან. გიორგი XI-ის პოლიტიკური მდგომარეობა საკმაოდ შესუსტებული იყო და ამ ქორწინებით მეფემ თავისი მდგომარეობის გამყარება სცადა.

აღნიშნული ქმედების მიუხედავად, გიორგი XI-ის ხელისუფლება ძალზედ დასუსტებული ყოფილა. ეს აშკარაა არაგვის საერისთავოს მაგალითზე. ფ. გორგიჯანიძის მიხედვით, ირანის სამეფო კარმა არაგვის საერისთავოში იასონი ისე დასვა ერისთავად, რომ გიორგი მეფეს არც კი ჰკითხა: „იასონ ერისთავი განჯის ხანითა და სხვა გზით იბეზღე-



ბოდნენ და ესეც მოეწერა ერისთავობა მიბოძოსო, გურგენ მეფეს (გიორგი XI – ვ. ღ.) წაგახდენინებო. განჯის ხანის საქმით ერისთავობა იასონს მისცეს და მეფეს არ შეეკითხნენ” [66. 278].

იასონ არაგვის ერისთავი, მიუხედავად იმისა, რომ მეფის სისხლით ნათესავი - მამიდაშვილი იყო, მისი თანამოაზრე არ ყოფილა. ირანის სამეფო კარის ანტიქართული პოლიტიკის შედეგად, ქართლში სახელისუფლო ძალაუფლების წყაროს მეფე აღარ განასახიერებდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქართლის სამეფო კარი რეალური ძალაუფლების გარეშე იყო დარჩენილი. გიორგი XI-ეს დედის ძმა, სარდალი თამაზ ორბელიანიც გადაუდგა. „ყაენს არზა მოსწერა: „განჯის ხანის თავსდასხმა და ნაპირის ხანების ამოწყვეტა და ყარაბაღის დარბევა მოინდომაო (გიორგი XI-ემ, ვ. ღ.) და ჩვენ ამისთვის წამოუვედით და  ჴელწიფის ორგულობაში არ გავერივენითო” [235. 122].

ქართლის სამეფო კარი გიორგი XI-ის ხელმძღვანელობით ურჩთა დასასჯელად გარკვეულ ღონისძიებებს ატარებდა. პარიზის ქრონიკის თანახმად, იასონ არაგვის ერისთავი თავის სახლისკაცებს მოაკვლევინეს [235. 122], მაგრამ ამ ქმედებას მეფის ხელისუფლების განმტკიცება არ მოჰყოლია. ირანის სამეფო კარისაგან წაქეზებულ ფეოდალთა დიდი ნაწილის თვითნებობა იქამდე მივიდა, რომ მეფეს ფაქტობრივად არ ემორჩილებოდნენ. გიორგი არაგვის ერისთავმა უარი განაცხადა გამოცხადებულიყო ქართლის სამეფო კარზე. გიორგი XI ჯარით არაგვის ხეობაში შევიდა და საბურდიანოში დადგა. არც ახლა ინება მეფესთან გამოცხადება არაგვის ერისთავმა. მეფემ ხმლით სცადა არაგვის ერისთავის მორჩილებაში მოყვანა. ბრძოლის წინ კი სიძეს, დათუნა ქსნის ერისთავს დაუბარა: „რათა მოვიდეს იგი გრემის ჴევიდამ ბრძოლასა ზედა. ხოლო იგი არა მოვიდა” [15. 462] და დაელოდა ბრძოლის შედეგს. „შევიდა მეფე და დადგა ბაზალეთს გამარჯვებული და მოსწუეს დუშეთი და გარემონ სპათა მეფისათა” [195. 462]. წყაროები

არაფერს გვეუბნებიან თუ რატომ არ მიიღო ბრძოლაში მონაწილეობა დათუნა ქსნის ერისთავმა, ან რა ინფორმაციას ფლობდა ისეთს, რამაც გადააწყვეტინა და დამარცხებული არაგვის ერისთავი მეფის რისხვას აარიდა და მშვიდობიანად გააპარა. ხოლო მეფე აიძულა სასწრაფოდ იქაურობას გასცლოდა. „ხოლო მან (დათუნა ქსნის ერისთავმა – ვ. ღ.) არა რა  ავნო, არცა ბრძო, არცა შეიპყრნა (არაგვის ერისთავი, გიორგი – ვ. ღ.), არამედ განუტევნა მშვიდობით და თჳთ დათუნა მოვიდა წინაშე მეფისა და მყისვე აიძულებდა უკუნქცევად” [15. 462]. თუმცა ვახუშტი აქ დათუნას ბრალს ნაკლებად ხედავს და აღნიშნავს, რომ ეს ყოველივე დავით ერისთავის ბოროტი განზრახვით მოხდაო [15. 462].

წყაროთა თანახმად, ირანის შაჰმა გიორგი XI არაგვზე ლაშქრობის შემდეგ გადააყენა ქართლის მეფობიდან, მის ნაცვლად კი დანიშნა ერეკლე დავითის ძე. შეიძლება ვიფიქროთ, რომ დათუნა და დავით ქსნის ერისთავებმა იცოდნენ ირანის შაჰის კარზე მიღებული გადაწყვეტილება და ზედმეტად სისხლის ღვრას მოერიდნენ.

მეფობის დაკარგვას გიორგი მშვიდად არ შეხვედრია. თ. ჟორდანიას ერთი ქრონიკის მიხედვით: „1688 წ. – ამ წელს მარიამობის თვეს გიორგი მეფე შეუხდა ერისთავს: დავით ერისთავმა გაიმარჯვა, გიორგი გადააააგდეს და ერეკლე მეფედ დასვეს” [167. 22].

არაგვის საერისთავოს დალაშქვრას მეფე გიორგის მიერ და მის მეფობიდან გადაყენებას ს. ჩხეიძე ასე გადმოგვცემს: „გასწყრა მეფე და შეიყარა ქართველნი და შეუხდა საერისთაოს, გარდაიარა მჭადის-ჯვარი, დავებჯინენია ტინსა, დაგვიწყეს სროლა შეგვექმნა ცემა და სროლა... გარდვიარეთ ტინი და დავდექით კანჭის ქედს: მოვიდა ერისათვი ქსნისა დავით დიდის ჯარითა, შევქენით წვა და დაგვა, ვიდექით სამსა დღესა: ისპაანიდამ ამბავი წყრომა ყაენისა, ძმებისა (გიორგი XI-ის – ვ. ღ.) შვილისა დაჭირვა, ბატონიშვილი ლევან და ბაგრატ გაეგზავნათ ერანს და ლუარ-



საბ ქირმანს, მიეცათ ქართლი მეფეს ერეკლესათვის, ბატონის თეიმურაზის შვილი შვილისა-თვის: რა ეს ამბავი მოვიდა, წაბრძანდა მეფე გიორგი კოჯორზე” [234. 5].

პარიზის ქრონიკა შემდეგს მოგვითხრობს: „ესე ანბავნი მოვიდა, იასონ ერისთავი თავის სახლიკაცს მოაკვლევინესო და გიორგი მეფე საერისთაოში შეუხდაო და გამოაქციესო. ეს კიდევ უფრო უწყინეს და ბატონიშვილს ერეკლეს ქართლის მეფობა მისცეს” [235. 122).

გიორგი XI-ეს დიდებულთაგან თითქმის ყველა განუდგა. „ამისი მსმენელი (მეფედ ერეკლეს დანიშვნის – ვ. ღ.) თამაზ სპასპეტი შემოვიდა ტფილისის ციხესა შინა და) უკუუდგინა ციხექალაქი მეფესა” (გიორგი XI – ვ. ღ.) [15. 463]. ს. ჩხეიძის მიხედვით, „ყაფლანი შვილი სარდალი თამაზ საბარათაშვილი უკუმდგარი იყო: რა ჰსცნა მეფის ერეკლეს მომავალობა, მოსლოდა ამბავი მეფისა-გან და ჯანიშინობა, შევიდა ციხესა ტფილისასა” [234. 5]. პარიზის ქრონიკის ავტორი კიდევ უფრო აზუსტებს: „ქართველნი (ქართლელნი – ვ. ღ.) სრულ მიუვიდნენ (ერეკლეს – ვ. ღ.) პატრიარქის მეტი” [235. 122].

მართალია თ. ჟორდანიას ზემოთ მოყვანილ ცნობას – „გიორგი მეფე შეუხდა ერისთავს, დავით ერისთავმა გაიმარჯვა, ...” სხვა წყაროები არ ადასტურებენ, მაგრამ არც უარყოფენ; არაპირდაპირი მონაცემებით ჩვენ ეს ამბავი რეალურად გვეჩვენება.

მეფობიდან გადაყენებული გიორგი XI ცხინვალზე გავლით რაჭაში გადადის.

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, მეფე ერეკლე „იყო ქართლისათა და წესთა საქართველოსათა უცნობელი და მეფობისა გამოუცდელი” [15. 464]. ამიტომაც მალევე მოხდა დაპირისპირება ქართლის მმართველ ელიტასა და ერეკლე I შორის. მიუხედავად ირანის სამეფო კარის მიერ ერეკლესადმი გამოჩენილი დიდი მხარდაჭერისა, მას ქართლის თავადთა დიდი ნაწილი მალევე გაუორგულდა და ორიენტაცია კვლავ გიორგი XI-ზე აიღეს. მეფე ერეკლე I „ამცირებ-

და ერთგულთა მეფის გიორგისათა და განდიდებდა კახთა,
... უმეტეს დაამდაბლა სპასპეტი თამაზ ... ამილახორი გივი
და დავით ერისთავი, აშოთან მუხრანის ბატონი. ხოლო
აღაზუავნა მცველნი ტფილისის ციხისანი ყიზილბაშნი, რა-
მეთუ ჰკლვიდენ და წარუხმიდენ კაცთა ცოლშვილთა, სხუ-
ათა ჰყიდდენ და სხუათა მაჰმადიან ჰყოფდნენ და ჯარისა
ამისათჳს გადაშენდებოდნენ ქართლის გლეხნი და აზნაურ-
ნიცა კახეთს, რამეთუ საწადელი იყო ერეკლესა აღშენება
კახეთისა” [15. 465-466]. როგორც ვხედავთ, ერეკლე I-ის შე-
რისხულთა სიაში არის დავით ერისთავი. იყო თუ არა ამ
სიაში დათუნა ქსნის ერისთავი, სამწუხაროდ, არ ჩანს.

ერეკლემ თავისი ქმედებებით კარგი ნიადაგი შეუქმნა
გიორგი XI-ს ქართლში დასაბრუნებლად. 1691 წელს გიორ-
გი ქართლში დაბრუნდა. გიორგი მეფე მოვიდა დუშეთს და
მუნიდამ თიანეთს რამეთუ მუნ იდგა გიორგი (არაგვის ერ-
ისთავი – ვ. ღ.) და ბარძიმ. მოეგებნენ ორნივე წინ, სიხარუ-
ლითა თაყვანისმცემელნი და ითხოვეს შენდობა” [15. 476],
ვახუშტი ბატონიშვილს ფ. გორგიჯანიძეც ეთანხმება [66.
291], ამასვე გადმოგვცემს ს. ჩხეიძეც [234. 6].

მალე ქართლში სიტუაცია კიდევ უფრო გართულდა. გი-
ორგი XI და ერეკლე I ერთმანეთს მეფობას ეცილებოდნენ
და ქართლს არბევდნენ, ერთმანეთის მომხრე ფეოდალებს
აწიოკებდნენ. 1691 წ. დაიწყო ძმათამკვლელი ომი, რომე-
ლიც 4 წელიწადს გაგრძელდა.

თუ ვის მხარეზე იყვნენ ქსნის ერისთავები ქართლზე მე-
ფობისათვის გამართულ ძმათამკვლელ ომში, წყაროების
სიმწირის გამო არ ჩანს. სავარაუდოა, რომ დათუნა ქსნის
ერისთავს გიორგი XI მალევე შეირიგებდა. 1696 წელს და-
თუნა ქსნის ერისთავი გიორგი XI-ის მომხრეთა რიგებშია,
თუმცა დათუნა ერისთავი აქტიურად არ იბრძვის გიორგი
XI გასამარჯვებლად. 1695 წელს „გიორგი მეფე დადგა
დიდგორსა ზედა. არამედ აქაც არა აუფლეს ბრძოლად გი-
ორგი მეფე, რამეთუ ვინაითგან შეუმართებელნი იყვნენ გი-
ორგი და დათუნა ერისთავნი მინდორსა ზედა” [15. 472].



ხოლო დავით ერისთავი, როგორც ჩანს, ერეკლე I-ის
მომხრე ყოფილა. 1688 წელს დავით ერისთავის განზრახ-
ვით არ მიიღო დათუნა ერისთავმა არაგველთა წინააღმდეგ
ბრძოლაში მონაწილეობა. იმავე 1688 წელს, გიორგი XI-მ
დავით ერისთავის დასჯა მოიწადინა და ჯარით შემოვიდა
ქსანზე; დავით ერისთავმა დაამარცხა გიორგი და ქართლი-
დან გააძევეს. ერეკლე I-მა გამეფებიდან სწრაფადვე „დაამ-
დაბლა” დავით ერისთავი, მაგრამ ეტყობა მალე შერიგდ-
ნენ.

გიორგი XI-სა და ერეკლე I-ს შორის ძმათამკვლელი
ომი, როგორც აღვნიშნეთ, 4 წელიწადს გრძელდებოდა. მას
შემდეგ, რაც ერეკლე I-ს ირანიდან მოუვიდა დამხმარე სამ-
ხედრო ძალა, მისი უპირატესობა აშკარად გამოიკვეთა. გი-
ორგი მეფის მომხრეებმა ბრძოლა ვეღარ შესძლეს, თვითონ
კი დასავლეთ საქართველოში გადავიდა. მეფის მომხრეთა
გარკვეული ნაწილი ქართლს გაეცალა, ნაწილმა კი მორჩი-
ლება გამოუცხადა. წყაროთა მონაცემებით არ ჩანს, დათუ-
ნა ერისთავმა რა მოიმოქმედა. ჩვენი ვარაუდით დათუნა
ერისთავი გიორგი მეფეს თან უნდა გაჰყოლოდა. ს. ჩხეიძის
მიხედვით, 1700 წლისთვის დათუნა იყო გიორგი XI-სთან
ირანში.

1696 წ. ერეკლე I-ს ქსნის საერისთავოს ხელისუფლად
მაღრან-დვალეთში გახიზნული დავით ერისთავი დაუბრუ-
ნებია: „დავით ერისთავი მოიყვანეს ყმათავე თჳსთა მაღ-
რან-დვალეთიდამ წინაშე ერეკლესა” [15. 474], რომელიც
შემდგომ სხვა ქართლელ დიდებულებთან ერთად გაიგზავ-
ნა ირანში შაჰის კარზე, სადაც ისინი დაატყვევეს და ქირ-
მანის ციხეში ჩასვეს. ამ ამბავს ს. ჩხეიძეც ადასტურებს:
„შემოირიგეს ერისთავი ქსნის დავით, მუხრანის ბატონი პა-
პუნა სარდალი თამაზ რა ესენი ხელში ჩაიყარეს სამნივე
ისპაანს გააგზავნეს... გაუწყრა ყაენი და ყველა ქირმანს
დაატყვევეს” [234. 8].

დასავლეთ საქართველოში გადასულ მომხრეებშემოფან-
ტულმა გიორგი XI-ემ ერევნის ხანის რჩევა მიიღო და მი-

სივე შუამდგომლობით, სათანადო გარანტიების მიღების შემდეგ, ირანში ჩავიდა.

ირანის სამეფო კარს, ქვეყანაში არსებული პოლიტიკური კრიზისის დასაძლევად სჭირდებოდა გიორგი XI, რის გამოც გიორგი ირანში კარგად მიიღეს. დაიწყო მისი სათანადო დამუშავება, რათა ჩამდგარიყო ირანის სახელმწიფოს სასარგებლო სამსახურში. გიორგისა და ირანის სამეფო კარს შორის გარკვეული შეთანხმებაც დაიდო. გიორგის შუამდგომლობით, ირანის სამეფო კარმა ტყვეობიდან გაანთავისუფლა დატყვევებული თავადები: „მოახსენა მეფემ გიორგიმ ხელმწიფესა: რათა უყოს წყალობა და დაიხსნას ქირმანიდამ ერისთავი დავით, მუხრანის ბატონი პაპუნა და სარდალი თამაზ: უყო წყალობა და გაგზავნეს ჩაფარი და მოვიდნენ ესენიცა" [234. 9-10]. გარკვეული პერიოდის შემდგომ, ირანში მყოფ ქართველ დიდებულებს მოსთხოვეს გამაჰმადიანება. ს.ჩხეიძის მიხედვით: „გაათათრეს არაგვის ერისთავი გიორგი, ერისთავი დავით, ციცი-შვილი ვახტანგ, ციცი-შვილი პაპუნა, აბაშა-შვილი დავით,"... [234. 10] და სხვანი. აღნიშნულ ფაქტს, ქართველთა გამაჰმადიანების შესახებ, ვახუშტი არც ადასტურებს და არც უარყოფს. ს.ჩხეიძის მიხედვით, გამაჰმადიანებულ ქართველთა გარკვეული ნაწილი ქართლში გამოგზავნეს, ნაწილი კი გიორგი მეფესთან დარჩა.

ქართლში დაბრუნებულთა შორის ჩანს დავით ერისთავი: „კუალად დასუა არაგჳს ერისთავად ბაინდურ, კსნისად დავით, ბიძაშვილი დათუნასი, ამილახორი იოთამ, ..." [15. 475]. ამდენად, დათუნა ქსნის ერისთავად მოჩანს 1675 წლიდან 1696 წლებში.

## §3. დავით ერისთავი (1696-1700 წწ.)

1696 წელს ერეკლე I-მა ქსნის ერისთავად დანიშნა დავითი. „კუალად დასუა არაგჳს ერისთავად ბაინდურ, ჴსნისად დავით, ბიძაშვილი დათუნასი, ..." [15. 475]. ერეკლე I ქართლზე ნაკლებად ზრუნავდა. მის გეგმებში ძირითადად კახეთის აშენება შედიოდა: „აღამაღლნა კახნი, ... მერმე გადვა ჴიდი ნაგებს-მტკვარსა ზედა და ეტყოდა შეჭირვებულთა ქართველთა გლეხთა: „განვედით, აჰა კახეთი მშვდობისა". და აღივსებოდა კახეთი ესრეთ" [15. 475]. კახეთში ქართლის მოსახლეობის ჩასახლებამ კახეთი კი ააშენა, მაგრამ ქართლი გაავერანა. ამ პერიოდში კახეთში გადასახლდა ქსნის საერისთავოს მოსახლეობის დიდი ნაწილი, რამაც შექმნა შემდგომში კარგი პირობები ოსთა ჩამოსახლებისა ქსნის საერისთავოში. ს. ჩხეიძის მიხედვით 1699 წლის ნოემბერში მოხდა გარკვეული შეთანხმება გიორგი XI-სა და ირანის შაჰს შორის. გიორგი დათანხმდა ჩამდგარიყო ირანის სახელმწიფოს სასიკეთო სამსახურში და მიიღო ქირმანის ბეგლარბეგობა [234. 10]. ამასვე მოგვითხრობს ვახუშტი [15. 476].

ქსნის საერისთავოში დავითის ერთპიროვნული მმართველობა დიდხანს არ გაგრძელდა. 1700 წლის შუა პერიოდში „მოკლეს ჴსნის ჴეველთა განზრახუთა დათუნა ერისთავის დედისათა დავით ერისთავი, შეუხვნდა ერეკლე მეფესა, განრისხნა და წარავლინა ზემო ქართლის დროშა, შეუვდენ ჴსანსა და მოარბივნეს და დაიპყრნა ერეკლე მეფემან მამულნი მისნი.

შემდგომად ეშინოდა შესმენა ყეენისა და ამისათჳს მოითხოვა დათუნა ერისთავი ყეენისაგან, მოიყვანა და მისცა ერისთაობა მასვე" [15. 476]. აქ ხელნაწერში აშიაზე მიწერილი ყოფილა: „ესე სიკუდილი ერისთვისა ესმა რა ყეენსა, მაშინ გიორგი მეფის გამო მისცა ერისთაობა ყეენმან ბეჟან რატიშვილსა და ესე მოვიდა ტფილისს ციხესა შინა, ეზრახნა ერეკლე მეფესა, რათა მისცეს. არამედ არა ინება, რამეთუ ერთგულ გიორგი მეფისა იყო ფრიად და უმეტეს ამისთვის მოითხოვა დათუნა ერისთავი, ხოლო ბეჟან წარვიდა ისპანსავე" [15. 476]. (შენიშვნა 1).

ამრიგად, როგორც აღინიშნა, დავით ერისთავი 1684 წლიდან 1690-იან წლებამდე ქსნის საერისთავოს განაგებდა დათუნა ერისთავთან ერთად (მეორე პირი), ხოლო 1696 წლიდან 1700 წლის შუა პერიოდამდე ის მარტო განაგებს საერისთავოს. მინაწერიდან ვიგებთ, რომ გიორგი XI უფრო მეტ პატივს სცემდა ბეჟან რატიშვილს (რატიშვილები ქსნის ერისთავის განაყარნი იყვნენ), ვიდრე სიძეს – დათუნა ერისთავს – „ქსნის ერისთავს ჩემი სახლიკაცები რომ გაჰყრიან, (ჟამური) მაშინ წილში გამოგვყოლია პაპა ჩემს პაპუნა რატიშვილს" [173. 44], წერს თავის ანდერძში ზურაბ რატიშვილი 1726 წელს). თავიდან გიორგი XI ბეჟანისთვის მიუცია რეკომენდაცია – ქსნის საერისთავოს ერისთავად დამტკიცებასთან დაკავშირებით. ირანის სამეფო კარიც დათანხმებია და ბეჟან რატიშვილი ირანიდან თბილისში ჩამოსულა, მაგრამ ერეკლე I წინააღმდეგი წასულა, რადგან ბეჟანი „ერთგულ გიორგი მეფისა იყო ფრიად". ერეკლე I-ის წინადადებით ქსნის საერისთავოს ერისთავად დაინიშნა დათუნა.

## §4. დათუნა ერისთავი

დათუნა 1700 წლის შუა ხანებში დაინიშნა ქსნის ერისთავად.

1703 წელს ირანში ახალი კრიზისი დაიწყო. შაჰმა წინადადება მისცა გიორგი XI-ს, თუ ამ პრობლემასაც მოუგვარებდა, ქართლის მეფობას და ირანის სპასალარობას მისცემდა. მალე შეთანხმებაც შედგა. ერეკლეს შაჰმა ჩამოართვა ქართლის მეფობა და ქართლის მეფედ კვლავ დაინიშნა გიორგი XI, მაგრამ იგი ფაქტობრივად ირანში რჩებოდა. გიორგის წინადადებით ქართლის გამგებლად დაინიშნა გიორგის ძმის, ლევანის შვილი – ვახტანგი (შემდგომში ვახტანგ VI).





დათუნა ქსნის ერისთავი, ქართლის სხვა დიდებულებთან ერთად გვერდში დაუდგა ვახტანგს ქართლის მართვა-გამგებლობაში: „მოწმეობითა და თანაზრახვითა მუხრანის ბატონის ერეკლეთა, არაგვის ერისთავის გიორგითა, ქსნის ერისთავის დავითისითა, ორბელაძე სარდლის ლაურსაბითა, ამილახორის ავთანდილითა, მდივანბეგის ერასტითა და სხუათა ყოველთა დარბაზის ერთა ჩვენთათა" [205. 478].

მათ შექმნეს ქართული სამართლის წიგნი; აკრძალეს ტყვეთა ყიდვა-გაყიდვა; დაიწყეს კახეთში გადასახლებულ ქართლელთა უკან ჩამოსახლება; შეზღუდეს ყიზილბაშ მოხელეთა თვითნებობანი; მთელი რიგი ღონისძიებებით გააუმჯობესეს სასოფლო-სამეურნეო ცხოვრება; მრავალ ურწყავ ადგილას გაიყვანეს სარწყავი არხი; ჩაატარეს ქართლის მოსახლეობის აღწერა; მოაწესრიგეს საგადასახადო სისტემა; დააარსეს პირველი სტამბა და დაიწყეს ქართული წიგნის ბეჭდვა; შექმნეს სახელმწიფო სამართლის კანონთა კრებული – დასტურლამალი (1707-1709 წწ.), სადაც დაფიქსირებულია ქსნის ერისთავის მამულიდან სახელმწიფო ხაზინაში გადასახდელი შემდეგი ოდენობის სახეები: „ქსნის ერისთავის ყმა – გამომღები და თარხანი ას ორმოცდარვა. ამისი თარხანი ორმოცდათორმეტი, გამომღები, ორმოცდათოთხმეტი ქათმით. სხვა გამოსაღები საბალახე თუ რაც რამ ფერი, როგორც ზემო ქართლსა სძეს, ისერე ამას.

საამილახვროს და საერისთავოს კოდისპურის გამომღების კომლის ჯუმალი ორას ოთხმოცდათექვსმეტი. ამისაგან ქალაქს უნდა ჩამოუტანონ საკომლო პური კოდი ას ორმოცდათერთმეტი. გორს უნდა მოიტანონ საკომლო ოთხმოცდახუთი. კიდევ გორს უნდა მოიტანონ გორის ზვრის სარი საკომლო სამოცი, საკომლოზედ სარი კონა.

ქსნისხეველთ აქვთ უფლება: როდესაც ბატონი სალაშქროდ წაბრძანდება – კვირაში ხარი – 1, ცხვარი – 2, მარილი ლიტრა – 10, ღვინო საპალნე – 2, ფქვილი – საპალნე – 2, ასრევე არაგვის ერისთავის კაცებს აქვს. აგრეთვე ავალიშვილის კაცებს, სადგერელებს აქვს" [203. 528-529].

სამეურნეო, სასამართლო, კულტურულ საქმიანობასთან ერთად, ვახტანგმა მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა სამხედრო-თავდაცვით სფეროში: „კუალად აღიმჴედრა სპითა შესვლად ოსეთს და შემოვიდა და შემუსრა პ (80 – ვ. ღ.) კოშკნი, მოწვა და მოსტყუევნა ურჩნი, ჩავლო ზრამაგა და შემოვლო უღელის ჴევი და გარდმოვლო კედელსა ზედა და მოვიდა კუდაროს და კუდაროდამ ქართლს გამარჯვებული ქ“სა ჩ“ღია, ქარ. ტ უთ. (1711 წ. – ვ. ღ.) დაიპყრა დუალეთი და დასვა ხარკნი” [15. 491].

დვალეთში წარმატებულ ლაშქრობას სეხნია ჩხეიძეც ადასტურებს: „შეიყარა ქართველთ ჯარი, გარდუხდა დვალეთს, გაემარჯვა, დასწვა და დააქცია ციხე ოცდაათი ძირითურთ, დაიმონა ზემო ნარიდამ ქვემო კუდარომდის, დასდვა ბეგარა და მსახურებდნენ” [234. 26].

წყაროები არაფერს გვეუბნებიან რა როლი შეასრულეს ამ წარმატებულ ლაშქრობაში ქსნისხეველებმა. ჩვენი ვარაუდით, მათ აქტიური მონაწილეობა უნდა მიეღოთ, რადგან შემდგომში მეფის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად, რომელიც ითვალისწინებდა ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებას, ქსნის და არაგვის საერისთავოთა ხელისუფალნი უკმაყოფილონი დარჩენილან. ვახუშტი მოგვითხრობს: „რაჟამს დაიპყრა ვახტანგ ოსეთი და განაწყო მცველნი თჳსნი, მიერით ეშინოდათ გიორგის და დათუნას ერისთავთა მამულთა მათთა დაპყრობისა. ამისათჳს მიუწერეს ყეენსა: „არა გვნებავს ვახტანგ, არამედ მოგვივლინე იასე” [15. 492-493].

შემდგომში პოლიტიკური მოვლენები ისე განვითარდა, რომ ვახტანგი გადააყენეს და ქართლის მეფედ დანიშნეს მისი გამაჰმადიანებული ძმა იასე (1714-1716 წწ.). ბუნებრივია, მეფე იასე ეცდებოდა მხარდამჭერებისათვის მეტი წყალობა და პატივი მიეგო. ასეც მოხდა - მეფე იასემ ქართლის სამეფოს სახლთუხუცესად დანიშნა დათუნა ქსნის ერისთავი. დასტურლამალის მიხედვით ქართლის სახლთუხუცესი ყველაზე დიდი მოხელეა [203. 223]. ამდენად, ადგილობრივი მმართველობის დიდი მოხელე, ერისთავი ითავსებს ცენტრალური ხელისუფლების უპირველესი მოხელის - სახლთუხუცესის თანამდებობას.



სახლთუხუცესის უფლება-მოვალეობანი კარგად აქვს შესწავლილი მკვლევარ მ. ქიქოძეს: „სახლთუხუცესის უპირველეს დაქვემდებარებულ მოხელედ მიჩნეულია ნაზირი, ... ნაზირებს უშუალოდ სახელმწიფო გადასახადების დროული აკრეფა ევალებოდათ” [219. 58]. ასევე სახლთუხუცესებს ექვემდებარებოდნენ: მოლარეთუხუცესები, მუშრობები, თავლიდრები, თუშმალი, ფარეშუხუცესი და სხვ. [219. 58-60]. ფაქტობრივად, დათუნა ქსნის ერისთავი, სახლთუხუცესის თანამდებობის შეთავსების შემდეგ, უდიდეს როლს ასრულებდა ქართლის მართვა-გამგებლობაში იასე მეფის დროს.

იასემ სახელმწიფოს წინაშე არსებულ პრობლემებს ვერ გაართვა თავი, ვერ წარმართა ღირსეულად ლეკთა შემოსევებისაგან თავდაცვითი ოპერაციები, რის გამოც 1716 წელს გადააყენეს და მეფობა აღუდგინეს ვახტანგს. მეფე ამის შემდეგაც კვლავ ირანში რჩებოდა, ქართლს კი მისი სახელით შვილი – ბაქარი განაგებდა. გამეფებისთანავე ვახტანგ VI-მ და ბაქარმა მოწინააღმდეგე თავადებს მკაცრად შეუტიეს. ვახუშტი ბატონიშვილი მოგვითხრობს: „ხოლო მიუღო რა ბაქარ სალთხუცობა დათუნას, კსნის ერისთავსა, და მისცა ედიშერს, ძესა ქაიხოსრო ლოპინასასა, მიზეზ-ჰყო ესე დათუნამ და უკუდგა. ამისთჳს წარავლინა ბაქარ ძმა თჳსი ვახუშტი მასზედა და მისლვასა მისსა მოკუდა დათუნა ერისთავი. ხოლო ძენი მისნი წარვიდნენ კახეთს და დაიპყრა მამული მისი ვახუშტიმ. არამედ შანშე, ძე დათუნასი წარვიდა წინაშე ყეენისა ყაზმინს და მეფე ვახტანგცა მიეწოდა ყეენს მუნ წინაშე თჳსსა. თავრიზიდამ შთასრული შანშე ითხოვა მეფემან ვახტანგ ყეენისაგან, მოსცა ყეენმან და პატიმრად წარმოუგზავნა ბაქარს, ძესა თჳსსა: ესე ბაქარცა პატიმარ-ჰყო ტფილისს” [15. 496-497].

ვახუშტის მონათხრობს, რომელიც ამ ამბების მომსწრე და მონაწილე იყო, ეთანხმება და თავისუბურად ავსებს ს. ჩხეიძე: „ყაზმინს ჩამოვიდა ქსნის ერისთავის შვილი შანშე ყაენთანა, ვითარცა მეფეს ბაქარს შემოსწყრომოდა, ცოტა რამ სამდურავი გამორეოდათ, იწყინა მეფემ ვახტანგ და მოახსენა ყაენსა, გაუწყრნენ და მოსცეს, ვითარც ბიძაშვილი იყო შანშე და უპატიური არა უყო-რა, გამოიტანა მოლარეთ – ხუცესი სეხნის – შვილი, გამოგზავნა ქართლში. რა მიიყვანა. ქალაქსა დააყენეს ერთს სახლში და შეინახეს მცველთა, რათა არა სადა წასული ჰყოს" [234. 31].

ამდენად, დათუნა ერისთავი 1686 წ. დაქორწინდა გიორგი XI-ის შვილზე – მარიამზე და მართავდა ქსნის საერისთავოს 1675-1696 და 1700-1716 წლებში.



# მერვე თავი

## §1. დევნილი შანშე (1720-1741; 1747-1753 წწ.)

1716 წელს ირანის ხელისუფლებამ ქართლის მეფედ დანიშნა ვახტანგ VI, მაგრამ ისევ იქვე, ირანში დატოვა. ვახტანგმა ქართლის გამგებლობა ბაქარს დაავალა. ბაქარმა მამის დავალებით დაიწყო არასასურველ ფეოდალთა დევნა. დათუნა ქსნის ერისთავი, რომელიც იასე მეფის მიერ სახლთუხუცესად იყო დანიშნული, თანამდებობიდან გადააყენა. ნაწყენმა დათუნამ დაუმორჩილებლობა გამოუცხადა ბაქარს და ბრძოლისათვის მზადება დაიწყო. ცენტრალური ხელისუფლება ვახუშტი ბატონიშვილის ხელმძღვანელობით, ურჩი ფეოდალის მორჩილებაში მოსაყვანად ჯარით შემოდის ქსანზე. ბრძოლის დაწყებამდე დათუნა ერისთავი უეცრად გარდაიცვალა. ვახუშტი უბრძოლველად იმორჩილებს ქსნის საერისთავოს. დათუნას შვილები: შანშე - შემდგომში ერისთავი, იასე - შემდგომში კახეთის მეფის ყულარაღასი, რომანოზი - შემდგომში სამთავისის ეპისკოპოსი [108. 430], ქრისტეფორე - შემდგომში იკორთის არქიმანდრიტი და რევაზი [167. 29]* ქართლს გაერიდნენ. შანშე თავისი უფლებების დასაცავად შაჰის კარზე მიდის ირანში (როგორც ჩანს, შანშეს იქ გავლენიანი მხარდამჭერები ჰყავდა და მათი იმედიც ჰქონდა), დანარჩენები თავს კახეთს აფარებენ. საერთოდ ქსნისა და არაგვის ერისთავები, ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი გზა-ბილიკების ფლობა-კონტროლიდან გამომდინარე, განსაკუთრებული

* ერთ დოკუმენტში შანშეს ძმად მოჩანს ასევე ზურაბი. "შანშე და ყულარაღასი და მისი ძმა ზურაბ" [209.558]. პირთა ანოტირებული ლექსიკონის მიხედვით – "ერისთავის შვილი შანშე - (ქსნის ), ჰყავს: მამა ერისთავი დავით, დედა ბატონიშვილი მარიამ, ძმები: იასე, რევაზ, შვილი იოვანე, ძმისწულები: დავით, გიორგი, ედიშერ, იასე, ზურაბ" [161ა. 154].

სტატუსით – გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდნენ ირანის სამეფო კარზე; "არაგვის ხეობასთან ერთად, ქსნის ხეობით ხორციელდებოდა ურთიერთობა კავკასიონის ქედსიქითა მხარესთან,... ჯვრის გადასასვლელიდან მომავალი გზა გაივლიდა რა მლეთა ლომისას, მიჰყვებოდა ქსნის ხეობის მარცხენა სანაპიროს, დაივაკებდა და ქსოვრისთან უერთდებოდა შიდა ქართლის გამჭოლ მაგისტრალს" [26.18]. ლომისის გადმოსასვლელთან ერთად ფუნქციონირებდნენ ჟამურის და საფეშეთის (ალეურას ხეობა) გადმოსასვლელები.

ირანის შაჰის კარზე ვახტანგის განაწყენება არ სურთ და მომჩივან შანშეს გარკვეული პირობებით მეფის დაქვემდებარებაში ტოვებენ. ვახტანგ VI შანშეს მკაცრად არ ექცევა. მემატიანის თანახმად, ნათესაობის პრინციპიდან გამომდინარე – შანშეს დედა მარიამი, იყო ვახტანგის ბიძის, გიორგი XI-ის ქალიშვილი (დათუნა ქსნის ერისთავის და მარიამ ბაგრატიონის ქორწინება შედგა 1686 წელს).

შანშეს ირანიდან აგზავნიან თბილისში, სადაც პატიმრობაში ჰყავთ ცალკე შენობაში. ამ ამბავს ვახუშტი შემდეგნაირად გადმოგვცემს: "მიუღო რა ბაქარ სახლთუხუცესობა დათუნას ჴსნის ერისთავსა და მისცა ედიშერს, ძესა ქაიხოსრო ლოპინასასა, მიზეზ-ჰყო ესე დათუნამ და უკუდგა. ამისთვის წარავლინა ბაქარ ძმა თჳისი ვახუშტი მასზედა და მისლვასა მისსა მოკუდა დათუნა ერისთავი. ხოლო ძენი მისნი წარვიდნენ კახეთს, და დაიპყრა მამული მისი ვახუშტიმ. არამედ შანშე, ძე დათუნასი წარვიდა წინაშე ყეენისა ყაზმინს და მეფე ვახტანგცა მიეწოდა ყეენისა მუნ წინაშე თჳსსა. თავრიზიდამ შთასრული შანშე ითხოვა მეფემან ვახტანგ ყეენისაგან, მოსცა ყეენმან და პატიმრათ წარმოუგზავნა ბაქარს, ძესა თჳსსა: ესე ბაქარცა პატიმარჰყო ტფილისს" [15. 496-497]. იგივე ამბავს ს.ჩხეიძე შემდეგნაირად გადმოგვცემს: "ამავ ყაზმინს ჩამოვიდა ქსნის ერისთავის შვილი შანშე ყაენ-თანა, ვითაცა მეფეს ბაქარს შემოსწყრომოდა, ცოტა რამ სამდურავი გამორეოდათ, იწყინა



მეფემ ვახტანგ და მოახსენა ყაენს, გაუწყრენ და მოსცეს, ვითაც ბიძაშვილი იყო შანშე და უპატიური არა უყო-რა, გამოატანა მოლარეთ-ხუცესი სეხნის შვილი, გამოგზავნა ქართლში. რა მიიყვანა, ქალაქსა დააყენეს ერთს სახლში. და შეინახეს მცველთა, რათა არა სადა წასული ჰყოს [234. 31]. აღწერილს ვახუშტი 1716 წლის ქვეშ სწერს, ს.ჩხეიძე კი 1718 წლის ამბებთან ერთად. გამომდინარე ზემომოტანილ წყაროთა ამონარიდიდან, ვფიქრობ, ვახუშტი არ ცდება, როცა დათუნას დაუმორჩილებლობას და ქსნის დალაშქვრას 1716 წლით ათარიღებს, თავისთავად ს.ჩხეიძეც მართალია, როცა შანშეს დაპატიმრებას და თბილისში გამოგზავნას 1718 წლით ათარიღებს.

1719 წელს ვახტანგ VI-ს შაჰის კარზე აძლევენ დავალებას ქართლში ლეკთა თარეშის აღკვეთასთან დაკავშირებით და გზავნიან სამშობლოში - ს.ჩხეიძის მიხედვით, ლორეს საზღვართან მეფეს ელოდება ქართლის გამგებელი, შვილი - ბაქარი და ქართლის პოლიტიკური ელიტა, რომელთა შორის დასახელებულია – "ქსნის ერისთავი" [234.31]. თუმცა, ქსნის რომელ ერისთავზეა ლაპარაკი, ვინ ასრულებდა ამ პერიოდში ქსნის ერისთავის მოვალეობას, წყაროში არ ჩანს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ დროს შანშე პატიმრობაშია.

თბილისში დაბრუნებული ვახტანგი მკაცრად სჯის მოწინააღმდეგე ფეოდალებს - "შეიპყრა ძე ქამარ-ბეგისა სომხითის მელიქი და დახურიტა თოფით, კუალად ბაგრატ ციციშვილი, ფეშანგი ფალავანდიშვილი, ჯამასპი ხერხეულიძე, რევაზისშვილი პაპუნა, ვეშაპიძე და პლატონ, ესენი იჴსნა კათალიკოზმან სიკუდილისაგან და განყიდეს ოსეთს თხებთა ზედა" [15.497]. ამ პერიოდში სამეფო კარს პატიმრად მყოფ შანშეს დასჯა არ უცდია.

1720 წელს ქართლის მეფე და კახეთის ხელისუფალი, ირანის სამეფო კარის დავალებიდან გამომდინარე, ლეკთა წინააღმდეგ ერთობლივი ლაშქრობის მოწყობაზე თანხმდებიან. ვახტანგ VI-ის დავალებით, საბარათიანოს ლაშქარი

ერასტი ყაფლანიშვილის ხელმძღვანელობით კახეთში გადადის, მაგრამ რეალური სამხედრო მოქმედებები სხვადასხვა მიზეზების გამო არ ხორციელდება და ქართლელები ისევ უკან ბრუნდებიან. ამ დროისათვის თბილისში მყოფი შანშე ახერხებს პატიმრობიდან გაქცევას: "შემდგომად განივლტო შანშე და უკუდგა მამულსა თჳსსა" [15. 498]. ამდენად, შანშე პატიმრობაში იმყოფებოდა 1718 წლიდან 1720 წლის შუა პერიოდამდე.

ლტოლვილი შანშე ამოდის ქსნის საერისთავოში და იწყებს თავდაცვითი ღონისძიებების გატარებას. ხელისუფლება დროს არ კარგავს და იწყებს აქტიურ მოქმედებას; ქსნის საერისთავოში სამეფო ჯარი ორ ნაწილად შემოდის: ერთი – ბაქარის ხელმძღვანელობით ქსნის ხეობაში და მეორე – ვახუშტის მეთაურობით ლიახვის აყოლებით. შანშე გარკვეული წინააღმდეგობის შემდეგ მარცხდება და იძულებულია დაიხიოს უკან, უფრო ზევით - ჭურთის ხეობაში. თუ სად უნდა დაბანაკებულიყო იქ ასვლის შემდეგ შანშე ერისთავი, წყაროები სდუმან.

ამ ამბების თანამონაწილე ვახუშტი ბატონიშვილი წერს: "სამჴრით ჟამურისა არის მთა, განმყოფელი ჭურთისა და ჟამურისა, თხემთა უტყეო, კალთათა ტყიანი და ნადირიანი. ამ მთის სამჴრით არს ჭურთის-ჴევი, რომლისა წყალი გასდის ამავ მთასა, და სად ერთვის ამ წყალს ცხრაწყაროს-წყალი, მუნ, ამ ორთა წყალთა შუა, არს ციხე წინკიბე, ფრიად მაგარი. ამ ორთა ჴევთა უწოდებენ ჭურთას"- [15.360]. ამდენად, ჭურთის ხეობაში ყოფილა "ციხე წინკიბე, ფრიად მაგარი", სადაც, ჩვენი აზრით იქნებოდნენ შანშე ერისთავის შეიარაღებული ძალები თავმოყრილი.

წინკიბეს ციხის ადგილმდებარეობას, განსხვავებით პ.ზაქარაიასგან, სწორად განსაზღვრავს მკვლევარი ბატონი ჯ.გვასალია [47. 32-33]. საერთოდ ჭურთის ხეობაში, ისევე როგორც მთელ ქსნის ხეობაში უხვადაა საფორტიფიკაციო და საეკლესიო ნაგებობები, რომლებიც ერთ მთლიან თავდაცვით სისტემას ქმნიან. სამეფო ლაშქარი ვერ ბედავს



არსებული ძალებით იერიშის მიტანას შანშეზე და მოკავშირეს ეძებს.

სავარაუდოა, რომ შანშეს გარკვეულ დახმარებას უწევენ ქართლში მყოფი ირანის სამხედრო ძალები. ვახტანგმა მალე შეძლო მოკავშირეების მონახვა - "მოუწოდა მეფემან იმერთა, მოვიდა რაჭის ერისთავი შოშიტა, აბაშიძენი სჳმონ და ლევან სპითა" [15. 498]. ბუნებრივია, რაჭის ერისთავის და აბაშიძეთა დაქვემდებარებაში მყოფი ჯარის შეკრებას და ქსნის ხეობაში მოყვანას გარკვეული დრო დასჭირდებოდა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ სვიმონ აბაშიძემ მოაკვლევინა იმერეთის მეფე: "ამან სჳმონ თხმელის ციხეს მყოფი მეფე ისტუმრა და ნადიმსა ზედა მოკლეს მსახურთა სჳმონისათა გიორგი მეფე (იმერეთის, ვ.ღ.) [15. 880]. 1720 წელს, რაზეც ვახტანგს "შეექმნა წყენა და გლოვა" [234. 32]. რადგან გიორგი იმერეთის მეფე ვახტანგის ახლობელი იყო. ამდენად, ვახტანგს შანშე ერისთავის მორჩილებაში მოყვანა ისე გაუძნელდა, რომ იძულებული გახდა თავის ახლობლის მკვლელი მოეწვია ჯარით იმერეთიდან. აქედან გამომდინარე ვვარაუდობთ, რომ შანშეს საკმაოდ ბევრი მხარდამჭერი ჰყავდა როგორც ქართლის თავადებში, ასევე ქართლში მყოფ ირანის სამხედრო ძალებში, რომელთაც არ სურდათ შანშეს დამარცხება.

იმერეთიდან სამხედრო რაზმების მოსვლის შემდეგ "შეუჴდა მეფე ჭურთას, იხილა რა ესე შანშემ, ჴრმალ-კისერ-კიდებული მოვიდა წინაშე ბაქარისა: ამან მოიყვანა მამისა თანა, უკუმოიქცა მეფე ტფილისს და განუსუენა იმერთა ნადირობა-ნადიმობითა, ანიჭნა დიდნი და განუტევა, და შანშეცა წარატანა მათ ჟამამდე" [15. 498].

შანშეს დამარცხებით კმაყოფილი მეფე ვახტანგი დიდი საჩუქრებით ხელდამშვენებულებს აგზავნის უკან რაჭის ერისთავს შოშიტას და სვიმონ და ლევან აბაშიძეებს. აქ არის ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი – სამეფო ხელისუფლების მიერ დიდი წვალებით ხელში ჩაგდებული გამდგარი რეგიონის სეპარატისტი ხელმძღვანელი შანშე, მეფემ

არც დასაჯა და არც შემოირიგა: "შანშეცა წარატანა მათ (იმერლებს - ვ.ღ.) ჟამამდე" [15. 498]. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შანშეს მფარველებმა და მხარდამჭერებმა მეფეს თავისუფალი მოქმედების საშუალება არ მისცეს. რადგან შოშიტა რაჭის ერისთავი და აბაშიძენი ოფიციალურად ოსმალეთის დაქვემდებარებაში იყვნენ, ვახტანგის მიერ შანშეს მათთვის გადაცემა გვაფიქრებინებს, რომ ირანის სამეფო კარი, შანშეს უწევდა მფარველობას და არ აძლევდა მეფე ვახტანგს რეგიონის ხელმძღვანელთან თავისუფალი მოქმედების საშუალებას. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, როგორ მკაცრად უსწორდებოდა მეფე ვახტანგი მოწინააღმდეგე დიდებულებს (დახვრეტა, დაბრმავება, გასახლება), შეიძლება ვიფიქროთ, რომ ვახტანგს ირანის სამეფო კარის წარმომადგენელი არ აძლევს შანშე ერისთავის დასჯის უფლებას და ცდილობს დასასჯელად გააყოლოს იმერელ თავადებს, მათ ვინც არ ემორჩილება ირანის შაჰის უზენაესობას.

შანშე ერისთავი ახერხებს იმერელ თავადთა ტყვეობიდან თავის დაღწევას - "კუალად განივლტო შანშე და განმაგრდა ჭურთას" [15. 498]. ალბათ ლოგიკური იქნებოდა, თუ გამდგარი რეგიონის ხელმძღვანელის დამორჩილებას, კვლავ სასწრაფოდ შეეცდებოდა ცენტრალური ხელისუფლება, მაგრამ ასე არ მოხდა. როგორც ჩანს, სამეფო კარს ამის უფლებას კვლავ არ აძლევდნენ.

სამართლის წიგნში ვახტანგი წერს: "თუ მეფეს მეფობა შეეძლოს - ქმნას: თუ არა, - სახელი და საუკუნო უნდოდეს, შეუძლებლად მეფობას უქონლობა სჯობს და ჰელის აღება.

თუ ერანის ჰელმწიფის ყეენით იყოს ერთი რამ საქმე, რომე უმისოდ ვერ იქმოდეს, და თუ იქნას, ის იწყენდეს, იმისი საქმე სხვა არის,... იმას არა გაეწყობა რა" [205. 480]. ამდენად, ჩვენი მოსაზრება, რომ შანშე ერისთავს ირანის შაჰის კარზე ჰყავდა ძლიერი მფარველი, რომელიც ვახტანგ მეფეს არ აძლევდა მისი დასჯის უფლებას, ლოგიკურია. თუმცა ამ ამბების თვითმხილველი და მონაწილე ვახუშტი ბატონიშვილი ცდილობს პირდაპირ თქმას თავი აარიდოს, მაგრამ ფაქტები თავისთავად ამაზე მეტყველებენ.

ამ პერიოდში კვლავ გააქტიურდნენ ლეკები. ქართველ ხელისუფალთა დასახმარებლად ირანის შაჰის კარი აგზავნის სამხედრო რაზმს - შირვანის (აზერბაიჯანის) ხანის ხელმძღვანელობით. როგორც ჩანს ლეკები ინფორმირებული არიან მათ წინააღმდეგ დაწყებული ოპერაციის შესახებ და ცდილობენ ქართველები და შირვანელები დაამარცხონ ცალ-ცალკე გაერთიანებამდე. ჭარელი ლეკები ესხმიან თავს აზერბაიჯანელებს და ამარცხებენ – "მოკლეს ხანი და მოსწყვდნეს სპანი მისნი" [15. 498].

მეფე ვახტანგ VI ჰკრებს ქართლის ლაშქარს, "მეფე სრულად შეკრებული სპითა ქართლისათა" [15. 498] მიდის ლეკთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ქართლში პოლიტიკური თვალსაზრისით იქმნება პარადოქსული ვითარება - ქართლის მეფე ვახტანგ VI-ს არ შეუძლია გამდგარი რეგიონის, ქსნის საერისთავოს ხელმძღვანელის შანშეს მორჩილებაში მოყვანა იმერეთის სამხედრო ძალის გარეშე, ხოლო ლეკთა წინააღმდეგ საბრძოლველად კი მიდის იმერელთა დახმარების გარეშე. ბუნებრივია, ლეკთა წინააღმდეგ მოწყობილ ამ ლაშქრობაში ქსნელები არ მონაწილეობენ. შანშე ერისთავი უკუმდგარია და ვახტანგ VI -ს დაუმორჩილებლობას უცხადებს. საგულისხმოა, რომ ქართლის სამეფო კარი, როცა გამდგარი რეგიონის ხელმძღვანელის მორჩილებაში მოყვანა უნდა, ვერ ახერხებს ("სრულად შეკრებილი სპითა ქართლისათა") სამეფოს ლაშქრის შეკრებას და იმერეთიდან გადმოჰყავს დამხმარე სამხედრო ძალა. ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ქართლის სამეფო კარის უფლებამოსილება უაღრესად შეზღუდულია.

ამდენად, ვახტანგ VI მიემართება ლეკთა წინააღმდეგ საბრძოლველად - "შეყარა სპა-ლაშქარი ურიცხვი" [234. 32]. ვახტანგის ურიცხვი ლაშქრით დამფრთხალი ლეკები

სრულ მორჩილებას უცხადებენ მეფეს და ირანის სამეფო კარს. ირანის სამეფო კარის გადაწყვეტილებით ვახტანგი წყვეტს ლეკთა წინააღმდეგ ლაშქრობას და ბრუნდება თბილისში. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება: "ვახტანგმა სპარსეთის დესპანის თანდასწრებით საჯაროდ დასდო ფიცი, რომ მას ამიერიდან ვერავითარი ძალა ვერ აიძულებდა შაჰის ბრძანებით სპარსეთის სახელმწიფოს დასახმარებლად რაიმე დავალება შეესრულებინა" [218. 36].

ვახუშტი ბატონიშვილის თანახმად, მომდევნო 1721 წლის "გაზაფხულს შემოიკრიბნა სპანი მეფემან, მივიდა და დადგა ზებაყურს. მხილველი შანშე კუალად ვედრებული და ჰრმალ-კისერ-კიდული მოვიდა წინაშე მეფისა, მფიცარი ერთგულებასა ზედა, შეუნდო მეფემანცა და მისცნა მამულნი მისნი სრულიად, მუნიდამ მოვიდა მეფე გორს" [15. 498]. ამ ფაქტთან დაკავშირებით სეხნია ჩხეიძე ახალ დეტალებს გვაწვდის: "ქალაქიდამ გაიპარა ერისთვის-შვილი შანშე და მოვიდა თვისსა მამულსა - იწყინა მეფემ ვახტანგ, გაილაშქრა, მიუხდა ახალ გორს, დასწვა სასახლე მისი და დაუხვდა ზება-ყურს და შემოეხვეწა და შემოირიგა, ჩამოიყვანა მცხეთას და შეფიცა ფიცითა საშინელითა და უბოძა ერისთაობა ქსნისა და საბოძვარი უშურველი და გაისტუმრა თუსსა საბატონოსა" [234. 33].

ვახუშტის თანახმად, შანშე ქსნის ერისთავი, შოშიტა რაჭის ერისთავს და აბაშიძეებს გააყოლა ვახტანგმა 1720 წელს და მათ გამოეპარათ, ს.ჩხეიძის მიხედვით კი "ქალაქიდამ გაიპარა". ვახუშტი, არაფერს გვეუბნება ახალგორის სასახლის გადაწვასთან დაკავშირებით, მაშინ როცა ს.ჩხეიძე ამბობს: "მიუხდა ახალგორს, დასწვა სასახლე მისი". ვახუშტის თანახმად, შანშეს გაპარვიდან მომდევნო გაზაფხულს დასაჯა მეფემ ერისთავი, ს.ჩხეიძის მიხედვით კი იმავე წელს. ვახუშტის ნაშრომის ამ ადგილის კითხვისას ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ შანშემ აქ ზებაყურის მთაზე დადო მეფის ერთგულების ფიცი, ს.ჩხეიძის მიხედვით



კი შანშემ მეფის ერთგულების ფიცი დადო მცხეთაში, ალბათ სვეტიცხოვლის ეკლესიაში. ვახუშტის თანახმად, მეფემ ნაპატიებ ერისთავს - "მისცნა მამულნი მისნი სრულიად", ს.ჩხეიძის მიხედვით კი "უბოძა ერისთაობა ქსნისა და საბოძვარი უშურველი".

წყაროთა მონაცემებში განსხვავებულ დეტალებთან ერთად გვაქვს მთლიანობაში თანხმობაც.

აღნიშნული მოვლენა შემდეგნაირად გვესახება:

1720 წლის გვიან შემოდგომით შანშე ქსნის ერისთავი მეორეჯერ ახერხებს ტყვეობიდან თავის დაღწევას და იწყებს ქსნის საერისთავოს გამაგრებას. შანშეს მფარველები, ირანის სამეფო კარიდან, ვახტანგს არ აძლევენ გამდგარი ერისთავის დასჯის უფლებას. ირანის სამეფო კარი ვახტანგს აძლევს ლეკთა წინააღმდეგ აქტიური საბრძოლო მოქმედების დაწყების ბრძანებას. ვახტანგი ჰკრებს ქართლის ჯარს და ემზადება საბრძოლველად. ვახტანგის დასახმარებლად მოემართება სამხედრო რაზმი შირვანის ხანის ხელმძღვანელობით. ლეკები ამის შესახებ ინფორმირებული არიან და გაერთიანებამდე ამარცხებენ შირვანელებს. მიუხედავად დამხმარე რაზმის დამარცხებისა, ვახტანგს შესწევს უნარი დაამარცხოს ლეკები, მაგრამ ახლა უკვე ირანის სამეფო კარი არ აძლევს ამის უფლებას და ბრუნდება უკან თბილისში. მომდევნო - 1721 წლის გაზაფხულზე, ვახტანგი კრებს ქართლის ჯარს, შემოდის ქსანზე; ერისთავი მაგრდება ზებაყურის მთაზე მდებარე ხადას ციხეში; სამეფო ჯარი წვავს ახალგორში ერისთავების სასახლეს და ადის ზებაყურის მთაზე. აქ შანშე უბრძოლველად, გარკვეული პირობით ბარდება ქართლის ცენტრალურ ხელისუფლებას. ვახტანგს ჩამოჰყავს შანშე ერისთავი მცხეთაში და აფიცებს ერთგულებაზე, შემდეგ ანთავისუფლებს და უმტკიცებს ერისთავობას.

თუ გავითვალისწინებთ ვახტანგის ქმედებებს, როგორ მკაცრად სჯიდა მოწინააღმდეგე ფეოდალებს ("ინებეს მუნ შფოთი, შეიპყრა მეფემან - ვახტანგ VI, ვ.ღ.) ზოგნი მოკლ-

ნა, ზოგნი სტანჯნა, სხუანი უმკვდრო ყვნა" [15. 499], შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შანშე ქსნის ერისთავის სამეფო კარის მიერ შემორიგება ირანის სამეფო კარის აქტიური ქმედების შედეგად უნდა მომხდარიყო. ასევე, ირანის სამეფო კარის ქმედებად მიგვაჩნია ვახტანგის მიერ ძმის, იასეს შემორიგება: "მობრძანდა მეფე თვისსა ქალაქსა და გამოიყვანა ძმა თვისი ტყვეობისაგან, მეფე იასე და უბოძა ბატონობა მუხრანისა, მდივან-ბეგობა და საქონელი თვისი სრულად" [234. 33]. ამ ამბავს ვახუშტიც გვიდასტურებს [15. 500].

რაც შეეხება ზებაყურის მთაზე არსებულ ციხესიმაგრეს, თვით ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით - "ზებაყურის მთის ძირს, არს ხადას ციხე, მაგარი" [15.359]. შემორჩენილი ნაშთის მიხედვით, ციხე ნაგებია ადგილობრივი ფლეთილი ქვით დუღაბზე. კედლები მასიურია, წაგრძელება სამხრეთ-ჩრდილოეთით. ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში კოშკია ოთხი სართულის დონეზე. კოშკს გააჩნია სათოფურები, აღმოსავლეთ მხარეს ორი სათავსია, რომლებიც ერთმანეთს უკავშირდებიან თაღოვანი გასასვლელით, თაღი ჩამონგრეულია. მთლიანობაში ციხე დაზიანებულია.

## §2. ძმათამკვლელი ომი

XVIII ს. 20-იან წლებში ირანში პოლიტიკური ვითარება უაღრესად გართულდა. დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ავღანები წარმატებას-წარმატებაზე აღწევენ. მათთან ბრძოლაში დაიღუპა ვახტანგ მეფის ძმა, სპარსეთის ყულარაღასი როსტომი. ირანის სამეფო კარმა ვახტანგს სთხოვა აჯანყებული ავღანების წინააღმდეგ ჯარით დახმარება. ირანის დასუსტებით დაინტერესებულმა რუსეთმა ვახტანგს, ირანის ტერიტორიების დასაპყრობად ერთიანი კოალიციის შედგენა შესთავაზა. რუსეთს ტოლი არც თურქეთმა დაუდო და მეფე ვახტანგ VI-ს მორჩილებისა და მისი



უზენაესობის აღიარებისაკენ მოუწოდა. ქართლის სამეფო ხელისუფლებამ მიმდინარე პოლიტიკური პროცესები სწორად ვერ შეაფასა. ნაჩქარევად მიიღო არასწორი პოლიტიკური გადაწყვეტილება ირანთან კავშირის გაწყვეტისა, რასაც საბოლოო ჯამში ვახტანგის მეფობიდან გადაყენება, ძმათამკვლელი ომი და საქართველოს გავერანება მოჰყვა შედეგად: კერძოდ, 1723 წლის 10 იანვარს ირანის სამეფო კარმა ვახტანგს ქართლის მეფობა ჩამოართვა და კახეთის მეფე კონსტანტინეს გადასცა [31. 306].

კონსტანტინემ სამხედრო ძალით სცადა ქართლის ხელში ჩაგდება, მაგრამ ბრძოლა წააგო, რის შემდეგაც შეუთანხმდა ლეკებს და მათი დიდი ჯარით კვლავ მიიტანა თბილისზე იერიში. ბრძოლა ქართველებს შორის ხელისუფლებისათვის საკმაოდ გაჭიანურდა.

"1723 წ. ყოველი სვეტიცხოვლის სამკაული ლარგვისს იყო გახიზნული, - გვირგვინი: ვ (3. ვ.დ.) ხატი მურასა და ბისონი ვ: (6.ვ.დ.) წიგნი მრავალი და გუჯარნი სრულიად, ყოველნი სამსახურებელნი დიდისა კათოლიკე ეკლესიისა" [175. 53]. უნდა ვივარაუდოთ, რომ სვეტიცხოვლის საგანძურის ქსნის საერისთავოში შემოტანა, შანშე ერისთავის თანხმობის შემდეგ მოხდებოდა. კონსტანტინემ 1723 წ. 4 მაისს აიღო თბილისი [72. 46]. ვახტანგი გორში გამაგრდა. ბაქარი კი გააგზავნა არაგვის ერისთავთან ჯარის შესაკრებად. გიორგი არაგვის ერისთავი იყო ბაქარის სიმამრი, მაგრამ გიორგიმ არ მოინდომა ბაქარისთვის დახმარება, არც ჯარი შეუკრიბა და არც გამოაყოლა [234.36]. პირიქით, გიორგი ერისთავი თბილისში ჩავიდა და კონსტანტინეს მორჩილება გამოუცხადა. გიორგის ქართლის სხვა დიდებულებმაც მიბაძეს, მათ შორის შანშე ქსნის ერისთავმა [15. 504].

ხელისუფლებისათვის დაწყებულ ძმათამკვლელ ომში თურქეთმა მოახერხა კონსტანტინეს დამარცხება და თბილისის დაპყრობა. ახალმა დამპყრობელმა აწარმოა მოლაპარაკება ვახტანგთან და სათანადო შეთანხმების შემდეგ

ქართლის მეფედ აღიარეს ბაქარი. თურქეთმა ვახტანგს და ბაქარს სამხედრო ძალა მოაშველა. ქართლში ახალი ძალით გაჩაღდა ძმათამკვლელი ომი. კონსტანტინემ ვერ შესძლო ძალების მობილიზება, შეცვალა პოლიტიკური ორიენტაცია და თურქეთის უზენაესობა აღიარა: "მიეგება და მიართვა კლიტენი ციხე-ქალაქისანი, რათა მისცეს ქართლი მას" [15. 504]. თურქეთმა კონსტანტინეს ქართლი არ დაუმტკიცა, პირიქით, ბაქარის ჩარევის შემდეგ კონსტანტინე დააპატიმრეს, ქართლი კი მისცეს ბაქარს. შემდეგ ბაქარის დახმარებით კონსტანტინემ მოახერხა ციხიდან გაპარვა და კახეთში გაბატონება.

ქართლის მეფე ბაქარმა თავისი სიმამრი - არაგვის ერისთავი გიორგი, კონსტანტინეს წინააღმდეგ ბრძოლაში დაუხმარებლობისათვის მკაცრად დასაჯა: "მოჰკვეთა თავი გიორგი ერისთავსა და წარმოვიდნენ ოსმალნი შემუსრვად და მოტყუევნად დუშეთისა" [15. 305]. გიორგი ერისთავის დასჯას ს.ჩხეიძეც გვიდასტურებს: "დაიჭირა მეფემ ბაქარ არაგვის ერისთავი გიორგი, სიმამრი თვისი და მოაგონა მიდგომა კარსა მისა და მოუხმარებლობა და გააგდებინა თავი" [234. 37].

შანშე ქსნის ერისთავმა მოახერხა ვახტანგ მეფესთან შერიგება. ამ დროისათვის შანშე იბრძვის ლეკების წინააღმდეგ ვახტანგის ძმასთან - სვიმონთან ერთად წილკნის ციხესთან. შემდგომ შანშე ჩანს წვრილმან, პირად ინტერესსაყოლილ პიროვნებად, რომელმაც პირადი დიდება საერთო გამარჯვებაზე წინ დააყენა: "არამედ შანშე მტერი იყო ოთარისა (არაგვის ერისთავი, ვ.ღ.), ვინაჲთგან სპანი ოთარისა უმეტესობდნენ, არა ენება შანშეს ბრძოლა, რამეთუ იქმნების გამარჯუებისა მიზეზი ოთარი და მივიდნენ რა, გამოვიდნენ ლეკნი შიოს უბნიდამ (სოფ. მუხრანშია, ვ.ღ.) ეკუეთნენ ამათ იმერნი და მოსწყვდნეს და აოტეს. ესე იხილა შანშემ, წამს უკუნიქცა და ივლტოდა, მოჰყვნენ ლეკნი და მოკლეს სჳმონ აბაშიძე და მოსწყვდნეს იმერნი, არამედ უმეტეს ქართველნი" [15. 506]. ცოტა ხანში ქართლის სამეფო კარს კვლავ ახალი სირთულეები შეექმნა. ბაქარი იძულებული გახდა თურქებისათვის დაუმორჩილებლობა გამოეცხადებინა. თურქებმა შესაბამის ზომებს მიმართეს. მალე ვახტანგს განუდგა ძმა იასე, "შეიქნა ოსმალის რჯულის და დაარქვეს მუსტაფა:" [234. 38]. ვახტანგს ქართლში აღარ დაედგომებოდა; 1724 წლის ივლისში შემოდის ქსანზე, ატარებს სოფელ ალევში თათბირს და მიემართება რუსეთისაკენ [72. 47]. მასთან ერთად მიემგზავრება ყველა ის დიდგვაროვანი, რომელიც თვლიდა რომ რუსეთი ვალდებული იყო მათთვის დახმარება გაეწია და რომელთა წინააღმდეგაც დაწყებული იყო რეპრესიები თურქთაგან. ვახტანგის 1200 კაციან ამალაში იყვნენ ქსნელები: მეჯინიბეთუხუცესი ზურაბ რატიშვილი, მისი მცირეწლოვანი შვილი დავითი და რვა მსახური [173. 44-45].



ამდენად, ხელისუფლებისათვის გამართულ ძმათამკვლელ ომში დამარცხებულმა ვახტანგ VI-ის მიმდევრებმა, პოლიტიკური თავშესაფარი რუსეთში მიიღეს.

1724 წლისთვის ქსნის საერისთავოში, გვერდის ძირში ჩამოსახლდნენ უთნელიშვილები [18. 56].

## §3. ანტითურქული აჯანყების ხელმძღვანელი შანშე ერისთავი

შანშე ერისთავი, რომელიც თურქთა აქტიური მოწინააღმდეგეა, მაინც ახერხებს მოჩვენებითი მორჩილებით ხელისუფლების შენარჩუნებას. თურქი ავტორი გურჯიზადე მოგვითხრობს: "თუმცა ქართლის ვილაიეთი გარეგნულად სრულ მორჩილებაში იყო, თითქოსდა საზრუნავი მოიცილესო, მაგრამ თბილისს დაქვემდებარებული ყარაკალკანისა (არაგვის საერისთავო - ვ.ღ.) და ქსნის ერისთავები, სადაც ცხოვრობდნენ იმ მთების მსგავსად, დათვის თანავარსკვლავედამდე წევდნენ მაღლა მეამბოხე თავებს, იყვნენ ურჩები და ფანატიკურად ქედუდრეკნი" [69. 31].

"შანშე ერისთავის მიერ ვახტანგ VI-თვის 1724 წლის 9 ნოემბერს გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: ... თქვენვე მოგეხსენება, რომ თქვენი ძმა ალი-ყულიხან საქართველოს არ მოასვენებს და არც დააყენებს, არც ჩვენ დაგვაყენებს, ამიტომ, რომ შენი და შენი შვილის ერთგულებას მწამობს: შენი ვინმე ამ ქვეყანას რომ იყოს, ეგება ღმერთმა შენც მოგიმართოს ჴელი და იმასაც, თორემ, თუ შენი შვილი ამ ქვეყანას არ არის, შენთვისაც დავიკარგებით და შენი შვილისთვისაც. ნუ გვიზამ, ბაქარ დააბრუნე. სულ ნუ დააგდებთ ამ ქვეყანას, არ გიჯობთ დამიჯერე. არც სამჯობინარი არის: თუ თქვენი შვილი ამ ქვეყანას არის, გინდა რუსეთსაც და სხვას ქვეყანასაც უფრო ძალიანობაც გამოგიჩნდება და უფრო დიდურადაც დაგიჭერენ. ამ ქვეყანასაც ეშველება შენის შვილის აქ ყოფნით. ამიტომ რომ მღთის ძალით ღონე მოსტყდა ამ თავლაფიანს ოსმალსა. თუ კახის ბატონისას ბრძანებ, მტერი არის, შენ ნუ მამიკვდები და ღმერთმან უწყის. ეს დამიჯერეთ, რომ უთუოთ როგორც ვახუშტი არის ბაქარისა, ისე პირით ეს არი. მაგრამ გულითაც იქნება ასეთი საქმე არის, ეს არ ენდობა ოსმალსა და ჩუენ, მაშ რასა იქს, რომ არ გაუერთდეს და ამათი გაერთება მე დამადევთ, თუ ერისთავისას ბრძანებ და მე და ის ხომ გავერთდით და შევრიგდით და შიშით ვერც წამოვა, თუნდა, რომ მოინდომოს, ვერც წავა. მამეც ეგ თქვენი შვილი, ამ სოფელსაც მე მთხოვე და იმ სოფელსაც. შენც გიჯობს მაგის აქ ყოფნა და ჩვენცა. ამ ზამთარს ხომ არ იქნება და გაზაფხულზე, თქვენც გაარიგებთ რასმე მღთით" [55. 319].

მოტანილი ამონარიდი მეტად მნიშვნელოვანია სხვადასხვა კუთხით: წერილის დაწერისას კონსტანტინე მეფე ახალგორშია თავშეფარებული და აქედან უგზავნის პეტრე დიდს ელჩს რუსეთში - "ლეკები მაწუხებენო" [175. 38]. შანშე კი ვახტანგს ატყობინებს - კონსტანტინე შენი მტერი არ არისო, "ეს დამიჯერეთ, რომ უთუოდ როგორც ვახუშტი არის ბაქარისა, ისე პირით ეს არი".



მიუხედავად კონსტანტინესადმი ასეთი პატივისცემისა, შანშე მაინც ცდილობს კონსტანტინე მეფემ დასტოვოს ახალგორი და ეპატიჟება ბაქარს: "ბაქარ დააბრუნე: სულ ნუ დააგდებთ ამ ქვეყანას".

შანშე ცდილობს ბაქარის ჩამოსვლამდე გარკვეული პირობების მომზადებას. "აქ ქსნის ხეველნი შანშეს ჩაგონებით უძვირებდნენ ყველაფერს და ავიწროებდნენ, კახეთი ლეკებს ეჭირათ, ამიტომ მამადყულიხანი გამოვიდა თიანეთში თეიმურაზით და ერთ წელს აქ იყვნენ დიდს იწროობაში" [175. 58]. ვახუშტი ახალ დეტალსაც ამატებს: "მაჰმადყულიხანს ირანის სამეფო კარიდან ჰქონდა მიღებული 14 ათას ოთხასი დრაჰკანი, რის დიდი ნაწილიც ქსნის ხეველებს დარჩენიათ" [15. 623].

გასათვალისწინებელია ისიც, რომ შანშეს ძმა იასე იყო კონსტანტინე მეფის ყულარაღასი, ანუ მეფის მცველთა რაზმის უფროსი, რომელსაც სამეფო კარზე დიდი უფლებამოვალეობანი ჰქონდა.

წერილიდან ჩანს, რომ მომავალ, 1725 წლისთვის შანშე ქსნის ერისთავი "თავლაფიან" ოსმალთა წინააღმდეგ აჯანყებისათვის ემზადება და ბაქარს ეპატიჟება აჯანყებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად. ბაქარის ჩამოყვანა არ ხერხედება და აჯანყებულთ ხელმძღვანელად მოჰყავთ თიანეთიდან კონსტანტინე. აჯანყებამ ფართო ხასიათი მიიღო: "შეკრბნენ ქართველნი, მოიყვანეს მაჰმადყულიხან კახით, თუშით, ფშაველ-ჴევსურითა და დადგნენ თედოწმინდას" [15. 508]. თურქებმა სასწრაფოდ მიიღეს საწინააღმდეგო ზომები: "ამის მცნობთა ოსმალთა წარმოიძღუანეს იასე საბარათიანოს სპითა და წარმოვიდნენ. ხოლო ქართველნი მიეგებნენ გუფთას, ეკვეთნენ და ივლტოდნენ ურუმნი. მოუჴდა იასე, მოაქცია ოსმალნი, ეკუეთა კუალად, მოსრნა და ივლტოდა გივი ამილახორი და წარმოიყვანა ამან მაჰმად-ყულიხან, მოყვნენ ოსმალნი, მოსწყვდნეს ესოდენ, რამეთუ თავნი ურმებითა წარიღო ერასტი ყაფლანისშვილმან ტფილისს რაჯაბ ფაშასა თანა რომელმან მოსცა ოცდაათი

დრაჰკანი ჯილდოდ. და დაიპყრეს ყოველი ქართლი" [15. 508].

როგორც ჩანს, აჯანყება თავიდან ქართლელთა უპირატესობით წარიმართა. შემდგომ ოსმალებს ქართველებისთვის ისევ ქართველნი დაუპირისპირებიათ და გამარჯვებისთვისაც მიუღწევიათ. ვახუშტი, ერასტი ყაფლანიშვილის მეტად დამამცირებელ ქმედებასაც აღწერს: "თავნი (აჯანყებული ქართველების, ვ.დ.) ურმებითა წარიღო ერასტი ყაფლანისშვილმა ტფილისს რაჯაბ ფაშასა თანა რომელმან მოსცა ოცდაათი დრაჰკანი". დრაჰკანი, ოქროს ფულს ერქვა. თვითეული დრაჰკანი ოთხ გრამს იწონიდა, ე.ი. 120 გრამ ოქროზე გაიყიდა ერასტი ყაფლანიშვილი, 120 გრამ ოქროს მისაღებად დააკვეთინა მოძმეთა თავები, დააწყობინა ურმებზე - არა ერთზე, არამედ რამოდენიმეზე და ჩაატანინა თბილისში, რათა მიეღო 30 დრაჰკანი და თავი მოეწონებინა დამპყრობლის წინაშე. ამავე დროს, ცბიერმა მტერმა დასცინა ერასტი ყაფლანიშვილს, ფულის 30 ერთეულის მიცემით. ამით ხაზი გაუსვა მოღალატეობის - იუდას მიერ ქრისტეს 30 ვერცხლად გაყიდვის ფაქტს.

შანშე ქსნის ერისთავი აქტიურად იყო ჩაბმული აჯანყებაში. ფაქტობრივად, როგორც ზემოთ მოტანილი წერილიდან ჩანს, აჯანყება შანშეს მომზადებული იყო. აჯანყებულები დაკავშირებული იყვნენ ირანის სამეფო კართან. აჯანყების დამარცხების შემდეგ "კონსტანტინე ჯერ ქსნის ერისთავს შანშეს შეეხიზნა, შემდეგ ფშავს გაიქცა" [31. 316].

გამარჯვებულმა თურქებმა 1725 წ. ქართლი აღწერეს. აღწერეს ქსნის საერისთავოც. ქართლში უაღრესად გართულდა მდგომარეობა, რადგან ოსმალებს ძველი გადასახადები არ გაუუქმებიათ და არსებულს ახალი დაამატეს. სასაქონლო წარმოებას აზრი დაეკარგა: საწარმოო ძალთა განვითარებას, საგადასახადო სისტემა ჩანასახშივე სპობდა. წინააღმდეგობის მცირეოდენი გაწევაც კი სასტიკად ისჯებოდა. "სტყუენვიდიან მამულსა შანშესასა ოსმალნი" [15. 508]. ამ პერიოდში ფართოდ ვრცელდება ტყვეთა ყიდვა-გაყიდვა. "1725 წელს ზაზა რატიშვილს ქსნის ერისთავისთვის ყმა მიუყიდია, რისი მიზეზიც "ოსმალობა", ანუ როგორც თვითონ ამბობდა -"თათრობა" ყოფილა: "თათრობა იყო, დაგვეჭირა და მოგყიდეთ" [79. 435]. ამდენად, ანტითურქული აჯანყების დამარცხების ძირითადი მიზეზი, ქართველთა არაორგანიზებულობა, ურთიერთმტრობა და რუსეთისაგან დაუხმარებლობა იყო.

### *მინაწერი ყანჩაეთის ჟამგულანზე*

1726 წელს ყანჩაეთის ჟამგულანზე ერეკლე მუხრან ბატონის შვილი მამუკა აკეთებს მინაწერს: "მუხრანის ბატონი, არაგვის ერისთავი, ქსნის ერისთავი, ამილახვარი, ესენიც ერთმანეთის მტერნი და ქიშპნი იყვნენ, არც ერთმანეთს ასვენებდნენ და არც ქვეყანასა: და ამით მტერმა უფრო ძალა წამოატანა და დაჩაგრა, თორემ თუ ამით ერთი პირი - ქონებოდათ, ვერც არას უზამდნენ, ვერც არას სხვა მტერი წაართმევდათ რასმე. ამათი საქმე ნიადაგ ასე ერთმანეთის მესისხლეობით გათავებულა და წამჴდარა, მაგრამ ამ საქმეს არც მოკლებიან და არც მოუშლიათ" [149. 44]. სამწუხაროდ, საქართველოს პოლიტიკურმა ელიტამ არ გაითვალისწინა ყანჩაეთის ჟამგულანზე გაკეთებული მინაწერი (ამის შესახებ ქვემოთ) და სავალალო შედეგმაც არ დააყოვნა.

### ქართლის ტერიტორიული მოწყობის რეფორმა

1727 წელს ქართლის მეფე იასე გარდაიცვალა, ოსმალებმა ქართლში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის რეფორმა ჩაატარეს; მეფობა გააუქმეს და ქართლის ცენტრალიზებული მართვა მოშალეს. ქართლი დიდ მთავრებს გაუნაწილეს. ქსნის საერისთავო კვლავ შანშე ერისთავის

დაქვემდებარებაში დარჩა [15. 510]. აღნიშნულიდან გამომდინარე ვფიქრობთ, შანშე ერისთავმა მიუხედავად იმისა, რომ თურქთა ბატონობის აქტიური მოწინააღმდეგე იყო, პოლიტიკური მოქნილობის წყალობით მოახერხა და ძალთა დაბალანსების შედეგად სახელისუფლო ძალაუფლება შეინარჩუნა.

ტერიტორიული მოწყობის რეფორმამ, მოქმედება ქართლში თურქთა ბატონობის გაუქმებასთან ერთად - 1735 წლის ბოლოს შეწყვიტა.

## §4. ახალი აჯანყება

1728 წელს ქართლში ახალი ანტითურქული აჯანყება დაიწყო. აჯანყების საბაბი გახდა, თბილისში თურქეთის დიდი მოხელის ისაყ ფაშას უპატივცემლო ქმედება ქართლის მთავრებთან. ანტითურქული აჯანყების დროშა თეიმურაზ მაჩაბელმა ააფრიალა. მაჩაბელს არაგვის ერისთავთან ერთად მხარი აუბა შანშე ქსნის ერისთავმა: "კუალად განდგა ჴსნის ერისთავი შანშე" [15. 510]. თურქებმა სასწრაფო ზომები მიიღეს: მოწინააღმდეგე თეიმურაზ არაგვის ერისთავი გადააყენეს და რევაზი დანიშნეს. მაგრამ მალე გაირკვა, რომ არც რევაზი იყო თურქების მოყვარე. თურქებმა ახალციხიდან სამხედრო ძალა ამოიყვანეს და ჯარის დახმარებით გააძევეს რევაზ არაგვის ერისთავი საერისთავოდან, არაგვის ერისთავად კი პაპუა  ზურაბის ძე დასვეს. შემდგომ ვანათის ციხეს შეუტიეს. მეციხოვნეებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს და ბევრი თურქიც ამოხოცეს, მაგრამ შეიარაღებული ძალების აშკარა სიმცირის გამო აჯანყებულები იძულებული გახდნენ ვანათის ციხეს ღამით გასცლოდნენ.

შანშემ დაინახა საშველი არსაიდან იყო, თურქეთი მას უეჭველ განადგურებას უქადდა და ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა - "იხილა შანშემ, მისცა ქრთამი ოსმალთა ზავ-ჰყო



მათ თანა" [15. 511]. ქრთამის აღების შემდეგ ოსმალები ქსნის საერისთავოს გაეცალნენ.

ამ ამბავს ს.ჩხეიძეც გადმოგვცემს: "შეუხდნენ ქსნის ერისთავს შანშეს, კახი ბატონი, ურუმთ ჯარი და ქართველნი, მრავალი სული დაატყვევეს, დასწვეს სოფლები, კლდე თუ კოშკი და მესერი, საცხენისი და ქვაბები, დააქციეს ციხე ვანათისა. ბოლოს შემოეხვეწა ერისთავი შანშე, და შეირიგეს, შეუხდენ სამაჩაბლოს..." [234. 41]. იგივე ამბავს ვახტანგ VI-სთან გაგზავნილ წერილში შანშე შემდეგნაირად გადმოგვცემს: "მაშინ, რომ თათრები და კახი ბატონი, ქართველნი, ლეკნი მომადგნენ, ჯერ ახალგორს მობრძანდა კახთბატონი და აქ ვერა გაარიგა. წაბრძანდა. მასუკან ლიახვზედ მომადგნენ. მღვთითდა თქვენის დოვლათით ვერცარა იქიდან გაარიგეს. დიდი ჯარი იყო, თორმეტი ათასი იყო თათარი, ლეკი, ქართველი და კახი... ნეტავი მოვეკალი და არ შევრიგებოდი, დამიწყეს ლაპარაკი შეგვირიგდი, ორმოცი ქისა გამომართვეს" [55. 320]. თურქებმა კახეთის მეფის და გივი ამილახორის ხელმძღვანელობით სამაჩაბლოს შეუტიეს. ცოტა ხანში "ოსმალთ დაიმორჩილეს ქართლი და განიყვეს დაბნები" [15. 511].

კახეთის მეფე კონსტანტინეს და გივი ამილახვარს არ გაუთვალისწინებიათ მამუკა მუხრან-ბატონის მიერ გაკეთებული მინაწერი ყანჩაეთის ჟამგულანზე - "თუ ამათ ერთი პირი ქონებოდათ, ვერც არას უზამდნენ, ვერც არას სხვა მტერი წაართმევდათ რასმე". აჯანყების ჩაქრობისთანავე, თურქებმა მოკავშირე კონსტანტინე მეფის დატყვევებაც განიზრახეს, მაგრამ კახეთის ბატონი დროულად გაეცალა თურქთა ბანაკს.

აჯანყების დამარცხებას სხვა უარყოფითი შედეგებიც მოჰყვა.

1731 წლის 12 სექტემბრის სასამართლო გადაწყვეტილებით, შანშე იძულებულია გივი ამილახორს დაუთმოს - "ვისაც ჩვენს ყმას თქვენის ყმისაგან მეჯუდის წყალზედ მამული ეყიდნა. ისევ ხელი ავაღებინეთ, თქვენ დაგანებეთ და

თქვენ ფასი შეუბრუნეთ". შანშე უბრუნებს სოფ.ორბოძალს, კარალეთში გარკვეულ მიწებს, უსანეთის მესამედს და სადეკანოზოს, წოლდაში ამილახვრიანთ ყოფილ მამულს, ქსანზე - ძვიმლეთს. "დღეის იქით ვინც ჩვენმა კაცმა ან ქსანზედ ან რეხულაზე ან მეჯუდაზე ან სხვას სამძღუარში თქვენი მამული იყიდოს მამულიც თქვენი იყოს და ფასიც დაეკარგოს.

თუ თქვენმა კაცმა იყიდოს ჩვენი მამული, იმანაც ხელი აიღოს და ფასიც დაეკარგოს. რომელიც ჩვენი ან ყმა ან მამული თქუენს სოფელში იყოს, ისევ ჩვენია, თუქუენ ხელი არ გაქუსთ". განჩინება გარკვეულ წონასწორობას იცავს მოდავე მხარეებს შორის: "დღეს და დღეის იქით ჩვენში და თქვენში სალაპარაკო და სადაო არა არის რა ძმობისა და მოყვრობის მეტი" [209. 325-326]. თუ რამდენად შეასრულებენ მოდავე მხარეები ამ განჩინებას, ამას შემდგომი მოვლენები გვიჩვენებენ. თურქ-ოსმალთაგან დაუძლურებული ქართლი კი ლეკთათვის კარგ სამიზნეს წარმოადგენდა. ამ პერიოდში ხდება ლეკთა გაუთავებელი მეკობრული თავდასხმა ქართლზე, რასაც ბუნებრივია, ისედაც გაძარცული ქართლის კიდევ უფრო გავერანება მოსდევდა.

## §5. ბრძოლა ქართლ-კახეთზე ხელახალი გაბატონებისათვის

XVIII ს. 30-იანი წლებიდან ძალთა ახალი გადანაწილება ხდება. ირანის სამეფო კარი ახერხებს კრიზისის დაძლევას. შეიარაღებული ჯარების სარდალმა ნადირმა ჯერ ავღანები დაამარცხა, ხოლო შემდეგ ოსმალთა ჯარები და აზერბაიჯანს დაეუფლა. ირანელთა ამ გამარჯვებებს ქართველთა შორის დიდი გამოხმაურება მოჰყვა. განსაკუთრებით გააქტიურდა ირანული პოლიტიკური ორიენტაციის მქონე მეფე კონსტანტინე. კონსტანტინეს საქმიანობა ოსმალთათვის დაფარული არ იყო და მათ სპეციალურ შეხვედ-



რაზე მისული მეფე ვერაგულად მოკლეს. ცოტა ხნის შემდეგ ოსმალებმა კახეთის მეფობა კონსტანტინეს ძმას თეიმურაზს დაუმტკიცეს.

1734 წელს ირანმა ამიერკავკასიაში ოსმალთა წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლა. ირანელთა გამოჩენას ირანული ორიენტაციის მქონე ქართველებმა ოსმალთა საწინააღმდეგო აჯანყებით უპასუხეს.

"მაშინ გამოვიდა ტფილისიდამ მაჰმადბეგ სპითა ოსმალთათა, ამათ ეკუეთნენ ყიზილბაშ-ქართველნი, აოტნეს ოსმალნი და მოწყვდნეს და სხუანი შევიდნენ ტფილისს" [15. 524]. მალე ქართველ-ირანელთა სამხედრო ძალებმა ოსმალები დაამარცხეს და განდევნეს. ირანელებმა მომხრე ქართველებს ამაგი არ დაუფასეს, პირიქით, ერევანში მიიწვიეს და იქ ქაიხოსრო ყაფლანიშვილის გარდა ყველა დააპატიმრეს და თბილისში გამოგზავნეს.

## §6. "ვაის გავეყარე და უის შევეყარეო"

ოსმალთაგან ცუდ პირობებში მყოფი ქართლელები ირანელებმა უარეს დღეში ჩააგდეს; დაპატიმრებულმა თავადებმა მალე გაპარვა მოახერხეს და 1735 წელს ახლა უკვე ირანელთა წინააღმდეგ დაიწყეს ბრძოლა. "იწყინა ეს თამაზ-ხან, დააქცია ციხე გორისა, ქალაქს თაბორი, გაუსივა ჯარი არაგვის ერისთავს ბარძიმს, ოთხი ათასი ზემო - ქართლს, ოთხი ათასი საციციანოს: არაგვის ერისთავი ანანური და იმას აქეთ ქსნის ერისთავისა, მონასტერს ქვეით..." [234. 48], ე.ი. ქსნის საერისთავო მონასტრის ანუ ლარგვისს ქვემოთ სულ მოაოხრეს.

სავარაუდოა, რომ ამ პერიოდში (1735 წ.) კვლავ დაანგრევდნენ ახალგორში ქსნის ერისთავების სასახლეს. ქსნის ხეობის ქვედა წელის აოხრებას ვახუშტიც გვიდასტურებს [15. 515]. როგორც ვხედავთ, ანტიირანულ აჯანყებაში ქსნის

ერისთავიც ყოფილა გარეული. ირანელებს ქსნის საერისთავოს დასარბევად გარკვეული სამხედრო ოპერაციაც ჩაუტარებიათ. ვახუშტის მიხედვით ირანელებმა - "მოტყუენა გორს ქართველნი, შეიპყრა თეიმურაზ, გივი ამილახორი, ბარძიმ ერისთავი და სხუანი, ხოლო შანშე ივლტოდა და წარუვლინა ისპაანს შანადირს. ხოლო მან არა რაჲ ავნო და წარიყვანა ყანდაარს. შემდგომად მისცა ხანჯალხანს ხანობა ქართლისა, წარმოატანნა ქართველნი და გამოუტევა" [15. 515]. ამდენად, შანშე ქსნის ერისთავი 1735 წელს კვლავ ქსნის საერისთავოშია. ქართულ ისტორიოგრაფიაში [80. 113] გამოთქმულია მოსაზრება ლარგვისში შანშეს მიერ ციხისა და სასახლის აშენების შესახებ 1721-1741 წლებში. ვახუშტი ბატონიშვილთან ლარგვისში ციხის აშენების თარიღი ძალზე ბუნდოვანია – "აქა ჰყო შანშემ ციხე, არამედ ურგებად თუსად" [15. 259-350]. კომპლექსის ერთიანობიდან გამომდინარე, ვფიქრობ, შანშემ წამოიწყო ლარგვისში კომპლექსის მშენებლობა, აშენებით კი მხოლოდ ციხე-სასახლე ააშენა. ეკლესიის მშენებლობა დაამთავრა შანშეს ძმისშვილმა დავით ერისთავმა 1759 წელს.

## §7. ანტიირანული ამბოხებანი

1736 წელს ირანის ხელისუფლებამ დაპყრობილ საქართველოს დიდი გადასახადები შეაწერა. "ქართველთ ეს ვერ შესძლეს, უკუდგა ქსნის ერისთავი შანშე, ამილახვარი გივი, აბაშიძე ვახუშტი და სულ ზემო ქართლი, გალმით თარხანი ლუარსაბ და მისი სახლისკაცნი" [234. 49]. ირანის ხელისუფლებამ განხეთქილება შეიტანა ამბოხებულ ქართველებში და შედეგიც სწრაფად მიიღო – "გაეცალა ამხანაგებს არაგვის ერისთავი ბარძიმ, სულ ციციანი, სულ საბარათასშვილო, მიუდგნენ ყიზილბაშთ" [234. 49]. ქართველთა ერთსულოვნების რღვევის შემდეგ, ირანელები აქტიურ ქმედებაზე გადავიდნენ: "წამოვიდა ჯარი, დადგა ფხვენის, და



იწყეს იქიდამ თარეშის გასევა, მიუხდნენ ქსნის ერისთავსა, რამდენჯერაც მივიდნენ, ბრძანებითა ღუთისათა, იმდენჯერ გაემარჯვა კეხუს და მოსწყვიტეს მიუხვდნენ სამ-ჯერ ამილახვარს გივს, სამჯერვე გაემარჯვა და მოსწყვიტეს ყიზილბაში" [234.49]. ირანელთა აქტიურობას მათივე დამარცხებები მოჰყვა შედეგად.

გამარჯვებების შესაფერისად "1736 წელს ერისთავები აფართოვებენ თავიანთ ყმა-მამულს კუმისში და სოლოღაშვილებისაგან ყიდულობენ 26 კომლ გლეხს თავისი მამულით" [45.74]. დამარცხებას ირანელთა მხრიდან ძალების მობილიზება და ახალი გააქტიურება მოჰყვა. მათ ერთნაირად აამოქმედეს ძალისა და დაყვავების პოლიტიკაც: "მოტყუებითა დაუმარცხდა კახს ბატონს თეიმურაზს, არაგვის ერისთავ ბარძიმს, ამილახვარს გივს, თარხანს ლუარსაბ, კახთ სახლთ-ხუცეს ჩოლოყაშვილს გივს, ქისიყის მოურავის ძმას თამაზს ჩერქეზის შვილს ქაიხოსროს: ესენი ერთპირად დაიჭირეს, გააგზავნეს ქალაქს ციხეში: იმათი აქ დაჭერა და ქსნის ერისთავზე ჯარის გასევა იკორთას და ბრძანებითა ღუთისათა, გაემარჯვა ერისთავს" [234. 50]. ირანელებმა, შანშე ქსნის ერისთავი ვერც ძალით და ვერც დაყვავებით ვერ დაიმორჩილეს.

ბატონი ე. მამისთვალაშვილი წერს: "ანტიირანულ აჯანყებას შანშე ერისთავი მეთაურობდა. მან უპირველესად თავის სამფლობელოებში არსებული ციხე-სიმაგრეები გაამაგრა, შემდეგ კი პარტიზანული ომი გააჩაღა. იგი თავს დაესხა გორის ციხეს, მეციხოვნენი ამოჟლიტა, გაიტაცა ხაზინა - 70.000 მანეთი" [129. 94].

ამ პერიოდში ირანის სამეფო კარმა ქართლის მეფობა მისცა აბდულ-ბეგ იასეს ძეს და უწოდა არჩილი. კახეთის მეფობა კი ალექსანდრეს ჩააბარა, თუმც ალექსანდრეს ფაქტიურად არ უმეფია.

შანშე ერისთავი არ სცნობს აბდულ-ბეგის მეფობას და აგრძელებს დაუმორჩილებლობას.

## §8. არაგველთა გამცემლობა და შანშეს საპასუხო ქმედება

ისტორიკოსი სეხნია ჩხეიძე მოგვითხრობს: "ქორონიკონსა უკე (1737 წ.) აპრილის გასულს, კიდევ მოვიდა სეფიხან დიდის ჯარით ქართლში, მივიდა, ქსნის ერისთავს შინ შეუხდა, აიღეს ციხე იკორთისა, ციხე ვანათისა, ციხე კულბითისა, მოუხდნენ აბაშიძეს ვახუშტის, აიღეს ციხე ციხისძირისა და ციხე სურამისა, შეუხდა ქსნის ერისთავსა, აიღო ციხე აწყვერისა, ციხე ბეშო და მონასტერი: გაეცალა ქსნის ერისთავს ძმა იასე ცოლ-შვილით კახეთს, დახუდენ წინ, გაექცათ ერისთავის შვილით, დარჩათ ცოლ-შვილი და საქონელი ყიზილბაშთ. წავიდა შანშე ცოლ-შვილით იმერეთს, იქიდამ ჩავიდა რუსეთს" [234. 51]. ამ ამბავს ვახუშტიც გადმოგვცემს: "ვერ დაუდგა შანშე და ივლტოდა დედაწულით იმერეთს და მუნიდამ რუსეთს" [15. 516].

ცოტა ქვემოთ კი შანშეს ძმის იასეს ცოლ-შვილის არაგვის ერისთავთა მიერ შეპყრობასა და ყიზილბაშთათვის გადაცემასთან დაკავშირებით გადმოგვცემს: "ლტოლვილსა შანშესა წაგვარეს იასეს, ძმასა მისსა ცოლი არაგჳს ერისთავთა და მისცეს ყიზილბაშთა" [15. 516]. არაგვის ერისთავთა ამ შეუწყნარებელ ქმედებაზე, მოგვიანებით შანშე ერისთავმა დიდი სისასტიკით იძია შური.

ამდენად, 1737 წელს ყიზილბაშთაგან დამარცხებული და დევნილი შანშე ერისთავი გადადის დასავლეთ საქართველოში. ცოტა ხნის შემდეგ შანშე იმერეთის ელჩ ტიმოთესთან ერთად რუსეთს გაემგზავრა, მას თან ჰქონდა ქართლის თავადების ხელმოწერილი თხოვნა ბაქარის გამეფების შესახებ. შანშე ერისთავი 35 კაციანი ამალით მოსკოვში ჩავიდა - "რუსეთში იცოდნენ, რომ შანშე ყაენის შეურიგებელ მტრად ითვლებოდა, რომ ერისთავმა ამას წინათ ირანელთა ხაზინა მოიტაცა (70.000 მან), რომ ამჟამად შანშე ძალით იყო ქართლის საზღვრებიდან გამოძევებული" [31. 325]. აქედან გამომდინარე, რუსეთი მოერიდა ირანთან ურთიერთობის გამწვავებას და აიძულა შანშე დაეტოვებინა რუსეთის საზღვრები. "მისრული მოსკოვს არღარა შეიწყნარა ჴელმწიფემან და მოვიდა ქართლსავე და დაიპყრნა მამულნი თჳსნი, მოიყვანა ლეკნი და აოჴრებდა ქვეყანათა" [15. 516]. რუსეთისაგან უარყოფილი შანშე ბედს არ ურიგდება. პოლიტიკურ ორიენტაციას იღებს თურქეთზე, აღწევს მათთან გარკვეულ შეთანხმებას და მათი დახმარებით (ეს შემდგომი მოვლენებისას კარგად გამოჩნდება) იწყებს ბრძოლას ირანელების და ირანული ორიენტაციის მქონე ქართველი ფეოდალების წინააღმდეგ. ამას კი შედეგად ისედაც აოხრებული ქართლის კიდევ უფრო მეტად დარბევა და ქართველთა უფრო მეტი სისხლისღვრა მოსდევდა. წყდებოდა ქართლის მოსახლეობა.

პაპუნა ორბელიანი მოგვითხრობს: "ქორონიკონს უკზ (1739 წ. ვ.დ.), თვესა ივლისსა მოიშველა ერისთავმან შანშემ ჯარი ლეკისა, პირველი მიუხდენ ხაშმის ციხესა, აიღეს ციხე და იავარყვეს საქონელი ანუ ტყვე ურიცხვი. წამოვიდნენ, მოვიდნენ შემოადგნენ ანანურის ციხესა, ერისთავი ბარძიმ შიგ იყო თავისის ძმით და სახლის კაცით. ჩამოვიდა ერისთავი შანშე და ძმა მისი იასე ყულარაღასი თავისის ჯარით. დაუწყეს ბრძოლა. არა-ავად იყვნენ შიგნით მყოფნი ციხისანი. ამდენი ლეკნი ამოსწყვიტეს, რომ მკვდრის სანგარს ივლებდნენ ლეკნი და ეგრე იბრძოდეს, ვითარ შანშე ერისთავის კაცნი ბელადნი იყვნეს. უპოვეს ადგილი წყლისა და მოუჭრეს წყალი. ზაფხულის ჟამი იყო და დიდად შეწუხდენ უწყლოდ. მისცეს ფიცი ბარძიმ ერისთავს და გამოიყვანეს უთრუთ ერისთავის შვილი თავისის ცოლ-შვილით. არ მიენდო და შეუპოვარის კოშკში ავიდა. უღალატეს ერისთავს ბარძიმს და მოკლეს: ეგრევე ამასთან აბელ და გივი დახოცეს. დაიჭირეს ვინც თან გაყოლოდათ. შეესივნენ ციხესა. აიკლეს. ააოჴრეს მონასტერი, დაამტვრიეს ხატნი პატიოსანნი, გამოასხეს ტყვე უთვალავი. უთრუთ, რომელი იყო კოშკში, გამოწვეს ცეცხლით, უყვეს ყათლანი ქალით კაცამდის. ეს ლეკის ჯარი, იტყოდენ, თორმე-

ტი ათასი კაცი არისო. წავიდა ეს ჯარი, ააოჴრეს სომხითი..."[159. 43].

როგორც ვხედავთ, შანშე ერისთავმა სასტიკად იძია შური არაგვის ერისთავთა ოჯახზე, ვინც 1737 წელს ყიზილბაშთაგან დამარცხებული და ლტოლვილი შანშე ქსნის ერისთავის ძმის - იასეს ცოლ-შვილი და საქონელი ყიზილბაშებს ხელში ჩააგდებინა. ამ ამბავს ვახუშტი ბატონიშვილიც გვიდასტურებს და ახალ დეტალებსაც გადმოგვცემს: "შეიკრიბნა შანშემ ლეკნი და მოადგა ანანურს, შემუსრა, აღიღო იგი და მოსწყჳდნა არაგჳს ერისთავი სრულიად, რამეთუ არავინ განერა. იხილა რამეთუ გიორგი ერისთავის ცოლი მარილის ქვით კიდული წარაქციეს. გარნა არა დასცხრა შანშე და ატყუევებდა ქართლს ლეკით" [15. 516]. დატრიალებულ ტრაგედიასთან დაკავშირებით ბატონ პ.ზაქარაიას მოაქვს ერთი ასეთი ცნობა: "1939 წ. არქეოლოგებმა ანანურში გახსნეს "შეუპოვარის" სახელით ცნობილი დამწვარი კოშკი. მათ საშინელი სურათი წარმოუდგათ თვალწინ: ნახანძრალი სავსე იყო დიდებისა თუ ბავშვების დამწვარი ძვლებით, იარაღითა და სხვადასხვა საოჯახო ნივთებით" [80. 84].

ვახუშტი ბატონიშვილი აღშფოთებულია შანშეს ქმედებით - "არა დასცხრა შანშე და ატყუევებდა ქართლს ლეკით". ამდენად, შანშე ქსნის ერისთავის მიერ არაგვის ერისთავთა სასტიკად დასჯა თუ მცირედით მაინც შეიძლება გამართლებული იქნას, ქართლის აწიოკება ლეკის ჯარით, ვახუშტის მთლიანად გაუმართლებლად მიაჩნია.

პ. ორბელიანის მონათხრობში არის ასეთი დეტალი - "ააოჴრეს მონასტერი (ანანურის - ვ.ღ.), დაამტვრიეს ხატნი პატიოსანნი, "ვფიქრობ, ეს ყოველივე ლეკებს უნდა მოემოქმედათ. მათ ქმედებებს, როგორც ჩანს, ბოლომდე ვერ აკონტროლებდა შანშე ერისთავი.

ვახუშტი ბატონიშვილი აღშფოთებულია შანშეს ქმედებით: - "არა დასცხრა შანშე და ატყუევებდა ქართლს ლეკით", და არ იზიარებს შანშეს პოლიტიკურ შეხედულებას -



ქართლის თურქეთთან კავშირის შესახებ, და ეს გასაგებიცაა: თურქეთის წარმომადგენლობამ აიძულა ვახტანგ VI-ის ოჯახი და ქართლის პოლიტიკური ელიტა, დაეტოვებინა ქართლი და რუსეთისთვის შეეფარებინა თავი. შანშე თურქეთის საშუალებით ქირაობს ლეკის ჯარს. თურქეთი აძლევს შესაბამის დაფინანსებას და საბრძოლო იარაღს. შემდგომი მოვლენების გადმოცემისას პაპუნა ორბელიანი მოგვითხრობს: "გარდმოეტანა (გ.ამილახვარს - ვ.ღ.) ახალციხიდან ტყვიაწამალი ვითაც ახალციხის ფაშას მრავალჯერ მიეცა ჯაბახანა შანშე ერისთავისათვის" [159. 56]. ჯაბახანა თურქული სიტყვაა და ქართულად ნიშნავს საომარ მასალას, ჯავშან-იარაღს, საჭურველის საწყობს [159. 267]. ე.ი. ფაქტობრივად, შანშე იბრძვის თურქეთის პოლიტიკური ინტერესების სასარგებლოდ, აჯანყება კი რომელსაც შანშე ხელმძღვანელობს, ეს არის ბრძოლა ირანსა და თურქეთს შორის ქართლისათვის. თუ 1725 და 1728 წლების ქართლის ანტითურქული აჯანყების ერთ-ერთი მეთაური შანშე იყო, უკვე 1739 წელს სახელისუფლო ძალაუფლების შენარჩუნებისათვის ბრძოლამ იგი უკვე თურქეთთან მიიყვანა.

## §9. შანშეს ამბოხება გრძელდება

1739 წელს არაგვის ერისთავებზე სასტიკი შურისძიების შემდეგ ლეკ-ქართველთა გაერთიანებულმა ლაშქარმა დაარბია სომხითი და მიადგა დმანისის ციხეს. დმანისელებმა პირველი იერიში წარმატებით მოიგერიეს. მალე მათ მიეშველა განჯაში მდგარი ყიზილბაშთა ჯარი: "გააქციეს ლეკნი, მოსწყვიტეს, რომ რისხვა ღმრთისა დასცეს" [159. 43]. დამარცხებული, ლტოლვილი ლეკები ამოვიდნენ ახალგორში "რაც ანანურისა და ხაშმის ნაშოვარი ტყვე ანუ საქონელი ჰყვანდათ, იქ შეენახათ. აჰყარეს მაშინვე და გაემზადნენ დაღისტანში" [159. 44]. დაღესტნისკენ მიმავალ ლეკებს ქართველ-ყიზილბაშთა გაერთიანებულმა ჯარმა გზა

გადაუჭრა - "დახვდნენ ახმეტის ბოლოს, გაემარჯვათ კიდ-ევ ყიზილბაშთა, ამოსწყვიტეს ლეკნი და რაც მიქონდათ, სულ დააყრევინეს. იტყოდნენ ათასხუთასი თავი მოიჭრაო. მოვიდნენ ქალაქს გამარჯვებულნი და მისცეს ტყვე ანუ საქონელი თვის-თვისსა პატრონებსა" [159. 44]. განჯიდან მოსული ლაშქარი სეფი-ხანის ხელმძღვანელობით ისევ განჯაში წავიდა. "ასლამაზ-ხანი და ორი სხვა ხანი მიუხდნენ ერისთავს შანშეს, დააქციეს იკორთის სამრეკლო და კულბითის ციხე და შემოადგნენ ვანათის ციხესა. ოცდაორი დღე იდგნენ, უყვეს იერიში და ვერა ავნეს რა ციხის კაცთ. ბევრი თათარი და ქართველი მოკლეს, მოვიდა ავდარი და თოვლი, ჯარმა ველარ გასძლო, დაბრუნდნენ და ჩამოვიდნენ ქალაქს" [159. 44].

1739 წ. შანშე ქსნის ერისთავის ხელმძღვანელობით დაწყებული ანტიირანული აჯანყება ხელისუფლებამ ვერ ჩააქრო, თუმცა დაუმორჩილებლობის გარკვეული ლოკალიზება, საერისთავოს საზღვრებში მოქცევა მაინც შესძლეს. შანშე ქსნის ერისთავის აქტიური დაუმორჩილებლობა დაიწყო 1739 წლის ივლისში, როცა მან 12.000 ლეკი დაიქირავა და ირანული ორიენტაციის მქონე ფეოდალებს შეუტია; დაარბიეს გარეკახეთში ხაშმის ციხე, შემდგომ ანანური, სომხეთი; დმანისის ციხესთან ქართველ-ირანელთა გაერთიანებულმა ძალებმა დაამარცხა ლეკ-ქსნელთა გაერთიანებული ლაშქარი. დამარცხებულები ბრუნდებიან ახალგორში, საიდანაც უკვე ნაძარცვით დატვირთული ლეკები მიემართებიან დაღესტნისკენ. ქართველ-ირანელთა შეიარაღებული ძალები ლეკებს არ აძლევენ ამის საშუალებას და ახმეტის ბოლოს სასტიკად ამარცხებენ.ართმევენ ნაძარცვს და ქართველ მეპატრონეებს უბრუნებენ. ამის შემდეგ განჯიდან მოყვანილ ყიზილბაშთა დამხმარე სამხედრო ძალა ბრუნდება ისევ განჯაში. შანშე ერისთავი ქსნის საერისთავოში მაგრდება. ცენტრალური ხელისუფლების სამხედრო ნაწილები სწრაფად იღებენ იკორთას (სადაც დააქციეს სამრეკლო) და კულბითის ციხეს. შანშე ვანათის



ციხეშია გამაგრებული. ციხის ალყა გრძელდება ოცდაორი დღე. ეს პერიოდი გვიანი შემოდგომაა: მოვიდა თოვლი, ციხესთან მოალყეთა ყოფნა შეუძლებელი შეიქმნა, რის გამოც იძულებული არიან მოხსნან ალყა.

ვანათის ციხის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი შემდეგს გადმოგვცემს: "მერისჴევის ზეით, ჩრდილოთ კერძ, არს ვანათი, პატარა ლიახვს კიდესა. მაღლა გორასა ზედა არს ციხე ... ვანათის ციხე შემუსვრილი განაახლა შანშემ. შემუსრეს კუალად ყიზილბაშთა. ციხის უკან, ჩრდილოთ, არს კლდე მაღალი, ქარაფოვანი, მჭრეტი ლიახჳსა, და მის შინა ქუაბნი გამოკუეთილნი მრავალნი" [15. 369]. ამდენად, 1739 წელს ვანათის ციხეში გამაგრებულ, აჯანყებულ შანშე ქსნის ერისთავის დამორჩილება ვერ ხერხდება. 1740 წელს ირანის სამეფო კარის დავალებით ქართლის ხელისუფლებამ შანშე ქსნის ერისთავის წინააღმდეგ ბრძოლა განაახლა: "გაისტუმრა აბდულ-ბეგ ძე მეფისა იასესი, ჯარით ქსნის ერისთავზე. მოვიდნენ არაგვის ერისთვის მამულზე. გადავიდნენ ლომისაზე და დადგნენ ცხრა ძმას. ააოჴრეს გარემო სოფლები, მაგრამ ვერსაით ვერაფერი საზრდო ვერა მოიტანეს რა, დამშივდა ჯარი, აიყარა ისევ და ჩამოვიდა ქალაქს, ვერა ავნეს რა ერისთავს შანშეს" [159. 45].

ჩემი ვარაუდით, ამ პერიოდში შანშეს კვლავ უნდა ჰყოლოდა ლეკთა დაქირავებული ჯარი, სხვა შემთხვევაში, შანშე ვერ შესძლებდა აქტიური წინააღმდეგობის გაწევას. თვით ქსნის ხეობა კი იმდენად აოხრებული ყოფილა, რომ საერისთავოს დასარბევად შემოსული ცენტრალური ხელისუფლების ჯარი ვერანაირ საზრდოს ვერ შოულობს და იძულებულია დაბრუნდეს თბილისში. ვფიქრობ, თურქეთის აქტიური ფინანსური, მატერიალური და საბრძოლო დახმარების გარეშე, შანშეს ხელმძღვანელობით დაწყებული ანტიირანული აჯანყება დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა.

1741 წელს იმერეთის მეფე ალექსანდრეს გარკვეული სირთულეები შეექმნა და დახმარებისათვის მიმართა ამბოხე-

ბულ შანშე ქსნის ერისთავს. "მიეშველა ქსნის ერისთავი მეფეს" [159. 45]. მკვლევარი მ. რეხვიაშვილი, რომელმაც შეისწავლა იმერეთის სამეფო, აღნიშნულ მონაკვეთთან დაკავშირებით წერს, რომ შანშე ერისთავს თან ჰყოლია 500 ლეკი და ქართლელთა ჯარი, თუმცა წყაროს არ უთითებს [169-ა.165]. შანშე ერისთავის დახმარებით ალექსანდრემ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. სავარაუდოა, რომ იმერეთში სტაბილური ვითარების დამყარების შემდეგ, შანშე ქსნის საერისთავოში დაბრუნდებოდა.

ამავე, 1741 წელს ნადირ-შაჰის ბრძანებით აღმოსავლეთ საქართველო აღწერეს. ქვეყანას ძალზე დიდი გადასახადები დაუწესეს ირანის სასარგებლოდ. ჩვენი აზრით, აღწერა ქსნის საერისთავოს ტერიტორიაზე არ ჩატარდებოდა, რადგან ამ პერიოდში აჯანყებული შანშე ქსნის ერისთავი არ სცნობდა ირანის სახელმწიფოს უზენაეს ხელისუფლებას.

## §10. შანშეს დამარცხება

ცენტრალურმა ხელისუფლებამ, რადგან იარაღით შანშე ერისთავის მორჩილებაში მოყვანა ვერ შესძლო, ბრძოლის მეთოდი შეცვალა. შანშეს ახლობლებში განხეთქილება შეიტანა და შედეგმაც არ დააყოვნა. 1741 წელს "გამოეცალა ერისთავს შანშეს ძე თვისი იოანე და ჩამოვიდა ქალაქსა თბილისისასა. რა სცნა იმამ-ყულიხან (დავით ერეკლეს ძე, ვ.დ.), განიხარა ფრიად და მიიჩნივა პატივით, დააყენა მემანდრად, განუწესა ულუფა, დაჰპირდა ჴელმწიფისაგან დიდის წყალობის მოტანასა. მოინდომა ერისთავისშვილმა იოანემ ჴელმწიფისათვის წასვლა. გაისტუმრეს მაშინვე, რა ჩავიდა თავრიზს, ნახა სპასალარი, მოახსენეს ჴელმწიფესა უყო იქიდამ მურახასი და დაბრუნდა. მოვიდა ისევ ქალაქსა თბილისისასა" [159. 46]. ირანის სამეფო ხელისუფლება გეგმაზომიერად, მშვიდობიანი გზით იბრძვის აჯანყებული შანშეს წინააღმდეგ. დაყვავებით დაიმორჩილეს შანშეს ძე



იოანე და სამეფო კარზე, დანარჩენ აჯანყებულებში საბრძოლო სულისკვეთების შესამცირებლად "მემანდრად" ანუ სამეფო კარის მოხელედ - მესტუმრედ დანიშნეს.

იოანეს განდგომამ, როგორც ჩანს, შანშეზე ძლიერ იმოქმედა. შანშეს სხვა შვილი არ ჰყავდა და ამ ფაქტმა დააჩქარა კიდეც მისი დამარცხება.

ამ პერიოდში ნადირ-შაჰი ინდოეთის ლაშქრობიდან გამარჯვებული დაბრუნდა. ქართლში არსებული პოლიტიკური ვითარების გაცნობის შემდგომ, ყველა დიდგვაროვანი თავისთან დაიბარა. შაჰთან ჩასულმა ქართლის დიდებულებმა "მოახსენეს ქვეყნის გაოხრება ლეკისაგან, შანშე ერისთავისაგან ბელადის ძლევა და შეჭირვება ყოველი. იწყინა ჴელმწიფემ და დაჰპირდა დაღისტნის გასწორებასა. მოსცა ჯარი შანშე ერისთავის წასახდენად: "თუ დამიჭიროთ შანშე, ყოველი თქვენი საწადელი აღვასრულო და მოგცე წყალობა უშურველიო". მისცა ამილახორს გივს ქსნის ერისთაობა და დასდვა იმ ქვეყნის ბელადობა" [159. 47]. ირანის სამეფო კარის მიერ გატარებულმა დაყვავების პოლიტიკამ, შესაფერისი შედეგი გამოიღო. შვილის იოანეს განდგომის შემდგომ შანშეს ქართლის მთელი თავადაზნაურობა დაუპირისპირდა: "მოაჴსენეს ქვეყნის გაოხრება ლეკისაგან, შანშე ერისთავისაგან ბელადის ძლევა და შეჭირვება ყოველი". ყოველმხრივ იზოლირებული შანშე და მის ხელმძღვანელობით მიმდინარე ანტიირანული აჯანყება დასაღუპადაა განწირული.

შანშე ირანის შაჰის მიერ არის გადაყენებული ქსნის ერისთავობიდან, მის ნაცვლად კი ინიშნება ქართლის ვექილი - გივი ამილახორი. ნადირ-შაჰის ბრძანებით ირანელ-ქართველთა ლაშქარი დაიძრა შანშე ქსნის ერისთავის წინააღმდეგ. "თვესა აგვისტოსა (1741 წ. ვ.დ.) წავიდა ეს ჯარი ქსანს. რა მიეახლნენ მუხრანს, აბელადეს ამილახორი გივი, ვითარცა ჴელმწიფეს ბელადობა მისთვის დაედვა, გაჰყვეს ჯარი სამად, მისცეს ერთი ჯარი არაგვის ერისთავს და გარდაუსიეს ლომისაზე, მეორე ჯარი ქსანზე შევიდა

და მესამე ჯარი ლიახვზედ. უყვეს თარეში, ააოჴრეს ქსანი,
დაწვეს, დაატყვევეს, ამოსწყვიტეს ურიცხვი, დააქციეს ცი-
ხეები, ან საცა კოშკი იყო, არსად გაუშვეს შენობა. გაიქცა
ერისთავი შანშე, ცოლ-შვილიც იქა ჰყვანდა და შევიდა აწ-
ერის ციხესა შინა, მაშინვე მივიდა ხანი ღამითვე და შემო-
ადგა გარს, ვეღარა სძლო შანშემ და გაიპარა ციხიდამ,
თავის ძმა იასე და მცირე რამ კაცნი თან გაიტანა, შეიარა
ხეობაზე, მივიდა ახალციხესა და შეეხვეწა ფაშას, შეიწყ-
ნარეს პატივით და დააყენეს ქალაქსა შინა. რა გათენდა,
აიღეს ციხე აწერისა ყიზილბაშთა, შეიტყვეს გაპარვა ერი-
სთავისა, აიკლეს ციხე და იავარ-ჰყვეს საქონელი ანუ
ტყვე" [159. 47-48].

გივი ამილახორის ხელმძღვანელობით შემოსულ ყიზილ-
ბაშ-ქართველთა გაერთიანებულ ჯარს საშინელი სისასტი-
კით დაურბევიათ ქსნის საერისთავო და განსაკუთრებით
ქსნის ხეობა: "უყვეს თარეში, ააოჴრეს ქსანი, დაწვეს, დაა-
ტყვევეს. ამოსწყვიტეს ურიცხვი, დააქციეს ციხეები, ან სა-
და კოშკი იყო, არსად გაუშვეს შენობა". არადა, გივი ამი-
ლახორის ხელმძღვანელობით ქსანზე შემოსული ლაშქარი,
ფაქტობრივად უკვე მისივე სახელისუფლო ტერიტორიას
არბევდა.

"მისცა ამილახორს გივს ქსნის ერისთაობა".

ქსნის ხეობიდან ლტოლვილმა შანშემ ჯერ აწერის ცი-
ხეში, პატარა ლიახვის მარჯვენა ნაპირზე, თავის მიერ აშ-
ენებულ ციხეს შეაფარა თავი - "არს აწერის-ჴევი. აქ აღა-
შენა შანშემ ციხე-სიმაგრედ თჳსად, არამედ ექმნა გალიად,
რამეთუ გამოიყვანეს ცოლი და დედაწული მისი მუნიდამ"
[15. 362]. ციხის ნაშთს, საკმაოდ მოზრდილი ტერიტორია
უჭირავს. შემორჩენილია ციხის გალავნის სამხრეთი კედე-
ლი, რომლის სიმაღლე ზოგან 2-3 მეტრს აღწევს. ტერიტო-
რიაზე სხვადასხვა ნაგებობათა ნაშთებია [228. 20-21]. აწერ-
ის ციხიდან შანშე იძულებული გახდა მოწინააღმდეგეს გა-
სცლოდა და თავი ახალციხის ფაშას შეაფარა. ყიზილბაშ-
თა ლაშქარი კი ახლა უკვე ლიახვის ხეობას არბევდა, იმა-



ვე სისასტიკით, "აიკლეს ციხე და იავარ-ჰყვეს საქონელი
ანუ ტყვე,... დააქცია ციხე აწერისა და ანუ სადა სიმაგრენი
იყვნეს, სრულიად ააოჴრა. გაუშვა მარბიელი ავღანისა და
საცა რამ დარჩომილიყო დაატყვევეს" [159. 48].

ამ ამბავს ვახუშტიც გვიდასტურებს: "გამოიყვანეს ამათ
(ქართველ-ყიზილბაშთა ლაშქარი, ვ.ღ.) აწერის ხევის ციხი-
დამ ცოლშვილი შანშესი და ტყუენი მრავალნი. ხოლო შა-
ნშე ივლტოდა ახალციხეს [15. 517]. შანშე ერისთავის დამა-
რცხება-გაძევების მიუხედავად, ქსნის საერისთავოს რბევა
არ შეუჩერებიათ: "ალიყულიხან, რომელი იყო თავ სპათა
და ხანი ტფილისისა, შევიდა მაღრან-დუალეთს, მოსტყუევ-
ნა იგი და მთანი შანშესანი. არამედ ჟამურის ოვსთა აოტ-
ეს ხანი და მოსწყვდნეს სპანი მისნი" [15. 517].

შანშეს დამარცხების მიუხედავად ჟამურში მცხოვრები
ოსები ყიზილბაშ-ქართველებმა ვერ დაამარცხეს - "ჟამურ-
ის ოვსთა აოტეს ხანი და მოსწყვიდნეს სპანი მისნი".
მკვლევარების ვ. აბაევის, რ. თოფჩიშვილის [92-ა. 146], ჯ.
გვასალიას [45. 169-170], ... მტკიცებით, რასაც ჩვენც ვეთან-
ხმებით, ჟამურში ოსები XVIII ს. 30-იან წლებში უნდა ჩა-
მოსახლებულიყვნენ. ჟამურში მცხოვრებმა ოსებმა, შანშეს
დამარცხების მიუხედავად, შეინარჩუნეს ერისთავის ერთგუ-
ლება და ყიზილბაშთა ჯარიც კი დაამარცხეს. თუმცა, ჟა-
მურელ ოსების ამ გამარჯვებას შანშესათვის არავითარი
შედეგი არ მოუტანია.

ქსნის საერისთავოს აოხრებითა და შანშე ერისთავის
გაძევებით კმაყოფილმა ქართველ-ყიზილბაშებმა თავიანთი
გამარჯვება ირანის შაჰს ახარეს. "იამა ჴელმწიფეს დაჭერა
ქსნისა და უიმედა ყოველთა წყალობა, უბოძა რაყამი: "რაც
ტყვე იყოსო, სულ ავღანის ჯარს მიეცითო". იყო ტყვე დი-
დი და პატარა ცხრაასი, მისცეს სრულიად ჯარსა ავღნისა-
სა. იყო ტირილი და ვაება ტყვეთაგან ეგრე წუხდიან ქრის-
ტიანენი და ვისაც ძალა-ედვა. იხსნიდიან და განუტევიან.
ასე გაიაფდა ტყვე, რომ თითოს ვაჟკაცს ოროლ მინალთუ-
ნად აძლევდიან, რომელიც არ გაუვიდის, ცხვრელებ ყელსა

სჭრიდიან და ზოგს წყალში ყრიდიან" [159. 48]. ამდენად, 1741 წელს შანშე ერისთავის მოძულე ქართველ-ყიზილბაშებმა მთელი ქსნის საერისთავო ააოხრეს. შენობა არსად დატოვეს დაუნგრეველი. მოსახლეობა კი ვინც გახიზვნა ვერ მოასწრო დაატყვევეს - "იყო ტყვე დიდი და პატარა ცხრაასი". ავღანელმა ჯარისკაცებმა დატყვევებული ქართველების ყიდვა დაიწყეს. "ასე გაიაფდა ტყვე, რომ თითოს ვაჟკაცს ოროლ მინალთუნად აძლევდნენ" (მინალთუნი დაახლოებით ერთ მანეთს უდრიდა) [31. 329], ხოლო რომლებსაც მყიდველი არ გამოუჩნდებოდა ცხვრებივით "ყელს სჭრიდნენ და წყალში ყრიდნენ". და ყოველივე ამას, ქართლის ხელისუფლება და გივი ამილახორი მშვიდად უყურებდნენ.

აქ აღსანიშნავია შემდეგი გარემოება: 1739 წ. როცა ქართველ-ყიზილბაშებმა შანშეს მიერ ჩამოყვანილი ლეკები დაამარცხეს და ნაძარცვ-ნატყვევი დაატოვებინეს - "მისცეს ტყვე ანუ საქონელი თვის-თვისსაა პატრონებსა". ახლა, ახალ ვითარებაში კი სულ სხვანაირად იქცევიან. დატყვევებულს თუ მყიდველი არ გამოუჩნდებოდა ცხვრებივით ყელს სჭრიდნენ და წყალში ყრიდნენ.

გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებაც - ყიზილბაშებმა ვერ შესძლეს ქსნის საერისთავოს აღწერა და შესაბამისად, გადასახადებით დაბეგვრა, მაშინ როცა დანარჩენი ქართლი დაბეგრილი იყო. შანშე ფინანსურ დახმარებას იღებდა თურქეთიდან. როგორც ჩანს, შანშე ქართლის დანარჩენ თავადებთან შედარებით ეკონომიურად უფრო შეძლებული იყო. ამაზე მეტყველებს ხალხური ლექსი:

"ამილახვარმა გასტეხა
შანშე ერისთვის კარები,
შევიდა გამოიტანა
თვალშეუდგამი ლალები" [54. 116].

ჩემი აზრით, შანშე ერისთავის ეკონომიური სიძლიერე იყო ერთ-ერთი მიზეზი, ასე თავგამეტებით რომ ებრძოდა



ყველა. და ამას ამბობს კიდევაც ხალხური ლექსი - "შევიდა გამოიტანა, თვალშეუდგამი ლალები".

## §11. დამარცხების შემდეგ

ახალციხეში ლტოლვილი შანშე პატივით მიიღეს "შეიწყნარეს პატივითა და დააყენეს ქალაქსა შინა" [159. 47]. მართალია თურქეთის პროვოცირებული შანშე ქსნის ერისთავის მიერ დაწყებული ანტიირანული აჯანყება დამთავრდა, მაგრამ თურქეთმა ქართლისათვის ბრძოლაზე ხელი არ აიღო და ამ აჯანყების დამარცხებიდან მეორე წელს ქართლში ახალმა ანტიირანულმა აჯანყებამ იფეთქა (ამის შესახებ ქვემოთ).

შანშე ერისთავის მოქმედებას, თანამედროვე ტერმინით რომ ვთქვათ, თურქეთის სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფ ახალციხეში გადასვლას და პოლიტიკური თავშესაფრის ძიებას, მალე მიმდევრები გამოუჩნდნენ. გაუსაძლისმა ეკონომიურმა და პოლიტიკურმა პირობებმა მოსახლეობისაგან დაცალა ქართლი და ბუნებრივია, ქსნის საერისთავო. "ქართლში პური ასე ძვირი იყო, რომ, თქვენმა მზემ, ბევრჯერ ვნახეთ ბალახის კურკას გაახმობდიან, დაფქვიდენ და იმას სჭამდენ. დაუწყეს თხოვა პურისა, ეკიდა კაცი და დედაკაცი, მრავალი სული ჯოხით მოკუდა. თუ პურს სადმე გასაყიდს იშოვიდენ, თავისის ჴელით შვილებს აძლევდნენ. მრავალი სული აიყარა ამ ქვეყნით და უცხოთა ალაგთა გადაიხვეწა. ურუმის (თურქეთის - ვ.დ.) ქვეყანა ქართლის კაცით აივსო" [159. 48-49], ე.ი. საქმე იქამდე მივიდა, რომ მოსახლეობას ვისაც არ შეეძლო პურის გადასახადი გადაეხადა მაღლა ჰკიდებდნენ და ჯოხის ცემით სულს ხდიდნენ. გაღატაკებული, ლტოლვილი ქართველობა თავშესაფარს თურქეთში პოულობდა.

# §12. ქსნის ერისთავი გივი ამილახვარი (1741-1743 წწ.)

1741 წლის აგვისტოში ქართლის თავადებმა ირანის შაჰის წინაშე დასვეს გადასახადების პატიების საკითხი "უბრძანა: "თქვენს შეძლებას ყველას შევიტყობ და იმით გიმსახურებო. "განუახლა ყველას ჯამაგირი, .... მეორე ვექილობა, ერისთაობა ქსნისი - გივს ამილახორს, ასი თუმანი..., ოცდახუთი თუმანი - შანშეს ერისთვისშვილს, ... აგრევე ყოველთა თავადთა შვილთა, ვის რა შეეფერებოდა" [159. 49].

ამდენად, პ. ორბელიანის მიხედვით 1741 წლის აგვისტოსთვის ქსნის საერისთავოს ერისთავად გივი ამილახორია. მაგრამ როგორც ჩანს, გივი ამილახორის ქსნის ერისთავობა თვითონვე დროებით მოვლენად მიაჩნდათ და ამიტომ დაუნიშნეს შანშე ერისთავის შვილს ჯამაგირი ოცდახუთი თუმანი.

ჩვენთვის ხელმისაწვდომი დოკუმენტით [167. 29] შანშე ერისთავის ძმის - იასე ყულარაღასის შვილს შანშე ერქვა.

იასე ყულარაღასს შანშეს გარდა ჰყოლია შვილები - დავითი (შემდგომში ერისთავი), ბეგლარი და იასე [209. 558].

შემდგომი მოვლენების გადმოცემისას იასე ყულარაღასის სიძის, ბამან-ხანის შესახებ პ. ორბელიანი წერს: "ბამან-ხანს ქსნის ერისთავის ქალი ყვანდა ცოლად" [159. 208].

სავარაუდოა, რომ ირანის სამეფო კარზე, ქსნის ერისთავად განიხილებოდა შანშე იასეს ძის კანდიდატურა. თუმცა აქ არის ასეთი ნიუანსი, შანშე ერისთავის ძმა იასე ძირითადად მოიხსენიებოდა როგორც ყულარაღასი, ახლა კი - "ოცდახუთი თუმანი - შანშეს ერისთავის შვილს" - ერისთავად არის სახელდებული. არ არის გამორიცხული, რომ იასე გარკვეულ პერიოდში ყოფილიყო შანშესთან ერთად ქსნის ერისთავი.



ახალციხეში ლტოლვილი შანშე და იასე ირანის შაჰმა სპეციალური წერილით მოითხოვა. ახალციხის ფაშამ წინააღმდეგობა ვერ გაუწია და დაპატიმრებული შანშე და იასე ჯერ თბილისში, აქედან კი ირანის შაჰთან გააგზავნეს. ირანის შაჰმა დაპატიმრებულებს თავის მართლების საშუალება არ მისცა. "მცირეთა ხანთა გაისტუმრა ორივ ძმანი მაშათს პატიმრად და ებრძანა მათის ცოლ-შვილისაც იქ ჩაყვანა. მოვიდა ჩაფარი. ყულარაღასის ცოლი კახეთს, მეფის თეიმურაზის სახლში იყო და იქიდამ ჩამოიყვანეს და შანშე ერისთავის ცოლი ქალაქში ჰყვანდათ. ორივე მაშინვე გაისტუმრეს და შეეყარნენ ქმრებსა თვისსა. ქსნის ხევისა სანაცვლოდ დაიმკვიდრეს ხორასანი" [159. 51].

ახალციხეში ჩასულ შანშეს ამბავს ვახუშტი ბაგრატიონი შემდეგნაირად გადმოგვცემს: "ამასვე წელსა (იგულისხმება 1741 წ. - ვ.ღ.) მოვიდა შანშე ლტოლვილი ყიზილბაშთაგან. ამისთჳს წარმოევლინა კაცი შანადირს ისაყ-ფაშასთჳს, რათა წარუვლინოს კრული შანშე. მაშინ ისაყ-ფაშამ აღირჩია მშჳდობა, რამეთუ ეშინოდა მისგან მორბევისა და მოოჴრებისა ქვეყნისა, შეიპყრა შანშე და მისცა კრული" [15. 740].

# §13. ახალი ანტიირანული აჯანყება

1742 წლის 11 აპრილს გივი ამილახორმა, რომელიც ქსნის ერისთავიც იყო, ახალი ანტიირანული აჯანყება დაიწყო. აჯანყებამ ფართო ხასიათი მიიღო. აჯანყებულებს აქტიურად ეხმარებოდა თურქეთი.

გივი ამილახვარს თურქეთი აძლევდა დიდი ოდენობით ფულს, იარაღს, სურსათს, ეხმარებოდა მეომარი ლეკების დაქირავებაში. იასე ოსეს შვილი მოგვითხრობს: "ამილახორმა ველარ გასძლო, გაექცა და ციხეები გაამაგრა, ოსმალს დაუწყო ლაპარაკი, იქიდამ ხაზინა მოატანინა და ზემო ქართლი მთლად იმას ახლდა" [105. 9]. ანტიირანული გამოსვ-

ლის პირველსავე წელს, როცა ირანის სამეფო კარმა თეიმურაზის საშუალებით სცადა ამილახვრისათვის აჯანყების შეწყვეტის შემთხვევაში ხელშეუხებლობის გარანტიების მიცემა - "მას ხანში ამილახორს შვიდი ათასი ლეკი მოსვლოდა და თავისთან უდგა, ულუფას აძლევდა, შემოეთვალა ამილახორს: "ამდენი ლეკი შინ მიდგასო, ეს გამაცალეთ და მე ჩამოვალო" [159. 59], ე.ი. გივი ამილახორმა ლეკის ჯარის მოწვევა კი შესძლო, მაგრამ მათი უკან გაგზავნის უფლება აღარ ჰქონდა. მან ვერ შესძლო აჯანყების შეწყვეტისა და სამეფო ხელისუფლებასთან შერიგების გადაწყვეტილების მიღება. ამის საშუალებას ლეკის ჯარი და გარემოცვა არ აძლევდა.

ამავე 1742 წელს - "ეს ამბავი მოვიდა ქვევიდამ, შანშე ერისთავს და თავის ძმას ყულარაღასს იასეს ჰელმწიფემ ორთავ თვალები დასთხარა, რომელნი იყვნენ ხორასანს თახსირად " [159. 60].

ამ ამბავს ვახუშტიც გვიდასტურებს და ახალ დეტალსაც ამატებს: "მოგზაური შანშე გამოიპარა, შეიპყრეს კუალად და აღმოჴადნეს თუალნი ძმითურთ" [15. 517]. როგორც ჩანს, ქართლში დაწყებულმა ახალმა ანტიირანულმა აჯანყებამ და შანშეს გამოპარვამ გადააწყვეტინა ირანის სამეფო კარს შანშესა და იასესთვის თვალების დათხრა.

ანტიირანული აჯანყება კი გრძელდებოდა. "ამილახორმა ბორჯომის ხეობა დაიჭირა და ახალციხიდან უხვად შემოჰქონდა ფული, იარაღი, ტყვია-წამალი" [31. 331].

ყიზილბაშთა სამხედრო იერიშები აჯანყებულთა წინააღმდეგ უშედეგოდ მთავრდებოდა. მაშინ ნადირ-შაჰმა მოლაპარაკებით სცადა გივი ამილახვრის დამორჩილება და ვერც ახლა მიაღწია სასურველ მიზანს. შემდგომ, განხეთქილების შეტანა სცადა ანტიირანულ დაჯგუფებაში. ბეჟან არაგვის ერისთავს, რომელიც ამავე დროს გივი ამილახვრის სიძე იყო, ყმები გაუორგულა - "ამინა კობიაშვილს ბეჟან ერისთავის დაჭერა მოენდომებინა, ... შეიტყო ამილახორმა და ამ საქმეში რეულნი კაცნი მოტყუებით შეჰყარა,



დაიჭირა და პატიმარჰყო ყოველნი. .... იავარ-ყვნა ორგულნი და უწყალობნა ერთგულთა ამით, ... და მერე თუ არაგვის კაცნი უკუსადგებოდნენ. ვეღარც ქსნის ხევს დაიმორჩილებდა" [159. 62]. ვერც ახლა მიაღწიეს რაიმე წარმატებას ყიზილბაშებმა.

აჯანყებულთა წარმატებულმა ქმედებებმა ნადირ-შაჰი აიძულა ქართლისადმი დამოკიდებულება შეეცვალა. ქართლ-კახეთს ირანის სასარგებლოდ დაგროვილი გადასახადები აღარ გადაახდევინა და ქართველთათვის რამდენიმე საძულველი მოხელეც გადააყენა.

1743 წლის ზაფხულში ირანის სამეფო კარმა კვლავ სცადა განხეთქილების შეტანა ქართველთა ანტიირანულ დაჯგუფებაში და შედეგმაც არ დააყოვნა. 1743 წლის ივნისში არაგვზედ ბეჟან ერისთავი და მისი ბიძაშვილი მოკლეს. "არაგველებმა თეიმურაზს (კახეთის მეფეს, ვ.ღ.) კაცები აახლეს და ანანურს მიიწვიეს. არაგვის საერისთავო გივი ამილახორის მომხრეთა ბანაკიდან მის მოწინააღმდეგეთა ბანაკში გადავიდა" [54. 123]. თეიმურაზ მეფემ ირანის შაჰს მაცნე გაუგზავნა და მოახსენა არაგვის ერისთავის სიკვდილი და საერისთავოს "დაჭერა". "მოუვიდა მეფეს თეიმურაზს ჰელმწიფისაგან რაყამი წყალობისა, ებძანა: "თუცა ქსნის ხევსაც დაიჭერო, ორსავ საერისთო შენთვის მოგვიცემიაო". დაუწყო ლაპარაკი ქსნის ხეველთა, მოახსენეს: "ამდენი ლეკი შინ გვიდგასო, ეს აქედამ გაგვაცალეო და თქვენს სამსახურში მოვალთო" [159. 69].

## §14. ქსნის საერისთავო თეიმურაზ-ერეკლეს დაქვემდებარებაში (1744-1747 წწ.)

ყიზილბაშებმა აჯი-ხანის ხელმძღვანელობით ახალგორში მდგომ ლეკებზე მოიტანეს იერიში. "მიუხდენ ახალგორს, წამოიღეს ლეკის ნაშოვარი და ცხენები სულ. მიეწივ-

ნენ ლეკნი, ნაშოვარიც ისევ გააყრევინეს და ყიზილბაშიც ბევრ-ბევრი დახოცეს, ავიდნენ ისევ ლეკნი ახალგორს" [159. 70]. ამ პერიოდში ნადირ-შაჰს სხვაგანაც შეექმნა სირთულეები. ირანში მიმდინარე მოვლენებით კარგად ინფორმირებული გივი ამილახვარი კიდევ უფრო აქტიურდება: "მოვიდა ჯარი ოსისა და ჩერქეზისა, რომელნი მოსულიყვნენ ამილახორთან მოსახმარად" [159. 70]. ახალი ძალით შეუტია ამილახვარმა ირანული ორიენტაციის თავადებს. გააქტიურდა მეფე თეიმურაზიც - "ეცადა მეფე თეიმურაზ მრავლის წყალობის დაპირებითა და ქსნის ხევის კაცნი ვერ შემოირიგა. მოსწერა წიგნი ძესა თვისსა ერეკლესა და კახეთის ჯარით დაიბარა" [159. 70-71]. ვითარება უაღრესად დაიძაბა. თეიმურაზ-ერეკლემ ლეკის ჯარიც დაიქირავეს და ანანურში დადგნენ. მაგრამ ქსანზე იერიშის მიტანა გადაიდო, გარკვეული პერიოდის შემდეგ კი - "შევიდა კახი ბატონი თეიმურაზ, დაიმონა ჴმლით ქსნის ხევი, დადგა შიგ. გამოიყვანა ცოლი ამილახორმა ქსნის ხევიდამ და მოიყვანა სხვილოს ციხეში" [159. 72].

პაპუნა ორბელიანი არაფერს გვეუბნება შეასრულა თუ არა ირანის შაჰმა თეიმურაზისთვის მიცემული სიტყვა - "თუცა ქსნის ხევსაც დაიჭერო, ორსავ საერისთავო შენთვის მოგვიცემიაო", მაგრამ სხვა საბუთით ვიგებთ, რომ ქსნის საერისთავო ჩამოურთმევია გივი ამილახვრისათვის და გადაუცია თეიმურაზისა და მისი ძის ერეკლესათვის. 1744 წლის 12 იანვარს ეს ფაქტი უკვე მომხდარი იყო: "ესე წყალობის და მტკიცე წიგნი გიბოძეთ ჩვენ. მეფეთ, მეფემ კახეთის, არაგვის და ქსნის პატრონმან თეიმურაზ და ძემან ჩვენმან ერეკლემ" [175. 78].

ამდენად, გივი ამილახორი ქსნის საერისთავოს მართავდა 1741 წლის აგვისტოდან 1743 წლის ბოლომდე.

ამილახვარს ქსანზე გამაგრებული ჰქონდა წირქოლის ძლიერი ციხე, რომლის აღება ზარბაზნების გარეშე წარმოუდგენელი იყო.



თურქეთმა რომ დაინახა გივი ამილახვარი ნელ-ნელა პოზიციებს თმობდა - "ქორონიკონსა ულბ. [432+1312=1744 წ. - ვ.ღ.] გარდმოვიდა ჯარი ურუმისა, მოეშველა ამილახორს გივის... გამოეგზავნა ამ შაჰზადას ამილახორისათვის ხალათი, ცხენი და თეთრი (ფული - ვ.ღ.) ფრიადი: ვინც ჩვენ სამსახურზე ჴმალს იქნევდეს, იმათ მიეცით და კიდევ უმეტეს წყალობას მოელოდეთო". ეს ჯარი და ამდენი წყალობა მოუვიდა ამილახორს, შეჯდა ამ ურუმის ჯარით და ლეკნიც თან იახლა". ქართველ-ყიზილბაშთა და ქართველ-თურქთა შეტაკება აჩაბეთში მოხდა. გაიმარჯვეს ქართველ-ყიზილბაშებმა: "სძლიეს კახთა, გააქციეს ურუმნი" [159. 73]. დამარცხებული თურქები ახალციხეში დაბრუნდნენ.

ყოფილი შაჰის თვითმარქვია მემკვიდრე "შაჰზადა" ასიოდე თურქი მხედრის თანხლებით შეცდომით მოვიდა ქსანზე. მათ ქსნის საერისთავო კვლავ გივი ამილახვრის დაქვემდებარებაში ეგონათ: "მაგრამ ქსანზე კახი ბატონი იდგა, ბატონი სხვაგან ბრძანდებოდა და საცა ჯარი იდგა, მოვიდა, იქ ჩამოხდა. ჯერ კახთ მიმშველებელნი ყიზილბაშნი ეგონეს. რა სცნეს, რომ ახალი გამოჩეკილი ყაენის შვილი არისო, მიესივნენ კახნი და დაიჭირეს თავისის ჯარით. მობრძანდა ბატონი თეიმურაზ და ძე მისი ერეკლე, წაიყვანეს და ანანურის ციხეში დააპატიმრეს, ... თითონ მეფე თეიმურაზ და ბატონიშვილი ერეკლე მიბრძანდნენ ქსანზე, წირქოლის ციხე ისევ გამაგრებული იყო და რევაზ ამილახორის შვილი იდგა შიგ. მიადგნენ გარს და დაუწყეს ლაპარაკი და აღუთქვა წყალობა უზომო. დამორჩილდა ბრძანებასა მეფისასა და გამოვიდა რევაზ, მიართვა ციხე, უბოძა ხალათი, დაპირდა უმეტეს წყალობასა" [159. 73-74]. პაპუნა ორბელიანს ეთანხმება ომან ხერხეულიძე: "ეზრახნენ მეფენი ამ რევაზს და აღუთქვეს წყალობა, უკეთუ მოსცეს ციხენი და მაშინ მოსცა რევაზ ციხენი ქსნის-ხევისანი და დაიპყრეს ქსანიცა მეფემან თეიმურაზ და ირაკლიმ და მრავალნი ბრძოლანი გარდაიხადეს" [234. 246].

ასევე ეთანხმება ზემოთ დასახელებული 1744 წ. 12 იანვრის წყალობის წიგნი: "ჩვენ, მეფეთ-მეფემ კახეთის, არაგვის და ქსნის პატრონმან თეიმურაზ და ძემან ჩვენმან ერეკლემ ესე ფიცი და პირი მოგეცით თქვენ, ამილახვრიშვილ რევაზს... თუ ... ხელმწიფემ ქართლი მიბოძა, ამილახვრობაც შენ მოგცეთ. თუ რომ ქართლი არ მომეცა, რაც კახეთში შენი ყმა არის ის მოგცეთ" [54. 208].

ირანის შაჰს თეიმურაზ მეფემ მახარობლად ჩაფარი გაუგზავნა და აცნობა: "ქსნის ხევის დაჭერისა და ციხეების დაჭერისა. იამა ფრიად და მაშინვე გამოუბრუნა ჩაფარი, მოსწერა რაყამი დიდის წყალობისა, ერთი უცხო მძიმე ხალათი და ათასი თუმანი თეთრი, კიდევ უმეტეს წყალობას დაჰპირდა" [15. 74].

ასევე, ირანის მბრძანებელი ნადირ-შაჰი უაღრესად მადლიერი იყო თეიმურაზ-ერეკლეს მიერ ირანის ტახტის მაძიებლის დაპატიმრებით და მასთან გაგზავნით. ამით ხომ ბევრი პრობლემა გადაწყდებოდა.

თურქეთი დამარცხებების მიუხედავად, უკან მაინც არ იხევდა: "გარდმოვიდა ჯარი ურუმისა ორბელიანთ მამულზე" [159. 74], მაგრამ მალე იძულებული გახდა ისევ უკან დაეხია ჯარს. შემდეგ ისევ შეტევაზე გადავიდნენ: "ამილახორთან ლეკნი იყვნენ მიუხდენ მაჩაბელს, აუოჴრეს ქვეყანა. მაჩაბელი კახ ბატონს ახლდა. იმისის ჯავრით ჩამოუყენა ამილახორმა ჯარი ლეკისა და მუდამ აოჴრებდენ მაჩაბლის ქვეყანასა" [159. 76].

ქართლის ტერიტორიაზე ლოკალური ხასიათის ბრძოლები გრძელდებოდა, გივი ამილახვრის მხარეზე მყოფთა რიგები მცირდებოდა, თეიმურაზ-ერეკლესი კი პირიქით იზრდებოდა.



## §15. ერისთავი რატი რატიშვილი (1744 წელი)

პაპუნა ორბელიანი მოგვითხრობს: "ბატონი წაბრძანდა კახეთს და ბატონიშვილი აბრძანდა ჯარით ქსანზე, ზოგს კაცს ღალატი შეჩნეოდათ და ბატონის დაყენებული რატიშვილი რატი მოეკლათ. მიბრძანდა მაშინვე, შემოეხვეწნენ და შემოფიცეს: "ვინც თქვენი ორგული არისო, ჴელშეკრულებს მოგცემთო" [159. 80]. ამდენად, კახეთის, არაგვისა და ქსნის მქონე მეფე ერეკლეს, ქსნის ერისთავად დაუნიშნია ქსნის ერისთავთა განაყარის ჩამომავალი, რატი რატიშვილი. მაგრამ რატის დიდხანს არ უერისთავია, მას უღალატეს და მოკლეს. და ეს ყოველივე (დანიშვნაც და მოკვლაც) უნდა მომხდარიყო 1744 წლის პირველ ნახევარში. ერეკლემ საჭირო ღონისძიებები გაატარა: "ბატონიშვილმა ერეკლემ ქსნის ხეველთ, ყოველ უფროს კაცს, ქეთხუდას (მოურავს, ვ.ღ.) მძევლები გამოართვა და კახეთს გააგზავნა" [159. 81] ქსანი კი, როგორც ჩანს, უშუალოდ თავის დაქვემდებარებაში დაიტოვა.

1744 წლის 10 ნოემბერს გაცემულ ერთ დოკუმენტში ერეკლე თავისთავს კვლავ ქსნის მქონეს უწოდებს: "მეფემ ერეკლემ, კახეთისა და არაგვის და ქსნის მქონემ, ... [171. 209].

1768 წელს ერეკლე II-ის მიერ გაცემული განჩინების თანახმად - "ქსნის ერისთავის ოჯახი ერანის ჴელმწიფისაგან დატყვევებული იყო და მიტაცებული. ერანის ჴელმწიფის ორგულისა და ოსმალის მიმდევის კაცის მამული ქსანი ჩვენ ჴლმით დავიჭირეთ ღმრთის მოწყალებით" [209. 557].

ნათესაობის პრინციპიდან გამომდინარე, ერეკლე II-მ ქსნის ერისთავთა მამულები იასე ყულარაღასის შვილებს გაუნაწილა -"ნათესაობამ გამოგვამეტებინა" [209. 558], ერისთავობა კი არავის არ მისცა.

## §16. გივი ამილახვრის დატყვევება

ქართლისათვის ბრძოლა თურქეთსა და ირანს შორის კვლავ გრძელდებოდა. თურქეთი ფულს, იარაღს და გაწვრთნილ მებრძოლებს არ იშურებდა. არც ირანი იხევდა უკან და თავს არ ზოგავდა ფულის, იარაღისა და გაწვრთნილი მეომრების გამოგზავნით. ირბეოდა ქართლი, იხოცებოდა ქართლის მოსახლეობა. გივი ამილახორმა რამდენჯერმე განაცხადა თანხმობა - ჩაბარებოდა თეიმურაზს თუ შესაბამისი გარანტიები ექნებოდა. თეიმურაზი პირობას აძლევდა ამილახვარს, როგორც თავისი, ასევე ირანის შაჰის ხელმოწერით – "მოუტანა გივ ამილახორს რაყამი ჴელმწიფისა ფიცით: "შენი დანაშაული და სისხლი ჩვენის სიმაღლისა და განძლიერების მდომებელის მეფის თეიმურაზისათვის გვიპატივებიაო". შეუგზავნეს რაყამი ციხეში და ესე ყოველი აცნობეს" [159. 93], მაგრამ, როგორც ჩანს, თურქები დანებების უფლებას არ აძლევდნენ ამილახვარს - "მოეწერა წიგნი ისაყ ფაშას ამილახორის გივისათვის დიდის იმედისა და დაპირებოდა კიდევ მოხმარებასა" [159. 95]. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე მოქმედებდა თეიმურაზ მეფე: "გააგზავნეს ჴელმწიფესთან ჩაფარი და მოახსენეს ამილახორისაგან ისევ პირის გატეხა და ციხის მეორედ გამაგრება" [159. 94]. ბრძოლები გრძელდებოდა. თეიმურაზის ბრძანებით თურქეთთან დამაკავშირებელი ყველა ციხე და გზა-ბილიკი წაართვეს ამილახვარს და ქართველ-ყიზილბაშებმა თავის კონტროლს დაუქვემდებარეს. ამის შემდეგ სურამის ციხეზე მიიტანეს იერიში და "მისცეს სურამის ციხეს ერთი ნაღმი და ვერა ავნო რა. მისცეს მეორე ნაღმი და ციხის ნახევარი სულ დაანგრია, ბევრიც ავნო მყოფთა ციხისათა" [159. 96]. თურქეთთან კავშირის გაწყვეტამ და ციხის დანგრევამ აიძულა ამილახორი დანებებოდა: "მოართვა ციხე სურამისა და წამობრძანდა ბატონი დედოფალი ქალაქს და თან წამოიყვანა ამილახორი გივი" [159. 96]. გივი ამილახორის დანებების მიუხედავად, თურქეთი ბრძოლას არ სწყვეტდა. "წამოვიდა ჯარი ლეკისა, მიმართა ურუმთა მისაშველებლად, შემოიარეს, წაახდინეს ბოლნისები ... მოვიდა ურუმისა და ლეკის ჯარი... ამოწყვიტეს ურუმი და ლეკი ფრიადი და შემოვიდნენ გამარჯვებულნი დმანისს" [159. 98]. "ამისა შემდგომად, წამოვიდა დიდი ჯარი ურუმისა და ლეკისა, მიუხდენ ლორეს და მრავალი სული დაატყვევეს და საქონელს და პირუტყვს რიცხვი არა ჰქონდა. "მეფის დავალებით დაედევნენ "ამოწყვიტა მრავალი და ეგრევ ცოცხალი შეიპყრა ფრიადი, რაც მიჰქონდა სულ გააყრევინა, მიართვა თავი და ცოცხალი ლეკისა და ურუმისა მეფეს თეიმურაზს" [159. 99].



ბრძოლა ქართლში, ქართლზე ბატონობისათვის გრძელდებოდა. მართალია ირანის ხელისუფლებამ გარკვეული წარმატებების შემდეგ სცადა თურქეთთან ბრძოლა დასავლეთ საქართველოში გადაეტანა, მაგრამ ამ ოპერაციას მარცხი მოჰყვა: "იმერეთიდან წამოიყვანეს პყრობილნი ყაზახის სულთანი, მაჩაბელი იასე და ზოგანი ზემო ქართლის თავადთა შვილნი ურუმთ და ახალციხესა დააპატიმრეს [159. 107]. ბრძოლებმა კვლავ ქართლში გადმოინაცვლა. ამ პერიოდში - 1745 წლის მეორე ნახევარში, დააბრუნეს შანშე ცოლ-შვილით თბილისში. ძმა-ყულარაღასი იასე გზაში მომკვდარიყო. მკვდარი ჩამოასვენეს. შანშე შაჰის ბრძანებით დაებრმავებინათ" [159. 107-108]. პ.ორბელიანს ეთანხმება სხვა დოკუმენტიც: ქსანზე დაბრუნებული შანშე გარდაცვლილი ძმის იასეს ოჯახმა შეიფარა – "რადგანაც ჩვენის ნებით შანშე და ყულარაღასი და მისი ძმა ზურაბ შეიყვანეს ამ ჩვენმა ნათესავებმან (იგულისხმება იასეს ცოლშვილი - ვ.ღ.) და კიდევ თავეთს ოჯახში ჰყვანდათ, და ისახლისკაცეს" [209. 558]. ამასვე მოგვითხრობს სხვა წყარო.

"მოვიდა შანშე ერისთავი თვალებდათხრილი, ცოლშვილით: იასე გზაში მიცვლილიყო, მოასვენეს ქალაქში, გზაში შანშეს შეხვდა შახნადირთან მიმავალი გივი და მიაძახა: "გიუნავ, გიუნავ, მიხვალ მაგრამ გნახამ როგორც ამოი-

ვლიო". გივმა უპასუხა: "შენსავით არც ჩავივლი, არც ამოვივლიო" [175. 82].

ეროვნული მოძრაობის ერთი ფრთის მიერ მეორის განადგურებასთან დაკავშირებით ბატონ აკაკი ბაქრაძეს მოაქვს ერთი ასეთი თქმულება: "გივი ამილახვრისა და შანშე ქსნის ერისთავის მტრობა ვერაფერმა მოშალა. ბოლოს სპარსელების მოშველიებით, გივიმ შანშე გაანადგურა. სპარსელებმა ქსნის ერისთავი სპარსეთში წაიყვანეს და თვალები დათხარეს.

გივი ამილახვარმა სპარსელები კი დაპატიჟა, მაგრამ მერე თავად ველარ გაუძლო მათ თვითნებობას და აუჯანყდა. მედგრად იბრძოდა, მაგრამ სპარსელებმა მაინც დაამარცხეს და გაბაწრული სპარსეთში გააგზავნეს.

აღდგომა დღეს საქართველო-სპარსეთის საზღვარზე, შინ მომავალ უსინათლო შანშე ქსნის-ერისთავმა ცხენების თქარათქური გაიგონა. იკითხა: რა ხდებაო. მოახსენეს: თქვენს უბოროტეს, მტერს, გივი ამილახვარს, სპარსეთში მიათრევენო. მაშინ თვალდათხრილმა ეს უთხრა თვალდასათხრელად მიმავალს: შენც წახდი და მეც წამახდინე, ქრისტე აღსდგა გიხაროდესო!

– ჭეშმარიტადო! - იბღავლა გივი ამილახვარმა. დაუძინებელი მტრები ერთმანეთს გადაეხვივნენ. ორივე მწარედ ატირდა" (აკაკი ბაქრაძე, დაწუნებული გზა, 1995 წ. გვ. 285).

## §17. ოსთა პროტესტი

ქართლი ირანსა და თურქეთს შორის საბრძოლო პოლიგონად იყო ქცეული. ბუნებრივია, ხვნა-თესვისათვის არავის არ ეცალა. ამიტომ აღარც პურის მოსავალი იყო და არც ღვინის. ირანის სახელმწიფო მოხელეები კი ძველებურად ქართლისაგან დიდ გადასახადებს მოითხოვდნენ. მეფე



თეიმურაზის შესაბამისი თხოვნის შედეგად, ირანის სამეფო კარმა გაათავისუფლა ქართლი გადასახადებისაგან.

პაპუნა ორბელიანი მოგვითხრობს: 1746 წელს "უკუდგნენ ოსნი ერისთვისანი და დაუწყეს ცემა ზემო-ქართლსა". ერეკლე მეფემ კახეთის მოსაზღვრე ლეკები დაიქირავა, ჩაუყენა სათავეში მაჩაბელი და იასე ამილახორის შვილი: "გაუსივეს უკუმდგართ ოსთა, ააოჴრეს ოსეთი და გარდავიდნენ იმერეთს, ..." [159. 110]. მართალია პ.ორბელიანი არ აკონკრეტებს რომელ საერისთავოში მოხდა ოსთა "უკუდგომა", მაგრამ მონათხრობის კონტექსტიდან იგრძნობა, რომ ლაპარაკია ქსნის საერისთავოში მცხოვრებ ოსებზე. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ შანშე ერისთავის ანტიირანული გამოსვლის დამარცხებისას (1741 წ.) ქსნის საერისთავოში უამრავი ადამიანი დაიხოცა, ბევრიც თურქეთში გადავიდა და გათურქდა, ხოლო ცხრაასი ადამიანი, ავღანელმა ჯარისკაცებმა ზოგი დახოცეს და ზოგიც დაყიდეს, შეიძლება დავასკვნათ: ადგილობრივ მოსახლეობისაგან დაცლილ ქსნის საერისთავოში ოსთა ჩამოსახლება ეტაპობრივად მიმდინარეობდა. შანშემ ქართველი მოსახლეობისაგან დაცლილ ჟამურის ხეობასა და საფერშეთში XVIII საუკუნის 30-იან წლებში, ჩამოასახლა გაოსებული დვალები, ხოლო შემდგომ 40-იან წლებში ლიახვის ხეობაში.

პ. ორბელიანი არაფერს გვეუბნება რა მიზეზით უკუდგნენ საერისთავოში მცხოვრები ოსები, მაგრამ მათ რომ კავკასიაში მცხოვრები ოსები აქეზებდნენ ეს კარგად ჩანს, "გაუსივეს (დაქირავებული ჯარი - ვ.ღ.) უკუმდგართ ოსთა, ააოჴრეს ოსეთი".

ქსნის და არაგვის საერისთავოში მცხოვრებ ოსთა დამშვიდება მაინც არ მოხდა. "ორსავ საერისთაოსნი დიაღ ავკაცობდნენ, არც ბეგარას აძლევდნენ და არც მოხელე შეუშვეს, ამათი წახდენა ინებეს," [159. 113]. გაერთიანებული ქართლ-კახეთის ჯარით მეფეებმა თეიმურაზმა და ერეკლემ ორი მხრიდან შეუტიეს. თეიმურაზმა ვანათის მხრიდან მიიტანა იერიში. ერეკლე ბატონი "ანანურით, წაბრძანდა ოსე-

თზე... მაშინვე გატეხეს. ორმოცი კოშკი აიღეს, დაწვეს, თრუსო დაატყვევეს და ყოვლის გზით ყათლანი უყვეს, რომ რისხვა ღმრთისა დასცეს" [159. 113].

როგორც ჩანს ოსთა ანტიქართული გამოსვლა საკმაოდ კარგად ორგანიზებული ყოფილა. სხვა შემთხვევაში წარმოუდგენელია ქსნისა და არაგვის საერისთავოებში მცხოვრებ ოსთა ერთობლივი გამოსვლა, რომელთაც მხარს უჭერდნენ და ეხმარებოდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ოსები: "რა ეს ამბავი და არაგვის ოსის წახდენის ამბავი შეიტყვეს ქსნის ერისთავის ოსთა, მოვიდნენ მაშინვე ვანათს და შემოეხვეწნენ მეფეს თეიმურაზს, ყოვლის კეთილის საფუძველსა და მოსთხოვეს დანაშაულის ფარვანი და მოსცეს სრული ბეგარა" [159. 114].

ბეგარის აღების შემდგომ ქსნის საერისთავოზე ლაშქრობა აღარ მოუწყვიათ. თუმც ქსნელი ოსები როდის გამოაცხადებდნენ კვლავ დაუმორჩილებლობას, არავინ იცოდა. აღნიშნული გაურკვევლობიდან გამომდინარე, სამეფო კარმა გადაწყვიტა ქსნის ერისთავად დაენიშნათ კვლავ შანშე ერისთავი.

თუკი შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ, ქსნის საერისთავოში მცხოვრებ ოსების დაუმორჩილებლობაში ქართლის ხელისუფლებისადმი, გარეული უნდა ყოფილიყო შანშე ერისთავი.

## §18. შანშე ერისთავის ხელისუფლებაში დაბრუნება

"მოსწერა მეფემ ჴელმწიფეს არზა შანშე ერისთვის შებრალებისა, ვითაც ჩვენის მეფის სიტყვას ყაენი ჯეროვნად ისმენდა, ებოძა მაშინვე შანშე ერისთვისათვის ასი თუმანი ინამად. იდგა შანშე ქალაქში ცოლ-შვილით და ქსნის ხევს პატრონობდა ქართველი ბატონი" [159. 116]. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქართლში და კერძოდ, ქსნის საერისთავოში



შექმნილმა სირთულეებმა აიძულეს სამეფო კარი, აღეძრათ შუამდგომლობა ირანის შაჰის წინაშე, რათა ქსნის ერისთავად დაემტკიცებინა კვლავ შანშე - და დარწმუნებულნი იმაში, რომ მათი თხოვნა დაკმაყოფილდებოდა, წინასწარ შანშეს მისცეს ერისთავობა და საჩუქრად 100 თუმანი.

თუმცა პოლიტიკური მოვლენები ირანის სამეფო კარზე ისეთი სისწრაფით განვითარდა, რომ შანშესთვის აღარავის ეცალა. ნადირ-შაჰი თავისმა ძმისწულმა ალიყული-ხანმა მოკლა და თავი ირანის შაჰად გამოაცხადა. ალიყული-ხანი თეიმურაზის სიძე იყო. ერთ წელიწადში ირანის შაჰი მისმა ძმამ იბრეიმმა მოაკვლევინა. მალე იბრეიმსაც გამოუჩნდა თავისი მოწინააღმდეგე ნადირ-შაჰის შვილი-შვილის სახით. "იდგა შანშე ქალაქში ცოლშვილით და ქსნის ხევს პატრონობდა ქართველი ბატონი". ირანის ცენტრში დაწყებული ხელისუფლებისათვის ბრძოლა სწრაფად გავრცელდა პროვინციებში. ქართლში და ქართლისათვის ბრძოლა ახალ ფაზაში შევიდა. თეიმურაზი ირანში იმყოფებოდა. ქართლის მეფობას იასე მეფის ძე აბდულა-ბეგი ჩემულობდა და ერეკლეს იარაღით უპირისპირდებოდა. ქართლში ხელისუფლებისათვის დაწყებულ ომში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა თუ ვის მხარეზე დადგებოდა შანშე. "უბოძა მეფე ერეკლემ შანშეს ისევ ერისთაობა ქსნისა და მამული თვისი და სთხოვა ჯარი. შეიყარა მაშინვე კაი ჯარი და ჩამოვიდა ქალაქს და დაუდვა ფიცი მტკიცე. პატრიარქიცა თავდებობითა: "მამას შენსა და შენს მეტი ბატონი არ ვიცოდე" [159. 128].

როგორც ჩანს, მეფე ერეკლემ ახლა უკვე რეალური ძალაუფლება მისცა შანშეს. პაპუნა ორბელიანის მონათხრობის სისწორის დასამტკიცებლად პროფესორ დავით გვრიტიშვილს მოაქვს საარქივო მასალა – "1747 წლის 26 ოქტომბრით დათარიღებულ ქსნის ხეობის მცხოვრებთადმი გაცემულ ბრძანებაში ვკითხულობთ: "ჩვენი ბძანება არის ერთობით ქსნის საერისთაოს აზნაურიშვილნო და გლეხნო, ოსო და ქართველნო, მთისა და ბარის კაცნო, - თქვენ ისევ

ბატონის შანშე ერისთავისათვის წყალობა გვიქნიხართ და გვიბოძებიხართ, ყველანი ამას მიუდექით, რომელიც ბატონყმობის რიგი იყოს ისე ემსახურენით. ჩვენის ერთგულებით ამისის სიტყვისა და სამსახურის მორჩილნი იყავით" [55. 326-327]. ცოტა ხანში ქართლში ხელისუფლებისათვის ბრძოლა ერეკლეს გამარჯვებით დამთავრდა, რაშიც გარკვეული როლი შეასრულა შანშემ.

პაპუნა ორბელიანი გადმოგვცემს: "მოუვიდა ხალათი კიდევ მეფეს ერეკლეს და ამ ხალათის მერვესა დღესა კიდევ მოუვიდა ცხენი, თვისი საჯდომი მურასა უნაგირით და ოქროს რახტით შეკაზმული, ხალათი და ათასი თუმანი, ... კვლავ დარბაისელთა ქართლისა და კახეთისათა. მუხრან ბატონს კონსტანტინეს, სარდალს რევაზს, ეშიკაღაბაშს დიმიტრის, შანშე ერისთავს" ... [159. 153]. ეს ფაქტობრივად, ირანის შაჰის კარის მიერ, ერეკლეს მეფედ და ქართლის, ასევე კახეთის დიდებულების, სახელისუფლო თანამდებობებზე დანიშვნა-აღიარებას ნიშნავდა.

შანშე ერისთავი ცდილობს დარბეულ-გავერანებული საერისთავოს აღდგენა-გაძლიერებას. ამ დროისათვის ახალგორის მოურავად და ქსნის სახლთუხუცესად მოჩანს აზნაური ავთანდილ ფიცხელაური, ხოლო ქსნის ბოქაულთუხუცესად და წირქოლის მოურავად თექთუმან ფიცხელაური. შემდგომში ეს თანამდებობები ფიცხელაურებმა სამემკვიდრეოდ გაიხადეს. ავთანდილ ფიცხელაურის შვილი იყო საკმაოდ ცნობილი და კოლორიტული პიროვნება - არჯევან ფიცხელაური [245. 145]. მათი შთამომავალნი არიან იკოთელი ფიცხელაურები.

1748 წლის 23 მაისით დათარიღებული დოკუმენტით ვიგებთ, რომ ერეკლე მეფემ შანშე ქსნის ერისთავს ისევ უწყალობა თიღვა, რომელიც ადრე ქსნის ერისთავებს ეკუთვნოდა - "უბრძანა იასაულს ხელი აუმართოს და შანშე ქსნის ერისთავს მიაბაროს" [45. 74]. 1750 წელს თვალებდამწვარი შანშე ქსნის ერისთავი ამკობს თეოდორე ტირონის ხატს და ქვემოთ აწერს: "ჩვენ ერისთავთ-ერისთავმა შანშე შევამკე ხატი ეგე ლარგვის მონასტერს წმინდის თეოდორე ტირონისა, რათა მეოხ მექმნეს წინაშე ღვთისა... ქორონიკონსა უკიჱ" [82. 272].



1751 წლის 3 აგვისტოს ნასყიდობის წიგნის მიხედვით ვიგებთ, რომ შანშე ერისთავს უყიდია ზაალ ჯავახიშვილისაგან" - "კედელაძე ბერუკა და იმისი ბიძაშვილი იასე თავისის ცოლითა და შვილით უმამულოთ" [175. 43].

## §19. მემარცხენე ფრთა

1751 წლიდან თეიმურაზ-ერეკლეს გარკვეული სირთულები შეექმნა. მაჰმადიანური სამყარო ერთიანდებოდა ქართლ-კახეთის წინააღმდეგ. აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკოსებმა შექმნილი სიტუაცია სწორედ გათვალეს და ჭარზე ლაშქრობა გადაწყვიტეს. პაპუნა ორბელიანი მოგვითხრობს: "რადგან ლეკთა ქართლისა და კახეთის მტრობა არ მოიშალეს, ამას სულ ჭარელნი მტრობდეს, გარდმოყვანდეს ჯარი დაღისტნიდამ, უსადგურიან ბელადი, მისციან და აოჴრებდიან მუდმისად ქართლსა და კახეთსა" [159. 180-181].

1751 წ. თებერვალში ქართლ-კახეთის გაერთიანებული ლაშქარი ჭარზე საბრძოლველად წავიდა. ჭარელებმა ბრძოლის მონღოლური წესი გამოიყენეს. პირველ შეტაკებაში ქართველებმა წარმატებებს მიაღწიეს - "გააქცივეს ლეკი და მრავალი კაცი მოკლეს აჯი-ჩალაბს, ამ გამარჯვების ამბავში დამალული (ჩასაფრებული - ვ.ღ) ჯარები რომ ყვანდა აჯი-ჩალაბს, ამით მემარცხენე ჯარს შემოუტივეს, პირველსავე შემოტევაზე გამოაქცივეს საერისთაოების ჯარი, ვეღარ შემაგრდენ, ამათ განჯის ჯარი უდგა უკან. ეს რომ გამოქცეულნი ნახეს ის განჯის ჯარი უკრავად (უბრძოლველად - ვ.ღ.) გაიქცა. აირივა ჯარები" [159. 182].

სამწუხაროდ, ეს მნიშვნელოვანი ლაშქრობა ქართველთა დამარცხებით დამთავრდა, მიზეზი კი ქსნელთა და არაგველთა არაორგანიზებულობა იყო - "პირველსავე შემოტევაზე გამოაქცივეს საერისთაოების ჯარი, ვეღარ შემაგრდენ".

პაპუნა ორბელიანის მიხედვით, ქსნის და არაგვის საერისთავოს ლაშქარი ქართველთა ლაშქრის მემარცხენე ფრთა ყოფილა: "მემარცხენე ჯარს შემოუტივეს". იგივე ავტორის მიხედვით - "გააკეთეს, ვითაც ძველად რიგი ყოფილიყო, დროშა ოთხი ჯვრითა მოცული. ერთი უბოძა ორბელიანს ქაიხოსროს, მეორე - მუხრან-ბატონს კონსტანტინეს, მესამე - ამილახორს დიმიტრის და მეოთხე ბატონის (ე.ი. მეფის, ვ.ღ.) კერძო ვლიდა... უბძანა ორსავ (ქსნისა და არაგვის - ვ.ღ.) ერისთავის ჯარს მუხრან-ბატონის დროშაზე მისვლა, ვითაც ძველთაგან ორი ერისთავის მამული მუხრან-ბატონის სასარდლო ყოფილიყო" [159. 102]. ბრძოლის წინ ქსნელი და არაგველი მოლაშქრენი მუხრან-ბატონის დროშის ქვეშ, მარცხენა ფრთაზე უნდა მდგარიყვნენ. მაგალითად, 1749 წელს ერევანთან ბრძოლის წინ ქართველთა ჯარის წყობას პაპუნა ორბელიანი შემდეგნაირად გადმოგვცემს: "განაწყვეს ჯარი ქართველთა და კახთა ოთხს დროშად: მეწინავედ ორბელიანი რევაზ, სარდალი, საბარათაშვილოს ჯარით და თათრის - ქართლის ელით, ქისიყის მოურავი თამაზ ქისიყის ჯარით და ვინა დროშის კაცნი ჰყვანდენ, მემარჯვენედ ამილახორი ამირანდო ზემო ქართლის ჯარით და ვინა მემარჯვენე ჯარი იყო, კახის ბატონისა და ყაზახის ჯარსაც ამათთან უბძანეს მისვლა, მემარცხენედ მუხრან-ბატონი, სალთ-ხუცესი კონსტანტინე ორივ საერისთავოს (ქსნისა და არაგვის - ვ.ღ.) ჯარით და ბორჩალუს ჯარით, ჩერქეზის ბატონიც ჯარით თან ახლდათ. ამასაც მემარცხენე დროშაზე უბრძანეს მისვლა, ორსავ ბატონის დროშები თვისის ჯარებით ბატონებს (მეფეებს, თეიმურაზ, ერეკლე - ვ.ღ.) ეხვივნენ და ესე რაზმი დაწყობილი გავიდნენ საომარსა ალაგსა" [159. 161].



ამდენად, 1751 წლის თებერვალში ქართველთა ჭარზე ლაშქრობა მარცხით დამთავრდა. ისტორიკოსი არაფერს გვეუბნება ვისი მიზეზით დამარცხდა ქართველობა. "ამის მეტად მეფეს თეიმურაზს და მეფეს ერეკლეს არ დამარცხებოდათ და ახლაც გაუჭირებლად, უბრალოდ დაუმარცხდათ, ერთის ავის კაცის მიზეზით თორემ იმათი ჴლმის ძალა და სახელი ყოველს ქვეყანას განფენილიყო" [159. 182]. ჩვენ არ ვიცით ვინ იყო ის ავი კაცი, რომლის მიზეზითაც ქართველობამ ბრძოლა წააგო.

## §20. ბრძოლა ქართლ-კახეთისათვის

ჭარში წაგებულ ომს, ქართველებისათვის უაღრესად მძიმე შედეგები მოჰყვა. "ქართლი მტრით სავსე იყო, რომ ალაგი აღარ იყო, რომ ლეკი არ იდგა" [159. 184]. ამას დაემატა ადერბაიჯანის მფლობელის აზატ-ხანის ანტიქართული ქმედებები. 1751 წ. შუა პერიოდში – "აღბორგდა მჴეცი ცოფოვანი (აზატ-ხანი - ვ.ღ.) და განიზრახა საქმე ბოროტი, ყათლანი (მოკვლა) ქართველთა და მოოჴრება ქართლისა, შემოიყარა თვრამეტი ათასი კაცი" [159. 185]. თეიმურაზ-ერეკლემ სათანადო ღონისძიებები გაატარეს, მაგრამ გენერალური ბრძოლის წინ "ქართველთა ჯარი მათი მეხუთედი ძლივ იქნებოდა. პირველსავე მოსვლაზე მოუხდენ მემარცხენესა ჯარსა. პირველ გაემარჯვათ ქართველთ, მერე გაემარჯვათ ავღანთა, გამოაქცივეს მემარცხენე ჯარი ქართველთა, გამაგრდა ქვეითობა ერთს ნასოფლარში ქართველთა და დიდი ომი გარდაიხადეს, დაიჴოცა ორგნითვე" [159. 186], ე.ი. ადერბაიჯანის მფლობელი აზატ-ხანი, რომელიც ამავე დროს ირანის შაჰობაზე პრეტენზიას აცხადებდა მოდის ქართლ-კახეთის წინააღმდეგ: და ჰყავს 18000 კაცი. ქართველთა მხედრობა ერეკლე II-ის ხელმძღვანელობით უპირისპირდება მომხდურთ. ერეკლეს დაქვემდებარებაში არის

3600 კაცამდის. პირველ შეტაკებაში ქართველები იმარჯვებენ, შემდგომ მტერს ქართველთა მარცხენა ფრთაზე, სადაც ქსნის და არაგვის საერისთავოს ჯარებია თავმოყრილი, მიაქვს იერიში: "გამოაქცივეს მემარცხენე ჯარი". ამისდა მიუხედავად, ქართველობამ ბრძოლა მოიგო - "გაერივნენ ქართველნი (ქართლელნი - ვ.ღ.) და კახნი. კაფეს ჭმალდაჭმალ, მეფე ერეკლე, ვითა ლომი დაუშრომელი, (დაუცხრომელი) ეგრე იბრძოდა თვითცა და ჯარსაც აბრძოლებდა. ამოწყვიტეს ავღანნი და ყიზილბაშნი, რომ ყათლანი დამართეს" [159. 187].

ისტორიკოსი არც ამჯერად გვეუბნება ვინ იყო მემარცხენე ფრთის, მემარცხენე ჯარის სარდალი. სად იყვნენ და რა ფუნქციას ასრულებდნენ სახლთუხუცესი კონსტანტინე მუხრან-ბატონი და შანშე ერისთავი. მაგრამ ის რომ კონსტანტინე მუხრან-ბატონის ისედაც მაღალი უფლება-მოვალეობანი სამეფო კარმა კიდევ უფრო გაზარდა 1752 წლის პირველ ნახევარში, როცა სახლთუხუცესად დანიშნა, გვეუბნება რომ ის ერთ გუნდში იყო თეიმურაზ-ერეკლესთან.

## §21. ერისთავთა სიძე ბამან-ხანი

1741 წლის ბოლოდან 1745 წლის პირველი ნახევრის ჩათვლით, სახელისუფლო ძალაუფლებას ჩამოშორებული შანშე და იასე ირანში იმყოფებოდნენ. პ.ორბელიანი მოგვითხრობს: "ბამანი დაბალი კაცისშვილი იყო და თათარი. ეს ქალი ოდეს შანშე ერისთავი და ძმა მისი ყულარაღასი იასე შაჰ-ნადირ ყაენის რისხვით ერანის ქვეყანაში ცოლშვილით პატიმარ ქმნეს, იქ შეერთო" [159. 224].

ამდენად, ბამან-ხანი ქსნის ერისთავთა სიძე 1741-45 წლებს შუა მონაკვეთში გამხდარა. სავარაუდოა, რომ ბამანმა ამის შემდგომ გაიკეთა კარიერა.

ერეკლე მეფემ აზატ-ხანთან წარმატებული ბრძოლის დამთავრებისთანავე (1751 წ.), ნახჭევანის ყოფილი ხელმძღ-



ვანელი ბამან ხანი კვლავ აღადგინა სახელისუფლო უფლებებში და ქართლის ჯართან ერთად გააგზავნა ნახჭევანის დასაკავებლად - "დაიჭირეს ისევ ნახჭევანი და დადგნენ შიგ" [159. 188], მაგრამ მალე მდგომარეობა ისევ გართულდა: "გარდმოვიდა დიდი ჯარი ლეკისა ჭარში ასეთი, რომ ჯერ ამისთანა ჯარი ერთად არ გარდმოსულიყო" [159. 189]. ლეკების გადმოსვლა, როგორც ჩანს, აზატ-ხანთან იყო შეთანხმებული, რადგან იმავე პერიოდში აზატ-ხანმაც გააქტიურა ქართველთა საწინააღმდეგო მოქმედება - "მოუხდა აზატ-ხან ნახჩევანს, გამოეცალნენ ჩვენი ჯარი. ბამან-ხანი მოვიდა გოგჩას, ზაალ ორბელიანი მოვიდა ქალაქსა, ბამანხანიც დაიბარა ბატონმა, მოვიდა ქალაქსა თვისის ჯარით" [159. 190]. ქსნის ერისთავების სიძე, ნახჭევანის ხანი ამ პერიოდში აშკარად თეიმურაზ-ერეკლეს მომხრეა.

მეფეებმა - თეიმურაზ-ერეკლემ 1752 წლის იანვარში "შემოიყარეს ჯარი ქართლისა და კახეთისა, პირიქით და პირაქით ოსისა, თუშ-ფშავნი, მოჭევე-ხევსურნი და ყოველი მთის ჯარები, რომელნი მონებდენ ქართველ ბატონს ანუ კახ-ბატონს, შამხლისშვილი ლეკის ჯარით" [159. 191]. გაერთიანებული ლაშქარი თბილისიდან განჯისაკენ წავიდა შექ-შირვანის მფლობელ აჯი-ჩალიბის წინააღმდეგ საბრძოლველად, რადგან მდინარე ალაზანი ადიდებული იყო გადასვლა გაჭიანურდა. გაერთიანებულ ჯარში ბევრი მაჰმადიანი იყო. მათი გადაბირება შესძლო აჯი-ჩალიბიმ. მომხრეებშემოცლილი ქართველთა ლაშქარი 1752 წლის 12 აპრილს სასტიკად დამარცხდა.

## §22. მაჰმადიანთა გარემოცვაში

შექ-შირვანის მფლობელმა აჯი-ჩალიბმა ანტიქართული მუშაობა გააძლიერა. თეიმურაზ-ერეკლეს მფლობელობაში მყოფ ყველა მაჰმადიან თემში წერილები დაგზავნა: "ქართ-

ველ ბატონს ნუღარ ემსახურებითო, თორემ ყათლანს გი-
ზამო: თათარს ქართველს კაცს აღარ გაყმობო" [159. 195].

ფაქტობრივად, აჯი-ჩალიბმა თეიმურაზ-ერეკლეს მთელი
მაჰმადიანური გარემოცვა დაუპირისპირა. ქართველმა პო-
ლიტიკოსებმა შესაბამისი ზომები მიიღეს და ჯარების შეგ-
როვება დაიწყეს. მეტად რთული სიტუაცია შეიქმნა. სიმშ-
ვიდე არც დასავლეთ საქართველოში იყო. როსტომ რაჭის
ერისთავმა და ლევან აბაშიძემ გაერთიანებული ძალებით
იმერეთის მეფეს სოლომონს შეუტიეს, დაამარცხეს იგი და
განდევნეს. სოლომონი ახალციხის ფაშას შეეხიზნა.

ქსნის ერისთავთა სიძე, ნახჭევნის ხელმძღვანელი, "ბამ-
ან-ხან და ასლან-ბეგ თავეთის ჯარით მენაპირეთ ვაშლოვ-
ანს დააყენეს, ლეკზე გაემარჯვათ, თავები ქალაქს მეფეს
მოართვეს, ბოლოს ღალატი შეაჩნდათ, აზატ-ხანს ლაპარა-
კი დაუწყეს და ბამან-ხან და უსეინ ბეგ დაიჭირეს" [159.
197].

იასე ყულარაღასის სიძე, ბამან-ხანი, ასლან-ბეგთან ერ-
თად თეიმურაზ-ერეკლეს გვერდში უდგას ლეკთა წინააღმ-
დეგ ბრძოლაში და გარკვეულ გამარჯვებასაც აღწევს. თუ-
მცა, ადერბაიჯანის მფლობელი არ ურიგდება ქართლ-კახე-
თის გაძლიერებას და ცდილობს ქართველთა ერთიანობაში
განხეთქილების შეტანას. კერძოდ, აზატ-ხანი აკეთებს გარ-
კვეულ შეთანხმებას ქართლზე მეფობის პრეტენდენტთან,
იასე მეფის შვილ უსეინ-ბეგთან, რათა დაიწყოს მოქმედება
ქართლზე გაბატონებისათვის. პარალელურად მოლაპარაკე-
ბას აწარმოებს ბამან-ხანთან, რომ განუდგნენ ერეკლეს და
მიემხრონ აზატ-ხანს. მათი მოლაპარაკებანი ცნობილი ხდე-
ბა ერეკლესათვის და ბამან-ხანს და უსეინ-ბეგს აპატიმრე-
ბს. პოლიტიკური კლიმატი კიდევ უფრო მძიმდება. ქვეყანა-
ში მდგომარეობა უმართავი ხდება. პაპუნა ორბელიანი მო-
გვითხრობს: "რადგან ეს ქვეყნები ასე აირივა, მტრები ქარ-
თლის ქვეყანაზე დიდად გათამამდნენ, ჯარი აღარსად იყო
შეყრილი, ქართლისა და კახეთის ჯარები დაიფანტნენ. ყუ-
ელა თავ-თავის ალაგებს ამაგრებდა" [159. 197-198]. თეიმურ-



აზ-ერეკლემ მოლაპარაკებები გამართეს აჯი-ჩალიბთან და
პარალელურად ჯარების შეგროვება დაიწყეს. დაქირავებ-
ულ ჯარებს მუხრანში უყრიდნენ თავს. თუმცა მტერმა ჯა-
რების დაქირავების საშუალება და დრო არ მისცა. "ზუბე-
დალი ბელადი ათას ხუთასის ცხენოსანის ლეკით გამოვი-
და, ჩამოდგა ზემო ქართლში, მრავალი ალაგი
ააოჴრეს..."[159. 199]. ქართველებმა ამილახორის ხელმძღვა-
ნელობით მაშველი ჯარი გაგზავნეს, შემდგომ კონსტანტი-
ნე მუხრან-ბატონიც გაჰყვა ჩერქეზთა დაქირავებული ჯარ-
ით: "წამოვიდა ეს ლეკის ჯარი, დაარბივეს პატარა ლიახვ-
ის შეყოლება, საცა რამ შენობა იყო. დაწვეს კულბითის
გარშემო" [159. 199]. ქართველები კულბითის ბოლოს ელო-
დებოდნენ - "შეიბნენ, გაემარჯვათ ლეკზე დიდად, ამოწყვი-
ტეს მრავალი ლეკი" [159. 200]. დამარცხებულმა, დევნილმა
ლეკებმა მაინც შესძლეს წალკის თრიალეთის დარბევა,
"აიღეს ციხე ფიტარეთისა ლეკთ და იავარ-ყვეს საქონელი
ურიცხვი საყდრისა, წაასხეს ტყვე ფრიადი" [159. 200].

ლეკები კი გაეცალნენ საქართველოს, მაგრამ ახლა
აჯი-ჩალიბის შვილი წამოვიდა დიდი ჯარით. მათ მეფე ერ-
ეკლემ დაქირავებული ჯარი, ქართლისა (მათ შორის ქსნის
საერისთავოდან) და კახეთის ჯარები დაუპირისპირა. მომხ-
დურებმა სიტუაცია რომ შეაფასეს, ერეკლეს ზავი შესთა-
ვაზეს. ზავი არ შედგა. მეფე ერეკლე "მიუძღვა ჯარს და
ვითა ლომი, ეგრე მიესივა, გაერივა ჴმალ და ჴმალ. ამის
მნახველი ვინ დადგებოდა უომრად" [159. 202]. ქართველებ-
მა თეიმურაზ-ერეკლეს ხელმძღვანელობით ბრწყინვალე გა-
მარჯვება მოიპოვეს. სამწუხაროდ, წყაროების სიმწირის
გამო კვლავ არ ჩანს ვინ ხელმძღვანელობდა ქსნელთა ლა-
შქარს, მაგრამ მათ რომ თავდაუზოგავად იომეს ეს იგრძ-
ნობა. პოლიტიკური ვითარება ქართლ-კახეთის მეფეთა სა-
სარგებლოდ შემოტრიალდა.

გამარჯვების შემდეგ ქართლ-კახეთის მეფეებმა დაქირა-
ვებული ჯარი უკან გაუშვეს, ქართლ-კახეთის მებრძოლებ-
იც "წავიდნენ ქვეყანათა თვისთა" [159. 204].

როგორც კი ქართველთა შეიარაღებული ძალების დაქსაქსვა შეიტყო აჯი-ჩალიბის შვილმა ახალი ლაშქრობა დაიწყო. "შემოიყარა ჭარის ჯარი და შირვანისა,... განჯის ხანმაც თავისი ქვეყნის ჯარი გამოუსივა" [159. 204] და დაიწყეს თარეში. ქართლის სამეფო კარმა სასწრაფო ზომები მიიღო: "სომხით საბარათაშვილოს ჯარს საჩქაროდ დაუძახეს... მოქალაქეთა ჯარი, ცოტა რამ მთის ჯარი იყო ქალაქში, ბამან-ხან თავისის თაბუნის კაცით, ბორჩალუსა და დემურჩიასანლის ჯარი, ესე ყოველი საჩქაროდ შეკრიბეს" [159. 205]. ე.ი. საჩქაროდ შეყრილი ჯარის ჩამონათვალში მემატიანე ასახელებს ქსნის ერისთავთა სიძეს ბამან-ხანს, მისდამი დაქვემდებარებული ადამიანებით. მაშასადამე ბამან-ხანი კვლავ თეიმურაზ-ერეკლეს მხარესაა. თუმცა არ ჩანს დაპატიმრების შემდეგ რა დროში მოხდა მისი შემორიგება ქართლის სამეფო კართან, ან ვინ იყო შუამავალი.

მაშ ასე, შეყრილია ჯარი და მტრის დასახვედრად მიდის. აჯი-ჩალიბის შვილმა, როგორც კი შეიტყო ქართველთა საპასუხო ღონისძიების შესახებ, სასწრაფოდ უკან გაბრუნდა. მეფის ბრძანებით ქართველთა ჯარიდან დაწინაურდნენ "სულხან ეშიკალ-აბაში და ბამან-ხან", მაგრამ სწრაფად მიმავალ აჯი-ჩალიბის შვილის ლაშქარს ვერ დაეწივნენ. "მოარბიეს აჯი-ჩალიბის მხარდამჭერნი, დაამარცხეს მოთარეშე ლეკთა რაზმი და უკან დაბრუნდნენ".

თბილისში დაბრუნებულებმა გამარჯვების აღსანიშნავი ზეიმი მოაწყვეს, რომელშიც მონაწილეობდნენ: "ორსავ (ქსნისა და არაგვის - ვ.ღ.) საერისთავოს თავადნი თავისის ჯარით" [159. 205]. მემატიანე არაფერს გვეუბნება, კონკრეტულად ქსნის საერისთავოდან ვინ ხელმძღვანელობდა ქსნელთა ლაშქარს და ვინ იღებდა ზეიმში მონაწილეობას. ჩვენი აზრით ეს პიროვნება იყო შანშე ერისთავი, რომელიც ამ პერიოდში კვლავ აფართოებს სამამულო მფლობელობას.

1752 წლის ერთი საბუთის მიხედვით ჩანს, რომ "ქსნის ერისთავი შანშე ბარძიმ ფალავანდიშვილისაგან ავნევში



ყიდულობს მამულებს" [45. 73-74]. ამავე, 1752 წელს "შანშე ქსნის ერისთავი ბეჟან გოშტაბაშვილისაგან ხრამში ყიდულობს 4 საკომლო მამულს ყმებით".

ქართველთა გამარჯვების მიუხედავად, მაჰმადიანური გარემოცვა ქართლ-კახეთის წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადება და გარკვეულ დაჯგუფებას ქმნის.

1753 წლის იანვარში ერეკლე მეფე, ქართლ-კახეთს ჯარით ჩადის ბაიდარში და იქ სამხედრო ძალების დათვალიერებას აწყობს; როგორც ჩანს, ეს აღლუმი მოწინააღმდეგე დაჯგუფების დაშინებას ისახავდა მიზნად.

ბაიდარში ყოფნისას ერეკლე მეფესთან გამოცხადდა - "სულთნის ძმა თალიბეგ და ყაზახის ქეთხუდები, მოართვეს ფეშქაში და შემოეხვეწნენ: "ამდენის ჯარის დახდომას ჩვენ ვერ შევძლებთო, მძევლებს მოგართმევთ, რომ თქვენს მეტი ბატონი ჩვენ არ გვინდოდესო და ჯარიც დაგვიყენეთო და თქვენ კი ნუ გაირჯებითო". უსმინა ეს მოხსენება" [159. 207], ერეკლემ ყაზახში ლაშქრობა მოშალა და საზღვრისპირა რეგიონის გასაძლიერებლად მთელი რიგი ღონისძიებები ჩაატარა. კერძოდ, "გამოართვა მძევლები და გამოგზავნა ქალაქსა თბილისისასა, აარჩივეს ხუთასი ცხენოსანი კაცი, ამას უთავეს ამილახორი რევაზ და ამილახორის შვილი რევაზ ქართლსა და კახეთის კაცსა, ბამან-ხან თავისი კაცით და ესენი გააგზავნა ყაზახში, დააყენა მენაპირეს ჯარად. რადგან ელების კაცთ ბევრი შემოსცოდეს ქართველ ბატონს და ამათაც დანაშაული აპატივეს, აღარც ასე ენდვნენ, რომ კიდევ იმგვარი საქმე ექნათ. ჩაუყენა მეფემ ერეკლემ კაცნი ჩინებულნი ბორჩალუსა ბაიდარში, დემურჩიასანლის ელებში, კახეთის ელებში და ვინც თავი და ობების ქეთხუდები იყვნენ, სულ ყველა ცოლ-შვილით აჰყარა და მოიყვანა ქალაქსა თბილისისასა" [159. 207]. ამ ღონისძიებების შემდგომ ერეკლე თვითონაც ბრუნდება თბილისში.

როგორც შემდგომი მოვლენები გვიჩვენებს, გატარებულმა ქმედებებმა სათანადო შედეგი ვერ გამოიღეს. თეიმურ-

აზ-ერეკლეს საწინააღმდეგო კოალიცია მაინც შედგა, რომლის შემადგენლობაში გაერთიანდნენ როგორც შიდა მოწინააღმდეგენი, ასევე "ჭარელნი, შაქი-შირვანისა, განჯა-ყარაბაღისა, ბარდისა, ბარგუშათისა და სიღნაღისა. ამ ქვეყნების ჯარი ყველა ქართლსა და კახეთზე გამოემზადნენ" [159. 208].

## §23. ბამან-ხანი და ზურაბ ერისთავის შვილი

ქართლ-კახეთის გაძლიერების მოწინააღმდეგეები აქტიურ ქმედებაზე გადავიდნენ: "მოუხდა ჯარი ყაზახს, შეებნენ ქართველნი და კახნი, გაემარჯვათ ლეკზე. გაიქცა ბამან-ხან თავისის კაცით ყაზახიდამ, თან გაყვა ცოტას კაცით ზურაბ ქსნის ერისთავის შვილი, მივიდნენ განჯას, მოეგება განჯის ხანი, იამა დიდად, დააყენა პატივით განჯას" [159. 207], ანუ ყაზახზე ლეკის ჯარის თავდასხმისა და ქართველების გამარჯვების მიუხედავად ბამან-ხანი და ზურაბ ერისთავის შვილი აშკარად განუდგნენ თეიმურაზ-ერეკლეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბამან-ხანი და ზურაბ ერისთავის შვილი ადრევე იყვნენ თეიმურაზ-ერეკლეს ღალატის გზაზე დამდგარი. სეპარატისტთა პოზიცია ქსნელთა მხოლოდ მცირე ნაწილმა გაიზიარა - "თან გაყვა (ბამან-ხანს - ვ.ღ.) ცოტას კაცით ზურაბ ქსნის ერისთავის შვილი".

რეგიონის ხელმძღვანელის "უკუდგომა" და დაუმორჩილებლობა ცენტრალური ხელისუფლებისადმი იმ პერიოდში ჩვეულებრივი მოვლენა იყო. "იმერეთში ფეოდალები ლევან აბაშიძე და როსტომ რაჭის ერისთავი გაძლიერებულიყვნენ. მათ იმერეთის მეფე სოლომონი დაამარცხეს და ახალციხეს განდევნეს" [31. 359]. დასავლეთ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები თავისებურ ასახვას პოულობდნენ აღმოსავლეთ საქართველოში.



განდგომილი ზურაბ ერისთავის შვილი და ბამან-ხანი განჯის ხანმა დიდი პატივით მიიღო და შაქის მმართველ აჯი-ჩალიბთან გაგზავნა. აჯი-ჩალიბმა ლტოლვილნი დიდი ღირსებით მიიღო - "მისცა ხალათი და თეთრი ინამად" [159. 207]. საჩუქრის მიღების შემდეგ ბამან-ხანი და ზურაბ ერისთავის შვილი აჯი ჩალიბს დაჰპირდნენ "ქართლის დაჭერასა. დაუჯერა აჯი ჩალიბმაც და შექმნა მზადება, შემოიყარა ჯარები და დააპირა წამოსვლა ქართლზე და კახეთზე ორპირათ გაყო ჯარი, ერთს ჯარს ბამან-ხანი მოუძღოდა ქართლზე, მეორეს ზურაბ ერისთავის შვილი კახეთზე" [159. 207-208]. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართლ-კახეთის მოწინააღმდეგეთა კოალიციაში შედიოდნენ: "ჭარელნი, შაქი-შირვანისა, განჯა-ყარაბაღისა, ბარდისა, ბარგუშათისა და სიღნაღის", ასევე სეპარატისტები: ზურაბ ერისთავის შვილი და მისი სიძის - ბამან-ხანის სამხედრო ძალები. თეიმურაზ-ერეკლემ სასწრაფო კონტრზომები მიიღეს: "ამა ამბავსა შინა აეშალა აჯი-ჩალიბს შამახიის ხანი და ყუბა-ყან, შემოებნენ გაემარჯვათ, დაუმარცხეს აჯი-ჩალიაბს და განჯის ხანს, ასე, რომ ყათლანი დამართეს. მოვიდა განჯას გამოქცეული განჯის ხანი და თან მოყვნენ ბამან-ხან და ზურაბ ერისთავისშვილი. ჩაუარათ ცუდმა თათბირმან, დარჩნენ განჯას შეწუხებულნი, ცოლ-შვილი დარჩა ქალაქსა თბილისსა, ბამან-ხანს ქსნის ერისთავის ქალი ყვანდა ცოლად და აღარ მისცეს" [159. 208].

## §24. შანშეს სიკვდილი

დოკუმენტების სიმწირის გამო, ჩვენ არ შეგვიძლია ზუსტად განვსაზღვროთ ქსნის ერისთავთა სახლიდან კიდევ ვინ იყო გარეული თეიმურაზ-ერეკლეს საწინააღმდეგო ქმედებებში, მაგრამ შემდგომი მოვლენების გათვალისწინებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თეიმურაზ-ერეკლეს საწინააღმდეგო მოქმედებებს უთანაგრძნობდა შანშე ერისთავი.

თეიმურაზ-ერეკლეს გარკვეული ღონისძიებების შემდეგ, მოწინააღმდეგე მხარემ აქტიურობა შეანელა (თეიმურაზმა დისშვილი მიათხოვა აზატ-ხანს), მაგრამ დამარცხებულები მაინც არ მშვიდდებოდნენ და რევანშისთვის ემზადებოდნენ:

"გარდმოვიდა დიდრონი ჯარები დაღესტნიდამ, მივიდნენ ქვეყანასა ზამბაკისასა, გატეხეს ციხეები, დაატყვევეს, ამოწყვიტეს, ურიცხვი ტყვე და საქონელი წამოიღეს. მიუხდნენ ყარსისა ქვეყანათა, წაახდინეს... დაუწყეს რბევა ქალაქსა თბილისისასა გარეშემოთა. შემოიყარა ჯარი ქართველმა ბატონმა მეფემ თეიმურაზ და კახმა ბატონმა მეფემ ერეკლემ ქართლისა და კახეთის ჯარი, გაბრძანდნენ ქალაქით, დადგნენ მარაბდას. მოვიდა ჯარი ლეკისა. შეიბნენ, შეუტივეს მეფეთა ჩვენთა... ამოწყვიტეს ლეკნი" [159. 210]. ამ ბრძოლებში თეიმურაზ-ერეკლეს გვერდით განსაკუთრებით აქტიურობდა მემარცხენე ჯარის სარდალი კონსტანტინე მუხრან-ბატონი. პაპუნა ორბელიანი არაფერს გვეუბნება, ღებულობდნენ თუ არა მონაწილეობას ქსნის ერისთავები. "იალღუჯისაკენ რომ ლეკნი გაიქცნენ, ამათ მუხრანის ბატონი კონსტანტინე გამოუდგა და ზოგნი ვინმე ქართველთა და კახთა თავადთაგან დაერივნენ შიგ ჰმალდაჰმალ, ასე ამოწყვიტეს ლეკნი" [159. 210]. ამდენად, შედიოდნენ თუ არა ქსნელები "ზოგნი ვინმე ქართველთა" შორის, ძნელი სათქმელია. მაგრამ ამ ბრძოლის შემდეგ თეიმურაზ-ერეკლემ რომ შანშე ქსნის ერისთავი გადააყენა ერისთავობიდან და ერისთავად დაინიშნა შანშეს ძმისშვილი დავითი, გვაფიქრებინებს, რომ შანშეს არ მიუღია მონაწილეობა დაღესტნელთა წინააღმდეგ ბრძოლებში - "დაიბარეს ჯარი საერისთაოებისა, დაიჭირეს ერისთავი შანშე, მისცეს ქსნის ერისთაობა მის ძმისწულს დავით. შანშე გამოგზავნეს ქალაქს, შეპყრა სენმა და მოკვდა შანშე" [159. 210].

პ. ორბელიანის მონაცემებს ავსებენ საარქივო დოკუმენტები - "შანშე ერისთავი არა დაცხრებოდა ამასაცა დროსა ორგულობისაგან მეფეთასა მქონი მიწერ-მოწერისა მეზობელთა ერთთანა". ერეკლეც ამტკიცებს, რომ შანშე "ჩვენს ორგულობაში მოკვდაო" [55. 327].

ამდენად, შანშე ქსნის ერისთავად იყო ორჯერ – პირველად 1720-1741 წლებში, შემდეგ ქსნის საერისთავოს 1741 წლის აგვისტოდან 1743 წლის ბოლომდე მართავდა გივი ამილახორი.

1744 წლის დასაწყისიდან ქსნის საერისთავო უშუალოდ ერეკლე II-ის დაქვემდებარებაშია.

1744 წელს, დაახლოებით შუა პერიოდში, ქსნის ერისთავი იყო რატი რატიშვილი, მისი სიკვდილის შემდგომ, კი საერისთავოს მართვას კვლავ ერეკლე იღებს თავის თავზე და ეს გრძელდება 1747 წლამდე.

1747-1753 წლებში ქსნის ერისთავი კვლავ შანშეა.

# მეცხრე თავი

## §1. დავით ერისთავი (1753-1774 წწ.)

XVIII ს. 50-იან წლებში ქსნის ერისთავთა სახლი ქართლ-კახეთის მეფეთა – თეიმურაზ-ერეკლეს მოწინააღმდეგეთა ჯგუფს მიემხრო. 1753 წელს ერეკლე მეფემ სეპარატისტი შანშე ქსნის ერისთავი გადააყენა ერისთავობიდან და დააპატიმრა, ქსნის ერისთავად კი დანიშნა შანშეს ძმისშვილი დავითი. დაპატიმრებული შანშე დაავადდა და იმავე, 1753 წლის ბოლოს გარდაიცვალა [159. 210].

სამეფო ხელისუფლების სწრაფ და გადამწყვეტ ქმედებებს ცენტრის გაძლიერება მოჰყვა შედეგად.

ქსნის ერისთავთა სიძემ ბაან-ხანმა, რომელიც განჯას იყო ლტოლვილი, სამეფო კარის გაძლიერების მიზნით, თეიმურაზ-ერეკლეს შერიგება სთხოვა. მეფეებმა თანხმობა მისცეს. "ზამან-ხან, რომელი იყო სიძე ქსნის ერისთავისა და განჯას იმყოფებოდა შემოწყრომით, შემოხვეწილიყო და მოსვლის დასტური ეთხოვნა. გაგზავნეს მეფეთა ჩვენთა ამის მოსაყვანად ნასაღჩი-ბაში სვიმონ მუხრან ბატონიშვილი" [159. 212]. ამ პერიოდში საერთაშორისო მდგომარეობა ისევ გართულდა. სამხრეთ აზერბაიჯანის მფლობელმა აზატ-ხანმა ქართლ-კახეთის მეფეებს პროვოკაცია მოუწყო. კერძოდ, ვითომდა მეფეთა საპატივცემლოდ ოქრო-ვერცხლის საგანძური გამოგზავნა, ხოლო მისმა ემისრებმა გაზვიადებული ინფორმაცია გაავრცელეს: "ერანის ქვეყნიდამ დიდი ხაზინა მოდისო" [159. 212]. საგანძურის სატყუარამ ქართველთა წინააღმდეგ თავისი როლი შეასრულა. ლეკებმა ახალი ძალით შემოუტიეს საქართველოს: "წამოვიდა ორსამ პირად ლეკის ჯარი. ერთი წავიდა ერევნის მხარეს, მეორე-სომხეთის მხარეს და მესამეს ჯარი ზემო ქართლისაკენ" [159. 212]. ქართლ-კახეთის ხელისუფლებამ საპასუხო ღონისძიებები გაატარა და შედეგმაც არ დააყოვნა: 1. აზატ-ხანის მიერ გამოგზავნილი საგანძური უდანაკარგოდ იქნა მიღებული; 2. მომხდურთა ჯარი კი - "ვითა შავარდენთა გუნდი ტრედთანი, ეგრე დაფანტეს ჯარი ლეკთანი" [159. 214].

ქართლ-კახეთში შედარებითმა სიმშვიდემ დაისადგურა.

ირანის ცენტრში მიმდინარე განუწყვეტელი გადატრიალებებიდან გამომდინარე, ირანის ხელისუფალთ საქართველოსთვის არ ეცალათ. სამაგიეროდ ქართლ-კახეთზე გაბატონებისათვის სახსრებს არ იშურებდა თურქეთი.

მეზობელი თურქეთი სულაც არ იყო დაინტერესებული ქართლ-კახეთის სიმშვიდით. თურქეთის მიერ გატარებული ქმედებების შემდეგ ლეკები კვლავ გააქტიურდნენ.

"მოვიდა ამბავი კახეთით ხუნძახის ბატონი დიდის ჯარით შილდის თავს ამოვიდაო, კახეთზე მოდის, მუქარა მოეთხოვა: ქართლსა და კახეთს დავიჭეროო"... [159. 214]. ქართლ-კახეთის მეფეებმა მოილაპარაკეს და კახეთი - ერეკლემ გაამაგრა, ქართლი კი - თეიმურაზმა; მოსახლეობა ციხე-სიმაგრეებში გაიხიზნა. ბუნებრივია, ქსნის საერისთავოს მოსახლეობამ ასევე აქ მყოფ გამაგრებულ ადგილებს შეაფარა თავი. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ ლეკებს ოფიციალურად თანადგომა დაუდასტურეს ჭარელებმა, კაკის სულთანმა, აჯი-ჩალიბმა, შირვანელებმა, ფანახანმა, განჯის ხანმა, "ამათ ყოველთა პირი მიეცათ თუ ეს ხუნძახის ბატონი ქართველსა და კახს ბატონზე გაიმარჯვებდა, ეს კაცნი სულ ქართლსა და კახეთზე მოვიდოდნენ" [159. 215]. თეიმურაზ-ერეკლე გააქტიურდნენ "გაგზავნეს მეფეთა კაცნი ჩერქეზში, აღუთქვეს მისაცემელი ფრიადი და დაიჭირეს ჯარი, ეგრევე ოსისა და მთის ჯარები, კავკასიიდამ მოიწვიეს ჯარები" [159. 215], მაგრამ ჯარების დაქირავება და საქართველოში ჩამოსვლა გვიანდებოდა. მრავალრიცხოვანი ლეკები დაუსჯელად დათარეშობდნენ: "ერთმა ნაწილმა მოარბია საციციანო, მთლიანად მოაოხრეს ზემო ქართლი; მეორე ნაწილმა კახეთის რბევა დაიწყო, შემდეგ კახეთს თავი დაანება და ესეც ქართლისკენ გამოემართა.

შევიდა არაგვის ხეობაში. ანანურს ქვემოთ ყველაფერი მო-
აოხრეს. შევიდნენ დუშეთში, დაწვეს სასახლე ერისთავისა.
მეფე თეიმურაზი ქართლის ჯარით ახალგორში შემოვიდა.
აქ უნდა მომხდარიყო ქართლ-კახეთის მეფეთა ჯარების
გაერთიანება, მაგრამ ეს არ მოხდა, რადგან ხუნძახის ბა-
ტონი არაგვის საერისთავოში აღარ გაჩერდა, 1754 წ. აგვი-
სტოს 10-ში აიყარა და "შემოაყენა ჯარი ციხესა, მჭადიჯვ-
რისას, რომელი აღეშენებინა მუხრანის ბატონს
სახლთჳუცეს კონსტანტინეს... იყო დღე დაღამ ბრძოლა და
ომი გაუწყვეტლად" [159. 216].

ქართლის მეფე თეიმურაზი ახალგორიდან დუშეთში გა-
დავიდა. აქვე მოვიდა ერეკლე მეფე და პირველი ერთობლი-
ვი თათბირიც გამართეს; იმსჯელეს თუ რა სამხედრო ძა-
ლებით და სად გაემართათ მოძალებულ მტერთან ბრძოლა.
თავიანთი ჯარების სიმცირიდან გამომდინარე, გადაწყვიტ-
ეს - დამხმარე ჯარის მოსვლამდე არ დაეწყოთ გენერალუ-
რი ბრძოლა. ლეკებს კი მჭადიჯვრის ციხეზე იერიში-იერი-
შზე მიჰქონდათ. ციხეში გამაგრებული ქართველობა შველ-
ას ითხოვდა, მაშველი ჯარი კი იგვიანებდა. თეიმურაზ-ერ-
ეკლემ შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, გადაწყ-
ვიტეს აღარ დალოდებოდნენ დაქირავებული ჯარების მოს-
ვლას და იერიშზე გადასულიყვნენ. ჯარი სახეობების მი-
ხედვით დაყვეს: წინ ზარბაზნები და თოფოსანი მეომრები,
ხოლო ცხენოსანი და ქვეითი მებრძოლები ცალკე-ცალკე
დააყენეს. ლეკებმა რომ დაინახეს ქართველთა მცირერიც-
ხოვნება თამამად შემოუტიეს. გაჩაღდა ომი ფიცხელი: "შე-
უტივეს ქართველთა და კახთა გულსრულად, დაუშინეს
ზამბურაკნი და ზარბაზანი, გააქცივეს ერთი დასი ჯარი
ლეკისა, კრეს ეს გაქცეული ჯარი, მეორესა ჯარსა აირივა
ეს საშინელი ჯარი ლეკისა. გაიქცნენ, შეუტივეს ჴმალ-
დაჴმალ, დაერივნენ შიგ, რომ ვითა კატა ეგრე ხოცდნენ
ლეკთა, თითონ მეფე ერეკლემ ჩამოკაფა ლეკი ჴმალ-
დაჴმალ მიიყვნენ ხოცვით არაგვამდის, რომ მათის მძორით
აღავსეს ტყე და ველი, ვინა მორჩა მათი ცხენიც და იარა-



ღიც ჩვენს ჯარს დარჩათ" [159. 218]. როგორც ვხედავთ,
მცირერიცხოვნების მიუხედავად, ქართველებმა ბრწყინვალე
გამარჯვება მოიპოვეს. ამ გამარჯვებაში სხვა ქართველ მე-
ბრძოლებთან ერთად განსაკუთრებული სიმამაცით გამოირ-
ჩეოდნენ ქსნის საერისთავოს მეომრები დავით ერისთავის
ხელმძღვანელობით [159. 218].

შემდგომი მოვლენების გადმოცემისას - დამარცხებული
და გაფანტული ლეკების განდევნაში თუ რა როლი შეას-
რულეს ქსნელმა მებრძოლებმა - მემატიანე პაპუნა ორბე-
ლიანი არაფერს გვეუბნება, მაგრამ თხრობის საერთო პა-
თოსიდან იგრძნობა, რომ ქსნელებს კვლავ აქტიური მონა-
წილეობა უნდა მიეღოთ.

1755 წელს ხევსურეთმა უარი განაცხადა დამორჩილებო-
და კახეთის სამეფო ხელისუფლებას. თეიმურაზ-ერეკლემ
საჭირო ღონისძიებები გაატარეს ხევსურეთის მორჩილება-
ში მოსაყვანად. მათ მიერ სწრაფად გატარებულმა ქმედებე-
ბმა დადებითი შედეგი გამოიღო. ხევსურებმა უარყვეს სეპა-
რატიზმი და შერიგება ითხოვეს. ერეკლემ "შეუნდო ცთომა
მათი და შემოირიგა, იახლნენ უფროსნი კაცნი და მოართვ-
ეს ჯორნი, ძროხანი და ცხვარნი ფეშქაშად და დაიდვეს
თავსსამსახური, რაც ძველთაგან კახ-ბატონებისაგან სდე-
ბოდათ. გამოართო ბატონმა მძევლები და განუტევა ხევსუ-
რნი მშვიდობით" [159. 223].

ამ პერიოდში თეიმურაზ-ერეკლეს წინააღმდეგ კვლავ
გააქტიურდა ქსნის ერისთავთა სიძე ბამან-ხანი. "მოვიდა
ბამან-ხანი ლეკის ჯარით ყაზახის ქვეყანაში. ექვსი ბელა-
დი, დაღისტნის უფროსი კაცი წამოეყვანა, დაპირებოდა
მრავლისა ტყვისა და საქონლის შოვნასა" [159. 223]. ჯერ
კიდევ 1753 წელს, როცა ბამან-ხანი და ზურაბ ქსნის ერის-
თავის შვილი, თეიმურაზ-ერეკლეს წინააღმდეგ გაერთიანდ-
ნენ და ჯარით წამოვიდნენ საბრძოლველად. ცენტრალურ-
მა ხელისუფლებამ სეპარატისტთა დამარცხების შემდგომ
ბამან-ხანის ცოლ-შვილი თბილისში დატოვა, ხოლო როცა
ქსნის ერისთავად დავითი დანიშნა, მან თავისი და, და დი-

სშვილები ახალგორში ამოიყვანა. ამრიგად, 1755 წელს ბამ-
ან-ხანის ცოლ-შვილი ახალგორში იყვნენ. ბამან-ხანი
ქართლ-კახეთის მეფეებს სთხოვდა: "თუმცა ჩემი ცოლშვი-
ლი მომცეთ, თქვენი საწყენი ჩემგან არა იქნეს რაო" [159.
224]. მოლაპარაკება გარკვეულ ხანს გაგრძელდა. ბამან-ხან-
მა სიფრთხილე გამოიჩინა და მეფეთა წარმოგზავნილებს
არ მიენდო - "ბრძანება ჰქონდათ მეფეთაგან, თუ ბამან-ხან
ან ლეკის ბელადი ჴელთ ეგდოთ უნდა დაეჭირათ. დაიჭირ-
ეს ეს ხუთი ლეკის ბელადნი" [159. 224-225]. დაპატიმრებუ-
ლი ლეკები მკაცრად დასაჯეს. ბამან-ხანი და ლეკის ჯარი
კი სომხეთის ტყეში იყვნენ. მეფე ერეკლე ჯარით გაემართა
ბამან-ხანის წინააღმდეგ. შეშინებული ბამან-ხანი ლეკის
ჯართან ერთად განჯაში გაიქცა. მოწინააღმდეგე შემოფან-
ტული მეფე ერეკლე თბილისში დაბრუნდა. განჯაში გაქ-
ცეული ლეკის ჯარი კი კვლავ წამოვიდა ქართლისაკენ და
დაიწყო სომხითის რბევა. ქართველებმა საპასუხო ღონის-
ძიებები გაატარეს. ლეკის ჯარი ჯავახეთის მთებზე ავიდა
და იქ გამაგრდა, თუმცა მალე იქიდანაც განდევნეს.

ამავე წელს ხუნძახის ბატონმა გადაწყვიტა ახალი ძა-
ლებით წამოსულიყო ქართლ-კახეთის წინააღმდეგ. როგ-
ორც ჩანს ხუნძახის ბატონს კარგად ახსოვდა მჭადიჯვარ-
თან დამარცხება და ახლა ცდილობდა შური ეძია ქართვე-
ლებზე. "შემოიყარა დაღისტნის ჯარი ასეთი, რომ შამხალი
და სურხავიც მოიყენა და თავისი ჯარი თან წამოიყვანა,
პირიქითი და პირაქეთი რაც ლეკი იყო, ყველას ჯარი გა-
მოართო" [159. 226] გადმოვიდა კახეთში, და დადგა ყვარლ-
ის მთაზე.

თეიმურაზ-ერეკლემ საპასუხო ღონისძიებების გატარება
დაიწყეს. ერეკლემ კახეთის ლაშქარი შეყარა. თეიმურაზ
მეფემ ქართლის ლაშქრის შეკრება დაიწყო ზემო ქართლი-
დან, გადავიდა გორში, შემდეგ ახალგორში "შემოეყარა
ქსნის ერისთავი თავისის ჯარით" [159. 227], გადავიდნენ
არაგვზე და დაბანაკდნენ ანანურში. აქ უნდა მოსვლოდა
ერეკლესაგან შეტყობინება. ამავე დროს დაიწყეს მშვიდო-



ბიანი მოსახლეობის ერთი ნაწილის ციხესიმაგრეებში, გა-
რკვეული ნაწილის კი ქსნისა და არაგვის საერისთავოებში
გახიზვნა.

გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, მტერი ბევრ-
ად სჭარბობდა ქართველებს.

ძირითადი ბრძოლები ყვარლის ციხის მახლობლად მიმ-
დინარეობდა - "იყო ომი დღე და ღამ, კარგად კაცურად და
მამაცურად ებრძოდნენ მყოფნი ციხისანი" [159. 229]. მომხ-
დურმა ლეკებმა ციხეს გარედან მაღალი საფარი შეუკრეს.
ფაქტობრივად, ციხე აღმოჩნდა ციხეში. ყვარლის ციხეში
მყოფნი შველას ითხოვდნენ. ციხის გასაძლიერებლად, იქ
საომარი იარაღის და სურსათის შესატანად მეფეებმა მო-
ხალისეები შეკრიბეს, რომელთა შორის მოჩანან "ქსნის ერ-
ისთავის ორი კაცი,... და ბეჟან რატიშვილი, მახლობელი
ყმა მეფის ერეკლესი" [159. 230]. მოხალისეებმა მათზე და-
კისრებული მოვალეობა ბრწყინვალედ შეასრულეს და ყვა-
რლის ციხე გააძლიერეს. ამავე დროს მეფეებმა რჩეული
მხედრობა გაგზავნეს ჭარის დასარბევად: "წამოიღეს მრა-
ვალი ცხენი, ძროხა, ტყვე უფრო ცოტა, მოიტანეს ქისიყს
და მოართვეს მეფეს ერეკლეს" [159. 231]. ამ კარგად დაგეგ-
მილი ოპერაციით თეიმურაზ-ერეკლემ განხეთქილება შეი-
ტანეს მომხდური მტრის ერთიანობაში. ცოტა ხანში კვლავ
სცადეს ჭარზე მარბიელის გაშვება, რამაც საბოლოოდ მო-
შალა მტრის ერთიანობა. ჭარელნი და ლეკნი ერთმანეთს
დაუპირისპირდნენ იარაღით, რამდენიმე დაიჭრა და კიდეც
გარდაიცვალა. ამას კი ჭარელთა ერთობლივი წყრომა მოჰ-
ყვა, გაეცალნენ ხუნძახის ბატონს და დაბრუნდნენ სახლე-
ბში. ფაქტობრივად, ხუნძახის ბატონი მარტო დარჩა, რომე-
ლმაც თავი მიანება ყვარლის ციხეს და ქართლში გადმო-
ვიდა. ქართლის გარკვეული ტერიტორიების აოხრების შემ-
დეგ ლეკები უკან გაბრუნდნენ.

მალე ლეკები კვლავ შემოესივნენ ქართლს: "შეიკრა
გზები მტრისგან, რომ მგზავრი აღარ გაატარეს, აღარც
ზემო ქართლიდან ჩამოუშვეს და აღარც ახალციხის ქვეყ-

ნიდამ ქარავანი, ამით ქალაქს თბილისს ძვირობა შეიქნნა და ხალხი დიახ, შეწუხდენ, გაბრძანდა ბატონი... დადგა მცხეთას, შემოიყარა საერისთაოების ჯარი, დააყენა გზებზე, გაიხსნა გზები და უკუდგა მტერი" [159. 235].

ლეკთა დამარცხების შემდეგ კვლავ იჩინა თავი შიდა განხეთქილებამ: "როსტომ მირზამ, ძემან აბდულა-ბეგ არჩილისამან, იშოვა მრავალის დაპირებით ზოგნი ვინმე საბარათაშვილოდამ, თავადთა ძენი ბარათიანნი, ზოგი მცხეთელი აზნაურიშვილი და მოქალაქეთა შვილი და დააპირა გაპარვით წასვლა ერანის ქვეყანასა. შეუტყვეს მეფეთა, დაიჭირეს როსტომ მირზა და ამყოლნი მისნი და ყოველნივე პატიმარ-ჰყვნეს და მცირედთა შინა აუშვეს ისევ პატიმრობისაგან და ქალაქიდამ წავიდა ყიზილბაშისა ქვეყანათა, სადა ჰყვანდენ ძმები თვისნი და რომელნი ბარათიანთა ძენი აჰყოლოდენ, ისინიც აუშვეს პატიმრობისაგან და დაადგინეს ისევ სახლთა შინა" [159. 236]. ბუნებრივია, სეპარატიზმის გზაზე დამდგარ როსტომ მირზას და მისი მომხრეების პატიმრობიდან გათავისუფლება ირანის სამეფო კარის ჩარევის შემდეგ მოხდებოდა.

1756 წელს დავით ქსნის ერისთავი კვლავ თეიმურაზ-ერეკლეს მხარესაა და ერთგულად ემსახურება საქართველოს გაძლიერების საქმეს. კერძოდ, ურჩობის გუნებაზე მყოფი ელების ტომის მორჩილებაში მოყვანისას - "ჩამოუყენეს, უკან (ელთა ტომს. ვ.დ) ერისთავი ქსნისა დავით და მაჩაბელი იასე. ჩამოიყვანეს ეს ელები, ჩამოიარეს ტაშირზე დმანისის ციხის პირდაპირ და დააყენეს სოღანლუღსა" [159. 242].

1757 წელს კვლავ მძიმე დღეები დაუდგა საქართველოს და კერძოდ ქვემო ქართლს - "დაიცალა საბარათაშვილო, სომხითი, ორბელიანთ მამული და ზოგი გავიდა კახეთს, ზოგნი ავიდნენ ზემო ქართლში და საერისთავოებში" [159. 244]. ამდენად, 1757 წლისთვის ქვემო ქართლთან შედარებით უფრო დაცული აღმოჩნდა ქსნის საერისთავო, რის გამოც ქვემო ქართლის მოსახლეობა სწორედ იქ შეიხიზნა.



სავარაუდოა, რომ მათი გარკვეული ნაწილი ალბათ დარჩებოდა ქსნის საერისთავოში მუდმივ მაცხოვრებლად.

1759 წელს ქსნის ერისთავთა სიძემ ბამან-ხანმა, რომელიც 1755 წლის შემდგომ თეიმურაზ-ერეკლეს წინააღმდეგ აღარ აქტიურობდა, კვლავ შერიგება ითხოვა. "მოვიდა ბამან-ხან, ქართველს ბატონს შერიგდა, მისცეს ბორჩალუს ხანობა, განჯას რაც ქართლის ელები იყო ყაზახ-ბორჩალუ-დემურჩიასანლუსი, სულ მოიყვანა თავის ალაგებში დააყენა ყველა" [159. 445]. როგორც ჩანს, შერიგების ამ აქტით გაუკაცრიელებული "ყაზახ-ბორჩალუ-დემურჩიასანლუსი" კვლავ დაუსახლებიათ და მათი მართვა ჩაუბარებიათ ბამან-ხანისათვის.

ამავე, 1759 წელს ქართლ-კახეთის მეფეებმა ხუნძახის ბატონის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ჯარის შესაგროვებლად დავით ქსნის ერისთავი გაგზავნეს იმერეთში - "მეფეთა ქსნის ერისთავი გააგზავნეს იმერეთს. სთხოვეს ჯარი, დიდი ჯარი წამოვიდა, მარა ვეღარ მოუსწრეს" [159. 246], ცოტა ხანში კი ქართლ-კახეთის მეფეებსა და იმერეთის მეფე სოლომონს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, "რომელსაც ქვეყანაში მტერი შემოვიდესო, ერთმანეთს მივეშველოთო" [159. 246]. ამდენად, დავით ქსნის ერისთავის ელჩობას იმერეთში, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ერთგვარი გაერთიანება მოჰყვა შედეგად.

პარალელურად დავით ქსნის ერისთავი სამშენებლო საქმიანობასაც ეწევა. 1759 წელს დაამთავრა ლარგვისის ეკლესიის მშენებლობა. ეკლესიისათვის შეწირული ღვთისმშობლის ხატის წარწერა მოგვითხრობს: "ოდეს ეკლესია - ესე ლარგვის მონასტრისა აღშენდა კეთილმსახურის ერისთავის დავითის და კეთილმორწმუნის დედისა მისისა ქეთევანის მიერ, ძისა მათის შალვას კეთილად აღსაზრდელად, მას ჟამსა მე უღირსმან არქიმანდრიტმან ამის მონასტრისამან დავახატვინე ხატი ესე ყოვლად წმიდისა მცველად და მფარველად ერისთავისა დავითის საოხად სულისა ჩემისა" [82. 172]]. ამდენად ლარგვისის კომპლექსის მშენებ-

ლობა დაიწყო 1721-41 წლებში შანშე II ერისთავის მიერ და დასრულდა 1759 წელს.

1762 წელს ქსნის ერისთავის აზნაურად ყოფილა ფიცხელაური [245. 141].

1770 წელს ჩატარდა ქართლ-კახეთის მოსახლეობის აღწერა. აღიწერა ქსნის საერისთავო:

"ქსანზე მცირე ქალაქია ახალგორი და მას შინა მკვიდრობენ მართლმადიდებელნი ქართველნი და სომეხნი 140 კომლი... ქსნის ოსი კომლი 2000. ქსნის საერისთაოს ქრისტიანენი მართლმადიდებელნი, კომლი 1600" [206. 420]. ოსების ჩამოსახლება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შანშე ერისთავმა დაიწყო XVIII საუკუნის 30-იან წლებში. შანშეს დიდი ანტიირანული აჯანყების დამარცხების შემდეგ ქართველი მოსახლეობისაგან დაცლილ ტერიტორიებზე მასიურად დაიწყეს ოსთა ჩამოსახლება ისე, რომ XVIII ს. 70-იან წლებში ოსთა საერთო რიცხვმა 2000 კომლამდე მიაღწია, თუმცა ზუსტად არ ვიცით რამდენ წევრს ითვლიდა თითოეული კომლი.

ალეურას ხეობის ზემო ნაწილის - საფერშეთის შესახებ გიულდენშტედტი წერს: "ოსური მხარე საფერშეთი ქსანს ზემოთ მთლიანად ოსურია და მეფეს ექვემდებარება" [61. 275]. თუ რატომ ან როდის გადავიდა საფერშეთი ერისთავის დაქვემდებარებიდან უშუალოდ მეფის დაქვემდებარებაში, ჩვენთვის უცნობია. მსგავს ფაქტს ადგილი ჰქონდა ჯავის ოსებთან დაკავშირებით. კერძოდ, "სულ რამდენიმე კვირის წინ (1772 წ., ვ.ღ.) მეფემ ეს მხარე ჩამოართვა (მაჩაბელს - ვ.ღ.), რადგან აქაური ოსები ყველგან ჩიოდნენ ძალიან შევიწროებული ვართო, და გადასცა ბატონიშვილ გიორგის" [61. 103]. ჩვენი აზრით, მსგავს მოვლენას უნდა ჰქონოდა ადგილი საფეშეთის ოსებთან დაკავშირებით.

დავით ქსნის ერისთავი სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად ემსახურებოდა აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას - თეიმურაზ-ერეკლეს. ამის შესახებ გარკვეულ ცნობებს გვაწვდის რუსეთის აკადემიის ნამდვილი წევრი გიულდენშტედტი (1745-1781 წწ.), რომელმაც 1768-1775 წწ. იმოგზაურა საქართველოში და ბევრი საინტერესო ფაქტი და დეტალი დააფიქსირა ქსნის საერისთავოს პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ყოფიდან. მაგალითად, 1772 წელს უშიშროების თვალსაზრისით, იმდენად რთული ვითარება ყოფილა, რომ ყანჩაეთისკენ წასულ მეცნიერს თან ახლდა მრავალრიცხოვან მცველთა რაზმი. "მე წავედი ახალგორიდან საკმაოდ მრავალრიცხოვან მცველთა თანხლებით" [61. 49]. ახალგორიდან თბილისისაკენ წასვლისას თან წაუყვანია 100 მცველი. "მე დავით ერისთავთან ერთად, რომელიც გამოაცილეს დედამ და დამ, დაახლოებით 100 მცველის თანხლებით გავემართე თბილისისაკენ" [61. 51]. ახალგორიდან ლარგვისამდე ყოფილა ვიწრო და ცუდი გზა. "მთელი გზა ახალგორიდან ლარგვისამდე... არის ოთხი საათის სავალი, ანუ 20 ვერსი, ... და არის ისე ვიწრო, რომ ურემს ვერ დაიტევს" [61. 97].

ახალგორში ყოფნისას მეცნიერმა დაათვალიერა წისქვილები: "აქ დავათვალიერე აგრეთვე პატარა წისქვილები, უმეტესობა 24 საათში ფქვავს 20-24 კოდამდე ხორბალს. აქედან მეწისქვილე იღებს მხოლოდ ორმოცდამეათედ ნაწილს... დოლაბებს ახალგორში ღებულობენ სარკინეთის ქვასატეხიდან, რომელიც მდებარეობს მტკვარზე, თბილისის ქვემოთ,... მათი გამოყენება შეიძლება ოც წლამდე" [61. 51].

გიულდენშტედტის მოგზაურობის აღწერილობაში ჩანს ერეკლე მეფის კეთილგანწყობა და პატივსცემა დავით ქსნის ერისთავის მიმართ: "ანანურში მთხოვა ქსნის ერისთავმა, საქართველოში ყველაზე მძლავრმა მაგნატმა, მივსულიყავი მის რეზიდენციაში ახალგორში, მისი ავადმყოფობის გამო, რადგან მეფემაც წერილობით მთხოვა მეამებინა მისთვის" [61. 47].

სხვა დოკუმენტებიდანაც ვიგებთ, რომ ქსნის ერისთავ დავითსა და ერეკლე მეფეს შორის ყოფილა ურთიერთნდობა. პატივისცემა და სიყვარული: "ქ.ღმერთმან ყოვლად მოწ-

ყალის ბედნიერის ჴელმწიფის ჭირი მოსცეს ერისთავს დავითს.
მერე ამას მოვახსენებთ მათს უმაღლესობას: ჭეშმარიტად ირწმუნეთ, რომ ჩემი ქვეყანა თქვენის სამსახურისათვის არც დამიზოგავს და არც დავზოგავ შეძლებისამებრ: მაგრამ ჩემი სავედრებელი ეს არის, რომ შეძლებისამებრ მათისა იმსახუროთ. მე ჭეშმარიტად ასე მინდა ჩემის თავითა - და ჩემის ძმითა, რომ ყოველს ჩემს ამხანაგზე მეტათ გემსახურო სიკვდილითა, სისხლის დათხევით, თუ კიდევ სხუა რიგის სამსახურებითა" [212. 191]. დავით ერისთავის თხოვნას ერეკლე მეფემ დადებითი რეზოლუცია დაადო.
დავით ქსნის ერისთავის ერეკლე მეფისადმი ერთგულებაზე მოგვითხრობს რუსეთიდან გამოგზავნილი გენერალ ტოტლებენის ყოფილი ადიუტანტი კაპიტან კარლო დე გრაი დე ფუას მემუარული ხასიათის ცნობები. კერძოდ, "გრაფმა (ტოტლებენმა - ვ.ღ.) მოინდომა დაეყოლებინა თავადი დავით ერისთავი, რომ შემოგვერთებოდა ორი ათასი გლეხით. მან აღუთქვა ერისთავს ამ ქალაქის (ახალქალაქის - ვ.ღ.) მისთვის გადაცემა, მას შემდეგ, როცა იგი აღებული იქნებოდა... დავით ერისთავმა უარყო ეს წინადადება და არ დააყოვნა ეცნობებინა ერეკლესათვის გრაფის ჩანაფიქრი" [71-ა. 48-49].
ტოტლებენის მცდელობას, მოეხდინა განხეთქილება ერეკლე II-სა და ქსნის ერისთავს შორის, შედეგი არ მოჰყოლია.
დავით ერისთავის ერეკლე II-ის ერთგულებასთან დაკავშირებით მკვლევარ ჯ.ოდიშელს მოაქვს დამატებითი საარქივო მასალები [206. 90], მაგრამ ვერ დავეთანხმებით მის კომენტარს - "დავით ერისთავი თეიმურაზ II-ის მამიდის შვილიშვილი იყო" [206. 90]. სინამდვილეში, დავით ერისთავი ერეკლე II-ის მამიდის - მარიამის, შვილის - ქეთეონის, შვილი იყო. "მამიდა ჩვენი, ბატონიშვილი მარიამ, ბატონს მამა ჩვენს მეფეს და სანატრელს დედა ჩვენს დედოფალს ევედრა ჩვენის მამიდაშვილის ბატონის ქეთეონის დაჴსნასა, იმათმა მიზეზმა სულ ყველანი გამოიჴსნა" [209. 557], წერს 1768 წ. 22 მაისის განჩინებაში ერეკლე II.



მეფესა და ერისთავს შორის არსებული ურთიერთნდობის, სიყვარულის და პატივისცემის ამსახველი დოკუმენტების გარდა არსებობს საწინააღმდეგო ხასიათის პირველწყაროებიც, რომლებიც ძირითადად გიორგი ყულარაღასის სახელთან არის დაკავშირებული. გიორგი ყულარაღასი დაინტერესებული იყო მომხდარიყო დაპირისპირება მეფესა და ერისთავს შორის, რადგან ფიქრობდა, განხეთქილება ერეკლე II-სა და დავით ერისთავს შორის პირადად მისთვის - გიორგი ყულარაღასისათვის ბევრი სიკეთის მომტანი იქნებოდა. "ჩვენ, მეფემან ირაკლიმ ქართლისა და კახეთისა მპყრობელმან ესე განაჩენი გიბოძეთ შენ, ქსნის ერისთავს დავითს. ასე, რომ - რომელსაც ყულარაღასი გიორგი შენ შეწამებდა ბატონის მამის ჩვენის ორგულობასა..." [209. 599]. განჩინება 1770 წლის 4 სექტემბრით არის დათარიღებული.
1774 წლის იანვარში "მორიგი ლაშქრის" შექმნის აუცილებლობიდან გამომდინარე, ჩატარდა ქსნის ხეობის მოსახლეობის აღწერა. აღწერამ პირველხარისხოვანი მონაცემები შემოგვინახა ქსნის ხეობაზე არსებული სოფლების, იქ მცხოვრები გვარების, კომლების, კომლთა შემადგენლობის და სხვა საკითხებზე.
1774 წლის 28 აგვისტოს განჩინების მიხედვით დავით ქსნის ერისთავი უკვე გარდაცვლილი იყო - "ქსნის ერისთავს კურთხეულს დავითს" [209. 662]. ქსნის ერისთავად კი მოჩანს გიორგი ყულარაღასი (1774-1777 წწ). ამდენად, დავით ერისთავი ქსნის საერისთავოს განაგებდა 1753-1774 წლებში.

## §2 ერისთავი გიორგი "ყულარაღასი" (1774-1777წწ.) საერისთავოს გაუქმება

1774 წელს ქსნის ერისთავი ხდება გიორგი, რომელსაც სამეფო კარზე ჰქონდა მეორე – "ყულარაღასის" სახელოც.

მალე გიორგი განუდგა ერეკლეს და მიემხრო ალექსანდრე ბაქარის ძეს, რომელიც ქართლის მეფობის ხელში ჩაგდებისათვის იბრძოდა.

როდესაც სამეფო კარისთვის ცნობილი გახდა ალექსანდრე ბაქარის ძესას და გიორგი ერისთავს შორის არსებული კავშირი, ერეკლემ შესაბამისი ღონისძიებები გაატარა.

1777 წლის ბოლოს, ქსნის ერისთავებს ჩამოართვა სახელისუფლო ტერიტორია და გადასცა უფრო ერთგულებს და უფრო ახლობლებს - შვილებს. კერძოდ: ქსნის ხეობა (ისროლისა და მეჯუდის ხეობებით) გიორგის, ხოლო იულონს პატარა ლიახვის ხეობა. ამით ქსნის ხეობა ფაქტობრივად გაჰყო ორ ადმინისტრაციულ ერთეულად.

ქსნის ერისთავთა კარი არ დაემორჩილა მეფის განაჩენს და შეიარაღებული აჯანყება დაიწყო, მაგრამ სამეფო ჯარმა აჯანყება მალევე ჩააქრო.

## §3 ქსნის ერისთავთა აზნაურები

1783 წლის ტრაქტატის მიხედვით ქსნის ერისთავის აზნაურები იყვნენ:

აზნაური კორინთელი
აზნაური ლოლაძე
აზნაური თულაშვილი
აზნაური ხმალაძე
აზნაური უთნელიშვილი
აზნაური სრესული (სრესელი)
აზნაური ფავლენიშვილი (ფავლენისშვილი)



აზნაური მრულისშვილი
აზნაური მაჭავარიანი
აზნაური ალექსიშვილი (ალექსისშვილი)
აზნაური ბასილიშვილი
აზნაური ჩუბინიშვილი (ჩუბინისშვილი)
აზნაური ტატისშვილი (ტატიშვილი)
აზნაური მანურისშვილი (მანუჩრისშვილი)
აზნაური ძამელაშვილი (ძამელასშვილი)
აზნაური კობიახიძე (კობახიძე)
აზნაური განძიელი
აზნაური ჯაფარიძე [206. 456-457].

ჩამონათვალში არ ჩანან ფიცხელაურები, რომლებიც ამ პერიოდში უკვე სამეფო კარის აზნაურები იყვნენ [206. 485].

1801 წლის დასაწყისში სამეფო კარისთვის აქტუალობას იძენს ქსნის ერისთავთა პოზიცია და ბაგრატიონები უზრუნებენ ქსნის ერისთავებს 1777 წელს ჩამორთმეულ ტერიტორიას.

რუსეთის ხელისუფალთა დახმარებით ქსნის ერისთავებმა დაიბრუნეს ყმა-მამულის ნაწილი, მაგრამ ქსნის საერისთავო, როგორც პოლიტიკურ ადმინისტრაციული ერთეული ველარ აღდგა.

ქსნის ერისთავები ახალგორში ცხოვრობდნენ XX საუკუნის 30-იანი წლების ჩათვლით.

### ცხრაზმის (ქსნის) საერისთავოს ერისთავები

| | |
|---|---|
| როსტომ ბიბილური | VI ს. 70-იან წლებში |
| ლარგველი დიმიტრი | VI ს. 90-იან წლებში |
| შემდგომ, ვიდრე XIII ს-ის 80-იან წლებამდე ერისთავთა შესახებ ჩვენ ინფორმაცია არა გვაქვს | |
| ვირშელ I | 1280-1290 იანი წლები |
| შალვა ქვენიფნეველი I | 1290-1318 |

| | |
|---|---|
| ლარგუელი | 1318-1320 |
| ვირშელ II | 1320-1335 |
| წითლოსანი (წინამძღვარი) | 1335-1344 |
| შალვა ქვენიფნეველი II | 1344-1337 |
| იოვანე | 1337-1390 |
| ვირშელ III | 1390-1422 |
| შალვა ქვენიფნეველი III | 1422-1470 |
| შემდგომ, ვიდრე XV ს 70-იან წლები, ჩვენ ძალიან მწირი ინფორმაცია გვაქვს (აქედან სახელწოდება ქსნის საერისთავო) | |
| ელიზბარ I | 1570-1600 |
| შალვა | 1600-იანი წლები |
| იასე | 1614-1626, 1632-1637 წწ. |
| შანშე I | 1626-1632 წწ. |
| ზაალი | 1633-1634 წწ. |
| ელიზბარ II | 1637-1658, 1658-1660 წწ. |
| იასე | 1658 1658-1675 წწ. |
| დათუნა I | 1675-1696 წწ.1700-1716 წწ. |
| დავით II | 1696-1700 წწ. |
| შანშე II | 1720-1741 წწ. 1747-1753 წწ. |
| გივი ამილახორი | 1741-1743 |
| მეფე ერეკლე | 1744-1747 წწ. |
| რატი რატიშვილი | 1744 წ. მცირე ხნით |
| დავით III | 1753-1774 წწ. |
| გიორგი (ყულარაღასი) | 1774-1777 წწ. |



# დასკვნა

ჩვენი მსჯელობიდან, რომელიც ეხება "ძეგლი ერისთავთას" და "ქართლის ცხოვრების" ურთიერთშეჯერება-შეფარდებით (ასევე სხვა წყაროების გამოყენებით) ქსნის (ცხრაზმის) საერისთავოს პოლიტიკური ისტორიის საკითხებს, გამომდინარეობს რამოდენიმე ზოგადი დასკვნა:

1. ძვ. წ. IV ს. ბოლოსა და III ს. დასაწყისში საქართველოს მეფე ხდება სპარსული პოლიტიკური ორიენტაციის მქონე ფარნავაზი, რომელმაც ჩაატარა საქართველოში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის რეფორმა - "მიმსგავსებულად სამეფოსა სპარსთასა" (სხვა რეფორმებთან ერთად). ამ დროისათვის შეიქმნა ცხრაზმის მცირე საერისთავო, რომელიც შიდა ქართლის სასპასპეტოს შემადგენლობაშია გაერთიანებული.

2. VI ს. 70-იან წლებში სპარსელებთან, საქართველოსათვის ბრძოლაში იმარჯვებენ ბერძნები. ცხრაზმის საერისთავოს ერისთავი ხდება ბერძნული ორიენტაციის მქონე როსტომ ბიბილური (ქვენიფნეველი). ბიბილურთა (ქვენიფნეველთა) მმართველობა ქსანზე სხვადასხვა ფორმით, დროის უმნიშვნელო ხარვეზებით, გრძელდება XX საუკუნის 30-იან წლების ჩათვლით.

3. XIII ს. მიწურულისათვის ირანის საილხანოში იქმნება პოლიტიკური კრიზისი. საქართველოს მეფე დავით VIII იცვლის პოლიტიკურ ორიენტაციას – ირანის ილხანების მაგივრად მორჩილებას და მოკავშირეობას სთავაზობს ოქროს ურდოს ხელისუფალთ, შესაბამისად, ირანის ილხანები იღებენ სათანადო ზომებს. იწყება შიდაომი. საქართველოში ერთდროულად სამი მეფე მეფობს: - დავით VIII, გიორგი V და ვახტანგ III. ცხრაზმის ერისთავი შალვა ქვენიფნეველი, ქვეყანაში გაშლილი პოლიტიკური კატაკლიზმების მიუხედავად, ინარჩუნებს ვახტანგ III-ისადმი ერთგულებას და ირანულ პოლიტიკურ ორიენტაციას; შესაბამისად ვახტ-

ანგ III უზრდის სახელისუფლო ტერიტორიას ცხრაზმის ერისთავ შალვა ქვენიფნეველს.

4. ირანის ილხანთა სახელმწიფოს დაშლის შემდგომ, ყოფილი მპყრობელი სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე იწყება შიდა სახელმწიფოებრივი არეულობა და ეს გრძელდება საკმაოდ დიდხანს, დაახლოებით 40-50 წლის განმავლობაში. ამ ხნის მანძილზე ცხრაზმის საერისთავო განიცდის მეზობელთა (დვალები, არაგველები,...) განუწყვეტელ თავდასხმებს და პირუკუ.

საქართველოს ხელისუფლება (გიორგი V ბრწყინვალე) ღებულობს შესაბამის ზომებს - არაგვის მთიელთათვის ქმნის სამართლის წიგნს - "ძეგლის დებას". მაგრამ "ძეგლი" ცხოვრებაში არ კანონობს – არ "მუშაობს", რადგან დანაშაულთა გლობალურ მასშტაბურობას, ლოკალური ხასიათის "ძეგლი" ვერ არეგულირებს.

5. შიდა სახელმწიფოებრივი არეულობა, არასტაბილური მდგომარეობა, სეპარატისტულ ძალებს უქმნის კარგ ნიადაგს. საქართველოში იქმნება "პროვინციის" სამეფო. XIV ს. 40-იანი წლებიდან XIVს-ის 80-იან წლებამდე ცხრაზმის საერისთავო "პროვინციის" მეფეთა დაქვემდებარებაშია.

6. XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოს რვაჯერ შემოესია თემურლენგი. დიდი ზარალი განიცადა მთელმა საქართველომ. ერისთავი ვირშელ III საქართველოს მეფეებთან (ბაგრატ V და გიორგი VII) ერთად იბრძვის თემურლენგის წინააღმდეგ. მიუხედავად განცდილი დიდი მარცხისა, კულტურული ცხოვრება ცხრაზმაზე არ წყდება. პირიქით - ახალ საფეხურზე ადის. ამ პერიოდში (XV ს. 10-იანი წლები) ცხრაზმაზე - ლარგვისის მონასტერში იწერება "ძეგლი ერისთავთა", ცხრაზმელი მოღვაწის გრიგოლ ავგაროზის ძე ბანდაისძის მიერ.

7. XVII ს. 40-იან წლებში ქსნის ერისთავები ახალგორში აშენებენ სასახლეს და საერისთავოს ცენტრი ლარგვისი - ქვენიფნევიდან გადმოაქვთ ახალგორში.



8. ქსნის ერისთავები - ელიზბარი და შალვა, ოპოზიციაში ედგნენ ქართლის სამეფო კარს. მეფე ვახტანგ V-მ 1660 წლის მარტის ერთ ბნელ ღამეს სპეცრაზმებით გააწყვეტინა თურქმენული მოდგმის ელთა ტომი და მათი განადგურება დააბრალა სეპარატისტებს: ზაალ არაგვის ერისთავს, ელიზბარ და შალვა ქსნის ერისთავებს და ბიძინა ჩოლოყაშვილს. სეპარატისტთა დასჯის შემდგომ ქართლის სამეფო კარი ქსნის საერისთავოს ტერიტორიაზე კვლავ ავრცელებს თავის იურისდიქციას.

9. 1777 წელს ერეკლე II-მ ქსნის ერისთავებს ღალატისათვის ჩამოართვა ქსნის საერისთავოს მართვის უფლება და გადასცა თავის შვილებს: ქსნის ხეობა (ისროლისა და მეჯუდის ხეობებით) გიორგის, იულონს კი პატარა ლიახვის ხეობა.

10. 1801 წლის დასაწყისში სამეფო კარისთვის აქტუალობას იძენს ქსნის ერისთავთა პოზიცია და ბაგრატიონები უბრუნებენ ქსნის ერისთავებს 1777 წელს ჩამორთმეულ ტერიტორიას.

11. ქსნის ერისთავებმა დაიბრუნეს ყმა-მამულის ნაწილი, მაგრამ ქსნის საერისთავო, როგორც პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეული ვეღარ აღდგა.

12. ქსნის ერისთავები ახალგორში ცხოვრობდნენ XX საუკუნის 30-იანი წლების ჩათვლით.

## Политическая история Ксанского эриставства

(Резюме)

Малая территориально-административная единица Ксанского (Цхразмийского) эриставства создалась на рубеже IУ-III вв. до н.э.

В 50-х годах VI века борьба между Византией и Персией за владычество над Картли из-за пассивной позиции Византии завершается победой персов. Провизантийски настроенный царь Гурген был свергнут с престола и укрылся в Западной Грузии.

Однако византийцы не желают мириться с поражением и в 70-х годах VI века, после соответствующей подготовки, провоцируют в Картли антиперсидское восстание.

Восставшие цхразмийцы (ксанцы) физически расправляются с чиновниками проиранской ориентации.

Эриставом малого Цхразмийского эриставства назначается провизантийски настроенный Ростом Бибилури, проявивший себя в борьбе против персов, которому удалось заручиться ходатайством Цхрадзмийского представительственного органа относительно того, что все слои населения высказываются в его поддержку и желают видеть его своим эриставом.

При дворе византийского императора ждут прошения цхразмийцев, и в 70-х годах Ростом Бибилури назначается цхразмийским эриставом.

Летописи связывают происхождение Ростома Бибилури с осетинским царским домом, однако это всего лишь легенда, не имеющая ничего общего с действительностью. Фамилия Бибилури относится к числу грузинских фамилий, производимых при помощи суффикса - ур.

После Ростома, должность эристава переходит к его сыну Ларгвелу, а затем – к Димитрию.

* * *

В 90-х годах XIII века цхразмийским эриставом становится Шалва Квенипневели. Находящаяся под монгольским игом Грузия тяжело страдает от постоянных переворотов в монгольской ставке и страстей, связанных с борьбой за власть.



К концу XIII в. царь восточногрузинского царства Давид VIII меняет свою политическую ориентацию и ищет политического покровительства в Золотой Орде.

Узнав об измене царя Давида, Газан-хан направил в Грузию огромное войско во главе с Кутлу-бугой. Между монголами и царем Давидом достигнута определенная договоренность, к Ильханскому же двору отправляется его младший брат Вахтанг.

Борющемуся за независимость Давиду, монголы противопоставляют родного брата Вахтанга, сажают последнего на трон, отдав в его распоряжение сравнительно небольшую территорию. Цхразмийский эристав Шалва выступает на стороне Вахтанга.

К 1289 году власть Вахтанга Ш урезана до минимума. Дидебулы вновь поддерживают Давида УШ. Идёт братоубийственная война.

В ноябре 1299 года и и 1300 году Вахтанг Ш участвует в войне Газан-хана против Египта. Вместе с ним находится и Шалва Квенипневели, в то время, как Давид УШ громит его владения.

Во второй половине 1299 года Газан-хан передает престол Восточной Грузии младшему брату Давида Георгию. Восточная Грузия поделена на три части, однако реальная власть по-прежнему в руках Давида.

В 1300 году объединенное монгольско-грузинское войско устраивает нападение на царя Давида VIII, однако захватить его не удается. Осенью 1301 года Давид VIII нападает на Цхразмийское эриставство. Шалва Квенипневели подчиняется царю и происходит примирение. В 1303 году царь Давид предпринимает попытку захватить Тбилиси, но безуспешно. Территорию владений Давида снова урезают. По приказу Вахтанга Шалва Квенипневели устраивает успешный поход на Двалети, после чего административные границы Цхразмийского эриставства значительно расширяются.

Непродуманная смена политической ориентации влечет за собой пагубные последствия для Грузии. Ослабление централь-

ной власти создает благоприятные условия для расширения границ цхразмийского эриставства.

***

В 20-х годах XIV в. в Восточной Грузии продолжается братоубийственная война.

В 1317 году Георгий VI предпринимает два похода на Джавахети и Двалети. В этих неудавшихся походах Шалва Квенипневели участия не принимал.

После смерти Георгия VI, Георгию V удается политическими действиями укрепить пошатнувшуюся центральную власть. По его приказу в 1317-1318 годах Шалва Квенипневели подчиняет царской власти Двалети.

Шалва Квенипневели скончался в 1318 году (вступил в должность эристава в1290 г. ).

В 1318 году цхразмийским эриставом становится Ларгвел, который разворачивает широкомасштабную строительную деятельность. Период его правления был довольно краток. Он скончался в 1320 году. На должность эристава назначается его старший сын Виршел. В 1320-1335 гг. Георгию V удалось объединить раздробленное грузинское царство.

В 1320 году Георгий V посылает в Иерусалим в качестве своих послов Пипу Квенипневели и дьякона Иоане. Результатом этого посольства явилось возвращение Грузии монастыря Святого Креста, что рассматривается в грузинской историографии как свидетельство могущества и авторитета грузинского государства на международной арене.

Росту авторитета Грузии во многом способствовала осторожная внутренняя политика Георгия V, его дружеские отношения с Чобан-ноином и последовательность в выборе политической ориентации – он не искал новых покровителей в Золотой орде. При этом следует учитывать, что в Грузии в это время находится сын Чобан-ноина Шейх Махмуд с 10-тысячным войском.

В самом начале своего царствования Георгий V смог справиться



с проблемой сепаратизма и объединить страну. Тем представителям грузинской знати, которые имели поддержку со стороны монголов за счет предательства по отношению к центральной власти, царь противопоставил монгольскую же поддержку и тем самым вновь превратил Грузию в единое мощное государство.

Власти Георгия V три года оказывали сопротивление осетины, ставшие на путь сепаратизма. В 1327 году царь Георгий освободил г. Гори и «изгнал» осетинов. В трехлетней борьбе за освобождение Гори особую верность царю проявили цхразмийский эристав Виршел и его воины. Вернув Гори (уже после смерти Чобан-ноина), центральное правительство Грузии переходит от осторожных действий к активной политике. С помощью эристава Виршела царь пытается покорить горцев Арагвского ущелья. Бой шли в основном на горе Ломиси и окончились поражением Арагвинцев. После этого ситуация в горных районах Арагвского ущелья еще более обострилась. Возникла необходимость осуществления принципиальных правово-административных мер для пресечения анархии, что и было предпринято центральной властью Грузии к 1335 году. Был разработан свод законов для горных районов Арагвского ущелья «Дзеглис деба».

В 1335 году скончался эристав Виршел, после которого эриставом назначается его младший брат Цитлосани (1335-1344). По достижении сыном Виршела Шалвой совершеннолетия, его назначают эриставом Ксанского ущелья, несмотря на определенные проблемы и противостояние. В сложной ситуации оказывается вся страна. Власть Георгия V довольно ограничена. Цхразмийское эриставство входит в состав «провинциального царства». Эриставу Шалве Квенипневели удается собирать налоги в Жамури (малая административная единица в составе Цхразмийского эриставства) лишь силами вооруженных отрядов. Почти непрерывным нападениям подвергается Цхразмийское эриставство со стороны двалов. Личная охрана эристава состоит из семидесяти двух копьеносцев. Эти повышенные меры предосторожности обусловлены смутой и междоусобицей, провоцируемыми извне.

В середине XIV в. в Грузии, в известной мере освободившейся от владычества монголов, наступили тяжёлые дни. Продолжались беспорядки и междоусобица – следствие слабости и бессилия центральной власти.

Опустошительные набеги друг на друга арагвинцев, находившихся в подчинении центральной власти, и цхразмийцев, подданых »провинциального царства», участились настолько, что младшего брата цхразмийского эристава Георгия, предпринявшего поход на арагвинцев, летописи именуют «человеком разумным и целенаправленным», несмотря на то, что свод законов Георгия V «Дзеглис деба» запрещал подобные действия (статья 42) .

Все это указывает на слабость центральной власти в 50-х годах XIV в по сравнению с 30-ми годами того же столетия.

Кровопролитная борьба между грузинами, подчиняющимися центральной власти и грузинами, находящимися под юрисдикцией «провинциальных» царей, начавшаяся в 40-х годах XIV в. продолжалась вплоть до 90-х годов.

6 августа 1373 года вместе с «царем провинции» Георгием Аластанели погиб цхрадзмийский эристав Квенипневели, занимающий одновременно и должность амилахора «провинциального царства».

Шалва Квенипневели занимал должность цхразмийского эристава в 1344-1373 гг.

Цхразмийским эриставом назначается следующий за ним по возрасту брат Иоване. В Грузии не прекращаются смута и беспорядки. Продолжаются набеги двалов на Ксанское ущелье. Эристав Иоване наносит им ответные удары. Усиливается давление и со стороны арагвских горцев, вновь терпящих поражение за поражением. Затем опять следуют нападения двалов и жесткие ответные действия со стороны эристава Иоване. За всем этим следует сравнительно мирный и стабильный период. В это время по приказу эристава Иоване на месте ларгвисского храма, разрушенного наводнением, начинается строительство нового храма, длившееся три года. Был также восстановлен Икортский храм



архангела Михаила, построенный в 1172 году. Были проведены широкомасштабные работы на Канчаетском Кабени.

Эристав Иоване занимал высокий пост амиреджиба при дворе «провинциальных царей». К концу 80-х годов XIV в. в провинциальном царстве разгорается междоусобица, достигшая таких размеров, что сохрянять царство удается лишь благодаря усилиям эристава Иоване.

Являясь истинным сыном своей эпохи, эристав Иоване не смог опередить время. Как феодал, он поддерживает центральную власть внутри своего эриставства и одновременно является сторонником децентрализации государства в целом, желая видеть на картлийском престоле слабого монарха. Однако время берёт своё. В 80-х годах XIV века центральная власть Грузии твердо стоит на пути объединения и укрепления грузинской государственности.

Иоване скончался в возрасте 60 лет.

Цхразмийское эриставство входило в состав «провинциального царства» с 40-х годов XIV в. до конца 80-х годов того же столетия. Между областями, находившимися под юрисдикцией центральной власти, и областями, подвластными «провинциальным царствам», происходили постоянные столкновения, так же, как это происходило на руинах государства ильханов в 50-х годах XIV в., где небольшие княжества-ханства вели междоусобные войны и терроризировали население.

Следствием этой бесконечной борбы были разруха, голод, высокая смертность и моральная деградация, наблюдаемые в Цхразмийском эриставстве этого периода. Подобная ситуация продолжалась до начала 90-х годов, когда внешние факторы, такие, как появление на политической арене Тамерлана и Тохтамыша, создавали предпосылки для объединения грузинского государства.

К началу 90-х годов в Цхразмийском эриставстве была стабильная, спокойная ситуация. К этому времени эриставом стал Виршел Иованович.

Именно в это время в Грузии пересеклись политические интересы двух противоборствующих сторон – Тамерлана и Тохта-

мыша. На рубеже XIV-XV вв. Грузия превращается в своеобразный военный полигон для достижения политических целей этих двух агрессоров. Именно это противостояние привело в Грузию войска Тамерлана. Источники умалчивают о первом его походе и о действиях, предпринимаемых в этой ситуации цхразмийскими эриставами.

Центральная власть грузинского государства предпринимает соответствующие шаги. В 1398 году эристав Виршел идет походом на двалов и картлийских горцев с целью укрепления рубежей государства. Предварительно эристав собрал своих воинов и обратился к ним с речью, в которой определялась основная цель похода – превращение двалов в вассалов. Исходя из этого надо полагать, что во время первого похода Тамерлана двалы проявили стремления, не соответствующие государственным интересам Грузии, и центральная власть прибегает к соответствующим мерам.

В результате похода эристава нижние двалы присягнули ему в верности, предоставили заложников, подношения и выплатили дань. Отсюда Виршел Ш переходит в Магран-Двалети, где также получает подношения, дань, заложников и присягу в верности, затем спускается в ущелье Трусо. Трусойцы также подносят ему дары и приносят клятву верности, но знаменательно, что с них не требуют заложников и дань.

Принося клятву верности, трусойцы обратились с просьбой стать посредниками между эриставом и мнавельцами, однако мнавельцы не пожелали подчиниться и тогда разгневанный эристав решил подвергнуть их показательному наказанию. Мнавельцы были отважными воинами и оказали эриставу яростное сопротивление. Однако победа осталась за эриставом. На помощь мнавельцам поспешили мохевцы, но опоздали. Битва была проиграна, и они уже не решились вступить в бой. После этого эристав Виршел перешел в Коби, где мохевцы поднесли ему богатые подношения. На следующий день эристав выступил походом на Хада-Цхавати, обеспокоенные жители которого приготовились дать отпор, но, увидев многочисленное войско



Виршела Ш, отказались от своих намерений, поднесли ему богатые подношения и устроили для него пиршество.

Выполнив возложенную на него задачу, через эристав Ломиси возвращается обратно на территорию эриставства.

В 1398 году грузинский царь Георгий VII, после укрепления горных областей, отправляется на помощь осажденной крепости Алинджа, находящейся на территории Нахичевани, и добивается успеха. Несмотря на яростное сопротивление, грузины одерживают победу над татарами, разрушают стену, укрепляющую крепость, грабят ее окрестности, побеждают вспомогательный отряд врага, усиливают гарнизон крепости, захватывают принца Тахера и возвращаются в Грузию.

Походы грузинского войска с целью поставки в крепость Алинджа продуктов, оружия и вспомогательных сил под предводительством эристава Виршела неоднократно предпринимались и в последующие годы.

В 1400 году Тамерлан шестой раз пошел на Грузию, сметая все на своем пути: разорил нижнее течение р. Ксани, направился в глубь ущелья, разрушил Ларгвисский храм, выстроенный эриставом Иоване, и нанес серьезные повреждения Карчохской крепости. Цхразмийский (ксанский) эристав Виршел укрепился в мощной крепости в устье Малой Лиахви. С ним находились его приближенные и каталикос Элиоз с церковниками и многочисленными беженцами. Тамерлан со своим войском переходит из Ксанского ущелья в ущелье Малой Лиахви. Виршел принимает соответствующие меры, переправляет своих близких и беженцев выше по течению, в мощную крепость Кного, а сам укрепляется в Бехушской крепости. Сражение между войсками эристава и Тамерлана было жестоким. Сначала преимущество было на стороне захватчиков, однако Виршел сменил боевую тактику, и добился успеха.

Одержав победу, эристав отправился в Кного повидаться со своими близкими, один, без военного отряда и тем самым спровоцировал кногойца Харебу тайком отправиться к магран-двалам с сообщением о том, что Виршел находится в Кного без

охраны, и призвать их отомстить эриставу.

Несмотря на клятву верности, принесенную двалами в 1398 году, к 1400 году среди них снова усилились сепаратистские настроения. Они не принимали участия в оборонительных боях царя Георгия. Двалы, подстрекаемые кногойцем Харебой, действительно двинулись в Кного с целью захвата эристава, но Виршелу вовремя сообщили об их приближении, и он срочно покинул крепость вместе со своими близкими. В ту же ночь двалы прибыли в Кного, но эристава там уже не оказалось, а Хареба упрекнул их в опоздании, из-за чего их общему врагу удалось уйти безнаказанным.

К этому времени Тамерлан уже окончательно разорил Восточную Грузию и покинул ее территорию.

Виршел не простил кногойцу Харебе предательства, собрал войско из воинов, переживших бои с Тамерланом, и повел его против Кного. Он загнал Харебу и его единомышленников в крепость и всех истребил, оставив в живых его трехлетнего сына, жену и брата.

Узнав о нападении на Харебу, двалы поспешили к нему на помощь, но сражение было уже закончено, и они не посмели выступить против победителя. Виршел тоже не пожелал сражаться и повернул назад.

Сепаратистские настроения двалов не остались без внимания со стороны царя Георгия VII. Он стал теснить двалов одновременно с двух сторон: нижних двалов он атаковал сам, а против магран-двалов послал эристава Виршела и арагвского эристава Сурамели. В результате этой операции двалы снова изъявили покорность грузинскому царю. Таким образом, царь Георгий силой подчинил себе отколовшихся двалов и взял под контроль все пути и тропы, ведущие из Северного Кавказа в Грузию, очистил Тбилиси от войск Тамерлана и т. д. Действия Георгия VII вызывали недовольство в ставке Тамерлана, и против него были посланы карательные войска. В общей сложности Тамерлан предпринял восемь походов на Грузию.

Виршел Ш скончался в 1422 году. Цхразмийским эриставом



назначается его сын Квенипневели.

Вступив в должность, Шалва Квенипневели развернул широкомасштабные работы по востановлению разрушенных сел, храмов и крепостей. Многие его начинания были успешно завершены. Шалва Квенипневели правил Цхразмийским эриставством в 1422-1470 гг.

В работе рассматриваются любопытные детали административно-территориального устройства Ксанского эриставства. К концу XIII - началу XIV вв. в составе Цхразмийского эриставства фигурируют девять «хеви» (мелкая административная единица в пределах эриставства). Правителями цхразмийских хеви были Журули. В 1460 году цена крови Журули составляла160000 кирманеули тетри, в то время как цена крови эристава Шалвы Квенипневели не превышала 170000 кирманеули.

Особое внимание уделяется малоизвестным фактам и событиям, ломающим стереотипы, утвердившиеся в нашей историографии. Речь идет о проблемах, акцентируемых в диссертационной работе. В частности, какими методами пытаются добиться покорности со стороны грузинских правителей соседние большие государства – Иран, Турция и Россия. Это прямая военная экспансия (походы), внутренние неурядицы (управляемый хаос, междоусобицы, политический террор, убийства царей), экономическая блокада (Турция запрещала ввозить в Имерети соль), изменение демографической картины, подкупы, нарушение территориальной целостности и т. д., кроме того, исследуется, какие проблемы существуют во взаимоотношениях центра и региона, какими способами борется центральная власть с сепаратизмом и другие вопросы этого ряда.

* * *

Во второй половине XVI в., как и в последующую эпоху, жизнь в Ксанском эриставстве, равно как и во всем Картлийском царстве, была несладкой.

В это время продолжается борьба за владычество над Грузией

между двумя соседними государствами -Турцией и Ираном.

В 1556 году в войне с персами за независимость Грузии погиб царь Луарсаб I (1527-1556 гг. ) . Престол Картлийского царства переходит к его сыну Симону I (1556-1599) .

Царь Симон продолжает борьбу за независимость против Ирана и Турции.

С целью стимулирования сепаратистских тенденций иранцы противопоставляют Симону I его родного брата Давида, обещая последнему власть над всей Грузией. В 1562 году в Грузии вспыхивает братоубийственная война, в которой Давид (Дауд-хан) получал постоянную поддержку со стороны Ирана в виде военной силы, оружия, финансов и прочих средств, способствующих разрушению грузинской государственности.

В 1569 году в битве при Парцхиси персы берут в плен царя Симона, однако не смещают его с престола. От его имени государством управляет его супруга, царица Нестан-Дареджан. Следовательно, в Восточной Грузии одновременно существуют три царства, что отнюдь не отвечает интересам Ирана, предчувствующего приближение войны с Турцией. К 1576 году царя Симона и его супругу лишают власти, и объединенное царство переходит в руки Дауд-хана, а руками картлийских князей - Ксанского эристава Элизбара и Бардзима Амилахори был - устроен погром семьи Симона I.

В начале августа 1578 года многотысячное турецкое войско вошло в Южную Грузию. К концу августа был взят Тбилиси. Правитель Картли Вахтанг Мухран-батони, Ксанский эристав Элизбар и Бардзим Амилахори, по-видимому, с согласия царицы Нестан-Дареджан присягнули в верности туркам, тем самым прекратив разорение Картли. Вскоре Турция вытеснила Иран из всего Восточного Закавказья.

Иранская власть свергла с престола Дауд-хана и вернула на картлийский трон Симона I, принявшего ислам. В октябре 1578 года царь Симон, при поддержке иранских войск возвращается в Картли и ведет успешные бои против турок: освобождает г. Гори и готовится отомстить ксанскому эриставу Элизбару, Бардзиму



Амилахори и их сторонникам. В осуществлении этих планов ему препятствует Вахтанг Мухран-батони. Царь отдает приказ взять его под стражу. После этого в заключении оказывается и Бардзим Амилахори. Напуганный ксанский эристав является к царице и возвращает ей отобранное у нее как им самим, так и Бардзимом Амилахором имущество. Через некоторое время он снова встречается с царицей. Между ними достигнуто соглашение, в соответствии с которым ксанский эристав отдает ей в качестве компенсации за нанесенное оскробление Ахалгори и Меджуду. Бардзиму Амилахори пришлось уступить Карби и Каспи. Царица простила им их проступки и выпросила для них прощение у самого царя, примирила их с царем и заставила их присягнуть ему в верности, после чего Вахтанг Мухран-батони был освобожден из заключения. В состоявшемся примирении не последнюю роль сыграл представитель иранской власти, так как раздробленность Грузии уже не входила в интересы Ирана. Иран был заинтересован в создании единого грузинского государства, способного оказать сопротивление турецкой армии.

Ахалгори и Меджуда вскоре должны были быть возвращены ксанским эриставам.

В исторических источниках Ахалгори впервые упоминается в связи с ноябрьскими событиями 1578 года, однако это вовсе не означает, что его история как населенного пункта начинается с этого момента. Случайные археологические находки свидетельствуют о том, что эта территория была заселена уже в эпоху неолита, примерно 10-12 тысяч лет назад.

Источники фиксируют политическую активность ксанских эриставов в 1609 году. В это время Ксанский эристав Шалва принимает активное участие в победоносной битве против многотысячного турецкого войска.

* * *

За непродуманными политическими действиями царя Кахети Теймураза I последовала соответствующая реакция со стороны Ирана. В 1614 году шах Аббас предпринял карательный поход на

Грузию, ставший настоящей трагедией грузинского народа. В этот год было выселено 80.000 грузинских семей.

В этот же год по приказу шаха Аббаса ксанским эриставом был назначен Иесе. Как сам Иесе, так и основная часть представителей грузинской знати, очевидно, являлись сторонниками проиранской политики. Эристав Йесе был супругом Родам, второй по возрасту дочери Георгия Саакадзе.

К 1620 году обостряется борьба за власть в Саамилахвро в результате противостояния между Папуной и Андукапаром. Ксанский эристав Иесе принимает сторону Андукапара Амилахвари и отдает приказ убить Папуну.

В 1625 году в битвах при Марткопи и Марабда Иесе вместе с другими представителями грузинской знати сражается против Ирана. По-видимому, к этому времени мировоззрение эристава претерпело некоторую трансформацию.

Побежденные в битве при Марабде грузины во главе с Георгием Саакадзе переходят к партизанской войне, в которой не последняя роль отводится эриставу Иесе.

Еще до Марткопской битвы антииранская группировка, руководимая Георгием Саакадзе, взяла в плен близкого родственника иранского шаха, политика проиранской ориентации Андукапара Амилахвари. Он был заключен в горной крепости Арша.

После победы при Марабде иранской армии был дан приказ освободить Андукапара Амилахвари. Между арагвским эриставом Зурабом и иранскими военачальниками было достигнуто соглашение, согласно которому арагвский эристав беспрепятственно пропускал кызылбашей к Аршской крепости. Обратный же путь к Тбилиси пролегал через Ксанское ущелье. По-видимому, этот договор был согласован с Георгием Саакадзе.

В конце августа 1625 года 12 тысяч кызылбашских всадников отправились освобождать Андукапара и его супругу. В первой стычке под Цицамури Георгий Саакадзе использовал монгольскую тактику боя и быстро отступил, как бы демонстрируя врагу свое «бессилие» и предоставив ему возможность испытать радость легкой победы. Уверенные в своей непобедимости основные силы противника вошли в Арагвское ущелье. Вторая, незначительная часть войска направилась в Ксанское ущелье.



Целью ксанского отряда была разведка обратного маршрута для основных войск. Ксанский эристав Иесе, разумеется, не без ведома Георгия Саакадзе, беспрепятственно пропустил персов в глубь ущелья. Гарнизон Аршской крепости без сопротивления выдал им Андукапара и членов его семейства. На обратном пути кызылбашы пытались выйти в Ксанское ущелье через другой перевал, но грузины не дали им этой возможности и вынудили их идти через Ломисский перевал, где их ожидала засада. Проход через перевал был очень узок, пропускная способность низкая, поэтому персы были вынуждены встать лагерем к северу от Ломисского хребта и преодолевать перевал по частям.

Ломисский перевал способен пропускать в день не более 4.000 всадников, следовательно, 12 тысячам воинов требовалось на переход три дня. От Ломисского перевала до р. Ксани всего 4 километра. Тропинки, спускающиеся от перевала вдоль Ломисского и Охирского ущелий должны были быть плотно отгорожены ветками и кустами, чтобы враг не мог свернуть с дороги. Здесь же были устроены укрытия, из которых можно было незаметно отстреливать вражеских воинов. Таким образом, в этом узком проходе шел бесшумный бой – истребление врага поодиночке. Три дня длилась битва в теснинах Ломисского и Охирского ущелий. Путь назад был перекрыт отрядами брата арагвского эристава Зураба Георгия и пути вперед тоже не было. Таким образом, мало кому из кызылбашей удалось живым добраться до р. Ксани. Вокруг стояли горы трупов, кровь их стекала в потоки Ломиси и Охири и смешивалась с водами Ксани, окрашивая их в красный цвет, и эта кровавая река текла целых две недели.

Из 12.000 персидских всадников лишь немногим удалось добраться до Ксани, Карчохи, да и то лишь тем, которых грузины пожелали оставить в живых. Потери самих грузин были весьма незначительны.

После блестящей победы на р. Ксани в Карчохи эристав Иесе и Андукапар Амилахвари примирились между собой и, объединив

свои силы, напали на семью Газнели, завладевшую землями ксанских эриставов и амилахоров, и истребили её. Вслед за этой резней эристав Иесе и Андукапар Амилахвари возвращают себе утерянные территории.

Осенью 1626 года эристав Иесе принимает участие в битве при Базалети на стороне Георгия Саакадзе против царя Теймураза I. Фактически, это противостояние было спровоцировано Ираном. Убедившись, что за покорение Грузии ему приходится платить дорогой ценой, шах сменил политику меча на дипломатию. Он заключит мир с царем Теймуразом, посеяв раздор между членами грузинской группировки, и стал осуществлять свои планы руками самих грузин. В битве при Базалети приверженец протурецкой политики Георгий Саакадзе потерпел поражение и был изгнан из Грузии. Вместе с ним в Турцию отправился и ксанский эристав Иесе. Его место занимает его брат Шанше (1626-1632 гг. ), который продолжает бороться за расширение границ эриставства теми же способами, что и Иесе, следуя его политическому курсу.

В 1629 году в Турции был убит великий грузинский полководец Георгий Саакадзе и сопровождающие его лица. Как видно, Иесе в это время не находился рядом с ним, так как в 1632 году он снова появляется на политической арене Грузии, убивает эристава Шанше (очевидно, с согласия, явного или скрытого, царя Теймураза) и возвращает себе должность эристава.

В 1632 году Иран отстраняет от царствования Теймураза и сажает на картлийский трон Ростома. В 1633 году ксанским эриставом назначается Заал. С конца того же года Заал правит эриставством совместно с Иесе. Однако Иесе недолго сохраняет верность царю Ростому. Вскоре он переходит на сторону Теймураза I. В 1634 году Иесе убивает ксанского эристава Заала. В Грузии разгорается братоубийственная война между сторонниками Теймураза и Ростома. Теймураз к этому времени берёт политический курс на Россию, в то время как Ростом придерживается проиранской ориентации. Противостояние между Теймуразом и Ростомом, вылившееся в хаос и смути, было инспирировано соседними большими государствами – Россией,



Турцией и Ираном. К несчастью, этот спланированный, управляемый хаос осуществлялся руками самих грузин. Ростом предпринимает попытки стабилизировать ситуацию. В 1637 году он освобождает Иесе от занимаемой должности и эриставом Ксанского ущелья назначает Элизбара.

С целью вернуть потерянную должность Иесе отправляется в Иран. По просьбе Ростома, шахский двор принимает его благосклонно и назначает на довольно высокую должность при дворе. В 1642 году он погибает от рук сыновей Папуны Амилахвари.

* * *

В Грузии же продолжается запрограммированная междоусобица. В 1638 году ксанский эристав Элизбар находится в оппозиции по отношению к Ростому и поддерживает Теймураза. На стороне Теймураза выступает и арагвский эристав Иотам Амилахвари. 25 декабря Ростом во главе многочисленного войска нападает на Ахалгори и разгоняет сепаратистов. Царь Ростом остается в Ахалгори и на второй день прощает своих противников. Происходит примирение, и царь отправляется в Гори.

Ксанские правители оказались вовлечены в общекартлийские политические процессы. За скоропалительным политическим решением Теймураза – взять курс на Россию в то время, когда Иран находился в зените своего могущества, - последовала незамедлительная реакция со стороны последнего. Результатом явилось почти полное опустошение территории Восточной Грузии. Спланированные и финансированные извне «внутренние» войны ослабили Грузию и привели ее в жалкое состояние.

Ксанским эриставством правит Иесе Иесевич, выросший при иранском дворе и приверженный проиранской политике.

Несмотря на близкое родство (они были двоюродными братьями), между Иесе и Вахтангом возникают серьезные разногласия.

В 1675 году по приказу Вахтанга V ксанский Эристави Иесе был изгнан из своих владений и вместо него был назначен сын Шалвы Эристави – Датуна, который в 1686 г. женился на Марие – дочери царя Гиоргия XI. Но уже в 1689 г. из-за отступничества

Датуны, потерявший престол Гиорги XI был вынужден укрыться в Раче. Сбалансировать политическую ситуацию в Картли не удалось и Ираклию I, против которого выступила картлийская элита. В 1691 г. Гиорги XI вернулся на родину и между ним и Ираклием разгорелась 4-летняя братоубийственная война за престол. В этой войне Датуна выступал на стороне Гиоргия, но потерпев поражение, вместе с ним покинул Картли, а Ксани остался под властью его двоюродного брата – Давида, который еще в 1686-1690 гг. вместе с Датуной правил Ксанским эриставством. В 1700 г. Давид был убит по приказу матери Датуни и Датуны вновь занял свою должность.

В 1703 г. с назначением Вахтанга VI правителем Картли Датуна принял его сторону. Проводимые Вахтангом VI-ым важные мероприятия вызвали отрицательную реакцию со стороны ксанских и арагвских эриставов, начался раскол между центральной властью и руководителями этих регионов.

В 1714 г. Вахтанга VI отстранили от должности правителя Картли и отозвали в Иран, но в 1716 г. его вернули обратно уже на картлийский престол и он начал борьбу против отступников. С этой целью Вахтанг VI прибыл с войском к границам ксанского эриставства, но за этим последовала внезапная смерть Датуны, после чего центральная власть полностью укрепила свои позиции в этом регионе.

В конце 1777 года царь Ираклий II лишил Ксанских эриставов права на управление этой административно-территориальной единицей как предателей интересов царской власти, изгнал их из Ксанского ущелья и передал его в управление своим верным единомышленникам и сыновьям. Правителем Ксанского ущелья (вместе с ущельями р. Исроли и Меджуда) был назначен Георгий, а ущелья Малой Лиахви – Юлон. В 1794 году Георгий Багратиони передал правление Ксанского ущелья своим детям, в частности, ущелье р. Ксани – Иоане, а ущелья рек Исроли и Меджуда – Баграту.

В период перед присоединением Грузии к России позиция Ксанских эриставов приобретает важное значение для Багратионов. Поэтому в 1801 году они возвращают им отнятые в 1777



году территории.

Таким образом, вышеприведенные исторические факты свидетельствуют об активном участии Ксанских эриставов в политической жизни Картлийского царства.

# დამოწმებული წყაროებისა და ლიტერატურის სია


1. აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973 წ.
2. ალასანია გ., XVIII საუკუნის ქართული ანონიმური ქრონიკა. წიგნში: ცხოვრება საქართველოისა (პარიზის ქრონიკა), თბ., 1980.
3. ანდრიაშვილი ი., გაგოშიძე ი., ვერცხლის თასი ყანჩაეთიდან: კრებულში: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XXXI-ს, თბ., 1975.
4. ანჩაბაძე გ., "ძეგლი ერისთავთა" როგორც წყარო სამხედრო საქმის ისტორიისათვის ქართლის მთიანეთში, კრებულში: ქართული წყაროთმცოდნეობა VII, თბ., 1987.
5. ანთელავა ილ., XI-XV საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, თბ., 1990.
6. ანთელავა ილ., საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII სს., თბ., 1983.
7. არახამია გ., "ძეგლი ერისთავთა" როგორც საისტორიო წყარო, საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერის უფლებით, თბ., 1983.
8. არახამია გ., ძველი ქართული საგვარეულო მატიანეები, თბ., 1988.
9. აფხაზავა ნ., ქვემო ალევი ადრეულ შუა საუკუნეებში, თბ., 1988.
10. ასათიანი ნ., საქართველოს ისტორია, IX კლ. სახელმძღვანელო, თბ., 1999.
11. ბაგრატიონი თ., ახალი ისტორია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებელი დაურთო ლეილა მიქიაშვილმა, თბ., 1983.
12. ბანდაისძე ა., 1348 წლის მინაწერი ლარგვისის პარაკლიტონზე, შ. მესხია, ძეგლი ერისთავთა (გამოკვლევა) წიგნში: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 30, თბ., 1954.
13. ბანდაისძე გ., 1400 წლის მინაწერი ლარგვისის პარაკლიტონზე, წიგნში: ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, ტ. II, თბ., 1897; ასევე: ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. III, თბ., 1983; ასევე; შ. მესხია, ძეგლი ერისთავთა (გამოკვლევა) წიგნში: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 30, თბ., 1954.
14. ბარათაშვილი იასე ოსეს ძე, ცხოვრება-ანდერძი, კრებულში მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 28, თბ., 1950; ასევე: თავგადასავალი იესე ოსეს შვილისა, კაკაბაძის გამოცემა, თბ., 1913; ასევე: იასე ბარათაშვილი, ცხოვრება-ანდერძი წიგნში: ქართული მწერლობა, ტ. VIII.
15. ბატონიშვილი ვ., აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.
16. ბატონიშვილი ი., ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებელი დაურთო თ.ენუქიძემ და გ. ბედოშვილმა, თბ., 1986.
17. ბატონიშვილი ი., ხუმარსწავლა (კალმასობა) წიგნი I, 1990.

17-ა - ბატონიშვილი ი., კალმასობა, ტომი მეორე, კ. კეკელიძის და ალ. ბარამიძის რედაქციით, 1948.

18. ბაგრატიონი (ბატონიშვილი) ი., აღწერა საქართველოს თავადაზნაურთა გვარებისა, თბ., 1997.
19. ბაგრატიონი ან., წყობილსიტყვაობა, თბ., 1980.
20. ბაგრატიონი არ., გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა წიგნში: ქართული მწერლობა, ტ. 6, თბ., 1989.
21. ბარამიძე ა., არჩილ ბაგრატიონი, თბ., 1983.
22. ბერაძე თ., შიდა ქართლის ისტორიიდან, ჟურნალში: საქართველოს ბუნება, №4, თბ., 1990.
23. ბერიძე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967.
24. ბერიძე ვ., ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974.
25. ბერიძე ვ., XVI-XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1983.
26. ბერძენიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, თბ., 1985.
27. ბერძენიშვილი ნ., ჯავახიშვილი ი., ჯანაშიას ს., საქართველოს ისტორია, თბ., 1946.
28. ბერძენიშვილი ნ., დონდუა ვ., დუმბაძე მ., მელიქიშვილი გ., მესხია შ., რატიანი პ., საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958.

29. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი II, თბ., 1965.
30. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი III, თბ., 1966.
31. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი VI, თბ., 1973.
32. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი VII, თბ., 1974.
33. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი VIII, თბ., 1975.
34. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი IX, თბ., 1979.
35. ბერძენიშვილი ნ., გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ., 1966.
36. ბოგვერაძე ა., ქართლის ფეოდალური სახელმწიფოს აღდგენა, წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973.
37. ბოჭორიძე გ., ორი ფიქალწერილი, კრებულში: საისტორიო მოამბე, წიგნი I, თბ., 1925.
37-ა. M. Brosset, Additions, P. 372-384.
38. გაგოშიძე ი., ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964.
39. Гагошидзе Ю. М. , Картли (Иберия) в У-1, веках до н. э. на правах рукописы. Тб., 1983, Диссертация на соискание ученой степени доктора исторических наук в форме научного доклада.
40. Гамрекели В. Н., Двалы и Двалетия, в 1- XX вв. н. е., Тб., 1961.
41. გამრეკელი ვ., სოციალური ბრძოლის ისტორიიდან ქართლის მთიანეთში XIII-XIV სს. ("ძეგლი ერისთავთას" მიხედვით), კრებულში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XIX, №2, თბ., 1957.
42. გამრეკელი ვ., XIII-XIV სს. მიჯნის საქართველოს ისტორიიდან, კრებულში: მრავალთავი, ფილოლოგიური ისტორიული ძიებანი, თბ., 1957.
43. გაბაშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები იაპონელი მეცნიერის შრომებში, ჟურნალი: მნათობი, №6, თბ., 1987.
44. გაბაშვილი ვ., ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII სს., თბ., 1958.



45. გვასალია ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983.
46. გვასალია ჯ., გიორგიძე მ., სურამელაშვილი მ., ჭურღულია ლ., ხადას ხეობა, თბ., 1983.
47. გვასალია ჯ., ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, წიგნში: საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული III, თბ., 1967.
48. გვასალია ჯ., ქსნის ხეობის ძეგლები, კრებულში - ძეგლის მეგობარი №21, თბ., 1970.
49. გვასალია ჯ., ლიახვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, წიგნში: საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული VI, თბ., 1982.
50. გვასალია ჯ., ქსნის საერისთავო, წიგნში: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 10, თბ., 1986.
51. გვასალია ჯ., ქსნის ხეობათა შედარებითი შესწავლისათვის ("ქსნური ფენომენი"), დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ მაცნეში, ისტორიის,... სერია, №4, თბ., 1988.
52. გვასალია ჯ., შიდა ქართლი და ოსური საკითხი, თბ., 1997.
53. გვასალია ჯ., საყდრისშვილობის" ინსტიტუტის საკითხისათვის, კრებულში: თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები №283, თბ., 1989.
54. გვრიტიშვილი დ., ქართველი ხალხის ბრძოლის ისტორიიდან თურქ და სპარს დამპყრობლების წინააღმდეგ XVIII ს. პირველ ნახევარში, (გივი ამილახვარის აჯანყება) წიგნში: მიმომხილველი III, თბ., 1953.
55. გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბ., 1955.
56. გვრიტიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XIII-XIV სს.), თბ., 1962.
57. გვრიტიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. II, 1965.
58. გვრიტიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. III, 1968.
59. გვრიტიშვილი დ., მასალები ქართველი გლეხობის ისტორიისათვის XVIII ს. 1979.

60. გვრიტიშვილი ლ., საეკლესიო სამონასტრო მიწათმფლობე-ლობის ფორმებისათვის XI-XIII ს.ს. საქართველოში, კრებუ-ლში: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXIX-ბ., 1972, გვ. 62-76.
61. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანუ-ლი ტექსტი, ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკ-ვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. I, თბ., 1962.
62. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანუ-ლი ტექსტი, ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკ-ვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. II, თბ., 1964.
63. გიორგი ბრწყინვალის სამართალი, ი. დოლიძის გამოცემა, თბ., 1957.
64. გონიკაშვილი მ., ბაგრატიონთა დასახლება და მოღვაწეობა რუსეთში, თბ., 1986.
65. გრიგოლია კ., ახალი ქართლის ცხოვრება, თსუ გამომცემ-ლობა, თბ., 1954.
66. გორგიჯანიძე ფ., ისტორია..., წიგნში: საისტორიო მოამბე II, თბ., 1925, ს. კაკაბაძის გამოცემა.
67. გელაშვილი ნ., სიმონ მეფე ყიზილბაშთა ტყვეობაში, ჟურ-ნალი: ცისკარი №2, 1984.
68. გუჩუა ვ., გადავხედოთ წარსულს, თბ., 1984.
69. გურჯი-ზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი, თურქული ტექ-სტი ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსცა ცისანა აბულაძემ, თბ., 1975.
70. გოგოლაძე დ., "ქართლის ცხოვრების" ერთი ადგილი წყა-როსა და მისი გაგებისათვის, დაიბეჭდა: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალში: მაცნე, ისტორიის..., სერია, №2, თბ., 1987.
71. დავრიჟეცი ა., ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1974.
71-ა. დე გრაი დე ფუა საქართველოს შესახებ, ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ჯუმბერ ოდიშელმა, თბ., 1985.
72. დონდუა ვ., ვახტანგ VI-ის დროინდელი საქართველოს პო-ლიტიკური ისტორიიდან (1712-1745 წ. წ.) კრებულში: მიმომ-ხილველი III, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუ-ტი, თბ., 1953.
73. დონდუა ვ., დავით გურამიშვილი და საქართველოს ისტო-რია, თბ., 1959.



74. დონდუა ვ., საისტორიო ძიებანი, თბ., 1985.
75. Думбадзе М., Ломинадзе Б., Лорткипанидзе М., К истории нагорной картли в У-ХУП веках. კრებულში: საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიური განვითარების თავისე-ბურებანი ფეოდალიზმის ხანაში, თბ., 1983.
76. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II ბატონყმური ურთიერთობა (XV-XIX სს.) ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1953.
77. ეგნატაშვილი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება, ტექსტი ივ. ჯავახიშვილის წინასიტყვაობით და რედაქციით, თბ., 1940.
78. ერიაშვილი ჟ., უძველესი სოციალურ-რელიგიური ინსტიტუ-ტები საქართველოში, თბ., 1982.
79. ერისთავი გ., თხზულებანი, 1966.
80. ზაქარაია პ., საქართველოს ძველი ქალაქები და ციხეები, 1973.
81. ზაქარაია პ., ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექ-ტურა XI-XII სს., თბ., 1975.
82. ზაქარაია პ., ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექ-ტურა XIII-XVII სს, თბ., 1981.
83. ზაქარაია პ., ლენინგორის რაიონი, გზამკვლევი, თბ., 1981.
84. ზაქარაია პ., ქსნის ხეობის ციხე-სიმაგრეები, კრებულში: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVI-B, თბ., 1950.
85. ზაქარაია პ., სიმაგრეთა ერთი უცნობი სახე, კრებულში: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XXIII- B, თბ., 1962.
86. თაყაიშვილი ე., რჩეული ნაშრომები, ტ. I, თბ., 1968.
87. თაყაიშვილი ე., საქართველოს სიძველენი, ტ. I, თბ., 1899.
88. თაყაიშვილი ე., საქართველოს სიძველენი, ტ. II, თბ., 1909.
89. თაყაიშვილი ე., საქართველოს სიძველენი, ტ. III, თბ., 1910.
90. თაყაიშვილი ე., ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწე-რა, თსუ შრომები, ტ. 45, თბ., 1951.
91. თოგოშვილი გ., საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტო-რიიდან (უძველესი დროიდან XIV ს. დამლევამდე), სტალი-ნირი, 1958.
92. თურქ-სპარსთა ომი და ქრისტიანი ქართველები, 1577-1581 წწ., იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და სა-ძიებლები დაურთო ე. მამისთვალაშვილმა, თბ., 1987.

92-ა. თოფჩიშვილი რ., საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნო-ისტორიის საკითხები, თბ., 1997.
93. იოსელიანი პ., ცხოვრება გიორგი XIII-ისა, თბ., 1978.
94. იოსელიანი პ., დიდი მოურავი, გიორგი სააკაძის ცხოვრება, თბ., 1973.
95. ითონიშვილი ვ. ვ., ქართლის მთიელთა ყოფა-ცხოვრებიდან, თბ., 1974.
96. ითონიშვილი ვ. ვ., არაგვის ხეობა, თბ., 1986.
97. ითონიშვილი ვ. ვ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1992.
98. ითონიშვილი ვ. ვ., ქართულ-ოსური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1995.
99. ითონიშვილი ვ. ვ., ერთხელ კიდევ "ძეგლის დების" შედგენის მიზეზისა და მიზნის, სამართლის წიგნის მნიშვნელობისა და მოქმედების ტერიტორიის შესახებ. კრებულში: მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXIII, თბ., 1987.
100. ინგოროყვა, პ., თხზულებათა კრებული, ტ. I, თბ., 1963.
101. ინგოროყვა პ., თხზულებათა კრებული, ტ. IV, თბ., 1978.
102. ისკანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი, ქართული თარგმანით და შესავლითურთ გამოსცა ვლ. ფუთურიძემ, თბ., 1969.
103. კაკაბაძე ს., წვრილი შტუდიები, საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ, თბ., 1914.
104. კაკაბაძე ს., შოთა რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, თბ., 1916.
105. კაკაბაძე ს., თავგადასავალი იესე ოსეს შვილისა, თბ., 1913.
106. კაკაბაძე ს., საამილახვროს დავთარი, XVII ს-ის მეორე ნახევარი, ტფილისი, 1925.
107. კაჭარავა დ., ვახტანგ V-ეს საგარეო პოლიტიკის საკითხისათვის, წიგნში: ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, I, თბ., 1970.
108. კეკელიძე კ., ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, თბ., 1952.
109. კიკნაძე გ., ლითონის ჭურჭლის კატალოგი, თბ., 1974.
110. კიკნაძე რ., საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები, I, თბ., 1982.
111. კანდელაკი მ., ხევისბერის ინსტიტუტის საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ეთნოგრაფიული მონაცემის მიხედვით) კრებულში: მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, თბ., 1975.
112. კიკნაძე გ., ლითონის ქართულ დამღიანი ჭურჭელი, კრებულში, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XXXII, თბ., 1976.
113. კიკნაძე გ., გიორგი V ბრწყინვალეს გამეფების თარიღის საკითხისათვის, წიგნში: საისტორიო კრებული, II, თბ., 1977.
114. კიკნაძე გ., ყანჩაეთის სვინაქსარი და მისი მნიშვნელობა "ძეგლი ერისთავთა"-ს დათარიღებისათვის (XV ს.), წიგნში: ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, თბ., 1982.
115. კურთხევაჲ ცოტაჲს ერისთავისა დადგინებისაჲ უფლისა მიმართ ვილოცოთ, წიგნში: ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1965.
116. ლაპიდარული წარწერები I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.) შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980.
117. ლომინაძე ბ., გელათი, (გზამკვლევი), თბ., 1958.
118. ლომინაძე ბ., დიმიტრი II თავდადებული, წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979.
119. ლომინაძე ბ., მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყება ქართლში XIII-XIV სს. მიჯნაზე, წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979.
120. ლომინაძე ბ., მონღოლთა ბატონობის დასასრული და ქვეყნის პოლიტიკური მთლიანობის აღდგენა, წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979.
121. ლომინაძე ბ., მდგომარეობა ქართლის მთიანეთში და სამეფო ხელისუფლების ღონისძიებები, იქვე.
122. ლომინაძე ბ., ღონისძიებანი ცენტრალური მმართველობის აღდგენა მოწესრიგებისათვის, იქვე.
123. ლომინაძე ბ., საქართველო XV-საუკუნის პირველ ნახევარში, ღონისძიებები ქვეყნის აღდგენისათვის. ალექსანდრე I, დიდი.
124. ლომისის ლომნი, წიგნში: ლექსო არ დაიკარგები, რედაქტორ-შემდგენელი ალ. ჭინჭარაული, თბ., 1985.
125. ლორთქიფანიძე მ., ადრეფეოდალური ხანის ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1966,
126. ლორთქიფანიძე მ., რა არის ქართლის ცხოვრება, თბ., 1989.

127. ლორთქიფანიძე მ., უძველესი საბეჭდავი-ბეჭდები იბერიიდან და კოლხეთიდან, თბ., 1981.
128. მამისთვალაშვილი ე., ამილახვრები, თბ., 1996.
129. მამისთვალაშვილი ე., გორის ისტორია, I, თბ., 1994.
130. მაკალათია ს., ქსნის ხეობა, თბ., 1968.
131. მაკალათია ს., ლეხურის ხეობა, თბ., 1964.
132. მამულია გ., კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში, თბ., 1979.
133. მეგრელიშვილი ი., სიძველეები ლიახვის ხეობაში, თბ., 1984.
134. Меликишвили Г., К истории древней Грузии, Тб., 1959.
135. მელიქიშვილი გ., ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალური ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1973.
136. მელიქიშვილი გ., ქართლი (იბერია) ძვ. წ.. VI-IV საუკუნეებში ქართლის სამეფოს წარმოქმნა. წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970.
137. მენთეშაშვილი ა., საქართველოსა და ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან, დაიბეჭდა ჟურნალში: დროშა, №9, თბ., 1958.
138. მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, თბ., 1962.
139. მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. II, თბ., 1980.
140. მენაბდე ლ., ქართული კულტურის კერა ათონზე, თბ., 1982.
141. მენაბდე ლ., ნაშრომი განძად დაშთების, თბ., 1989.
142. მესხია შ., საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში, თბ., 1979.
143. მესხია შ., გვრიტიშვილი დ., დუმბაძე მ., სურგულაძე ა., თბილისის ისტორია, თბ., 1958.
143-ა. Меписашвили Р., Цинцадзе В., Архитектура нагорной части исторической провинции Грузии Шида-Картли, Тб., 1975.
144. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. I, თბ., 1977.
145. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. II, თბ., 1980.
146. მუსხელიშვილი დ., კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები XII-XIII სს. წიგნში: საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული III, თბ., 1967.



147. მროველი ლეონტი, ცხოვრება ფარნავაზისა,..., წიგნში: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.
148. მინადოი ტ., ისტორია ომისა ოსმალთა და სპარსთა შორის ტურინი, 1588, იტალიურიდან თარგმნა პატრი ლაზარე გაზალაშვილმა.
149. მცირე ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მინაწერები) ტექსტი გამოსცა, შესავალ-წერილი და კომენტარები დაურთო ჯუმბერ ოდიშელმა, თბ., 1968.
150. XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსები საქართველოს შესახებ, არაბულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო დიტო გოჩოლეიშვილმა, თბ., 1988.
151. ნაკაშიძე ნ., საქართველო-რუსეთ-ირანის ურთიერთობა და ბახტრიონის აჯანყება, კრებულში: ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, I, თბ., 1970.
152. ნინიძე დ., სანაძე მ., ჰოვპანავანქის მონასტრის ეკვდრის წარწერა და ალასტანელ "პროვინციის მეფეთა" ისტორიის ზოგიერთი საკითხი, ჟურნალში: მაცნე..., ისტორიის სერია, №3, თბ., 1999.
153. ნინიძე დ., "პროვინციის მეფეთა" ინსტიტუტის წარმოშობისათვის, ჟურნალში: მაცნე, ისტორიის სერია. №3, თბ., 1992.
154. ნინიძე დ., ალასტანელ "პროვინციის მეფეთა" სამფლობელოს წარმოქმნის ისტორიისათვის, ჟურნალში: მნათობი, № 7-8, თბ., 1993.
155. ნინიძე დ., სავახტანგო, კრებულში: მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის, ნაკვეთი IV, თბ., 1993.
156. ნინიძე დ., პროვინციის მეფეები XIV-XV საუკუნეების საქართველოში, თბ., 1995.
157. ოდიშელი ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან (XVI-XVII სს.), წიგნში: XIV-XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბ., 1964.
158. ორბელიშვილი ბ., შესხმა წმიდათა მოწამეთა ბიძინასი, შალვასი და ელიზბარისა და უწყება წამებისა მათისა, წიგნში: მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, პეტერბურგი, 1882.
159. ორბელიანი პ., ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა, თბ., 1981.

160. Памятник эриставов, Перевод иследование и примечания С.С.Какабадзе, Тб., 1979.
161. პირთა ანოტირებული ლექსიკონი I, თბ., 1991.
16I-ა. პირთა ანოტირებული ლექსიკონი II, თბ., 1993.
162. პაპუაშვილი თ., რანთა და კახთა სამეფო, თბ., 1982.
163. ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რევაზ კიკნაძემ, თბ., 1987.
164. ჟამთააღმწერელი, წიგნში: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959.
165. ჟორჟოლიანი გ., საქართველო XVII ს. 30-50-იან წლებში, თბ., 1987.
166. ჟურულიანთ გვარის სასისხლო სიგელი, წიგნში: ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, ტ. II, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, თბ., 1897.
167. ჟორდანია თ., ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, ტ. II, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი, თბ., 1897.
168. ჟორდანია თ., ქრონიკები და ... ტ. III, 1967.
169. რეხვიაშვილი მ., დასავლეთ საქართველო XVII ს., თბ., 1978.
169-ა. რეხვიაშვილი მ., იმერეთის სამეფო, 1562-1810 წწ., თბ., 1985.
170. რუსთაველი შ., ვეფხისტყაოსანი, პავლე ინგოროყვას რედაქციით და გამოკვლევებით, წიგნი I, თბ., 1970.
171. რატიანი ლ. აღმოსავლეთ საქართველოს შინა პოლიტიკური ვითარება XVIII ს. 40-50-იან წლებში, კრებული: მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი VI, თბ., 1978.
172. რკონის მონასტრის წარწერა, წიგნში: ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი III, თბ., 1982.
173. რატიშვილი გ., ზურაბ რატიშვილის ანდერძის წერილი, ჟურნალი "მაცნე", ენისა და ლიტერატურის სერია №3, თბ., 1982.
174. სამთავისის სამწყსოს დრამისა და შესავლის წიგნი, წიგნში: ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, ი. დოლიძის რედაქციით, თბ., 1970.
175. საქართველოს ისტორიის ქრონიკები, XVII-XIX სს. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო ა. იოსელიანმა.
176. საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. I, თბ., 1970.
177. საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. II, თბ., 1973.
178. საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. III, თბ., 1979.
179. საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. IV, თბ., 1973.
180. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, VIII, თბ., 1986.
181. საქართველოს სსრ კულტურის ძეგლების სია, შემდგენელი ბარნაველი თ., თბ., 1959.
182. საქართველოს ისტორია, საკითხავი წიგნი, შედგენილი აკად. ს. ჯანაშიას და აკად. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, გამოქვეყნებულია სახელმძღვანელოების მიხედვით, შემდგენელ-რედაქტორი გ. მელიქიშვილი, თბ., 1980.
182-ა საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1461, რვეული №7 (სხვადასხვა მასალა).
183. საისტორიო მოამბე, წიგნი II, საქ. სსრ ცენტრალური არქივის გამოცემა, რედაქტორი ს. კაკაბაძე, თბ., 1925.
184. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს) ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძის, თბ., 1961.
185. საქართველოს ისტორია, ნაწილი I, უძველესი დროიდან XIX ს-ის დამდეგამდე, ს. ჯანაშიას რედაქციით, სახელმძღვანელო საშუალო სკოლის უფროსი კლასებისათვის, თბ., 1948.
186. სიგელი დავით მეფისა ჯარმაულ გრიგოლ ჯაჯნიასშვილისადმი (1297-1298წწ.), წიგნში: ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი I, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984.
187. სომხიშვილი ვ., ქსნის ხეობის ქართლური, ცხინვალი, 1981.
188. სურგულაძე ვ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, თბ., 1952.
189. Смирнов Я. И., Ахалгорский клад, Тифлис, 1934.
190. სილაგაძე ვ., მასალები საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიისათვის, კრებულში: ქართული წყაროთმცოდნეობა II, თბ., 1968.

191. სურგულაძე ირ., "ძეგლი ერისთავთა" და მისი მნიშვნელობა საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის ზოგიერთი საკითხისათვის, კრებულში: ენიმკის მოამბე XIII, თბ., 1943.

192. სურგულაძე მ, XIV-XV სს. მეფეთა წყალობის სიგელების დიპლომატიური თავისებურებანი, კრებულში: ქართული წყაროთმცოდნეობა V, თბ., 1978.

192-ა. სურგულაძე ნ., სეფიანთა ირანის ცენტრალური მმართვე ლობა, თბ., 1990.

193. ტაბატაძე კ., რაშიდ ად დინის ცნობები საქართველოს შესახებ, კრებულში: ქართული წყაროთმცოდნეობა, II, თბ., 1968.

194. ტაბატაძე კ., ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე, თბ., 1974.

195. ტივაძე თ., თუშ-ფშავ-ხევსურეთის რუსეთთან ურთიერთობის საკითხისათვის (XVII ს-ის 50-60-იან წლებში) წიგნში: ძიებანი საქართველოს და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976.

196. ტაბაღუა ი., მასალები XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1982.

196-ა იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო სერგი ჯიქიამ, თბ., 1964.

197. ფუთურიძე ვ., მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ, წიგნში მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1940.

198. ქავთარია მ., XVII-XVIII სს. ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან, იესე ერისთავის ჰიმნოგრაფიული მოღვაწეობა, კრებულში მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი III, თბ., 1973.

199. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია №6, თბ., 1983.

200. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია №10, თბ., 1986.

201. ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955.

202. ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიეხდვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959.





203. ქართული სამართლის ძეგლები, 1. ხელმწიფის კარის გარიგება; 2. დასტურლამალი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ი. სურგულაძემ, თბ., 1970.

204. ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1978.

205. ქართული სამართლის ძეგლები ტ. I, 1963, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ.

206. ქართული სამართლის ძეგლები ტ. II, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1965.

207. ქართული სამეფო სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან I, თბ., 1970.

208. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, თბ., 1970.

209. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, თბ., 1972.

210. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, თბ., 1974.

211. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, თბ., 1977.

212. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, თბ., 1981.

213. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, თბ., 1985.

214. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა - კოლექცია, ტ. 1, 1. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, მ. ქავთარიამ, და ლ. ქუთათელაძემ, ე. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1973.

215. ქსნის ერისთავიანთ ისტორია ანუ ნამდვილი [ამბავი] აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი - 2436- 8 ფ.

216. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბ., 1986.

216-ა ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, თბ., 1984.

217. ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივ. იმნაიშვილმა, თბ., 1979.

218. ქიქოძე, მ., ვახტანგ VI-ის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, თბ., 1988.

219. ქიქოძე მ., ვახტან VI-ის დროინდელი ქართლის მოხელეთა საკითხისათვის, ჟურნალი მაცნე, ისტორიის... სერია №4, თბ., 1984.

220. ღვაბერიძე ც., საქართველოს ურთიერთობა ილხანთა ირან-თან და ჯელაიართა სახელმწიფოსთან (ნუმიზმატიკური მა-სალის მიხედვით), თბ., 1986.
221. ღუნაშვილი ვ., ვერცხლის ჯვარი დადიანეთიდან, ჟურნალი, ძეგლის მეგობარი №68, თბ., 1985.
222. ღუნაშვილი ვ., ხევისთავის ინსიგნია ცხრაზმის ხეობიდან, ჟურნალი ძეგლის მეგობარი, №3, თბ., 1988.
223. ღუნაშვილი ვ., ქსნის ხეობის წარსულიდან, ჟურნალი: მაც-ნე, ისტორიის,..., სერია №4, თბ., 1988.
224. ღუნაშვილი ვ., ცხრაზმის საერისთავოს პოლიტიკური ის-ტორიიდან (XIV ს. დასაწყისი) ჟურნალი: მაცნე, ისტორი-ის... სერია №4, თბ., 1990.
225. ღუნაშვილი ვ., ცხრაზმის საერისთავოს პოლიტიკური ის-ტორია XIV ს. 20-50 იან წლებში, ჟურნალი მაცნე, ისტორი-ის,.... სერია №4, თბ., 1992.
226. ღუნაშვილი ვ., ნარკვევები ქსნის ხეობის წარსულიდან I, პუბლიკაციები, თბ., 1997.
227. ღუნაშვილი ვ., ნარკვევები ქსნის ხეობის წარსულიდან II, თბ., 2001.
227-ა. შავხელიშვილი ა., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1977.
228. შიდა ქართლი, პატარა და დიდი ლიახვის ხეობების არქი-ტექტურული მემკვიდრეობა, საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის გამოცემა, თბ., 2002.
229. შოშიაშვილი ნ., ერისთავი, წიგნში: ქართული საბჭოთა ენ-ციკლოპედია, ტ. IV, თბ., 1979.
230. შარაშენიძე ზ., ახალი მასალები ფერეიდანელი ქართველე-ბის შესახებ, თბ., 1969.
231. ჩუბინაშვილი გ., ქართული ოქრომჭედლობა VIII-XVIII სს., თბ., 1975.
232. Чубинашвили Г., Вопросы историй искуства иследования, заметки, т. I, 1970.
233. ჩხატარაიშვილი ქ., ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიი-დან ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1979.
234. ჩხეიძე ს., ცხოვრება მეფეთა, წიგნში: საქართველოს ცხოვ-რება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, თბ., 1913.



235. ცხოვრება საქართველოისა (პარიზის ქრონიკა), ტექსტი გა-მოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლე-ბი დაურთო გიული ალასანიამ, თბ., 1980.
236. ძეგლი ერისთავთა, (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატია-ნე) ტექსტი გამოსცა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო შ. მესხიამ. წიგნში: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 30.
237. ძეგლი ერისთავთა წიგნში: ქართული სამართლის ძეგლები; ტ. II, თბ., 1965. ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლე-ბი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ.
237-ა. ძეგლის დადება გიორგი V-ის ბრწყინვალისა, ქართული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, რუსულად თარგმნა, შესა-ვალი, შენიშვნები, გლოსარიუმი და საძიებლები დაურთო დავით ფურცელაძემ, თბ., 1988.
238. ძეგლი ერისთავთა, წიგნში: ქართული მწერლობა, ტ. V, თბ., 1988.
239. ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, წიგნი I, თბ., 1964.
240. ძველი საქართველო: საქართველოს საისტორიო და საეთ-ნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ტ. I, თბ., 1909, ე. თა-ყაიშვილის რედაქციით.
241. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი VI, თბ., 1980.
242. წერეთელი აკ., ტომი III, მხატვრული პროზა, თბ., 1989.
243. წმინდა მოწამენი ბიძინა, შალვა და ელიზბარი, საქართვე-ლოს საპატრიარქო, ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქია, 1999.
244. ჭილაშვილი ლ., ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, II, თბ., 1970.
245. ხანთაძე შ., სოციალური ბრძოლის ეპიზოდი გვიანფეოდალ-ურ საქართველოში, წიგნში: საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XX- B, თბ., 1959.
246. ხეთაგუროვი კ., რჩეული ნაწერების კრებული, ქ. სტალინი-რი, 1939.
247. ხოშტარია (ბროსე) ე., ფეოდალური ხანის საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთობის საკითხები, თბ., 1984.
248. ხოშტარია (ბროსე) ე., კვლავ "საყდრისშვილების" ინსტიტუ-ტის თავისებურებებისათვის საქართველოს მთაში და მთის

საზოგადოების ბუნების საკითხი, ჟურნალი: მაცნე, ისტო-რიის,... სერია, №3, თბ., 1992.

249. ხოცუაშვილი ვ., ახალგორი, გაზეთი ლენინელი, 1987, 28 ნოემბერი.

250. ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ისტორია XI-XV სს., თბ., 1949.

251. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია III, თბ., 1966.

252. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, IV, თბ., 1967.

253. ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, I, თბ., 1967.

254. ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია წ. I, ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1928.

255. ჯავახიშვილი ივ., ქართული სიგელთ-მცოდნეობა ანუ დიპ-ლომატიკა, ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1926.

256. ჯავახიშვილი ივ., ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თხზულებანი 12 ტომად, ტ. VIII, თბ., 1977.

257. ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი 12 ტომად, ტ. III, თბ., 1982.

258. ჯანაშია ს., შრომები, ტ. I, თბ., 1949.

259. ჯანაშია ს., შრომები, ტ. II, თბ., 1952.

260. ჯალაბაძე გ., ქსნის ხეობის მოსახლეობა წიგნში: ქსნის ხე-ობა, თბ., 1975.

261. ჯალაბაძე გ., ეთნიკური პროცესები შიდა ქართლში, წიგნ-ში: შიდა ქართლი, თბ., 1987.

262. ჯამბურია გ., სათავადოთა საკითხისათვის, წიგნში: საქარ-თველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, I, თბ., 1970.

263. ჯამბურია გ., გიორგი სააკაძე, თბ., 1964.

****



# სარჩევი

წინათქმა ....................2
შესავალი....................6
ა. ამოსავალი ვითარება....................6
ბ. წყაროები....................10
გ. ისტორიოგრაფია.................... 27
თავი I. §1. როსტომ ბიბილურის გაერისთავება VI ს-ის 70-იან წლებში....................35
§2. ქსნის ხეობა XIII ს-ის 90-იან წლებამდე .................... 42
თავი II. §1. შალვა ქვენიფნეველი (1290-1318წწ.)....................50
§2. აბაზასძეთა შევიწროება....................55
§3. დავით VIII-ის მიერ ცხრაზმის (ქსნის) საერისთავოს დალაშქვრა....................58
§4. ქვენიფნეველის ლაშქრობა დვალეთში 1303 წ. ....................60
§5. ცხრაზმის (ქსნის) საერისთავოს საზღვრების გაფართოება..64
§6. შალვა ქვენიფნეველის ლაშქრობა დვალეთში (1317 წ.)............66
§7. ერისთავი ლარგუელი (1318-1320წწ.) ....................69
§8. ერისთავი ვირშელი (1320-1335 წწ.). .................... 70
§9. პიპა ქვენიფნეველის ელჩობა იერუსალიმში. 1320 წელი......... 70
§10. გორის განთავისუფლება ოსთაგან (1325-1327წწ.) .................... 72
§11. ბრძოლა ლომისის მთაზე 1327 წელს .................... 74
§12. წითლოსან ლარგველის ძე (1335-1344 წწ.) ....................79
§13. ერისთავი ქვენიფნეველი (1344-1373 წწ.) "პროვინციის სამეფოს"შემადგენლობაში....................79
თავი III. §1. შიდა აშლილობა.................... 84
§2. ერისთავ ქვენიფნეველის სიკვდილი....................88
§3. ერისთავი იოვანე 1373-1390 წწ. ....................89
§4. დვალთა თავდასხმები....................90
§5. ერისთავი იოვანე და "პროვინციის სამეფოს" მეფეები..............93
§6 ერისთავი ვირშელი (1390-1422 წწ.)....................96
§7. ვირშელის ლაშქრობა დვალეთსა და მთიანეთში....................... 98
§8. თემურლენგი ქსნის საერისთავოში....................103
§9. ქნოღოში მიმდინარე პროცესები.................... 104
§10. საერისთავოს საზღვრები.................... 107
§11. ლაშქრობა დვალეთზე.................... 108
§12. ერისთავ ვირშელის აღმშენებლობითი საქმიანობა....................111
§13. წირქოლის ეკლესიის წარწერა....................112
თავი IV. §1. ელიზბარ ერისთავი ....................115
§2.ერისთავის და ამილახორის თავდასხმა დედოფალზე .......120
§3. ლალა მუსტაფა ფაშას ლაშქრობა....................123
§4. შერიგება ....................126

§5. ახალგორი
თავი V. §1. შალვა ერისთავი....135
§2. იასე ერისთავი ....136
§3. ბრძოლა ქარჩოხში ანუ სისხლისფრად დიოდა ქსანი....... 139
§4. აზნაურ ღაზნელთა ამოწყვეტა ....150
§5. განხეთქილება ქართველთა შორის ....152
§6. ერისთავი შანშე .... 154
§7. ერისთავი ზაალი .... 159
§8. მართვადი ქაოსი ....160
§9. ელიზბარ ერისთავი. მართვადი ქაოსი გრძელდება....165
თავი VI. 1. ელიზბარ ერისთავი ოპოზიციონერი....172
§2. ელის ტომის ჩამოსახლება კახეთში ....180
§3.1659 წ. სასამართლოს განჩინება ....184
§4. XVII ს. 60-იან წლების თანამედროვენი კახეთის გათავისუფლების შესახებ .... 187
§5. მოგვიანო პერი ოდის სწავლულნი კახეთის გათავისუფლების შესახებ .... 193
§6. დასკვნის მაგიერ .... 209
§7. იასე ერისთავი ....212
თავი VII. §1. იასე ერისთავის გაძევება ....214
§2. დათუნა ერისთავი ....216
§3. დავით ერისთავი ....223
§4. დათუნა ერისთავი ....225
თავი VIII. §1. დევნილი შანშე ....230
§2. ძმათამკვლელი ომი ....239
§3. ანტითურქული აჯანყების ხელმძღვანელი შანშე ....230
§4. ახალი აჯანყება ....247
§5. ბრძოლა ქართლ-კახეთზე ხელახალი გაბატონებისთვის......249
§6. "ვაის გავეყარე და უის შევეყარეო"....250
§7. ანტიირანული ამბოხებანი .... 251
§8. არაგველთა გამცემლობა და შანშეს საპასუხო ქმედება .....253
§9. შანშეს ამბოხება გრძელდება ....256
§10. შანშეს დამარცხება....259
§11. დამარცხების შემდეგ .... 264
§12. ქსნის ერისთავი გივი ამილახვარი .... 265
§13. ახალი ანტიირანული აჯანყება....266
§14. ქსნის საერისთავო თეიმურაზ-ერეკლეს დაქვემდებარებაში ....268
§15. ერისთავი რატი რატიშვილი....272
§16. გივი ამილახვრის დატყვევება.... 273
§17. ოსთა პროტესტი....266



§18. შანშე ერისთავის ხელისუფლებაში დაბრუნება....280
§19. მემარცხენე ფრთა.... 271
§20. ბრძოლა ქართლ-კახეთისათვის.... 282
§21. ერისთავთა სიძე ბაშან-ხანი....283
§22. მაჰმადიანთა გარემოცვაში ....284
§23. ბაშან-ხანი და ზურაბ ერისთავის შვილი....289
§24. შანშეს სიკვდილი.... 290
თავი IX. §1. დავით ერისთავი (1753-1774 წწ.).... 293
§2 ერისთავი გიორგი "ყულარაღასი" (1774-1777წწ.) საერისთავოს გაუქმება....305
§3 ქსნის ერისთავთა აზნაურები....305
დასკვნა ....308
რეზიუმე .... 311
დამოწმებული წყაროებისა და ლიტერატურის სია ..........329

## ქსნის საერისთავო გვიანფეოდალურ ხანაში

(სქემატური რუკა)





